პლატფორმა

კარლ პოლანი

დიდი ტრანსფორმაცია

ჩვენი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისები

კარლ პოლანი

დიდი ტრანსფორმაცია

ჩვენი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისები

პლატფორმა

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პლატფორმა

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „კრიტიკული პოლიტეკონომიკური აზრის მხარდაჭერა აკადემიებში“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა პლატფორმის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

მთარგმნელთა ჯგუფი:
ნინო ხელაია, ლაშა ქავთარაძე, ნინო მიქაშავიძე,
გიორგი ჩუბინიძე, თამთა ხელაია, პაპუნა ჩივაძე

სამეცნიერო რედაქტორი: ნინო ხელაია

ენობრივი რედაქტორი: თამარელა წოწორია
ტექნიკური რედაქტირება: თამარ პაიჭაძე, მანანა გელაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: თემო ბეჟანიძე

დაკაბადონება: ვიოლა ტუღუში

ISBN 978-9941-8-3684-8
© ფრიდრიხ ებერტის ფონდი. აკრძალულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული პუბლიკაციის კომერციული მიზნით გამოყენება, ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
მის: ნ. რამიშვილის ქუჩის ჩიხი 1, #1
www.southcaucasus.fes.de

© პლატფორმა / Platforma.ge
მის. ირ. აბაშიძის 24ა, თბილისი
ელ.ფოსტა: platformage@gmail.com
www.platforma.ge

Beacon Press
25 Beacon Street
Boston, Massachusetts 02108-2892 www.beacon.org
Beacon Press books are published under the auspices of
the Unitarian Universalist Association of Congregations.
© 1944,1957, 2001 by Karl Polanyi
First Beacon Paperback edition published in 1957 Second Beacon Paperbackedition
published in 2001 All rights reserved
11 10 09 08 07 9 8
Polanyi, Karl, 1886-1964.
Originally published: New York: Farrar & Rinehart, 1944 and reprinted in 1957
by Beacon in Boston.
Includes bibliographical references and index.
ISBN 978-o-8070-5643-1 (pa: alk. paper)

სარჩევი

კარლ პოლანის „დიდი ტრანსფორმაციების“ შესავალი 5

პირველი ნაწილი. საერთაშორისო სისტემა

თავი 1.	ასწლიანი მშვიდობა	43
თავი 2.	კონსერვატიული ოციანი და რევოლუციური ოცდაათიანი წლები	72

მეორე ნაწილი. საბაზრო ეკონომიკის აღმასვლა და მარცხი

თავი 3.	„ეკონომიკური წინსვლა საცხოვრებელი პირობების საპირწონედ“	93
თავი 4.	საზოგადოებები და ეკონომიკური სისტემები	109
თავი 5.	საბაზრო მოდელის განვითარება	129
თავი 6.	თვითრეგულირებადი ბაზარი და ფიქტიური საქონლები: შრომა, მიწა და ფული	147
თავი 7.	სპინჰემლენდის სისტემა, 1795	162
თავი 8.	მიზეზები და შედეგები	176
თავი 9.	პაუპერიზმი და უტოპია	201
თავი 10.	პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოების აღმოჩენა	215
თავი 11.	ადამიანი, ბუნება და მწარმოებელი ორგანიზაცია	247
თავი 12.	ლიბერალური მრწამსის დაბადება	254

თავი 13.	ლიბერალური მრწამსის დაბადება (გაგრძელება): კლასობრივი ინტერესი და სოციალური ცვლილებები	282
თავი 14.	ბაზარი და ადამიანი	304
თავი 15.	ბაზარი და ბუნება	329
თავი 16.	ბაზარი და საწარმოო ორგანიზაცია	353
თავი 17.	შესუსტებული თვითრეგულაცია	367
თავი 18.	დამანგრეველი დაძაბულობა	380

მესამე ნაწილი. ტრანსფორმაცია მიმდინარეობს

თავი 19.	სახალხო მთავრობა და საბაზრო ეკონომიკა	399
თავი 20.	სოციალური ცვლილებებით დატვირთული ისტორია	420
თავი 21.	თავისუფლება კომპლექსურ საზოგადოებაში	438

შენიშვნები 457

კარლ პოლანის „დიდი ტრანსფორმაციების“ შესავალი

თარგმნა **სოსო ჭაუჭიძემ**

შესავალი[1]

„დიდი ტრანსფორმაციის“ გავლენისა და გამოხმაურების მიმოხილვისას ეკონომიკის გამოჩენილმა ისტორიკოსმა შენიშნა, რომ „ზოგიერთი წიგნი უარს ამბობს გაუჩინარებაზე“. ეს გონებამახვილური მოსაზრებაა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი 1940-იანი წლების დასაწყისში დაიწერა, პოლანის ნამუშევრის მნიშვნელობა და გავლენა დღემდე განაგრძობს ზრდას. მაშინ, როცა თაროზე ცხოვრების რამდენიმე თვითა თუ წლით სულ რამდენიმე წიგნი თუ ამაყობს, „დიდი ტრანსფორმაცია“ რამდენიმე ათწლეულის შემდეგაც ახლად გამოიყურება. აშკარაა, ეს წიგნი იმ დილემების

---

[1] ამ შესავლის მომზადებისთვის დიდად დავალებული ვარ, პირველ რიგში, კარი პოლანი ლევიტისგან, რომელმაც ზოგადი მონახაზის რამდენიმე ვერსიას დაურთო როგორც შინაარსობრივი, ისე რედაქციული ხასიათის ვრცელი კომენტარები. მასთან მუშაობა იშვიათი პრივილეგია გახლდათ. ღირებული გამოხმაურებებისათვის აგრეთვე მადლობას ვუხდი მიქაილ ფლოტას, მირიამ იოფე-ბლოკს, მარგარიტ მენდელსა და მარგარეტ სომერსს. ეს უკანასკნელი პოლანის აზროვნების გაგებაში თითქმის 30 წელია მეხმარება; ჩემი ნაწერების დიდი ნაწილი მის სააზროვნო ველზე რეფლექსირებს. შესავლის მომზადებასა და ახალი გამოცემის შედარებით რთული ამოცანის

გასაგებადაც გამოდგება, რომელთა წინაშე გლობალური საზოგადოება ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე დადგა.

ამ გამძლეობის კარგი ახსნა არსებობს. „დიდი ტრანსფორმაცია“ აქამდე შემოთავაზებულ მცდელობათა შორის, საბაზრო ლიბერალიზმის კრიტიკის საუკეთესო ვარიანტს გვთავაზობს – კრიტიკას რწმენისა, რომლის მიხედვითაც, ნაციონალური საზოგადოებები და გლობალური ეკონომიკა თვითრეგულირებადი ბაზრების მეშვეობით უნდა ორგანიზდნენ. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, და, უფრო კონკრეტულად, 90-იანების დასაწყისში, ცივი ომის დასრულების შემდგომ, საბაზრო ლიბერალიზმი – სხვადასხვა იარლიყით, როგორიცაა „ტეტჩერიზმი“, „რეიგანიზმი“ და „ნეოლიბერალიზმი“ – გლობალური პოლიტიკის დომინანტურ ძალად იქცა. მაგრამ 1944 წლიდან, ცივი ომი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა, რითაც პოლანის თეორიულ ღვაწლს ჩრდილი მიაყენა. კაპიტალიზმისა და საბჭოური ყაიდის სოციალიზმის მომხრეთა უკიდურესად პოლარიზებულ დებატებში პოლანის ნიუანსირებული და კომპლექსური არგუმენტებისთვის ადგილი ვერ მოიძებნა. ამრიგად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, პოლანის ნამუშევრის ხილვადობის დამსახურებულ ზრდას, შეგვიძლია გარკვეული გამართლება მოვუძებნოთ.

შესრულებაში მიქაელ ფლოტა მედგა გვერდში. კარი პოლანი ლევიტსა და მარგარეტ მენდელს – კარლ პოლანის სახელობის პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუტის (Concordia University, Montreal, Quebec) თანახელმძღვანელებს – აგრეთვე უზარმაზარი წვლილი მიუძღვით ამ გამოცემის მომზადებაში. პოლანის აზროვნების ჩემეული გაგება ამ ადამიანების კოლეგიურობასთან ერთად, პოლანის სტატიების იმ არქივსაც უნდა უმადლოდეს, რომელიც მათს საკუთრებაშია. მკითხველი, რომელსაც სურს, უკეთ გაერკვეს პოლანის სააზროვნო აპარატში და მკვლევართა საერთაშორისო თემს, რომელიც ამ ტრადიციაში მუშაობს, ვურჩევ დაუკავშირდნენ კარლ პოლანის ინსტიტუტს და მიმართონ წიგნების სერიას სახელწოდებით „კრიტიკული პერსპექტივები ისტორიულ საკითხებზე“, რომელიც ინსტიტუტის ეგიდით მონრეალში, BLack Rose Press-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა.

ცივი ომის შემდგომ წარმართული დებატების ძირითადი ნაწილი „გლობალიზაციის“ საკითხის გარშემო მიმდინარეობდა. ნეოლიბერალები ამტკიცებდნენ, რომ კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების ახალი ტექნოლოგიები სასურველსა და გარდაუვალს ხდიან, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მჭიდრო ინტეგრირებას გაფართოებული ვაჭრობისა და კაპიტალის მიმოქცევის მეშვეობით, ისე თავისუფალი ბაზრის ანგლო-ამერიკული მოდელის მიღებას. მოძრაობათა და თეორეტიკოსთა ფართო სპექტრი გლობალიზაციის ამ ვერსიას სხვადასხვა პოლიტიკური პერსპექტივიდან ეწინააღმდეგება – ერთნი ეთნიკურ, რელიგიურ, ნაციონალურ თუ რეგიონულ იდენტობებს იცავენ; მეორენი კი გლობალური კოორდინაციისა და კოოპერაციის ალტერნატიულ ვერსიებს გვთავაზობენ. დებატებში მონაწილე ყველა მხარეს კიდევ ბევრი აქვს სასწავლი „დიდი ტრანსფორმაციდან“.

ორივე მხარე, ნეოლიბერალებიც და მათი კრიტიკოსებიც, შეძლებენ ცოდნა გაიღრმაონ საბაზრო ლიბერალიზმის ისტორიის და ეკონომიკური გლობალიზაციის, შედარებით ადრინდელ პროექტთა, ტრაგიკული შედეგების შესახებ.

პოლანის ცხოვრება და მოღვაწეობა

კარლ პოლანი (1886-1964) ბუდაპეშტში, სოციალური აქტიურობითა და ინტელექტუალური მიღწევებით გამორჩეულ ოჯახში გაიზარდა.[1] მისი ძმა, მიხაილი, გავლენიანი მეცნიერების ფილო-

---

[1] პოლანის სრული ბიოგრაფია ჯერ კიდევ არ გვაქვს ხელთ, მაგრამ, მარგარეტ მენდელი და კარი ლევიტ პოლანი მნიშვნელოვან მასალათა დიდ ნაწილს წარმოგვიდგენენ წიგნში „კარლ პოლანი – მისი ცხოვრება და ეპოქა“ Studies in Political Economy. No.22 (Spring 1997): 7-39. აგრეთვე იხ. Kari Polanyi Levitt, ed., Life and Work of Karl Polanyi და მისი ესე “Karl Polanyi as Socialist”; Kenneth Mcrobbie, ed. “Humanity, Society and Commitment” On Karl Polanyi” (Montreal: Black Rose, 1994). ვრცელი ბიოგრაფიული მასალაა მოცემული ნაშრომში “Karl Polanyi in

სოფოსი გახდა, რომლის ნამუშევრებსაც დღესაც ფართო აუდიტორია ჰყავს. თავად კარლი, პირველ მსოფლიო ომამდე წარმოქმნილ სტუდენტურ და ინტელექტუალურ წრეებში გავლენიან პირად მიიჩნეოდა. 1920-იან წლებში, პოლანი ვენაში, ცენტრალური ევროპის წამყვანი ყოველკვირეული ეკონომიკური და ფინანსური ჟურნალის, Der Oesterreichische Volkswirt-ის[1] მთავარ რედაქტორად მუშაობდა. სწორედ ამ დროს წააწყდა იგი ლუდვიგ ფონ მიზესისა და მისი მოსწავლის, ფრიდრიხ ჰაიეკის არგუმენტებს. მიზესი და ჰაიეკი ცდილობდნენ ინტელექტუალური ლეგიტიმაცია აღედგინათ საბაზრო ლიბერალიზმისთვის, რომელსაც პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის რევოლუციამ და სოციალიზმის აღზევებამ საძირკველი შეურყია.[2] მოკლედ რომ ვთქვათ, მიზესისა და ჰაიეკის გავლენა მიზერული იყო. 1930-იანი წლებიდან 1960-იანი წლების ჩათვლით, დასავლეთის ნაციონალურ პოლიტიკებს კეინზიანური ეკონომიკური იდეები კვებავდნენ, ანიჭებდნენ რა ლეგიტიმაციას ეკონომიკაში სამთავრობო მენეჯმენტის აქტიურ ჩარევას.[3] მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებ-

---

Vienna“ (Kenneth Mcrobbie and Kari Polanyi Levitt, eds., Montreal: Black Rose, 2000). პიტერ დემკერი, მენეჯმენტის თეორეტიკოსი, რომელიც პოლანის ვენაში ემიგრირებულ ოჯახს იცნობდა, თავის მემუარებში “Adventures of a Bystander” (New York: John Wiley, 1994) თავშესაქცევ მასალას იძლევა, თუმცა ზოგიერთი ფაქტი და საკუთარი სახელი (მაგ. პოლანის და-ძმების სახელები) არაზუსტია. (ავტ. შენ.)

1 (გერმ.) „ავსტრიული ეკონომიკა“. (მთარგმ. შენ.)

2 მიზესისა და ჰაიეკის 1920-იან წლებში დაწყებული და 1990-იანებში დასრულებულ მოღვაწეობათა გასაცნობად იხ. Richard Cockett, Thinking the Unthinkable: Think Tanks and the Economic Counter-Revolution 1931-1993. London: Fontana Press, 1995. კოქეტი ირონიულად შენიშნავს, რომ ინგლისს, ქვეყანს, რომელმაც საბაზრო ლიბერალიზმი დააფუძნა, მისი ხელახალი იმპორტი ვენიდან დასჭირდა. (ავტ. შენ.)

3 პოლანის წიგნის პირველი გამოცემის თარიღს ჰაიეკის ცნობილი ნაშრომის, “The Road to Serfdom” (Chicago: University of Chicago Press, 1944), გამოქვეყნება დაემთხვა. თუკი პირველი მათგანი შეერთებული შტატების მიერ „ახალი შეთანხმების“ პოლიტიკის გატარებას იმიტომ

ში, მიზესი და ჰაიეკი შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში საბაზრო ლიბერალიზმის დაუღლელ ადვოკატებად გვევლინებიან. ისეთი გავლენიანი ფიგურაც კი, როგორიც მილტონ ფრიდმანია, ამ ორი მოაზროვნის მიერ იყო შთაგონებული. ჰაიეკმა 1992 წლამდე იცოცხლა, საკმარისად დიდხანს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით მისი თეორიის გამართლება ეგრძნო. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მას უკვე საჯაროდ აღიარებდნენ ნეოლიბერალიზმის მამამთავრად – პიროვნებად, რომელმაც მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის მიერ გატარებულ დერეგულაციის, ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის რეფორმებზე პირდაპირი გავლენა იქონია. თუმცა, პოლანი ჯერ კიდევ 1920-იან წლებში შეეჭიდა მიზესის არგუმენტებს და საბაზრო ლიბერალიზმის მხარდამჭერთა კრიტიკა მის ცენტრალურ თეორიულ ამოცანად დარჩა.

ავსტრიელ ეკონომისტში მუშაობის პერიოდში, 1929 წელს, პოლანი ამერიკული საფონდო ბირჟის დაცემას შეესწრო, 1931 წელს – ვენის კრედიტარიშტალტის მარცხს (რომელმაც დიდი დეპრესია დააჩქარა) და ფაშიზმის აღზევებას. მაგრამ, 1933 წელს, ჰიტლერის ძალაუფლებაში მოსვლამ პოლანის სოციალისტურ წარმოდგენებს რიგი პრობლემები შეუქმნა და იძულებული გახდა, ჟურნალის რედაქტორის თანამდებობაზე უარი ეთქვა. იგი ინგლისში გაემგზავრა, ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტთა შორეულ ფილიალში, სტუდენტთა საგანმანათლებლო ასოციაციაში კითხულობდა ლექციებს.[1] კურსების მომზადების პროცესში, პოლანი ინგლისის სოციალური და ეკონომიკური ის-

---

უჭერდა მხარს, რომ ეს უკანასკნელი საბაზრო ძალების გავლენათა შეზღუდვისკენ იყო მიმართული; მეორე ნაშრომი ამტკიცებდა, რომ „ახალი შეთანხმების“ რეფორმებმა ამერიკის შეერთებული შტატების მცოცავ ფერდობზე განთავსება გამოიწვია, რაც, ამ თვალსაზრისის თანახმად, ეკონომიკურ მარცხსა და ტოტალიტარულ რეჟიმს მოასწავებდა. (ავტ. შენ.)

[1] Marguerite Mendell, “Karl Polanyi and Socialist Education”, pp. 25-42 in McRobbie, ed., Humanity, Society and Commitment.

ტორიის მასალებში გადაეშვა. „დიდ ტრანსფორმაციებში“ პოლანი სწორედ ამ მასალებს იყენებს, მიზესისა და ჰაიეკის დღეს-დღეობით საოცრად გავლენიანი შეხედულებების კრიტიკისათვის.

უშუალოდ წერის პროცესი პოლანიმ 40-იანი წლების გარიჟრაჟზე, ვერმონში, ბენინგტონის კოლეჯში მიწვეულ მკვლევარად მუშაობისას დაიწყო.[1] ამხანაგთა მხარდაჭერის ფონზე, მას შეეძლო წერისთვის სრულიად დაეთმო თავისუფალი დრო. პერსპექტივის ცვლილება პოლანის თავისი არგუმენტის სხვადასხვა განშტოებათა სინთეზში დაეხმარა. წიგნის ერთ-ერთი ყველაზე მყარი კონტრიბუცია – ფოკუსირება ინსტიტუციებზე, რომლებიც გლობალურ ეკონომიკას არეგულირებენ – პირდაპირ უკავშირდება პოლანის ემიგრაციებს. იგი ბუდაპეშტიდან ვენაში, ვენიდან ინგლისში, ინგლისიდან შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, რაც, მორალური პასუხისმგებლობის ღრმა განცდასთან ერთად, პოლანის ერთგვარ მსოფლიოს მოქალაქედ წარმოაჩენს. სიცოცხლის ბოლო წლებში, იგი ძველ მეგობარს სწერდა: „ჩემი ცხოვრება „მსოფლიო“ ცხოვრება იყო – მე ადამიანური მსოფლიოს ცხოვრებით ვიცხოვრე. ჩემი ნამუშევრები აზიისთვის, აფრიკისთვის, ახალი ხალხებისთვისაა განკუთვნილი.“[2] მიუხედავად იმისა, რომ პოლანი მისთვის მშობლიური უნგრეთის მიმართ ყოველთვის გრძნობდა ღრმა მიზიდულობას. მისი „მსოფლიო“ ცხოვრება დაეხმარა, დაეძლია ევროცენტრისტულ შეხედულებები და მოეხელთებინა ნაციონალიზმის ის აგრესიული ფორმები, რომლებსაც გარკვეული ტიპის გლობალური ეკონომიკური წესრიგები აქეზებდნენ და ახალისებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, პოლანი ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლიდა, სადაც ის სტუდენტე-

---

1 პოლანიმ წიგნი ინგლისურად დაწერა. ეს ენა მისთვის ბავშვობიდან კარგად იყო ნაცნობი. (ავტ. შენ.)

2 Letter to Be de Waard, january 6, 1959, cited on p.313 by Ilona Duczynska Polanyi, “I First Met Karl Polanyi in 1920...” pp. 302-315 in McRobbie and Levitt, eds., Karl Polanyi in Vienna.

ბთან ერთად ჩაება წინარეკაპიტალისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ფულის, ვაჭრობისა და ბაზრის ფორმების ანთროპოლოგიურ კვლევაში. კონრად არენსბერგთან და ჰარი პირსონთან ერთად მანვე გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „ვაჭრობა და ბაზრები ადრეულ იმპერიებში“ (New York, Free Press, 1957); მოგვიანებით, პოლანის გარდაცვალების შემდეგ, მისმა სტუდენტმა გამოსაცემად მოამზადა ტომები უნგრელი მეცნიერის იმდროინდელ ნაშრომებზე დაყრდნობით. „დაგომეისა[1] და მონებით ვაჭრობის“ (Seattle: University of Washington, 1966) გამოქვეყნებაში აბრაამ როტშტეინი მონაწილეობდა; ჯორჯ დალტონის რედაქციით გამოვიდა მისი ადრე უკვე გამოქვეყნებული ესეები – „დიდი ტრანსფორმაციების“ ზოგიერთი ამონარიდის ჩათვლით – სახელწოდებით „არქაული და მოდერნული ეკონომიკები: კარლ პოლანის ესეები“ (Boston: Beacon, 1971 [1969]); ჰარი პირსონმა პოლანის მიერ კოლუმბიის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ჩანაწერებისგან „ადამიანის ჯამაგირი“ (New York: Academic Press, 1977) შეადგინა.

პოლანის არგუმენტი: სტრუქტურა და თეორია

„დიდი ტრანსფორმაცია“ სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი და მესამე ნაწილები იმ უშუალო გარემოებებზე ფოკუსირდება, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის, დიდი დეპრესიის, კონტინენტურ ევროპაში ფაშიზმის აღზევების, საბჭოთა კავშირში – პირველი ხუთწლედის, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – „ახალი შეთანხმების“ ინიცირება განაპირობეს. ამ გაცნობით და დასკვნით თავებში პოლანი თავსატეხს ადგენს: უეცრად როგორ დაუთმო გზა ევროპაში ასე ხანგრძლივად – 1815 წლიდან 1914 წლამდე – დასადგურებულმა მშვიდობამ და კეთილდღეობამ, ეკონომიკურ კოლაფსსა და ორი მსოფლიო ომის სისას-

[1] ბენინის რესპუბლიკის სახელწოდება 1975 წლამდე (მთარგმ. შენ.)

ტიკეს? მეორე ნაწილი – წიგნის საკვანძო თავი – გვთავაზობს პოლანისეულ გამოსავალს თავსატეხიდან. პოლანი, XIX საუკუნის პირველ წლებს, ინგლისის ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქას უბრუნდება. გვაჩვენებს, თუ როგორ რეაგირებდნენ ინგლისელი მოაზროვნეები ინდუსტრიალიზაციის ტალღის ნაადრევ შემოჭრაზე საბაზრო ლიბერალიზმის თეორიათა მოშველიებით – თავიანთი ფუნდამენტური რწმენით, რომ ადამიანთა საზოგადოება თვით-რეგულირებად ბაზრებს უნდა დავუმორჩილოთ. ინგლისის, როგორც „მსოფლიოს სახელოსნოს“, წამყვანი როლის შეძენის შედეგებზე დაყრდნობით, პოლანი გვიჩვენებს თუ როგორ იქცნენ ზემოთ ხსენებული რწმენები მსოფლიო ეკონომიკის მაორგანიზებელ პრინციპებად. მეორე თავის მეორე ნახევარში, XII თავიდან XIX თავის ჩათვლით, პოლანი ამტკიცებს, რომ საბაზრო ლიბერალიზმმა გარდაუვალი შედეგი – საბაზრო მექანიზმებისგან საზოგადოების დაცვის შეთანხმებულ მცდელობათა ჯაჭვი მოიტანა. ეს მცდელობები მიუთითებდნენ იმაზე, რომ საბაზრო ლიბერალიზმი რწმენების შესაბამისად ვერ ფუნქციონირებდა, და, გარდა ამისა, გლობალური ეკონომიკის მამოძრავებელმა ინსტიტუციებმა, მზარდი ერებს შიდა და ერთაშორისი დაძაბულობები გამოიწვიეს. მშვიდობის კოლაფსი, რამაც პირველ მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა, მსგავსად ეკონომიკური წესრიგის მოშლისა, რამაც დიდი დეპრესია გამოიწვია, წარმოჩენილია, როგორც უშუალო შედეგები გლობალური ეკონომიკის საბაზრო ლიბერალიზმზე დაფუძნებისა. მეორე „დიდი ტრანსფორმაცია“ – ფაშიზმის აღზევება – პირველის – საბაზრო ლიბერალიზმის აღზევების – უშუალო შედეგია.

არგუმენტის ჩამოყალიბებისას პოლანი ისტორიის, ანთროპოლოგიისა და სოციალური თეორიის საკითხებში ღრმა განსწავლულობას ამჟღავნებს.[1] „დიდი ტრანსფორმაცია“ მეთხუთმეტე საუკუნიდან მეორე მსოფლიო ომამდე ინტერვალში განვითარებულ

---

[1] პოლანის არგუმენტის ზოგიერთი ცენტრალური წყაროს ანალიზისთვის იხ. მარგარიტ სომერსის „კარლ პოლანის ინტელექტუალური

ისტორიულ ხდომილებათა მნიშვნელოვან დეტალებს წარმოაჩენს; გარდა ამისა, ნაშრომს თემათა ისეთ ფართო სპექტრში შეაქვს წვლილი, როგორიცაა თანაზიარობისა და რედისტრიბუციის როლი წინარე მოდერნულ საზოგადოებებში, კლასიკური ეკონომიკური აზროვნების ლიმიტები და განმასაგნებელი ბუნების საფრთხეები. უამრავი თანამედროვე სოციალური მეცნიერი – ანთროპოლოგი, პოლიტიკის მეცნიერი, სოციოლოგი, ისტორიკოსი და ეკონომისტი – იღებს თეორიულ შთაგონებას პოლანის არგუმენტებისგან და წიგნებისა და სტატიების მზარდი რაოდენობაც „დიდი ტრანსფორმაციის“ ამონარიდების მეშვეობით იძენენ ერთიან ჩარჩოს.

წიგნის ასეთი სიმდიდრე მისი შეჯამების მცდელობას უსარგებლოს ხდის; საუკეთესო, რაც შეიძლება აქედან გამოვიდეს, პოლანის არგუმენტის ზოგიერთ მნიშვნელოვან წანამძღვრებზე დაყრდნობით მსჯელობის გავრცობაა. მაგრამ ამის გაკეთება თავად კარლ პოლანის თეორიული პოზიციის ორიგინალურობის აღიარებასაც მოითხოვს. პოლანი პოლიტიკური ლანდშაფტის ჩვენეულ, სტანდარტულ მეპინგში არ ჯდება; მიუხედავად იმისა, რომ იგი საბაზრო ლიბერალიზმის კეინზისეულ კრიტიკას მეტწილად იზიარებდა, რთულია, კეინზიანელობა დააბრალო. სიცოცხლის განმავლობაში ის თავს სოციალისტად აცხადებდა, მაგრამ ამავე დროს დისტანციას იჭერდა სხვადასხვა ჯურის ეკონომიკური დეტერმინიზმისგან, მარქსიზმის ძირითადი ნაკადის ჩათვლით.[1] თავად კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მისეული განმარტება შორდება ამ ცნებათა ჩვენეულ, მომხმარებლურ გაგებას.

მემკვიდრეობა“, გვ. 152-159, ლევიტის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში „კარლ პოლანის ცხოვრება და მოღვაწეობა“. (ავტ. შენ.)

1 პოლანის ურთიერთობა მარქსიზმთან ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსური და საკამათო საკითხია ლიტერატურაში. იხ. Mendell and levitt Polanyi, “Karl Polanyi – His Life and Times”; Fred Block and Margaret Somers, “Beyond the Economistic Fallacy: The Holistic Social Science of Karl Polanyi” pp. 47-94 in Theda Skocpol, ed. Vision and Method in Historical Sociology, (Cambridge: Cambridge University Press, 1994); Roth H. Harper in, Cultural Economies: Past and Present (Austin: University of Texas Press, 1994) (ავტ. შენ.)

„მიმაგრებულობის“ (EMBEDDEDNESS) პოლანისეული კონცეფცია

პოლანის აზროვნების გადმოცემისთვის ათვლის ლოგიკურ წერტილად „მიმაგრებულობის“ მისეული კონცეფცია უნდა მივიჩნიოთ. გარდა იმისა, რომ იგი პოლანის ყველაზე ცნობილი კონტრიბუციაა სოციალურ აზროვნებაში, ხსენებული კონცეპტი ავტორის არგუმენტის გაგებაში მთელ რიგ გაუგებრობებს წარმოშობს. პოლანი იმის ხაზგასმით იწყებს, რომ მთელი თანამედროვე ეკონომიკური ტრადიცია ეკონომიკას წარმოსახავს, როგორც ბაზრების გამაერთიანებელ სისტემას, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსს, ფასის მექანიზმის მეშვეობით, ავტომატურად ამყარებს.

მაშინაც კი, როცა ეკონომისტები აცნობიერებენ, რომ საბაზრო სისტემა განცდილ მარცხთა გადასალახად ხანდახან სახელმწიფო ჩარევას საჭიროებს, ისინი განაგრძობენ კონეპტუალიზაციას, რომელიც ეკონომიკას ინტეგრირებულ ბაზართა დამაბალანსებელ სისტემად წარმოსახავს. პოლანის მიზანია, აჩვენოს, მთელი ისტორიის მანძილზე თუ როგორ რადიკალურად განსხვავდება ამგვარი კონცეპტუალიზაცია, ადამიანთა საზოგადოების რეალობისგან. მეცხრამეტე საუკუნემდე, ამტკიცებს პოლანი, ადამიანთა ეკონომიკური აქტივობა მუდმივად ჩაბეჭდილი იყო საზოგადოებაში.

ტერმინი „მიმაგრებულობა“ ასახავს იდეას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა არის არა ისეთივე ავტონომიური, როგორიც იგი ეკონომიკის თეორიაში უნდა იყოს, არამედ მუდმივად ემორჩილება პოლიტიკას, რელიგიასა და სოციალურ ურთიერთობებს. [1]ტერმინის პოლანისეული გამოყენება გვთავაზობს მეტს,

---

[1] „მიმაგრებულობის“ პოლანისეული კონცეპტი ისესხეს და განავითარეს ისეთმა მნიშვნელოვანმა თანამედროვე მკვლევარებმა, როგორებიცაა John Ruggie, “International Regimes, Transactions and Change: Embedded Liberalism in the Postwar Economic Order”, International Organization 362 (Spring 1992): 379-415, Mark Grariovetter, „Economic Action

ვიდრე საბაზრო ტრანზაქციების ნდობაზე, ურთიერთგაგებასა და კონტრაქტების ლეგალურ ვალდებულებებზე დამოკიდებულების ცნობილი იდეა. ის ამ ცნებას იმის ხაზგასასმელად იყენებს, თუ როგორი რადიკალური იყო კლასიკური ეკონომისტების – განსაკუთრებით მალთუსისა და რიკარდოს – გამოყოფა მათივე წინამორბედი მოაზროვნეებისაგან. ეკონომიკის საზოგადოებაზე დამორჩილების ისტორიულად ცნობილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, თვით-რეგულირებადი ბაზრის მათეული სისტემები ახლა უკვე საზოგადოებას უმორჩილებდნენ ბაზრის ლოგიკას:

„უმთავრესად სწორედ ესაა მიზეზი, თუ რატომ მოაქვს ეკონომიკურ სისტემაზე დამყარებულ საბაზრო კონტროლს შემაძრწუნებელი ეფექტები საზოგადოების მთელს ორგანიზაციაზე: ის ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, საზოგადოების ფუნქციონირებას ახლა უკვე ბაზრის „თანაშემწის“ (adjunct) როლში. ნაცვლად ეკონომიკის სოციალურ ურთიერთობებზე მიმაგრებისა, სოციალური ურთიერთობები ებმიან ეკონომიკური სისტემას.“ (57)

და მაინც, ეს და მსგავსი პასაჟები პოლანის არგუმენტის არასწორი წაკითხვისკენ გვიბიძგებენ. ხშირად ისე ესმით, თითქოს პოლანი ამტკიცებს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, კაპიტალიზ-

---

and Social Structure: The Problem of Embeddedness”, American Journal of Sociology 91:3 November 1995): 491-510, and Peter Evaris, “Embedded Autonomy: States and Industrial Transformation.” (Princeton: Princeton University Press, 1995). ტერმინის დამკვიდრების ზუსტი ინსპირაცია ცნობილი არ არის, მაგრამ დამაჯერებლად ჟღერს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პოლანიმ მეტაფორა ქვანახშირის მრეწველობიდან ისესხა. ინგლისის ეკონომიკური ისტორიის კვლევისას იგი დეტალურად ეცნობოდა ამ ქვეყნის სამრეწველო ინდუსტრიის ისტორიასა და ტექნოლოგიებს, რომელთა მეშვეობითაც შახტის ქვის კედლებზე „მიმაგრებულ“ ნახშირს მოიპოვებდნენ. (ავტ. შენ.)

მის აღზევებასთან ერთად, ეკონომიკა წარმატებით ჩამოსცილდა საზოგადოებას და მასზე ბატონობა დაიწყო. [1]

ეს არასწორი წაკითხვა ბუნდოვანს ხდის პოლანის არგუმენტის ორიგინალურობასა და მის თეორიულ სიმდიდრეს. დიახ, პოლანი ამბობს, რომ კლასიკურ ეკონომისტებს სურდათ შეექმნათ საზოგადოება, რომელშიც ეკონომიკა ეფექტურად ჩამოსცილდებოდა სოციუმს და აქეზებდნენ კიდეც პოლიტიკოსებს ამ სურვილის რეალობაში განსახორციელებლად. მაგრამ პოლანი იმაზეც აპელირებს, რომ მათ არც შეეძლოთ და ვერც შეძლეს ამ მიზნის მიღწევა. რეალურად, ის ხშირად იმეორებს, რომ „ჩამოცილებული“ (disembedded), თვით- რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა უტოპიური პროექტია; ის განასახიერებს იმას, რამაც შეუძლებელია იარსებობს. წიგნის პირველივე გვერდზე პოლანი წერს:

„ჩვენი თეზისი გახლავთ ის, რომ თვით-მომწესრიგებელი (self-adjusting) ბაზრის იდეა სრულ უტოპიას გულისხმობდა. ასეთი ინსტიტუცია დიდი ხნის განმავლობაში ვერ იარსებებდა საზოგადოების ადამიანურ და ბუნებრივ სუბსტანციათა განადგურების გარეშე; იგი ფიზიკურად გაანადგურებდა ადამიანს, ხოლო გარემომცველ სივრცეებს უდაბნოდ გადააქცევდა. (3)

რატომ ვერ იქნება „ჩამოცილება“ წარმატებული

პოლანი ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს ადამიანებისა და ბუნებრივი გარემოს წმინდა გასაგნებას, რაც, თავის მხრივ, ბუნებრივი და საზოგადოებრივი სივრცეების განადგურებას მოასწავებს. მისი

---

[1] ისეთი გამოჩენილი ისტორიკოსიც კი, როგორიც ფრანგი ფერნანდ ბროდელია, პოლანის არგუმენტის მსგავს ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იხ. Civilization and Capitalism 15th-19th Century, vol.2, The Wheels of Commerce, tr. by Sian Reynolds (Berkeley: University of California Press, 1992), pp. 225-229 (ავტ. შენ.)

თვალსაზრისით, თვით-რეგულირებადი ბაზრის თეორეტიკოსები და მათი მომხრეები განუწყვეტლივ ერეკებიან საზოგადოებებს უფსკრულისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ როგორც კი შეუზღუდავი საბაზრო ეკონომიკის შედეგები ნათელი ხდება, ადამიანები უარს ამბობენ გზის გაგრძელებაზე; ისინი აღარ ეგუებიან იმ ლემინგთა[1] ბედისწერას, რომლებიც ციცაბო ფერდობზე ცოცვით წინასწარმეტყველებენ თვითგანადგურებას. ამის საპირისპიროდ, ისინი თვითრეგულირებადი ბაზრის პრინციპებზე ამბობენ უარს, რათა საზოგადოება და ბუნება გადაარჩინონ განადგურებას. ამ აზრით, შეიძლება ვთქვათ, რომ ბაზრის „ჩამოცილება“ უზარმაზარი, ელასტიკური ზონარის გაწელვას გავს. უფრო და უფრო ვრცელი ავტონომიის მოპოვების მცდელობა დაძაბულობის უფრო და უფრო ძლიერ ნაკადებს წარმოქმნის. რაც უფრო მეტად „გავწელავთ“, მით უფრო დიდია შანსი, ან ზონარი გაწყდეს – გაწყვეტილი ზონარი ამ შემთხვევაში სოციალურ დეზინტეგრაციას განასახიერებს – ანდა ეკონომიკა უფრო „მიმაგრებულ“ პოზიციაში აღდგეს.

ლოგიკა, რომელიც ამ არგუმენტის უკან იმალება, რეალური და ფიქტიური საქონლის პოლანისეულ განსხვავებას ემყარება. პოლანისთვის საქონელი არის ის, რაც ბაზარზე გასაყიდადაა წარმოებული. ამ განსაზღვრების თანახმად, მიწა, შრომა და ფული ფიქტიური საქონლის კერძო შემთხვევებია, რამდენადაც ისინი თავდაპირველად საბაზრო პროდუქტებად არ შეუქმნიათ. შრომა უბრალოდ ადამიანური აქტივობაა, მიწა – დანაწილებული ბუნება, ხოლო ფულისა და კრედიტის მიმოქცევა თანამედროვე საზოგადოებაში აუცილებლობითაა შეფერილი სამთავრობო პოლიტიკით. თანამედროვე ეკონომიკა იწყება იმის წარმოდგენით, თითქოს ამ ფიქტიურ საქონელს შეეძლოს რეალური საქონელივით მოქცევა. მაგრამ პოლანი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ამ ჟონგლიორობას ფატალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ეს იმას

[1] პატარა ზომის მღრღნელი; ბინადრობს ტუნდრასა და ჩრდილოეთის ტყეებში (მთარგმ. შენ.)

ნიშნავს, რომ ეკონომიკური თეორეტიზაცია ტყუილს ეფუძნება – ტყუილს, რომელიც საზოგადოებას რისკის ქვეშ აყენებს.

პოლანის ეს არგუმენტი ორ დონეზე შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი – მორალური – ამტკიცებს, რომ უბრალოდ არასწორია ადამიანებსა და ბუნებას მოვეპყროთ ისე, როგორც ობიექტებს, რომელთა ფასი მთლიანად ბაზრის მიერ განისაზღვრება. ასეთი წარმოდგენა არღვევს იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც, საზოგადოებები საუკუნეთა მანძილზე იმართებოდნენ: ბუნებასა და ადამიანურ ცხოვრებაში თითქმის ყოველთვის შეგვეძლო ამოგვეცნო საკრალური განზომილება. ამ საკრალურის შერიგება შრომისა და ბუნების ბაზრისთვის დამორჩილების იმპერატივთან შეუძლებელია. ბუნების საქონლად წარმოჩენის კრიტიკისას, პოლანი წინასწარმეტყველებს თანამედროვე გარემოს დამცველთა ზოგიერთ არგუმენტსაც.[1]

პოლანის არგუმენტის მეორე დონე ეკონომიკაში სახელმწიფო როლის ხაზგასმას ცდილობს.[2] მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკას თვითმარეგულირებელ მექანიზმად მივიჩნევთ, სახელმწიფომ ფულისა და კრედიტის მიმოქცევის მარეგულირებლის როლი მაინც უნდა ითამაშოს, რათა ინფლაციისა და დეფლაციის ტყუპი საფრთხეები აირიდოს თავიდან. მსგავსად ამისა, სახელმწი-

---

1 გარემოს დაცვის ეკონომიკაზე პოლანის გავლენის ამოსაცნობად იხ. Hennan E. Daly and John B. Cobb, Jr., For the Common Good: Redirecting the Economy Toward Community, the Environment, and a Sustainable Future. (Boston: Beacon Press, 1999). (ავტ. შენ.)

2 პოლანის არგუმენტის იმპლიციტური მხარე ბაზრის, როგორც თვითმარეგულირებელი მექანიზმის ეჭვქვეშ დაყენების სპეციფიკურ მცდელობას წარმოაჩენს. წარმოებული საქონლის შემთხვევაში, ჭარბ საქონელზე დაკლებული ფასი აღადგენს წონასწორობას, ერთი მხრივ, გაზრდილი მოხმარების წახალისებით და, მეორე მხრივ, იმავე საქონლის ხელახალი წარმოების შეფერხებით. ფიქტიური საქონლის შემთხვევაში კი, ფასის მექანიზმის ეფექტურობა იკლებს იმიტომ, რომ მიწოდების კლება-ზრდის ავტომატური პროცესების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. (ავტ. შენ.)

ფომ უნდა განაგოს დამსაქმებლებზე მოთხოვნის ცვლილებები სამუშაო ადგილების სიმწირის პერიოდებშიც, რაც მომავალ დასაქმებულთა მომზადებითა და მიგრაციულ ტალღაზე გავლენის გზების მოძიებით გამოიხატება. მიწის შემთხვევაში, მთავრობამ საკვების წარმოების უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით, რომლებიც მოსავლის არამდგრადობისა და მერყევი ფასებისგან ფერმერების დაზღვევას ახერხებენ. ურბანულ სივრცეებში მთავრობები, როგორც გარემოს დაცვითი, ისე მიწათსარგებლობის რეგულაციების მეშვეობით, არსებული მიწების გამოყენებას უზრუნველყოფენ. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ფიქტიური საქონელის მმართველის როლი სახელმწიფოს მნიშვნელოვან ბაზართა სამეულის შიგნით ათავსებს; ამგვარად, შეუძლებელია, შევინარჩუნოთ საბაზრო ლიბერალიზმის ხედვა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ეკონომიკის „გარეთაა“.[1]

სწორედ ფიქტიური საქონლის ფენომენი გვიხსნის ეკონომიკის „ჩამოცილების“ შეუძლებლობას. რეალურ საბაზრო პრინციპებზე დაშენებულ საზოგადოებებს ბაზართა სამართავად სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ესაჭიროებათ და სახელმწიფოს ეს როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებასაც მოითხოვს; სახელმწიფოს ამ განზომილებას წმინდად ტექნიკურ ან ადმინისტრაციულ ფუნქციამდე ვერ დავიყვანთ.[2] როდესაც

---

1 სხვა საქონელთა შემთხვევაშიც ასეა – მთავრობის ჩართულობა საბაზრო კონკურენციის წინაპირობაა. იხ. სტივენ ფოგელის მახვილგონივრულად დასათაურებული ნაშრომი Freer Markets, More Rules: Regulatory Reform in Advanced Industrial Countries (Ithaca: Cornell University Press, 1996).

2 მონეტარისტები განუწყვეტლივ (უშედეგოდ) ცდილობდნენ მოეძებნათ მყარი წესები ფულის მიწოდების ზრდის მენეჯმენტისა, რომელიც ცენტრალური ბანკების უპირატესობას ბოლოს მოუღებდა. ამ ფორმულის ხელთ არქონის შემთხვევაში, მეორე ნაბიჯად ცენტრალურ ბანკთა პოლიტიკური როლის გაბუნდოვნებაა მათთვის კვაზი-რელიგიური და ორაკულური წარმოშობის ავტორიტეტის სტატუსის მინიჭებით. იხ. William Greider, Secrets of the Temple: How the

სახელმწიფო – ბაზრის თვით-რეგულირების მექანიზმებისადმი ნდობის კიდევ უფრო გაზრდით – „ჩამოცილების“ პოლიტიკას ირჩევს გზამკვლევად, ჩვეულებრივ ადამიანებს უფრო მაღალი საფასურის გადახდა უწევთ. მუშები და მათი ოჯახები უმუშევრობისადმი უფრო მოწყვლადები ხდებიან, ფერმერები იმპორტის ზრდით გამოწვეულ მაღალ კონკურენციას ეჩეხებიან და ორივე ჯგუფს ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე უწევს ასეთ პირობებთან გამკლავება. ხშირად, სახელმწიფოს იმაზე უფრო მეტი ფული ეხარჯება, რომ ამ ჯგუფებმა გაზრდილი საფასური დამანგრეველ პოლიტიკურ მოქმედებებში ჩაბმის გარეშე გადაიხადონ. ნაწილობრივ სწორედ ამას გულისხმობს პოლანი, როცა ამტკიცებს, რომ „Laissez-faire“ დაგეგმილი იყო“;[1] ეს სისტემა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასა და რეპრესიას საჭიროებს, რათა საბაზრო ლოგიკა და მისი თანმხლები რისკები ჩვეულებრივ ადამიანებს მოახვიოს თავს.[2]

Federal Reserve Runs the Country (New York: Simon and Schuster, 1997). (ავტ. შენ.)

1 (“Laissez-nous faire” – სიტყვასიტყვით: „ნება მოგვეცით, ვაკეთოთ“) ; ეკონომიკური მოძღვრება, რომელიც ბაზარზე მოთამაშე კერძო აქტორებს შორის ტრანზაქციების სამთავრობო რეგულაციებისგან გათავისუფლებას ითხოვს. ამ მოძღვრების თანახმად, სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია კერძო საკუთრების უსაფრთხოების გარანტირებაა. (მთარგმ. შენ.)

2 სწორედ ეს გახლავთ პოლანის ცენტრალური არგუმენტი ინგლისში მიღებული „სიღარიბის ახალი კანონმდებლობის“ შესახებ მსჯელობისას; შრომის ბაზრისათვის ნიადაგის მომზადებისთვის საჭირო გახდა სახელმწიფოს რეპრესიული ძალაუფლების გააქტიურება.პოლანის ამ ინტერპრეტაციაში გამოხატულ მოსაზრებას შედარებით გვიანდელი მკვლევარებიც უჭერდნენ მხარს – განსაკუთრებით კარელ უილიამსი, ნაშრომში “From Pauperism to Poverty“ (London: Routledge, 1991); K.D.M. Snell, Annals of the Labouring Poor: Social Change and Agrarian England, 1660-1900 (Cambridge: Cambridge University Press, 1995), and George Boyer, An Economic History of the English Poor Law, 1750-1950. (Cambridge: Cambridge University Press, 1990). (ავტ. შენ.)

შეუძლებლობის შედეგები

თავისუფალი ბაზრის თეორეტიკოსები ცდილობენ ეკონომიკა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს ჩამოაცილონ. ეს მცდელობები, გარკვეული დროის შემდეგ, გარდაუვალ მარცხს განიცდიან. მაგრამ საბაზრო ლიბერალიზმის, სწორედ ეს უტოპიური განზომილებაა, მისი გამაოგნებელი ინტელექტუალური ელასტიკურობის წყარო.

ვინაიდან საზოგადოებები უცვლელად იხევენ უკან, თვითრეგულირებადი ბაზრით ექსპერიმენტირების რადიკალური საზღვრებიდან, თეორეტიკოსებს ყოველთვის შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ექსპერიმენტირების დროს განცდილი ნებისმიერი მარცხი არა სისტემის, არამედ მისი იმპლემენტაციისთვის არასაკმარისი პოლიტიკური ნების ბრალია. ამგვარად, თვით-რეგულირებადი ბაზრის კრედო, ნეგატიური ისტორიული გამოცდილებისგან იმუნურია; მისი ადვოკატები ბაზრის მარცხთა გასამართლებლად ჰერმეტულ არგუმენტებს პოულობენ. სულ ახლახან, იდენტურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის საბაზრო კაპიტალიზმის თავსმოხვევის მცდელობისას, „შოკური თერაპიის“ მეშვეობით.[1] მიუხედავად იმისა, რომ ამ მცდელობის წარუმატებლობის შესახებ უკვე ყველამ ვიცით, „შოკური თერაპიის“ ადვოკატები განაგრძობენ მარცხის პოლიტიკოსებისთვის გადაბრალებას, რომელთაც, ამ მოსაზრების თანახმად, იჩქარეს, უკან, პოლიტიკური ზეწოლისკენ დაეხიათ; აი მტკიცე ხასიათი

---

[1] აღმოსავლეთ-ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტრანზიციების ექპლიციტურად პოლანისეული განხილვები იხ. Maurice Glasman, Unnecessary Suffering : Managing Markets Utopia (London: Verso, 1996, John Gray, False Dawn: the Delusions of Global Capitalism (London: Granta Books, 1999), and David Woodruff, Money Unmade: Barter and the Fate of Russian Capitalism. (Ithaca: Cornell University Press, 1999. (ავტ. შენ.)

რომ გამოემჟღავნებინათ, ბაზარზე სწრაფი გადასვლის დაპირებული სარგებელი, დღეს უკვე სახეზე გვექნებოდა.

პოლანის უკიდურესი სკეპტიციზმი ეკონომიკის „ჩამოცილების“ მიმართ მისი მეორე, „ორმაგი მოძრაობის“, მძლავრი არგუმენტის საფუძვლად იქცა. რამდენადაც ეკონომიკის საზოგადოებისგან „ჩამოცილების“ მცდელობები გარდაუვლად აწყდებიან წინააღმდეგობას, პოლანი ასკვნის, რომ საბაზრო საზოგადოებებს საფუძვლად ორი ურთიერთსაპირისპირო ნაკადი უდევთ; ერთი მხრივ, Laissez faire ნაკადი, რომელიც ბაზრის ლიმიტებს აფართოებს, ხოლო, მეორე მხრივ – პროტექციული კონტრ-ნაკადი, რომელიც ეკონომიკის „ჩამოცილებას“ ეწინააღმდეგება. როდესაც მუშათა კლასი ამ პროტექციული კონტრ-ნაკადის მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა, პოლანი ღიად ამტკიცებდა, რომ ამ პროექტში საზოგადოების ყველა ჯგუფი იყო ჩართული. მაგალითად, როდესაც პერიოდული ეკონომიკური დაღმასვლები ანადგურებდნენ საბანკო სისტემას, ბიზნეს-ჯგუფები ითხოვდნენ ცენტრალური ბანკის გაძლიერებას, რათა ქვეყნის შიგნით კრედიტის მიწოდება გლობალური ბაზრის წნეხისგან ეხსნათ. [1]ერთი სიტყვით, პერიოდულად, კაპიტალისტებიც კი ეწინააღმდეგებიან იმ გაურკვევლობასა და რყევებს, რომელთაც თვით-რეგულირებადი ბაზრები წარმოშობენ; და, პროტექციული ფორმების გამოყენებით, მონაწილეობას იღებენ სტაბილურობისა და წინასწარმეტყველებადობის აღდგენის პროცესში.

პოლანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ „Laissez-faire დაგეგმილია, ხოლო დაგეგმვა – დაუგეგმავი“. პოლანი ღიად უტევს თავისუფალი ბაზრის ბაზართა გაუმართავად აღმართვის გამო – ლიბერალ იდეოლოგებს, რომლებიც ფუნქციონირებას – პროტექციული გლობალურ ბარიერების „კოლექტივისტურ შეთქმულებას“

---

[1] „შედეგად, თანამედროვე ცენტრალური ბანკი, არსებითად, წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მიზანიც დაცვის იმ მექანიზმებს გამოიმუშავებს, რომელთა გარეშეც ბაზარი თავისივე შვილებს – ყველა სახის ბიზნეს-საწარმოს – მოახრჩობდა.“ (192) (ავტ. შენ.)

აბრალებენ. ამის საპირისპიროდ, ის აჩვენებს, რომ ბარიერების აღმართვა რეალურად საზოგადოების ყოველი ჯგუფის სპონტანური და დაუგეგმავი რეაქციაა, თვით-რეგულირებადი საბაზრო სისტემის შეუზღუდავ წნეხზე. პროტექციული კონტრ-ნაკადი უნდა დაძრულიყო, რათა „ჩამოცილებული“ ეკონომიკის კატასტროფული შედეგებისგან გადავერჩინეთ.

პოლანი გვთავაზობს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც Laissez-faire ეკონომიკისკენ მოძრავი ნაკადი სტაბილურობის შესანარჩუნებლად კონტრ-ნაკადსაც მოითხოვს. როდესაც Laissez-faire ნაკადი ზედმეტად მძლავრია, მაგალითისთვის, ისეთივე მძლავრი, როგორიც იგი 1920-იანი (ან, თუნდაც, 1990- იანი) წლების ამერიკის შეერთებულ შტატებში გახლდათ, სპეკულაციურმა ექსცესებმა და მზარდმა უთანასწორობამ, კეთილდღეობის კონტინუუმს ფუნდამენტი გამოაცალა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოლანის სიმპათიები ზოგადად ზემოთ ხსენებული პროტექციული კონტრ-ნაკადისკენ იხრება, იგი ამჩნევს, რომ ამ უკანასკნელს, ხანდახან, საშიში პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩიხების წარმოქმნაც შეუძლია. ევროპაში ფაშიზმის აღზევების პოლანისეული ანალიზი აცნობიერებს, რომ როდესაც ორი ნაკადიდან. არც ერთს არ შეუძლია კრიზისიდან გამოსავლის შემოთავაზება, დაძაბულობა იქამდე იზრდება, სანამ ფაშიზმი ძალებს მოიკრებს და, Laissez-faire-ის კვალად, დემოკრატიასაც ეტყვის უარს. [1]

„ორმაგი მოძრაობის“ პოლანისეული თეზისი, ერთი მხრივ, საბაზრო ლიბერალიზმთან, მეორე მხრივ კი – დოგმატურ მარქსიზმთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის შესაძლებლობათა იმ სპექტრში, რომელიც რომელიმე კონკრეტულ, მოცემულ მომენტშია დასახული. ორივენი – საბაზრო ლიბერალიზმიცა და მარქსიზმიც – ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას მხოლოდ ორი რეალური არჩევანი აქვს: კაპიტალიზმი ან სოციალიზმი. მიუხედავად იმი-

[1] პოლანი ფაშიზმს აანალიზებს ნაშრომში “The Essence of Fascism” pp. 359-394 in J. Lewis, K. Polanyi, and D.K. Kitchin, eds, Christianity and the Social Revolution. (London: Gollancz, 1935). (ავტ. შენ.)

სა, რომ სხვადასხვა რამეს ანიჭებენ უპირატესობას, ნებისმიერი სხვა ალტერნატივის გამორიცხვაზე, ორივე მათგანი თანხმდება. ამის საპირისპიროდ, პოლანი აჩვენებს, რომ თავისუფალი ბაზარი არ არის რეალური არჩევანი, არამედ უტოპიური ხედვაა. გარდა ამისა, იგი სოციალიზმს განსაზღვრავს, როგორც „ინდუსტრიული ცივილიზაციის შინაგანი ტენდენცია, გადალახოს თვით-რეგულირებადი საბაზრო სისტემა, მისი დემოკრატიულ საზოგადოებაზე ცნობიერი დამორჩილების გზით.“ (234) ეს განსაზღვრება ბაზრის როლს სოციალისტურ საზოგადოებებშიც ხედავს. პოლანი გვთავაზობს, რომ ყველა ისტორიული მომენტი შესაძლებლობათა ფართო ჰორიზონტს გვიშლის, რამდენადაც ბაზრის „მიმაგრება“ განსხვავებული გზებით შეიძლება განხორციელდეს. ცხადია, ზოგიერთი ფორმა სხვებზე ეფექტური აღმოჩნდება თავისი პროდუქტიულობითა და ინოვაციურობით, ზოგი კი უფრო „სოციალისტური“ – დემოკრატიული კურსის დომინირებით ბაზარზე. თუმცა, პოლანი იმასაც გულისხმობს, რომ როგორც XIX, ისე XX საუკუნეებში არსებობდა ალტერნატივები, რომელთაც არც პროდუქტიულობა აკლდა და არც დემოკრატიულობა.[1]

---

[1] პოლანიმ უშუალო გავლენა იქონია სკოლაზე, რომელიც 1980-90-იანებში აღმოცენდა და „კაპიტალიზმის ნაირსახეობები“ გააანალიზა – აჩვენა რა მნიშვნელოვანი განსხვავებები იმ ფორმებს შორის, რომელთა მეშვეობითაც ბაზრები, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში „ემაგრებიან“ სახელმწიფოს. იხ. Rogers Hollingsworth and Robert Boyer, eds., Contemporary Capitalism: the Embeddedness of Institutions (Cambridge: Cambridge University Press, 1997, and Cohn Crouch and Wolfgang Streeck, Political Economy of Modern Capitalism: Mapping Convergence and Diversity (Thousand Oaks, Ca.: Sage,1997). (ავტ. შენ.)

გლობალური რეჟიმის ცენტრალურობა

მაგრამ პოლანი ზედმეტად გამოცდილი მოაზროვნე გამოდგა, რათა წარმოედგინა, რომ ცალკეული ქვეყნები თავისუფლად ირჩევენ გზას, რომელიც ზემოთ ხსენებული „ორმაგი მოძრაობის“ თითოეულ ნაკადს ერთმანეთთან შეარიგებდა.

პირიქით, პოლანის არგუმენტი სწორედ იმიტომაა თანამედროვეობისთვის მნიშვნელოვანი, რომ იგი გლობალური ეკონომიკის მართვის წესებს საკუთარი თეორიული ჩარჩოს ცენტრში ათავსებს. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ფაშიზმის აღზევების მისეული არგუმენტი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ოქროს სტანდარტზე, რამაც კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკური აქტორებისთვის მიცემული, პოლიტიკური არჩევანის სპექტრის დავიწროება გამოიწვია.

პოლანის არგუმენტის ამ ნაწილის გასაგებად ოქროს სტანდარტის ლოგიკაში მოკლე ექსკურსიის ჩატარება მოგვიწევს. თუმცა ამ ექსკურსიას ნაკლებად შეგვიძლია გადახვევა ვუწოდოთ, რამდენადაც თავისუფალი, ავტონომიური, ტრანს-ნაციონალური კაპიტალის მიმოქცევის ლოგიკა საბაზრო ლიბერალიზმის თანამედროვე ადვოკატებზეც ინარჩუნებს ძლიერ გავლენას. პოლანიმ შეამჩნია ოქროს სტანდარტის განმაცვიფრებელი ინტელექტუალური მიღწევები;[1] სწორედ ოქროს სტანდარტი გამოდგა ის ინსტიტუციური ინოვაცია, რომელმაც თვით- მარეგულირებელი ბაზრის თეორიას პრაქტიკული განზომილება მიანიჭა და, ამას გარდა, შეძლო, ამ ბაზრის ნატურალურ ფენომენად წარმოჩენა.

საბაზრო ლიბერალიზმის წარმომადგენლებს სურდათ მაქსიმალური შესაძლებლობების მქონე სამყარო შეექმნათ, რათა ბაზართა ინტერნაციონალური მასშტაბები გაეფართოვებინათ. ამისთვის, სხვადასხვა ვალუტის მქონე სხვადასხვა ქვეყნის

[1] The idea was first elaborated by Isaac Gervaise and David Hume in the 19th Century. Frank Fetter, Development of British Monetary Orthodoxy 1797-1975. (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1965), p. 4. (ავტ. შენ.)

სხვადასხვა მოქალაქის მოძიება იყო საჭირო – მოქალაქეებისა, რომლებიც ერთმანეთთან ტრანზაქციებში თავისუფლად ჩაებმებოდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ გლობალური ეკონომიკა თვით-რეგულაციის სრულყოფილი მექანიზმს გამოიმუშავებდა, თუ ყველა ქვეყანა შემდეგ სამ მარტივ წესს დაიცავდა: პირველი – ყველა ქვეყანა თავისი ვალუტის ღირებულებას ოქროს ფიქსირებულ რაოდენობასთან მიმართებით დააწესებდა და ოქროს სწორედ ამ ფასად შეიძენდა; მეორე – ყოველი ქვეყანა ფულის შიდა მიმოქცევას ოქროს იმ რაოდენობას შეუსაბამებდა, რაც მის რეზერვებში იყო შემონახული; ამგვარად, მისი ვალუტის მიმოქცევა ოქროთი იქნებოდა გამყარებული; და მესამე – ყოველი ქვეყანა მაქსიმალურად წაახალისებდა საერთაშორისო ეკონომიკურ ტრანზაქციებში თავიანთი მოქალაქეების ჩართულობას.

ამრიგად, ოქროს სტანდარტმა გლობალური თვით-რეგულაციის ფანტასტიკური მექანიზმი აამუშავა. ინგლისში ფირმებს შესაძლებლობა მიეცათ, ნაწარმი საზღვარგარეთ გაეტანათ და, დარწმუნებულებს, რომ გამომუშავებული ვალუტის აბსოლუტური უმრავლესობა „ოქროსავით მყარი“ აღმოჩნდებოდა, მშვიდად ჩაედოთ ინვესტიციები მსოფლიოს ყველა რეგიონში. თეორიულად, თუკი მოქალაქეთა საზღვარგარეთ დახარჯული ფული მათ მიერ გამომუშავებულ თანხებს აღემატება, ქვეყანა დეფიციტში აღმოჩნდება და სამთავრობო რეზერვებიდან წამოსული ოქრო უცხოელებს უხდის გასამრჯელოს.[1] ქვეყნის შიგნით ფულისა და

[1] მექანიზმი, რომლითაც სამთავრობო რეზერვები ოქროსგან იცლებიან, არანაკლებ გამჭრიახია და სახელმწიფოს ჩარევას არც ის მოითხოვს. რამდენადაც დეფიციტში ჩავარდნილი ქვეყნის მოქალაქეებს საზღვრებს გარეთ უფრო მეტი გააქვთ, ვიდრე შიგნით შემოაქვთ, ეროვნული ვალუტის ღირებულება – რომლის მიწოდების კომპონენტი გაზრდილია – სხვებთან შედარებით დაბლა იწევს. როგორც კი ეს ღირებულება იმ ნიშნულზე დაბლა აღმოჩნდება, რასაც „ოქროს ნიშნულს“ ვუწოდებთ, საერთაშორისო ბანკები მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდებიან – იმდენად, რამდენადაც მათ საშუალება ეძლევათ თავიანთი ვალუტები ოქროზე გაცვალონ და ეს უკანასკნელი საზ-

კრედიტის მიწოდება ავტომატურად იკლებს, ინტერესის წილი იმატებს, ფასები, ხელფასები და მოთხოვნა იმპორტზე იკლებს, ხოლო საექსპორტო სექტორი უფრო კონკურენტუნარიანი ხდება. მაშასადამე, დეფიციტი თვით-ლიკვიდაციის ტოლფასია. მაშასადამე, სახელმწიფოს მძიმე ხელის ჩარევის გარეშე, ბალანსს ნებისმიერი ქვეყნის საერთაშორისო ანგარიში მიაღწევდა. სამყარო ერთ ბაზარში გაერთიანდებოდა ყოველგვარი მთავრობებისა და ფინანსური ავტორიტეტების დაუხმარებლად; სუვერენულობა განაწილდებოდა უამრავ ერ-სახელმწიფოზე, რომელთა ეროვნული ინტერესებიც, ოქროს სტანდარტის ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემოღებას წაახალისებდა.

ოქროს სტანდარტის შედეგები

ოქროს სტანდარტს ინტეგრირებული გლობალური საბაზრო სივრცე უნდა შეექმნა – სივრცე, რომელიც ეროვნული მთავრობებისა და ნაციონალური ერთეულების როლს შეამცირებდა, მაგრამ მისი დაწესების შედეგები საპირისპიროს ამტკიცებენ.[1] პოლანი აჩვენებს, რომ 1870-იან წლებში სტანდარტის საყოველთაოდ გატარების მცდელობას ირონიული შედეგი, ერის, როგორც უნიფიცირებული წარმონაქმნის მნიშვნელობის გაზრდა მოჰყვა. მაშინ, როცა საბაზრო ლიბერალიზმის მხარდამჭერები ოცნებობდნენ სამყაროზე, სადაც საერთაშორისო ბრძოლები მხოლოდ ინდივიდებისა და კომპანიების კონკურენტუნარიან რეჟიმ-

---

ღვარგარეთ მიმართონ – იქ, სადაც იგი უფრო მეტ ფასს შეიძენს. ამ გზით ოქრო დეფიციტური ქვეყნებიდან ჭარბი დოვლათის მქონე ქვეყნებში ინაცვლებს (ავტ. შენ.)

[1] როგორც პოლანიმ განჭვრიტა, ოქროს სტანდარტის პრაქტიკაში გატარება მისი თეორიული პროგნოზებისგან მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა. იხ. Barry Eichengreen, Globalizing Capital: A History of the International Monetary System. (Princeton: Princeton University Press, 1996) (ავტ. შენ.)

ში წარიმართებოდა, ოცნებების ასრულების მექანიზმად ოქროს სტანდარტის ამუშავებით, ორი შემაძრწუნებელი მსოფლიო ომი მივიღეთ.

საქმე ის გახლდათ, რომ ოქროს სტანდარტის მარტივმა წესებმა ხალხს ისეთი ეკონომიკური საფასური დაუწესა, რომელიც ამ უკანასკნელისთვის პირდაპირი მნიშვნელობით აუტანელი აღმოჩნდა. როდესაც ქვეყნის შიდა ფასების სტრუქტურა საერთაშორისო ფასის სტანდარტს ჩამორჩა, ოქროს რეზერვების ეროზიასთან შეგუების ერთადერთ ლეგიტიმურ საშუალებად დეფლაცია დაისახა. ეს კი ქვეყნის ეკონომიკის შეკვეცას ნიშნავდა იმ ნიშნულამდე, საიდანაც დაკლებული ხელფასები გარეგანი ბალანსის აღსადგენად მოხმარებასაც შეამცირებდა; ამან მოიტანა ხელფასების ოდენობის, ისევე როგორც სამეურნეო შემოსავლის დრამატული კლება, უმუშევრობის ზრდა და ბიზნესებისა და ბანკების მარცხთა მკვეთრი ტენდენცია.

თუმცა, მხოლოდ მუშები და ფერმერები არ ყოფილან ის ჯგუფები, რომელთაც ადაპტირებისთვის გაღებული საფასური მაღალი მოეჩვენათ. თავად ბიზნეს-წრეები ვეღარ იტანდნენ შედეგად მიღებულ არაპროგნოზირებად და არასტაბილურ მდგომარეობას. ამრიგად, თითქმის მაშინვე, როგორც კი ოქროს სტანდარტი დაინერგა, სრულიად საზოგადოებებმა შეკრეს პირი მისი შედეგების კომპენსირების მოთხოვნის გარშემო. ქვეყნებმა პირველად სასოფლო სამეურნეო და ინდუსტრიული ნაწარმისთვის განკუთვნილი, დამცავი ტარიფების შემოღება სცადეს.[1] ფასებთან მიმართებით სავაჭრო მიმოქცევის სენსიტიურობის შემცირების მეშვეობით, ქვეყნებს საერთაშორისო ტრანზაქციებში გარკვეული სახის პროგნოზირების შესაძლებლობა მიეცათ

---

[1] Peter Gourevitch, Politics in Hard Times: Comparative Responses to International Economic Crises (Ithaca: Cornell University Press, 1996), ch 3; Christopher Chase-Dunn, Yilicio Kawano, and Benjamin Brewer, "Trade Globalization Since 1795: Waves of Integration in the World- System" (American Sociological Review. 65:1 (February 2000): 77-95 (ავტ. შენ.)

და ოქროს გადინების უეცარი და მოულოდნელი პროცესების მიმართ ნაკლებად მოწყვლადები გახდნენ.

შემდეგი ხრიკი ძირითადი ევროპული ძალების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მისწრაფება გახლდათ, დაეფუძნებინათ ფორმალური კოლონიები მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედის ინტერვალში. თავისუფალი ვაჭრობის ლოგიკა მძლავრად ანტი-კოლონიურია, რამდენადაც იმპერიის მიერ გაწეული ხარჯებს შესაბამისი მოგება ვერ აკომპენსირებს თუ ერთსა და იმავე ბაზარზე ინვესტირების შესაძლებლობა ყველა საბაზრო მოთამაშეს თანაბრად მიეცა. მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობაში პროტექციონიზმის აღზევებასთან ერთად, ეს გათვლაც თავდაყირა დადგა. ახალდაპყრობილი კოლონიები იმპერიული ძალების ტარიფებით იქნებოდა დაცული, ხოლო კოლონიზატორი ვაჭრები კოლონიათა ნედლეულსა და საბაზრო სივრცეზე პრივილეგიებს მოიპოვებდნენ. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელმა „მისწრაფებამ იმპერიულობისკენ“ ინგლისსა და გერმანიას შორის პოლიტიკური, მილიტარისტული და ეკონომიკური პაექრობა გაამძაფრა, რამაც კულმინაცია პირველ მსოფლიო ომში ჰპოვა.[1]

პოლანისთვის იმპერიალისტური იმპულსი ერთა გენეტიკურ კოდში სულაც არაა ჩაწერილი; პირიქით, იგი მატერიალიზდება როგორც ერის თავდაცვითი ბრძოლა ოქროს სტანდარტის ულმობელი წნეხის წინააღმდეგ. სარფიანი კოლონიიდან რესურსების გამოდევნას, ოქროს მარაგის ამოწურვის უეცარი პროცესით გამოწვეული კრიზისული რყევების შეხიდება შეუძლია; სწორედ

---

[1] პოლანის არგუმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ლენინის თეზისისგან იმის შესახებ, რომ ინტერ-იმპერიალისტურ კონფლიქტთა გამძაფრება კაპიტალისტური განვითარების ფინალურ სტადიაში ფინანსური კაპიტალის ზდის პროდუქტია. (ავტორს მხედველობაში აქვს თეზისი, რომელსაც ლენინი თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი: კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ ავითარებს. (მთარგმ. შენ.)) პოლანი იმის მტკიცების ტვირთსაც იღებს საკუთარ თავზე, რომ ფინანსური კაპიტალიზმი ომის მთავარ შემაკავებელ ძალადაც კი შეიძლება მოგვევლინოს. (მთარგ. შენ.)

ისე, როგორც ოკეანის მიღმა მოსახლეობების ექპლუატაციას ძალუძს ქვეყნის შიდა კლასობრივი ანტაგონიზმის აფეთქება შეაკავოს.

პოლანი ამტკიცებს, რომ საბაზრო ლიბერალიზმის მხარდამჭერები სწორედ მათივე უტოპიური შეხედულებების შედეგად მივიდნენ ოქროს სტანდარტის დაწესებამდე, რომელიც, მათი რწმენით, უსაზღვრო სამყაროს მზარდი კეთილდღეობის გარანტად უნდა ქცეულიყო. ამის საპირისპიროდ, ულმობელმა შოკმა, რომელიც ოქროს სტანდარტმა გამოიწვია, სახელმწიფოებს გაფართოებული ნაციონალური და შემდეგ – იმპერიული საზღვრების გარშემო კონსოლიდირებისკენ უბიძგა. ოქროს სტანდარტი სახელმწიფოებზე დისციპლინურ წნეხს აძლიერებდა, მაგრამ მისი ფუნქციონირება ეფექტურად იყო შენიღბული პროტექციონიზმის სხვადასხვა ფორმათა აღზევებით – დაწყებული ტარიფთან დაკავშირებული ბარიერებით, დამთავრებული იმპერიებით. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა მსოფლიო ომმა მთელი ეს წინააღმდეგობრივი სისტემა დაასამარა, ოქროს სტანდარტი იმდენად იყო აღიარებული, რომ სახელმწიფო მოხელეებმა მისი აღდგენის მოთხოვნის გარშემო იწყეს მობილიზება. მთელი ეს დრამა კიდევ ერთხელ გათამაშდა ტრაგიკულად 1920-იან და 1930-იან წლებში, რადგან ერებს სავაჭრო ტარიფებსა და მოქალაქეთა დაცვას შორის მოუწიათ არჩევანის გაკეთება. ფაშიზმი სწორედ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან ამოიზარდა. პოლანის მიხედვით, საზოგადოების ბაზრის წნეხისგან დასაცავად, ადამიანის თავისუფლების გაწირვის ფაშისტური იმპულსი, უნივერსალური იყო, თუმცაღა ძალაუფლების მოპოვების მცდელობათა წარმატება, ლოკალურმა შემთხვევითობებმა განაპირობეს.

თანამედროვე მნიშვნელობა

პოლანის არგუმენტები ძალზე მნიშვნელოვანია გლობალიზაციის გარშემო წარმოქმნილი თანამედროვე დებატებისთვის, რადგან ნეოლიბერალები იმავე უტოპიურ ხედვას უჭერენ მხარს, რომელმაც ოქროს სტანდარტის შემოღებაზე იქონია გავლენა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, გამუდმებით გვიმეორებენ, რომ გლობალური ეკონომიკის ინტეგრაცია ეროვნულ საზღვრებს მოძველებულს ხდის და გლობალური მშვიდობის ახალი ეპოქის ფუნდამენტს ყრის. როგორც კი ერები გლობალური საბაზრო სივრცის ლოგიკას მოიხელთებენ და თავიანთ ეკონომიკებს პროდუქტებისა და კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევაში ჩააბამენ, საერთაშორისო კონფლიქტებს კიდევ უფრო საოცარი პროდუქტებისა და სერვისების წარმოებით შთაგონებული, კეთილი ზრახვების მქონე კონკურენცია ჩაანაცვლებს. თავიანთი წინამორბედების მსგავსად, ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ ერებს ისღა დარჩენიათ, თვითრეგულირებადი ბაზრის ეფექტურობას ბრმად ენდონ.

ცხადია, დღევანდელი გლობალური საფინანსო სისტემა აშკარად განსხვავდება ოქროს სტანდარტისგან. მიმოცვლის კოეფიციენტები და ეროვნული ვალუტები ოქროსთან ფიქსირებულ ურთიერთობაში აღარაა; ვალუტათა უმრავლესობას უცხოურ სავაჭრო ბაზრებზე მიმოქცევის საშუალება ეძლევა. ამას გარდა, არსებობენ ძლიერი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები – ისეთები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი, რომლებიც გლობალური სისტემის მართვაში ცენტრალურ როლს თამაშობენ. მაგრამ ამ მნიშვნელოვანი განსხვავებების უკან ფუნდამენტური მსგავსება მოსჩანს – მხედველობაში მაქვს რწმენა იმისა, რომ თუკი ინდივიდებსა და საწარმოებს თავიანთი ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად მაქსიმალურ თავისუფლებას მივანიჭებთ, მაშინ გლობალური ბაზარიც ყველას სასარგებლოდ ამუშავდება.

სწორედ ეს ფუნდამენტური რწმენა უდევს საფუძვლად ნეოლიბერალების სისტემატურ მცდელობებს, მოშალონ ბარიერები

ვაჭრობასა და კაპიტალის მიმოქცევაზე და, ამასთან, ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზებაში სამთავრობო „ჩარევები“ მინიმუმამდე დაიყვანონ. გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერი წერს:

„როდესაც შენი ქვეყანა სცნობს... წესებს, რომლითაც თავისუფალი ბაზარი დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში თამაშობს, სცნობს და გადაწყვეტს, რომ მისი ერთგული დარჩეს, იგი უეცრად აღმოჩნდება იმაში, რასაც მე „ოქროს ჯაჭვის პერანგს“ ვუწოდებ. ეს ოქროს ჯაჭვის პერანგი გლობალიზაციის ეპოქის განმსაზღვრელი პოლიტიკურ-ეკონომიკური სამოსია. ცივ ომს მაოს კოსტუმი, ნეჰრუს ჟაკეტი და რუსული ბეწვეული ემოსა. გლობალიზაციის გარდერობში მხოლოდ ოქროს ჯაჭვის პერანგია. თუ შენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ მოუზომავს ეს პერანგი, არა უშავს, მალე მოუწევს.“[1]

ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ ხსენებული ჯაჭვის პერანგი სახელმწიფოს ჩაძირვას, ვაჭრობასა და კაპიტალის მიმოქცევაზე შეზღუდვების მოხსნას და კაპიტალური ბაზრების დერეგულირებას მოითხოვს. გარდა ამისა, იგი ენთუზიაზმით აღწერს თუ როგორ აძლიერებენ ამ სამოსის შემბოჭველ ძალებს საერთაშორისო მოვაჭრეთა „ელექტრონული ჯოგები“ საზღვარგარეთ ვაჭრობასა და ფინანსურ ბაზრებზე.

სამი ფიქტიური საქონლის პოლანისეული ანალიზი გვასწავლის, რომ გლობალურ დონეზე ბაზრის ავტომატური რეგულირების ეს ნეოლიბერალური ხედვა სხვა არაფერია, თუ არა სახიფათო ფანტაზიის ნაყოფი. როგორც ეროვნული ეკონომიკები მოითხოვენ მთავრობის აქტიურ როლს, გლობალურ ეკონომიკასაც ისევე სჭირდება ძლიერი მარეგულირებელი ინსტიტუციები, უკიდურეს შემთხვევებში, ფულის გამსესხებლის ჩათვლით. ასეთი ინსტიტუციების გარეშე, პარტიკულარული ეკონომიკები – და,

---

1 Thomas Friedman, The Lexus and the Olive Tree. (New York: Farrar Straus, 1999), p. 96.

სავარაუდოდ, მთლიანად გლობალური ეკონომიკაც – დამანგრეველი კრიზისებისთვის არიან განწირულნი.

მაგრამ უფრო ფუნდამენტურია იმის გააზრება, რომ საბაზრო ლიბერალიზმი ჩვეულებრივი ადამიანებისგან მოითხოვს იმას, რის მიწოდებაც შეუძლებელია. მუშები, ფერმერები და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლები ერთი წუთითაც კი ვერ აიტანენ ეკონომიკური ორგანიზაციის იმ მექანიზმს, რომელშიც თავად, თავიანთ ყოველდღიურობაში, პერიოდულ, დრამატულ რყევებზე არიან დამოკიდებული. მოკლედ რომ შევაჯამოთ, უსაზღვრო და მშვიდობიანი სამყაროს ნეოლიბერალური უტოპია მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანის მოქნილობას და ტოლერანტობას მოითხოვს – იმას, რომ უბრალო ადამიანებმა აიტანონ ის უვადო წყევლა, რომელსაც განახევრებული შემოსავლებით – შესაძლოა ყოველ 5-10 წელიწადში – უნდა დაუსხლტნენ. პოლანის სწამს, რომ ასეთი მოქნილობის მოლოდინი ღრმად არარეალისტური და მორალურად გაუმართლებელია. მისთვის ხალხთა მობილიზება ეკონომიკური შოკისგან თავდასაცავად გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ამას გარდა, აღზევების გზაზე მდგარი ნეოლიბერალიზმის უახლესი პერიოდი, უკვე თავად გახდა მომსწრე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაშლილი, ფართო საპროტესტო გამოსვლებისა, სადაც ადამიანები გლობალიზაციის ეკონომიკურ უსიამოვნებებს ებრძვიან. როგორც კი ამგვარი უკმაყოფილებები იზრდება, სოციალური წესრიგი კიდევ უფრო პრობლემატური ხდება.[1] ამასთან, იზრდება საფრთხე იმისა, რომ პოლიტიკური ლიდერები სახალხო უკმაყოფილებას შიდა თუ გარეშე მტრების განტევების ვაცად წარმოჩენისთვის გამოიყენებენ. ამგვარად, ნეოლიბერალთა უტოპიური ხედვა არა მშვიდობას, არამედ გამძაფრებულ კონფლიქტს მოასწავებს.

---

[1] John Walton and David Seddon, Free Markets & Food Riots: The Politics of Global Adjustment. (Cambridge, Mass.: Blackwell, 1994).

მაგალითისთვის, აფრიკის ბევრ რეგიონში სტრუქტურული რეგულაციის პოლიტიკათა გამანადგურებელი შედეგები საზოგადოების დაშლა-დანაწილების წინაპირობად იქცა და შიმშილი და სამოქალაქო ომი გამოიწვია. სხვაგან, ცივი ომის შემდგომი პერიოდი, მებრძოლი ნაციონალისტური რეჟიმების აღზევების მომსწრე გახდა – რეჟიმებისა, რომელთაც გარე მეზობლებისა და შიდა ეთნიკური უმცირესობების მიმართ ღიად აგრესიული განზრახვები ამოძრავებთ.[1] უფრო მეტიც, დედამიწის ყველა კუთხეში მილიტანტური მოძრაობები, რომლებიც ხშირად ერწყმიან რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, სრული სერიოზულობით ემზადებიან გლობალიზაციით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური შოკის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებისთვის. თუ პოლანის მსჯელობა სწორია, ამბოხის ეს ნიშნები მომავალში კიდევ უფრო სახიფათო მდგომარეობას მოასწავებენ.

დემოკრატიული ალტერნატივები

მიუხედავად იმისა, რომ „დიდი ტრანსფორმაცია“ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას დაიწერა, მომავალზე საუბრისას პოლანი ოპტიმიზმს ინარჩუნებდა; იგი თვლიდა, რომ საერთაშორისო კონფლიქტთა ციკლის დასრულება შესაძლებელი იყო. საკვანძო მნიშვნელობის ნაბიჯად პოლანის იმ რწმენის გადალახვა ესახებოდა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი ცხოვრება საბაზრო მექანიზმს უნდა დავუმორჩილოთ.

---

[1] იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომლის მიხედვითაც გლობალური უწესრიგობის ზოგიერთი მაგალითი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმისკენ მიუთითებს, იხ. Michel Cossudovsky, The Globalisation of Poverty: Impacts of IMF and World Bank Reforms. (Penarig, Malaysia: Third World Network, 1997).

ამ „მოძველებული საბაზრო მენტალიტეტისგან“[1] გათავისუფლების შემდეგ, გაიხსნებოდა გზა როგორც ნაციონალური ეკონომიკების, ისე გლობალური საბაზრო სისტემის დემოკრატიულ პოლიტიკაზე დაქვემდებარებისკენ. ასეთი მომავლის შესაძლებლობად პოლანის რუზველტის „ახალ შეთანხმება“ ესახებოდა. რუზველტის რეფორმები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ბაზრისა და საბაზრო აქტივობების გარშემო ორგანიზების გაგრძელებას გულისხმობდა, თუმცა იგი აგრეთვე მოიცავდა მარეგულირებელი მექანიზმების ახალ წყებას, რომლითაც ერთდროულად ადამიანებისა და ბუნების საბაზრო წნეხისგან თავდაცვა გახდებოდა შესაძლებელი.[2]

დემოკრატიული პოლიტიკის მეშვეობით, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ხანდაზმულები დაცული უნდა იყვნენ სოციალური უსაფრთხოების გავლით შემოსავლის მიღების საჭიროებისგან. მსგავსად ამისა, დემოკრატიული პოლიტიკის გატარებით მუშების უფლებების საკითხი ეფექტური პროფკავშირების ფარგლებს სცდება და შრომითი ურთიერთობის ეროვნულ აქტში (National Labor Relations Act) ეწერება. პოლანი ამ ინიციატივებს იმ პროცესის საწყის ეტაპად თვლის, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებამ ინდივიდები და ბუნებრივი გარემო გარკვეული ტიპის ეკონომიკური საფრთხეებისგან დემოკრატიული საშუალებების გამოყენებით უნდა დაიცვას.

---

[1] 1947 წელს სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა პოლანის გავლენიანი ესე, რომელიც ჯორჯ დალტონის რედაქციით ხელახლა გამოიცა ნაშრომში „Primitive, Archaic, and Modern Economies“ (ავტ. შენ.)

[2] რეალურად „ახალმა შეთანხმებამ“ მხოლოდ მცირედი წვლილი შეიტანა გარემოს დაცვის საქმეში. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც გარემოს დამცველებმა პოლიტიკური რეფორმების ინიცირებისთვის საჭირო ძალა მოიკრიბეს, ისეთი აგენტები, როგორიც „გარემოს დაცვის სააგენტოა (Environmental Protection Agency), „ახალი შეთანხმების“ მიერ შემუშავებული რეგულირების მოდელის კვალს მიჰყვნენ. (ავტ. შენ.)

გლობალურ მასშტაბზე პოლანი საერთაშორისო ვაჭრობისა და თანამშრომლობის მაღალი სტანდარტის მქონე ინტერნაციონალურ ეკონომიკურ წესრიგს წინასწარმეტყველებდა. იგი არა მხოლოდ პროგრამათა წყებას, არამედ ზუსტ პრინციპებსაც აყალიბებს:

„თუმცა, ოქროს სტანდარტის ავტომატური მექანიზმის გაუჩინარებასთან ერთად, მთავრობები აბსოლუტური სუვერენულობის დამაბრკოლებელ ელემენტებს, მათ შორის საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმასაც ეტყვიან უარს. ამავე დროს, შესაძლებელი გახდება იმის ნებაყოფლობით შეგუება, რომ სხვა ერები თავიანთ შიდა ინსტიტუციებს თავიანთი მიდრეკილებების მიხედვით მოაწყობენ. ამრიგად, გადალახავენ XIX საუკუნისათვის დამახასიათებელ მავნებლურ დოგმას საშინაო რეჟიმებისა და გლობალური ეკონომიკის ორბიტის აუცილებელი შეხმატკბილებულობის შესახებ.“

სხვა სიტყვებით, მთავრობათაშორისი თანამშრომლობა წარმოქმნიდა შეთანხმებათა წყებას, რათა ხელი შეეწყო საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ფენებისთვის, მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოებებს გლობალური ეკონომიკის წნეხისაგან დისტანცირების ფორმათა მრავალფეროვანი არსენალი ჩაუვარდებოდათ ხელში. გარდა ამისა, უალტერნატივო ეკონომიკური მოდელის თავსმოხვევის წარუმატებელი მცდელობა განვითარებად ქვეყნებს თავიანთი მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად გაფართოებულ შესაძლებლობებს მისცემდა. ეს ხედვა აგრეთვე ითვალისწინებდა გლობალური მარეგულირებელი სტრუქტურების წყებასაც, რომელიც საბაზრო მოთამაშეებისთვის გარკვეული ლიმიტების დაწესებას მოიაზრებდა. [1]

პოლანის ხედვა მთავრობის საშინაო და საგარეო როლის ზრდის იდეას ემყარება. ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დღეს-

---

[1] ამ ვერსიის კონკრეტიზების უახლესი მცდელობის გასაცნობად იხ. John Eatwell and Lance Taylor, Global Finance at Risk: The Case for International Regulation. (New York: New Press, 2000.) (ავტ. შენ.)

დღეობით მოდურ შეხედულებებს იმის შესახებ, რომ მეტი სამთავრობო ჩარევა ცუდ ეკონომიკურ შედეგებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაწესებულ გადამეტებულ კონტროლს მოასწავებს. პოლანისთვის არსებითი სამთავრობო როლი განუყოფელია ფიქტიური საქონლის მართვისაგან. ამ აზრით, არ შეგვიძლია სერიოზულად მივიღოთ საბაზრო ლიბერალიზმის აქსიომა, რომლის მიხედვითაც მთავრობა განსაზღვრებისამებრ არაეფექტურია. მაგრამ იგი აგრეთვე ღიად უარყოფს შეხედულებას იმაზე, რომ მთავრობის ექსპანსია აუცილებლობით იღებს რეპრესიულ ფორმას. საპირისპიროდ ამისა, პოლანი ამტკიცებს, რომ:

„საბაზრო ეკონომიკის გადალახვა უპრეცენდენტო თავისუფლების ეპოქის დასაწყისი შეიძლება აღმოჩნდეს. იურიდიული და ფაქტობრივი თავისუფლება შეიძლება აქამდე არნახული მასშტაბებით გაიზარდოს; რეგულაციასა და კონტროლს თავისუფლების მოტანა არა მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფისთვის, არამედ ყველასთვის შეუძლია.

მაგრამ თავისუფლების ის კონცეფცია, რომელსაც პოლანი უსვამს ხაზს, ეკონომიკური და სოციალური უსამართლობის აღმოფხვრაზე შორს მიდის; ამახვილებს რა ყურადღებას შემდეგზე, ის სამოქალაქო თავისუფლებათა ექსპანსიისკენაც მოგვიწოდებს:

„ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში არაკონფორმულობის უფლება ინსტიტუციურად უნდა იყოს გარანტირებული. ინდივიდს უნდა შეეძლოს, თავისუფლად მიჰყვეს სინდისის ხმას და არ ეშინოდეს ძალებისა, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი სფეროს ადმინისტრირების სამუშაო მიანდეს.“ (255)

საკუთარ ნაშრომს კი პოლანი ამ მახვილგონივრული სიტყვებით ასრულებს:

„მანამ, სანამ [ადამიანი] უერთგულებს საყოველთაო თავისუფლების იდეას, მას არ უნდა ეშინოდეს, რომ ძალაუფლება ან დაგეგმვა მის წინააღმდეგ შემობრუნდება და იმ თავისუფლებასაც წაართმევს, რისკენაც იგი მათი (ძალაუფლების ან დაგეგმვის; მთარგმ. შენ.) ინსტრუმენტალიის გამოყენებით მიილტვის. სწორედ ესაა თავისუფლების შინაარსი კომპლექსურ საზოგადოე-

ბაში; იგი გვანიჭებს თავდაჯერებულობას, რომელიც ასე ძლიერ გვჭირდება“ (259B).[1]

რასაკვირველია, პოლანის ოპტიმიზმი უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაში განვითარებულ მოვლენათა მსვლელობამ არ გაამართლა. ცივი ომის გაჩაღება ამერიკის შეერთებულ შტატებში „ახალი შეთანხმების“ რეფორმის დასასრულს ნიშნავდა და არა მის დასაწყისს. გეგმიური გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობა მეტ-ნაკლებად სწრაფად ჩაანაცვლა ბაზრების საერთაშორისო როლის ზრდის ახალმა ინიციატივამ.

ცხადია, ევროპული სოციალ-დემოკრატიული მთავრობების მნიშვნელოვანი მიღწევები, სახელდობრ სკანდინავიაში, 1940-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე, პოლანის ხედვის სიმძლავრესა და რეალისტურობას კონკრეტულ საფუძველს აძლევს. მაგრამ შედარებით დიდ ქვეყნებში, პოლანისეული ხედვა დაობლდა და ჰაიეკისა და საბაზრო ლიბერალიზმის სხვა ადვოკატთა საპირისპირო მოსაზრებებმა მყარი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, რაც 1990-იან წლებში ამ იდეოლოგიის სრული ტრიუმფით დაგვირგვინდა.

და მაინც, დღეს, როცა ცივი ომი უკვე ისტორიას ჩაბარდა, პოლანის თავდაპირველი ოპტიმიზმი შეგვიძლია საბოლოოდ გავიზიაროთ. მსგავსი სცენარის რეალური ალტერნატივა უკვე ხელთ გვაქვს – სცენარისა, რომელშიც საბაზრო ლიბერალიზმის არამდგრადობა ეკონომიკურ კრიზისსა და ავტორიტარული თუ აგრესიული რეჟიმების ხელახალ წარმოქმნას იწვევს. ალტერნატივა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა იმ საერთო მცდელობაში ჩართვაა, რომელიც – საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე – ეკონომიკას დემოკრატიულ

---

[1] პოლანის სწამს, რომ კომპლექსური საზოგადოება აუცილებლობით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მონოპოლიზებას. ძალაუფლება და ძალდატანება ამ რეალობის [ადამიანთა საზოგადოების] ნაწილია; იდეალი, რომელიც მათ კვალს საზოგადოებიდან ამოშლიდა, მცდარი უნდა იყოს. (259A) (ავტ. შენ.)

პოლიტიკას დაუქვემდებარებს. რასაკვირველია, განვლილი 90-იანების მანძილზე, აშკარა ნიშნები გამოიკვეთა ამგვარი საერთაშორისო სოციალური მოძრაობების მიერ გლობალური ეკონომიკის ხელახალი ფორმირების მცდელობისა. დღეს კი ეს მცდელობა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა.[1] განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში აქტივისტები საერთაშორისო ინსტიტუციების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO), საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვათა წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მოძრაობებს აყალიბებენ – ერთი სიტყვით, იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ნეოლიბერალიზმის წესებს აძლიერებენ. სხვადასხვა ჯგუფებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბზე წამოიწყეს ინტენსიური გლობალური დიალოგი მსოფლიო ფინანსური წესრიგის რეკონსტრუირების საკითხზე.[2] ეს საფუძველწარმომქმნელი მოძრაობა უზარმაზარ დაბრკოლებებს ეჩეხება; ადვილი არ იქნება ხანგრძლივი ალიანსის გამოძერწვა, რომელიც გლობალური სამხრეთისა და გლობალური ჩრდილოეთის მოქალაქეთა ხშირად კონფლიქტურ ინტერესებს შეარიგებს. უფრო მეტიც, რაც უფრო წარმატებულია იქნება ასეთი მოძრაობა, მით უფრო საზარელი იქნება სტრატეგიული ბარიერები, რომელთან გამკლავებაც მას მოუწევს. ღრმად საეჭვოდ რჩება გარემოება, შესაძლებელია თუ არა გლობალური წესრიგის რეფორმა ქვემოდან, მსოფლიო ეკონომიკის ისეთი ტიპის კრიზისში ჩათრევის გარეშე, რომელიც ინვესტორთა პანიკას იწვევს. მიუხედავად ამისა, უზარმაზარი მნიშვნელობისაა ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკური სტრუქტურის მართვა ისტორია-

---

[1] იხ. Peter Evans, “Fighting Marginalization with Transnational Networks: Counter-Hegemonic Globalization,” Contemporary Sociology 29:1 (January 2000): 230-241. (ავტ. შენ.)

[2] ამ დისკუსიების ჩრდილოეთ ამერიკული პერსპექტივისა და სასარგებლო დამატებითი რესურსების გიდად სარა ანდერსონისა და ჯონ კავანაგის ნაშრომი “Field Guide to the Global Economy” (New. York: New Press, 2000) გამოდგება.

ში პირველად მოექცა საერთაშორისო სოციალური მოძრაობის აქტივობათა ცენტრალურ სამიზნეში.

ეს საერთაშორისო მოძრაობა პოლანის ხედვის უწყვეტი სიცოცხლისუნარიანობისა და პრაქტიკულობის ინდიკატორია. პოლანისთვის საბაზრო ლიბერალიზმის ყველაზე ღრმა ჩავარდნა ის გახლავთ, რომ ეს უკანასკნელი ადამიანის მიზნებს ანონიმურ საბაზრო მექანიზმს უქვემდებარებს. ამის საპირისპიროდ, ის ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ადამიანებმა დემოკრატიული მართვის მექანიზმებს უნდა მიმართონ, რათა ეკონომიკის მართვა და კონტროლი შეძლონ. პოლანიმ აჩვენა, რომ ამ გამოწვევის არმიღებამ გასული საუკუნის საზარელი ტანჯვები წარმოშვა. შეუძლებელია მისი წინასწარმეტყველება ამაზე უფრო ნათელი იყოს ახალი საუკუნისთვის.

ქართულენოვანი თარგმანი თავდაპირველად გამოქვეყნდა „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ ვებგვერდზე.

პირველი ნაწილი

საერთაშორისო სისტემა

თავი 1
ასწლიანი მშვიდობა

XIX საუკუნის ცივილიზაცია დაემხო. წინამდებარე წიგნს ამ მოვლენის პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისები და მისი თანმხლები დიდი ტრანსფორმაცია აინტერესებს.

XIX საუკუნის ცივილიზაცია ოთხ ინსტიტუციას ეყრდნობოდა: პირველი იყო ძალთა ბალანსის სისტემა, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში თავიდან აიცილა ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომი საერთაშორისო ძალებს შორის; მეორე -საერთაშორისო ოქროს სტანდარტი გახლდათ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის უნიკალურ ორგანიზებას განასახიერებდა; მესამეს წარმოადგენდა თვითრეგულირებადი ბაზარი, რომელმაც იქამდე გაუგონარი მატერიალური კეთილდღეობა შექმნა; მეოთხე საყრდენი კი იყო ლიბერალური სახელმწიფო. ერთი ტიპის კლასიფიკაციით, ამ ოთხი ინსტიტუციიდან ორი წარმოადგენდა ეკონომიკურ, ხოლო ორი – პოლიტიკურ ინსტიტუციას. სხვაგვარი კლასიფიკაციით კი, ორი მათგანი ეროვნული და ორიც საერთაშორისო ინსტიტუტი იყო. მათ შორის ურთიერთობა განსაზღვრავდა ჩვენი ცივილიზაციის ისტორიის სახასიათო შტრიხებს.

ოქროს სტანდარტი ამ ინსტიტუციათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა; მისი მოშლა კატასტროფის უშუალო გა-

მომწვევი შეიქნა. ოქროს სტანდარტის დაცემის პერიოდისათვის, სხვა ინსტიტუციების უმეტესობა ამაოდ შეეწირა მის გადარჩენას.

მაგრამ სისტემის მაცოცხლებელ წყაროსა და მატრიცას თვითრეგულირებადი ბაზარი წარმოადგენდა. ეს სწორედ ის ინოვაცია იყო, რომელმაც დასაბამი დაუდო კონკრეტულ ცივილიზაციას. ოქროს სტანდარტი მხოლოდ ადგილობრივი საბაზრო სისტემის საერთაშორისო დონეზე გავრცელების მცდელობა იყო; ძალთა ბალანსის სისტემა წარმოადგენდა სუპერსტრუქტურას, რომელიც ოქროს სტანდარტზე იყო დაშენებული და ნაწილობრივ მისი საშუალებით ახერხებდა მუშაობას; თავად ლიბერალური სახელმწიფო თვითრეგულირებადი ბაზრის წარმონაქმნი გახლდათ. XIX საუკუნის ინსტიტუციონალური სისტემისთვის საკვანძო იყო ის კანონები, რომელთა მიხედვითაც საბაზრო ეკონომიკა იმართებოდა.

ამ წიგნის მთავარი თეზისი ის გახლავთ, რომ თვითრეგულირებადი ბაზრის იდეა ცალსახა უტოპია იყო. მსგავსი ინსტიტუცია დროის მცირე მონაკვეთშიც კი ვერ მოახერხებდა არსებობას საზოგადოების ადამიანური და ბუნებრივი არსის მოსპობის გარეშე; ის ფიზიკურად გაანადგურებდა ადამიანს და მის გარემო-სამყოფელს უკაცრიელად აქცევდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებამ საკუთარი თავის დამცავი ზომები შეიმუშავა, მაგრამ მიღებული ზომებით დააზიანა ბაზრის თვითრეგულირება, ქაოტური გახადა ინდუსტრიული ცხოვრება და ამგვარად, განსხვავებული საფრთხე შეუქმნა საკუთარ თავს. სწორედ ეს იყო დილემა, რომელმაც საბაზრო სისტემის განსაზღვრული გზით განვითარება გამოიწვია და საბოლოოდ, ჩამოშალა მასზე დაფუძნებული სოციალური ორგანიზების სტრუქტურა.

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ღრმა კრიზისის ამგვარი ახსნა ერთი შეხედვით, ზედმეტად მარტივად გამოიყურება. ძალზედ უადგილო და არაკომპეტენტური იქნებოდა ცივილიზაციის არსისა და ეთოსის დაყვანის მცდელობა კონკრეტული ოდენობის ინსტიტუტებამდე; ან რომელიმე ინსტიტუტის ცალკე გამოყოფა, მისი ფუნდამენტურ ინსტიტუტად მიჩნევა და

მსჯელობის გაგრძელება ცივილიზაციის გარდაუვალ თვითდეკონსტრუქციაზე, რომელიც თითქოს ცივილიზაციის ეკონომიკური ორგანიზების ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებლით იქნა გამოწვეული. ცივილიზაცია, სიცოცხლის მსგავსად, მრავალი დამოუკიდებელი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად იბადება. ეს ფაქტორები, როგორც წესი, არ დაიყვანებიან კონკრეტულ ინსტიტუტებამდე. ცივილიზაციის დაღმასვლის ინსტიტუციურ მექანიზმს თუ მივადევნებთ თვალს, ეს შესაძლოა უიმედო ძალისხმევადაც მოგვეჩვენოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ სწორედ ეს განზრახვა გვაქვს. ამით, ჩვენ შეგნებულად ვუახლოვებთ ჩვენი კვლევის მიზანს საკითხის განსაკუთრებულ თავისებურებას. ვინაიდან, XIX საუკუნის ცივილიზაციის უნიკალურობა სწორედ ის იყო, რომ ეს ცივილიზაცია კონკრეტულ ინსტიტუციურ მექანიზმს ეფუძნებოდა.

დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება ახსნა, რომელიც არ ითვალისწინებს კატაკლიზმის უეცარ ბუნებას. თითქოს ცვლილებათა ძალები ერთი საუკუნის მანძილზე შეკავებულნი იყვნენო, ისე უეცრად გადმოიღვარა მოვლენათა ნაკადი კაცობრიობაზე. პლანეტარული მასშტაბის სოციალური ტრანსფორმაცია სრულიად ახლებური სახის ომებმა დაასრულა. ამ ომებში კი, სახელმწიფოებმა სრული მარცხი განიცადეს და სისხლის ზღვებიდან ახალი იმპერიების კონტურები აღმოცენდა. მაგრამ ეს დემონური ძალადობის ფაქტი მხოლოდ ზედ დაერთო ცვლილებათა სწრაფ და ჩუმ დინებას, რომელმაც წარსული დიდწილად უხმაუროდ, ზედაპირზე ტალღის წარმოქმნის გარეშე შთანთქა.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიული კვლევა არ არის; ჩვენ გამორჩეულ მოვლენათა დამაჯერებელი თანმიმდევრობის გამოკვეთა კი არ გვსურს, არამედ, ვცდილობთ ამ მოვლენათა ტენდენციის ახსნას ადამიანური ინსტიტუციების ჭრილში. ჩვენ არ მოვერიდებით წარსულის კონკრეტულ სცენებში ჩაკირკიტებას იმ მიზნით, რომ ცხადი გავხადოთ აწმყოსთან დაკავშირებული საკითხები; ამასთან, დეტალურად გავაანალიზებთ კრიტიკულ პერიოდებს და თითქმის უგულებელვყოფთ ამ პერიოდებს შორის

არსებულ დროის მონაკვეთებს. სწორედ ამ ერთადერთი მიზნის მისაღწევად შევიჭრებით ცალკეულ დისციპლინარულ სფეროებში.

უპირველესად, განვიხილავთ საერთაშორისო სისტემის ჩამოშლას. შევეცდებით იმის წარმოჩენას, რომ ძალთა ბალანსის სისტემამ ვერ უზრუნველყო მშვიდობის შენარჩუნება მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკამ – რომელსაც ეს მშვიდობა ემყარებოდა – მარცხი განიცადა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას სისტემის მოულოდნელი და წარმოუდგენელი სისწრაფით ჩამოშლა.

მაგრამ თუკი ჩვენი ცივილიზაციის ჩამოშლის დრო მსოფლიო ეკონომიკის მარცხმა განსაზღვრა, ეს უკანასკნელი ამ მოვლენის გამომწვევი სულაც არ ყოფილა. ეს პროცესი სათავეს ას წელზე მეტი ხნის წინ – სოციალური და ტექნოლოგიური ძვრებიდან იღებს. ეს ის მოვლენებია, რომელთაგანაც დასავლეთ ევროპაში თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემის იდეა წარმოიშვა. ეს სარისკო წამოწყება ჩვენს დროში დამთავრდა და მან ინდუსტრიული ცივილიზაციის ისტორიაში გამორჩეული ეტაპი დაასრულა.

წიგნის ბოლო ნაწილში შევეხებით იმ მექანიზმს, რომელმაც ჩვენი დროის სოციალური და ეროვნული ცვლილებები წარმართა. აქვე განვიხილავთ ადამიანთა ყოფას. ზოგადად, ჩვენ გვჯერა, რომ ადამიანის ამჟამინდელი მდგომარეობა კრიზისის ინსტიტუციონალური საწყისების პერსპექტივიდან უნდა იქნას ახსნილი.

XIX საუკუნემ დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიულ ქრონიკებში გაუგონარი ფენომენი – 1815-1914 წლების ასწლიანი მშვიდობა – წარმოშვა. ყირიმის ომის გარდა, რომელიც მეტ-ნაკლებად კოლონიური მოვლენა იყო – ინგლისი, საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია, იტალია და რუსეთი, ჯამში მხოლოდ 18 თვის განმავლობაში იყვნენ ჩართული ერთმანეთის წინააღმდეგ ომში. წინა ორი საუკუნის ერთმანეთთან შედარებადი ციფრების აღრიცხვის შედეგად ვასკვნით, რომ თითოეულ საუკუნეში, დიდი ომები, საშუალოდ 60 წლიდან 70-ამდე გრძელდებოდა. მაგრამ XIX საუკუნის ყველაზე მძვინვარე ომის ქარცეცხლიც კი – საფრან-

გეთ-პრუსიის 1870-1871 წლის ომი – წელიწადზე ნაკლებ დროში დასრულდა, რის შემდეგაც დამარცხებულმა სახელმწიფომ გაუგონარი ოდენობის კომპენსაციის გადახდა შეძლო, არსებული ვალუტის რყევების გამოწვევის გარეშე.

პრაგმატული პაციფიზმის ამგვარი ტრიუმფალური გამარჯვება კონფლიქტის მნიშვნელოვანი მიზეზების არარსებობის შედეგი ნამდვილად არ იყო. ძლიერი სახელმწიფოებისა და დიადი იმპერიების საშინაო თუ საგარეო ვითარებები თითქმის უწყვეტად იცვლებოდა და ეს ცვლილებები თან სდევდა ამ „სამშვიდობო სანახაობას“. საუკუნის პირველი ნახევრის დღის წესრიგს სამოქალაქო ომები, რევოლუციური და ანტირევოლუციური ჩარევები ქმნიდა. ესპანეთში, ასიათასიანმა ჯარმა ანგულემის ჰერცოგის მეთაურობით აიღო კადისი; უნგრეთში, უნგრულმა რევოლუციამ თავად იმპერატორს გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხების საფრთხე შეუქმნა; ბრძოლები საბოლოოდ უნგრულ მიწაზე მებრძოლმა რუსულმა არმიამ ჩაახშო. შეიარაღებულმა ინტერვენციებმა გერმანიის კავშირში, ბელგიაში, პოლონეთში, შვეიცარიაში, დანიასა და ვენეციაში, საღვთო ალიანსის სიძლიერის კვალი დატოვა. საუკუნის მეორე ნახევარში, პროგრესის დინამიკა შენელდა: ოტომანთა, ეგვიპტური და შერიფთა იმპერიები დაიშალნენ ან დანაწევრდნენ; დამპყრობელმა ჯარმა ჩინეთი აიძულა კარი გაეხსნა უცხოელებისათვის, ხოლო აფრიკის კონტინენტი ერთი დიდი გალაშქრების შედეგად დანაწევრდა. ამავდროულად, მსოფლიო მნიშვნელობის ორი ძალა წამოიმართა: შეერთებული შტატები და რუსეთი. ეროვნული ერთობა მიღწეულ იქნა გერმანიისა და იტალიის მიერ; ბელგიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, სერბეთმა და უნგრეთმა კიდევ ერთხელ მიიჩინეს სუვერენული სახელმწიფოების ადგილები ევროპის რუკაზე. ღია ომების თითქმის უწყვეტი სერიების ფონზე, ინდუსტრიული ცივილიზაცია მარშით შევიდა გაცვეთილი კულტურებისა თუ პრიმიტიული ხალხების ადგილ-მამულებში. რუსული სამხედრო ძალა იპყრობს ცენტრალურ აზიას, ხოლო ინგლისის ურიცხვი ომები ინდოეთსა და აფრიკაში, ისევე როგორც საფრანგეთის ექსპლუა-

ტაციები ეგვიპტეში, ალჟირში, ტუნისში, სირიაში, მადაგასკარში, ინდო-ჩინეთსა და სიამში, ისეთ პრობლემებს წარმოქმნის ამ ძალებს შორის, რომლებიც, როგორც წესი, მხოლოდ ისევ ძალას შეუძლია მოაგვაროს. თუმცა, თითოეული ეს კონფლიქტი ლოკალიზებული იყო, ხოლო ძალადობრივი ცვლილების სხვა მრავალ შემთხვევას ან ერთობლივი ქმედებებით უმკლავდებოდნენ, ან – საერთაშორისო ძალთა შორის კომპრომისით არბილებდნენ. იმის მიუხედავად, თუ როგორ იცვლებოდა მეთოდები, შედეგი იგივე დგებოდა. თუ საუკუნის პირველ ნახევარში კონსტიტუციონალიზმი აკრძალული იყო და საღვთო კავშირი თავისუფლებას მშვიდობის სახელით ახშობდა, მეორე ნახევარში – ისევ მშვიდობის სახელით – ბიზნესზე გონებამომართულმა ბანკირებმა დაუოკებელ დესპოტებს კონსტიტუციები მოახვიეს თავს. შესაბამისად, სხვადასხვა ფორმებითა და მუდმივად ცვალებადი იდეოლოგიების ქვეშ – ზოგჯერ პროგრესისა და თავისუფლების სახელით, ხანაც მონარქისა და საკურთხევლის ავტორიტეტით, საფონდო ბირჟისა და ჩეკის წიგნაკების მადლით, კორუფციითა და მექრთამეობით, მორალური არგუმენტითა და განმანათლებლური მოწოდებებით, ხან კი სულაც ზარბაზნითა და ხიშტზე წამოგების შიშით – ერთი და იგივე შედეგი მიიღწეოდა – მშვიდობა ნარჩუნდებოდა.

ეს თითქმის სასწაულებრივი მოვლენა განპირობებული იყო ძალთა ბალანსით, რამაც ამ შემთხვევაში ისეთი შედეგი გამოიღო, რაც მისთვის ჩვეულებრივ უცხო იყო. მისი ბუნების მიხედვით, ბალანსი გავლენას ახდენს სრულიად განსხვავებულ შედეგზე, კერძოდ, მასში ჩართულ ძალთა გადარჩენაზე. მაგრამ სინამდვილეში, ის ეყრდნობა დაშვებას, რომ სამი ან მეტი ერთეული, რომელსაც ძალის გამოყენება შეუძლია, მუდამ შეეცდება, რომ შედარებით სუსტი ძალები ნებისმიერი ძლიერი ძალის ოდნავი ზრდის წინააღმდეგ გააერთიანოს. უნივერსალური ისტორიის ჭრილში, ძალთა ბალანსის სისტემისათვის ის სახელმწიფოები იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომელთა დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც თავად ემსახურებოდა. მაგრამ ასეთ შედეგს ეს სისტემა მხოლოდ მუდმივად ცვალებად პარტნიორებს შორის

უწყვეტი ომებით აღწევდა. ანტიკური საბერძნეთისა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების ჩვეულება ამის მაგალითი იყო: მებრძოლთა ცვალებად ჯგუფებს შორის წარმოებულმა ომებმა ამ სახელმწიფოებს დიდი ხნის განმავლობაში შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა. იგივე პრინციპის მოქმედებამ ორას წელზე მეტი ხნით დაიცვა იმ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, რომლებიც მიუნსტერისა და ვესტფალიის ზავის პერიოდში (1648 წ.) ევროპას აყალიბებდნენ. როდესაც 75 წლის შემდეგ, უტრეხტის ზავის ხელმომწერებმა ამ პრინციპისადმი თავიანთი ფორმალური ერთგულება დააფიქსირეს, ამ ნაბიჯით მათ ეს პრინციპი *სისტემის* ნაწილად გახადეს, და ამ ომების საშუალებით ჩამოაყალიბეს ძლიერისა და სუსტისთვისაც გადარჩენის ორმხრივი და თანაბარი გარანტიები. იმ ფაქტის ახსნა, რომ XIX საუკუნეში იგივე მექანიზმმა, მშვიდობაში უფრო ჰპოვა გამოხატულება, ვიდრე ომში, ისტორიკოსებისათვის პრობლემურ თავსატეხს წარმოადგენს.

ჩვენი მტკიცებით, მშვიდობის გამძაფრებული ინტერესის აღმოცენება აქ სრულიად ახალ ფაქტორს წარმოადგენდა. ტრადიციულად, მსგავსი ინტერესი სისტემის ფარგლებს გარეთ ყოფნად აღიქმებოდა. მშვიდობა, მთელი მისი აღკაზმულობით, ცხოვრების უბრალო მორთულობათა შორის იყო განთავსებული. ეკლესიას შესაძლოა ელოცა მშვიდობისთვის, ისევე როგორც უხვი მოსავლისთვის, თუმცა სახელმწიფოებრივი ქმედების სივრცეში ის მაინც შეიარაღებულ ინტერვენციას დაუჭერდა მხარს. მთავრობებმა მშვიდობა უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს დაუქვემდებარეს, ანუ იმ ზრახვებს, რომელთა მიღწევაც, სხვაგვარად, ამ უკიდურესი ზომების მიღების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა. ცოტა რამე იყო მიჩნეული საზოგადოებისათვის იმაზე უფრო ზიანის მომტანად, ვიდრე ორგანიზებული მშვიდობისადმი ცარიელი ინტერესი. ისე ახლო წარსულში, როგორიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარია, ჟან-ჟაკ რუსომ, ვაჭრები პატრიოტიზმის დეფიციტში დაადანაშაულა, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ მათ თავისუფლებას მშვიდობა არჩიეს.

1815 წლის შემდგომ მომხდარი ცვლილება უეცარი და დამაგვირგვინებელია. საფრანგეთის რევოლუციის შედეგებმა, მშვიდობიანი ბიზნესის, როგორც უნივერსალური ინტერესის დამკვიდრების პროცესში, ინდუსტრიული რევოლუციის ტალღა გააძლიერა. მეტერნიხმა გამოაცხადა, რომ ის, რაც ევროპელ ხალხს უნდოდა, იყო არა თავისუფლება, არამედ მშვიდობა. გენცმა პატრიოტებს ახალი ბარბაროსები უწოდა. ეკლესიამ და სამეფო ხელისუფლებამ ევროპის დენაციონალიზაცია დაიწყეს. მათმა არგუმენტებმა განაპირობეს არა მხოლოდ არსებული სახალხო საომარი მოქმედებების მრისხანე ფორმების მხარდაჭერა, არამედ, ახალი ეკონომიკის პირობებში მშვიდობის უსაზღვროდ გაზრდილი ღირებულებისადმი რწმენაც.

ახალი "მშვიდობის ინტერესის" გამტარებლები ჩვეულებრივ ისინი იყვნენ, ვინც მისგან განსაკუთრებული სარგებელი ნახა. ესენი იყვნენ დინასტიებისა და ფეოდალების ის ნაწილი, რომელთა მემკვიდრეობით მიღებულ პოზიციებსაც საფრთხე დაემუქრა პატრიოტიზმის რევოლუციური ტალღის შედეგად, რომელიც თავის მხრივ, მთელს კონტინენტზე ვრცელდებოდა. ამდენად, საუკუნის დაახლოებით მესამედის განმავლობაში, საღვთო ალიანსი აქტიური სამშვიდობო პოლიტიკის სასარგებლოდ უზრუნველყოფდა ძალის გამოყენებასა და იდეოლოგიურ იმპულსებს; მისი ჯარები ევროპაში აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ, აკნინებდნენ უმცირესობებს და ავიწროვებდნენ უმრავლესობებს. 1846 წლიდან დაახლოებით 1871 წლამდე – "ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბურუსით მოცული და ხალხმრავალი მეოთხედი საუკუნის მანძილზე,"[1] – მშვიდობა ბოლომდე უზრუნველყოფილი არ იყო. ვინაიდან, სწორედ ამ დროს, რეაქციის მილევადი ძალა ინდუსტრიალიზმის მზარდ ძალას გადააწყდა. საფრანგეთ-პრუსიის ომის მომდევნო მეოთხედ საუკუნეში განახლებული მშვიდობის ინტერესს უკვე ახალი ძლევამოსილი ერთეული – ევროპის კონცერტის სისტემა წარმოადგენდა.

---

[1] Sontag, R. J., European Diplomatic History,1871-1932, 1933.

თუმცა, ინტერესები, მსგავსად ზრახვებისა, განუხორციელებელი რჩება, თუკი ისინი გარკვეული სოციალური ინსტრუმენტალობის საშუალებით პოლიტიკად არ იქცევიან. ერთი შეხედვით, ამგვარი ქმედების განხორციელების საშუალებები არ არსებობდა; ორივე – საღვთო ალიანსიცა და კონცერტის სისტემაც, საბოლო ჯამში, დამოუკიდებელ, სუვენერულ სახელმწიფოთა უბრალო გაერთიანებას და მაშასადამე, ძალთა ბალანსისა და მისი ომის მექანიზმის სუბიექტებს წარმოადგენდნენ. მაშ, როგორღა ნარჩუნდებოდა მშვიდობა?

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძალთა ბალანსის ნებისმიერი სისტემა შეეცდება თავიდან აირიდოს ისეთი ომები, რომლებიც განპირობებულია ერთი რომელიმე სახელმწიფოს უუნარობით, წინასწარ განჭვრიტოს ის გარემოება, რომ მის მიერ სტატუს-კვოს შეცვლის მცდელობამ, შესაძლოა ძალთა გადანაწილება გამოიწვიოს. ამის ცნობილი მაგალითია 1875 წელს, ბისმარკის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთისა და ბრიტანეთის ინტერვენციების თაობაზე აგორებული პრესის კამპანიის შეჩერება (ავსტრიის მიერ საფრანგეთის დახმარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა). ამ დროისათვის, გერმანიის წინააღმდეგ მუშაობდა ევროპის კონცერტის სისტემა, რომელიც თავის მხრივ, სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. 1877-78 წლებში გერმანიამ ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა რუსეთ-თურქეთის ომი, მაგრამ წარმატებით მოახერხა მისი ლოკალიზება ინგლისის ეჭვიანობის გამძაფრებით, რომელიც ამ უკანასკნელს რუსეთის დარდანელის სრუტისკენ გადაადგილებისადმი გაუჩნდა; გერმანია და ინგლისი თურქეთს უცხადებდნენ მხარდაჭერას რუსეთის წინააღმდეგ, და ამგვარად იცავდნენ მშვიდობას. ბერლინის კონგრესზე ოტომანთა იმპერიის ევროპისადმი მიკუთვნებულობის გაუქმების გრძელვადიანი გეგმის განხორციელება დაიწყო; ამან, სტატუს-კვოში მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია, ვინაიდან, ჩართულ მხარეებს ახლა უკვე პრაქტიკულად წინასწარ შეეძლოთ დარწმუნებით სცოდნოდათ, თუ ვისთან მოუწევდათ ბრძოლაში დაპირისპირება. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, ამ

გეგმამ საერთაშორისო ძალებს შორის ომები თავიდან აიცილა. ამგვარ ვითარებაში, ძალთა ბალანსის სისტემისათვის მშვიდობა, როგორც წესი, სასურველ გვერდით ეფექტს წარმოადგენდა.

ამასთანავე, ზოგჯერ თუ მხოლოდ მცირე ძალების ბედს ეხებოდა საქმე, ომებს მათი გამომწვევი მიზეზების მიზანმიმართული ალაგმვით იცილებდნენ ხოლმე თავიდან. პატარა სახელმწიფოთა ქმედებები მოწმდებოდა და აუცილებლად ხელი ეშლებოდა სტატუს-კვოზე მათ იმგვარ ზემოქმედებას, რომელსაც ნებისმიერი საშუალებით ომის გაჩაღება შეეძლო. 1831 წელს ჰოლანდიის მიერ ბელგიაში შეჭრამ, საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნის ნეიტრალიზაცია გამოიწვია. 1855 წელს ნორვეგია გახდა ნეიტრალური. 1867 წელს ჰოლანდიამ ლუქსემბურგი საფრანგეთს მიჰყიდა; გერმანიამ ეს გააპროტესტა და მოხდა ლუქსემბურგის ნეიტრალიზება. 1856 წელს ოტომანთა იმპერიის მთლიანობა გამოცხადდა ევროპის წონასწორობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონედ, ხოლო ევროპის კონცერტის სისტემა შეეცადა ამ იმპერიის შენარჩუნებას; 1878 წლის შემდეგ, როდესაც უკვე იმპერიის დაშლა ჩაითვალა ამ წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ წინაპირობად, მისი დანაწევრება, ჩეულებისამებრ, მწყობრად და აუღელვებლად მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება არაერთი მცირე ეთნოსისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი იყო. 1852-1863 წლებში დანია, ხოლო 1851-1856 წლებში გერმანიის კავშირი იმუქრებოდა, რომ ისინი ბალანსს დაარღვევდნენ; ყოველ ჯერზე, დიდი სახელმწიფოები მცირე სახელმწიფოებს დათანხმებას აიძულებდნენ. ასეთ შემთხვევებში, მოქმედების თავისუფლება, რომელსაც სისტემა მათ სთავაზობდა, ძალთა მიერ გამოიყენებოდა საერთო ინტერესის, ანუ მშვიდობის მისაღწევად.

თუმცა, ძალაუფლებრივი მდგომარეობის დროული შეცნობით იყო ეს გამოწვეული თუ პატარა სახელმწიფოების იძულებით, მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს ომების დროგამოშვებით აცილებასა და ასწლიანი მშვიდობის მიღწევის უმნიშვნელოვანეს ფაქტს შორის. წონასწორობის არარსებობა საერთაშორისო

დონეზე უამრავი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული – დინასტიებს შორის სასიყვარულო ურთიერთობიდან დაწყებული – მდინარის დელტის შლამით ამოვსებით დამთავრებული; თეოლოგიური წინააღმდეგობრიობიდან – ტექნოლოგიურ გამოგონებამდე. სიმდიდრისა თუ მოსახლეობის უბრალო მატებას ან კლებას, პოლიტიკური ძალები მოძრაობაში მოჰყავს; ხოლო გარე ბალანსი უცვლელად ირეკლავს შიდა ბალანსს. მიუხედავად ამისა, ომის მუდმივი საფრთხის გარეშე ძალთა ბალანსის ორგანიზებულ სისტემასაც კი მხოლოდ მაშინ შეუძლია მშვიდობის უზრუნველყოფა, თუკი შესაძლებლობა ექნება პირდაპირ ამ შიდა ფაქტორების გათვალისწინებით იმოქმედოს და დისბალანსი ჩანასახის სტადიაშივე აიცილოს თავიდან. როდესაც დისბალანსის იმპულსები გაძლიერდება, მხოლოდ ძალას შეუძლია მისი გამოსწორება. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ მშვიდობის უზრუნველსაყოფად ომის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაა საჭირო; მაგრამ გაცნობიერებული არ არის, რომ ამის მისაღწევად, საქმის მიმდინარეობა საწყისშივე უნდა იქნას გაკონტროლებული.

საღვთო ალიანსმა ამ მიზნის მიღწევა მისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტების საშუალებით მოახერხა. ევროპის მეფეებმა და არისტოკრატებმა, ნათესაობაზე დაფუძნებული საერთაშორისო კავშირი ჩამოაყალიბეს; რომის ეკლესიამ კი ისინი მოხალისეობრივი სამოქალაქო სამსახურით უზრუნველყო, რომელიც სამხრეთ და ცენტრალური ევროპის სოციალური კიბის ყველა საფეხურისგან შედგებოდა. სისხლით ნათესაობასა და მოწყალებაზე დაფუძნებული იერარქია შერწყმული იყო ადგილობრივად ეფექტურ წესებში, რომელსაც კონტინენტური მშვიდობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ძალა ესაჭიროებოდა.

მაგრამ ევროპის კონცერტს, რომელმაც საღვთო ალიანსი ჩაანაცვლა, აკლდა როგორც ფეოდალური, ისე კლერიკალური ელემენტები. საუკეთესო შემთხვევაში, ის წარმოადგენდა სუსტ ფედერაციას, რომელიც თანმიმდევრულობით ვერც კი შეედრებოდა მეტერნიხის შედევრს. ამ სისტემაში მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ შეიძლებოდა საერთაშორისო ძალების შეხვე-

დრის მოწვევა, ხოლო მათი ეჭვიანობა კვებავდა ფართომასშტაბიან ინტრიგებს, წინააღმდეგობებსა და დიპლომატიურ საბოტაჟს. ერთობლივი სამხედრო ქმედებები გაიშვიათდა. და მაინც, ის, რისი მიღწევაც ევროპაში საღვთო ალიანსს მისი ფიქრებისა და მიზნების სრულყოფილი ერთობითა და მხოლოდ ხშირი შეიარაღებული ჩარევების დახმარებით შეეძლო, აქ, მსოფლიო მასშტაბით აღსრულდა ჩრდილოვანი სუბიექტის მიერ. ამ სუბიექტს ევროპის კონცერტი ერქვა და ამ ყველაფერს იშვიათი და ნაკლებად მჩაგვრელი ძალის გამოყენებით აღწევდა. ამ გმირობის ასახსნელად, ჩვენ ახალ წესრიგში ამუშავებული, აღმოუჩენელი, თუმცა ძლიერი სოციალური ინსტრუმენტულობა უნდა ვეძებოთ, რომელიც შეძლებდა იმ როლის შესრულებას, რასაც ძველ წესრიგში დინასტიები და საეპისკოპოსოები ასრულებდნენ და რომელიც ეფექტურს გახდიდა მშვიდობის ინტერესს. ეს იდუმალი ფაქტორი, ჩვენი აზრით, იყო *საერთაშორისო ფინანსები* – „haute finance“.

XIX საუკუნის საერთაშორისო საბანკო საქმიანობის ბუნება სრულყოფილად ჯერ არ გამოუკვლევიათ; ამ იდუმალ ინსტიტუტს იშვიათად თუ დაუღწევია თავი პოლიტიკური და ეკონომიკური მითოლოგიის შუქ-ჩრდილებიდან[1]. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ის უბრალოდ მთავრობების იარაღი იქნებოდა; სხვები ამბობდნენ, რომ მთავრობები თავად იყვნენ ამ ინსტიტუტის მოგების დაუოკებელი წყურვილის ინსტრუმენტები; ზოგიერთი იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს ინსტიტუტი საერთაშორისო უთანხმოებას თესავდა; დანარჩენები ფიქრობდნენ, რომ მას სუსტი კოსმოპოლიტიზმი შემოჰქონდა, რითაც დაშრიტა ძლიერი ერების ენერგია. არცერთი მოსაზრება ბოლომდე მცდარი არ იყო. *საერთაშორისო ფინანსები*, როგორც თავისთავადი ინსტიტუცია, დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი მესამედისთვის, და ფუნქციონირებდა როგორც ძირითადი დამაკავ-

[1] Feis, H., Europe, the World's Benker, 1870-1914, 1930. ნაშრომი რომელის ტექსტსაც ხშირად ვეყრდნობით.

შირებელი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებს შორის. ის წარმოქმნიდა ინსტრუმენტებს საერთაშორისო მშვიდობის სისტემისათვის, რომელიც საერთაშორისო ძალთა დახმარებით ფუნქციონირებდა, მაგრამ ასეთი სისტემის შექმნა და შენარჩუნება თავად ამ ძალებს არ შეეძლოთ. მაშინ, როდესაც ევროპის კონცერტი ინტერვალებში მოქმედებდა, საერთაშორისო ფინანსები ყველაზე მოქნილი და მუდმივი ინსტიტუციის სახით ფუნქციონირებდა. ცალკეული მთავრობებისგან დამოუკიდებელი, მათ შორის ყველაზე ძლიერებისგანაც კი, ის ყველასთან ინარჩუნებდა კავშირს; იყო რა ასევე ცენტრალური ბანკებისგან დამოუკიდებელი, ინგლისის ბანკისგანაც კი, ეს ინსტიტუტი მაინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბანკებთან. სახეზე იყო ძალიან ახლო კავშირი ფინანსებსა და დიპლომატიას შორის; ერთმანეთის კეთილგანწყობის გარეშე, არც ერთი მათგანი გრძელვადიან გეგმებს – იქნებოდა ეს მშვიდობიანი თუ ომთან დაკავშირებული – არ დასახავდა. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშე იყო, რომ საერთო მშვიდობის წარმატებით შენარჩუნების საიდუმლო მდგომარეობდა საერთაშორისო ფინანსური სისტემის პოზიციაში, მის ორგანიზაციასა და ტექნიკაში.

ამ ცალკეული ინსტიტუტის მიზნებმა და პერსონალმა მას იმგვარი სტატუსი ჩამოუყალიბეს, რომელსაც ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული ზედმიწევნით კომერციული ინტერესის მატარებელ კერძო სფეროში. როტშილდები მხოლოდ *ერთ* მთავრობას არ ექვემდებარებოდნენ; როგორც ოჯახი, ისინი განასახიერებდნენ ინტერნაციონალიზმის აბსტრაქტულ პრინციპს; მათ კომპანიის მიმართ ჰქონდათ ლოიალურობა, რისი დამსახურებითაც, სწრაფად მზარდ მსოფლიო ეკონომიკაში, სწორედ კომპანია გახდა ერთადერთი სუპრანაციონალური კავშირი პოლიტიკურ მთავრობასა და ინდუსტრიულ აქტივობებს შორის. დასასრულს, როტშილდების დამოუკიდებლობა იმ პერიოდის საჭიროებებიდან წარმოიშვა, რომელიც მოითხოვდა როგორც ეროვნული დონის სახელმწიფო მოღვაწეების, ისე საერთაშორისო ინვესტორების თვითრწმენის კონტროლს სუვერენული აქტორების მიერ.

სწორედ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო იყო, რომ ევროპის დედაქალაქებში მცხოვრებ ებრაელ ბანკირთა დინასტიის მეტა-ფიზიკურმა ექსტრატერიტორიულობამ თითქმის სრულყოფილი გამოსავალი მოძებნა. მათ პაციფისტებისა არაფერი ეცხოთ: სიმდიდრე ომების დაფინანსებით იშოვეს, მორალური მოსაზრე-ბების მიმართ კი შეუვალნი იყვნენ. როტშილდები არ ეწინააღმდე-გებოდნენ ნებისმიერი სიხშირის მცირე, ხანმოკლე თუ ადგილო-ბრივ ომებს. მაგრამ თუკი სისტემის მონეტარულ საფუძვლებში საერთაშორისო ძალთა შორის საყოველთაო ომი ჩაერეოდა, მათი ბიზნესი დაზიანდებოდა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, შუა რევოლუციური ტრანსფორმაციის პროცესში, რომელიც პლანე-ტარული მასშტაბით ცვლილებებს უქადდა სხვადასხვა ხალხებს, როტშილდების ხელში აღმოჩნდა საყოველთაო მშვიდობის შენარ-ჩუნების პასუხისმგებლობა.

ორგანიზაციულად, *საერთაშორისო ფინანსები* წარმოადგენ-და ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსური ინსტიტუციის ბირთვს, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში შექმნილა. მიუხედავად იმი-სა, რომ ამ ინსტიტუციას დიდხანს არ უარსებია, თავისი უნი-ვერსალურობითა და სიდიდით, ინსტრუმენტებისა და ფორმების სიუხვით, ის მხოლოდ კაცობრიობის ინდუსტრიულ და სავაჭრო ქმედებებს შეიძლება შევადაროთ და შესაძლოა, მათი გარკვეული ტიპის ანარეკლად და ასლადაც კი მოვიაზროთ. გარდა საერთა-შორისო დონის ცენტრისა – რასაც *საერთაშორისო ფინანსები* წარმოადგენდა – ეროვნულ დონეზე არსებობდა დაახლოებით ექვსი ცენტრი, რომლებიც თავიანთ ფულის შემქმნელ ბანკებ-სა (ე.წ. „banks of issue”) და საფონდო ბირჟებს ეფუძნებოდნენ. ასევე, საერთაშორისო ბანკები შეზღუდულნი არ იყვნენ მთა-ვრობებისა და მათი საომარი თუ სამშვიდობო თავგადასავლების დაფინანსებაში. ისინი, აგრეთვე, აფინანსებდნენ უცხოურ ინვეს-ტიციებს ინდუსტრიაში, საჯარო ინფრასტრუქტურასა თუ ბან-კებში, ასევე – გრძელვადიან სესხებს საზღვარგარეთის საჯარო და კერძო კორპორაციებისთვის. ეროვნული ფინანსები მხოლოდ და მხოლოდ მიკროკოსმოსი იყო. მარტო ინგლისი ორმოცდაათი

სახეობის ბანკს ითვლიდა. საფრანგეთისა და გერმანიის საბანკო სისტემებიც თავისებური იყო; თითოეულ ამ ქვეყანაში, ხაზინის მოქმედებები და მისი ურთიერთობები კერძო ფინანსებთან ყველაზე გასაოცარი, და ხშირად ყველაზე დახვეწილი გზით იცვლებოდა. ფულის ბაზარი უმკლავდებოდა მრავალგვარ კომერციულ გადასახადს, უცხოურ გასანაღდებელ თამასუქებს – აქცეპტებს, წმინდა ფინანსურ გადასახადებს, ისევე როგორც მოკლევადიან ბანკთაშორის სესხებს (ე.წ. „call money") და სხვა საბროკერო მომსახურების ხარჯებს. ეს სივრცე აჭრელებული იყო ურიცხვი რაოდენობის ეროვნული ჯგუფებითა და პიროვნებებით, თითოეული გამორჩეული იყო პრესტიჟითა და მდგომარეობით, ავტორიტეტითა და ერთგულებით, თავისი ფულადი აქტივებითა და კონტაქტით, პატრონაჟითა და სოციალური გარემოთი.

საერთაშორისო ფინანსები მშვიდობის ინსტრუმენტად არ იყო ჩაფიქრებული. როგორც ისტორიკოსები ჩათვლიდნენ, ეს ფუნქცია მას შემთხვევით დაეკისრა; სოციოლოგები კი ასეთ მოვლენებს ალბათ, უფრო „სარგებლიანობის კანონზომიერებად" მიიჩნევდნენ. *საერთაშორისო ფინანსების* უმთავრესი მიზანი მოგება იყო. მის მისაღწევად კი საჭირო იყო ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება მთავრობებთან, რომელთაც, თავის მხრივ, ძალაუფლებისკენ სწრაფვა და სხვათა დამორჩილება ამოძრავებდათ. მსჯელობის ამ ეტაპზე, ცალსახად შეგვიძლია უარვყოთ რაიმე ტიპის განსხვავების არსებობა მთავრობების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებებს შორის, ან მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს შორის. ფაქტობრივად, ამ პერიოდის ერ-სახელმწიფოებს ასეთი განსხვავებები ნაკლებად ახასიათებდათ, ვინაიდან, რა მიზნებიც არ უნდა ჰქონოდათ, მთავრობები მათ მიღწევას ეროვნული ძალაუფლების გამოყენებითა და გაზრდით ცდილობდნენ. მეორე მხრივ, *საერთაშორისო ფინანსები* – მისი ორგანიზაცია და პერსონალი – მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო იყო, ის ბოლომდე მაინც არ იყო დამოუკიდებელი ეროვნული სტრუქტურისაგან: როგორც ინსტიტუტი, რომელმაც გააქტიურა ბანკირების მონაწილეობა სინდიკატებსა

და კონსორციუმებში, საინვესტიციო ჯგუფებსა და უცხოურ სესხებში, ფინანსურ მაკონტროლებლებსა თუ სხვა ამბიციურ ტრანზაქციებში, ის იძულებული იყო ეთანამშრომლა ეროვნულ საბანკო სისტემასთან, ეროვნულ კაპიტალთან და ფინანსებთან. როგორც წესი, ეროვნული ფინანსების საშუალებით, ეროვნული ინდუსტრია უფრო მეტად ექვემდებარებოდა მთავრობას, ვიდრე *საერთაშორისო ფინანსები*. მიუხედავად ამისა, მთავრობაზე დამოკიდებულება მაინც არსებობდა. ეს სიტუაცია საერთაშორისო ფინანსების აქტორებს აიძულებდა, რომ მთავრობებთან თავად შეენარჩუნებინა კავშირი. და მაინც, ეს კავშირი, ორგანიზაციის პოზიციისა და პერსონალის დამსახურებით, და ასევე მისი პირადი სიმდიდრისა და კავშირების საშუალებით, იმ დოზით არსებობდა, რამდენადაც ორგანიზაცია ფაქტობრივად, ნებისმიერი ცალკეული მთავრობისაგან დამოუკიდებელი იყო და შეეძლო ახალი ინტერესის გატარება. ამ ინტერესს რაიმე კონკრეტული არსი არ გააჩნდა და მისი გატარებისათვის სხვა რაიმე ინსტიტუცია არ არსებობდა. ამის მიუხედავად, მას საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა – სახელდობრ, მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს იყო მშვიდობა არა ნებისმიერ ფასად, და არა დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, დიდების, ან დაინტერესებული საერთაშორისო ძალთა სამომავლო მისწრაფებების რომელიმე კომპონენტის სანაცვლოდ, არამედ მშვიდობა, რომელიც მსგავსი მსხვერპლის გაღების გარეშე მიიღწეოდა.

სხვანაირად ვერც მოხერხდებოდა, ძალაუფლება მოგების ინტერესზე წინ იდგა. რაც არ უნდა მჭიდროდ ყოფილიყო გადაჯაჭვული ერთმანეთთან მოგებისა და ძალაუფლების სფეროები, საბოლოოდ, ბიზნესს წესები მაინც ომმა განუსაზღვრა. მაგალითისათვის, 1870 წლიდან, საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთის მტრები იყვნენ. ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია მათ შორის ურთიერთვალდებულების გარეშე ტრანზაქციების განხორციელებისათვის. ალაგ-ალაგ შეიქმნა დროებითი საბანკო სინდიკატები; საზღვრის მიღმა საწარმოებში გერმანული საინვესტიციო ბანკები ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ, რაც საბალანსო ანგარიშე-

ბში არ აისახებოდა; ფრანგული ბანკების მხარეს, მოკლევადიანი სესხების ბაზარზე მოქმედებდა ფასდაკლება გადაცვლის საკომისიოზე, ხოლო მოკლევადიანი სესხები გაიცემოდა საგარანტიო და კომერციული ქაღალდების საფუძველზე. პირდაპირი ინვესტიციები არსებობდა ისეთ სფეროებში, როგორიც იყო რკინისა და კოქსის შედუღება, ან კიდევ ნორმანდიაში ტისენის ქარხნის შემთხვევა, მაგრამ მსგავსი ინვესტიციები საფრანგეთში მხოლოდ ზოგიერთ სფეროში იყო დაშვებული და როგორც ნაციონალისტების, ისე სოციალისტების მხრიდან მუდმივი კრიტიკის ქარცეცხლში ეხვეოდა. პირდაპირი ინვესტიცია უფრო ხშირი იყო კოლონიებში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გერმანიის შეუპოვრობა ალჟირის უმაღლესი ხარისხის მადნის მოსახელთებლად, ან თუნდაც მისი მონაწილეობა მაროკოს მოვლენებში. და მაინც, უტყუარ ფაქტად რჩება ის, რომ 1870 წლის შემდეგ, პარიზის საფონდო ბირჟაზე ერთხელაც არ მოხსნილა და უხმაუროდ არსებობდა ოფიციალური აკრძალვა გერმანულ ფასიან ქაღალდებზე. საფრანგეთმა უბრალოდ „აირჩია, რისკის ქვეშ არ დაეყენებინა ნასესხები კაპიტალის ძალა“[1], რაზეც თავად იყო დამოკიდებული. ეჭვები არსებობდა ავსტრიაზეც; 1905-06 წლების მაროკოს კრიზისის დროს, აკრძალვა გავრცელდა უნგრეთზეც. პარიზის ფინანსური წრეები ითხოვდნენ ბირჟაზე უნგრული ფასიანი ქაღალდების დაშვებას, მაგრამ ინდუსტრიული წრეები მხარს უჭერდნენ მთავრობის მტკიცე წინააღმდეგობას შესაძლო სამხედრო მოწინააღმდეგესთან ნებისმიერ დათმობაზე წასვლის შესახებ. პოლიტიკურ-დიპლომატიური მეტოქეობა არ ნელდებოდა. მთავრობები ვეტოს ადებდნენ ნებისმიერი ქმედებას, რომელიც სავარაუდო მტრის პოტენციურ შესაძლებლობებს გაზრდიდა. ზედაპირზე ხშირად ისე ჩანდა, რომ თითქოს კონფლიქტი გაქრა, მაგრამ შიდა წრეებისათვის ცნობილი იყო, რომ კონფლიქტური საკითხი მეგობრულად შენიღბულ ზედაპირქვეშ ღრმად იმალებოდა.

---

[1] Feis, H., *op. cit.,* გვ. 201

მაგალითად ავიღოთ გერმანიის ამბიციები აღმოსავლეთით. აქაც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა და ფინანსები ურთიერთგადაჯაჭვული იყო, პოლიტიკას მაინც უპირატესი ადგილი ეკავა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე მიმდინარე სახიფათო კინკლაობის შემდეგ, გერმანიამ და ინგლისმა 1914 წლის ივნისში ხელი მოაწერეს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ბაღდადის რკინიგზის შესახებ. როგორც ხშირად აღუნიშნავთ, დიდი ომის ასაცილებლად ეს უკვე დაგვიანებული იყო. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, სხვები ამტკიცებდნენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის ომი ეკონომიკური ექსპანსიონიზმით არ იყო გამოწვეული. არცერთი ეს მოსაზრება ფაქტებს არ ეყრდნობა. სინამდვილეში, ხელშეკრულებამ მთავარი საკითხი გადაუწყვეტელი დატოვა. ბრიტანეთის მთავრობის თანხმობის გარეშე, გერმანული სარკინიგზო ხაზის გაყვანა ქალაქ ბასრას იქით კვლავ არ იქნა დაშვებული, ხოლო ხელშეკრულების ეკონომიკური ასპექტები სამომავლოდ აუცილებლად გამოიწვევდნენ კონფრონტაციას. ამასობაში, საერთაშორისო ძალები აგრძელებდნენ იმ დიადი დღისთვის მომზადებას, რომელიც უფრო ახლოს იყო, ვიდრე ისინი ვარაუდობდნენ.[1]

საერთაშორისო ფინანსების სისტემა უნდა გამკლავებოდა დიდი და პატარა ძალების ურთიერთსაწინააღმდეგო ამბიციებსა და ინტრიგებს; დიპლომატიური მანევრების საშუალებით მისი გეგმები იფუშებოდა, საფრთხე ექმნებოდა გრძელვადიან ინვესტიციებს, ხელი ეშლებოდა კონსტრუქციულ ქმედებებს პოლიტიკური საბოტაჟითა და ფარული დაბრკოლებებით. ეროვნული საბანკო ორგანიზაციები, რომელთა გარეშეც საერთაშორისო ფინანსების სისტემა უძლური იყო, ხშირად თავიანთი მთავრობების თანამზრახველნი იყვნენ. არცერთი გეგმა უსაფრთხოდ არ ითვლებოდა, თუკი იგი წინასწარვე არ ქმნიდა სარგებელს თითოეუ-

[1] იხილეთ შენიშვნები წყაროზე, გვ. 273 (საბოლოოდ გვერდი ჩასწორდეს შენიშვნებში)

ლი მონაწილისათვის. თუმცა, *საერთაშორისო ძალთა ფინანსები, დოლარის დიპლომატიით* ისეთივე სიხშირით ხეირობდა, როგორი-თაც ზარალდებოდა. დიპლომატიის ხავერდოვან საფარქვეშ *დოლარის დიპლომატია* ფინანსებისთვის რკინის სარჩულის როლს ასრულებდა და ერთი შეხედვით რბილი, მაგრამ სინამდვილეში კი ხისტი იყო. ეს იმიტომ, რომ ბიზნესის წარმატება მოითხოვდა სუსტი სახელმწიფოების წინააღმდეგ უხეში ძალის გამოყენებას, ძველმოდურ ადმინისტრატორთა სისტემურ მოქრთამვასა და მიზნის მისაღწევად ყველა ფარული საშუალების გამოყენებას. მსგავსი ქმედებები დამახასიათებელი იყო კოლონიური თუ ნახევრადკოლონიური ჯუნგლებისთვის. და მაინც, ფუნქციური თვალსაზრისით, საერთო ომების თავიდან აცილება *საერთაშორისო ფინანსების* პრეროგატივად რჩებოდა. პირველ რიგში, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც სხვა ინვესტორები და მოვაჭრეები, აუცილებლად დაზარალდებოდნენ მსგავსი ომებით. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, თუ მსგავსი მოვლენები ვალუტებზე იქონიებდა გავლენას. ის გავლენა კი, რომელიც *საერთაშორისო ფინანსებს* საერთაშორისო ძალებზე ჰქონდა, ევროპული მშვიდობისათვის მუდმივად ხელსაყრელი იყო. მსგავსი გავლენა ეფექტური იყო იმდენად, რამდენადაც თავად მთავრობები მრავალმხრივ იყვნენ დამოკიდებულნი ასეთ თანამშრომლობაზე. ამდენად, ევროპის კონცერტის საბჭოებში მშვიდობის ინტერესი ყოველთვის იყო წარმოდგენილი. თუ ამას დავამატებთ მშვიდობის მზარდ ინტერესს ქვეყნებს შიგნით, სადაც საინვესტიციო ჩვევებს უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, მაშინ მივხვდებით, თუ რატომ მოახერხა ათობით მობილიზებული სახელმწიფოს საშინელმა გამოგონებამ – შეიარაღებულმა მშვიდობამ – ევროპის დაცვა ომის დამანგრეველი ქარცეცხლისგან 1871 წლიდან 1914 წლამდე.

ფინანსები ამ ინსტიტუციისათვის გავლენის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო. ის ასრულებდა ძლიერი მოდერატორის როლს მთელ რიგ მცირე ზომის სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკებსა და საბჭოებში. სესხების გაცემა თუ განახლება

დამოკიდებული იყო კრედიტზე, ხოლო კრედიტი კი – სახელმწიფოთა კარგ ქცევაზე.

ვინაიდან, კონსტიტუციური მმართველობის პირობებში (არაკონსტიტუციური მმართველობა მკაცრად იყო დაგმობილი) ნებისმიერი ქცევა ბიუჯეტზე აისახება, ხოლო ვალუტის საგარეო ღირებულება ვერ იქნება განყენებული ბიუჯეტის შეფასებისგან, მოვალე მთავრობებს მართებულად ურჩევდნენ, რომ სიფრთხილით მოკიდებოდნენ ვალუტის მიმოცვლას და თავიდან აეცილებინათ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც აისახებოდა საბიუჯეტო პოზიციების სიჯანსაღეზე. ეს სასარგებლო მაქსიმა ქცევის უდავო წესად გადაიქცა ქვეყნების მიერ ოქროს სტანდარტის შემოღებისას, ვინაიდან, ამ წესს ვალუტის შესაძლო რყევები მინიმუმამდე დაჰყავდა. ოქროს სტანდარტისა და კონსტიტუციონალიზმის საშუალებით, „ლონდონ სიტის“ ხმა იმ პატარა ქვეყნებში ჟღერდა, რომელთაც შემუშავებული ჰქონდათ ახალი საერთაშორისო წესრიგის ერთგულების სიმბოლოები. „პაქს ბრიტანიკა“ ხან მძიმე გემის ზარბაზნის ავისმომასწავებელი წონასწორობით ინარჩუნებდა გავლენას, ხან (უფრო ხშირად) კი – საერთაშორისო მონეტარული ქსელის სათავისო მართვით.

საერთაშორისო ფინანსები თავის გავლენას მსოფლიოს მთელი რიგი ნახევრადკოლონიური რეგიონების ფინანსების არაოფიციალური მართვის საშუალებით უზრუნველყოფდა. მათ შორის იყვნენ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ყველაზე ცხელი და აალებადი ზონისა და დაშლის პირას მყოფი ისლამური იმპერიები. სწორედ ამ ადგილებში იკვეთებოდა ფინანსისტთა დღიური შრომა და იქაური შიდა წესრიგის განმსაზღვრელი სათუთი ფაქტორები, და იქმნებოდა დე-ფაქტო ადმინისტრაციები იმ პრობლემური რეგიონებისთვის, სადაც მშვიდობა ყველაზე მყიფე იყო. ასე ხდებოდა წინაპირობების უზრუნველყოფა გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებებისათვის თითქმის გადაულახავი დაბრკოლებების პირისპირ. რკინიგზის მშენებლობების სიდიდე ბალკანეთში, ანატოლიაში, სირიაში, სპარსეთში, ეგვიპტეში, მაროკოსა და ჩინეთში გამძლეობისა და განსაცვიფრებელი

ცვლილებების ისტორიას წარმოგვიდგენს და მოგვაგონებს ასევე მსგავსი სიმამაცის ამბავს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. თუმცა, უმთავრესი საფრთხე, რომელიც ევროპელ კაპიტალისტებს თან სდევდათ, ტექნოლოგიური ან ფინანსური მარცხი კი არ იყო, არამედ – ომი. ომი არა მცირე ქვეყნებს შორის (რომლისგან იზოლირებაც ადვილად შეიძლებოდა), არც ომი პატარა ქვეყანასთან დიდი საერთაშორისო ძალების მხრიდან (რაც ხშირი და ამასთანავე ხელსაყრელი მოვლენა იყო), არამედ – საერთო ომი თავად დიდ საერთაშორისო ძალებს შორის. ევროპა ცარიელი კონტინენტი კი არ იყო, არამედ ეს იყო მილიონობით ძველი და ახალი მოფუსფუსე ხალხების სახლი; ყოველ ახალ რკინიგზას გზა განსხვავებულ სიმყაროებს შორის უნდა გაეკაფა. ამ სამყაროებთან კონტაქტის შედეგად, ზოგიერთი, შესაძლოა, ფატალურად დასუსტებულიყო, ზოგი კი – გაძლიერებულიყო. მხოლოდ ჩამორჩენილი რეგიონების მუქთახორა მთავრობების ფინანსებზე მკაცრ კონტროლს შეეძლო კატასტროფის თავიდან აცილება. როდესაც 1875 წელს თურქეთმა ვერ შეძლო თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულება, მყისიერად დაიწყო სამხედრო საომარი მოქმედებები, რაც 1876-78 წ.წ.-მდე, ანუ ბერლინის ხელშეკრულების დადებამდე გაგრძელდა. მას შემდეგ, 36 წლის მანძილზე მშვიდობამ დაისადგურა. ამ გასაკვირი მშვიდობიანი პერიოდის შენარჩუნება მოხერხდა 1881 წლის მუჰარემის დეკრეტის საფუძველზე, რომელმაც კონსტანტინოპოლში „ოსმალეთის ვალი“ – “Dette Ottomane” – დააფუძნა. *საერთაშორისო ფინანსების* წარმომადგენლებს თურქეთის ფინანსების ადმინისტრირების ტვირთი დაეკისრათ. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი საერთაშორისო ძალთა შორის კომპრომისებს უზრუნველყოფდნენ; სხვა დროს, კი თურქეთს პრობლემების შექმნის უფლებას არ აძლევდნენ; დანარჩენ პერიოდებში, ისინი მხოლოდ საერთაშორისო ძალთა პოლიტიკური აგენტების როლს ასრულებდნენ; საბოლოოდ კი კრედიტორთა ფულად ინტერესებს ემსახურებოდნენ და თუ შესაძლებლობა ჰქონდათ, იმ კაპიტალისტების ინტერესებსაც, რომლებიც ამ ქვეყანაში მოგების ნახვას ცდილობდნენ.

ამ ვალდებულებას მეტად ართულებდა ის ფაქტიც, რომ „ვალის კომისია“ *არ* იყო ის ორგანო, რომელიც კერძო კრედიტორების ინტერესებს დაიცავდა. ამის ნაცვლად, ის იყო ევროპის საჯარო სამართლის ინსტიტუტი, სადაც *საერთაშორისო ფინანსები* მხოლოდ არაოფიციალურად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამ „ამფიბიური უნარების“ ფარგლებში მოახერხა *საერთაშორისო ფინანსებმა* ეპოქის პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების დაკავშირება.

ვაჭრობა მშვიდობას დაუკავშირდა. წარსულში ვაჭრობის ორგანიზება სამხედრო ტიპისა და ომის მსგავსი იყო; ის წარმოადგენდა მეკობრის, მოხეტიალის, შეიარაღებული მექარავნის, მონადირისა და ხაფანგების დამგების, ხმლიანი ვაჭრის, ქალაქების შეიარაღებული მცხოვრებლების, თავგადასავლების მაძიებლების, პლანტატორებისა და დამპყრობლების, ადამიანებზე მონადირეებისა და მონებით მოვაჭრეებისა და პრივლეგირებული კომპანიების კოლონიური ჯარების დამატებით საქმიანობას. ახლა ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ვაჭრობა დაექვემდებარა საერთაშორისო მონეტარულ სისტემას, რომელიც საერთო ომის პირობებში ვერ იმუშავებდა. ის საჭიროებდა მშვიდობას და საერთაშორისო ძალები მის შენარჩუნებას ცდილობდნენ. თუმცა, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ძალთა ბალანსის სისტემა ვერ იქნებოდა მშვიდობის გარანტი. ეს მოახერხა საერთაშორისო ფინანსების სისტემამ, რომლის არსებობა ვაჭრობის მშვიდობაზე დამოკიდებულების ახალ პრინციპს განასახიერებდა.

ჩვენ ძალიან მივეჩვიეთ იმგვარად ფიქრს, რომ კაპიტალიზმის გავრცელება ისეთი პროცესია, რომელსაც მშვიდობასთან საერთო არაფერი აქვს, და რომ ფინანსური კაპიტალი აურაცხელი კოლონიური დანაშაულისა და ექსპანსიონისტური აგრესიების უმთავრესი გამომწვევია. მძიმე ინდუსტრიებთან კაპიტალიზმის მჭიდრო სიახლოვემ აიძულა ლენინი ემტკიცებინა, რომ სწორედ ფინანსური კაპიტალი იყო პასუხისმგებელი იმპერიალიზმზე. უფრო კონკრეტულად კი, ის იყო პასუხისმგებელი გავლენის სფეროების, კონსესიების, ექსტრატერიტორიული უფლებებისა და იმ

უთვალავი საშუალებისათვის ბრძოლის წარმოებაზე, რომელთა მეშვეობითაც დასავლეთის ძალები განუვითარებელ რეგიონებს ყელში უჭერდნენ, რათა ინვესტიციები საკუთარი მძიმე ინდუსტრიებისათვის მომგებიან სფეროებში – რკინიგზაში, საჯარო ინფრასტრუქტურაში, პორტებსა და სხვა მუდმივ სტრუქტურებში ჩაედოთ. სინამდვილეში, ბიზნესი და ფინანსები არიან პასუხისმგებელნი უამრავ კოლონიურ ომზე, მაგრამ მათ პასუხისმგებლობას ამავდროულად მიეწერება საერთო ომის თავიდან აცილებაც. მათი კავშირები მძიმე ინდუსტრიასთან (მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირები ყველაზე მჭიდრო გერმანიაში იყო) ორივე ფაქტის ამხსნელად გვევლინება. ფინანსური კაპიტალი, როგორც მძიმე ინდუსტრიის მთავარი მაორგანიზებელი ძალა, მრავალნაირად იყო დაკავშირებული ინდუსტრიის სხვადასხვა განშტოებებთან იმ მიზნით, რათა ერთი ჯგუფისთვის საშუალება მიეცა განესაზღვრა ინდუსტრიათა პოლიტიკა. თითოეულ ინტერესზე, რომელიც სარგებელს ომით იღებდა, ათობით ისეთი ინტერესი მოდიოდა, რომლისთვისაც ომი საპირისპირო შედეგს იქონიებდა. რა თქმა უნდა, ომის შემთხვევაში საერთაშორისო კაპიტალი აუცილებლად წააგებდა; მაგრამ ომის დროს, ეროვნული ფინანსებიც კი, მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში ნახავდნენ სარგებელს; თუმცა, ეროვნული ფინანსისტები ომებით ისეთი სიხშირით მაინც სარგებლობდნენ, რომ ათობით კოლონიური ომი ეწარმოებინათ მანამ, სანამ თავად ამ ომებისგან იზოლირებულნი იქნებოდნენ. თითქმის ყველა ომი ფინანსისტების მოწყობილი იყო, მაგრამ მშვიდობასაც ისინი უწევდნენ ორგანიზებას.

ამ მტკიცედ პრაგმატული სისტემის ზუსტი ბუნება – სისტემისა, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობდა საერთო ომის თავიდან აცილებას, მცირე ომების დაუსრულებელ სერიებს შორის, ბიზნესისათვის მშვიდობას მაინც უზრუნველყოფდა. ეს ყველაზე კარგად იმ ცვლილებებიდან ჩანს, რომელიც მან საერთაშორისო სამართალში შემოიღო. მაშინ, როდესაც ნაციონალიზმსა და ინდუსტრიას აშკარად ჰქონდათ მიდრეკილება სასტიკი და ტოტალური ომების წარმოებისკენ, ომების პერიოდში, ბიზნესის

მშვიდობიანი და დაუბრკოლებელი მუშაობისთვის ეფექტური დამცავი გარანტიები გაჩნდებოდა ხოლმე. ფრიდრიხ დიდი ცნობილია იმით, რომ მან 1752 წელს, შურისძიების მიზნით, ბრიტანეთის ქვეშევრდომთათვის სილეზიის ვალების გადახდაზე უარი თქვა[1]. ჰერში ამბობს, რომ „მას შემდეგ ასეთი მცდელობა არ ყოფილა," და რომ „საფრანგეთის რევოლუციის ომები გვაძლევენ უკანასკნელ მნიშვნელოვან მაგალითებს მტრისათვის იმ კერძო საკუთრების კონფისკაციისა, რომელიც ომის გაჩაღების შემდგომ საომარ ტერიტორიაზე აღმოჩნდება ხოლმე". ყირიმის ომის დაწყების შემდგომ, მოწინააღმდეგის ვაჭრებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, რომ დაეტოვებინათ პორტი. ეს პრაქტიკა მომდევნო 50 წლის განმავლობაში ზედმიწევნით ხორციელდებოდა პრუსიაში, საფრანგეთში, რუსეთში, ესპანეთში, იაპონიასა და შეერთებულ შტატებში. ყირიმის ომიდან მოყოლებული, მეომარ მხარეებს კომერციულ საქმიანობაში უდიდესი შეღავათები ეძლეოდათ. ამდენად, ესპანეთ-ამერიკის ომში, ნეიტრალური ხომალდები, რომლებიც ამერიკული ტვირთით იყვნენ დატვირთულები ესპანურ პორტებს ტოვებდნენ იმ შემთხვევებში, როცა ეს ტვირთი ომის კონტრაბანდას არ წარმოადგენდა. ის მოსაზრება, რომ XVIII საუკუნის ომები, XIX საუკუნის ომებთან შედარებით *ყველა* ასპექტში ნაკლებად დესტრუქციული იყო, მხოლოდ ცრურწმენაა. XIX საუკუნე გადამწყვეტი აღმოჩნდა იმგვარი ზომების მისაღებად, რომლებიც ომის პერიოდში ეკონომიკურ სისტემას იცავდნენ მთელ რიგ ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიც არის უცხოელი მტრების სტატუსი, მტრული სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ წარმოებული სასესხო მომსახურება, მტრის საკუთრება, ან კიდევ მტერი მოვაჭრის უფლება პორტის დატოვებაზე. ეს ტენდენცია, მხოლოდ მეოცე საუკუნემ შემოატრიალა.

ამდენად, ეკონომიკური ცხოვრების ახლებური ორგანიზება ფონად სდევდა ასწლიან მშვიდობას. პირველ პერიოდში აღ-

---

[1] Hershey, A. S., Essentials of International Public Law and Organization, 1927, gv. 965-9.

მოცენებული საშუალო კლასები ძირითადად ის რევოლუციური ძალები იყვნენ, რომლებმაც მშვიდობა ისეთივე საფრთხის ქვეშ დააყენეს, როგორც ეს ნაპოლეონისეული სოციალური ცვლილებების დროს ხდებოდა: სწორედ ამ ტიპის ეროვნული არეულობის ახალი ფაქტორის წინააღმდეგ იყო, რომ საღვთო ალიანსმა ამ პროცესების რეაქციად მშვიდობა უზრუნველყო. მეორე პერიოდში, ახალმა ეკონომიკამ გაიმარჯვა. ახლა უკვე თავად საშუალო კლასებს ჰქონდათ მშვიდობის ინტერესი, და ეს ინტერესი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მათი რეაქციონერი წინამორბედებისა, ხოლო მშვიდობის ინტერესს ახალი ეკონომიკის ეროვნული და საერთაშორისო ბუნება კვებავდა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მშვიდობის შენარჩუნების ინტერესი ეფექტური აღმოჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეეძლო ძალთა ბალანსის სისტემა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ის კი ამას სისტემისათვის იმგვარი სოციალური ინსტიტუციების მომარაგებით ახერხებდა, რომელთაც შეეძლოთ მშვიდობის საკითხში აქტიურ შიდა ძალებს უშუალოდ გამკლავებოდნენ. საღვთო ალიანსში ასეთი ინსტიტუციები იყო ფეოდალიზმი და სამეფო ტახტი, და ისინი გამყარებული იყო ეკლესიის სულიერი და მატერიალური ძალაუფლებით; ევროპის კონცერტის პირობებში კი, ასეთ ინსტიტუციებს წარმოადგენდა საერთაშორისო ფინანსები და მათი მოკავშირე ეროვნული საბანკო სისტემები. ამ ორ პერიოდს შორის განსხვავებების გამოკვეთა აუცილებელი არ არის. 1816-46 წლებში, 30 წლიანი ომის დროს, დიდი ბრიტანეთი უკვე ქმნიდა წნეხს მშვიდობისა და ვაჭრობის საკეთილდღეოდ. არც საღვთო ალიანსი იყო ნეგატიურად განწყობილი როტშილების დახმარების მიმართ. ევროპის კონცერტის დროს, საერთაშორისო ფინანსების სისტემას ხშირად უწევდა დინასტიურ და არისტოკრატულ კავშირებზე დაყრდნობა. მაგრამ ასეთი ფაქტები უბრალოდ ამყარებენ ჩვენს არგუმენტს, რომ ყველა შემთხვევაში, მშვიდობა ნარჩუნდებოდა არა უბრალოდ საერთაშორისო ძალთა კანცლერების დახმარებით, არამედ, იმ კონკრეტული ორგანიზებული აქტორების მეშვეობით, რომლებიც საერთო ინტერესის სამსახურში მოქმედებდნენ.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მხოლოდ ახალი ეკონომიკის ფონზე შეეძლო ძალთა ბალანსის სისტემას საერთო საომარი ვითარების თავიდან აცილება. მაგრამ ევროპის კონცერტის მიღწევები საღვთო ალიანსისას შეუდარებლად აღემატებოდა; იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მშვიდობას ინარჩუნებდა მცირე რეგიონის მასშტაბით მხოლოდ ერთ კონტინენტზე, ეს მაშინ, როდესაც ევროპის კონცერტი იგივე დავალებას წარმატებით გაუმკლავდა მსოფლიო დონეზე. ისიც იმ პერიოდში, როცა სოციალური და ეკონომიკური პროგრესი გლობალურ რუკას რევოლუციურ გარდაქმნებს უმზადებდა. ეს უზარმაზარი პოლიტიკური სიმამაცე კი კონკრეტული ერთეულის – *საერთაშორისო ფინანსების* – აღმოცენების შედეგი იყო; სწორედ ეს ერთეული აკავშირებდა საერთაშორისო ცხოვრების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებს.

ამ ეტაპზე უკვე ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის ორგანიზაცია ემყარებოდა ეკონომიკურ ორგანიზაციას. თუმცა, ორივე მათგანი განსხვავებული შედგენილობისა იყო. მსოფლიო პოლიტიკური მშვიდობის ორგანიზაციაზე საუბარი მხოლოდ ამ ტერმინის უზოგადესი გაგებით არის შესაძლებელი, ვინაიდან, ევროპის კონცერტი, უპირველეს ყოვლისა, არა მშვიდობის, არამედ, უბრალოდ დამოუკიდებელი სუვერენების სისტემა იყო, რომელიც ომის მექანიზმით იყო დაცული. მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზების სისტემა, ამის საპირისპირო მაგალითად შეგვიძლია მოვიაზროთ. მანამ, სანამ ცოტა ხნით გადავდებთ იმ უკრიტიკო პრაქტიკას, როდესაც ცნება „ორგანიზაციის“ დაყვანა იმ ცენტრალურად მართულ ორგანოებამდე ხდება, რომლებიც საკუთარი ფუნქციონარების საშუალებით მოქმედებენ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცხადზე ცხადი იყო ის საყოველთაოდ მიღებული პრინციპი, რომელსაც ორგანიზაცია დაემყარებოდა; ხოლო ზედმიწევნით კონკრეტული იყო მისი ფაქტობრივი ელემენტები – ბიუჯეტები და შეიარაღებები, საგარეო ვაჭრობა და ნედლეულით მომარაგება, ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი – ყველაფერი ეს, ახლა უკვე ვალუტისა და კრედიტის ფუნქცია გახდა. XIX საუკუნის მეოთხე კვარტალში, მსოფლიოს სასაქონლო ფასები

მილიონობით კონტინენტური გლეხის ცხოვრებაში უმთავრესი რეალობა იყო; ბიზნესმენები მსოფლიო მასშტაბით ყოველდღიურად ინიშნავდნენ ლონდონის ფულის ბაზრის გამოძახილს; ხოლო მთავრობები სამომავლო გეგმებს განიხილავდნენ მსოფლიო კაპიტალის ბაზრებში არსებული სიტუაციის კვალდაკვალ. ჭკუათმყოფელი ნამდვილად არ შეიტანდა ეჭვს იმაში, რომ ამ შეჯიბრის მატერიალური არსებობის უმთავრესი ღერძი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა იყო. ვინაიდან, ამ სისტემას ფუნქციონირებისათვის მშვიდობა სჭირდებოდა, ძალთა ბალანსი იმისათვის შეიქმნა, რომ მშვიდობა უზრუნველეყო. ეკონომიკური სისტემის გარეშე, მშვიდობის ინტერესი პოლიტიკიდან გაქრებოდა. ეკონომიკური სისტემის მიღმა, არ არსებობდა მშვიდობის ინტერესის საკმარისი მიზეზი, და არც მშვიდობის შენარჩუნების რაიმე შესაძლებლობა გარდა იმისა, რაც უკვე სახეზე იყო. ევროპის კონცერტის წარმატება ამოიზარდა სწორედ ეკონომიკის ახლებური საერთაშორისო ორგანიზების საჭიროებიდან და მის დაშლასთან ერთად აუცილებლად დამთავრდებოდა.

ბისმარკის პერიოდი (1861-1890 წ.წ.) ევროპის კონცერტისათვის საუკეთესო აღმოჩნდა. გერმანიის მიერ საერთაშორისო ძალის სტატუსის მოპოვებიდან ორ ათწლეულში, გერმანია მშვიდობის ინტერესის უმთავრესი ბენეფიციარი გახდა. გზა მოწინავე რიგებამდე მან ავსტრიისა და საფრანგეთის ხარჯზე გაიკვალა; სტატუს-კვოს შენარჩუნება მისი უპირატესობის შენარჩუნება იყო, ხოლო ომის თავიდან აცილება – მის წინააღმდეგ მიმართული შურისმაძიებლობის თავიდან აცილება. ბისმარკი მშვიდობას განზრახ წარმოაჩენდა როგორც იდეას, რომელიც საერთაშორისო ძალთათვის საერთო რისკის შემცველი იყო, და თავიდან იცილებდა ნებისმიერ ვალდებულებას, რომელიც გერმანიას სამშვიდობო ძალის პოზიციას დაათმობინებდა. ის ეწინააღმდეგებოდა ექსპანსიონისტურ ამბიციებს ბალკანეთსა თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში; ავსტრიისა და თავად საფრანგეთის წინააღმდეგაც კი, ის მუდმივად იყენებდა თავისუფალი ვაჭრობის იარაღს; მან ჩაშალა რუსეთისა და ავსტრიის ბალკანური ამბიციები ძალთა ბალან-

სის თამაშის დახმარებით. ამ ყველაფრით, ბისმარკი ინარჩუნებდა პოტენციურ მოკავშირეებს და თავიდან იცილებდა სიტუაციებს, რომელსაც გერმანიის ომში ჩათრევა შეეძლო. ამდენად, 1863-70 წლების დამგეგმავი აგრესორი, 1878 წლისათვის პატიოსან შუამავლად და კოლონიური თავგადასავლების მტრად იქცა. ის შეგნებულად გაუძღვა წინ იმ დროის მშვიდობის შენარჩუნების ტენდენციას გერმანიის ეროვნული ინტერესების გასახორციელებლად.

მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების ბოლოსკენ, თავისუფალი ვაჭრობის ეპიზოდი (1846-79 წ.წ.) დასასრულისკენ მიდიოდა; გერმანიის მიერ ოქროს სტანდარტის რეალური გამოყენება პროტექციონიზმისა და კოლონიური ექსპანსიის ეპოქის დასაწყისის მაუწყებელი გახდა.[1] გერმანია თავის პოზიციას ახლა უკვე ავსტრო-უნგრეთთან და იტალიასთან მყარი და სწრაფი კავშირის დამყარებით განამტკიცებდა; არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ბისმაკრმა დაკარგა რაიხის პოლიტიკაზე კონტროლი. ამ პერიოდიდან დაწყებული, დიდი ბრიტანეთი გახდა ევროპაში მშვიდობის ინტერესის წინამძღოლი. ევროპა კი ამ დროისათვის, ჯერ კიდევ წარმოადგენდა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების ჯგუფს, და ამდენად, ძალთა ბალანსის სუბიექტს. XIX საუკუნეში *საერთაშორისო ფინანსები* განვითარების მწვერვალზე იდგა და მშვიდობა ყველაზე უფრო დაცული იყო, ვიდრე ოდესმე. ბრიტანული და ფრანგული ინტერესები განსხვავებული იყო აფრიკაში; ბრიტანელები და რუსები ერთმანეთს აზიაში ეჯიბრებოდნენ; ევროპის კონცერტი კი, მართალია კოჭლობით, მაგრამ ფუნქციონირებას მაინც აგრძელებდა; სამმხრივი ალიანსის მიუხედავად, ჯერ ისევ ორზე მეტი დამოუკიდებელი ძალა არსებობდა იმისათვის, რათა ერთმანეთისთვის ეჭვის თვალით ეყურებინათ. თუმცა, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1904 წელს, ბრიტანეთმა მაროკოსა და ეგვიპტესთან დაკავშირებით საფრანგეთთან

[1] Eulenburg, F., Aussenhandel und Aussenhandelspolitik," in Grundriss der Sozialökonomik, Vol. VIII, 1929, gv. 209.

მნიშვნელოვანი გარიგება დადო; რამდენიმე წლის შემდეგ, ის სპარსეთთან დაკავშირებით რუსეთთანაც კომპრომისზე წავიდა და ამდენად, კონტრალიანსი ჩამოყალიბდა. ევროპის კონცერტი – დამოუკიდებელ ძალთა ეს სუსტი კონფედერაცია, საბოლოოდ, ჩანაცვლებულ იქნა ორი ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ძალთა დაჯგუფებით; ძალთა ბალანსი, როგორც სისტემა, ახლა უნდა დასრულებულიყო. მხოლოდ ორი, ერთმანეთის მიმართ მოქიშპე ძალთა ჯგუფის დარჩენით, ძალთა ბალანსის მექანიზმმა ფუნქციონირება შეწყვიტა. უკვე აღარ არსებობდა მესამე ჯგუფი, რომელიც ერთთან ან მეორესთან გაერთიანდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მესამე ძალა გაძლიერებას შეეცდებოდა. ამავე პერიოდისთვის, აშკარა გახდა არსებული მსოფლიო ეკონომიკის ჩამოშლის ისეთი სიმპტომები, როგორებიც იყო კოლონიური მეტოქეობა და კონკურენცია ეგზოტიკური ბაზრებისათვის. ძალიან სწრაფად ილეოდა *საერთაშორისო ფინანსების* ძალა და უნარი, თავიდან აეცილებინა ომების გავრცელება. მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში, მშვიდობა რაღაცა მანქანებით ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა მხოლოდ დროის საკითხი იყო, ვიდრე XIX საუკუნის ეკონომიკური ორგანიზაციის ჩამოშლა ასწლიან მშვიდობას დაასრულებდა.

ამ ანალიზის შუქზე, ისტორიკოსისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ხდება იმ უაღრესად ხელოვნური ეკონომიკური ორგანიზების რეალური ბუნება, რომელზეც მშვიდობა იყო დაფუძნებული.

თავი 2
კონსერვატიული ოციანი და რევოლუციური ოცდაათიანი წლები

საერთაშორისო ოქროს სტანდარტის ჩამოშლა იყო უხილავი კავშირი საუკუნის დასაწყისში დაწყებული მსოფლიო ეკონომიკის დაშლასა და ოცდაათიან წლებში ცივილიზაციის ტრანსფორმაციას შორის. ამ ფაქტორის სასიცოცხლო მნიშვნელობის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია იმ მექანიზმის სწორად გაგება, რომელმაც ევროპას საკუთარი განადგურებისაკენ გაუკვალა გზა; ან თუნდაც იმ მექანიზმის აღქმა, რამაც განაპირობა ის გასაოცარი ფაქტი, რომ ცივილიზაციის ფორმები და შინაარსები მსგავს არასაიმედო საფუძვლებს უნდა დაეყრდნოს.

მხოლოდ სისტემის კრახის შემდგომ იქნა გააზრებული იმ საერთაშორისო სისტემის ჭეშმარიტი ბუნება, რომლის პირობებშიც ჩვენ ვცხოვრობდით. იშვიათად თუ ვინმეს ესმოდა საერთაშორისო მონეტარული სისტემის პოლიტიკური ფუნქცია. ამიტომაც, ტრანსფორმაციის სახიფათო მოულოდნელობამ მსოფლიო სრულიად გააოგნა. და მაინც, ოქროს სტანდარტი ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკის უკანასკნელი საყრდენი იყო; მის ჩამოშლას კი აუცილებლად მყისიერი ეფექტი ექნებოდა. ლიბერალური ეკონომისტებისთვის ოქროს სტანდარტი წმინდად ეკონომიკური ინსტიტუცია იყო; მათ იმაზეც კი უარი თქვეს, რომ ეს ინსტიტუცია სოციალური მექანიზმის ნაწილად მოეაზრებინათ. შესაბა-

მისად, ისე მოხდა, რომ დემოკრატიულმა ქვეყნებმა, ყველაზე ბოლოს გაიაზრეს კატასტროფის ნამდვილი ბუნება და ყველაზე ნელი ტემპით შეებრძოლნენ მის შედეგებს. მაშინაც კი, როდესაც კატაკლიზმა თავს დაატყდათ, მათმა ლიდერებმა ვერ შენიშნეს, რომ საერთაშორისო სისტემის კოლაფსის უკან, ყველაზე პროგრესული ქვეყნების გრძელვადიანი განვითარება იდგა, რამაც ეს სისტემა ანაქრონისტული გახადა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად საბაზრო ეკონომიკის კრახი ლიდერებს გამორჩათ.

ტრანსფორმაცია იმაზე უფრო მოულოდნელად მოხდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. პირველი მსოფლიო ომი და ომისშემდგომი რევოლუციები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ნაწილი იყო. 1914-18 წლების კონფლიქტმა მხოლოდ დააჩქარა და განუზომლად გააღრმავა ის კრიზისი, რომელიც საკუთრივ ამ კონფლიქტის არ წარმოუქმნია. თუმცა, იმ დროისათვის, დილემის წარმომავლობის გარკვევა ვერ ხერხდებოდა; ომიდან გადარჩენილთა გადმოსახედიდან, „დიადი ომის“ საშინელებები და ნგრევები, საერთაშორისო წესრიგის წინაშე მოულოდნელად აღმოცენებული დაბრკოლებების წყაროს ჩამოჰგავდა. ვინაიდან, უეცრად აღმოჩნდა, რომ არ ფუნქციონირებდა მსოფლიოს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური სისტემები, ხოლო ამ სიტუაციის ახსნა პირველი მსოფლიო ომის მიერ კაცობრიობის არსისადმი მიყენებულმა საშინელმა ჭრილობებმა განავითარეს. სინამდვილეში, ომისშემდგომი მშვიდობისა და სტაბილურობის ხელისშემშლელი ფაქტორები, იგივე წყაროებიდან აღმოცენდა, საიდანაც წარმოიშვა თავად „დიადი ომი“. 1900 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა პასუხისმგებელი იყო 1914 წელს ამოხეთქილ პოლიტიკურ დაძაბულობაზე. ომისა და დადებული ხელშეკრულებების შედეგებმა, დაძაბულობა ზედაპირულად კი შეამსუბუქა გერმანული კონკურენციის აღმოფხვრით, მაგრამ დაძაბულობის მიზეზები გაამწვავა და შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაზარდა მშვიდობის პოლიტიკური და ეკონომიკური ხელის შემშლელი ფაქტორები.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ხელშეკრულებები საბედისწერო წინააღმდეგობებს მალავდნენ. დამარცხებული ქვეყნების *მუდმივმა* ცალმხრივმა განიარაღებამ თავიდან აიცილა ძალთა ბალანსის სისტემის ნებისმიერი განახლება, ვინაიდან ძალა ამ სისტემისთვის აუცილებელ რეკვიზიტს წარმოადგენდა. ჟენევა ტყუილად ელოდა სისტემის აღდგენას ევროპის კონცერტის გაფართოებულ და გაუმჯობესებულ ვერსიაში, რომელსაც „ერთა ლიგა“ ერქვა; ფუჭი იყო ლიგის პაქტით გათვალისწინებული კონსულტაციისა და ერთობლივი ქმედებების შესაძლებლობები, რადგან ძალთა დამოუკიდებელი ერთეულებისათვის აუცილებელი წინაპირობები აღარ არსებობდა. ლიგის შექმნა რეალობაში ვერასდროს მოხერხდა; არც ხელშეკრულებების აღსრულების შესახებ მე-16-ე მუხლი და არც მათ მშვიდობიანი გადახედვის თაობაზე მე-19-ე მუხლი შესრულებულა. ამგვარად, მშვიდობის მწვავე პრობლემის ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტა – ძალთა ბალანსის სისტემის აღდგენა – სრულიად მიუწვდომელი იყო; იმდენად, რომ საზოგადოებამ, რომელიც არსებობას დაბნეულობის აღუწერელ მდგომარეობაში აგრძელებდა, ვერც კი გაიაზრა ოციანი წლების ყველაზე კონსტრუქციული სახელმწიფო მოღვაწეების ჭეშმარიტი მიზანი. ერების ერთი მხრივ, განიარაღებული ჯგუფისა და მეორე მხრივ, შეიარაღებული ჯგუფის შემაძრწულებელი ფაქტის შემხედვარე – სიტუაციისა, რომელიც გამორიცხავდა ნებისმიერ კონსტრუქციულ ნაბიჯს მშვიდობის უზრუნველსაყოფად – ემოციური განწყობა ბატონობდა, რომ ლიგა, რაღაც იდუმალი გზებით მშვიდობიანი ეპოქის გარანტორი იყო, რომელსაც მუდმივად არსებობისათვის მხოლოდ სიტყვიერი გამხნევება სჭირდებოდა. ამერიკაში გავრცელებული მოსაზრება იყო, რომ მხოლოდ ამერიკა რომ შეერთებოდა ლიგას, საქმე სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ე.წ. „ომისშემდგომი სისტემის“ ორგანული სისუსტეების გაგების უუნარობის სამტკიცებლად უკეთესი არგუმენტი ვერ მოიძებნებოდა; ე.წ. იმიტომ, რომ თუ სიტყვებს მნიშვნელობა გააჩნიათ, ევროპა ახლა ყოველგვარი პოლიტიკური სისტემის გარეშე იყო. მსგავსი გაშიშვლებული სტა-

ტუს-კვო მხოლოდ იმდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს, რამდენიც – მხარეთა ფიზიკური გადაღლა. გასაკვირი არ არის, რომ XIX საუკუნის სისტემასთან მიბრუნება ერთადერთი გამოსავალი აღმოჩნდა. ამასობაში, „ლიგის საბჭოს“ შესაძლოა მინიმუმ ისე ეფუნქციონირა, როგორც ერთგვარ ევროპულ დირექტორატს, სწორედ ისე, როგორც ევროპის კონცერტი ფუნქციონირებდა მისი ზენიტისას, საბედისწერო ერთსულოვნების წესისამებრ, რომელმაც დაუმორჩილებელი პატარა ქვეყანა მსოფლიო მშვიდობის არბიტრად გაამწესა. დამარცხებული ქვეყნების მუდმივი განიარაღების აბსურდულმა წესმა გამორიცხა ყველა კონსტრუქციული გადაწყვეტა. ამ კატასტროფული მდგომარეობის ერთადერთი ალტერნატივა ორგანიზაციული ძალით დაჯილდოვებული საერთაშორისო წესრიგის დამყარება იყო, რომელიც გადაწონიდა ეროვნულ სუვერენიტეტს. თუმცა კი, მსგავსი კურსი სრულიად სცილდებოდა იმ პერიოდის თვალსაწიერს. არცერთი ევროპული ქვეყანა, რომ არაფერი ვთქვათ შეერთებულ შტატებზე, ასეთ სისტემას არ დაემორჩილებოდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ჟენევის პოლიტიკა – რომელიც მშვიდობის დაცვის მეორე ვარიანტად მსოფლიო ეკონომიკის აღდგენას უჭერდა მხარს, გაცილებით თანმიმდევრული იყო. მაშინაც კი, თუ ძალთა ბალანსის სისტემა წარმატებით აღდგებოდა, ეს სისტემა მშვიდობის სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშავებდა, თუ ძალთა ბალანსის სისტემასთან ერთად საერთაშორისო ფულადი სისტემაც განახლდებოდა. სტაბილური მიმოცვლისა და თავისუფალი ვაჭრობის არარსებობის პირობებში, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, წარსულის მსგავსად, მშვიდობას მინიმალური ინტერესით მოეკიდებოდნენ და მშვიდობისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იბრძოლებდნენ, თუ ის მათ უმთავრეს ინტერესებში არ ჩაერეოდა. იმ დროის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, პირველმა ვუდრო უილსონმა გააცნობიერა მშვიდობისა და ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულება, და გააცნობიერა არა მხოლოდ როგორც ვაჭრობის, არამედ ასევე როგორც *მშვიდობის* გარანტია. რა გასაკვირია, რომ ლიგა ჯიუტად ცდილობდა საერ-

თაშორისო სავალუტო და საკრედიტო ორგანიზაციის აღდგენას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფის ერთადერთ გარანტს, და რომ მსოფლიო, როგორც არასდროს, დამოკიდებული იყო *საერთაშორისო ფინანსებზე,* რომელიც ამჟამად, ნაცვლად ნ.მ. როტშილდისა, წარმოდგენილი იყო ჯ. პ. მორგანის მიერ.

XIX საუკუნის სტანდარტების მიხედვით, ომისშემდგომი პირველი ათწლეული რევოლუციურ ეპოქად გამოიყურებოდა; ჩვენს უახლეს გამოცდილებაზე დაყრდნობით კი, სწორედაც რომ პირიქით იყო: ეს ათწლეული ღრმად კონსერვატიული იყო და გამოხატავდა ლამის უნივერსალურ რწმენას, რომ 1914 წლამდე არსებული სისტემის „ამჯერად მყარ საფუძვლებზე“ აღორძინება, აღადგენდა მშვიდობასა და კეთილდღეობას. სინამდვილეში, წარსულში დაბრუნების ამ წარუმატებელი ძალისხმევის შედეგად დაიწყო ოცდაათიანი წლების ტრანსფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომი ათწლეულის რევოლუციები და კონტრევოლუციები სანახაობრივი იყო, ისინი ან უბრალოდ სამხედრო მარცხის მექანიკურ რეაქციებს წარმოადგენდნენ, ან მაქსიმუმ – დასავლური ცივილიზაციისათვის ცნობილი ლიბერალური და კონსტიტუციონალისტური დრამის განმეორებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სცენაზე; მხოლოდ ოცდაათიან წლებში იყო, რომ სრულიად ახალმა ელემენტებმა იჩინეს თავი დასავლეთის ისტორიაში.

რუსეთის გამოკლებით, 1917-1920 წლების ძვრები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მათი სცენარის მიუხედავად, ბრძოლის ველზე დანებებული რეჟიმების გადაწყობისთვის უბრალოდ შემოვლით გზებს წარმოადგენდნენ. როდესაც კონტრრევოლუციური კვამლი გაიფანტა, აღმოჩნდა, რომ ბუდაპეშტის, ვენისა და ბერლინის პოლიტიკური სისტემები დიდად არ განსხვავდებოდნენ მათი ომამდელი მდგომარეობისგან. ოციანი წლების შუა პერიოდამდე, დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ფინეთზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, პოლონეთზე, ავსტრიაზე, უნგრეთზე, ბულგარეთზე, და თვით იტალიისა და გერმანიაზეც

კი. ზოგიერთ ქვეყანაში, ეროვნული თავისუფლებისა და მიწის რეფორმის თვალსაზრისით დიდი წინსვლა ჰქონდათ – მსგავსი მიღწევები ევროპისათვის 1789 წლიდან იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ, არც რუსეთი წარმოადგენდა გამონაკლისს. იმ დროების ტენდენციას წარმოადგენდა ისეთი სისტემის დამყარება (ან აღდგენა), რაც ჩვეულებრივ, ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების იდეალებთან ასოცირდებოდა. არამარტო ჰინდერბურგი და უილსონი, ლენინი და ტროცკიც კი, ფართო გაგებით, დასავლური ტრადიციის გამზიარებლები იყვნენ.

ადრეულ ოცდაათიან წლებში ცვლილებები მოულოდნელად დაიწყო. მის გარდამტეხ მომენტებს წარმოადგენდნენ: დიდი ბრიტანეთის მიერ ოქროს სტანდარტის დატოვება; რუსეთის ხუთწლიანი გეგმა; "ახალი გარიგების" (New Deal) – ჩაშვება; ნაციონალურ-სოციალისტური რევოლუცია გერმანიაში; და ლიგის დაშლა ავტარქისტული იმპერიების სასარგებლოდ. მაშინ, როცა XIX საუკუნის იდეალები „დიადი ომის" ბოლოსთვის უმაღლესი ღირებულება იყო და მათი გავლენა მომდევნო ათწლეულშიც დომინირებდა, 1940 წლისთვის საერთაშორისო სისტემის ყველა ნარჩენი გამქრალი იყო და გარდა ზოგიერთი ანკლავისა, სახელმწიფოები სრულიად ახალ საერთაშორისო გარემოში ცხოვრობდნენ.

ჩვენი მტკიცებით, კრიზისის საფუძველი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის საფრთხის შემცველი დაცემა იყო. ეს სისტემა საუკუნის დასაწყისიდან ხარვეზებით მუშაობდა, ხოლო „დიადმა ომმა" და ხელშეკრულებებმა ის საბოლოოდ ჩამოშალეს. ეს ფაქტი ცხადი ოციანი წლებიდან გახდა, როდესაც ევროპაში ისეთი შიდა კრიზისიც კი ძლივს მოიძებნებოდა, რომელმაც თავის პიკს საგარეო ეკონომიკის საკითხთან დაკავშირებით არ მიაღწია. პოლიტიკის მკვლევრებმა ახლა უკვე სხვადასხვა ქვეყნები არა კონტინენტების მიხედვით, არამედ მყარი ვალუტისადმი მათი ერთგულების ხარისხის მიხედვით დააჯგუფეს. რუსეთმა მსოფლიო გააოცა რუბლის განადგურებით, რომლის ღირებულებაც ინფლაციის პრიმიტიული გზით ფაქტობრივად ნულამდე შემცირდა. ეს სასოწარკვეთილი სიმამაცე გერმანიამ

გაიმეორა იმისათვის, რათა ხელშეკრულების მხარეები გაეცურებინა; *რანტიეების კლასისთვის* საკუთრების ექსპროპრიაციამ საფუძველი დაუდო ნაცისტურ რევოლუციას. ჟენევის პრესტიჟი დამოკიდებული იყო მის წარმატებაზე, ავსტრიასა და უნგრეთს ვალუტების აღდგენაში დახმარებოდა, ხოლო ვენა გახდა ლიბერალური ეკონომისტების მექა ავსტრიულ კრონაზე წარმატებით ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის გამო, რომლის პაციენტიც, სამწუხაროდ, ვერ გადარჩა. ბულგარეთში, საბერძნეთში, ფინეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ესტონეთში, პოლონეთსა და რუმინეთში ვალუტის აღდგენამ კონტრრევოლუცია გამოიწვია ძალაუფლებაში მოსვლის მოთხოვნით. ბელგიაში, საფრანგეთსა და ინგლისში მემარცხენეები თანამდებობებიდან მყარი მონეტარული სტანდარტების სახელით გაყარეს. სავალუტო კრიზისების თითქმის უწყვეტმა ჯაჭვმა ღარიბი ბალკანელები საერთაშორისო საკრედიტო სისტემის მოქნილობის საშუალებით შეძლებულ შეერთებულ შტატებს დააკავშირა, რომელმაც არასრულად აღდგენილი ვალუტები ჯერ აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპაში გადაისროლა, ხოლო იქიდან – შეერთებულ შტატებში. საბოლოოდ, შეერთებული შტატები თავად მოემწყვდია ევროპული ვალუტების უმწიფარი სტაბილიზაციის ყურეში. საბოლოო ჩამოშლა დაწყებული იყო.

პირველი შოკი ეროვნული დონის სფეროებში გაჩნდა. ზოგიერთი ვალუტა, მაგალითად რუსული, გერმანული, ავსტრიული და უნგრული – ერთ წელიწადში გაქრა. ვალუტათა ღირებულების უპრეცედენტო ცვლილების მიღმა, ის გარემოებაც სახეზე იყო, რომ ეს ცვლილება სრულად მონეტარიზებულ სისტემაში მოხდა. ადამიანთა საზოგადოება უჯრედული პროცესების წინაშე დადგა, რომლის შედეგებიც სცდებოდა არსებული გამოცდილების ფარგლებს. როგორც შიგნიდან, ისე გარედან, გაუფასურებულ ვალუტებს საყრდენი ეცლებოდათ. სახელმწიფოებმა მეზობლებისგან განცალკევება იგრძვნეს, თითქოს უფსკრული ყოფდეთო. ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე ამ ყველაფერს სულ სხვაგვარი, ხშირად საწინააღმდეგო გავლენა

ჰქონდა. ინტელექტუალური საშუალო ფენა ფაქტობრივად პაუპერიზდა; ფინანსურმა ზვიგენებმა აურაცხელი ქონება დაახვავეს. სცენაზე უთვალავი მაინტეგრირებელი თუ დეზინტეგრაციის ხელშემწყობი ძალები გამოჩნდენ.

„კაპიტალის ფრენა“ახალი ხილი იყო. არც 1848 წელს, არც 1866 წელს, და 1871 წელსაც კი, მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. და მაინც, აშკარა იყო მისი გადამწყვეტი როლი საფრანგეთის ლიბერალური მთავრობების ჩამოგდებაში 1925 და მოგვიანებით ისევ 1938 წელს, ისევე როგორც გერმანიის ფაშისტური მოძრაობის განვითარებაში 1930 წელს.

ვალუტა ეროვნული პოლიტიკების საყრდენი წერტილი გახდა. თანამედროვე ფულის ეკონომიკის პირობებში არავის უნდა განეცადა მარცხი და გამოეცადა ფინანსური ტარიფების ყოველდღიური შემცირება თუ გაფართოება. მოსახლეობები ვალუტაში გაცნობიერდნენ; რეალურ შემოსავალზე ინფლაციის გავლენა წინასწარ იყო გათვლილი და შემოსავლიდან ჩამოწერილი მასების მიერ; კაცებიც და ქალებიც სტაბილურ ფულს ადამიანთა საზოგადოებაში უზენაეს საჭიროებად განიხილავდნენ. მაგრამ ასეთი გაცნობიერებულობა იმის აღიარებასაც ნიშნავდა, რომ ვალუტა შესაძლოა ეროვნულ საზღვრებს მიღმა არსებულ პოლიტიკურ ფაქტორებზე ყოფილიყო დამოკიდებული. შესაბამისად, სოციალურმა *გადატრიალებამ*, რომელმაც ნდობა შეარყია მონეტარული საშუალებების თანდაყოლილი სტაბილურობისადმი, ასევე დაამსხვრია ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკაში ფინანსური სუვერენიტეტის გულუბრყვილო კონცეფცია. აქედან გამომდინარე, ვალუტასთან დაკავშირებული შიდა კრიზისი მნიშვნელოვან საგარეო პრობლემებს გამოიწვევდა.

ოქროს სტანდარტისადმი რწმენა ეპოქის რწმენა იყო. ზოგთან ეს რწმენა გულუბრყვილო იყო, ზოგთან კრიტიკული, სხვებთან – ეშმაკეული კრედოთი გამოხატული, რომელიც გულისხმობდა ხორციელად მიღებას და სულიერად უარყოფას. თუმცა, თავად რწმენა ერთნაირი იყო, და სახელდობრ შემდეგს გულისხმობდა: ბანკნოტებს აქვთ ღირებულება, რადგან ისინი წარმოადგე-

ნენ ოქროს. მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ თავად ოქროს რატომ ჰქონდა ღირებულება: სოციალისტები როგორც ამბობდნენ, შრომას რომ განასახიერებდა იმიტომ, თუ როგორც ორთოდოქსული დოქტრინა ამტკიცებდა, სასარგებლო და იშვიათი რომ იყო იმ მიზეზის გამო. სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის ბრძოლამ უგულვებელყო ფულის საკითხი, რამაც კაპიტალისტები და სოციალისტები სასწაულებრივად გააერთიანა. სადაც რიკარდო და მარქსი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ, მეცხრამეტე საუკუნე ეჭვს ვერ შეიტანდა. ბისმარკი და ლასალი, ჯონ სტიუარტ მილი და ჰენრი ჯორჯი, ფილიპ სნოუდენი და ქელვინ ქულიჯი, მიზესი და ტროცკი – ყველანი თანაბრად დანებდნენ ბედს. კარლ მარქსმა უდიდესი ტკივილები გაიარა იმისათვის, რათა ეჩვენებინა, რომ პრუდონის უტოპიური ჩანაწერები შრომაზე (რომელიც ვალუტის ჩანაცვლებას ეხებოდა) საკუთარი თავის მოტყუებას ემყარებოდა; და „*კაპიტალი*“ (*Das Kapital*) გულისხმობდა ფულის სასაქონლო თეორიას, რიკარდოსეული ფორმით. რუსი ბოლშევიკი სოკოლნიკოვი იყო პირველი ომისშემდგომი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ვალუტა ოქროს პირობებით აღადგინა; გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ჰილფერდინგმა საფრთხეში ჩააგდო საკუთარი პარტია მყარი სავალუტო პრინციპების ერთგული ადვოკატირებით; ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი ოტო ბაუერი მხარს უჭერდა მონეტარულ პრინციპებს კრონის აღდგენის ხაზგასმით, რაც მისი შეუვალი ოპონენტის, ზაიპელის მიერ იყო ასევე ნაცადი; ინგლისელი სოციალისტი, ფილიპ სნოუდენი ლეიბორისტების წინააღმდეგ გამოვიდა, როდესაც ირწმუნა, რომ ფუნტი სტერლინგი მათ ხელში უსაფრთხოდ ვერ იქნებოდა; ხოლო დუჩემ ლირა ოქროსთან მიმართებაში 90-ზე დაამკვიდრა, რაზეც დაიფიცა, რომ თავსაც გასწირავდა მისი სიმყარის დასაცავად. ამ საკითხზე რთული იქნებოდა რაიმე ტიპის წინააღმდეგობის მოძებნა ჰუვერისა და ლენინის, ჩერჩილისა და მუსოლინის გამონათქვამებს შორის. მართლაც, ოქროს სტანდარტის მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისთვის ერთადერთი დოგმა იყო იმ დროში ყველა ერის, კლასის,

რელიგიური მრწამსისა და სოციალური ფილოსოფიის ადამიანისთვის. ეს უხილავი რეალობა იყო, რომელზედაც სიცოცხლის სურვილს ჩაბღაუჭება შეეძლო, როდესაც კაცობრიობა ემზადებოდა მისი დაფშვნილი არსებობის აღსადგენად.

ძალისხმევა, რომელიც ჩაფლავდა, ყველაზე მასშტაბური იყო რაც კი მსოფლიოს უნახავს. ავსტრიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, ფინეთში, რუმინეთსა და საბერძნეთში, განადგურებული ვალუტების დასტაბილურება მხოლოდ რწმენის აქტი კი არ იყო ამ პატარა და სუსტი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით შიმშილობდნენ ოქროს სანაპიროების მისაღწევად, არამედ ამან მათი ძლიერი და მდიდარი სპონსორები – დასავლეთ ევროპელი გამარჯვებულებიც მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა. სანამ გამარჯვებულთა ვალუტები მერყეობდა, დაძაბულობა თვალშისაცემი არ გამხდარა; ისინი ისევ ისე აგრძელებდნენ საზღვარგარეთ გასესხებას, როგორც ომამდე, და ამდენად, ხელს უწყობდნენ დამარცხებული ერების ეკონომიკების შენარჩუნებას. მაგრამ როდესაც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ოქროს მიუბრუნდნენ, მათ მიერ სტაბილიზებულ მიმოცვლაზე არსებული წნეხი პრობლემური გახდა. საბოლოო ჯამში, ფუნტზე საიდუმლო შფოთვამ წამყვან ოქროს ქვეყნამდე – შეერთებულ შტატებამდეც მიაღწია. ამ წუხილმა, რომელიც ატლანტიკის სივრცეში ტრიალებდა, მოულოდნელად ამერიკა საფრთხის ზონაში გადაიყვანა. ეს ტექნიკურ ნაწილად გამოიყურება, მაგრამ კარგად უნდა იქნას გააზრებული. 1927 წელს, ამერიკის მიერ ფუნტი სტერლინგის მხარდაჭერა გულისხმობდა დაბალ საპროცენტო განაკვეთებს ნიუ-იორკში. ეს იმ მიზნით ხორციელდებოდა, რათა მას თავიდან აერიდებინა მსხვილი კაპიტალის მოძრაობა ლონდონიდან ნიუ-იორკამდე. ფედერალური სარეზერვო საბჭო ინგლისის ბანკს შეჰპირდა, რომ დაბალ საპროცენტო განაკვეთს შეინარჩუნებდა, მაგრამ ამ პერიოდში, თავად ამერიკა მაღალ განაკვეთებს საჭიროებდა, ვინაიდან მისი ფასების სისტემაში სახიფათო ინფლაცია დაიწყო (ეს მოვლენა სტაბილური ფასების სისტემის

არსებობამ შეაჩერა, რაც ღირებულების უზარმაზარი ვარდნის მიუხედავად შენარჩუნდა).

როდესაც ქანქარას მოსალოდნელმა ცვლილებამ, შვიდწლიანი კეთილდღეობის შემდეგ, 1929 წელს კარგა ხნით გადავადებული ფასების ვარდნა გამოიწვია, სიტუაცია უკვე უკიდურესად იყო დამძიმებული კრიპტოინფლაციის არსებული მდგომარეობით. დეფლაციის გამო წონადაკარგული მოვალეები გაუფასურებული კრედიტორების კოლაფსს უყურებდნენ. ეს ავისმომასწავებელი იყო. ამერიკამ, გათავისუფლების ინსტინქტური ჟესტით, ოქროსგან 1933 წელს დააღწია თავი და ამით, ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკის უკანასკნელი კვალიც გაქრა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული მოვლენების სიღრმისეულ მნიშვნელობას იმ დროისათვის ძნელად თუ ამჩნევდა ვინმე, ისტორიამ არსებული ტენდენციები უცაბედად შემოაბრუნა.

ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, ოქროს სტანდარტის აღდგენა მსოფლიო სოლიდარობის სიმბოლო იყო. ბრიუსელიდან სპასა და ჟენევაში, და ლონდონიდან ლოკარნოსა და ლოზანაში, აურაცხელი კონფერენციები ჩატარდა სტაბილური ვალუტების პოლიტიკური წინაპირობების შესამუშავებლად. თავად ერთა ლიგას შრომის საერთაშორისო ოფისი ნაწილობრივ იმ მიზნით დაამატეს, რომ ერებს შორის კონკურენციის პირობების გათანაბრება მომხდარიყო ისე, რომ გათავისუფლებულიყო ვაჭრობა ცხოვრების სტანდარტის გაუარესების გარეშე. ვალუტა წარმოადგენდა ვოლ სტრიტის მიერ ამუშავებული კამპანიების მთავარ საკითხს. ეს კამპანიები მიზნად ისახავდნენ ტრანსფერის პრობლემის დაძლევას და პირველ რიგში, რეპარაციების კომერციალიზებას, და შემდგომ კი – მათ მობილიზებას. რეაბილიტაციის პროცესის დამფინანსებლის როლს ჟენევა ასრულებდა, ხოლო ამ პროცესში, ლონდონის სიტისა და ვენის ნეოკლასიკური მონეტარული პურისტების კომბინირებული წნეხი ოქროს სტანდარტის სამსახურში იყო ჩამდგარი. ყველა საერთაშორისო მცდელობა საბოლოოდ ამ მიზნისკენ იყო მიმართული, და ეს მაშინ, როდესაც ეროვნული მთავრობები, როგორც წესი, საკუთარ

პოლიტიკებს ვალუტის შენარჩუნებისაკენ მიმართავდნენ: განსაკუთრებით კი იმ პოლიტიკებს, რომლებიც ეხებოდა საგარეო ვაჭრობას, სესხებს, საბანკო საქმიანობას, და მიმოცვლას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანხმდებოდა, რომ სტაბილური ვალუტა ვაჭრობის გათავისუფლებაზე იყო დამოკიდებული, თავისუფალი ვაჭრობის დოგმატიკოსების გარდა ყველამ იცოდა, რომ აუცილებელი იყო ისეთი ზომების მყისიერად მიღება, რომლებიც ყოველ მიზეზს გარეშე შეზღუდავდა უცხოურ ვაჭრობას და უცხოურ გადახდებს. იგივე გარემოებების გასამკლავებლად, უმრავლეს ქვეყნებში შეიმუშავეს კვოტები იმპორტზე, მორატორიუმები და შემაჩერებელი ხელშეკრულებები, ანგარიშსწორების სისტემები და ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები, ბარტერის ზომები, ემბარგოები კაპიტალის ექსპორტზე, უცხოური ვაჭრობის კონტროლი, და მიმოცვლის გამათანაბრებელი ფონდები. მაგრამ თვითკმარობის კოშმარი მუდმივად თან სდევდა ვალუტის დასაცავად გადადგმულ ნაბიჯებს. მაშინ, როდესაც ვაჭრობის გათავისუფლება იყო მიზანი, შედეგად მის შებოჭვას იღებდნენ. მსოფლიო ბაზრებზე წვდომის მოპოვების ნაცვლად, მთავრობები, საკუთარი ქმედებებით, თავიანთ ქვეყნებს ყოველგვარ საერთაშორისო კავშირებს უკრძალავდნენ: მუდმივად მზარდი მსხვერპლი იყო საჭირო იმისათვის, რომ ვაჭრობა მინიმალურად მაინც შენარჩუნებულიყო. ვალუტის საგარეო ღირებულების, როგორც საგარეო ვაჭრობის მედიუმის დაცვისკენ მიმართულმა გიჟურმა ძალისხმევებმა, ხალხი, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ავტარქიზებულ ეკონომიკაში ჩაითრია. მთელი რიგი შემზღუდველი ზომები, რომლებმაც ტრადიციული ეკონომიკიდან რადიკალური ჩამოშორება განაპირობეს, სინამდვილეში კონსერვატიული თავისუფალი ვაჭრობის შედეგი იყო.

ოქროს სტანდარტის საბოლოო დაცემით, ეს ტენდენცია მკვეთრად შეიცვალა. მსხვერპლი, რომელიც მის აღსადგენად იქნა გაღებული, ახლა კიდევ უნდა განხორციელებულიყო ამჯერად იმისათვის, რათა ოქროს სტანდარტის გარეშე ცხოვრება გამხდარიყო შესაძლებელი. იგივე ინსტიტუტები, რომლებიც სტაბი-

ლური ვალუტების სისტემების შესანარჩუნებლად ცხოვრებისა და ვაჭრობის შესაბოჭად მოიფიქრეს, ახლა იმისთვის გამოიყენებოდა, რომ ინდუსტრიული ცხოვრება შეეგუებინა მსგავსი სისტემის სამუდამო გაქრობისათვის. თანამედროვე ინდუსტრიის მექანიკური და ტექნოლოგიური სტრუქტურა შესაძლოა სწორედ იმიტომ გადაურჩა ოქროს სტანდარტის დაცემას, რომ ამ ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის ბრძოლის პროცესში, მსოფლიო ქვეცნობიერად ემზადებოდა ისეთი ქმედებისა და ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მისთვის აუცილებელი გახდებოდა ოქროს სტანდარტის გაუქმების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ახლა საპირისპირო განზრახვა არსებობდა; ქვეყნებში, რომლებმაც მიუღწეველი საწადელისათვის გაჭიანურებულ ბრძოლაში ყველაზე მეტად იზარალეს, უკან დახევის პროცესში ტიტანური ძალები იქნა გაშვებული. არც ერთა ლიგას, და არც *საერთაშორისო ფინანსებს* არ უარსებია ოქროს სტანდარტზე მეტ ხანს; მის გაქრობასთან ერთად, ლიგის ორგანიზებული მშვიდობის ინტერესიც და მისი უზრუნველყოფის უმთავრესი ინსტრუმენტებიც – როტშილდები და მორგანები – პოლიტიკიდან გაქრნენ. ოქროს ძაფის გაწყვეტა მსოფლიო რევოლუციის ნიშანი იყო.

მაგრამ ოქროს სტანდარტის მარცხს ბევრი არაფერი გამოუწვევია გარდა იმისა, რომ ამ მოვლენამ მონიშნა იმ ღონისძიების თარიღი, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ოქროს სტანდარტის მარცხს შეეძლო გამოეწვია. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, კრიზისს თან მოჰყვა – არც მეტი, არც ნაკლები – XIX საუკუნის ეროვნული ინსტიტუტების სრული ნგრევა. ამ ინსტიტუტებს ყველგან რადიკალურად ცვლიდნენ და ახალს აყალიბებდნენ. ბევრ ქვეყანაში, ლიბერალური სახელმწიფო ჩაანაცვლა ტოტალიტარულმა დიქტატურებმა, ხოლო საუკუნის უმთავრესი ინსტიტუტი – თავისუფალ ბაზრებზე დაფუძნებული წარმოება – ეკონომიკის ახალი ფორმებით ჩანაცვლდა. მაშინ, როდესაც დიდი სახელმწიფოები თავიდან იაზრებდნენ მათი აზროვნების საწყისებს, და მსოფლიოს დამორჩილების მიზნით

ერთვებოდნენ ომებში სამყაროს ბუნების აქამდე გაუგონარი კონცეფციების სახელით, კიდევ უფრო დიდი სახელმწიფოები თავისუფლების დაცვისკენ ისწრაფოდნენ, რამაც მათ ხელში ასევე აქამდე გაუგონარი მნიშვნელობა შეიძინა. საერთაშორისო სისტემის მარცხი, მიუხედავად იმისა, რომ ამან ტრანსფორმაცია გამოიწვია, ვერ ახსნიდა ამ ცვლილების სიღრმესა და შინაარსს. მართალია ჩვენთვის ცნობილია, თუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი ასე სწრაფად, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით იმის შესახებ, თუ საერთოდ რატომ მოხდა ეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ ტრანსფორმაციას თან დაერთო უპრეცედენტო მასშტაბის ომები. ისტორია სოციალური ცვლილებით აღიჭურვა; სახელმწიფოთა ბედი დაუკავშირდა მათ როლს ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაში. ასეთი სიმბიოზი საკითხთა ბუნებაში ძევს; მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული დონის ჯგუფებსა და სოციალურ ინსტიტუციებს საკუთარი საწყისები გააჩნიათ, გადარჩენისთვის ბრძოლის პროცესში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან. ასეთი სიმბიოზის ცნობილმა მაგალითმა კაპიტალიზმი ატლანტიკის სანაპიროს ქვეყნებს დაუკავშირა. კომერციული რევოლუცია, რომელიც ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიტალიზმის აღზევებასთან, გახდა პორტუგალიის, ესპანეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისისა და შეერთებული შტატების ძალაუფლების საშუალება. თითოეულმა მათგანმა სარგებელი ნახა ფართო და ღრმად ფესვებგამდგარი მოძრაობით, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, თავად კაპიტალიზმი სწორედ ამ ამომავალი ძალების საშუალებით იმკვიდრებდა თავს პლანეტაზე.

ეს წესი საპირისპიროდაც მოქმედებს. გადარჩენისათვის ბრძოლაში სახელმწიფო შესაძლოა იმის გამო აღმოჩნდეს უუნარო, რომ მისი ინსტიტუტები, ან ზოგიერთი მათგანი დასუსტებულია – მეორე მსოფლიო ომის დროს, ოქროს სტანდარტი მაგალითი იყო ასეთი მოძველებული მოწყობისა. მეორე მხრივ, ქვეყნები, რომლებიც საკუთარი მიზეზებით, სტატუს-კვოს ეწინააღმდეგებიან, სწრაფად აღმოაჩენდნენ არსებული ინსტიტუციური წესრიგის სისუსტეებს და მოიფიქრებდნენ ისეთი ინსტიტუტების

შექმნას, რომლებიც უკეთ მოერგებოდა მათ ინტერესებს. მსგავსი ჯგუფები ხელს კრავენ ხოლმე ისეთებს, რომლებიც ისედაც წაქცევის პირას არიან, ხოლო იკავებენ მათ, რომლების საკუთარი ორთქლით ისედაც აგრძელებენ არსებობას. ამიტომაც, შესაძლოა ისე ჩანდეს, თითქოს მათ წამოიწყეს სოციალური ცვლილების პროცესი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში, მისი ბენეფიციარები იყვნენ და შესაძლოა ტენდენციას კიდევაც ცვლიდნენ იმისათვის, რომ ამ ტენდენციას მათი მიზნებისათვის ემსახურა.

ამდენად, წაგების შემდეგ, გერმანია იმ პოზიციაზე იყო, რომ შეეძლო შეემჩნია XIX საუკუნის წესრიგის ფარული ხარვეზები და ეს ცოდნა წესრიგის ჩამოშლის დასაჩქარებლად გამოეყენებინა. 30-იან წლებში, გერმანიის იმ სახელმწიფო მოღვაწეთაგან, ვინც ამგვარი ნგრევისაკენ მიმართა გონება, ავისმომასწავებელი ინტელექტუალური უპირატესობა იგრძნობოდა. ეს ამოცანა ხშირად გულისხმობდა ფინანსების, ვაჭრობის, ომისა და სოციალური ორგანიზების საკითხებში ახალი მეთოდების განვითარებას, რა დროსაც ეს მოღვაწეები საკითხების საკუთარი პოლიტიკებისათვის სასიკეთოდ მომართვას ცდილობდნენ. თუმცა, თავად ეს პრობლემები არ იყო განზრახ შექმნილი მთავრობების მიერ, რომლებმაც ისინი თავიანთთვის სასარგებლო პრობლემებად აქციეს; ეს რეალური, ობიექტურად არსებული პრობლემები იყო, და ასევე დარჩებოდნენ მიუხედავად ცალკეული ქვეყნების ბედისა. ისევ და ისევ, განსხვავება პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის თვალსაჩინოა: პირველი, ჯერ კიდევ შეესატყვისებოდა XIX საუკუნის ომებს – ეს იყო ძალთა უბრალო კონფლიქტი, რომელიც ძალთა ბალანსის სისტემის შეცდომის გამო გაჩაღდა; ხოლო მეორე უკვე დიდწილად ქმნიდა მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებს მსოფლიოში.

ამ ყველაფერის გაგებამ უნდა შეგვაძლებინოს ამ პერიოდის მტკივნეული ეროვნული ისტორიების განსხვავება იმ სოციალური ტრანსფორმაციისაგან, რომელიც უკვე მიმდინარეობდა. ამის შედეგად, გამარტივდება იმის დანახვა, თუ როგორ შეუწყო ან შეუშალა ხელი უმთავრეს სოციალურ პროცესებთან კავშირმა

ძალაუფლების აქტორებს – გერმანიასა და რუსეთს, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს. მაგრამ იგივე შეიძლება ვთქვათ თავად სოციალურ პროცესებზეც: ფაშიზმმა და სოციალიზმა გზა იმ ცალკეული ძალების აღმავლობაში გამონახეს, რომლებიც მათ თავიანთი მრწამსის გავრცელებაში დაეხმარნენ. შესაბამისად, გერმანია და რუსეთი გახდნენ ფაშიზმისა და სოციალიზმის წარმომადგენლები მსოფლიო მასშტაბით. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ სოციალური მოძრაობების ნამდვილი მასშტაბი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიზომოს, თუ მათ ტრანსცენდენტულ ხასიათს გავაცნობიერებთ და მას იმ ეროვნული ინტერესებისაგან განყენებულად აღვიქვამთ, რომლებიც ამ მოძრაობების სამსახურში იყვნენ მობილიზებულნი.

როლები, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში გერმანია და რუსეთი, იტალია და იაპონია, ან დიდი ბრიტანეთი თუ შეერთებული შტატები თამაშობენ, უნივერსალურ ისტორიას კი ქმნიან, მაგრამ ამ წიგნის უშუალო ინტერესი მათი შესწავლა არ არის; თუმცა, ფაშიზმი და სოციალიზმი, ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაში – რომელიც წიგნისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენს – ცოცხალი ძალები იყვნენ. სასიცოცხლო ძალამ (Élan vital), რომელმაც გაუგებარი ბიძგი წარმოქმნა გერმანელ, რუს და ამერიკელ ხალხში, რამაც მათ კაცობრიობის ისტორიაში უფრო დიდი წვლილის აღიარება მოათხოვნინა, ნაწილობრივ აყალიბებს იმ წინაპირობებს, რომლის კონტექსტშიც ჩვენი ამბავი ვითარდება. ხოლო ფაშიზმისა და სოციალიზმის, ან თუნდაც ე.წ. „new deal”-ის იდეა თავად ამბის ნაწილია.

ამას კი მივყავართ ჩვენს მთავარ თეზისამდე, რომელიც ჯერ კიდევ დამტკიცებას საჭიროებს: კატაკლიზმის წყარო იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის უტოპიური მცდელობა, რომ თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემა შეექმნა. ასეთი თეზისი, სისტემას თითქმის მითიურ ძალებთან ერთად წარმოგვიდგენს; ესენია ძალთა ბალანსი, ოქროს სტანდარტი, და ლიბერალური სახელმწიფო; XIX საუკუნის ცივილიზაციის ეს საფუძვლები, საბოლოო ჯამში,

ერთი საერთო მატრიცის – თვითრეგულირებადი ბაზრის მიერ იყო შექმნილი.

ეს მტკიცება შოკისმომგვრელად თუ არა, ექსტრემალურად მაინც გამოიყურება. მაგრამ იმ ცივილიზაციის თავისებურება, რომლის დაცემასაც ჩვენ მოვესწარით, სწორედ ის იყო, რომ ის ეკონომიკურ საფუძვლებს ეყრდნობოდა. სხვა საზოგადოებები და ცივილიზაციებიც ყოფილან შეზღუდული მათი არსებობის მატერიალური პირობებით – ეს ადამიანთა ცხოვრების მახასიათებელი თვისებაა; და საერთოდ, ეს ყველანაირი ცხოვრების მახასიათებელია – რელიგიურის თუ არარელიგიურის, მატერიალისტურის თუ სულიერის. ეკონომიკური ფაქტორებით შეზღუდულია ყველა ტიპის საზოგადოება. მხოლოდ XIX საუკუნის ცივილიზაცია იყო ეკონომიკური ბუნების სრულიად განსხვავებული და გამორჩეული აზრით, ვინაიდან მან საკუთარი თავი იმგვარ მოტივზე დააფუძნა, რომელიც იშვიათად თუ იყო დასაბუთებულად მიჩნეული ადამიანთა საზოგადოებების ისტორიაში. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მანამდე, ცივილიზაცია იმ დონემდე არ მისულა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქცევა და ქმედება, კონკრეტულად კი, მოგებისაკენ სწრაფვა გაემართლებინოს. თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემა ერთადერთი იყო, რომელიც ამ პრინციპიდან ამოიზარდა.

მექანიზმი, რომელმაც მოგების ინტერესი აამოძავა, თავისი ეფექტურობით მხოლოდ რელიგიური სიფიცხის ყველაზე ძალადობრივ აფეთქებას შეიძლება შევადაროთ. ერთ თაობაში, მისი შეუქცევადი გავლენა ადამიანთა მთელს სამყაროს შეეხო. როგორც ყველასთვის ცნობილია, ის XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ინდუსტრიული რევოლუციის დროს, ინგლისში მომწიფდა. კონტინენტამდე და ამერიკამდე მან დაახლოებით 50 წლის შემდეგ ჩააღწია. საბოლოოდ, ინგლისში, კონტინენტზე თუ თავად ამერიკაშიც, მსგავსმა ალტერნატივებმა პრაქტიკად აქციეს ყოველდღიური საკითხები, ხოლო ამ ახლადდამკვიდრებული პრაქტიკის მახასიათებლები დასავლური ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში იდენტური იყო. ამგვარად, კატაკლიზმის საწყისების

გამოსავლენად, საბაზრო ეკონომიკის აღმავლობასა და მარცხს უნდა მივუბრუნდეთ.

საბაზრო საზოგადოება ინგლისში დაიბადა, თუმცა, მისმა სისუსტეეების ყველაზე ტრაგიკული სირთულეები კონტინენტზე გამოიხატა. იმისათვის, რომ გავიგოთ გერმანული ფაშიზმი, რიკარდოს ინგლისს უნდა დავუბრუნდეთ. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნე ინგლისის საუკუნე იყო. ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისური მოვლენა იყო. საბაზრო ეკონომიკა, თავისუფალი ბაზარი, და ოქროს სტანდარტი, ინგლისური გამოგონებები იყო. 20-იან წლებში ეს ინსტიტუტები ყველგან ჩამოიშალნენ, მაგრამ გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიაში, ეს მოვლენები უბრალოდ უფრო დრამატული იყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რა სცენარითა და ტემპერატურით განვითარდა საბოლოო მოვლენები, გრძელვადიანი ფაქტორები, რომლებმაც ამ ცივილიზაციის მარცხი განაპირობეს, ინდუსტრიული რევოლუციის დაბადების ადგილზე, ანუ ინგლისში უნდა იქნას შესწავლილი.

მეორე ნაწილი

საბაზრო ეკონომიკის ალმასვლა და მარცხი

[*I. Satanic Mill,*
ანუ, ეშმაკის წისქვილი]

თავი 3
„ეკონომიკური წინსვლა საცხოვრებელი პირობების საპირწონედ“

XVIII საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველს საწარმოო საშუალებების არნახული გაუმჯობესება წარმოადგენდა, რასაც უბრალო ხალხის საცხოვრებელი პირობების კატასტროფული გაუარესება მოჰყვა თან.

ჩვენ შევეცდებით ამ ცვლილებების ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენას. ცვლილებებისა, რომელთაც ყველაზე ნეგატიური გამოვლინება ინგლისში დაახლოებით ერთი საუკუნის წინ პოვეს. უნდა ავხსნათ, რას წარმოადგენდა ის “ეშმაკის წისქვილი“ – “satanic mill” – რომელიც ადამიანებს სრესდა და ერთიან, განურჩეველ მასად აქცევდა? რამდენად იყო ეს გამოწვეული ახალი ვითარებით? ან თუნდაც იმ ეკონომიკური დამოკიდებულებებით, რომლებიც ახალ ვითარებაში წარმოიქმნენ? რა მექანიზმი იყო ის, რა მიზეზითაც დაირღვა ძველი სოციალური ქსოვილი და განხორციელდა ადამიანისა და ბუნების ინტეგრაციის ახალი, თუმცა კი წარუმატებელი მცდელობა?

ლიბერალურ ფილოსოფიას არსად განუცდია ისეთი აშკარა კრახი, როგორც ცვლილების პრობლემის გააზრებისას. სპონტანურობის ემოციური რწმენით გულანთებულმა მისმა იდეოლოგე-

ბმა, ცვლილების შესახებ საღი აზრით ნაკარნახევი შეფასებები უარყვეს და მის სანაცვლოდ, გამოააშკარავეს მისტიკური მზაობა უპირობოდ მიეღოთ ეკონომიკური წინსვლის ნებისმიერი სოციალური შედეგი. პოლიტიკის მეცნიერებისა და სახელმწიფო მოხელეობის ელემენტარული ჭეშარიტებები თავდაპირველად ეჭვქვეშ დადგა, შემდგომ კი – დავიწყებას მიეცა. ბევრი განსჯა არ უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ უმართავი ცვლილების პროცესი, რომელიც ზედმეტად სწრაფად მიმდინარეობს, შეძლებისდაგვარად უნდა შენელდეს საზოგადოების კეთილდღეობის დაცვის მიზნით. ტრადიციული პოლიტიკისა და სახელმწიფო მმართველობის შესახებ არსებული ასეთი ბანალური ჭეშმარიტებები, რომლებიც ხშირად უბრალოდ ირეკლავდნენ ძველთაგან შემორჩენილ სოციალური ფილოსოფიის მოძღვრებებს, XIX საუკუნეში უხეშმა უტილიტარიზმმა განათლებული საზოგადოების აზროვნებიდან ამოძირკვა და უკვალოდ გააქრო. უტილიტარიზმთან ერთად, ადამიანთა გონებაში დაისადგურა შეუვალმა რწმენამ გაუკონტროლებელი ეკონომიკური ზრდის რეგენერაციული თვისებების არსებობის შესახებ.

ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა არასწორად გაიგო ინდუსტრიული რევოლუციის ისტორიის არსი, ვინაიდან, იგი ჯიუტად ცდილობდა სოციალური მოვლენების ეკონომიკური თვალსაზრისით შეფასებას. ამ მოსაზრების თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ მოვლენას, რომელიც, ერთი შეხედვით, შესაძლოა სრულიად განსხვავებულ საკითხად მოგვეჩვენოს: ინგლისში, ტიუდორების მმართველობის ადრეულ პერიოდში, ვრცელი მინდვრების ღობით შემოსაზღვრისა და სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევის მიზნით, ლორდებმა უზარმაზარი სივრცეები და საერთო მიწები შემოღობეს. შედეგად, მთელ საგრაფოებს დეპოპულაციის საფრთხე დაემუქრა. როდესაც შემოღობვის შედეგად გასაჭირში ჩავარდნილი ხალხის მდგომარეობას ვიხსენებთ, ორი მიზანი გვამოძრავებს: ერთის მხრივ, გვსურს პარალელი გავავლოთ საერთო მიწების (საბოლოო ჯამში სასარგებლო) შემოღობვის გამანადგურებელ შედეგებსა და იმ ზიანს შორის,

რომელიც ინდუსტრიულ რევოლუციას მოყვა; ხოლო მეორეს მხრივ – და უფრო ზოგადი თვალსაზრისით – გვინდა ცხადვყოთ ის ალტერნატივები, რომელიც ხელში შერჩა დაურეგულირებელი ეკონომიკური განვითარების მარწუხებში მყოფ საზოგადოებას.

მიწის შემოღობვა აშკარა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა იმ შემთხვევაში, *თუკი* მათ საძოვრებად არ გადააქცევდნენ. შემოღობილი მიწის ფასი, შემოულობავთან შედარებით ორმაგი, და ხანდახან სამმაგიც კი იყო. იმ ადგილებში, სადაც სახნავ-სათესი სავარგულები შენარჩუნდა, დასაქმება არ შეწყვეტილა, ასევე საგრძნობლად იმატა საკვების მარაგმა. ამავე დროს, თვალსაჩინოდ გაიზარდა მიწისგან მიღებული სარგებელი, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც მიწა იჯარით იყო გაცემული.

თუმცა, გარშემო მცხოვრებთათვის სახნავ-სათესი მიწების ცხვრების საძოვრებად გადაქცევაც არ ყოფილა ბოლომდე საზიანო მიუხედავად იმისა, რომ ამით სამოსახლოები განადგურდა და სამუშაო ადგილები შემცირდა. შინამრეწველობა, ანუ კოტეჯების ინდუსტრია – *cottage industry* – XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარდებოდა და ერთი საუკუნის შემდეგ, ის ინგლისური სოფლის მახასიათებლად იქცა. ცხვრების ფერმებში მატყლის წარმოება სამუშაოთი უზრუნველყოფდა იმ წვრილ მოიჯარეებსა და უმიწაწყლო კოტეჯერებს, რომელთაც სახნავ-სათესები დააატოვებინეს. მატყლის ინდუსტრიის ახალი ცენტრები კი უამრავი ხელოსნისათვის იქცა გარანტირებული შემოსავლის წყაროდ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასეთი საკომპენსაციო მექანიზმის გარანტიის ქონა, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში კი, ცხვრის მოშენებისა და მატყლის გაყიდვის სარფიანი საქმიანობა შესაძლოა ქვეყნისათვის დამღუპველიც კი გახდეს. ცხვრებს, რომელთაც „ქვიშა ოქროდ“ აქციეს, ამავე წარმატებით შეეძლოთ „ოქროს ქვიშად“ გადაქცევა. საბოლოოდ, სწორედ ეს ბედი ეწია საუკუნის ესპანეთის მიწის რესურსს, როდესაც მეცხვარეობის საქმიანობის მეტისმეტი განვითარების გამო ნიადაგი გამოიფიტა და აღარაფერი ეშველა.

1607 წლის სამეფოს ლორდთათვის მომზადებულ ოფიციალურ დოკუმენტში, ცვლილების პრობლემა ერთი შთამბეჭდავი ფრაზით იყო გადმოცემული: „ღარიბ ადამიანს თავისი მიზანი – ანუ საცხოვრებლის პრობლემა – უნდა დაუკმაყოფილდეს; ხოლო ჯენტლმენებს არ უნდა შეეშალოთ ხელი თავიანთი მისწრაფებების – ანუ წინსვლისა და განვითარების მიზნების განხორციელებაში“. როგორც ჩანს, ეს ფორმულა უკრიტიკოდ იზიარებდა წმინდა ეკონომიკური პროგრესის თვისებას, რომ ეკონომიკური განვითარება სოციალური ცხოვრების მოშლის ხარჯზე უნდა მოხდეს.

თუმცა, ეს ფრაზა ასევე მიანიშნებდა იმ ტრაგიკულ აუცილებლობაზე, რომლითაც ღარიბი კაცი თავის ქოხს ებღაუჭება, ხოლო მისი ბედი განპირობებულია მდიდარი კაცის საზოგადოებრივი განვითარებისადმი მისწრაფებებით, რომელსაც სარგებელი მხოლოდ მისთვის მოაქვს.

საერთო მიწების შემოღობვის პროცესს მართებულად უწოდეს მდიდრების რევოლუცია, მიმართული ღარიბების წინააღმდეგ. ლორდებისა და წარჩინებული საზოგადოების სურვილებმა სოციალურ წესრიგში არეულობა შემოიტანა: ისინი არღვევდნენ ტრადიციულ წესებსა და ჩვეულებებს ხანდახან ძალის, უფრო ხშირად კი – ზეწოლისა და დაშინების მეშვეობით. საერთო მიწიდან წილის წართმევით, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით, ძარცვავდნენ ღარიბებს და ანგრევდნენ მათ სახლებს, რომელთაც ღარიბები აქამდე დაურღვეველი ადათ-წესების თანახმად, დიდი ხნიდან მიიჩნევდა თავისად და მისი მემკვიდრეების საკუთრებად. საზოგადოების ქსოვილი მოირღვა: გავერანებული სოფლები და ადამიანთა საცხოვრისების ნანგრევები იმას მოწმობდა, თუ როგორ მძვინვარებდა რევოლუცია, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის თავდაცვას, აცამტვერებდა მის ქალაქებს, ანადგურებდა ქვეყნის მოსახლეობას, მტვრად აქცევდა მის გამოფიტულ ნიადაგს, აკნინებდა და შეურაცხყოფდა ხალხს, და მიწის დამმუშავებელ, მშრომელ და წესიერ ადამიანებს მათხოვრებისა და ქურდების ბრბოდ აქცევდა. მიუხედავად იმისა,

რომ ეს პროცესები მხოლოდ ზოგიერთ ადგილას ხდებოდა, ისინი შესაძლოა ყოვლისმომცველ კატასტროფად ქცეულიყვნენ[1]. მეფე და მისი მრჩევლები, კანცლერები და სამღვდელო პირები, გაპარტახებისაგან იცავდნენ საზოგადოების სიმდიდრეს. ამით, ისინი ასევე იცავდნენ საზოგადოების ადამიანურ და ბუნებრივ არსს. 1940-იანი წლებიდან ვიდრე 1640-იან წლებამდე, ფაქტობრივად, საუკუნენახევრის განმავლობაში, ისინი შეუჩერებლად იბრძოდნენ დეპოპულაციის პროცესების წინააღმდეგ. კონტრრევოლუციამ, რომელმაც კანონთა კრებულიდან გააქრო კანონები შემოღობვის შესახებ და მესაქონლე ლორდების დიქტატურა დაამყარა, შეიწირა ლორდ პროტექტორ სომერსეტის სიცოცხლეც. ეს მოხდა „კეტის აჯანყების“ ჩახშობის შემდეგ, რომელსაც რამდენიმე ათასი გლეხის სიცოცხლე ემსხვერპლა. სომერსეტს ბრალი არც თუ უსაფუძვლოდ იმაში დასდეს, რომ მან მიწის შემოღობვის დაგმობით, ამბოხებული გლეხები შეაგულიანა.

მხოლოდ ასი წლის შემდეგ მოიკრიბეს იმავე მოწინააღმდეგეებმა ძალა და ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდნენ. თუმცა, ამჯერად შემოღობვის ინიციატორები ლორდები და დიდგვაროვნები კი არ იყვნენ, არამედ, მათ მეტწილად ვაჭრები და სოფლის მდიდარი ჯენტლმენები წარმოადგენდნენ. დიდი პოლიტიკა, საერო თუ საეკლესიო დონეზე, ახლა უკვე ჩართული იყო მონარქის მიერ კარგად დაგეგმილ პროცესში, რისი საშუალებითაც მონარქი მის პრეროგატივას იყენებდა შემოღობვის პროცესების თავიდან ასაცილებლად. არანაკლებ კარგად იყო დაგეგმილი პროცესი, რომლის საშუალებითაც შემოღობვის საკითხის გამოყენება ხდებოდა მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიასთან – ჯენტრისთან – კონსტიტუციურ ბრძოლაში მონარქის პოზიციების გასაძლიერებლად. ეს სწორედ ის ბრძოლა იყო, რომელმაც პარლამენტის ხელით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა სტრაფორდსა და ლოდს. მაგრამ მათი ეს პოლიტიკა არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც რეაქციული იყო; მეტიც, შემოღობილი მიწე-

[1] *Tawney, R. H., The Agrarian Problem in the Sixteenth Century, 1912*

ბი ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა უკვე არა საძოვრებად, არამედ სახნავ-სათესად უნდოდათ. მალევე, სამოქალაქო ომის ტალღამ სამუდამოდ შთანთქა ტიუდორებისა და სტიუარტების ადრეული პერიოდის საზოგადოებრივი პოლიტიკა.

XIX საუკუნის ისტორიკოსები ერთხმად გმობდნენ ტიუდორებისა და სტიუარტების ადრეული ხანის პოლიტიკას და თუ პირდაპირ რეაქციულს არ უწოდებდნენ, დემაგოგიურად მაინც მიიჩნევდნენ მას. ბუნებრივია, მათ სიმპათიას პარლამენტი იმსახურებდა, ხოლო ეს ორგანო შემომღობველთა მხარეს იყო. ჰენრი დე ბელტენგს გიბინსი, მიუხედავად იმისა, რომ უბრალო ხალხის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო, წერდა: „ასეთი დამცავი კანონები, როგორც ზოგადად, დამცავი კანონების შემთხვევაში ხდება ხოლმე, სრულიად ფუჭი აღმოჩნდა.[1]“ ინესი თავის შეფასებაში კიდევ უფრო მკაფიო იყო: „როგორც მოსალოდნელი იყო, მაწანწალათა დასჯის ჩვეულმა ზომებმა, მცდელობამ, რომ ინდუსტრია ძალით გადაეტანათ მისთვის შეუფერებელ სფეროში, და სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად კაპიტალის მიმართვამ ნაკლებად მომგებიან ინვესტიციებზე- არ გაამართლა.[2]“ გერდნერი თავისუფალი ვაჭრობის ცნებებს უყოყმანოდ მიიჩნევდა „ეკონომიკურ კანონად:“ „თავისთავად ცხადია, რომ მაშინ ეკონომიკური კანონებისა არა გაეგებოდათ რა,“ – წერდა ის, – „ამიტომ იყო, რომ კანონმდებლობა ცდილობდა თავიდან აეცილებინა მშრომელების საცხოვრებლების დანგრევა მიწის მესაკუთრეთა მხრიდან, რომელთათვისაც სარფიანი იყო სახნავი მიწის საძოვრებად გადაქცევა მატყლის ოდენობის გასაზრდელად. ამ საკანონმდებლო აქტების ხშირი და განმეორებითი მიღება მხოლოდ იმას ადასტურებს, თუ რამდენად არაეფექტური იყო ისინი პრაქტიკაში.“[3] სულ ახლახან, ისეთი ეკონომისტი, როგორიც ჰეკშერია, დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მერკანტილიზმი, დიდწი-

---

1 Gibbins, H. de B., *The Industrial History of England,* 1895.

2 Innes, A. D., *England under the Tudors,* 1932.

3 Gairdner, J., “Henry VIII,” *in Cambridge Modern History,* Vol. ll, 1918.

ლად იმ გაუგებრობით უნდა აიხსნას, რომელიც თან ახლავს ეკონომიკური ფენომენის სირთულეს. ვინაიდან, ადამიანის გონებას ამ საგნის სიღრმისეული გაგებისა და დაუფლებისათვის აშკარად სჭირდებოდა კიდევ რამდენიმე საუკუნე.[1] სინამდვილეში, ცხადი იყო, რომ მიწის შემოღობვის საწინააღმდეგო კანონმდებლობით ვერასდროს ხერხდებოდა შემოღობვის მოძრაობის შეჩერება. მეტიც, მას ამ პროცესისათვის სერიოზულად ხელიც კი არ შეუშლია. ჯონ ჰეილსმა, რომელიც ინგლისის თანამეგობრობის ხალხთა პრინციპების თავგამოდებით დაცვაში ტოლს არავის უდებდა, აღიარა, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მტკიცებულებების შეგროვება შემომღობველთა წინააღმდეგ, ვინაიდან, ნაფიც მსაჯულთა რიგებში, ხშირად მათი მსახურები ხვდებოდნენ, და რომ მათი „დამქაშებისა და მათზე დამოკიდებული მუქთახორების რიცხვი იმდენი იყო, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელი იყო მსაჯულთა რიგების შევსება.“ ზოგჯერ, მინდვრის გასწვრივ ერთი სახნავი კვალის გავლებაც კი შველოდა და სასჯელისაგან ათავისუფლებდა სამართალდამრღვევ ლორდს.

კერძო ინტერესების სასარგებლოდ სამართლის ასეთი მარტივი დაჯაბნა ხშირად კანონმდებლობის არაეფექტურობის დამადასტურებელ ნიშნად განიხილება ხოლმე. ხოლო ამ ამაოდ შებრძოლებული ტენდენციის გამარჯვება მიჩნეულია მანამდეც ფუჭად შერაცხილი „რეაქციული ინტერვენციონიზმის“ საბოლოო მტკიცებულებად. თუმცა, ასეთი ხედვა უმთავრეს საკითხს მთლიანად უგულებელყოფს. რატომ უნდა მივიჩნიოთ ამ ტენდენციის საბოლოო გამარჯვება იმის დასტურად, რომ მთელი ამ პროცესის შენელებისკენ მიმართული ძალისხმევები არაეფექტური იყო? და რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ მიღებული ზომების მიზანი სწორედ ის იყო, რასაც მათ მიაღწიეს ცვლილების ტემპის შენელების სახით? გარკვეული ასპექტი, რომელიც მთლიანი პროცესის შესაჩერებლად არაეფექტური აღმოჩნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მიზეზით იგი მთლიანობაშიც არაეფექტურად

[1] Heckscher, E. F., *Mercantilism,* 1935, Vol. II, p. 104.

უნდა მივიჩნიოთ. ცვლილების ტემპი ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ცვლილების მიმართულება; მაგრამ თუ მიმართულების განსაზღვრა ხშირად ჩვენს ნება-სურვილზე არ არის ხოლმე დამოკიდებული, სწორედ ცვლილების ტემპი შესაძლოა აღმოჩნდეს ჩვენს ნებაზე დამოკიდებული.

სპონტანური პროგრესის რწმენით დაბრმავებულნი უნდა ვიყოთ, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში მთავრობის როლი ვერ გავიაზროთ. ასეთი როლი შესაძლოა იყოს ცვლილების სიჩქარეზე ზემოქმედება: მისი დაჩქარება ან შენელება ვითარების შესაბამისად. თუ მივიჩნევთ, რომ ტემპზე ზემოქმედება შეუძლებელია – ან კიდევ უარესი, თუ ამ პროცესში ჩარევას მიუღებლად მივიჩნევთ, მაშინ, ცხადია, ჩარევისათვის ადგილი აღარ რჩება. მიწის შემოღობვის პროცესი ამის მაგალითია. დღევანდელი გადმოსახედიდან, ძალზედ თვალსაჩინოა ეკონომიკური პროგრესის დასავლეთ ევროპული ტენდენცია, რომელიც მიზნად ისახავდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, ზოლმიწიანობისა და საერთო მიწების პირველყოფილი ინსტიტუტის ხელოვნურად შენარჩუნებული ერთგვაროვნების აღმოფხვრას. რაც შეეხება ინგლისს, ეჭვგარეშეა, რომ მატყლის ინდუსტრიის განვითარება ქვეყნისათვის მომგებიანი აღმოჩნდა, რამაც, თავის მხრივ, შემდგომში ბამბის მრეწველობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბამბის მრეწველობა კი, ინდუსტრიული რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. მეტიც, ცხადია, რომ საშინაო საფეიქრო წარმოების ზრდა დამოკიდებული იყო ქვეყნისათვის მატყლის მომარაგებაზე. ეს ფაქტები კმარა იმის დასტურად, რომ სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევა და მისი თანამდევი შემოღობვის მოძრაობა ეკონომიკური პროგრესის მანიშნებელ ტენდენციად მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, რომ არა ტიუდორებისა და სტიუარტების ადრეული პერიოდის სახელმწიფო მოღვაწეების თანმიმდევრული პოლიტიკა, ეს სწრაფი ცვლილებები შესაძლოა დამანგრეველი ყოფილიყო და მთელი ეს პროცესი კონსტრუქციულის ნაცვლად, დესტრუქციულ მოვლენად ქცეულიყო. დიდწილად სწორედ ცვლილების ტემპზე იყო დამოკიდებული ის,

თუ რამდენად შეძლებდნენ საკუთრებაჩამორთმეული გლეხები შეცვლილ პირობებთან შეგუებას ისე, რომ ახალ ვითარებას ფატალური ზიანი არ მიეყენებინა მათი ადამიანური, ეკონომიკური, ფიზიკური თუ მორალური სტაბილურობისათვის; ან რამდენად იპოვიდნენ ისინი ახალ სამუშაო ადგილს იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომელიც ირიბად სწორედ ცვლილებებს უკავშირდებოდა; ან კიდევ, ექსპორტის ზრდის შედეგად გაზრდილი იმპორტი რამდენად შეაძლებინებდა მათ, ვინც ამ ცვლილებების გამო სამუშაო დაკარგეს, ახალი საარსებო წყაროების მოძიებას.

ამ შეკითხვებზე პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში დამოკიდებული იყო ცვლილებისა და მასთან შეგუების ფარდობით ტემპებზე. ეკონომიკური თეორიისათვის დამახასიათებელი „გრძელვადიანი“ გათვლები აქ დაუშვებელია. მსგავსი თეორიული გათვლებით, იმთავითვე განსჯილი და ნავარაუდევი იქნებოდა, რომ ეს მოვლენა საბაზრო სისტემის ფარგლებში განხორციელდა. ასეთი ვარაუდი კი, რაც არ უნდა ბუნებრივად მოგვეჩვენოს, გაუმართლებელია: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადვილად გვავიწყდება ხოლმე, ასეთი სისტემა ის ინსტიტუციური სტრუქტურაა, რომელიც, ჩვენს დრომდე არასდროს არსებულა და იმ პერიოდშიც კი, მხოლოდ ნაწილობრივ იყო წარმოდგენილი. ამ გარემოების გათვალისწინების გარეშე, „გრძელვადიან“ გათვლებზე საუბარს აზრი არა აქვს. თუ ცვლილების მყისიერი შედეგი საზიანოა, მაშინ, საბოლოო შედეგიც საზიანო იქნება საპირისპიროს დადასტურებამდე. თუკი სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევა გამოიწვევს გარკვეული ოდენობის სახლების ნგრევას, და გარკვეული ოდენობით სამუშაო ადგილებისა და ადგილობრივად ხელმისაწვდომი საკვების მარაგების შემცირებას, მაშინ ისინი საბოლოო შედეგებად უნდა იქნას მიჩნეული მანამ, სანამ საპირისპირო მტკიცებულება არ გაჩნდება. ეს სულაც არ ნიშნავს ისეთი საკითხების გაუთვალისწინებლობას, როგორიც არის გაზრდილი ექსპორტის შესაძლო გავლენები მიწათმფლობელთა შემოსავლებზე, ადგილობრივი წარმოების მატყლით მომარაგების ზრდის შედეგად გაჩენილი დასაქმების შესაძლო შანსები, ან თუნდაც, მიწათმ-

ფლობელთა გაზრდილი შემოსავლის გამოყენების საკითხი შემდგომი ინვესტირებისა თუ ფუფუნების საგნებისათვის. ცვლილების ტემპის შედარება ადაპტაციის ტემპთან გვიჩვენებს, თუ რა უნდა იქნას მიჩნეული ცვლილების რეალურ შედეგად. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ვივარაუდოთ საბაზრო კანონების ფუნქციონირება მანამ, სანამ თვითრეგულირებადი ბაზრის არსებობა მტკიცებულებებით არ დადასტურდება. საბაზრო კანონები რელევანტურია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ გარემოში; ამდენად, ტიუდორების ხანის ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეები კი არ უგულებელყოფდნენ ფაქტებს, არამედ, თანამედროვე ეკონომისტები, ვინაიდან, მათი მხრიდან, ტიუდორების მისამართით გამოთქმული მკაცრი კრიტიკა სწორედ საბაზრო სისტემის არსებობის ვარაუდს ეფუძნებოდა.

ინგლისმა მხოლოდ იმიტომ შეძლო შემოღობვით გამოწვეული კატასტროფული ზიანის აცილება, რომ ტიუდორები და ადრეული პერიოდის სტიუარტები მონარქის ძალაუფლებას პროცესის დასამუხრუჭებლად იყენებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ პროცესით გამოწვეული ზიანი ხალხისათვის ასატანი გახდებოდა. ტრანსფორმაციის მსხვერპლთა ხვედრის შემსუბუქების მიზნით, ისინი იყენებდნენ ცენტრალური მთავრობის ძალაუფლებას. ამასთან, ცვლილების წარმართვას ისე ცდილობდნენ, რომ ის სოციალურად ნაკლებ დამანგრეველი ყოფილიყო. მათი კანცლერები და სასამართლოები – *courts of prerogative* – იდეურად კონსერვატიულები სულაც არ იყვნენ; მათ სახელმწიფოს მართვის მეცნიერული სულისკვეთება ამოძრავებდათ: მხარს უჭერდნენ უცხოელი ხელოსნების ჩამოყვანას, გულმოდგინედ ნერგავდნენ ახალ ტექნიკას, ითვისებდნენ სტატისტიკურ მეთოდებსა და ზუსტი ანგარიშგების ჩვევებს, არაფრად აგდებდნენ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ეწინააღმდეგებოდნენ ჩვეულებით დადგენილ უფლებებს, ამცირებდნენ საეკლესიო პრივილეგიებსა და უგულებელყოფდნენ საერთო სამართლის ნორმებს. თუკი ინოვაცია რევოლუციონერს წარმოქმნის, მაშინ ისინი თავიანთი ეპოქის რევოლუციონერები იყვნენ. მათი თავდადება უბრალო

ხალხის კეთილდღეობისკენ იყო მიმართული და მონარქის ძლევამოსილებასა და სიდიადეს განამტკიცებდა; მიუხედავად ამისა, მომავალი ეკუთვნოდა კონსტიტუციონალიზმსა და პარლამენტს. მონარქიულმა მმართველობამ ადგილი დაუთმო კლასის მმართველობას – კლასისა, რომელიც წინ წაუძღვა ინდუსტრიულ და კომერციულ პროგრესს. კონსტიტუციონალიზმის დიადი პრინციპი შეერწყა პოლიტიკურ რევოლუციას. ამ უკანასკნელმა უფლებები ჩამოართვა მონარქს, რომელსაც იმ დროისათვის ყველანაირი შემოქმედებითი უნარი დაკარგული ჰქონდა, ხოლო მისი დამცავი ფუნქცია იმ ქვეყნისათვის, რომელსაც გარდამავალი პერიოდის ქარიშხალი უკვე გადალახული ჰქონდა, სასიცოცხლო აღარ იყო. მონარქიულმა ფინანსურმა პოლიტიკამ ქვეყნის ძლიერება მეტისმეტად შეზღუდა და ახლა უკვე მისი ვაჭრობის შეზღუდვაც დაიწყო. პრივილეგიების შენარჩუნებას მონარქია მათი ბოროტად გამოყენებით ცდილობდა, და ამით აზიანებდა ქვეყნის რესურსებს. შრომისა და ინდუსტრიის არნახული განკარგვა და შემოღობვის მოძრაობის ფრთხილი და წინდახედული კონტროლი მონარქის უკანასკნელ მიღწევებს წარმოადგენდა. მაგრამ, ვინაიდან, კაპიტალისტები და მზარდი საშუალო კლასის დამსაქმებლები გვევლინებოდნენ დამცავი ზომების უმთავრეს დაზარალებულებად, ეს მიღწევები ადვილად მიეცა დავიწყებას. მომდევნო ორი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ინგლისს ხელახლა ჰქონოდა ისეთივე ეფექტური და მოწესრიგებული სოციალური პოლიტიკა, როგორიც თანამეგობრობამ მოსპო. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი პატერნალისტური პოლიტიკის საჭიროება ახლა ნაკლებად იდგა. მაგრამ ორსაუკუნოვანმა წყვეტამ უზარმაზარი ზიანი მოიტანა იმ თვალსაზრისით, რომ ხელი შეუწყო ერის მეხსიერებიდან ამოშლილიყო შემოღობვის პერიოდის საშინელებანი და ის მიღწევები, რომლებიც მთავრობის მიერ დეპოპულაციის საფრთხის დაძლევა იყო. შესაძლოა ამ ფაქტით აიხსნას ის, თუ რატომ ვერ მოხერხდა კრიზისის რეალური ბუნების გააზრება 150 წლის შემდეგაც, როდესაც ინდუსტრიული რევოლუციის

ფორმით, მსგავსი კატასტროფა დაემუქრა ქვეყნის ცხოვრებასა და კეთილდღეობას.

ამჯერადაც, ეს სპეციფიკური ინგლისური მოვლენა იყო; როგორც მაშინ, ისე ახლაც, საზღვაო ვაჭრობა წარმოადგენდა იმ მოძრაობის მიზეზს, რომელმაც გავლენა მთელს ქვეყანაზე იქონია; და ამჯერადაც, უზარმაზარი მასშტაბის ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია უბრალო ხალხის საცხოვრებელი პირობების აქამდე არნახული გაუარესება. სანამ პროცესი ძალზე შორს წავიდოდა, მშრომელმა ხალხმა ახლად აოხრებულ-გაპარტახებულ ადგილებში, ინგლისის ე.წ. ინდუსტრიულ ქალაქებში მოიყარა თავი; სოფლის ხალხს ჯურღმულებში ცხოვრებისაგან ადამიანური სახე დაეკარგათ; ოჯახები დაღუპვის პირად იყვნენ; ხოლო სოფლების ვრცელი ტერიტორიები სწრაფად ქრებოდნენ „ეშმაკის წისქვილებიდან“ გადმონთხეული ინდუსტრიული ნარჩენების – ქვანახშირის მტვრისა და ჯართის გროვების ქვეშ. ნებისმიერი მიკუთვნებულობისა თუ მსოფლმხედველობის წარმომადგენელი კომენტატორები, განურჩევლად იმისა, კონსერვატორები იყვნენ თუ ლიბერალები, კაპიტალისტები თუ სოციალისტები, ინდუსტრიული რევოლუციის მიერ წარმოქმნილ სოციალურ პირობებს ადამიანის დეგრადაციისკენ მიმართულ ნამდვილ უფსკრულად მოიაზრებდნენ.

ამ მოვლენის ამომწურავი ახსნა ჯერაც არ არსებობს. თანამედროვეებმა წარმოიდგინეს, რომ მათ ამ წყევლის საფუძველს სიმდიდრისა და სიღარიბის წარმმართველ იმ მკაცრ კანონზომიერებებში მიაგნეს, რასაც ისინი ანაზღაურების კანონსა და მოსახლეობის კანონს უწოდებდნენ; ეს კანონზომიერებები არ დადასტურდა. სიმდიდრისა და სიღარიბის კიდევ ერთ ამხსნელ ფაქტორად ექსპლუატაცია იქნა მოაზრებული, მაგრამ ეს ფაქტორი ვერ ხსნიდა იმ გარემოებას, რომ ანაზღაურება მომდევნო საუკუნის განმავლობაში, მთლიანობაში მზარდი იყო. ყველაზე ხშირად, სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობას იშველიებდნენ, რაც ასევე არ იყო დამაჯერებელი.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ახსნა მარტივი სულაც არ არის: მეტიც, ის ამ წიგნის უდიდეს ნაწილს შეადგენს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ინგლისს სოციალური რყევების ტალღამ გადაუარა, რომელიც შემოღობვის პერიოდის ფარგლებს გასცდა; რომ ეს კატასტროფა თან სდევდა ეკონომიკური განვითარების ფართომასშტაბიან ცვლილებებს; რომ დასავლურ საზოგადოებაზე სრულიად ახალმა ინსტიტუციურმა მექანიზმმა დაიწყო ზემოქმედება; რომ მისი საფრთხეები, რომელთაც თავიდანვე უზარმაზარი ზარალი გამოიწვიეს, არასოდეს გადალახულა; და რომ XIX საუკუნის ცივილიზაციის ისტორია დიდწილად შედგება საზოგადოების მცდელობისაგან დაეცვა თავი ასეთი მექანიზმის გამანადგურებელი შედეგებისაგან. ინდუსტრიული რევოლუცია მხოლოდ დასაწყისი იყო ისეთი ექსტრემალური და რადიკალური რევოლუციისა, რომლის მსგავსიც სექტანტებს თუ მოუვიდოდათ თავში. მაგრამ ახალი კრედო უკიდურესად მატერიალისტური იყო და ეფუძნებოდა რწმენას, რომ ადამიანთა ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა მხოლოდ შეუზღუდავი მატერიალური კეთილდღეობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

ბევრჯერ თქმულა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიწვია ინდუსტრიული რევოლუცია ბაზრების გაფართოებამ, ქვანახშირისა და რკინის მადნების არსებობამ, ბამბის ინდუსტრიისათვის ხელსაყრელმა ნოტიო კლიმატმა, იმ ადამიანთა სიმრავლემაც, რომელთაც XVIII საუკუნის შემოღობვის ცნობილი პროცესების შედეგად საკუთრება ჩამოერთვათ, ასევე თავისუფალი ინსტიტუტების არსებობამ, დანადგარების გამოგონებამ და სხვა ურთიერთდაკავშირებულმა მიზეზებმა. დასკვნის სახით წარმოჩინდა, რომ ამ მიზეზთა ჯაჭვისგან არც ერთის გამოყოფა და ამ უცაბედი და მოულოდნელი მოვლენის მთავარ გამომწვევად მიჩნევა არ იქნება მართებული.

მაგრამ როგორ უნდა განვმარტოთ თავად ეს რევოლუცია? რა იყო მისი ძირითადი მახასიათებელი – ინდუსტრიული ქალაქების გაჩენა და ჯურღმულების წარმოქმნა, თუ ბავშვთა უგრძესი სამუშაო საათები და დაბალი ანაზღაურება გარკვეული კატეგორიის

მშრომელებისთვის, თუ მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ინდუსტრიათა კონცენტრაცია? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს, უბრალოდ თან დაერთო ერთ ძირითად ცვლილებას – საბაზრო ეკონომიკის დამყარებას, ხოლო ამ ინსტიტუციის ბუნების სრული გააზრება შეუძლებელია იმის გაცნობიერების გარეშე, თუ რა გავლენა ჰქონდა მანქანა-დანადგარებს კომერციულ საზოგადოებაზე. ჩვენ არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი რაც მოხდა, მანქანა-დანადგარებმა გამოიწვია. თუმცა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მას შემდეგ, რაც კომერციულ საზოგადოებაში წარმოების პროცესში დახვეწილი მანქანებისა და დანადგარების გამოყენება დაიწყეს, თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემის იდეა აუცილებლად შეისხამდა ხორცს.

აგრარულ და კომერციულ საზოგადოებაში, სპეციალიზებული მანქანა-დანადგარების გამოყენება ყოველთვის იწვევს კონკრეტულ შედეგებს. ასეთი საზოგადოება შედგება სოფლის მეურნეობის მიმდევრებისა და ვაჭრებისაგან, რომლებიც ყიდულობენ და ყიდიან მიწისგან მიღებულ დოვლათს. სპეციალიზებული, დახვეწილი და ძვირადღირებული ხელსაწყოებითა და დანადგარებით წარმოებას მსგავს საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს აზრი, თუ ის ყიდვა-გაყიდვას დაექვემდებარება. ვაჭარი აქ ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც ამის უზრუნველყოფა შეუძლია, და ის მზადაა ამის საკეთებლად იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა მას არ აზარალებს. ის საქონელს ისევე გაყიდის, როგორც სხვა დროს ყიდდა, ანუ მოთხოვნის შესაბამისად. თუმცა, საქონელს ის ამჯერად განსხვავებულად შეისყიდის. კერძოდ, მზა პროდუქტს კი არ იყიდის, არამედ შეიძენს აუცილებელ შრომასა და ნედლეულს. ვაჭრის მითითების მიხედვით ამ ორი ელემენტის შეჯერება და ზედ დამატებული გარკვეული საცდელი დრო, საბოლოო ჯამში, წარმოქმნის ახალ პროდუქტს. ეს ყველაფერი მხოლოდ შინამრეწველობის ან ე.წ. „გადაბარების სისტემის“ აღწერას კი არ წარმოადგენს, არამედ ნებისმიერი ტიპის, მათ შორის ჩვენი დროის ინდუსტრიული კაპი-

ტალიზმის რაობას. სოციალური სისტემისათვის მნიშვნელოვანი შედეგები ამ ყველაფრის მხოლოდ თანამდევია.

დახვეწილი მანქანა-დანადგარები ვინაიდან ძვირია, მათი დახმარებით დიდი ოდენობის საქონელი არ იწარმოება, ამიტომ ისინი ამონაგებს არ იძლევიან.[1] ამ დანადგარების ამუშავება დანაკარგის გარეშე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საქონლის გასაღების საკითხი უზრუნველყოფილია, ხოლო წარმოების პროცესი არ ბრკოლდება წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის არქონის გამო. მოვაჭრისათვის ეს ნიშნავს, რომ წარმოების ყველა ფაქტორი უნდა იყიდებოდეს, ანუ, ისინი სასურველი რაოდენობით ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერისათვის, ვინც თანხას გადაიხდის. მანამ კი, სანამ ეს პირობა არ დაკმაყოფილდება, სპეციალიზებული მანქანა-დანადგარებით წარმოების დაწყება ძალზე სარისკოა როგორც ვაჭრისათვის, რომელიც პროცესში თანხას აბანდებს, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის, რომელიც შემოსავლის, დასაქმებისა და აუცილებელი მარაგების კუთხით, დამოკიდებული ხდება წარმოების უწყვეტ პროცესზე.

აგრარულ საზოგადოებაში, ასეთი პირობები ბუნებრივად ვერ წარმოიქმნებოდა: ისინი განგებ უნდა შეექმნათ. ის ფაქტი, რომ მსგავსი პირობები მხოლოდ თანდათანობით შეიქმნებოდა, არანაირად არ ცვლის მოსალოდნელი ცვლილებების განსაკუთრებულ ხასიათს. ტრანსფორმაცია გულისხმობს საზოგადოების წევრების მხრიდან ქმედების მოტივის შეცვლას: სარჩოს მოპოვების მოტივი მოგების მოტივს უნდა ჩაენაცვლებინა. ასეთ დროს, ყველა გარიგება ფულად გარიგებად იქცევა და ეს, თავის მხრივ, საჭიროებს გაცვლის საშუალების დამკვიდრებას ინდუსტრიული ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ამგვარ სისტემაში, ყველა შემოსავალი რაიმეს გაყიდვიდან უნდა წარმოიშვას, და საიდანაც არ უნდა იღებდეს პიროვნება რეალურ შემოსავალს, მის წყაროდ გაყიდვები უნდა ჩაითვალოს. მარტივი ტერმინი – „საბაზრო სისტემა“

[1] Clapham, J. H., *Economic History of Modern Britain*, Vol. III.

– რომელსაც ჩვენ ზემოთ აღწერილი ინსტიტუციური მოდელის სახელად ვიყენებთ, სწორედ ამას გულისხმობს. მაგრამ ამგვარი სისტემის მეტად საკვირველი თავისებურება ის არის, რომ თუ ის ერთხელ უკვე დამყარდება, მისი ფუნქციონირება უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე. აქ უკვე მოგება გარანტირებული აღარ არის – ახლა ვაჭარმა სარგებელი ბაზარზე უნდა ნახოს. ფასებს თვითრეგულირების საშუალება უნდა მიეცეთ. სწორედ ბაზრების ასეთი თვითრეგულირებადი სისტემაა ის, რასაც ჩვენ საბაზრო ეკონომიკას ვუწოდებთ.

ადრეული ეკონომიკის ამ სისტემად გარდაქმნა იმდენად დასრულებული პროცესია, რომ ის მუხლუხოს მეტამორფოზას უფრო წააგავს, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახეცვალებადობას, რომელიც შესაძლოა უწყვეტი ზრდისა და განვითარების ტერმინებით აღიწეროს. შეადარეთ მაგალითად ვაჭარ-მწარმოებლის გაყიდვების საქმიანობა, მის შესყიდვების საქმიანობას: ის წარმოებულ საქონელს ყიდის; ის, თუ რამდენად წარმატებული იქნება მყიდველის მოძიებაში, საზოგადოების სტრუქტურაზე გავლენას არ იქონიებს. მაგრამ რასაც თავად *ყიდულობს*, ეს ნედლეული და შრომა, ანუ ბუნება და ადამიანია. კომერციულ საზოგადოებაში, მანქანა-დანადგარების საშუალებით წარმოება, ფაქტობრივად, მოითხოვს საზოგადოების ბუნებრივი და ადამიანური საფუძვლის საქონლად გადაქცევას. დასკვნა უცნაური, მაგრამ გარდუვალია და მისი გაცხადების გარეშე ჩვენი მიზანი მიუღწეველი დარჩება; აშკარაა, რომ ასეთი მექანიზმებით გაპირობებული სოციალური ქსოვილის მორღვევა, ადამიანური ურთიერთობების მოშლას გამოიწვევდა, ხოლო მის ბუნებრივ გარემოს განადგურებით დაემუქრებოდა.

ფაქტობრივად, ასეთი საფრთხე გარდაუვალი იყო. ჩვენ ამ საფრთხის რეალური მახასიათებლების გააზრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუკი იმ კანონებს გამოვიკვლევთ, რომლებიც თვითრეგულირებად ბაზარს მართავდნენ.

თავი 4
საზოგადოებები და ეკონომიკური სისტემები

საბაზრო ეკონომიკის კანონები XIX საუკუნეში ყალიბდებოდა. სანამ ამ კანონების განხილვას გავაგრძელებთ, პირველ რიგში, კარგად უნდა გავიაზროთ ის უცნაური ვარაუდები, რომლებიც ამ სისტემას ედო საფუძვლად.

საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს ბაზრების თვითრეგულირებად სისტემას; ოდნავ უფრო ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, ეს არის ეკონომიკა, რომელიც იმართება საბაზრო ფასებით, და არაფრით საბაზრო ფასების გარდა. ასეთ სისტემას მთლიანი ეკონომიკური ცხოვრების გარე დახმარებისა თუ ჩარევის გარეშე ორგანიზება რომ შესძლებოდა, მაშინ ნამდვილად დაიმსახურებდა „თვითრეგულირებად“ სისტემად მოხსენიებას. ეს უხეში მაჩვენებელი საკმარისი უნდა იყოს კაცობრიობის ისტორიაში ამ სარისკო წამოწყების ყოვლად უპრეცედენტო ბუნების საჩვენებლად.

მოდით უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ის, თუ რას ვგულისხმობთ ამაში. ბუნებრივად, ვერც ერთი საზოგადოება, ერთი დღეც ვერ იარსებებდა რაიმე ტიპის ეკონომიკის გარეშე; მაგრამ ჩვენს დრომდე, არც ერთი არსებული ეკონომიკა, პრინციპების დონეზეც კი არ ყოფილა მართული ბაზრებით. XIX საუკუნეში გავრცელებული ჯგუფური აკადემიური შელოცვების მიუხედავად, გაცვლის შედეგად მიღებული სარგებელი და მოგება არასდროს თამაშობ-

და მნიშვნელოვან როლს ადამიანთა ეკონომიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი, როგორც ინსტიტუტი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული გვიანი ქვის ხანიდან მოყოლებული, მისი როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში არასდროს აჭარბებდა თანმხლების როლს.

ამ თეზისის განსამტკიცებლად კარგი მიზეზი გვაქვს, ვინაიდან ჩვენს ხელთაა ყველა არგუმენტი. ადამ სმიტის მასშტაბის მოაზროვნემ შემოგვთავაზა, რომ შრომის დანაწილება საზოგადოებაში დამოკიდებული იყო ბაზრების არსებობაზე. ან, როგორც მან თქვა ადამიანის „მიდრეკილებაზე განახორციელოს ბარტერული ქმედება, მიმოცვლა, და ერთი საგნის მეორეზე გაცვლა.“ ამ ფრაზამ მოგვიანებით „ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფცია წარმოქმნა. რეტროსპექტიულად რომ შევხედოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარსულის არასწორი წაკითხვა, არასდროს ყოფილა მომავლის ასე ზედმიწევნით განმჭვრეტელი. თუ ადამ სმიტის პერიოდამდე, არც ერთი გამოკვლეული საზოგადოების ცხოვრებაში, ეს მიდრეკილება დიდად არ არსებობდა და ის მეტწილად ეკონომიკურ ცხოვრებას დაქვემდებარებული მახასიათებელი იყო, ასი წლის შემდეგ, ინდუსტრიული სისტემა პლანეტის უდიდეს ნაწილში სრულად შემოტრიალდა. პრაქტიკასა თუ თეორიაში, ეს ნიშნავდა, რომ ადამიანთა მოდგმა პოლიტიკურ, ინტელექტუალურ, და სულიერების სფეროებში თუ არა, ეკონომიკურ აქტივობებში შეიჭრა ამ კონკრეტული მიდრეკილებით. ჰერბერტ სპენსერმა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, შრომის დანაწილების პრინციპი გააიგივა ბარტერსა და გაცვლასთან, ხოლო მომდევნო 50 წლის შემდეგ, ლუდვიგ ვონ მიზესმა და ვალტერ ლიპმანმა იგივე შეცდომა გაიმეორეს. იმ პერიოდისათვის, არგუმენტებისა და კამათის აუცილებლობა არ იდგა. მთელი რიგი ავტორები პოლიტიკურ ეკონომიკაში, სოციალურ ისტორიაში, პოლიტიკურ ფილოსოფიასა და ზოგად სოციოლოგიაში სმიტის გზას გაყვნენ და მისი პარადიგმა ველური ბარტერის შესახებ საკუთარ სამეცნიერო სფეროებში აქსიომად დააფუძნეს. ფაქტობრივად, ადამ სმიტის გააზრებები ადრეული

ადამიანის ეკონომიკური ფსიქოლოგიის შესახებ ისევე მცდარი იყო, როგორც რუსოს მოსაზრებები ველურთა პოლიტიკურ ფსიქოლოგიაზე. შრომის დანაწილება, რაც ძველი საზოგადოების ფენომენია, ისეთი განსხვავებებიდან არის წამოზრდილი, როგორიც არის სქესი, გეოგრაფია, და ბუნებით მინიჭებული ინდივიდუალური ნიჭი; ხოლო მტკიცება ადამიანის ბარტერისა და მიმოცვლისკენ მიდრეკილების შესახებ, თითქმის მთლიანად აპოკრიფულია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორია და ეთნოგრაფია იცნობს უამრავი ტიპის ეკონომიკას, რომელთა უმეტესობა მოიცავდა საბაზრო ინსტიტუტებს, ჩვენს დრომდე, იგი ისტორია არ იცნობს არც ერთ ეკონომიკას, რომელიც თუნდაც მიახლოებული დოზით კონტროლდება და რეგულირდება ბაზრების მიერ. ეკონომიკური სისტემებისა და ბაზრების ისტორიისათვის თვალის შევლებაც საკმარისია იმისათვის, რათა ეს ფაქტი თვალსაჩინო გახდეს. ამ ისტორიაში გამოჩნდება, რომ ის როლი, რომლებიც ბაზრებმა სხვადასხვა ქვეყნების შიდა ეკონომიკებში შეასრულეს, თანამედროვე ეპოქამდე უმნიშვნელო იყო, და მკაფიოდ გამოიკვეთება ის განსხვავებები, რაც საბაზრო ქცევით დომინირებულ ეკონომიკაზე გადასვლას ახასიათებს.

დასაწყისისათვის, XIX საუკუნის ის ზოგიერთი ცრურწმენა უნდა გავაბათილოთ, რომელიც საფუძვლად ედო ადამ სმიტის ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ პრიმიტიულ ადამიანს მომგებიანი საქმიანობისკენ სწრაფვა ახასიათებს. ვინაიდან მისი აქსიომა უფრო მეტად მომავალს მიესადაგებოდა, ვიდრე მკრთალ წარსულს, სმიტის მიმდევრებში ამ აზრმა უცნაური დამოკიდებულება წარმოშვა ადამიანის ადრეული ისტორიის მიმართ. ამის საპირისპიროდ, მტკიცებულებები იმას მიუთითებდნენ, რომ პრიმიტიული ადამიანი, რომელიც შორს იყო კაპიტალისტური ფსიქოლოგიისგან, ატარებდა კომუნისტურ ფსიქოლოგიას (მოგვიანებით, ეს დაშვებაც შეცდომა აღმოჩნდა). შედეგად, ეკონომიკის ისტორიკოსები საკუთარ ინტერესებს ისტორიის შედარებით ადრეულ პერიოდს უთმობდნენ, რა დროშიც გაცვლისა და მიმოცვლის პოვნა ნებისმიერი მასშტაბით შეიძლებოდა. პრიმიტიული ეკონომიკები

კი პრეისტორიულ პერიოდში იქნა გადასროლილი. ამან გაუცნობიერებლად ის გამოიწვია, რომ საბაზრო ფსიქოლოგიით აიხსნა ბევრი რამ, ვინაიდან ისე მოკლე დროის განმავლობაში, როგორც გასული რამდენიმე საუკუნეა, მიუხედავად ამ პერიოდში არსებული ყველა სხვა ტენდენციისა რომელიც დროებით ჩაიყლაპა, ნებისმიერ მოვლენას შეეძლო დაეფუძნებინა ის, რაც შემდგომში დაფუძნდა – ანუ, საბაზრო სისტემა. ამ „ვიწრო დროითი პერსპექტივის“ კორექტირება ის იქნებოდა, თუ ეკონომიკის ისტორიას სოციალურ ანთროპოლოგიას დავუკავშირებთ, რასაც მუდმივად იცილებენ ხოლმე თავიდან.

ამ გზით სვლას დღეს უკვე ვეღარ გავაგრძელებთ. ჩვევა, რომ ათი ათასი წლის წინ არსებული სიტუაცია, ისევე როგორც ადრეული საზოგადოებების მახასიათებლები, იმ ჩვენი ცივილიზაციის ნამდვილი ისტორიის უბრალო პრელუდიად აღვიქვათ, რომელიც ათვლას დაახლოებით 1776 წელს, „ხალხთა სიმდიდრის“ გამოქვეყნებისას იწყებს – როგორც მინიმუმ, მოძველებულია. ეს სწორედ ის ეპიზოდია, რომელმაც ჩვენს დროში საკუთარი თავი უკვე ამოწურა, და სამომავლო ალტერნატივების გააზრების მცდელობისას, ჩვენ აუცილებლად უნდა შევასუსტოთ ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილება მივყვეთ მამების მისწრაფებებს. მაგრამ იგივე მიკერძოებამ, რომელმაც ადამ სმიტის თაობას პირველყოფილი ადამიანი ბარტერისა და გაცვლისკენ მიდრეკილად წარმოაჩენინა, განაპირობა მათი მემკვიდრეების მიერ ადრეული ადამიანის მიმართ ინტერესის არ არსებობა. ვინაიდან ამჯერად, მას იცნობდნენ როგორც აქტორს, რომელსაც არ ჰქონია როლი ამ სანაქებო ვნებების განვითარებაში. კლასიკურ ეკონომისტთა ტრადიციამ – რომელიც ცდილობს საბაზრო კანონები ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებზე დააფუძნოს – გააქრო ნებისმიერი ინტერესი „არაცივილიზებული“ კულტურების ადამიანების მიმართ, ვინაიდან ეს არარელევანტურად ჩაითვალა ჩვენი ეპოქის პრობლემების გაგების პროცესში.

ადრეულ ცივილიზაციებთან მიმართებაში ამგვარ სუბიექტივიზმით გამსჭვალულ დამოკიდებულებას მეცნიერული გონისკენ

სწრაფვა არ უნდა ჰქონდეს. განსხვავებები, რომლებიც ცივილიზებულსა და „არაცივილიზებულ“ ხალხებს შორის არსებობს, დიდწილად გაზვიადებულია, განსაკუთრებით კი ეკონომიკის სფეროში. ისტორიკოსთა მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ევროპაში, ინდუსტრიული ცხოვრების წესები ბოლო პერიოდამდე დიდად არ განსხვავდებოდა იმ წესებისაგან, რომლებიც რამდენიმე ათასი წლით ადრე არსებობდა. სახნავი გუთნის შემოღების შემდეგ – რომელიც ცხოველების საშუალებით ფართოდ თოხნიდა მიწას – სოფლის მეურნეობის მეთოდები დასავლეთ და ცენტრალური ევროპის უდიდეს ნაწილში თანამედროვე ეპოქამდე არ შეცვლილა. ფაქტობრივად, ცივილიზაციის პროგრესი ამ რეგიონებში გამოიხატებოდა პოლიტიკურ, ინტელექტუალურ, და სულიერ ასპექტებში; ხოლო მატერიალურ პირობებს რაც შეეხებათ, ქრისტესშობიდან 1100 წელს, დასავლეთ ევროპა ათასი წლით უკან მყოფ რომაულ სამყაროს ძნელად თუ უდებდა ტოლს. თუნდაც შემდგომში, ცვლილება უფრო ადვილად ვრცელდებოდა სახელმწიფო საქმის, ლიტერატურის, და ხელოვნების, განსაკუთრებით კი რელიგიისა და ცოდნის არხებით, ვიდრე ინდუსტრიაში. ეკონომიკის სფეროში, შუა საუკუნეების ევროპა დიდწილად უძველესი სპარსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის დონეზე იდგა, და მისი სიმდიდრითა და კულტურით ვერც კი შეედრებოდა ორი ათასი წლის წინანდელ ეგვიპტის ახალ სამეფოს. თანამედროვე ეკონომიკის ისტორიკოსებს შორის, მაქს ვებერი პირველი იყო, ვინც გააპროტესტა პრიმიტიული ეკონომიკის უგულებელყოფა ცივილიზებული საზოგადოებების მოტივებისა და მექანიზმების გაგების მცდელობისას. თავისი შემდგომი ნაშრომით სოციალურ ანთროპოლოგიაში, ის ემპათიურად მართალი აღმოჩნდა. ვინაიდან თუ ადრეული საზოგადოებების ბოლო კვლევებისაგან ერთი დასკვნა მეორეზე უფრო მკაფიოდ განსხვავდება, ეს ადამიანის, როგორც სოციალური არსების უცვლელობას უნდა დავაბრალო. ადამიანის ბუნებრივი ნიჭები გასაოცარი მუდმივობით იჩენს ხოლმე თავს ყველა დროისა და მდებარეობის საზოგადოებებში;

ხოლო ადამიანთა საზოგადოების გადარჩენისათვის აუცილებელი წინაპირობები ყოველთვის ერთი და იგივეა.

ბოლოდროინდელი ისტორიული და ანთროპოლოგიური კვლევების გამორჩეული აღმოჩენა ის არის, რომ ადამიანის ეკონომიკა, როგორც წესი, მის სოციალურ ურთიერთობებშია ჩაბეტონებული. მისი ქცევა არ არის განპირობებული მისი ინდივიდუალური ინტერესით ფლობდეს მატერიალურ საგნებს; მისი ქცევა განპირობებულია მისი სოციალური პოზიციის, სოციალური მოთხოვნების, სოციალური აქტივების უზრუნველყოფის სურვილით. ის აფასებს მატერიალურ საგნებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ამ მიზნების მიღწევაში ეხმარებიან. არც წარმოების, და არც დისტრიბუციის პროცესი დაკავშირებული არ არის კონკრეტულ ეკონომიკურ ინტერესთან, რომელიც მატერიალური საგნების ფლობას გულისხმობს; მაგრამ ამ პროცესში, ყოველი ნაბიჯი მორგებულია სოციალურ ინტერესებს, რომლებიც საბოლოოდ უზრუნველყოფენ ამ ნაბიჯების განხორციელებას. ეს ინტერესები დიდ დესპოტურ საზოგადოებებში განსხვავებული იქნება მონადირეთა ან მეთევზეთა მცირე კომუნების ინტერესებისაგან, მაგრამ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში წარმართული იქნება არაეკონომიკური მოტივებით.

თვითგადარჩენის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ეს მარტივი ახსნაა. მაგალითად ავიღოთ ტრაიბალური საზოგადოება. აქ ინდივიდს მსხვილი ეკონომიკური ინტერესი იშვიათად ახასიათებს, ვინაიდან საზოგადოება თავის წევრებს შიმშილისაგან იცავს იმ შემთხვევის გარდა, თუ თავადაც კატასტროფის მსხვერპლი არ არის, რომლის დროსაც ინტერესები არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად დგება საფრთხის ქვეშ. მეორე მხრივ, სოციალური კავშირების შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უპირველესად იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის მისაღები პატივისცემისა თუ გულუხვობის კოდექსების უგულებელყოფით, ინდივიდი წყვეტს კავშირს საზოგადოებასთან და განდევნილი ხდება. მეორეც, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში, ყველანაირი სოციალური ვალდებულება ორმხრივია, მათი შესრულება

გაცემისა და მიღების მიმართ ადამიანის ინტერესებსაც აკმაყოფილებს. ასეთმა სიტუაციამ ინდივიდზე მუდმივი წნეხი უნდა განახორციელოს, რათა ის ცნობიერებაში ებრძოლოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესისკენ სწრაფვას იმ დონემდე, რომ ბევრ შემთხვევაში (თუმცა არა ყველაში) მან ასეთი ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი ველარ შეძლოს საკუთარი ქმედებების გავლენის გააზრება. ეს დამოკიდებულება ძლიერდება იმგვარი კომუნალური აქტივობების სიხშირით, როგორიც არის საერთო კულტურათა რესურსებიდან საკვების განაწილება, ან კიდევ შორეული და საშიში ტრაიბალური ექსპედიციების ნადავლის გაზიარება. ხელგაშლილობისათვის განსაზღვრული საბოლოო ჯილდო, რომელიც სოციალური პრესტიჟის საზომებშია გამოთვლილი, იმდენად დიდია, რომ საკუთარი თავის დავიწყების გარდა, ნებისმიერი სხვა ტიპის ქცევა არანაირ შედეგს არ იძლევა. პიროვნულ ხასიათს ამ საკითხთან დიდი კავშირი არ აქვს. ადამიანი ერთი ტიპის ღირებულებებთან მიმართებაშიც ისეთივე კეთილი ან ბოროტი, სოციალური ან ასოციალური, შურიანი ან ხელგაშლილი შეიძლება იყოს, როგორც სხვა ღირებულებებთან მიმართებაში. ეჭვიანობის შესახებ მსჯელობის აკრძალვა ცერემონიული დისტრიბუციისათვის მიღებული პრინციპია, ისევე როგორც ქების საჯაროდ გამოთქმაა სავალდებულო შრომისმოყვარე, დაოსტატებული, ან სხვა რაიმე კუთხით წარმატებული მებაღის მისამართით (თუ ის *ზედმეტად* წარმატებული არ არის, რა შემთხვევაშიც მას შესაძლოა მისცენ ნელი სიკვდილის ნება იმ ილუზიის შექმნით, რომ ის შავი მაგიის მსხვერპლია). ადამიანის ვნებები, კარგი თუ ცუდი, მიმართულია მხოლოდ არაეკონომიკური მიზნებისაკენ. ცერემონიული დემონსტრაცია შეჯიბრებითობის უკიდურესად გაღვივებას უწყობს ხელს, ხოლო კომუნალური შრომის ჩვევა უაღრესად მაღალ რაოდენობრივ და თვისებრივ სტანდარტებს აწესებს. მიმოცვლის აქტი უფასო საჩუქრების საშუალებით, რომელსაც თან ახლავს ორმხრივობის, ანუ ნაცვალგების მოლოდინი – თუმცა არა აუცილებლად იგივე ინდივიდების მიერ – წარმოადგენს პროცედურას, რომელიც ყო-

ველწუთიერად არტიკულირებული და შესანიშნავად დაცულია საჯაროობის საგულდაგულოდ შემუშავებული მეთოდებით, მაგიური წესებითა და დაფუძნებული „დუალობებით," რომელთა მიხედვითაც, ჯგუფები ერთმანეთთან ვალდებულებებით არიან დაკავშირებულნი. მიმოცვლის ასეთმა ქმედებამ თავისთავად უნდა ახსნას მოგებისა თუ სიმდიდრის ცნებების არარსებობა, გარდა იმგვარი შემთხვევისა, როდესაც მაგალითად სიმდიდრე გულისხმობს სოციალური პრესტიჟის განმსაზღვრელ ტრადიციულ საგნებს.

დასავლეთ მელანეზიური საზოგადოების მახასიათებლების ამ ზოგად მონახაზში, ჩვენ არ გაგვითვალისწინებია მისი სექსუალური თუ ტერიტორიული ორგანიზება, რაზეც გავლენა აქვს ჩვეულებას, კანონს, მაგიასა და რელიგიას. ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდოდა, თუ როგორ იბადება ე.წ. ეკონომიკური მოტივები სოციალური ცხოვრების კონტექსტიდან. სწორედ ამ ნეგატიურ საკითხებზე თანხმდებიან თანამედროვე ეთნოგრაფები: მოგების მოტივის არარსებობაზე; ანაზღაურებისათვის განხორციელებული შრომის პრინციპის არარსებობაზე; ყველაზე ნაკლები ძალისხმევის პრინციპის არარსებობაზე; და განსაკუთრებით, ნებისმიერი იმგვარი ცალკეული და გამორჩეული ინსტიტუტის არარსებობაზე, რომელიც ეკონომიკურ მოტივებზე იქნებოდა დაფუძნებული. ჩნდება კითხვა: მაშ როგორ ხდებოდა წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესში წესრიგის უზრუნველყოფა?

ამის პასუხი უმთავრესად ქცევის იმ ორ პრინციპშია, რომლებიც უშუალოდ ეკონომიკასთან არ ასოცირდებიან. ეს პრინციპებია: *ნაცვალგება* და *რედისტრიბუცია*[1]. დასავლეთ მალანეზიის ტრობრიანის კუნძულელებისათვის, რომლებიც ამ ტიპის ეკონომიკის ილუსტრაციას წარმოადგენენ, ნაცვალგება მეტწილად მუშაობს საზოგადოების სექსუალური ორგანიზების საკითხში, რაც გულისხმობს ოჯახსა და ნათესაობას; რედისტრიბუცია კი, უმე-

[1] Cf. Notes on Sources, p. 277. ამ თავში ხშირად არის გამოყენებული მალინოვსკისა და თურნვალდის ნაშრომები.

ტესად ქმედითია მათთან მიმართებაში, ვისაც საერთო ხელმძღვანელი ჰყავს, და შესაბამისად, ის ტერიტორიული ხასიათისაა. მოდით თითოეული ეს პრინციპი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ოჯახის – ანუ ქალისა და შვილების დაპურება წარმოადგენს დედის მხრიდან ნათესავების ვალდებულებას. მამაკაცი, რომელიც მისი დისა და დის ოჯახისათვის ზრუნავს და მათ მოსავლის საუკეთესო სახეობებით ამარაგებს, ნდობას ძირითადად მისი კარგი ქცევის გამო იმსახურებს, მაგრამ სანაცვლოდ რაიმე განსაკუთრებულ პირდაპირ მატერიალურ სარგებელს ვერ იღებს; თუკი ის სუსტია, მაშინ პირველ რიგში, მისი რეპუტაცია ზარალდება. სწორედ მისი ცოლისა და შვილების სასარგებლოდ მუშაობს ნაცვალგების პრინციპი, რომელიც მის შრომას ეკონომიკურ კომპენსაციას უკეთებს მის მიერ განხორციელებული სამოქალაქო სიკეთის გამო. საკვების ცერემონიული დემონსტრირება როგორც მის საკუთარ ბაღში, ისე საკვების მიმღების საწყობში უზრუნველყოფს იმას, რომ ყველასთვის ცნობილი იყოს მისი უმაღლესი ხარისხის მებაღეობის შესახებ. აშკარაა, რომ ამ საზოგადოებაში, ბაღჩისა და შინამეურნეობის ეკონომიკა ქმნის სოციალური ურთიერთობების იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია კარგ ქმრობასა და კარგ მოქალაქეობასთან. ნაცვალგების ფართო პრინციპი ეხმარება და უზრუნველყოფს როგორც წარმოებას, ისე ოჯახის დაპურებას.

არანაკლებ ეფექტურია რედისტრიბუციის პრინციპი. კუნძულის მთელი წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის სოფლის თავკაცთან, რომელიც ნაწარმს შესანახ საწყობებში ინახავს. მაგრამ ვინაიდან ყველა კომუნალური ქმედება ნადიმების, ცეკვებისა და სხვა მოვლენების ირგვლივ ტრიალებს, რომლის დროსაც კუნძულელები ერთმანეთს და სხვა კუნძულებიდან მოსულ მეზობლებს ართობენ (სადაც ერთმანეთს გადასცემენ ხოლმე შორ მანძილზე შეძენილ ნავაჭრსა და საჩუქრებს, და ეტიკეტის წესების მიხედვით ახორციელებდნენ ნაცვალგებას, ხოლო უფროსი პირი ჩვეულებით მიღებულ საჩუქრებს გადასცემს ყველას) შესანახი სისტემის უდიდესი მნიშვნელობა აშკარა ხდება.

ეკონომიკურად, ეს ყველაფერი შრომის დანაწილების არსებული სისტემის, საგარეო ვაჭრობის, საჯარო მიზნებისათვის აკრეფილი გადასახადებისა და თავდაცვის მომარაგებისათვის აუცილებელი მოვლენებია. მაგრამ ნამდვილი ეკონომიკური სისტემის ეს ფუნქციები მთლიანად არის შთანთქმული იმ ინტენსიური და ცოცხალი გამოცდილებების მიერ, რომლებიც სოციალური სისტემის ჩარჩოებში შესრულებული თითოეული ქმედებით გვაცნობენ უამრავ არაეკონომიკურ მოტივაციას.

თუმცა, ქცევის ამგვარი პრინციპები ეფექტური ვერ გახდება თუ დამკვიდრებული ინსტიტუციური პრაქტიკა ამ პრინციპების გამოყენებას არ უზრუნველყოფს. ნაცვალგებისა და რედისტრიბუციის პრინციპებს შეუძლიათ ეკონომიკური სისტემის მუშაობა წერილობითი აღრიცხვისა და საგულდაგულოდ შემუშავებული ადმინისტრირების გარეშე უზრუნველყონ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საზოგადოებების ორგანიზება მიესადაგება ამგვარი გამოსავლის მოთხოვნებს ისეთი პატერნების საშუალებით, როგორიც არის *სიმეტრია* და *ცენტრულობა*.

ნაცვალგება – ანუ ორმხრივი ურთიერთობა – დიდწილად ხორციელდება *სიმეტრიის* ინსტიტუციური პრაქტიკის მეშვეობით, რაც ხშირად ახასიათებს გაუნათლებელი ხალხების სოციალურ ორგანიზებას. ის გასაოცარი „დუალობა," რომელსაც ჩვენ ტრაიბალურ ქვეჯგუფებში ვხვდებით, ინდივიდუალურ ურთიერთობებს აწყვილებს და შედეგად, ხელს უწყობს საქონლისა და სერვისების ცირკულაციას (მიღებასა და გაცემას) პერმანენტული აღრიცხვების არარსებობის ფონზე. ველური საზოგადოების ჯგუფები, რომლებიც თითოეული ქვეჯგუფისათვის „მეწყვილეს" ქმნიან ხოლმე, ნაცვალგების ქმედებების შედეგად წარმოიქმნებიან. გარდა ამისა, ეს დაწყვილება ხელს უწყობს ნაცვალგების ქმედების განხორციელებას, რომელიც სისტემის საყრდენიც არის. „დუალობის" საწყისებზე ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა, ტრობრიანის კუნძულებზე, სანაპიროზე განფენილ თითოეულ სოფელს, კუნძულის შიგნით თავისი მეწყვილე სოფელი ჰყავს, რომელთან ერთადაც, საჩუქრების ორმხრივი დისტრიბუციის

სახელით, დროდადრო ორგანიზებას უწევს პურის ნაყოფისა და თევზის პროდუქტების მნიშვნელოვან მიმოცვლას. კულას ვაჭრობისასაც, თითოეულ ინდივიდს ჰყავს პარტნიორი მეორე კუნძულზე, რაც საკმაო დოზით ახდენს ნაცვალგების პერსონიფიცირებას. მაგრამ ტომის ქვედანაყოფებში, დასახლების ადგილებში, და ტომთაშორის ურთიერთობებში, სიმეტრიის პრაქტიკის სიხშირის გამო, ფართო მასშტაბის ნაცვალგება, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ეყრდნობა მიღებისა და გაცემის განცალკევებულ ქმედებებს პრაქტიკაში ვერ განხორციელდებოდა.

ცენტრულობის ინსტიტუციური პრაქტიკა, რომელიც გარკვეული დოზით ადამიანთა ყველა ჯგუფში არსებობს, აკონტროლებს საქონლისა და სერვისების შეგროვებას, დასაწყობებასა და რედისტრიბუციას. ხშირად, მონადირე ტომის წევრები ნანადირევს გადასანაწილებლად უფროსს გადასცემენ ხოლმე. სამონადირო საქმიანობის ბუნება ის არის, რომ ნანადირევი კოლექტიური ძალისხმევის შედეგად არის მოპოვებული და თანაც არარეგულარულობა ახასიათებს. ამგვარ პირობებში, გადანაწილების სხვა მეთოდის პრაქტიკაში განხორციელება წარმოუდგენელია თუ არ გვინდა რომ ყოველი ნადირობის შემდგომ ჯგუფი დაიშალოს. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი ჯგუფი იყოს, ყველა ასეთი ტიპის ეკონომიკას მსგავსი საჭიროებები ახასიათებს. რაც უფრო დიდია ტერიტორია, და მრავალფეროვანია ნაწარმი, მისი გადანაწილება მით უფრო მეტად გამოიწვევს შრომის ეფექტურ გადანაწილებას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მწარმოებელთა გეოგრაფიულად განსხვავებული ჯგუფების დაკავშირებას.

სიმეტრია და ცენტრულობა ნაწილობრივ აკმაყოფილებენ ნაცვალგებისა და რედისტრიბუციის მოთხოვნებს; ქცევის ინსტიტუციური პრაქტიკები და პრინციპები ორმხრივად არის შემუშავებული. რამდენადაც სოციალური ორგანიზება მის კალაპოტში მიმდინარეობს, არანაირი ინდივიდუალური ეკონომიკური მოტივი არ არის საჭირო; პერსონალური ძალისხმევების მაქსიმალურად შეუსრულებლობა შიშებს არ იწვევს; ავტომა-

ტურად არის უზრუნველყოფილი შრომის განაწილება; ხდება ეკონომიკური ვალდებულებებისგან დროული გათავისუფლება; და რაც მთავარია, ყველა სახალხო ფესტივალზე, სიუხვის ჭარბი დემონსტრირებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები მრავლად არის. ასეთ საზოგადოებაში, მოგების იდეა აკრძალულია; საჯაროდ იგმობა მორიგება და შევაჭრება; უფასოდ გაცემა სათნოებად და სიკეთედ მიიჩნევა; ბარტერის, გაცვლისა და მიმოცვლისადმი ადამიანის აქამდე ნავარაუდევი მიდრეკილება არსად ჩანს. ფაქტობრივად, ეკონომიკური სისტემა სოციალური ორგანიზაციის უბრალო ფუნქციაა.

აზრსმოკლებულია დავასკვნათ, რომ ასეთი სოციო-ეკონომიკური პრინციპები შეზღუდულია პრიმიტიული პროცედურებით ან მცირე საზოგადოებებით. არც ის უნდა გვეგონოს, რომ მოგების გარეშე ან ბაზრის გარეშე არსებული ეკონომიკა აუცილებლად მარტივია. დასავლეთ მელანეზიაში, კულას მიმოცვლის რკალი (ე.წ. – "Kula Ring"), რომელიც ნაცვალგების პრინციპზეა აგებული, კაცობრიობისათვის ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი სავაჭრო ტრანზაქციების სისტემაა; ხოლო რედისტრიბუცია გიგანტური მასშტაბით იყო წარმოდგენილი პირამიდების ცივილიზაციაში.

ტრობრიანის კუნძულები მიეკუთვნება არქიპელაგს, რომელიც უხეშად წრეს ქმნის, ხოლო ამ არქიპელაგის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დროის დიდ ნაწილს კულას ვაჭრობაზე ხარჯავს. მიუხედავად იმისა, რომ მოგება იქ არ ფიგურირებს, ჩვენ ამას აღვწერთ როგორც ვაჭრობას – ფულით ან სახეობით; აქ საქონელს არც იმარაგებენ და არც პერმანენტულად ფლობენ; საქონელი, რომელსაც იღებენ ასევე სიამოვნებით გასცემენ; არ არსებობს მორიგება და შევაჭრება, არც მიმოცვლა, ბარტერი და გაცვლა; მთელი ეს პროცედურა მართულია ეტიკეტისა და მაგიის მიერ; და მაინც, ეს ვაჭრობაა, და პერიოდულად, ადგილობრივები რკალის ფორმის არქიპელაგის გასწვრივ დიდ ექსპედიციებს აწყობენ, რათა ერთი ტიპის ღირებული საგანი გადასცენ ხალხს, რომელიც საათისებურად განლაგებულ შორეულ კუნძულებზე

ცხოვრობს; სხვა დროს სხვა ექსპედიციები ეწყობა განსხვავებული ღირებული საგნის გადასაცემად არქიპელაგის იმ კუნძულებისათვის, რომლებიც საათის საწინააღმდეგო მიმართულებით არიან განლაგებული. ხანგრძლივ პერსპექტივაში, ორივე ტიპი საგნები – თეთრი ნიჟარისაგან გაკეთებული სამკლავურები, და წითელი ნიჟარისან გაკეთებული ტრადიციული ყელსაბამები – იმოძრავებენ არქიპელაგის ირგვლივ, იმ ტრაექტორიით, რომლის დასრულებასაც შესაძლოა 10 წელი დასჭირდეს. მეტიც, როგორც წესი, კულაში ინდივიდუალური პარტნიორები ჰყავთ, რომლებიც ერთმანეთში ახორციელებენ კულას საჩუქრების მიმოცვლას თანაბრად ღირებული სამკლავურებისა და ყელსაბამების მეშვეობით. სასურველია, რომ ეს საჩუქრები ადრე ვინმე გამორჩეული ადამიანების ნაქონი ყოფილიყო. ღირებული და გრძელ დისტანციაზე ტრანსპორტირებული საგნების ამგვარი სისტემატური და ორგანიზებული აღებ-მიცემობა სამართლიანად იწოდება ვაჭრობად. მიუხედავად ამისა, ეს კომპლექსური სისტემა ექსკლუზიურად ნაცვალგების პრინციპით არის მართული. დროის, სივრცისა და ადამიანის ეს ურთიერთგადაჯაჭვული სისტემა, რომელიც ათასობით მილის გადალახვასა და ათწლეულებს მოითხოვს, და ათასობით მკაცრად ინდივიდუალიზებული ობიექტების საშუალებით ასეულობით ადამიანს აკავშირებს, აქ ხორციელდება არა მხოლოდ ნებისმიერი ადმინისტრაციისა თუ აღრიცხვის გარეშე, არამედ ნებისმიერი მოგებისა და გაცვლის მოტივაციის გარეშე. აქაურ სოციალურ ქცევაში დომინირებს არა ბარტერისკენ მიდრეკილება, არამედ ორმხრივი ნაცვალგება. მიუხედავად ამისა, შედეგად ვიღებთ გასაოცარ ორგანიზაციულ მიღწევებს ეკონომიკის სფეროში. მართლაც, საინტერესო იქნებოდა შეგვემოწმებინა, თუ რამდენად შეძლებდა თუნდაც ყველაზე ზუსტ საბუღალტრო აღრიცხვაზე დაფუძნებული თანამედროვე საბაზრო ორგანიზაცია ასეთი ამოცანის შესრულებას, იმ შემთხვევაში თუ საერთოდ მსგავს წამოწყებას გაბედავდა. სავარაუდოდ, უიღბლო გადამყიდველები, რომელთაც უამრავი მონოპოლისტის პირისპირ მოუწევდათ საქმიანობა, რომლებიც თავის მხრივ, ყიდულობენ

და ყიდიან ინდივიდუალურ საგნებს და თითოეულ ტრანზაქციას უამრავ უგუნურ შეზღუდვებს უწესებენ, ვერ ნახავდნენ სტანდარტულ მოგებას და შეიძლება ბიზნესიდან გასვლაც ერჩიათ.

იმ მასშტაბების რედისტრუბუცია, რომელსაც პირამიდის მშენებლები ეწეოდნენ, მხოლოდ იმ ეკონომიკებამდე არ დაიყვანებოდა, რომელთათვისაც ფულის ფენომენი უცხო იყო. მართლაც, არქაული სამეფოები გადასახადების გადახდისთვის და გასამრჯელოს გასაცემად მეტალის ვალუტას იყენებდნენ, თუმცა ნებისმიერი სხვა ტიპის გადასახადს ნატურით იხდიდნენ, ხორბლის საცავებიდან და საწყობებიდან სხვადასხვა სახის საქონლის გაცემით. ამ საცავებიდან თუ საწყობებიდან გამოტანილ სხვადასხვა საქონელს მოსახლეობის მხოლოდ არამწარმოებელი ნაწილი მოიხმარდა, ანუ ხელისუფალნი, სამხედროები და თავისუფალი კლასი. სწორედ ეს სისტემა ფუნქციონირებდა ანტიკურ ჩინეთში, ინკების იმპერიაში, ინდოეთის სამეფოებსა და ბაბილონის სამეფოში. ამ და ეკონომიკური მიღწევების მქონე სხვა მრავალ ცივილიზაციაში შრომის ზედმიწევნითი დანაწილება რედისტრიბუციის მექანიზმების მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ფეოდალიზმის პირობებშიც სწორედ მსგავსი პრინციპი მოქმედებდა. რიგ შემთხვევებში, აფრიკის ეთნიკურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში უმაღლესი ფენა მწყემსებისგან შედგებოდა, რომლებიც მიწათმოქმედთა შორის დასახლდნენ და სათხრელ ჯოხსა თუ ნალს დღემდე იყენებენ. მწყემსების მიერ შეგროვებული ძღვენი მეტწილად სოფლის მეურნეობის ნობათს წარმოადგენდა (ხორბალსა და სვიას), მაშინ, როდესაც თავად მწყემსები ძღვენად საქონელს გასცემდნენ, როგორც წესი ცხვარსა და თხებს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის შრომის უთანასწორო გადანაწილებასთან: გაცემა/განაწილება, როგორც წესი გადაფარავდა ხოლმე ექსპლუატაციას ხარისხს, ამავდროულად, სიმბიოზი ორივე ფენის სტანდარტებისთვის იყო სასარგებლო, რაც თავის მხრივ შრომის გაუმჯობესებული დანაწილების უპირატესობებიდან გამომდინარეობდა. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს საზოგადოე-

ბები ფეოდალური რეჟიმის პირობებში ცხოვრობდნენ, უპირატეს ღირებულებას ან საქონელი წარმოადგენდა ან მიწა. „აღმოსავლეთ აფრიკაში მუდმივი ფეოდები არსებობს“. ტურნვალდი, რომელსაც გადანაწილების საკითხებზე მსჯელობდა ალბათ იტყოდა, რომ ფეოდალიზმი თავისთავად გულისხმობდა გადანაწილებითი სისტემის არსებობას. განადაწილებითი სისტემა არსებითად პოლიტიკურ ხასიათს მხოლოდ გაუმჯობესებული პირობებისა და გამონაკლისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში იძენს, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში მოხდა, სადაც ცვლილება ვასალის უსაფრთხოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებამ წარმოშვა, ხოლო ძღვენი ფეოდალურ ხარკად გადაიქცა.

მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, რომ გადანაწილება ასევე მიდრეკილია ეკონომიკური სისტემა მჭიდროდ დაუკავშიროს სოციალური ურთიერთობებს. გადანაწილების პროცესი, როგორც წესი, დომინანტი პოლიტიკური რეჟიმის მდგენელ ნაწილად გვევლინება, იქნება ეს ტომისა თუ ქალაქ–სახელმწიფოს დესპოტიზმი, თუ ფეოდსა და მიწებში გაბატონებული ფეოდალიზმი.საქონლის წარმოებისა და განაწილების/გაცემის პროცესი შეგროვების, დასაწყობებისა და გადანაწილების მეშვეობით ორგანიზდება,ხოლო მოცემული სტრუქტურის მთავარ ელემენტს ბელადი, ტაძარი, დესპოტი ან ხელისუფალი წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ მმართველთა და მართულთა ურთიერთობები განსხვავებულია იმ საფუძველთან შედარებით, რომელზეც თავად პოლიტიკური ძალაუფლება ძევს, გადანაწილების პრინციპი ასევე მოიცავს ინდივიდუალურ მიზნებსა და მისწრაფებებს.

ამ ნაშრომში ჩვენ მიზანმიმართულად უგულებელვყავით არსებითი განსხვავებები ჰომოგენურსა და სტრატიფიცირებულ საზოგადოებებს შორის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებებს, რომლებიც მთლიანობაში გაერთიანებულნი არიან, თუმცა თავად მმართველებად და მართულებად არიან გახლეჩილნი. მონებისა და ოსტატების თავისუფლების ხარისხი ახლოსაც არაა ტომების მონადირეთა თავისუფლებასა და თანასწორობასთან და შესაბამისად, ამ ორი საზოგადოების მოტივები ერთმანეთისგან

მნიშვნელოვნად განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საზოგადოებების ეკონომიკური სისტემები ერთნაირ პრინციპებს ემყარებოდეს, მათი თანმდევი კულტურული ჩვეულებები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, უკიდურესად განსხვავებული ადამიანური ურთიერთობებისადა გამო, რომლებიც, თავის მხრივ, მჭიდროდაა გადახლართული ეკონომიკურ სისტემასთან.

მესამე პრინციპი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიაში შინამეურნეობის სახელწოდებით არის ცნობილი, ტერმინის არსი საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებაში მდგომარეობს. ბერძნები ამას „ოეკონომია“-ს (oeconomia) უწოდებდნენ, საიდანაც ტერმინის „ეკონომიკა“ ფუძე მომდინარეობს. ეთნოგრაფიული ჩანაწერების დამოწმებისადა მიუხედავად, მართებული არ იქნება თუ დავასკვნით, რომ პირადი მოხმარების მიზნით წარმოების პროცესი წინ უსწრებდა ნაცვალგებასა და გადანაწილებას. ორთოდოქსული ტრადიციაც, ისევე, როგორც ზოგიერთი შედარებით თანამედროვე თეორია ამ მოსაზრებას უპირისპირდება. საკვების ინდივიდუალურ შეგროვებასა და საკუთარი თავის თუ ოჯახის რჩენის მიზნით ნადირობის პრაქტიკას არასდროს უარსებია და მართლაც, კონკრეტულად რომელიმე შინამეურნეობის მომარაგების პრაქტიკა შედარებით დაწინაურებულ საფეხურზე მდგომი სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ცხოვრების მახასიათებელს წარმოადგენს და მას არაფერი აქვს საერთო მოგების მიღების მიზანთან ან ბაზრის ინსტიტუტთან. მსგავს პრაქტიკას ერთგვარ მოდელად თუ მოვიაზრებთ, მაშინ ის ჩაკეტილი ჯგუფების სტრუქტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იმ დროს, როდესაც ოჯახის, დასახლების თუ მამულების განსხვავებული ერთეულები თვითკმარ ერთობებს აყალიბებდნენ, პრინციპი იგივე რჩებოდა – ჯგუფის წევრების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით საქონლის წარმოება და მომარაგება. ნაცვალგების და გადანაწილების მსგავსად მოცემულ პრინციპსაც ფართო გამოყენება აქვს. ინსტიტუციურ ბირთვს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება: ეს შესაძლოა სქესი იყოს პატრიარქალურ ოჯახში, სასოფლო დასახლების შემთხვევაში ადგილობრივის სტატუსი, ხოლო

სენიორიის შემთხვევაში კი პოლიტიკური ძალაუფლება (seigneurial manor – ინგ. სენიორია – ფეოდალური მამული საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. მემამულე იყო სენიორიაში შემავალი ყველა მიწის უზენაესი მესაკუთრე). არც ჯგუფის შიდა ორგანიზების ტიპს აქვს დიდი მნიშვნელობა. ის შესაძლოა ისეთივე დესპოტური ყოფილიყო, როგორც რომაული ფამილიაა (familia) ან ისეთივე დემოკრატიული, როგორც სამხრეთ სლავური ზადრუგა(zadruga); ისეთივე დიდი, როგორც კაროლინგი ხელმწიფეების დიდებული სამფლობელოები ან ისეთივე მცირე, როგორც საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობა იყო დასავლეთ ევროპაში. ვაჭრობისა და საბაზრო ურთიერთობების საჭიროება არაფრით აღემატებოდა ნაცვალგებისა თუ გადანაწილების საჭიროებას.

2000 წელზე მეტი ხნის უკან არისტოტელე შეეცადა საქმეთა მსგავსი ვითარება ნორმად დაემკვიდრებინა. მსოფლიო საბაზრო ეკონომიკური სწრაფად კლებადი სიმაღლეებიდან უკან თუ გავიხედავთ აუცილებლად ვაღიარებთ, რომ არისტოტელეს მიერ „პოლიტიკის“ შესავალ ნაწილში გამოკვეთილი სხვაობა შინამეურნეობასა და ფულის გამომუშავებას შორის შესაძლოა ერთ-ერთ ყველაზე წინასწარმეტყველურ მითითებას წარმოადგენდეს სოციალური მეცნიერებების ისტორიაში და ამავდროულად საკითხის საუკუთესო ანალიზსაც. არისტოტელე სარგებლის მიზნით წარმოების ნაცვლად მტკიცედ ემხრობა წარმოებას მოხმარებისთვის რასაც ზოგადად შინამეურნეობის არსადაც განიხილავს; და მაინც, ბაზრისთვის მეორეხარისხოვან წარმოებას არ დაუკნინებია შინამეურნეობის თვითკმარობა მანამ, სანამ სიმინდი საქონლისა და ხორბლის ნაცვლად არ გახდა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი კომპონენტი. მხოლოდ არისტოტელეს მსგავსი საღი აზრის მქონე გენიოსი თუ მიემხრობოდა იმ მოსაზრებას, რომ მოგება უშალოდ ბაზრებისთვის განკუთვნილი წარმოების მახასიათებელს წარმოადგენდა. მანამ, სანამ ფული შინამეურნეობაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, მოხმარების მიზნით წარმოების

პრინციპი ძალას არ კარგავდა. ეჭვგარეშეა, რომ არისტოტელე ამ საკითხთან მიმართებით არ ცდებოდა, თუმცა მან ვერ განჭვრიტა, რომ ბაზრების არსებობის უგულებელყოფა უკიდურესად არამიზანშეწონილი იყო იმ პირობებში, როდესაც საბერძნეთის ეკონომიკა საბითუმო ვაჭრობასა და ნასესხებ კაპიტალზე გახდა დამოკიდებული. დელოსი და როდოსი ტვირთის დაზღვევის ბაზარს, საზღვაო სესხებსა და ფულადი ტრანზაქციების („giro banking“) პრაქტიკას ავითარებდნენ, დასავლეთ ევროპა კი ათასი წლის შემდეგაც კი მხოლოდ პრიმიტიულობის სურათს წარმოადგენდა. ბალიოლის ბატონი, ჯოუეტი მწარედ შეცდა, როდესაც ჩათვალა, რომ ვიქტორიანული ინგლისში არისტოტელეზე უკეთ ხვდებოდნენ შინამეურნეობასა და ფულის გამომუშავებას შორის არსებულ სხვაობათა ბუნებას. ჯოუეტმა არისტოტელე იმით გაამართლა, რომ „ადამიანთან დაკავშირებული ცოდნები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, არისტოტელეს ხანაში კი მათი ერთმანეთისგან გარჩევა არც თუ ისე მარტივი იყო“. მართალია, რომ არისტოტელემ შრომის დანაწილების გავლენებისა და მათი ბაზრებთან თუ ფულთან არსებული კავშირის შეცნობა ვერ შეძლო; ისიც მართალია, რომ კრედიტისა და კაპიტალისთვის ფულის მნიშვნელობა საკმარისად ვერ შეაფასა. ამდენად, ჯოუეტის სიმკაცრე გარკვეულწილად გამართლებულია. თუმცა, სწორედ ბალიოლის ბატონი იყო და არისტოტელე ის, ვინც ფულის გამომუშავებისას ადამიანის გავლენები უგულებელყო. ჯოუეტმა ვერ შეძლო იმის გააზრება, რომ სწორედ მოხმარების პრინციპსა და მოგებას შორის არსებული განსხვავება წარმოადგენდა არსებითად განსხვავებული ცივილიზაციის გასაღებს, ცივილიზაციის, რომლის კონტურებიც არისტოტელემ საბაზრო ეკონომიკის ჯერ კიდევ მყიფე საფუძვლების გამოჩენამდე, 2000 წლით ადრე იწინასწარმეტყველა, ჯოუეტმა კი საერთოდაც ვერ შეამჩნია მისი არსებობა. მოგების მიზნით წარმოების შეუზღუდავ პროცესად წარმოჩენისას და ამ პროცესის „ადამიანისთვის არაბუნებრივ“ ფენომენად შერაცხვისას არისტოტელეს მთავარ სამიზნეს ეკონომიკური მოტივების ყოველგვარ მტკიცე სოციალურ ურთიერ-

თობას ჩამოცილების საკითხი წარმოადგენდა, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე ზღვარს დაუწესებდნენ ამ ეკონომიკურ ზრახვებს.

ფართო გაგებით, მოცემული დაშვება გულისხმობს, რომ დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის დასასრულამდე არსებული ეკონომიკური სისტემის ყველა ტიპი ნაცვალგებისა,გადანაწილების შინამეურნეობის ან ამ სამი პრინციპის რაიმე კომბინაციის გარშემო იყო ორგანიზებული. მოცემული პრინციპები სოციალური ორგანიზების წყალობით ინსტიტუციონალიზდა, მათ შორის, ცენტრულობის, სიმეტრიისა და ავტარკიის მეშვეობით. ამ ჩარჩოში, გეგმური წარმოება და საქონლის გადანაწილება ქცევის ზოგადი პრინციპებით მოწესრიგებული ინდივიდუალური მოტივების მრავალფეროვნებით იყო დაცული. ამ მოტივებს შორის მოგება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. ჩვეულება და სამართალი, მაგია და რელიგია ერთობლივი ძალებით ცდილობდნენ ინდივიდის წაქეზებას ქცევის იმ წესების დაცვისკენ, რომლებმაც, საბოლოოდ, ეკონომიკურ სისტემაში ადამიანის ფუნქციონირება უზრუნველყო.

ბერძნულ-რომაულ პერიოდში, მაღალგანვითარებული ვაჭრობისადა მიუხედავად, ამ მხრივ, რაიმე მნიშვნელოვანი გარღვევა არ მომხდარა; მოცემულ პერიოდში რომაული ადმინისტრაცია შინამეურნეობაზე დამყარებულ ეკონომიკაში მარცვლეულის ფართომასშტაბურ გადანაწილებას ეწეოდა, ხოლო ბაზრები ეკონომიკაში უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ(თუმცა სხვა ინსტიტუციური მოდელები დომინირებდნენ), რაც შუასაუკუნეების დასასრულამდე ცვლილებების გარეშე გაგრძელდა.

XVI საუკუნიდან ბაზრების რაოდენობაც და მათი მნიშვნელობაც გაიზარდა. მერკანტილური სისტემის პირობებში, ისინი მთავრობის მთავარ საზრუნავად გადაიქცნენ. თუმცა, ბაზრების მიერ საზოგადოებაზე კონტროლის დამყარების რაიმე ნიშანი კვლავაც არსად ჩანდა. ამის საპირისპიროდ ,რეგულაციამ და რეგლამენტირებამ იმაზე მკაცრი ფორმა შეიძინა, ვიდრე ოდესმე; ბაზრის თვით-რეგულირების რაიმე იდეა კი ჩანასახშიც არ არსებობადა.

XIX საუკუნეში არსებითად ახალი ტიპის ეკონომიკაზე უეცარი გადასვლის გასააზრებლად ბაზრების ისტორიას უნდა მივმართოთ – იმ ინსტიტუციების ისტორიას, რომლებიც წარსულის ეკონომიკური სისტემებს ჩვენეულ მიმოხილვაში სრულიად უგულებელვყავით.

თავი 5
საბაზრო მოდელის განვითარება

კაპიტალისტურ ეკონომიკაში ბაზრების წამყვანი როლი, აგრეთვე ბარტერისა და გაცვლის პრინციპის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამ ეკონომიკისთვის, საჭიროებს, თუ XIX საუკუნის ეკონომისტურ ცრურწმენებზე გვინდა უარი ვთქვათ, ფრთხილ შესწავლას ბაზრების ბუნებისა და მათი წარმოშობის თაობაზე.[1]

ბარტერი, ნატურით ანაზღაურება [truck] და გაცვლა ეკონომიკური ქცევის პრინციპია და მისი ეფექტურობა საბაზრო მოდელზეა დამოკიდებული. ბაზარი შეხვედრის ადგილია სადაც უნდა მოხდეს ბარტერი ან ყიდვა და გაყიდვა. სანამ ასეთი მოდელი არ არსებობს, თუნდაც კუნძულოვანი სახით, ბარტერისადმი მზაობა საკმარის მასშტაბს ვერ შეიძენს: ვერ მოხდება ფასწარმოქმნა.[2] როგორც თანაბარ უკუგებას [reciprocity] უწყობს ხელს ორგანიზების სიმეტრიული მოდელი, როგორც რედისტრიბუცია

---

1 შედ. დანართი წყაროებზე

2 Hawtrey, G. R., The Economic Problem, 1925, p.13. „ინდივიდუალიზმის პრინციპის პრაქტიკული გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია გაცვლის პრაქტიკაზე.“ თუმცა ჰოვტრი მცდარად წარმოიდგენდა რომ ბაზრების არსებობა უბრალოდ გაცვლის პრაქტიკის ლოგიკური გაგრძელებაა.

ადვილდება გარკვეული დოზის ცენტრალიზებით, და როგორც შინამეურნეობა უნდა ეფუძნებოდეს ავტარკიას, ასევე ბარტერის პრინციპი თავისი ეფექტური მუშაობისთვის დამოკიდებულია საბაზრო მოდელზე. თანაბარი უკუგების მსგავსად, რედისტრიბუცია ან შინამეურნეობა შეიძლება მიმდინარეობდეს საზოგადოებაში ისე, რომ ისინი მასში არ გაბატონდნენ. ბარტერის პრინციპმაც შეიძლება დაქვემდებარებული როლი ითამაშოს იმ საზოგადოებაში რომელშიც სხვა პრინციპებია წამყვანი.

თუმცა, რაღაც მხრივ, ბარტერის პრინციპი სრულად ერთ დონეზე არ დგას დანარჩენ სამ პრინციპთან. საბაზრო მოდელი, რომელთანაც ის ასოცირდება, გაცილებით კონკრეტულია ვიდრე სიმეტრია, ცენტრულობა ან ავტარკია – რომლებიც, განსხვავებით საბაზრო მოდელისგან, უბრალოდ "მახასიათებლებს" [traits] წარმოადგენენ და არ ქმნიან ინსტიტუტებს რომლებიც მხოლოდ ერთ ფუნქციაზე იქნებიან მორგებული. სიმეტრია სხვა არაფერია თუ არა სოციალური მექანიზმი, რომელიც ქმნის არა ახალ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, არამედ ახდენს მხოლოდ უკვე არსებულის მოდელირებას (ტომი ან სოფელი სიმეტრიულადაა მოწყობილი თუ არა, არ გულისხმობს მასში ინსტიტუციური დანაწილების არსებობას). ცენტრულობა, მართალია ხშირად ქმნის გამოკვეთილ ინსტიტუტებს, თავის თავში არ შეიცავს საფუძველს რის შედეგად მიღებულ ინსტიტუტს მხოლოდ ერთი კონკრეტული ფუნქცია ექნებოდა (მაგალითად, სოფლის თავკაცმა ან ცენტრალური ხელისუფლების სხვა წარმომადგენელმა ინსტიტუციური გამიჯვნის გარეშე შეიძლება შეასრულონ სხვადასხვა პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან ეკონომიკური ფუნქციები). რაც შეეხება ეკონომიკურ ავტარკიას, ის მხოლოდ უკვე არსებული ჩაკეტილი ჯგუფის დამატებითი მახასიათებელია.

მეორე მხრივ, საბაზრო მოდელს, რომელიც დაკავშირებულია თავისთვის სახასიათო გაცვლის ან ბარტერის მოტივთან, შეუძლია შექმნას კონკრეტული ინსტიტუტი, სახელდობრ, ბაზარი. საბოლოო ჯამში, სწორედ ამიტომაა რომ ბაზრის მიერ ეკონომიკური სისტემის კონტროლს უზარმაზარი ზეგავლენა აქვს

მთლიანად საზოგადოების ორგანიზებაზე: ეს არც მეტი, არც ნაკლები ნიშნავს საზოგადოების ფუნქციონირებას ბაზრის დანამატად. ნაცვლად იმისა რომ ეკონომიკა სოციალურ ურთიერთობებში იყოს ჩაქსოვილი [embedded], სოციალური ურთიერთობებია ჩაქსოვილი ეკონომიკურ სისტემაში. საზოგადოების არსებობისთვის ეკონომიკური ფაქტორის სასიცოცხლო მნიშვნელობა გამორიცხავს ნებისმიერ სხვა შედეგს. პირველად ეკონომიკური სისტემა დამოუკიდებელ ინსტიტუტადაა ორგანიზებული, დაფუძნებული კონკრეტულ მოტივებზე და განსაკუთრებული სტატუსით აღჭურვილი, საზოგადოება ისე უნდა მოეწყოს რომ სისტემამ მისი კანონების მიხედვით იფუნქციონიროს. სწორედ ამას ნიშნავს ცნობილი თეზისი რომ საბაზრო ეკონომიკას მხოლოდ საბაზრო საზოგადოებაში შეუძლია ფუნქციონირება.

ნაბიჯი რაც იზოლირებულ ბაზრებს საბაზრო ეკონომიკად აქცევს, ხოლო რეგულირებულ ბაზრებს თვითრეგულირებად ბაზრებად, მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. XIX საუკუნემ – მიუხედავად იმისა ადიდეს ეს ფაქტი ცივილიზაციის მწვერვალად თუ დაგმეს როგორაც სიმსივნური წარმონაქმნი – გულუბრყვილოდ წარმოიდგინა რომ ასეთი განვითარება ბაზრების გავრცელების ბუნებრივი გაგრძელება იყო. არ მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ბაზრების გარდაქმნა უზარმაზარი ძალაუფლების მქონე თვითრეგულირებად სისტემებად არ იყო შედეგი გაფართოებისკენ ბაზრების შინაგანი მიდრეკილებისა, არამედ შედეგი იყო სოციალურ სხეულზე უაღრესად ხელოვნური ზემოქმედებისა, რათა ის შესაბამისობაში მოსულიყო ვითარებასთან რომელიც ამ მანქანის არანაკლებ ხელოვნური ფენომენით შეიქმნა. საბაზრო მოდელის შეზღუდული და არაგაფართოებადი ბუნების აღიარება არ მომხდარა; არადა თანამედროვე კვლევებში სწორედ ეს ფაქტი ვლინდება დამაჯერებელი სიცხადით.

“ბაზრებს ყველგან ვერ შეხვდებით; მათი არარსებობა კი, მართალია მიუთითებს გარკვეულ იზოლაციასა და მიდრეკილებაზე განცალკევებისკენ, ისევე არაა დაკავშირებული განვითარების ცალკეულ გზასთან, როგორც მათი არსებობა.” ეს უფერული

წინადადება თურნველდის ნაშრომიდანაა ეკონომიკა პრიმიტიულ საზოგადოებებში, რომელიც ამ საკითხზე თანამედროვე კვლევების საგულისხმო შედეგებს აჯამებს. კიდევ ერთი ავტორი იმავეს იმეორებს ფულზე, რასაც თურნველდი ბაზრებზე ამბობს: "მხოლოდ ის ფაქტი, რომ ცალკეული ტომი ფულს იყენებდა, მას ეკონომიკური თვალსაზრისით მცირედით განასხვავებს იმავე კულტურულ დონეზე მყოფი სხვა ტომებისგან, რომლებსაც ფული არ ჰქონდათ." ჩვენ ისღა დაგვრჩენია ამ წინადადებებისგან უბრალოდ სხვა უფრო საკვირველი დასკვნები გამოვიტანოთ. ბაზრების ან ფულის არსებობა და არარსებობა აუცილებლად გავლენას არ ახდენს პრიმიტიული საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაზე – ეს აბათილებს XIX საუკუნის მითს რომ ფული იყო გამოგონება, რომლის გამოჩენამ გარდაუვალად შექმნა ბაზრები და გარდაქმნა საზოგადოება, ააჩქარა შრომის დანაწილება და გამოათავისუფლა ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება გაცვლისა და ბარტერისკენ. შედეგად, ორთოდოქსული ეკონომიკური ისტორია დაფუძნებული იყო ბაზრების როგორც ასეთის უაღრესად გაზვიადებული მნიშვნელობის წარმოდგენაზე. "გარკვეული იზოლაცია" ან, ალბათ, "მიდრეკილება განცალკევებისკენ" ერთადერთი ეკონომიკური მახასიათებელია რომელიც შეიძლება სწორად გამოვიყვანოთ მათი არარსებობისგან; რაც შეეხება ეკონომიკის შიდა ორგანიზებას, მათი არსებობა ან არარსებობა ბევრს არაფერს ცვლის. ამის მიზეზები მარტივია. ბაზრები არ არიან ძირითადად ეკონომიკის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტები, არამედ მათ გარეშე. ისინი შეხვედრის ადგილებს წარმოადგენენ შორეული ვაჭრობისთვის [long-distance trade]. საკუთრივ ადგილობრივი ბაზრები უმნიშვნელო როლს ასრულებს. მეტიც, არც შორეული და არც ადგილობრივი ბაზრებია არსებითად კონკურენტული, შესაბამისად, დაბალი მოთხოვნა არსებობს ტერიტორიული ვაჭრობის შექმნაზე, ე.წ. შიდა ან ეროვნულ ბაზრებზე. თითოეული ეს მტკიცება კლასიკური ეკონომისტების აქსიომურად მიღებულ დაშვებას ურტყამს, თუმცა ისინი ეფუძნებიან ფაქტებს, რომლებიც თანამედროვე კვლევებმა გამოავლინა.

მართლაც, ამ შემთხვევის ლოგიკა თითქმის მთლიანად საპირისპიროა იმისა რასაც კლასიკური დოქტრინები ეფუძნებიან. ორთოდოქსული სწავლება იწყებოდა ინდივიდის მიდრეკილებით გაცვალოს; აქედან გამოჰყავდათ როგორც ადგილობრივი ბაზრების, ისე შრომის დანაწილების აუცილებლობა; შემდეგ ვაჭრობის, აქედან კი საგარეო ვაჭრობის აუცილებლობა, მათ შორის შორეული ვაჭრობის. ჩვენი დღევანდელი ცოდნის ფონზე, ჩვენ არგუმენტი თითქმის მთლიანად უნდა შევატრიალოთ: ნამდვილი საწყისი წერტილი შორეული ვაჭრობაა, შედეგი საქონელთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, და სივრცის განსაზღვრული "შრომის დანაწილება". შორეული ვაჭრობა ხშირად ქმნის ბაზრებს, ინსტიტუტი რომელიც გულისხმობს ბარტერს, და თუ მასში ფულია ჩართული, ყიდვა-გაყიდვასაც, შედეგად, თუმცა არა გარდაუვალად, ცალკეულ ინდივიდებს ეს შესაძლებლობას აძლევს თავს უფლება მისცენ გაახარონ თავიანთი სწრაფვა ვაჭრობისა და ბაზრობისკენ.

ამ დოქტრინის მთავარი განმასხვავებელი თეზისია რომ ვაჭრობის დასაბამი ეკონომიკის შიდა ორგანიზების სფეროს მიღმაა: "მონადირეობისას დაცული პრინციპების გამოყენებამ, რაიონის საზღვრებს გარეთ ნაპოვნი საქონლის მოპოვებასთან დაკავშირებით, გაცვლის გარკვეულ ფორმებამდე მიგვიყვანა, რომლებიც მოგვიანებით ვაჭრობად მოგვევლინნენ."[1] ვაჭრობის საწყისების ძიებაში ჩვენი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საქონლის შორიდან მოპოვება, როგორც ეს ნადირობაშია. "ცენტრალური ავსტრალიის დიერის ტომი ყოველწლიურად, ივლისში ან აგვისტოში, სამხრეთის ექსპედიციაში მიდის, რათა მოიპოვონ წითელი ოხრა, რომელსაც ისინი იყენებენ თავიანთი სხეულის მოსახატად ... მათი მეზობლები, იანტრუვუნტა, მსგავს საქმიანობას ეწევიან წითელი ოხრისა და ბალახის თესლის სანაყი ქვიშაქვის ფილების მოსაპოვებლად ფლინდერსის გორაკებში, კილომეტრების დაშორებით. ორივე შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს სასურველი საგნე-

[1] Thurnwald, R. C., *Economics in Primitive Communities*, 1932, p.147.

ბისთვის ბრძოლა, თუ ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგობას გაუწევს მათ მოპოვებას." ასეთი რეკვიზიციის განხორციელება ან საგანძურზე ნადირობა ისევე ჰგავს ძარცვასა და მეკობრეობას, როგორც იმას რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვაჭრობას ვეძახით; არსებითად ეს ცალმხრივი საქმიანობაა. ხშირად ის ხდება ორმხრივი, ე.ი. "გაცვლის ერთგვარი ფორმა", ადგილზე მყოფი ძალების მიერ შანტაჟის გამოყენებით; ან ორმხრივი გარიგებით, როგორც ეს კულას წრის შემთხვევაშია, ან დასავლეთ აფრიკის პენგვეს ტომის სტუმარი მხარეების შემთხვევაში, ანდაც კპელეს შემთხვევაში, როცა ბელადი მონოპოლიზებას უკეთებს საგარეო ვაჭრობას ყველა სტუმრის გართობის მოთხოვნით. მართალია ასეთი სტუმრები არა შემთხვევითი, არამედ – ჩვენი პერსპექტივიდან და არა მათი – ნამდვილ სავაჭრო მოგზაურობებს წარმოადგენენ; თუმცა, საქონელთა გაცვლა ყოველთვის ხდება ორმხრივი დასაჩუქრებების გზით და ხშირად შემხვედრი სტუმრობებით.

აქედან ჩვენ ვასკვნით, რომ მართალია, ადამიანთა საზოგადოებებს სრულად არასდროს უთქვამთ უარი საგარეო ვაჭრობაზე, ასეთი ვაჭრობა აუცილებლად არ გულისხმობდა ბაზრებს. თავდაპირველად, საგარეო ვაჭრობა უფრო მეტად თავგადასავლების, აღმოჩენების, ნადირობის, მეკობრეობისა და ომის სახეს ატარებდა, ვიდრე ბარტერის. ის იშვიათად გულისხმობდა როგორც მშვიდობას, ისე ორმხრივობას, და მაშინაც კი, როცა ის ორივეს გულისხმობდა, ის ხშირად მოწყობილი იყო თანაბარი უკუგების და არა ბარტერის პრინციპით.

მშვიდობიან ბარტერზე გადასვლის საფუძვლები ორი მიმართულებით შეგვიძლია ვეძებოთ, სახელდობრ, ბარტერისა და მშვიდობის. ტომის ექსპედიცია შეიძლება დაექვემდებაროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილზე მყოფი ძალების პირობებს, რომლებმაც შეიძლება უცხოებს მოსთხოვონ გარკვეული კომპენსაცია; ასეთი ურთიერთობა, მართალია არაა სრულად მშვიდობიანი, თუმცა მან შეიძლება გზა გაუხსნას ბარტერს – ცალმხრივი ბრუნვა შეიძლება ორმხრივში გადაიზარდოს. განვითარების მეორე გზა "ჩუმი ვაჭრობაა", როგორც ეს აფრიკის ბუშშია,

სადაც ბრძოლის საშიშროების არიდება ზავზე გარიგებით ხდება და სათანადო სიფრთხილის ფარგლებში ვაჭრობაში შემოდის მშვიდობის, ნდობისა და ერთმანეთისადმი რწმენის ელემენტი.

უფრო გვიან ეტაპზე, როგორც უკვე ყველამ ვიცით, ბაზრები დომინირებენ საგარეო ვაჭრობის მოწყობას. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით საგარეო ბაზრები სრულიად განსხვავებულ რამეს წარმოადგენენ ადგილობრივ ან შიდა ბაზრებთან შედარებით. ისინი არ განსხვავდებიან მხოლოდ ზომით; ისინი წარმოადგენენ სხვა ფუნქციისა და საწყისების მქონე ინსტიტუტებს. საგარეო ვაჭრობა ტვირთების ზიდვაა [carrying]; მისი აზრი ერთ რეგიონში გარკვეული ტიპის საქონლის არ არსებობაშია; ამის მაგალითია ინგლისური შალის გაცვლა პორტუგალიურ ღვინოზე. ადგილობრივი ვაჭრობა რეგიონული საქონლით შემოიფარგლება, რომელიც ვერ გაუძლებს გადაზიდვას რადგან ისინი ზედმეტად მძიმე, დიდი და ფუჭებადია. ამგვარად, საგარეო და ადგილობრივი ვაჭრობა გეოგრაფიული მანძილითაა განპირობებული, ერთი შემოიფარგლება იმ საქონლით რომელსაც ამ მანძილის დაძლევა არ შეუძლია, ხოლო მეორე პირიქით. ასეთ ვაჭრობას სამართლიანად აღწერენ როგორც შემავსებელს. ადგილობრივი გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, საგარეო ვაჭრობა განსხვავებულ კლიმატურ ზონებს შორის სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება. ასეთი ვაჭრობა აუცილებლად კონკურენციას არ გულისხმობს, და თუ კონკურენცია ვაჭრობას ხელს შეუშლის, მაშინ ლოგიკური იქნება მისი აღმოფხვრა. საგარეო და ადგილობრივი ვაჭრობისგან განსხვავებით, შიდა ვაჭრობა, ერთი მხრივ, არსებითად კონკურენტულია; გარდა შემავსებელი გაცვლისა, ის გულისხმობს, ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში, სხვადასხვა წყაროებიდან მოტანილი ერთმანეთის მსგავსი ბევრად დიდი ოდენობის საქონელთა გაცვლას. შესაბამისად, სწორედ შიდა ან ეროვნული ვაჭრობის გაჩენასთან ერთად ხდება კონკურენცია ვაჭრობის ზოგადად მიღებული პრინციპი.

ვაჭრობის ეს სამი ტიპი, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური ფუნქციით მკვეთრად განსხვავდება, ასევე განსხვავდება წარმო-

შობითაც. ჩვენ ვისაუბრეთ საგარეო ვაჭრობის საწყისებზე. ბაზრები ბუნებრივად განვითარდა იქ, სადაც ტვირთმზიდები უნდა გაჩერებულიყვნენ; ასეთ ადგილებს წარმოადგენდნენ ფონები, საზღვაო პორტები, მდინარის სათავეები ან ის ადგილები სადაც ორი სახმელეთო ექსპედიციის მარშრუტი ხვდებოდა ერთმანეთს. "პორტები" ტვირთების ერთი მზიდიდან მეორეზე გადატანის ადგილებში განვითარდა.[1] ცნობილი ევროპული ბაზრობების [fair] მოკლევადიანი ყვავილობები, მორიგი მაგალითია იმისა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შორეული ვაჭრობა კონკრეტული ტიპის ბაზრების შექმნაში; ინგლისის შუა საუკუნეების საერთაშორისო სავაჭრო ქალაქები [staples] ამის კიდევ ერთი მაგალითია. მართალია ეს საერთაშორისო ქალაქები და ბაზრობები ისე მოულოდნელად გაუჩინარდა რომ დოგმატიკოს ევოლუციონისტში დაბნეულობას გამოიწვევდა, პორტები განწირულები იყვნენ შეესრულებინათ უზარმაზარი როლი დასავლეთ ევროპის ქალაქების გაშენებაში. მიუხედავად ამისა, იქ სადაც ქალაქები საერთაშორისო ბაზრების ადგილებში გაჩნდა, ადგილობრივი ბაზრები ხშირად მაინც განცალკევებულები რჩებოდნენ არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ მოწყობის თვალსაზრისითაც. არც პორტი, არც ბაზრობა და არც სავაჭრო ქალაქი არ გამხდარა შიდა ან ეროვნული ბაზრის მშობელი. მაშინ სად უნდა ვეძებოთ მათი საფუძველი?

ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური ბარტერული ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ეს დროთა განმავლობაში ადგილობრივ ბაზრებში გადაიზრდებოდა, ხოლო ასეთი ბაზრები გაჩენისთანავე ბუნებრივად შექმნიდა შიდა ან ეროვნულ ბაზრებს. მიუხედავად ამისა, არც ერთი მოხდა და არც მეორე. ბარტერის ან გაცვლის ინდივიდუალური ქმედებები – ეს შიშველი ფაქტია – როგორც წესი არ გადაიზრდება ხოლმე ბაზრების შექმნაში იმ საზოგადოებებში, სადაც ეკონომიკური ქცევის სხვა პრინციპები ბატონობს. ასეთი ქცევა საერ-

[1] Pirenne, H., *Medieval Cities*, 1925, p. 148 (შენიშვნა 12).

თოა თითქმის ყველა ტიპის პრიმიტიული საზოგადოებისთვის, თუმცა ისინი შემთხვევითობებად მიიჩნევიან, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ პირველადი მოთხოვნილების საგნების არსებობას. გადანაწილების უზარმაზარ უძველეს სისტემებში, ბარტერული ქცევა და ადგილობრივი ბაზრები ჩვეულ, თუმცა მხოლოდ დაქვემდებარებულ ფენომენს წარმოადგენდნენ. იგივე შეიძლება ითქვას თანაბარი უკუგების წესებზეც; ბარტერული ქმედებები ხშირად ჩაქსოვილი იყო გრძელვადიან ურთიერთობებში, რაც გულისხმობდა ნდობასა და მხარეების მიერ ერთმანეთისადმი რწმენას, ვითარებას რომელიც შლის ტრანზაქციის ორმხრივ ბუნებას. ასეთი ურთიერთობის შემზღუდავი ფაქტორები სოციალური კომპასის მთელ გაყოლებაზეა: ადათებსა და კანონებს, რელიგიასა და ჯადოქრობას თანაბარი წვლილი შეაქვს შედეგში, რაც არის გაცვლის შეზღუდვა ადამიანებსა და საგნებთან, დროსა და ვითარებასთან მიმართებით. როგორც წესი, ის ვინც ბარტერს აკეთებს მხოლოდ მზა ტიპის პროდუქტებს ცვლის, სადაც საგნები და მათი ეკვივალენტი მოცულობები წინასწარაა მოცემული. უტუ ტიკოპიას[1] ენაზე ეწოდება ასეთ ტრადიციულ ეკვივალენტს, როგორც შემადგენელ ნაწილს თანაბარი გაცვლისა [reciprocal exchange]. ის რაც XVIII საუკუნის აზროვნებას გაცვლის აუცილებელ მახასიათებლად მოეჩვენა, სავაჭრო გარიგების ნებაყოფლობითი ელემენტი, და გაცვლის მოტივის საუკეთესოდ გამომხატველი შევაჭრების ფენომენი, სინამდვილეში მხოლოდ მცირედითაა წარმოდგენილი რეალურ ტრანზაქციაში; თუკი ეს მოტივი უდევს საფუძვლად პროცედურას, მას იშვიათად აძლევენ ხოლმე უფლებას ზედაპირზე ამოვიდეს.

ჩვეული ქცევა ასეთ ვითარებაში საპირისპირო მოტივაციის ჩვენებაა. გამცემმა ობიექტი შეიძლება უბრალოდ მიწაზე დააგდოს, ხოლო მიმღებმა თავის მოაჩვენოს რომ მას შემთხვევით იღებს ან მის რომელიმე თანმხლებს დაუტოვოს რომ მან აიღოს მის ნაცვლად. არაფერი შეიძლება იყოს მიღებული ქცევის საპი-

[1] Firth, R., Primitive Polynesian Economics, 1939, p. 347

რისპირო, ვიდრე მონაგების კარგად დათვალიერება. ჩვენ ყველა მიზეზი გვაქვს დავიჯეროთ, რომ ეს გამობრძმედილი დამოკიდებულება შედეგი კი არაა ტრანზაქციის მატერიალური მხარისადმი ნამდვილი დაუინტერესებლობის, არამედ წარმოადგენს ბარტერის ეტიკეტს, რომელიც მისი საპირისპირო ფენომენია და მიზნად ამ ქმედების მასშტაბის შეზღუდვას ემსახურება.

მართლაც, ამ ფაქტების საფუძველზე ნაჩქარები იქნება დასკვნა რომ ადგილობრივი ბაზრები ოდესღაც ინდივიდუალური ბარტერული ქმედებებისგან წარმოიქმნენ. რაოდენ ბუნდოვანიც არ უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრების საწყისები, სულ მცირე იმის მტკიცება მაინც შეგვიძლია: რომ თავში ეს ინსტიტუტი გარშემორტყმული იყო დამზღვევი მექანიზმებით რომელთა მიზანი საბაზრო პრაქტიკებისგან საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიკური წყობის დაცვა იყო. ბაზარზე მშვიდობის უზრუნველყოფა რიტუალებისა და ცერემონიების მეშვეობით ხდებოდა, რომლებიც მისი მოქმედების ფარგლებს ადგენდნენ და ამავდროულად, უზრუნველყოფდნენ უაღრესად ვიწრო ჩარჩოში მის ფუნქციონირებას. ბაზრების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი – ქალაქებისა და ურბანული ცივილიზაციის დაბადებას – პარადოქსულ განვითარებას მოჰყვა. ქალაქები, რამდენადაც ისინი ბაზრებისგან წარმოიქმნენ, არა მხოლოდ ამ ბაზრების დამცველები იყვნენ, არამედ ინსტრუმენტებიც რომლის მეშვეობითაც სოფლებზე მათი განვრცობა იზღუდებოდა და შესაბამისად, ამით ხდებოდა საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიკური წყობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქალაქების ამ ორმაგ ფუნქციას ყველაზე უკეთ სიტყვა "მოთოკვის" ორმაგი მნიშვნელობა გამოხატავს, კერძოდ, ბაზრებთან მიმართებით, როცა ისინი ერთი მხრივ, მათ თავიან სივრცეებში ექაჩებოდნენ, ხოლო მეორე მხრივ, არ ანებებდნენ მათ საქალაქო საზღვრების მიღმა გაშვებას.

თუ ბარტერს გარშემო ტაბუები ერტყა, როგორც მექანიზმები შექმნილი იმისთვის, რომ ასეთი ტიპის ადამიანურ ურთიერთობებს არ დაეზიანებინათ თავად ეკონომიკური წყობის მუშაობა, მაშინ ბაზრის კონტროლი კიდევ უფრო მკაცრი იყო. მოვიყვანოთ

კიდევ ერთი მაგალითი ჩაგას ქვეყნიდან: "ბაზარში ხალხი რეგულარულად მიდის საბაზრო დღეებში. თუ რაიმე მოვლენა ხელს შეუშლის ბაზრობის გამართვას ერთი ან რამდენიმე დღით, საქმიანობა ვერ გაგრძელდება სანამ ბაზრობა არ განიწმინდება . . . ნებისმიერი დაზიანება რომელიც ბაზრობაზე ხდება და სისხლის დაღვრას გულისხმობს, მყისიერად აყენებს დანაშაულის გამოსყიდვის აუცილებლობას. ამ წამიდან არც ერთ ქალს აქ ჰქონდა ბაზრობის დატოვების უფლება და არც ერთ საქონელზე არ შეიძლებოდა მიკარება; ისინი უნდა განწმენდილიყვნენ იქამდე სანამ მათ გაიტანდნენ და საკვებად გამოიყენებდნენ. სისხლის დაღვრას სულ მცირე თხის შეწირვა უნდა მოჰყოლოდა. უფრო ძვირიანი და უფრო სერიოზული გამოსყიდვა იყო აუცილებელი თუ ბაზრობაზე ქალი ბავშვს გააჩენდა ან მუცელი მოეშლებოდა. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდებოდა მეწველი ცხოველი. გარდა ამისა, მეწველი ძროხის მსხვერპლად შეწირული სისხლით უნდა განწმენდილიყო ბელადის კარ-მიდამოც. ხოლო ამ ქვეყნის ყველა ქალს ეს სისხლი უნდა შესხურებოდა."[1] ასეთი წესები ბაზრების გავრცელებს ხელს არ შეუწყობდა.

ტიპური ადგილობრივი ბაზარი, რომელზედაც დიასახლისები დამოკიდებულები არიან ზოგიერთი მათი საჭიროების გამო, და სადაც როგორც მარცვლეულის ან ბოსტნეულის მომყვანები, ისე ადგილობრივი ოსტატები თავიანთ პროდუქტებს ყიდიან, აჩვენებს იმას რომ ამ ბაზრების ფორმაზე გავლენას არ ახდენს დრო და სივრცე. ასეთი თავყრილობები არა მხოლოდ საყოველთაოდაა გავრცელებული პრიმიტიულ საზოგადოებებში, არამედ თითქმის უცვლელი სახით შენარჩუნდა XVIII საუკუნის შუა წლებამდე ყველაზე მოწინავე დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში. ისინი ადგილობრივი ცხოვრების დამხმარე მექანიზმებს წარმოადგენენ და მხოლოდ მცირედით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, იქნებიან ისინი ცენტრალური აფრიკის ტომობრივი ცხოვრების ნაწილი, მეროვინგული საფრანგეთის ქალაქის [Cité] თუ ადამ სმიტის

[1] Thurnwald, R. C., *op. cit.*, pp. 162–164.

დროინდელი შოტლანდიური სოფლის ნაწილი. ამ მხრივ სოფელი და ქალაქი ერთი და იგივეა. ადგილობრივი ბაზრები არსებითად სამეზობლოების ბაზრებია და, მართალია, მნიშვნელოვანია ამ თემთა ცხოვრებისთვის, არ არსებობს იმის მინიშნება რომ ისინი სადმე ყველაზე გავრცელებულ ეკონომიკურ სისტემებს თავიანთ მოდელზე აწყობდნენ. ბაზრები არ წარმოადგენენ ამოსავალ წერტილს შიდა ან ეროვნულ ვაჭრობაში.

სინამდვილეში, დასავლეთ ევროპაში შიდა ვაჭრობა სახელმწიფოს ჩარევამ შექმნა. კომერციულ რევოლუციამდე ის რაც ეროვნულ ვაჭრობად გვეჩვენება, იყო არა ეროვნული, არამედ საქალაქო. ჰანზა წარმოადგენდა არა გერმანელ ვაჭრებს, არამედ მოვაჭრე ოლიგარქთა გაერთიანებას, რაც საფუძველს იღებდა ჩრდილოეთის ზღვისა და ბალტიისპირეთის რიგი ქალაქებიდან. გერმანული ეკონომიკური ცხოვრების "გაეროვნულების" ნაცვლად, ჰანზამ მიზანმიმართულად მოწყვიტა ვაჭრობას ქალაქებისგან დაშორებული რაიონები. არც ანტვერპენის და არც ჰამბურგის, არც ვენეციის და არც ლიონის ვაჭრობა არ წარმოადგენდა ჰოლანდიურს ან გერმანულს, იტალიურს ან ფრანგულს. ამ მხრივ არც ლონდონი იყო გამონაკლისი: ის ისევე არ წარმოადგენდა "ინგლისურს", როგორც ლიუბეკი არ წარმოადგენდა "გერმანულს". ამ პერიოდის ევროპის სავაჭრო რუკა სამართლიანად აღნიშნავს მხოლოდ ქალაქებს და ცარიელს დატოვებს სოფლებს – ორგანიზებული ვაჭრობის პერსპექტივიდან ამ უკანასკნელს შეიძლება საერთოდაც არ ეარსება. ეგრეთ წოდებული ერები მხოლოდ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, შიგნით უაღრესად დაუკავშირებლებს, რომლებიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, შედგებოდნენ ურიცხვი პატარა და დიდი თვითკმარი კომლებისგან და სოფლებში არსებული პატარა ადგილობრივი ბაზრობებისგან. ვაჭრობა ორგანიზებული დაბებით შემოიფარგლებოდა, რომლებიც ან ადგილობრივ დონეზე ვაჭრობდნენ, სამეზობლოებს შორის ვაჭრობის ან შორეული ვაჭრობის სახით – ეს ორი ერთმანეთისგან მკაცრად იყო გამიჯნული, თავისუფლად არც ერთს ჰქონდა სოფელში საქმიანობის დაწყების უფლება.

ქალაქის ცხოვრებაში ასეთი მყარი გამიჯვნა ადგილობრივ და შორეულ ვაჭრობას შორის, კიდევ ერთი გამაოგნებელი ფაქტია ევოლუციონისტისთვის, რომლისთვისაც ყველაფერი ერთიმეორეში მარტივად გადაიზრდება. მიუხედავად ამისა, ეს თავისებური ფაქტი დასავლეთ ევროპაში ურბანული ცხოვრების სოციალური ისტორიის გასაღებს წარმოადგენს. ის მნიშვნელოვნად ამყარებს ჩვენს თეზისს ბაზრების წარმოშობასთან დაკავშირებით, რომელიც დავასკვენით პრიმიტიული ეკონომიკების აგებულებებიდან გამომდინარე. ადგილობრივ და შორეულ ვაჭრობას შორის მკვეთრი გამიჯვნა შეიძლება ზედმეტად უხეში ჩანდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას რაღაც მხრივ მოულოდნელ დასკვნებამდე მივყავართ, რომ არც შორეული ვაჭრობა და არც ადგილობრივი ვაჭრობა არ წარმოადგენენ თანამედროვე შიდა ვაჭრობის მშობელს – და ამგვარად სხვა გზას არ გვიტოვებს გარდა იმისა რომ ეს ავხსნათ deus ex machina სახელმწიფო ჩარევით. ჩვენ ვნახავთ რომ ამ მხრივ ჩვენს დასკვნებს უახლესი კვლევებიც დაადასტურებს. თუმცა, პირველ რიგში, გავაკეთოთ უბრალოდ მონახაზი ურბანული ცივილიზაციის ისტორიისა, როგორადაც ის შუა საუკუნეების ქალაქთა ფარგლებში განვითარდა ადგილობრივი და შორეული ვაჭრობის ერთმანეთისგან თავისებური გამიჯვნის გამო.

მართლაც, ასეთი მკვეთრი გამიჯვნა შუა საუკუნეების ურბანული ცენტრების მთავარი მახასიათებელი იყო.[1] ქალაქი იყო ბიურგერების ანუ მოქალაქეების გაერთიანება. მხოლოდ მათ ჰქონდათ მოქალაქეობის უფლება და სწორედ ბიურგერსა და არაბიურგერს შორის გამიჯვნაზე იდგა სისტემა. არც სოფლის გლეხები და არც სხვა ქალაქების ვაჭრები, ცხადია, არ წარმოადგენდნენ ბიურგერებს. თუმცა, თუ ქალაქის სამხედრო და პოლიტიკურმა გავლენამ შესაძლებელი გახადა მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ გლეხებთან გამკლავება, იგივენაირი ძალაუფლების განხორციელება შეუძლებელი იყო უცხოელ ვაჭრე-

[1] ჩვენი ექსპოზიცია ეფუძნება ჰ. პირენის ცნობილ ნაშრომებს.

ბთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ბიურგერები ორ სრულად განსხვავებულ მიმართებაში აღმოჩნდნენ ადგილობრივ და შორეულ ვაჭრობასთან დაკავშირებით.

საკვები პროდუქტებით მომარაგებასთან დაკავშირებით, რეგულაცია გულისხმობდა ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიც იყო ტრანზაქციების სავალდებულო საჯაროობა და შუამავლების გამოთიშვა, რათა გაკონტროლებულიყო ვაჭრობა და უზრუნველყოფილიყო მაღალი ფასებისგან დაცულობა. თუმცა, ასეთი რეგულაცია ეფექტური იყო მხოლოდ ქალაქსა და მის უშუალო მიდამოებს შორის ვაჭრობის მიმართ. შორეულ ვაჭრობასთან დაკავშირებით ვითარება სრულად განსხვავებული იყო. სანელებლები, დამარილებული თევზი ან ღვინო შორი მანძილიდან უნდა გადმოზიდულიყო, შესაბამისად ეს იყო უცხოელი ვაჭრებისა და მათი კაპიტალისტური საბითუმო ვაჭრობის მეთოდების სფერო. ამ ტიპის ვაჭრობა ადგილობრივ რეგულაციას უსხლტებოდა, ხოლო სულ რისი გაკეთებაც შეიძლებოდა იყო მისი ადგილობრივი ბაზრიდან გამოთიშვა. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა უცხოელი ვაჭრების მიერ საცალო ვაჭრობის სრული აკრძალვა. რაც უფრო იზრდებოდა კაპიტალისტური საბითუმო ვაჭრობა, როცა საქმე იმპორტს შეეხებოდა მით უფრო მკაცრად იზღუდებოდა მათი ადგილობრივ ბაზრებზე წვდომა.

ინდუსტრიულ პროდუქტებთან მიმართებით გამიჯვნა ადგილობრივ და შორეულ ვაჭრობას შორის კიდევ უფრო ღრმა იყო, რაც ამ შემთხვევაში სრულად გარდაქმნიდა საექსპორტო წარმოების მთელ მოწყობას. ამის მიზეზი ხელოსანთა გილდიების ხასიათში ძევს, სადაც ინდუსტრიული წარმოების ორგანიზება ხდებოდა. ადგილობრივ ბაზარზე წარმოება მწარმოებელთა საჭიროებების მიხედვით რეგულირდებოდა, რაც წარმოებას გასამრჯელოს დონეზე ტოვებდა. ეს პრინციპი თავისთავად ვერ მიესადაგებოდა ექსპორტს, სადაც მწარმოებელთა ინტერესი არ აწესებდა წარმოების საზღვრებს. აქედან გამომდინარე, როცა ადგილობრივი ვაჭრობა მკაცრად რეგულირებული იყო, ამ დროს საექსპორტო წარმოებას მხოლოდ ფორმალურად აკონტროლებ-

დნენ ხელოსანთა გაერთიანებები. ამ პერიოდის მთავარი საექსპორტო ინდუსტრია, ქსოვილებით ვაჭრობა, რეალურად კაპიტალისტური სახელფასო შრომის საფუძველზე იყო მოწყობილი.

ადგილობრივი ვაჭრობის საექსპორტო ვაჭრობისგან უფრო და უფრო მკაცრი გაყოფა წარმოადგენდა ურბანული ცხოვრების რეაქციას, რომელიც მოქნილ კაპიტალში ხედავდა საფრთხეს რომ ის მოარღვევდა საქალაქო ინსტიტუციებს. ტიპური შუა საუკუნეების ქალაქი ამ საფრთხეს არ უმკლავდებოდა კონტროლირებად ადგილობრივ ბაზარსა და უკონტროლო შორეული ვაჭრობის ახირებებს შორის არსებულ ნაპრალზე ხიდის გადებით, პირიქით, ამ საფრთხეს ის მხოლოდ მეტი გამიჯვნისა და პროტექციის უმკაცრესი პოლიტიკებით უმკლავდებოდა, რაც მისი არსებობის საფუძველს წარმოადგენდა.

პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავდა რომ ეროვნული ან შიდა ბაზრების ჩამოყალიბებას – რასაც კაპიტალისტი ბითუმად მოვაჭრეები ითხოვდნენ – ქალაქები ყველა შესაძლო დაბრკოლებას უქმნიდნენ. ადგილობრივი ვაჭრობის კონკურენციაში არჩართვის პრინციპისა და თანაბრად არაკონკურენტული საქალაქთაშორისო შორეული ვაჭრობის დაცვით, ბიურგერები მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სავაჭრო კომპასზე სოფლის ჩართვისთვის და ქვეყნის ქალაქებს შორის უკონტროლო ვაჭრობისთვის. სწორედ განვითარების ამ ტენდენციამ აიძულა ტერიტორიული სახელმწიფო გამხდარიყო ბაზრის "ნაციონალიზების" ინსტრუმენტი და შიდა ბაზრის შექმნის ავტორი.

XV და XVI საუკუნეებში სახელმწიფომ მიზანმიმართული ძალისხმევით მერკანტილური სისტემის ქვეშ იძულებით მოაქცია მკაცრად პროტექციონისტული ქალაქები და სამთავროები. მერკანტილიზმმა გაანადგურა ადგილობრივ და ქალაქთაშორისი ვაჭრობა იმით, რომ მან მოშალა ის ზღუდეები რომლებიც ერთმანეთისგან მიჯნავდნენ ამ ორი ტიპის არაკონკურენტულ ვაჭრობას და ამით გზა გაუკაფა ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო და უფრო უგულებელყოფდა დაყოფას,

როგორც ქალაქსა და სოფელს შორის, ისე სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებს შორის.

რეალურად, მერკანტილური სისტემა სხვადასხვა გამოწვევაზე პასუხს წარმოადგენდა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ცენტრალიზებული სახელმწიფო ახალი წარმონაქმნი იყო, რომელიც კომერციულმა რევოლუცია წამოწია წინ და რომელმაც დასავლურ სამყაროში გრავიტაციის ცენტრი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე გადაიტანა და ამით დიდი აგრარული ქვეყნების ჩამორჩენილ ხალხებს აიძულა კომერციისა და ვაჭრობის შესაბამისად გადაწყობილიყვნენ. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, სუვერენული ძალების ჩამოყალიბება იმ დროის საჭიროებას წარმოადგენდა; შესაბამისად, მერკანტილისტური სახელმწიფო გულისხმობდა საგარეო ამოცანებისთვის მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე არსებული რესურსების თავმოყრას. საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, ასეთი პოლიტიკის გარდაუვალი არაპირდაპირი შედეგი იყო განყენებული ფეოდალური და საქალაქო ერთეულების პოლიტიკურ მთლიანობაში მოქცევა. ეკონომიკური თვალსაზრისით, გაერთიანების ინსტრუმენტი კაპიტალი იყო, ე.ი. ფულად ფორმაში მოცემული კერძო რესურსები, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო კომერციის განვითარებისთვის. ბოლოს კი, ადმინისტრაციული მეთოდს, რომელიც ცენტრალური მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას ედო საფუძვლად, ავსებდა ტრადიციული მუნიციპალური სისტემის განვრცობა სახელმწიფოს უფრო დიდ ტერიტორიაზე. საფრანგეთში, სადაც ხელოსანთა გილდიები სახელმწიფო ორგანოები ხდებოდნენ ხოლმე, გილდიების სისტემა ერთნაირად გავრცელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; ინგლისში, სადაც ციხე-ქალაქების დაღმასვლამ ეს სისტემა უსაშველოდ დააზიანა, სოფლის ინდუსტრიალიზება გილდიების ზედამხედველობის გარეშე მოხდა, თუმცა, ორივე ქვეყანაში შედეგი ის იყო, რომ ვაჭრობამ და კომერციამ ერის მთელი ტერიტორია მოიცვა და ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ფორმა გახდა. სწორედ ამით

აიხსნება მერკანტილიზმის ხშირად უცნაური შიდა სავაჭრო პოლიტიკა.

სახელმწიფო ჩარევა, რომელმაც ვაჭრობა პრივილეგირებული ქალაქების საზღვრებისგან გაათავისუფლა, ახლა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ საფრთხეს უნდა გამკლავებოდა, რომელსაც აქამდე ქალაქი წარმატებით ართმევდა თავს, კერძოდ, მონოპოლია და კონკურენცია. ის რომ კონკურენცია საბოლოოდ მონოპოლიაში გადაიზრდება იმ დროის კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, ხოლო საკუთრივ მონოპოლიის მაშინ განსაკუთრებით ეშინოდათ, რადგან ის ხშირად პირველად საჭიროების პროდუქტებს ეხებოდა და ამიტომ მარტივად შეიძლებოდა გამხდარიყო საფრთხე საზოგადოებისთვის. ეროვნული, და არა უბრალოდ საქალაქო, მასშტაბით ეკონომიკური ცხოვრების მრავალმხრივი რეგულირება ამ საფრთხეების გამკლავების გზა იყო. ის რაც თანამედროვეებისთვის მარტივად შეიძლება გამოჩნდეს, როგორც კონკურენციის გამოთიშვის წინდაუხედავი გადაწყვეტილება, სინამდვილეში, მაშინ არსებულ პირობებში ის ბაზრების ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და მათი დაცვის საშუალებას წარმოადგენდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ბაზარზე მყიდველების ან გამყიდველების ნებისმიერი დროებითი შეჭრა ანადგურებდა ბალანსს და აფრთხობდა რეგულარულ მყიდველებს ან გამყიდველებს, რაც საბოლოოდ იწვევდა ბაზრის ფუნქციონირების შეწყვეტას. ძველი მომწოდებლები შეწყვეტენ თავიანთი საქონლის მიწოდება, რადგან ვეღარ იქნებიან დარწმუნებულები რომ მათი საქონელი მისაღებ ფასად გაიყიდება, ხოლო სათანადო მიწოდების გარეშე ბაზარი მონოპოლისტის ნადავლი გახდება. შედარებით ნაკელები ხარისხით, იგივე საფრთხეები არსებობდა მოთხოვნის მხრივაც, როცა მის სწრაფ ვარდნას შეიძლება მოჰყოლოდა მოთხოვნის მონოპოლია. სახელმწიფოს გადადგმული თითოეული ნაბიჯი რომელიც ბაზრების ექსკლუზიურობის, საბაჟო გადასახადებისა [tolls] და აკრძალვების მოხსნას ემსახურებოდა, ამავდროულად საფრთხის ქვეშ აყენებდა წარმოებისა და განაწილების ორგანიზებულ სისტემას, რომელსაც ახლა

ემუქრებოდა არარეგულირებული კონკურენცია და უნებართვოდ მოვაჭრეების შემოჭრა, რომლებიც ბაზრისგან სწრაფ მოგებას იღებდნენ, თუმცა არ იძლეოდნენ სტაბილურობის გარანტიას. მართალია, ახალი ეროვნული ბაზრები გარდაუვალად უფრო მეტ კონკურენციას გულისხმობდნენ, თუმცა მთავარი მათში კვლავაც ტრადიციული რეგულაციის მექანიზმები იყვნენ და არა კონკურენციის ახალი ელემენტები.[1] თვითკმარი შინამეურნეობა რომელზედაც გლეხი თავისი არსებობისთვის მუშაობდა, კვლავ რჩებოდა ზოგად საფუძვლად ეკონომიკური სისტემისა, რომელიც შიდა ბაზრის ჩამოყალიბების მეშვეობით გააერთიანეს უფრო დიდ ეროვნულ ერთეულებში. ეროვნულმა ბაზარმა თავისი ადგილი დაიკავა ადგილობრივი და შორეული ბაზრების გვერდით და ნაწილობრივ მათ ემთხვეოდა კიდეც. სოფლის მეურნეობა შიდა კომერციამ შეავსო – შედარებით იზოლირებული ბაზრების სისტემამ, რომელიც სრულად თავსებადი იყო სოფლად არსებულ შინამეურნეობების ჯერ კიდევ წამყვან პრინციპთან.

ამით ვასრულებთ ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქამდე ბაზრის ისტორიის რეზიუმეს. კაცობრიობის ისტორიის შემდეგი ეტაპი, როგორც უკვე ვიცით, მცდელობა იყო შეექმნათ ერთი დიდი თვითრეგულირებული ბაზარი. მერკანტილიზმში, დასავლური ერი-სახელმწიფოების ამ გამორჩეულ პოლიტიკაში, არაფერი იყო ისეთი რაც ასეთ უნიკალურ განვითარების გზას მოასწავებდა. მერკანტილიზმის მიერ შესრულებულმა "გათავისუფლების" ოპერაციამ ვაჭრობა მხოლოდ მისი ექსკლუზიურობისგან გაათავისუფლა, მაგრამ, ამავე დროს, გააფართოვა რეგულირების სფერო. ეკონომიკური სისტემა ზოგად სოციალურ ურთიერთობებს ექვემდებარებოდა; ბაზრები მხოლოდ დამხმარე ნაწილს წარმოადგენდნენ ინსტიტუციური მოწყობისა, რომელიც, ისე როგორც არასდროს, კონტროლდებოდა და რეგულირდებოდა სოციალური ძალების მიერ.

---

[1] Montesquieu, *L'Esprit des lois*, 1748. "ინგლისელები ზღუდავენ ვაჭარს, თუმცა ეს კომერციისთვის სასარგებლო საქმეს ემსახურება."

თავი 6
თვითრეგულირებადი ბაზარი და ფიქტიური საქონლები: შრომა, მიწა და ფული

ეკონომიკური სისტემისა და ბაზრების ეს ცალკეული კონტურები გვიჩვენებენ, რომ ისტორიულად, დღემდე, ბაზრები არასდროს ყოფილან ეკონომიკური ცხოვრების აქსესუარებზე უფრო მეტი მნიშვნელობის მქონენი. როგორც წესი, ეკონომიკური სისტემა, ყოველთვის სოციალური სისტემის ნაწილი იყო, ხოლო ქცევის რა პრინციპიც დომინირებდა ეკონომიკაში, საბაზრო ქცევაც მასთან შესაბამისობაში იყო. ბარტერის ან გაცვლის პრინციპი, რომელიც საბაზრო ქცევას ედო საფუძვლად, არ ააშკარავებდა გაფართოების რაიმე ტენდენციას სხვა სივრცეებში შეჭრის ხარჯზე. იქ, სადაც ბაზრები ყველაზე მეტად იყო განვითარებული – როგორც მაგალითად მერკანტილურ სისტემაში – ისინი ვითარდებოდნენ ცენტრალიზებული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ, რაც ახალისებდა ავტარკიას როგორც გლეხთა შინამეურნეობებში, ისე ქვეყნის ცხოვრებაშიც. ფაქტობრივად, რეგულაცია და ბაზრები ერთდროულად განვითარდნენ. თვითრეგულირებადი ბაზარი უცნობი ფენომენი იყო: მართლაც, თვითრეგულირებადი ბაზრის იდეის აღმოცენება განვითარების ტენდენციის მთლიან შემობრუნებას წარმოადგენდა. იმ უცნაური დაშვებების სიღრმისეული გაგება, რომლებიც საფუძვლად უდევს საბაზრო ეკონომიკას, სწორედ ამ ფაქტების საშუალებით არის შესაძლებელი.

საბაზრო ეკონომიკა ის ეკონომიკური სისტემაა, რომელიც კონტროლდება, რეგულირდება და იმართება საბაზრო ფასების მიერ; ამ სისტემაში, წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესის ორგანიზება მინდობილია თვითრეგულირებად მექანიზმზე. ასეთი ტიპის ეკონომიკა მიიღება მოლოდინისგან, რომ ადამიანების ქცევას მაქსიმალური ფულადი მოგებისაკენ სწრაფვა განაპირობებს. ამ ეკონომიკის არსებობა ეფუძნება ისეთი ბაზრების არსებობის ვარაუდს, რომელშიც საქონლისა და სერვისების განსაზღვრულ ფასში მიწოდება, უთანაბრდება მოთხოვნას იმავე ფასში. ის ვარაუდობს ფულის არსებობას, რომელიც მსყიდველუნარიანობის ფუნქციას ანიჭებს ფულის მფლობელებს. ამდენად, წარმოება აქ გაკონტროლდება ფასებით, ხოლო წარმოების პროცესის განმკარგველთა მოგება დამოკიდებული იქნება სწორედ ამ ფასებზე; საქონლის დისტრიბუციაც ფასებზე იქნება დამოკიდებული, ვინაიდან სწორედ ფასები წარმოქმნიან ხელფასებს, ხოლო სწორედ ამ ხელფასების დახმარებით მოხდება ნაწარმოები საქონლის დისტრიბუცია საზოგადოების წევრთა შორის. ამ ვარაუდების მიხედვით, საქონლის წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესში წესრიგს მხოლოდ ფასები უზრუნველყოფენ.

თვითრეგულირება გულისხმობს, რომ ბაზარზე ნებისმიერი პროდუქცია იყიდება, და რომ ყველა ტიპის შემოსავალი ასეთი გაყიდვებისგან არის ნაწარმოები. შესაბამისად, არსებობს ბაზრები არა მხოლოდ საქონლისა და სერვისებისათვის, არამედ ინდუსტრიის ყველა ელემენტის, მათ შორის, შრომის, მიწისა და ფულისათვის. მათ ფასებს, კი შესაბამისად, უწოდებენ სასაქონლე ფასებს: ხელფასის, ქირისა, და პროცენტის გადასახადს. სწორედ ეს ტერმინები მიუთითებენ, რომ ფასები წარმოქმნიან შემოსავლებს: პროცენტი არის ფულის გამოყენებისათვის გადახდილი ფასი და ქმნის შემოსავალს მათთვის, ვისაც ფულის მოწოდება შეუძლია; ქირა არის მიწის გამოყენების ფასი და შემოსავალს მათთვის ქმნის, ვისაც ბაზარზე მისი გამოტანა შეუძლია; ხოლო ხელფასი არის შრომის ძალის გამოყენების ფასი, და წარმოქმნის მათ შემოსავალს, ვინც შრომას ყიდის. საბოლოდ კი საქონლის

ფასები მათ შემოსავლებს ქმნიან, ვინც საკუთარ სამეწარმეო სერვისებს ყიდიან. შემოსავალი კი აქ ნიშნავს მოგებას, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს განსხვავებას ორგვარ ფასს – წარმოებული საქონლის ფასსა და მის ხარჯს – ანუ იმ საქონლის ფასს შორის, რომელიც მის საწარმოებლად იყო საჭირო. თუ ეს წინაპირობები სრულდება, მაშინ ყველა არსებული შემოსავალი მიიღება ბაზარზე გაყიდვებისაგან, ხოლო შემოსავლები მხოლოდ იმისათვის იქნება საკმარისი, რომ მისით წარმოებული საქონლის შესყიდვა მოხდეს.

არსებობს ვარაუდების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც უკვე სახელმწიფოსა და მის პოლიტიკას შეეხება. ამ ვარაუდების მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან, ისეთი არაფერი უნდა იქნას დაშვებული, რაც ბაზრების ჩამოყალიბებას დააბრკოლებს; ამასთან, გაყიდვების გარდა სხვა ტიპის შემოსავლების არსებობა არ უნდა იქნას ნებადართული; გარდა ამისა, საბაზრო პირობების ცვლილების შემთხვევაში, ფასების დასარეგულირებლად – იქნება ეს საქონლის, შრომის, მიწისა თუ ფულის ფასი – არანაირი ჩარევა არ უნდა განხორციელდეს. ამდენად, არა მხოლოდ ბაზრები უნდა არსებობდეს ინდუსტრიის ყველა ელემენტისათვის, არამედ ნებისმიერი იმგვარი ზომისა თუ პოლიტიკის განხორციელება არ უნდა იქნას ნებადართული, რომლებიც ამ ბაზრების ქმედებაზე გავლენას მოახდენდნენ. არც ფასი, არც მიწოდება, და არც მოთხოვნა, არ უნდა იყოს ფიქსირებული ან რეგულირებული; ასეთი ვარაუდების მიხედვით, მხოლოდ იმგვარი პოლიტიკებისა თუ ზომების არსებობაა ნებადართული, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრების თვითრეგულირებას. ეს კი, თავის მხრივ, ისეთი პირობების შექმნით უნდა მოხდეს, რომლებიც ბაზარს ეკონომიკურ სფეროში ერთადერთ მაორგანიზებელ ძალად აქცევს[1].

---

[1] Henderson. H. D., Supply and Demand, 1992. ბაზრის ფუნქცია ორგვარია: ფაქტორთა პროპორციული გადანაწილება სხვადასხვა გამოყენებისათვის, და იმ ძალების ორგანიზება, რომლებიც გავლენას ახდენენ ფაქტორთა აგრეგატულ მიწოდებაზე.

იმისათვის, რათა სრულყოფილად გავიაზროთ, თუ რას ნიშნავს ეს, მოდით ცოტა ხნით დავუბრუნდეთ მერკანტილურ სისტემას და ეროვნულ ბაზრებს, რომლებიც მერკანტილურმა სისტემამ საკმაოდ განავითარა. ფეოდალიზმისა და გილდიების სისტემაში, მიწა და შრომა თავად სოციალური მოწყობის ნაწილი იყო (ფული ამ დროისათვის, ჯერ კიდევ არ იყო ინდუსტრიის ელემენტად ჩამოყალიბებული). მიწა, რომელიც ფეოდალური წესრიგის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა, იყო სამხედრო, სასამართლო, ადმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემის საყრდენი: მისი სტატუსი და ფუნქცია განსაზღვრული იყო სამართლებრივი და ჩვეულებითი კანონებითა და წესებით. ის, თუ რამდენად შეიძლებოდა მისი საკუთრებად გადაცემა სხვაზე, და თუ ეს შეიძლებოდა მაშინ რა შეზღუდვებით, საკუთრების რა უფლებებით, და მიწის რა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობით – ყველა ეს შეკითხვა ყიდვა-გაყიდვის მსგავსი ორგანიზების საკითხებიდან ამოღებული იყო და ისინი სრულიად განსხვავებული ტიპის ინსტიტუციურ რეგულაციებს ექვემდებარებოდნენ.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ შრომაზეც. გილდიების სისტემაში, ისევე როგორც ისტორიაში არსებულ ყველა სხვა ეკონომიკურ სისტემაში, საწარმოო ქმედებების მოტივები და გარემოებები გადაჯაჭვული იყო საზოგადოების ზოგადი ორგანიზების წესთან: ურთიერთობები ოსტატს, შეგირდსა და მაშინდელ დაქირავებულ კვალიფიციურ მუშაკს შორის (ე.წ. journeyman), ხელობის პირობები, შეგირდთა რაოდენობა, მშრომელთა ხელფასები – ყველაფერი ეს წესრიგდებოდა გილდიისა თუ ქალაქის წესისა და ჩვეულების მიხედვით. მერკანტილურმა სისტემამ, იქამდე არსებულ ამგვარ პირობებს მხოლოდ თავი მოუყარა და გააერთიანა, როგორც ეს ინგლისში მოხდა მაგალითად „ერთიან კანონთა კრებულის“ შემოღებით, ხოლო საფრანგეთში გილდიების „ნაციონალიზაციით.“ 1789 წლის დიდ რევოლუციამდე, საფრანგეთში მიწების ფლობა სოციალური პრივილეგიების წყაროს წარმოადგენდა ხოლო ინგლისში კი ამ პერიოდის შემდეგაც კი, „ინგლისის საერთო სამართალი“ მიწის საკითხში დიდწილად შუასაუკუნეობრივი იყო.

მერკანტილიზმს, მიუხედავად მთელი თავისი მიდრეკილებისა კომერციალიზაციისაკენ, არასოდეს დაუყენებია საფრთხის ქვეშ ის გარანტიები, რომლებიც წარმოების ამ ორ საბაზისო ელემენტს – მიწასა და შრომას – კომერციის ობიექტებად გახდომისაგან იცავდნენ. ინგლისში, „ხელოსანთა კანონისა“ (1563), და „ღარიბთა კანონის“ (1601) მეშვეობით განხორციელებულმა შრომის კანონმდებლობის „ნაციონალიზაციამ," შრომა საშიში ზონიდან გაიყვანა. გარდა ამისა, ტიუდორებისა და ადრეული ხანის სტიუარტების მიწის შემოღობვის საწინააღმდეგო პოლიტიკაც მოგების მიზნით მიწის საკუთრების გამოყენების პრინციპის წინააღმდეგ მიმართული ერთი თანმიმდევრული პროტესტი იყო.

მერკანტილიზმმა რომ ინდუსტრიაში სახელმწიფო ჩარევა გაზარდა, ამ ფაქტიდან ყველაზე მკაფიოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეს სისტემა, მიუხედავად მისი ემპათიური და დაჟინებული სწრაფვისა კომერციალიზაციისაკენ, როგორც ეროვნული პოლიტიკისაკენ, ბაზრების შესახებ საბაზრო ეკონომიკისაგან სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობდა. ამ პერიოდში, დიდი განსხვავება არ იყო მერკანტილისტებსა და ფეოდალებს შორის, სამეფო გვირგვინიან დამგეგმარებლებსა და კერძო ინტერესებს შორის, ცენტრალიზაციის განმახორციელებელ ბიუროკრატებსა და კონსერვატიულ პარტიკულარისტებს შორის. მათ შორის უთანხმოება მხოლოდ რეგულაციის მეთოდებზე იყო: გილდიები, ქალაქები, და პროვინციები მიმართავდნენ ჩვეულებისა და ტრადიციის ძალას, მაშინ როდესაც ახალი სახელმწიფო ხელისუფალნი უპირატესობას კანონებსა და დადგენილებებს ანიჭებდნენ. თუმცა, ყველანი ერთნაირად ეწინააღმდეგებოდნენ შრომისა და მიწის კომერციალიზაციის იდეას – ანუ იდეას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის წინაპირობა იქნებოდა. ხელოსანთა გილდიები და ფეოდალური პრივილეგიები საფრანგეთში მხოლოდ 1790 წელს გაუქმდა; ინგლისში „ხელოსანთა კანონი“ მხოლოდ 1813-14 წლებში ანულირდა, ხოლო „ელიზაბეტის ღარიბთა კანონი“ კი – 1834 წელს. მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულამდე, არც ერთ ქვეყანაში, შრომის თავისუფალი ბაზრის შექმნა არც კი გა-

ნიხილებოდა, ხოლო ეკონომიკური ცხოვრების თვითრეგულირება ამ ეპოქის თვალსაწიერში საერთოდ არ იყო. მერკანტილისტს ვაჭრობისა და კომერციის საშუალებით ქვეყნის რესურსების განვითარება აინტერესებდა, მათ შორის სრული დასაქმებაც. მიწისა და შრომის ტრადიციულ ორგანიზებას ის არსებულ მოცემულობად აღიქვამდა. ამ თვალსაზრისით, ის აქაც ისევე დაშორებული იყო თანამედროვე კონცეფციებს, როგორც პოლიტიკის სფეროში: პოლიტიკაში მას განმანათლებელი დესპოტის აბსოლუტური ძალაუფლების სწამდა და ამ რწმენას სრულიად არ ამსუბუქებდა დემოკრატიის დათქმები. და ისევე, როგორც დემოკრატიულ სისტემასა და წარმომადგენლობით პოლიტიკაზე გადასვლამ ეპოქის ტენდენციების სრული შემობრუნება განაპირობა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის, რეგულირებულიდან თვითრეგულირებად ბაზრებზე გადასვლა წარმოადგენდა საზოგადოებრივი სტრუქტურის სრულ ტრანსფორმაციას.

თვითრეგულირებადი ბაზარი, არც მეტი და არც ნაკლები, მოითხოვს, საზოგადოების ინსტიტუციურ გაყოფას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებად. ასეთი დიქოტომია, საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანობის პერსპექტივიდან, ფაქტობრივად, თვითრეგულირებადი ბაზრის არსებობის ხელახალი გაცხადებაა. შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ ამ ორი სფეროს განცალკევება ყველა დროისა და ტიპის საზოგადოებაში გვხვდება. თუმცა, ასეთი დასკვნა მცდარ წარმოდგენაზე იქნება დაფუძნებული. ის კი მართალია, რომ ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს რაიმე ტიპის იმგვარი სისტემის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესის ორგანიზებას. მაგრამ ეს არ გულისხმობს ეკონომიკური ინსტიტუტების გამიჯვნას; როგორც წესი, ეკონომიკური წესრიგი სოციალური წესრიგის ფუნქციას წარმოადგენს. როგორც ვნახეთ, არც ტრაიბალურ, არც ფეოდალურ, და არც მერკანტილურ პირობებში, საზოგადოებაში არ არსებობდა ცალკე ეკონომიკური სისტემა. მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოება, რომელშიც ეკონომიკური ქმედება გაი-

მიჯნა ცალკეული ეკონომიკური მოტივით, ამ მხრივ, წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს.

ასეთი ინსტიტუციური მოწყობა ვერ იფუნქციონირებდა სისტემის მოთხოვნებისადმი საზოგადოების დამორჩილების გარეშე. საბაზრო ეკონომიკის არსებობა მხოლოდ საბაზრო საზოგადოებაშია შესაძლებელი. ამ ზოგადი დასკვნის გამოტანა შესაძლებელი გახდა საბაზრო წყობის ჩვენეული ანალიზის შედეგად. ახლა, ჩვენ შეგვიძლია ამ მტკიცების კონკრეტული მიზეზები გამოვყოთ. საბაზრო ეკონომიკა უნდა შედგებოდეს ინდუსტრიის ყველა ელემენტისაგან, მათ შორის შრომის, მიწისა და ფულისაგან (საბაზრო ეკონომიკაში ფულიც ინდუსტრიული ცხოვრების აუცილებელი ელემენტია, და მის საბაზრო მექანიზმებში შეყვანას, როგორც შემდგომში ვნახავთ, გრძელვადიანი ინსტიტუციური შედეგები აქვს). მაგრამ შრომა და მიწა სხვა არაფერია, თუ არა თავად ადამიანები, რომელთაგანაც ნებისმიერი საზოგადოება წარმოიქმნება, და ის ბუნებრივი გარემო, რომელშიც ეს საზოგადოება არსებობს. მათი საბაზრო მექანიზმად მოაზრება ნიშნავს ბაზრის წესებისადმი საზოგადოების არსის დაქვემდებარებას.

ახლა უკვე იმ პოზიციაზე ვართ, როდესაც შეგვიძლია განვავრცოთ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური ბუნების უფრო კონკრეტული ფორმა და მისი თანმდევი, საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი ასპექტები. პირველ რიგში, აღვწერთ იმ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც საბაზრო მექანიზმს საშუალება ეძლევა აკონტროლოს და მართოს ინდუსტრიული ცხოვრების რეალური ელემენტები; მეორეც, შევეცდებით გავზომოთ ასეთი მექანიზმის იმგვარ საზოგადოებაზე გავლენის ბუნება, რომელზეც საბაზრო მექანიზმი ზემოქმედებს.

საბაზრო მექანიზმი სწორედ კონცეფცია „საქონლის“ საშუალებით ამუშავებს ინდუსტრიული ცხოვრების სხვადასხვა ელემენტებს. „საქონელს“ აქ ემპირიულად განვმარტავთ, როგორც ბაზარზე გასაყიდად შექმნილ საგნებს; ბაზრები, ისევ და ისევ, განიმარტება როგორც რეალური კონტაქტი მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. შესაბამისად, ინდუსტრიის ყველა

ელემენტი მიიჩნევა ბაზარზე გასაყიდად შექმნილად, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ის დაექვემდებაროს ფასთან ინტერაქციაში მყოფ მიწოდებისა და მოთხოვნის მექანიზმს. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ინდუსტრიის ყველა ელემენტისათვის უნდა არსებობდეს ბაზარი; რომ ამ ბაზრებზე თითოეული ეს მექანიზმი ორგანიზებულია მიწოდებისა და მოთხოვნის ჯგუფებად; და რომ თითოეულ ელემენტს აქვს ფასი, რომელიც ურთიერთქმედებაშია მოთხოვნასა და მიწოდებასთან. ეს ბაზრები – რომელთა რაოდენობა უთვალავია – ურთიერთდაკავშირებულები არიან და ქმნიან ერთ დიდ ბაზარს.[1]

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი აქ ეს არის: შრომა, მიწა, და ფული ინდუსტრიის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ; თუ ეს ასეა, მაშინ მათი მოწესრიგებაც ბაზრების საშუალებით უნდა მოხდეს: ფაქტობრივად, ეს ბაზრები ქმნიან ეკონომიკური სისტემის ყველაზე სასიცოცხლო ნაწილს. მაგრამ შრომა, მიწა და ფული „საქონლის“ ნაირსახეობები აშკარად არ არიან; მტკიცება, რომ ნებისმიერი რამ, რომელსაც ბაზარზე ვყიდულობთ და ვყიდით, გასაყიდად არის წარმოქმნილი, ამ ელემენტებთან დაკავშირებით ცალსახად არასწორია. სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, „საქონლის“ ემპირიული განმარტების მიხედვით, ისინი საქონელს არ წარმოადგენენ. შრომა არის მხოლოდ მორიგი სახელი ადამიანის ქმედებისა, რომელიც ადამიანის ცხოვრებასთან ერთად მოიაზრება, და რომელიც თავის მხრივ, გასაყიდად წარმოებული კი არ არის, არამედ სრულიად სხვა მიზეზთა გამოა შექმნილი; მიწა არის ბუნების მორიგი სახელი, რომელიც ადამიანის მიერ შექმნილი არ არის; და ბოლოს, რეალური ფული წარმოადგენს მხოლოდ მსყიდველობის უნარის განხორციელების საშუალებას, რომელიც როგორც წესი, საერთოდ არ იწარმოება, არამედ წარმოიქმნება საბანკო და სახელმწიფო ფინანსების მექა-

[1] Hawtrey, G. R., *op. cit*. მისი ფუნქცია ჰოუთრეის მიერ დანახულია, როგორც „ყველა ურთიერთდაკავშირებული საქონლის შედარებითი საბაზრო ღირებულებების“ წარმოქმნა.

ნიზმების საშუალებით. არც ერთი მათგანი არ იწარმოება გასაყიდად. ამდენად, შრომის, მიწისა და ფულის „საქონლის“ ცნების საშუალებით აღწერა მთლიანად ფიქტიურია.

მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ფიქციის საშუალებით ხორციელდება შრომის, მიწისა და ფულის რეალური ბაზრების ორგანიზება;[1] ბაზარზე მათ რეალურად ყიდულობენ და ყიდიან; მათი მოთხოვნა და მიწოდება რეალურად არსებული სიდიდეებია; და ნებისმიერი მიღებული ზომა ან პოლიტიკა, რომელიც დააბრკოლებდა ასეთი ბაზრების ჩამოყალიბებას, ფაქტობრივად საფრთხეში ჩააგდებდა სისტემის თვითრეგულირებას. ამდენად, საქონლის ფიქციურობა წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის მაორგანიზებელ პრინციპს მთელი საზოგადოებისათვის, და გავლენას ახდენს თითქმის ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტზე სრულიად განსხვავებული გზებით. კონკრეტულად კი ეს არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, არც ერთი იმგვარი მოწყობისა თუ ქცევის არსებობა არ უნდა იქნას დაშვებული, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საბაზრო მექანიზმის რეალურ ფუნქციონირებას ფიქტიური საქონლის ხარჯზე.

შრომის, მიწისა და ფულის შემთხვევაში, ასეთი მტკიცება ვერ იქნება მისაღები. საბაზრო მექანიზმისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ ის გახდეს ადამიანის ბედისა და მისი ბუნებრივი გარემოს ერთადერთი განმსაზღვრელი, თუნდაც მსყიდველობის უნარით განსაზღვრული დოზითა და მისი გამოყენებით, საზოგადოების ჩამოშლას გამოიწვევდა.

საქონლის ამგვარ გაგებაში, „შრომითი ძალა“ ვერ იქნება გამოყენებული ვერც უსისტემოდ და დისკრიმინაციის გარეშე, და ვერც გამოუყენებელი დარჩება იმ ინდივიდებზე გავლენის მოხდენის გარეშე, ვინც ამ ტიპის საქონელს ფლობენ. ადამიანის

---

[1] მარქსის მტკიცება საქონლის ღირებულების ფეტიშური ხასიათის შესახებ შეეხება რეალური საქონლის გაცვლით ღირებულებას და არაფერი აქვს საერთო ფიქციურ საქონელთან, რომელიც ამ ტექსტშია ნახსენები.

შრომის ძალის განკარგვით, სისტემა უნებურად განკარგავს იმ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ყოფიერებას, რომელსაც ადამიანის შრომა მოიაზრებს. კულტურული ინსტიტუტების დამცველი გარსისაგან განძარცვული ადამიანები სოციალური დაუცველობის შედეგებს ვერ გაუძლებდნენ; ისინი შეეწირებოდნენ სოციალური ქსოვილის მოშლის შედეგად წარმოქმნილ ბოროტებას, გარყვნილებას, დანაშაულსა და შიმშილს. ბუნებრივი გარემო დაიყვანებოდა მის შემადგენელ ელემენტებამდე, სამეზობლოებამდე და დაზიანებულ ლანდშაფტებამდე, მდინარეები დაბინძურდებოდნენ, სამხედრო უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა, ხოლო საკვებისა და ნედლეულის წარმოების უნარი – წართმეული. საბოლოოდ კი, მსყიდველობის უნარის საბაზრო ადმინისტრირება დროგამოშვებით მოახდენდა ბიზნეს საწარმოების ლიკვიდაციას, ვინაიდან ფულის სიჭარბე ან ნაკლებობა ბიზნესისათვის ისეთივე დამღუპველი აღმოჩნდებოდა, როგორც წყალდიდობები და გვალვები პრიმიტიულ საზოგადოებაში. ეჭვგარეშეა, რომ შრომის, მიწისა და ფულის ბაზრები საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელია. თუმცა, ვერც ერთი საზოგადოება, დროის ყველაზე მცირე მონაკვეთშიც კი ვერ აიტანდა ასეთ აშკარა ფიქციებზე დაფუძნებული სისტემის შედეგებს იმ შემთხვევის გარდა, თუკი მისი ადამიანური და ბუნებრივი არსი, ისევე როგორც მისი საქმიანი ორგანიზება, დაცული იქნებოდა „ეშმაკის წისქვილის“ აოხრებისაგან.

საბაზრო ეკონომიკის უკიდურესი ხელოვნურობა იმ ფაქტით არის გამყარებული, რომ თავად წარმოების პროცესი აქ ორგანიზებულია გაყიდვითა და ყიდვით. კომერციულ საზოგადოებაში, ბაზრისათვის წარმოების ორგანიზების სხვა გზა არ არსებობს[1]. გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში, ექსპორტისათვის განკუთვნილი ინდუსტრიული წარმოება ქალაქის მდიდარი მაცხოვრებლების საშუალებით წესრიგდებოდა, და თავიანთ ქალაქებში მათი უშუალო ხელმძღვანელებით ხორციელდებოდა. მოგვიანე-

[1] Cunningham, W., “Economic Change,” in Cambridge Modern History, Vol.1.

ბით, მერკანტილურ საზოგადოებაში, წარმოება ორგანიზდებოდა ვაჭრების მიერ და მხოლოდ კონკრეტული ქალაქებით აღარ შემოიფარგლებოდა; ეს იყო ე.წ. „გადაბარების ეპოქა," როდესაც შიდა ინდუსტრიები ნედლეულით იმ კაპიტალისტი ვაჭრებისაგან მარაგდებოდა, რომლებიც აკონტროლებდნენ წარმოების პროცესს, როგორ წმინდად კომერციულ საქმიანობას. სწორედ მაშინ მოხდა ინდუსტრიული წარმოების ორგანიზების დიდწილად ვაჭრების ხელში გადასვლა. ვაჭარი იცნობდა ბაზარს, მის მოცულობას და მოთხოვნის ხარისხს; მას ასევე შეეძლო თავდებად დასდგომოდა მარაგებს, რომლებიც შედგებოდა ბამბის, მათრახისა და ზოგჯერ იმ საქსოვი დაზგებისგანაც, რომელსაც კოტეჯების ინდუსტრიაში იყენებდნენ. თუ მარაგების მიწოდება ვერ მოხერხდებოდა, ეს ყველაზე მეტად სწორედ ასეთ კოტეჯერებს დაარტყამდათ, ვინაიდან მათი დასაქმება გარკვეული დროით ჩერდებოდა; მაგრამ არც ერთი ძვირიანი დანადგარი საქმეში არ ტრიალებდა და ვაჭარი რაიმე სერიოზულ რისკს არ იღებდა წარმოების პროცესზე პასუხისმგებლობის აღებით. საუკუნეების მანძილზე, ეს სისტემა ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მანამ, სანამ ინგლისის მსგავს ქვეყანაში, ბამბის ინდუსტრია – მთავარი ეროვნული ნაწარმი – ქვეყნის მასშტაბით უამრავ ისეთ სექტორში არ გავრცელდა, სადაც წარმოება მემაუდეების მიერ იყო ორგანიზებული. ის, ვინც ყიდულობდა და ყიდდა, უნებურად წარმოებას ამარაგებდა, და სხვა მოტივი არც იყო საჭირო. საქონლის შექმნა არ მოიაზრებდა არც ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ქცევას, და არც შინამეურნეობის მეპატრონის საფიქრალს ითვალისწინებდა მის ზრუნვაზე დამოკიდებულ წევრებზე; არც ოსტატის საქმიანობისათვის დამახასიათებელ სიამაყე ან ხალხის ქების დამსახურება იყო აუცილებელი – არაფერი ზედმეტი საჭირო არ იყო გარდა წმინდა მოგების მიღების მოტივისა, რაც იმ ადამიანთათვის, რომელთა პროფესიაც ყიდვა-გაყიდვა იყო, უცხო ხილს არ წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპაში, მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე, ინდუსტრიული წარმოება ვაჭრობის უბრალო დანამატი იყო.

მანამ, სანამ დანადგარი იაფი და სპეციფიკის არმქონე ხელსაწყო იყო, ეს ვითარება არ შეცვლილა. იმ უბრალო ფაქტით, რომ კოტეჯერს ადრინდელთან შედარებით ერთი და იგივე დროში უფრო მეტის წარმოება შეეძლებოდა, მისთვის დამაჯერებელი გახდებოდა, რომ შემოსავლის გაზრდის მიზნით დანადგარები უნდა გამოეყენებინა. თუმცა, თავად ეს ფაქტი არ იყო წარმოების ორგანიზების ცვლილებაზე აუცილებლად გავლენის მომხდენი. ის, თუ ვინ ფლობდა იაფ დანადგარებს – მუშა თუ ვაჭარი – გარკვეულ განსხვავებას ქმნიდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სოციალური პოზიცია ექნებოდათ მხარეებს, მაგრამ თითქმის უეჭველად ქმნიდა განსხვავებას მუშის შემოსავალში: მუშა უკეთესად იყო მანამ, სანამ ის ფლობდა დანადგარებს, მაგრამ ამას ვაჭარი იძულებული არ გაუხდია ინდუსტრიული კაპიტალისტი გამხდარიყო, ან შეეწყვიტა მისი ფულის ასეთი ადამიანებზე გასესხება. საქონლის მარაგი იშვიათად თუ ამოიწურებოდა; უფრო დიდი სირთულე იყო ნედლეული მასალით მომარაგება, რაც ზოგჯერ აუცილებლად ფერხდებოდა. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, იმ ვაჭრის დანაკარგი, რომელიც დანადგარებს ფლობდა, მნიშვნელოვანი არ იყო. მხოლოდ ზოგადი მანქანა-დანადგარების გამოშვება კი არ იყო ის ფაქტი, რამაც მთლიანად შეცვალა ურთიერთობა ვაჭარსა და წარმოებას შორის, არამედ ამ ცვლილების გამომწვევი უფრო მეტად იყო დახვეწილი და სპეციფიკური დანადგარების გამოგონება. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭარმა წარმოების ორგანიზების ახალი წესი შემოიღო, რამაც ტრანსფორმაციის მიმართულება განსაზღვრა, უფრო დახვეწილი მანქანა-დანადგარების გამოყენებამ გამოიწვია ქარხნული სისტემის განვითარება და ამდენად, გარდამტეხი მომენტი შექმნა ვაჭრობისა და ინდუსტრიის გაგებაში იმ აზრით, რომ ინდუსტრია უფრო მნიშვნელოვანი გახადა. უცაბედად, ინდუსტრიული წარმოება აღარ იყო ვაჭრის მიერ ორგანიზებული ვაჭრობის – როგორც გაყიდვისა და ყიდვის შეთავაზების სივრცის -დანამატი; ის ახლა უკვე მოიაზრებდა გრძელვადიან ინვესტიციებს, რომელთაც უკვე რისკებიც ახლდა თან. ასეთი რისკების დაძლევა შეუძლებე-

ლი ხდებოდა თუ არ მოხდებოდა გონივრული გარანტიების შექმნა წარმოების პროცესის უწყვეტობაზე.

რაც უფრო რთული გახდა ინდუსტრიული წარმოება, მით უფრო იმატა ინდუსტრიის იმ ელემენტების რაოდენობამ, რომელთა მომარაგების მყარი გარანტიებიც უნდა შექმნილიყო. სამი მათგანი, შრომა, მიწა და ფული, ცხადია, გამორჩეული მნიშვნელობისა იყო. კომერციულ საზოგადოებაში მათი მომარაგების მხოლოდ ერთი გზა არსებობდა: შესაძლებელი უნდა გამხდარიყო მათი ყიდვა. ამდენად, ისინი ბაზარზე გასაყიდ საქონლად უნდა გამოეტანათ. საბაზრო მექანიზმის გაფართოება ინდუსტრიის ამ ელემენტებზე – შრომაზე, მიწასა და ფულზე – კომერციულ საზოგადოებაში ქარხნული სისტემის შემოღების გარდაუვალი შედეგი იყო. ინდუსტრიის ელემენტები გასაყიდად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყვნენ.

ეს საბაზრო სისტემის მოთხოვნის იდენტური რამ იყო. ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთ სისტემაში მოგება დაზღვეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითრეგულირება გარანტირებულია დამოუკიდებელი და კონკურენტული ბაზრების საშუალებით. ვინაიდან ქარხნული სისტემის განვითარება ორგანიზებული იყო ყიდვა-გაყიდვის პროცესის ნაწილად, შრომა, მიწა და ფული საქონლებად უნდა ქცეულიყო იმისათვის, რათა წარმოების ამგვარი პროცესი შენარჩუნებულიყო. ცხადია, ისინი სინამდვილეში ვერ გადაიქცეოდნენ რეალურ საქონლებად, ვინაიდან ისინი ბაზარზე გასაყიდად არ შექმნილან. მაგრამ ფიქცია იმის შესახებ, რომ თითქოს ეს ელემენტები ბუნებაში მართლაც გასაყიდად წარმოიქმნენ, გახდა საზოგადოების მაორგანიზებელი პრინციპი. ინდუსტრიის ამ სამ ელემენტს შორის, ერთი გამორჩეულია: შრომა არის ტექნიკური ტერმინი რომელიც გამოიყენება ადამიანებთან მიმართებაში მაშინ, როდესაც ისინი არა დამსაქმებლები, არამედ დასაქმებულები არიან; აქედან გამომდინარე, შრომის ორგანიზება საბაზრო სისტემის ცვლილებასთან ერთად შეიცვლებოდა. მაგრამ ვინაიდან შრომის ორგანიზება მხოლოდ განსხვავებული სახელდებაა უბრალო ხალხის ცხოვრებისა, ეს იმას ნიშნავს, რომ

საბაზრო სისტემის განვითარებას მოჰყვებოდა ცვლილება თავად საზოგადოების ორგანიზებაში. ამ გაგებით, ადამიანთა საზოგადოება ეკონომიკური სისტემის დანამატი გახდა.

შეგვიძლია გავიხსენოთ ინგლისის ისტორიაში შემოღობილი ტერიტორიების აოხრების ჩვენს მიერვე მოყვანილი პარალელი და სოციალური კატასტროფა, რომელიც ინდუსტრიულ რევოლუციას მოყვა. ჩვენ ვახსენეთ, რომ წინსვლა, როგორც წესი, სოციალური ქსოვილის მოშლის – სოციალური დისლოკაციის ხარჯზე ხდებოდა. თუ ამგვარი პროცესები მძაფრ ხასიათს იღებს, საზოგადოება თუ თემი, პროცესებს უნდა დამორჩილდეს. ტიუდორებმა და ადრეულმა სტიუარტებმა ინგლისი ესპანეთისაგან ცვლილების კურსის იმგვარი დარეგულირებით დაიცვეს, რომ ცვლილებები ასატანი გახდა, ხოლო მისი შედეგები – ნაკლებად დესტრუქციული. მაგრამ ინგლისის უბრალო ხალხი ვერაფერმა დაიცვა ინდუსტრიული რევოლუციის გავლენისაგან. სპონტანური პროგრესის ბნელმა რწმენამ ადამიანთა გონებაში მყარი ფესვები გაიდგა და ყველაზე განათლებულნი, სექტარიანელების ფანატიზმით მოუწოდებდნენ საზოგადოების საზღვარმიუჩენელი და დაურეგულირებელი ცვლილებისაკენ. ამ ყველაფერმა ადამიანთა ცხოვრებაზე იმდენად საშინელი გავლენა იქონია, რომ სიტუაცია აღწერას აღარ ექვემდებარებოდა. მართლაც, ადამიანთა საზოგადოება განადგურდებოდა დამცავი კონტრმოძრაობის გარეშე, რომელმაც ამ თვითდესტრუქციული მექანიზმის გავლენა შეასუსტა.

ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის სოციალური ისტორია ორმაგი მოძრაობის შედეგია: რეალურ საქონელთან მიმართებაში, საბაზრო ორგანიზების გაფართოებას მოჰყვა მისი შეზღუდვები ფიქციურ საქონელთან მიმართებაში. მაშინ როდესაც, ერთის მხრივ, ბაზრები გლობალურად გავრცელდა და საქონლის ოდენობამ დაუჯერებელ განზომილებებს მიაღწია, მეორეს მხრივ, სპეციალური ზომებისა და პოლიტიკების მთელი წყება იქნა ინტეგრირებული იმ ძლიერ ინსტიტუტებში, რომლებიც სწორედ იმისთვის შეიქმნენ, რათა შრომის, მიწასა და ფულთან

მიმართებაში ბაზრის ქმედება შეესწავლათ. მაშინ, როდესაც საქონლის მსოფლიო ბაზრებმა, კაპიტალის მსოფლიო ბაზრებმა და ვალუტის მსოფლიო ბაზრებმა ოქროს სტანდარტის პირობებში შექმნეს უპრეცედენტო მომენტი საბაზრო მექანიზმისათვის, ფესვგამდგარმა მოძრაობამ უცაბედად დაიწყო ბაზრის მიერ გაკონტროლებული ეკონომიკის დამღუპველი შედეგების მიმართ წინააღმდეგობის წარმოება. საზოგადოებამ საკუთარი თავი თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი საფრთხეებისაგან დაიცვა – ეს ამ ეპოქის ისტორიის ერთი ყველაზე უფრო ყოვლისმომცველი დამახასიათებელი თვისება იყო.

თავი 7
სპინჰემლენდის სისტემა, 1795

XVIII საუკუნის საზოგადოება გაუცნობიერებლად ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ ისეთ მცდელობას, რაც მას ბაზრის უბრალო დანამატად აქცევდა. საბაზრო ეკონომიკის არსებობა წარმოუდგენელი იყო შრომის ბაზრის გარეშე; მაგრამ ამგვარი ბაზრის შექმნა, განსაკუთრებით კი ინგლისის რურალურ ცივილიზაციაში, გულისხმობდა საზოგადოების ტრადიციული ქსოვილის მთლიან რღვევას. ინდუსტრიული რევოლუციის ყველაზე აქტიურ ფაზაში, კერძოდ 1795 წლიდან 1834 წლამდე, ინგლისში, შრომის ბაზრის შექმნა თავიდან იქნა აცილებული სპინჰემლენდის კანონის საშუალებით.

ფაქტობრივად, შრომის ბაზარი, ახალ ინდუსტრიულ სისტემაში ერთ-ერთი ბოლო ბაზარი იყო. ეს საბოლოო ნაბიჯი მხოლოდ მაშინ გადაიდგა, როდესაც საბაზრო ეკონომიკა უნდა დაწყებულიყო და როდესაც ცხადი ხდებოდა, რომ შრომის ბაზრის არარსებობა უფრო დიდი ბოროტება იქნებოდა უბრალო ხალხისთვის, ვიდრე ის უბედურებები, რომლებიც მის შემოღებას მოჰყვებოდა თან. საბოლოოდ, შრომის თავისუფალი ბაზარი, მიუხედავად იმ არაჰუმანური მეთოდებისა, რაც მის შესაქმნელად გამოიყენეს, ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანმა პრობლემამ სწორედ ამ დროს იჩინა თავი. თავისუფალი შრომის ბაზრის ეკონომიკურმა უპირატესობებმა ვერ დაჩრდილეს მის მიერ გამოწვეული სოციალურად დესტრუქციული შედეგები. შრომის ხელახლა დასაცავად აუცილებელი გახდა ახალი ტიპის რეგულაციების შექმნა. ამჯერად, შრომის დაცვა უკვე თავად საბაზრო მექანიზმისაგან იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მექანიზმების მოთხოვნების შესაბამისად, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შემოღებულ იქნა ახალი ტიპის ისეთი დამცავი მექანიზმები, როგორიც არის პროფესიული კავშირები და საწარმოო კანონები, თვითრეგულაციაში მონაწილეობის მიღებით, ეს მექანიზმები, საბოლოოდ მაინც ანადგურებდნენ სისტემას.

ამ ვითარების უზოგადესი ლოგიკით, სპინჰემლედის კანონი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. ინგლისში, მიწაც და ფულიც უფრო ადრე იქნა მობილიზებული, ვიდრე შრომა. შრომის ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბება თავდაპირველად თავიდან იყო აცილებული ფიზიკური გადაადგილების სამართლებრივი შეზღუდვების გზით, ვინაიდან მშრომელი ფაქტობრივად მიჯაჭვული იყო თავის სოფელს. 1662 წლის „განსახლების აქტით“ (იგივე „ღარიბთა შემწეობის აქტი“), რომელიც ადგილობრივ სამრევლოებში ბატონ-ყმობის ურთიერთობების წესებს განსაზღვრავდა, მხოლოდ 1795 წელს შემსუბუქდა. ეს ნაბიჯი შესაძლებელს გახდიდა შრომის ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას „სპინჰემლენდის კანონი“ ანუ „დახმარების სისტემა“ რომ არ შემოეღოთ იმავე წელს. ამ კანონის ტენდენცია საპირისპირო იყო: კერძოდ, ის მიმართული იყო შრომის ორგანიზების იმგვარი პატერნალისტური სისტემის გაძლიერებისაკენ, რომელიც მემკვიდრეობით იყო მიღებული ტიუდორებისა და სტიუარტებისაგან. 1795 წლის 6 მაისს, დიდი მღელვარების დროს, ბერკშირის მოსამართლეებმა, პელიკან ინში, სპინჰემლენდში, ნიუბერისთან ახლოს შეხვედრისას გადაწყვიტეს, რომ იმისათვის, რათა ღარიბთათვის მინიმალური ხელფასი გარანტირებული ყოფილიყო, *მიუხედავად მათი ანაზღაურებისა*, ხელფასის დასახმარებლად სუბსიდიები უნდა გაცემულიყო იმ

ოდენობით, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა პურის ფასზე. მოსამართლეების ცნობილი რეკომენდაცია შემდეგნაირი იყო: როდესაც ერთი გალონი პურის ნაჭრის განსაზღვრული ხარისხი „ეღირებოდა ერთი შილინგი, მაშინ ყველა ღარიბ, და შრომისმოყვარე პირს, დახმარების სახით უნდა მიეღო კვირაში სამი შილინგი, რომელიც გაცემულ იქნებოდა როგორც მისი ან მისი ოჯახის შრომის გამო, ან როგორც *ღარიბთა შემწეობა;* მისი ცოლისთვის, და მისი ოჯახის ყოველი მომდევნო წევრისათვის, ის მიიღებდა 1 შილინგსა და 6 პენსს; როდესაც ერთი გალონი ეღირებოდა 1/6, მაშინ ის მიიღებდა კვირაში 4 შილინგს, და დამატებით 1/10; ყველა პენსი, რომლითაც პურის ფასი მოიმატებდა 1 შილინგის ზემოთ, მას უნდა ჰქონოდა 3 პენსი მისთვის და ერთი პენსი სხვებისთვის.“ ეს რიცხვები გარკვეულწილად განსხვავდებოდა საგრაფოების მიხედვით, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში შემოღებული იქნა სპინჰემლენდის სკალა. ეს ჩაითვალა კრიტიკულად აუცილებელ ზომად, და არაფორმალურად იქნა შემოღებული. მიუხედავად იმისა, რომ მას „კანონს“ ეძახდნენ, ეს თავად *ეს საზომი არასდროს ყოფილა სამართლებრივად დადგენილი.* მიუხედავად ამისა, იგი სოფლების უმრავლესობაში მიწის წესად ჩამოყალიბდა, და მეტიც, მას სახეცვლილი ფორმით ზოგიერთ საწარმოო ქალაქშიც კი იცავდნენ; ეს იყო „სიცოცხლის უფლებაზე“ არანაკლები დონის სოციალური და ეკონომიკური ინოვაცია, და 1834 წელს მის გაუქმებამდე, ის ეფექტურად ახერხებდა კონკურენტული შრომის ბაზრის ჩამოყალიბების თავიდან აცილებას. მის გაუქმებამდე ორი წლით ადრე, 1832 წელს, საშუალო კლასმა ძალაუფლება მოიპოვა, ნაწილობრივ იმისთვისაც, რათა ეს დაბრკოლება ჩამოეშორებინა ახალი კაპიტალისტური ეკონომიკისათვის. მართლაც, არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე ცხადი, რომ სახელფასო სისტემა იმპერატიულად მოითხოვდა სპინჰემლენდის კანონით გამოცხადებული „სიცოცხლის უფლების“ უკან გაწვევას – ეკონომიკური ადამიანის ახალი რეჟიმით, არავინ იმუშავებდა ხელფასისათვის, თუ მისთვის შესაძლებელი იქნებოდა სიცოცხლისა-

თვის აუცილებელი შემოსავლის დაგროვება არაფრის კეთებით (ან არაფრის კეთებაზე არც ისე ბევრით).

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, რაც სპინჰემლენდის მეთოდის შემოტრიალებას სდევდა თან, ნაკლებად ცნობილი მოვლენა იყო XIX საუკუნის მწერლებისათვის. კერძოდ კი ის ფაქტი, რომ სახელფასო სისტემა უნივერსალური უნდა გამხდარიყო თავად ხელფასის მქონეთათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნავდა მათთვის არსებობის სამართლებრივი უფლების ჩამორთმევას. „სიცოცხლის უფლება“ მათთვის სიკვდილის ხაფანგი აღმოჩნდა.

პარადოქსი ცხადი იყო. მტკიცების თანახმად, სპინჰემლენდი ნიშნავდა, რომ „ღარიბთა კანონი“ ლიბერალურად უნდა ყოფილიყო ადმინისტრირებული – სინამდვილეში კი ის გადაიქცა მისი თავდაპირველი განზრახვის საპირისპიროდ. ელიზაბეტის კანონის მიხედვით, ღარიბებს უნდა ემუშავათ ნებისმიერ ხელფასზე, და მხოლოდ მათ შეეძლოთ შემწეობის მიღება, ვინც სამუშაოს ვერ იპოვიდა; *სახელფასო დახმარება* არც განზრახული იყო, და არც გაიცემოდა. სპინჰემლენდის კანონის მიხედვით, პირი შემწეობას იღებდა მაშინაც კი, როდესაც დასაქმებული იყო, მაგრამ მისი ხელფასი ნაკლები იყო სპინჰემლენდის შკალით გაზომილი ოჯახის შემოსავლისა. ამდენად, არც ერთ მშრომელს არ ჰქონდა ფინანსური ინტერესი, დაეკმაყოფილებინა მისი დამსაქმებელი; მისი შემოსავალი იგივე იქნებოდა მიუხედავად იმისა, თუ რა იქნებოდა მისი ხელფასი; სიტუაცია განსხვავებული იყო მხოლოდ მაშინ, თუ სტანდარტული ხელფასები – ანუ გადახდილი ხელფასები აჭარბებდა სკალას – ასე კი, როგორც წესი, სოფლად არ ხდებოდა, ვინაიდან დამსაქმებელს შრომის მიღება ნებისმიერ ფასად შეეძლო: მას რაც არ უნდა დაბალი ხელფასი გადაეხადა მშრომელებისთვის, არსებული სუბსიდია მშრომელთა ხელფასს აწევდა და სკალას გაუთანაბრებდა. რამდენიმე წელიწადში, შრომის პროდუქტიულობამ კლება დაიწყო და ღატაკთა, ანუ პაუპერთა შრომას გაუთანაბრდა, რამაც დამატებითი მიზეზი შეუქმნა დამსაქმებლებს, რომ არ გაეზარდათ ხელფასი სკალაზე ზემოთ. უკვე

მაშინ კი, როდესაც შრომის ინტენსიურობა, და ის მზრუნველობა და ეფექტურობა რითაც შრომა ხორციელდებოდა განსაზღვრულ დონეზე ქვემოთ ჩამოვიდა, რთული გახდა მისი გამორჩევა ჩვეულებრივი ხალტურისაგან ან კიდევ იმ ფასადური სამუშაოსაგან, რომელიც გარე თვალის დასანახად ნარჩუნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო პრინციპის დონეზე სრულდებოდა, პრაქტიკაში გავრცელდა სპეციალური დახმარებები – "Outdoor relief" და მიუხედავად იმისა, რომ დასვენებების ადმინისტრირება ხდებოდა ე.წ. ღარიბთა დასაქმების სახლებში, მშრომელთა საქმეს ძნელად თუ დაარქმევდით „სამუშაოს." ამ ყველაფერმა საჭირო გახადა ტიუდორების კანონების გადახედვა არა უფრო ნაკლები, არამედ უფრო მეტი პატერნალიზმის დამყარებისათვის. დახმარებების დროის გახანგრძლივება, სახელფასო დახმარების შემოტანა, რომელსაც ემატებოდა ცალკეული შემწეობები ცოლისა და ბავშვებისათვის, და თითოეული ერთეულის მატება ან კლება პურის ფასის ცვლილების მიხედვით, იმ დროის შრომისათვის ნიშნავდა დრამატულ ხელახალ შესვლას იმ რეგულაციურ პრინციპში, რომელიც საჩქაროდ გააუქმეს ინდუსტრიული ცხოვრების, როგორც ერთი მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

არც ერთი სხვა მიღებული ზომა ასე უნივერსალურად პოპულარული არ გამხდარა.[1] მშობლები გათავისუფლდნენ საკუთარ შვილებზე ყოველდღიური საზრუნავისაგან, და შვილები აღარ იყვნენ დამოკიდებული საკუთარ მშობლებზე; დამსაქმებლებს შეეძლოთ საკუთარი სურვილისამებრ ხელფასის შემცირება, მაგრამ დასაქმებულები მაინც დაცულნი იყვნენ შიმშილის საფრთხისაგან მიუხედავად იმისა, გამწედ იმუშავებდნენ, თუ არა; ჰუმანიტარები ამგვარ ზომას იწონებდნენ როგორც წყალობის აქტს და თუმცა არა როგორც სამართლიანს, ხოლო ეგოისტურად განწყობილნი კმაყოფილებით ანუგეშებდნენ საკუთარ თავს იმ ფიქრით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს წყალობის აქტი იყო, როგორც მინიმუმ ის არ იყო ლიბერალური: თავად საგადასახადო განაკვე-

[1] Meredith, H. O., Outlines of the Economic History of England, 1908.

თის გადამხდელებმაც კი საკმაოდ გვიან გააცნობიერეს, თუ რა მოუვიდოდა გადასახადებს იმ სისტემაში, რომელიც „სიცოცხლის უფლებას“ აღიარებდა იმის და მიუხედავად, ეძლეოდა თუ არა სიცოცხლისათვის საკმარისი ხელფასი (ე.წ. „living wage“) მშრომელს.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ ყველაფრის შედეგი საზარელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი დრო გავიდა მანამ, სანამ უბრალო ადამიანის ღირსების გრძნობა ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცემოდა და ის მუშაობას ღარიბთა შემწეობას ამჯობინებდა, მისი ხელფასების გაცემას, რომლის სუბსიდირება საჯარო ფონდებიდან ხდებოდა, საბოლოოდ ზღვარი არ ექნებოდა, და ის იძულებული გახადა შემწეობებზე ყოფილიყო დამოკიდებული. სოფლის მოსახლეობა ნელ-ნელა გაღატაკდა; ანდაზა, რომ „ერთხელ შემწეობაზე ყოფნა, ყოველთვის შემწეობაზე დამოკიდებულებას ნიშნავს,“ მართალი აღმოჩნდა. მაგრამ შემწეობის სისტემის გაჭიანურებული შედეგების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა ადრეული კაპიტალიზმის ადამიანური და სოციალური დეგრადაციის შედეგების აღწერა.

სპინჰემლენდის ეპიზოდმა საუკუნის წამყვანი ქვეყნის ხალხისათვის გამოააშკარავა იმ სოციალური თავგადასავლის ნამდვილი ბუნება, რომელსაც ეს-ესაა იწყებდნენ. არც მმართველებს და არც მართულებს არასდროს დავიწყნოდათ ამ უგუნურთა სამოთხის მიერ მიღებული გაკვეთილები; თუ 1832 წლის რეფორმების საკანონმდებლო პროექტი (The Reform Bill of 1832) და 1834 წლის ღარიბთა კანონში შესული ცვლილებები (The Poor Law Amendment of 1834) საზოგადოდ მიჩნეულ იქნა თანამედროვე კაპიტალიზმის დასაწყისად, ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ კანონებმა წარსულს ჩააბარეს კეთილმოსურნე მემამულე და მისი შემწეობის პროგრამები. თუმცა, კაპიტალისტური წესრიგის შექმნის მცდელობა შრომის ბაზრის გარეშე სასტიკად ჩაფლავდა. წესები, რომლებიც ამ სისტემას აწესრიგებდნენ საკუთარ თავს ცხადად ააშკარავებდნენ და პატერნალიზმის პრინციპის მიმართ რადიკალურ ანტაგონიზმს აჩვენებდნენ. ამ კანონთა სიმკაცრე საკმაოდ ცხადი გახდა და მათი დამრღვევები სასტიკად ისჯებოდნენ.

სპინჰემლენდის პირობებში, საზოგადოება ორი ურთიერთ-საპირისპირო გავლენის მიხედვით დაიყო: ერთი გავლენა წარ-მოიქმნა პატერნალიზმისა და საბაზრო სისტემის საფრთხეების-გან შრომის დაცულობის პრინციპიდან; ხოლო მეორე გავლენა წარმოების ელემენტებს საბაზრო სისტემის შიგნით აწესრიგებ-და და მან უბრალო ხალხს ადრინდელი სტატუსები ჩამოაშორა: ერთი მხრივ, ისინი იძულებული გახადა თავის სარჩენად საკუ-თარი შრომა გაეყიდათ, მეორე მხრივ, კი მათ შრომას წაართვა საბაზრო ღირებულება. ამ დროს წარმოიქმნა დამსაქმებელთა ახალი კლასი, თუმცა ამის საპირწონედ, დასაქმებულთა კლასმა საკუთარი თავი ვერ წარმოქმნა. მიწის შემოღობვის სერიათა ახა-ლი გიგანტური ტალღა მიწის მობილიზაციას ახდენდა და ქმნიდა ახალ რურალურ პროლეტარიატს. ეს მაშინ, როდესაც „ღარიბთა კანონის ცუდი ადმინისტრირება“ არ აძლევდა მათ საკუთარი შრომით თავის რჩენის საშუალებას. გასაკვირი არ არის, რომ იმ დროის თანამედროვეები შეძრწუნებულნი იყვნენ იმ თვალ-შისაცემი წინააღმდეგობით, რაც გამოიხატებოდა ერთი მხრივ წარმოების თითქმის სასწაულებრივი ზრდით, და მეორე მხრივ, მასების შიმშილით. 1834 წლისათვის, უკვე არსებობდა საზოგადო რწმენა – მათ შორის ბევრი მოაზროვნე ადამიანის ღრმა რწმენა – რომ სპინჰემლენდის შენარჩუნებას ნებისმიერი რამ აჯობებდა. ან საწარმოო დანადგარები უნდა განადგურებულიყო, როგორც ეს ლუდიტებმა სცადეს, ან კიდევ რეგულარული შრომის ბაზარი უნდა შექმნილიყო. კაცობრიობა სწორედ ამგვარად აიძულეს შე-სულიყო ამ უტოპიურ ექსპერიმენტში.

აქ არ არის სპინჰემლენდის ეკონომიკის შესახებ გრძლად სალაპარაკო ადგილი; ამისათვის მოგვიანებით იქნება შესაძლე-ბლობა. ამ ყველაფრის ფონზე, „სიცოცხლის უფლებას“ მთლია-ნად უნდა შეეწყვიტა ანაზღაურებადი შრომა. სტანდარტული ხელფასები თანდათანობით უნდა განულებულიყო, რაც სახელ-ფასო ჩეკს მთლიანად ადგილობრივ სამრევლოს დააკისრებდა. ეს კი ამ ზომების აბსურდულობის მანიფესტაცია იქნებოდა. მაგრამ ეს ძირითადად მაინც პრე-კაპიტალისტური ხანა იყო, როდესაც

უბრალო ხალხი ჯერ კიდევ ტრადიციულად აზროვნებდა, და მათი ქცევა შორს იყო მხოლოდ მონეტარული მოტივებით ხელმძღვანელობისაგან. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას, უბრალო მშრომელებს თუ სხვებს, პაუპერის, ანუ ღატაკის სტატუსს ნებისმიერი ტიპის არსებობა ერჩიათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის, პაუპერის სტატუსი არ იყო განზრახ დატვირთული გამაღიზიანებელი თუ სასირცხვილო მახასიათებლებით, როგორც ის შემდგომში დაიტვირთა. თუ მშრომელები თავისუფლები იყვნენ რომ წინ წაეწიათ საკუთარი ინტერესები, შემწეობის სისტემას, რა თქმა უნდა, შესაძლოა საპირისპირო ეფექტი ჰქონოდა სტანდარტულ ხელფასებზე: უმუშევართა შემწეობა, რომელიც ღარიბთა კანონის ასეთი ლიბერალური ადმინისტრირების ქვეშ მოიაზრებოდა, დიდად დაეხმარებოდა პროფკავშირების ქმედებას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სპინჰემლენდის პატერნალისტურმა ინტერვენციამ უბიძგა მორიგ ინტერვენციას – ანტი-კომბინაციის კანონს (Anti-Combination Laws), მაგრამ მისთვის სპინჰემლენდს შესაძლოა ანაზღაურების შემცირების ნაცვლად, მისი ზრდა გამოეწვია, როგორც ეს მოხდა კიდეც. ანტი-კომბინაციის კანონთან ერთად, რომელიც მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში არ გაუქმებულა, სპინჰემლენდმა შედეგად ის ირონიული შედეგი გამოიღო, რომ ფინანსურად განხორციელებულმა „უფლებამ სიცოცხლეზე“ საბოლოოდ ის ხალხი გაანადგურა, რომელთა მძიმე მომენტებში დასახმარებლადაც იყო შექმნილი.

მომდევნო თაობებისათვის, ძალზედ ცხადი იქნებოდა, რომ ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიც იყო ანაზღაურების სისტემა და „უფლება სიცოცხლეზე“ ურთიერთგამომრიცხავი ბუნება ახასიათებდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშკარა იქნებოდა კაპიტალისტური წესრიგის დაფუძნების შეუძლებლობა მანამ, სანამ ანაზღაურების გადახდა მოხდებოდა საჯარო ფონდებიდან. მაგრამ თანამედროვეებმა მაშინ ვერ გაიაზრეს იმ წესრიგის არსი, რომელსაც ისინი გზას უმზადებდნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის შედეგად მასების პროდუქტიული უნარი სერიოზულად დაქვეითდა – რაც ჭეშმარიტ ეროვნულ უბედურებას წარ-

მოადგენდა და აბრკოლებდა საწარმოო დანადგარების ცივილიზაციის პროგრესს – საზოგადოების ცნობიერებაში აუცილებლად იქნა მიჩნეული ღარიბთა უპირობო შემწეობის გაუქმება. სპინჰემლენდის რთული ეკონომიკა იმ დროის ყველაზე ექსპერტული დამკვირვებლების გაგების უნარსაც გასცდა: მაგრამ დასკვნა უფრო ძლიერი ჩანდა, რომ დახმარება ხელფასის საშუალებით თავისი ბუნებით ზიანის მომტანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ის გასაოცრად აზიანებდა თავად მათ მიმღებებსაც კი.

საბაზრო სისტემის საფრთხეები თავიდანვე ცხადი არ იყო. ამის გასაცნობიერებლად ჩვენ ის ცვლილების გამომწვევი მოვლენები უნდა განვასხვაოთ, რომლებიც ინგლისის მშრომელი ხალხის წინაშე დადგა მანქანა-დანადგარების შემოღების დღიდან: პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ 1795-1834 წლების სპინჰემლენდის პერიოდი; მეორე, ის გასაჭირი, რომელიც 1834 წლის შემდგომ ათწლეულში ღარიბთა კანონის რეფორმამ გამოიწვია; მესამეც, უნდა გავიაზროთ 1834 წლის შემდგომი კონკურენტული შრომის ბაზრის ეფექტი მანამ, სანამ 1870-იან წლებში პროფესიული კავშირების აღიარებამ საკმარისი დაცულობის გარანტია არ წარმოქმნა. ქრონოლოგიურად, სპინჰემლენდი წინ უძღოდა საბაზრო ეკონომიკას; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლად ღარიბთა კანონის რეფორმის აქტი შეგვიძლია მივიჩნიოთ. ბოლო პერიოდი – რომელიც ნაწილობრივ წინა პერიოდსაც მოიცავდა, უკვე ნამდვილი საბაზრო ეკონომიკა იყო.

ეს სამი პერიოდი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. სპინჰემლენდი იმისათვის იქნა მოფიქრებული, რომ უბრალო ხალხის პროლეტარიზაცია აეცილებინა თავიდან, ან როგორც მინიმუმ, შეენელებინა ეს პროცესი. შედეგი კი მასების პაუპერიზაცია იყო – მასებმა ამ პროცესში ადამიანის ფორმა თითქმის დაკარგეს.

1834 წლის ღარიბთა კანონის რეფორმამ, შრომის ბაზრის ეს წინაღობა დაასრულა: „უფლება სიცოცხლეზე“ გაუქმდა. აქტის მეცნიერული სისასტიკე 1830-40 წლების საზოგადოებრივი განწყობისთვის იმდენად შოკისმომგვრელი იყო, მომავალი

თაობების თვალში ძლიერი საზოგადოებრივმა პროტესტებმა სურათი გააფერმკრთალეს. უკიდურესად გაჭირვებულთა დიდი ნაწილი, შემწეობის მოხსნასთან ერთად ბედის ანაბარა დარჩა, ხოლო ყველაზე მეტად დაზარალდნენ „დამსახურებული ღარიბები," რომლებიც ზედმეტად ამაყები იყვნენ იმისათვის, რათა ე.წ. „ვორქჰაუსებში" შესულიყვნენ, რომლებიც უკვე სირცხვილის დასახლებად იყო ქცეული. თანამედროვე ისტორიაში, ალბათ არასდროს განხორციელებულა სოციალური რეფორმის ასეთი ულმობელი აქტი; ამ რეფორმამ უამრავი სიცოცხლე შეიწირა მაშინ, როდესაც თავი ისე მოქონდა, თითქოს ის აწესებდა სიღარიბის ნამდვილ კრიტერიუმს ე.წ. „ვორქჰაუსებში".

ზომიერი ფილანტროპისტები გულცივად უჭერდნენ მხარს ფსიქოლოგიური ტანჯვის პრაქტიკაში განხორციელებას და მას ისე უდგებოდნენ, როგორც სამუშაო ქარხნების ზეთით გაპოხიერების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მთელი უკმაყოფილება მიემართებოდა იმ სისწრაფესა და მოულოდნელობას, რომლითაც ძველი ინსტიტუტი განახლდა და რადიკალური ტრანსფორმაცია განხორციელდა. დისრაელიმ დაგმო ეს „წარმოუდგენელი რევოლუცია" ადამიანთა ცხოვრებაში. თუმცა, თუ მხოლოდ ფულად შემოსავალს დავთვლიდით, ადამიანთა სიტუაცია მალე უნდა გაუმჯობესებულიყო.

მესამე პერიოდის პრობლემები ყველაზე რთული და მძიმე იყო. 1834 წლის შემდგომ ათწლეულში, ღარიბთა კანონის ახალი და ცენტრალიზებული განმახორციელებელი პირების მიერ ღარიბთა მიმართ ჩადენილი ბიუროკრატიული სისასტიკეები მხოლოდ სპორადული იყო და არც კი შეედრებოდა თანამედროვე ინსტიტუტთაგან ყველაზე ძლიერ, შრომის ბაზრის ეფექტებს. თავისი მასშტაბით, ის ჩამოგავდა სპინჰემლენდის საფრთხეებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე კონკურენტული შრომის ბაზრის არ არსებობა კი არა, არამედ სწორედ მისი არსებობა წარმოადგენდა საფრთხეს. თუ სპინჰემლენდმა თავიდან აიცილა მშრომელთა კლასის წარმოქმნა, ახლა უკვე უგრძნობი მექანიზმის საშუალებით, ასეთ კლასად მშრომელი ღარიბები ყალიბდებოდნენ. თუ სპინჰემლენდის პირობე-

ბში ადამიანებს ეპყრობოდნენ, როგორც არც თუ ისე ძვირფას ცხოველებს, ახლა უკვე მათგან იმასაც ელოდნენ, რომ მათ საკუთარ თავზე თავად ეზრუნათ მიუხედავად მათ წინააღმდეგ არსებული გარემოებებისა. თუ სპინჰემლენდი ნიშნავდა დეგრადაციის გამოყუდროებულ მიუსაფრობას, ახლა უკვე მშრომელი ადამიანი საზოგადოებაში უსახლკარო იყო. თუ სპინჰემლენდმა გადაამუშავა სამეზობლო, ოჯახის, და რურალური გარემოს ღირებულებები, ახლა უკვე ადამიანი მოწყვეტილი იყო მის სახლსა და ნათესაობას, მის ფუძეს და მისთვის ღირებულების მატარებელ ყველა გარემოს. მოკლედ, თუ სპინჰემლენდი ნიშნავდა უმოძრაობაში ჩალპობას, ახლა საშიშროებას წარმოადგენდა სიცივით გამოწვეული სიკვდილი.

1834 წლამდე ინგლისში კონკურენტული შრომის ბაზარი არ ჩამოყალიბებულა. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ინდუსტრიული კაპიტალიზმი, როგორც სოციალური სისტემა, ამ თარიღამდე არსებობდა. თუმცა, თითქმის თანადროულად, საზოგადოებამ საკუთარი თავის დაცვა დაიწყო: ამოქმედდა საწარმოო კანონები და სოციალური კანონმდებლობა, აღმოცენდა პოლიტიკური და ინდუსტრიული მუშათა კლასის მოძრაობები. სწორედ საბაზრო მექანიზმის მთელი რიგი ახალი საფრთხეების გამკლავებისკენ მიმართული მცდელობა იყო, რომ საზოგადოების თავდაცვითი ქმედება ფატალურად ეწინააღმდეგებოდა სისტემის თვითრეგულაციას. გაზვიადება სულაც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნის სოციალური ისტორია განსაზღვრა ნამდვილი საბაზრო სისტემის ლოგიკამ, რაც 1834 წლის „ღარიბთა კანონის რეფორმის აქტის“ (The Poor Law Reform Act) შემოღებამ დაამკვიდრა. ამ დინამიკის საწყისი წერტილი კი სპინჰემლენდის კანონი იყო.

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სპინჰემლენდის შესწავლა ნიშნავს XIX საუკუნის ცივილიზაციის დაბადების შესწავლას, მხოლოდ მის ეკონომიკურ ან სოციალურ შედეგებს კი არ ვგულისხმობთ, ან თუნდაც ამ შედეგების გავლენას თანამედროვე პოლიტიკურ ისტორიაზე, არამედ თანამედროვე თაობისათვის იმ უცნობ ფაქტს, რომ ჩვენი სოციალური ცნობიერება მისგან გაფხვიერებულ მიწა-

ში იქნა ფორმირებული. პაუპერის ფიგურა, რომელიც მას შემდეგ თითქმის მთლიანად დავიწყებას მიეცა, დომინირებდა იმ დისკუსიაში, რომლის ანაბეჭდიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც ისტორიის ყველაზე სანახაობრივი მოვლენები. თუ საფრანგეთის რევოლუცია ვოლტერისა და დიდროს, ქენეისა და რუსოს ნააზრევისგან იყო დავალებული, ღარიბთა კანონის ირგვლივ გამართულმა მსჯელობამ ჩამოაყალიბა ბენთამისა და ბურკის, გოდვინისა და მალთუზის, რიკარდოსა და მარქსის, რობერტ ოუენისა და ჯონ სტიუარტ მილის, დარვინისა და სპენსერის აზრები, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად წარმოადგენდნენ XIX საუკუნის სულიერ მშობლებს. სპინჰემლენდისა და „ღარიბთა კანონის რეფორმის“ შემდგომ ათწლეულებში, ადამიანის გონება საკუთარ საზოგადოებას მიუბრუნდა ახალი ბრაზისშემცველი შფოთვით: რევოლუცია, რომლის აღმოცენებაც ბერკშირის მოსამართლეებმა ამაოდ დაგეგმეს, და რომელიც „ღარიბთა კანონის რეფორმამ“ საბოლოოდ გაათავისუფლა, ადამიანთა ხედვა საკუთარი კოლექტიური ყოფიერებისაკენ მიმართა ისე, თითქოს ამ კოლექტიური არსის იქ ყოფნა აქამდე უგულებელყოფილი იყო. სამყარო გაშიშვლდა, და მისი რეალური არსი – ანუ იმ წესების არსებობა, რომელიც კომპლექსურ საზოგადოებას მართავდა – ოდნავადაც კი არ იყო ნავარაუდევი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების აღმოცენება ამ ახალი და გამორჩეული აზრით, ეკონომიკურ სფეროში მოხდა, მისი შემხებლობა უნივერსალური იყო.

ის ფორმა, რითაც ახალი რეალობა ჩვენს ცნობიერებაში შემოვიდა, პოლიტიკური ეკონომიკა იყო. იმისათვის, რომ ის ადამიანთათვის გასაგებ მნიშვნელობებთან შერწყმულიყო, მისი საოცარი რეგულარობა და გამაოგნებელი წინააღმდეგობები უნდა შეთავსებოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის სქემებს. ჯიუტი ფაქტები თუ შეუბრალებელი და ბრუტალური კანონები, რომლებიც ჩვენი თავისუფლების გასაუქმებლად აღმოცენდნენ, რამენაირად უნდა მოგვარებულიყვნენ თავისუფლების იდეასთან. ეს იყო მეტაფიზიკური ძალების ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც უჩუმრად აიტანა პოზიტივისტებიცა და უტილიტა-

რიანისტებიც. უსაზღვრო იმედი და სასოწარკვეთა, რომლებიც ადამიანთა აქამდე აღმოუჩენელი შესაძლებლობების სფეროსკენ იმზირებოდნენ, წარმოადგენდნენ გონების ამბივალენტურ პასუხს ამ საშინელ შეზღუდვებზე. იმედი – ეს სრულყოფისუნარიანობისკენ მიმართული ხედვა – გამოიხადა მოსახლეობის კოშმარისა და ანაზღაურების კანონებისაგან, და განსხეულებული იყო პროგრესის ცნებაში, რომელიც ისეთი შთაგონების წყარო იყო, რომ თითქოს ამართლებდა მომავალ მასშტაბურ და მტკივნეულ დისლოკაციებს. სასოწარკვეთა ტრანსფორმაციის კიდევ უფრო ძლიერი აგენტი აღმოჩნდა.

ადამიანი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა სეკულარულ სიკვდილზე: მას ან თავისი ჯიშის გამრავლება უნდა შეეწყვიტა, ან კიდევ საკუთარი თავისათვის ლიკვიდაცია მიესაჯა ომებისა და ეპიდემიების, შიმშილისა და ბოროტმოქმედების საშუალებით. სიღარიბე ბუნებით გადარჩენის როლს ასრულებდა: საკვების სიმწირე და ადამიანთა სიმრავლე პრობლემური სწორედ მაშინ გახდა, როდესაც სიმდიდრის უსაზღვრო ზრდის დაპირება ყველას დასანახად ჩაიფუშა და ამით უფრო მწარე გახადა ირონია.

სწორედ ასე ინტეგრირდა აღმოჩენილი საზოგადოება ადამიანის სულიერ სამყაროსთან; მაგრამ როგორ მოხერხდებოდა ამ ახალი რეალობის, ახალი საზოგადოების თარგმნა ყოველდღიური ცხოვრების ტერმინებში? ჰარმონიისა და კონფლიქტის მორალური პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების უკიდურესად დაძაბული მეგზურები შეტყუებულნი იყვნენ სრულ წინააღმდეგობებში. როგორც ამბობდნენ, ჰარმონია ეკონომიკისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესები საბოლოო ჯამში იდენტური იყო – მაგრამ ასეთი ჰარმონიული თვითრეგულაცია ინდივიდის მიერ ეკონომიკური კანონების პატივისცემას მოითხოვდა მაშინაც კი, როდესაც ამ კანონებს შესაძლოა ის გაენადგურებინათ. კონფლიქტიც, როგორც ადამიანთა კონკურენცია ან კლასთა ბრძოლა, ეკონომიკის მახასიათებლებად გამოიყურებოდა, მაგრამ ასეთი კონფლიქტები,

ისევ და ისევ, შეიძლება უფრო ღრმა ჰარმონიის მამოძრავებელი აღმოჩნდეს ამჟამინდელ ან თუნდაც მომავლის საზოგადოებაში.

პაუპერიზმი, პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოების აღმოჩენა, მჭიდროდ ურთიერთგადაჯაჭვული საკითხები იყო. პაუპერიზმმა ყურადღება იმ აუხსნელ ფაქტზე გაამახვილა, რომ სიღარიბე შეთავსებადი იყო სიუხვესთან. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი იყო იმ საგონებელში ჩამგდები პარადოქსებისაგან, რომლითაც ინდუსტრიული საზოგადოება ადამიანთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა. ადამიანი ახალ სამყოფელში ეკონომიკის კარებით შევიდა, და ამ შემთხვევითმა გარემოებამ ეპოქა მატერიალისტურ აურაში შთანთქა. რიკარდოსა და მალთუზისათვის, მატერიალურ საქონელზე უფრო რეალური არაფერი იყო. მათთვის, საბაზრო კანონები ადამიანთა შესაძლებლობების ლიმიტის აღმნიშვნელი იყო. გოდვინს მთლიანობაში შესაძლებლობებისა სჯეროდა, და ამიტომ იძულებული იყო უარი ეთქვა საბაზრო წესებზე. ის, რომ ადამიანთა შესაძლებლობები საბაზრო კანონებით კი არა თავად საზოგადოების მიერ იყო შეზღუდული, ოუენის აღიარების ანაბარა გახდა, რომელიც ერთადერთი იყო, ვინც საბაზრო ეკონომიკის ფარდის უკან ამომავალ რეალობას – საზოგადოებას ხედავდა. თუმცა, მისი ხედვა ერთი საუკუნით ჩაიკარგა.

ამასობაში, სიღარიბის პრობლემასთან მიმართებაში, ხალხმა წამოიწყო კომპლექსურ საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობის გამორკვევა. პოლიტიკური ეკონომიკის უნივერსალურ სამყაროში შესვლა ორი საპირისპირო პერსპექტივის ქვეშ მოხდა: ერთი მხრივ, პროგრესისა და სრულყოფისუნარიანობის პერსპექტივით, ხოლო მეორე მხრივ, დეტერმინიზმისა და წყევლის. ამის პრაქტიკაში თარგმნაც ორი საპირისპირო გზით განხორციელდა: ერთი მხრივ, ჰარმონიისა და თვითრეგულაციის პრინციპით, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენციისა და კონფლიქტის. ეკონომიკური ლიბერალიზმისა და კლასობრივი კონცეფციის ადრეული ფორმირება ამ ურთიერთწინააღმდეგობების ფონზე მოხდა. ამ სტიქიური მოვლენის დასასრულით, ადამიანთა ცნობიერება ახალი იდეებით განიმსჭვალა.

თავი 8
მიზეზები და შედეგები

სპინჰემლენდის სისტემა თავდაპირველად მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო, თუმცა რამდენიმე ინსტიტუციას თუ ჰქონია ამხელა გავლენა ცივილიზაციის ბედზე, როგორც მას. მიუხედავად ამ სისტემის მნიშვნელობისა, ცვლილებების დასაწყებად მისი გაუქმება გახდა საჭირო. იგი გარდამავალი პერიოდის ტიპური პროექტი იყო და იმსახურებს იმ მოსწავლეთა ყურადღებას, ვინც დაინტერესებულია ადამიანთა ცხოვრების ისტორიით.

მერკანტილური სისტემის ქვეშ, ინგლისის შრომის ორგანიზაცია ემყარებოდა ღარიბთა კანონს და ხელოსანთა სტატუტს. როგორც საზოგადოდ ცნობილია, ტერმინ "ღარიბთა კანონის" გამოყენება 1536–1601 წლებში მიღებულ კანონებთან მიმართებით არაზუსტია; სინამდვილეში ეს კანონები და მისი შემდგომი შესწორებები ინგლისის შრომის კოდექსის ერთ ნახევარს შეადგენდნენ. მის მეორე ნახევარს კი 1563 წლის ხელოსანთა კანონები წარმოადგენდა. პირველი უმუშევართა და შრომისუუნარო პირებს შეეხებოდა (გარდა მოხუცებისა და ბავშვებისა), ხოლო მეორე – დასაქმებულ პირებზე ვრცელდებოდა. ამ ზომებს, როგორც ვთქვით, მოგვიანებით 1662 წლის განსახლების აქტი დაემატა, რომელიც ხალხის კანონიერი საცხოვრებლის საკითხებს ეხებოდა და მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ მობილობას. (მკა-

ფიო განსხვავება დასაქმებულს, უმუშევარსა და შრომისუუნარო პირს შორის, რა თქმა უნდა, ანაქრონისტულია, ვინაიდან იგი მოიაზრებს დღევანდელი ეპოქის სახელფასო სისტემას, რაც 250 წლის წინ არც არსებობდა. მოცემულ ზოგად მიმოხილვაში აღნიშნულ ტერმინებს მარტივად აღქმისთვის ვიყენებთ.)

შრომის ორგანიზაცია, ხელოსანთა სტატუტის თანახმად, სამ საყრდენს ეფუძნებოდა: იძულებით შრომას, შვიდწლიან შეგირდობას და საჯარო მოსამსახურეებისთვის ყოველწლიური ხელფასის განსაზღვრას. ეს კანონი – ამის ხაზგასმა აუცილებელია – შეეხებოდა, როგორც სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მშრომელებს, ასევე ხელოსნებს და მისი აღსრულება რურალურ დასახლებებსა და ქალაქებს მოიცავდა. ოთხმოცი წლის განმავლობაში სტატუტი მკაცრად აღესრულებოდა; მოგვიანებით შეგირდობის მუხლმა ნაწილობრივ დაკარგა ძალა და ტრადიციული ხელობის შეზღუდვებს დაექვემდებარა. ისეთ ახლებურ წარმოებებს, როგორიც მაგალითად ბამბის წარმოებაა, ეს კანონები უბრალოდ არ შეეხოთ. ხელფასის საარსებო ხარჯებზე დაფუძნებული დადგენის წესი რესტავრაციის შემდგომ (1660) ქვეყნის უდიდეს ნაწილზე დროებით გაუქმდა. ფორმალურად სტატუტის სახელფასო მუხლი მხოლოდ 1813 წელს იქნა გაუქმებული, ხოლო შეგირდობის პუნქტი კი 1814 წელს შეჩერდა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კუთხით შეგირდობის წესი სტატუტის გაუქმებას გადაურჩა; იგი კვლავაც მოქმედებს, როგორც საერთო პრაქტიკა, ინგლისის განვითარებულ ვაჭრობაში. მართალია, რომ იძულებითი შრომა სოფლად ქრებოდა, მაინც შეიძლება ითქვას, ორნახევარი საუკუნის განმავლობაში ხელოსანთა სტატუტმა განაპირობა რეგულაციებსა და პატერნალიზმის პრინციპებზე დამყარებული შრომის ეროვნული ორგანიზაციის კონტურების ჩამოყალიბება.

ამდენად, ხელოსანთა სტატუტი ღარიბთა კანონით შეივსო, რაც ყველაზე ბუნდოვანი ტერმინია თანამედროვე ადამიანისთვის, რომელსაც „ღარიბი“ და „ღატაკი“ ერთგვაროვნად ესმის. სინამდვილეში იმ ეპოქის ინგლისელი ჯენტლმენი ღარიბად იმას მიიჩნევდა, ვისაც საკმარისი შემოსავალი არ გააჩნდა მოცალეო-

ბისთვის. „ღარიბი“ პრაქტიკულად “ჩვეულებრივი ხალხის“ სინონიმად მიიჩნეოდა, და მიწის მესაკუთრეების გარდა თითქმის ყველას მოიცავდა (თითქმის ვერ ნახავდით წარმატებულ ვაჭარს ვისაც მიწის საკუთრება არ გააჩნდა), ამიტომ ტერმინი „ღარიბი“ ნიშნავდა ყველას, ვინც გაჭირვებულიც იყო და ყველას, ვინც ოდესმე შეიძლებოდა ამ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. რა თქმა უნდა, მათში ღატაკებიც იგულისხმებოდნენ. საზოგადოებას უნდა მოევლო მოხუცებისთვის, ობლებისა თუ ავადმყოფებისთვის, რადგან იგი ამტკიცებდა, რომ მის საზღვრებში ყველა ქრისტიანისთვის მოიძებნებოდა ადგილი. ყველაფრისადა მიუხედავად, არსებობდნენ შრომისუნარიანი ღარიბები, რომელთაც ჩვენ უმუშევრები შეგვიძლია ვუწოდოთ, მხოლოდ იმ დაშვებით, რომ სამსახურის შოვნის შემთხვევაში, მათ შეეძლოთ საკუთარი თავის რჩენა. მათხოვრობა კი მკაცრად ისჯებოდა, ხოლო მაწანწალობის განმეორებითობის შემთხვევაში დამნაშავეს სიკვდილით დასჯა ელოდა. 1601 წლის ღარიბთა კანონით, შრომისუნარიანი ღარიბი იძულებით უნდა გამწესებულიყო სამრევლოს მიერ შემოთავაზებულ სამუშაოებზე, რათა თავი შეენახა. დახმარების ტვირთი პირდაპირ სამრევლოს გასაწევი იყო, შესაბამისად, მას უფლება მიეცა საჭირო თანხების მისაღებად შემოეღო ადგილობრივი გადასახადები და განაკვეთები. ეს გადასახადები ერთნაირად ეკისრებოდა ყველა სახლის მეპატრონეს და მოიჯარეს, მდიდარსა თუ არა მდიდარს, დაქირავებული მიწის ან დაკავებული სახლების შესაბამისად.

ხელოსანთა სტატუტი და ღარიბთა კანონი ერთად უზრუნველყოფდა იმას, რასაც შეიძლება შრომის კოდექსი ეწოდოს. მიუხედავად ამისა, ღარიბთა კანონი იმართებოდა ადგილობრივ დონეზე. თითოეულ სამრევლოს – მცირე ერთობას – გააჩნდა საკუთარი რესურსები თავად განესაზღვრა სამუშაო პირობები შრომისუნარიანებისთვის: ღარიბთა სახლების მეურნეობა; ობოლ და შეჭირვებულ ბავშვთა დამოწაფება; მოხუცებულთა და უძლურთა მოვლა; ღატაკების დაკრძალვა; ყველა სამრევლოს გააჩნდა საკუთარი საგადასახადო დონეები. მართალია ეს მოწოდებები

კეთილშობილურად ჟღერს, მაგრამ იგი ზოგჯერ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ბევრ სამრევლოს არც კი გააჩნდა ღარიბთა სახლი; ბევრ მათგანს საერთოდ არ ჰქონდა შესაბამისი რესურსები შრომისუნარიანი პირთა დასაქმებისთვის. არსებობდა უამრავი გზა და საშუალება, რითაც კანონის აღსრულება ფერხდებოდა, იქნებოდა ეს ადგილობრივ გადამხდელთა სიზარმაცე, ღარიბების ზედამხედველთა უყურადღებობა და სიღარიბისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მიუხედავად ყველაფრისა, ღარიბთა კანონის თითქმის თექვსმეტი ათასამდე ქვეყნის მოხელე ახერხებდა სოფლის ცხოვრების სოციალური ქსოვილის დაურღვევლად და დაუზიანებლად შენარჩუნებას.

ეროვნული შრომის სისტემაში არსებული უმუშევრობის და ღარიბების დახმარების ადგილობრივი ორგანიზაციები აშკარა ანომალია იყო. რაც უფრო მრავალფეროვანი იყო ღარიბთა დახმარების ადგილობრივი ფორმები, მით უფრო მეტი იყო საფრთხე, რომ კარგად შენახულ სამრევლოს პროფესიონალ პაუპერთა ტალღა მოწყდომოდა. რესტავრაციის შემდეგ მიღებულ იქნა განსახლების და გადასახლების აქტი[1], რომელიც „უკეთეს“ სამრევლოებს იცავდა პაუპერთა მოდინებისგან. საუკუნის შემდეგ ადამ სმიტმა გააკრიტიკა ეს აქტი, რადგან იგი აფერხებდა ხალხის გადაადგილებას და ხელს უშლიდა მათ სამუშაოს ძიებაში, ხოლო კაპიტალისტ დამსაქმებელს ზღუდავდა მუშახელის მოძიებაში. მხოლოდ ადგილობრივი მაგისტრატის და მმართველების კეთილი ნებით იყო შესაძლებელი სხვა სამრევლოში დარჩენა. იმ შემთხვევაშიც თუ პაუპერს კარგი რეპუტაცია გააჩნდა და დასაქმებული იყო, მაინც შეიძლებოდა გამოეგდოთ სამრევლოდან. ამ ხალხის თავისუფლების და თანასწორობის კანონიერი სტატუსი მკვეთრ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა. ისინი თანასწორები იყვნენ კანონის წინაშე და თავისუფალნი საკუთარ თავებთან, მაგრამ არა მათ საქმიანობაში ან საკუთარი შვილების მომავლის არჩევანში. ისინი არ იყვნენ თავისუფლები ეცხოვრათ იქ სადაც

[1] The Act of Settlement and Removal.

მოისურვებდნენ და უხდებოდათ იძულებითი შრომის გაწევა. ელისაბედ დედოფლის ორი დიდი სტატუტი და განსახლების აქტი ერთობლიობაში წარმოადგენდა, როგორც უბრალო ხალხის თავისუფლების ქარტიას, ისე მათი უძლურების ბეჭედს.

ინდუსტრიული რევოლუცია უკვე დაწყებული იყო, როდესაც 1795 წელს წარმოების მოთხოვნილების გავლენის შედეგად 1662 წლის აქტი ნაწილობრივ გაუქმდა. გაუქმდა სამრევლო ბატონყმობა და მშრომელს ფიზიკური გადაადგილების შესაძლებლობა აღუდგა. ამასთან, შესაძლებელი გახდა შრომის ბაზრის ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბება. იმავე წელს, როგორც ვიცით, ღარიბების კანონის განხორციელების შესაძლებლობა შეიქმნა, რომელიც ელისაბედ დედოფლის პოლიტიკის იძულებითი შრომის პრინციპს აუქმებდა. სპინჰემლენდის აქტი ,,სიცოცხლის უფლების" გარანტიებს უზრუნველყოფდა: სუბსიდიებს სახელფასო ანაზღაურების ფორმით საერთოს ხდიდა, ზრდიდა საოჯახო შემწეობებსაც, ეს ყველაფერი კი, სამუშაო სახლში ჩაწერის გარეშეც, პირდაპირი შემწეობის წესით გაიცემოდა. მართალია ამ დახმარების მასშტაბი მიზერული იყო, მაგრამ გამოსაკვებად კმაროდა. ეს იყო რეგულაციონიზმის და პატერნალიზმის გაორმაგებული ძალით დაბრუნება. თითქოს ორთქლის ძრავები თავისუფლებას და მანქანები ადამიანთა ხელებს მისტიროდნენ. მითუმეტეს, რომ სპინჰემლენდის კანონი დროში დაემთხვა განსახლების აქტის გაუქმებას. წინააღმდეგობა სახეზე იყო. განსახლების აქტი კი იმიტომ გაუქმდა, რომ ინდუსტრიული რევოლუცია ეროვნულ დონეზე ისეთი სამუშაო ძალის მიწოდებას მოითხოვდა, რომელიც ხელფასზე იმუშავებდა. ამავდროულად, სპინჰემლენდის სისტემა ქადაგებდა, რომ შიმშილის არავის უნდა შეშინებოდა და მიუხედავად შემოსავლისა, სამრევლოები მაინც შეინახავდნენ მათ და მათ ოჯახებს. სხვა რა იყო მოსალოდნელი, გარდა სოციალური კატასტროფისა, თუ ამ ორი კანონის ერთდროულად მოქმედება გაგრძელდებოდა?

სპინჰემლენდის თაობა ვერ აცნობიერებდა თუ რა ელოდათ წინ. ისტორიაში, ყველაზე დიდი ინდუსტრიული რევოლუციის გა-

რიჟრაჟზე, ამის არავითარი ნიშანი და მოლოდინი არ არსებობდა. კაპიტალიზმი გამოუცხადებლად გამოჩნდა. არავის განუჭვრიტავს მანქანური მრეწველობის განვითარება. ეს დიდი მოულოდნელობა იყო. გარკვეული ხნის განმავლობაში, ინგლისში საგარეო ვაჭრობის მუდმივ რეცესიას ელოდნენ, თუმცა ამ დროს დაგუბებული კაშხლიდან წამოსულმა ტალღამ, ძველი სამყარო პლანეტარული ეკონომიკისკენ მოისროლა.

ამასთან, 1850-იან წლებამდე არავის შეეძლო ამის თქმა დარწმუნებით. სპინჰემლენდის მაგისტრატების რეკომენდაციების გასაგებად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გაუაზრებლობა, რაც მათ წინაშე მდგარ განვითარების გზას ახლდა. რეტროსპექტივაში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ისინი არამხოლოდ შეუძლებლის შესრულებას ცდილობდნენ, არამედ ამას შინაგანი წინააღმდეგობის საშუალებით ახორციელებდნენ, რაც მათთვის ცხადი უნდა ყოფილიყო. რეალურად მათ მიაღწიეს მიზანს და დაიცვეს სამრევლო განსახლებისგან, თუმცა მათი პოლიტიკის შედეგი დამანგრეველი აღმოჩნდა. სპინჰემლენდის პოლიტიკა სამუშაო ძალის ბაზრის განვითარების გარკვეული ეტაპის შედეგი იყო და მისი გააზრება სწორედ ამგვარი პოლიტიკის განმსაზღვრელთა შუქზე უნდა მოხდეს. ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, გამოჩნდება, რომ შემწეობის სისტემა მიწათმფლობელთა მიერ მოფიქრებული ხაფანგია, რათა მორგებულიყო მდგომარეობას, სადაც ფიზიკური გადაადგილება შრომას ვეღარ შეზღუდავდა, ხოლო წვრილი მიწათმფლობელი ეცდებოდა თავი აერიდებინა მაღალ ხელფასებს, რის შესაძლებლობასაც ეროვნული ბაზრის თავისუფალი შრომის პირობები მისცემდა.

სპინჰემლენდის დინამიკა მისმა წარმომშობმა გარემოებებმა განაპირობა. რურალური პაუპერიზმის აღმასვლა მომავალი გადატრიალების პირველი სიმპტომი იყო, თუმცა ამას იმ პერიოდში ვერავინ ხვდებოდა. სამრევლოს სიღარიბესა და მსოფლიო ვაჭრობას შორის კავშირი აშკარად ბუნდოვანი იყო. იმ ეპოქის მოაზროვნეებს არ გააჩნდათ მიზეზი, რომ ღარიბი სოფლების რაოდენობა ოკეანეებში განვითარებულ კომერციის პროცესთან

დაეკავშირებინათ. სიღარიბის გაუგებარი მატებაც ყოველთვის ღარიბთა კანონის აღსრულების გზებით იხსნებოდა და არა რაიმე სხვა, უფრო გონივრული მოსაზრებით. სინამდვილეში, რურალური პაუპერიზმის ავისმომასწავებელი ზრდა პირდაპირ კავშირში იყო ეკონომიკური ისტორიის საერთო ტენდენციებთან. თუმცა ეს კავშირი მაინც რთულად აღქმადი იყო. ათობით მწერალი იკვლევდა გლეხების მიერ სოფლებში შეღწევის გასაოცარ გზებს, მათ რაოდენობას და მიზეზებს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ რამდენიმე მწერალმა მოახერხა ამ გადაადგილებების ისეთი სიმპტომების შენიშვნა, რასაც დღეს, როგორც წესი, ინდუსტრიული რევოლუციით ვხსნით. ვაჭრობისა და პაუპერიზმის ზრდის ნაწილობრივად გაგების გარდა, ინგლისის საზოგადოება 1785 წლამდე ვერ აცნობიერებდა იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც ეკონომიკურ ცხოვრებაში იწყებოდა.

საიდან მოდიოდნენ ღარიბები? ეს კითხვა მუდმივად ისმებოდა საუკუნის განმავლობაში მომრავლებულ პამფლეტებში. ლიტერატურაში, რომელიც გამსჭვალული იყო იდეით, რომ პაუპერიზმის დამარცხება მისი ყველაზე მკაფიო ბოროტების შემცირებით იყო შესაძლებელი, არ არსებობდა მკაფიო განსხვავება პაუპერიზმის მიზეზებსა და მასთან ბრძოლის საშუალებებს შორის. როგორც ჩანს, ერთ საკითხზე მაინც არსებობდა თანხმობა, კერძოდ იმაზე, რომ პაუპერიზმის (სიღატაკის) ზრდას ბევრი მიზეზი ჰქონდა. მათ შორის მოიაზრებოდა მარცვლეულის სიმწირე; სოფლის მეურნეობაში, მაღალი ხელფასებით გამოწვეული, მზარდი ფასები საკვებზე; ძალიან დაბალი სასოფლო სამეურნეო ხელფასები; ძალიან მაღალი ხელფასები ურბანულ დასახლებებში; დასაქმების მოუწესრიგებლობა ქალაქებში; დამოუკიდებელი გლეხების (იომენების) გაქრობა; ურბანული დასახლების მშრომელთა უუნარობა სასოფლო საქმიანობაში; ფერმერებში მაღალი ხელფასის გაცემის პრაქტიკის არ ქონა; მიწისმფლობელთა შიში, რომ მაღალი ხელფასის გამო ქირა შემცირდებოდა; სახელოსნოების მანქანურ მოწყობილობებთან არაკონკურენტუნარიანობა; მოუხერხებელი საცხოვრებლები; საშინაო ეკონომიკის სიმწირე; მოუწესრიგებე-

ლი კვება; ალკოჰოლიზმი. ზოგიერთი ავტორი ამის მიზეზად ახალი ტიპის მსხვილ ცხვრებსაც კი მიიჩნევდა, ზოგიერთი ცხენებს ადანაშაულებდა და მათი ხარებით ჩანაცვლებას მიიჩნევდა გამოსავლად, ხოლო სხვები კი ნაკლები ძაღლის ყოლას მოითხოვდა. ზოგიერთ ავტორს სჯეროდა, რომ ღარიბებს ნაკლებად ან საერთოდ არ უნდა ეჭამათ პური, ზოგიც თვლიდა რომ „საუკეთესო საკვების ქურდიც კი არ უნდა დაესაჯათ“. ითვლებოდა, რომ ღარიბების ჯანმრთელობას ჩაი ასუსტებდა, ხოლო „სახლში მოხარშული ლუდი“ კი მათ აღდგენაში ეხმარებოდა. ისინი, ვინც ამაში დარწმუნებულნი იყვნენ, ამტკიცებდნენ, რომ ჩაის ყველაზე იაფფასიანი დრამიც[1] კი სჯობდა. ორმოცი წლის შემდეგ ჰარიეტ მარტინოს კვლავაც სჯეროდა, რომ ჩაის სმის შეწყვეტას შეეძლო პაუპერიზმი შეემცირებინა[2]. ზოგიერთი ავტორი შეზღუდვების პოლიტიკის მძიმე შედეგებზე წუხდა, ზოგიერთი კი მრეწველობის არასტაბილურობას სოფლის მეურნეობაში დასაქმების გაუარესებით ხსნიდა. მთლიანობაში პაუპერიზმი *sui generis* ფენომენად, სოციალურ დაავადებად მიიჩნეოდა, რომელსაც მრავალი წარმოშობის მიზეზი გააჩნდა. სინამდვილეში კი ამ მიზეზებს მხოლოდ ღარიბთა კანონის არასწორი მიდგომა განაპირობებდა. სიღატაკისა და ადგილობრივი გადასახადების რეალური ზრდის მიზეზი იყო ის, რასაც დღეს უხილავ უმუშევრობას ვუწოდებთ. იმ დროს ეს, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა ცნობილი, მით უმეტეს მაშინ, როცა თვითონ დასაქმებაც ფარული იყო, რადგან ის მხოლოდ საშინაო მრეწველობის პირობებში არსებობდა. ამის მიუხედავად მაინც რჩება კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს: როგორ აიხსნება უმუშევრობის და ნაწილობრივ უმუშევართა ზრდა? რატომ ვერ შეამჩნიეს თანამედროვე დამკვირვებლებმაც კი წარმოებაში გარდაუვალი ცვლილებების ნიშნები?

ამის ახსნა ადრეული პერიოდის ვაჭრობის გადაჭარბებულ რყევებში უნდა ვეძებოთ, რომელიც ხშირად ვაჭრობის აბსო-

---

1 დრამი – სპირტიანი სასმელი (მთარგმნ. შენიშვნა)

2 Martineau, H., The Hamlet, 1833

ლუტური ზრდის ფონზე უჩინარდებოდა. ეს უკანასკნელი დასაქმების ზრდას უზრუნველყოფდა, ხოლო რყევები კი უფრო დიდ უმუშევრობას იწვევდა. იმ პერიოდში როცა დასაქმების ზოგადი დონის ტემპები მცირდებოდა, უმუშევრობა და არასრული დასაქმება უფრო სწრაფად იზრდებოდა. ასე რომ, ფრიდრიხ ენგელსის მიერ ნახსენები, სამრეწველო სარეზერვო არმიის ფორმირებამ წინ გადაუსწრო საკუთრივ ინდუსტრიული არმიის წარმოქმნას.

შედეგად, უმუშევრობასა და მთლიანი ვაჭრობის ზრდას შორის კავშირის დადგენა შეუმჩნეველი გახდა. მაშინაც კი, როდესაც უმუშევრობის მატებას დიდი სავაჭრო რყევებით განმარტავდნენ, მხედველობის მიღმა ტოვებდნენ ფაქტს, რომ ეს რყევები, მრეწველობაზე უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული, ზოგადი კომერციული ვაჭრობის ზრდის შემადგენელი ნაწილი იყო. იმ დროის მოღვაწეებს ეჩვენებოდათ, რომ ქალაქური წარმოების ზრდასა და სოფლად გაზრდილ სიღარიბეს შორის კავშირი არ არსებობდა.

ვაჭრობის ერთობლივმა ზრდამ ბუნებრივად გაზარდა დასაქმება, ხოლო შრომის ტერიტორიულმა დანაწილებამ, ვაჭრობის მკვეთრ რყევებთან ერთად, სოფლის და ქალაქის საქმიანობები მნიშვნელოვნად შეცვალა. შედეგად კი უმუშევრობა სწრაფად გაიზარდა. მაღალხელფასიან სამუშაოებზე გავრცელებულმა ხმებმა, მიწაზე დასაქმებულ ღარიბებს უფრო მეტად შეაძულა თავიანთი საქმიანობა, სწორედაც, რომ მისი დაბალანაზღაურებადი ბუნების გამო. იმ ეპოქის სამრეწველო რეგიონები, როგორც ახალ აღმოჩენილი ქვეყანა, მსგავსად ამერიკისა, იზიდავდა ათასობით მიგრანტს. მიგრაციას, როგორც წესი, თან ახლდა მნიშვნელოვანი უკუმიგრაციაც. სოფლისკენ უკუდინება იმითაც დასტურდება, რომ სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებას ადგილი არ ჰქონია. მოსახლეობის ერთობლივი განსახლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯგუფების მიერ მიმდინარეობდა, როგორც კომერციულ და საწარმოო სექტორში დასაქმებით, ასევე, მის შემდგომ მშობლიურ, სასოფლო ტიპის საცხოვრებელ გარემოში დაბრუნებით.

სწორედ დამანგრეველმა სავაჭრო ფაქტორმა მიაყენა ყველაზე დიდი სოციალური ზიანი ინგლისის სოფლებს. სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია წინ უსწრებდა სამრეწველო რევოლუციას. საზიარო მიწების შემოღობვამ და საკუთრებად გამსხვილებამ, რომელსაც თან ახლდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის დიდი პროგრესი, დამანგრეველი შედეგები გამოიღო. „საშინაო ბრძოლამ", მათი ბაღებისა და ნაკვეთების მიტაცებამ, საზიარო მიწებზე უფლებების კონფისკაციამ, საშინაო მრეწველობას ორი ფუნდამენტური საფუძველი გამოაცალა: საოჯახო შემოსავალი და სასოფლო-სამეურნეო წინაპირობები. სანამ საშინაო წარმოებას საკუთარი ბაღის კეთილმოწყობის რესურსები და საშუალებები, ნაკვეთები ან საძოვარზე უფლებები ემატებოდა, მანამდე მშრომელი ფულად შემოსავლებზე არ იყვნენ სრულად დამოკიდებულნი. რამდენადაც კარტოფილის ნაკვეთს, ვერან მიწას, ძროხას ან თუნდაც ვირს, სათემო საძოვარზე დიდი ღირებულება გააჩნდა და შესაბამისად, ოჯახური შემოსავალი უმუშევრობის დაზღვევის როლს თამაშობდა. სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია მშრომელ ადამიანს გარდუვალად უნგრევდა ცხოვრების წესს და მის სოციალურ უსაფრთხოებას ასუსტებდა.

ქალაქებში დასაქმების მერყევი ფორმები ახალ დაბრკოლებებს წარმოშობდა. წარმოებაში შრომა ზოგადად არაპერსპექტიულ საქმიანობად მიიჩნეოდა. "მშრომელი, რომელიც დღეს სრული განაკვეთით მუშაობდა, ხვალ შეიძლებოდა ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულიყო...," წერდა დავიდ დევისი და ამატებდა: "შრომის გარანტიების არ არსებობა ამ ახალი გამოგონების ყველაზე მანკიერი შედეგია". "როდესაც მცირე სამეწარმეო ქალაქს ეს საყრდენიც გამოეცლება, მისი მაცხოვრებლები პარალიზდებიან და მაშინვე სამრევლოს ტვირთად დააწვებიან, თუმცა მთელი უბედურება ამით არ სრულდება"... რადგან ამჯერად შრომის დანაწილება იძიებს შურს: უმუშევარი ხელოსანი დაუბრუნდება მის სოფელს, თუმცა უშედეგოდ, რადგან "მქსოველის ხელი აღარაფრად გამოდგება". ურბანიზაციის გარდაუვალ ფატალურობა, რომელიც ადამ სმიტმა განჭვრიტა, ცხადყოფს, რომ ინდუსტრიუ-

ლი მუშა ყველაზე უვარგის მიწისმფლობელსაც კი ჩამორჩება ინტელექტუალურად, ვინაიდან ამ უკანასკნელს ყველა ტიპის საქმის გაკეთება შეუძლია. უნდა ითქვას ისიც რომ სანამ ადამ სმიტი „ხალხთა სიმდიდრეს" ("*Wealth of Nations*") გამოაქვეყნებდა, მანამდე პაუპერიზმი ჯერ კიდევ არ იყო საგანგაშოდ გაზრდილი.

მომდევნო ორ დეკადაში მდგომარეობა უეცრად იცვლება. ბურკე თავის ნაშრომში „მოსაზრებები და დეტალები მწირი რესურსების შესახებ" ("*Thoughts and Details on Scarcity*"), რომელიც მან, 1795 წელს, პიტს წარუდგინა, აღიარებს რომ, მიუხედავად ზოგადი პროგრესისა, "უკანასკნელი ოცი წელი საშინელი იყო". მართლაც, შვიდწლიანი ომის (1763) ათწლეულის შემდეგ უმუშევრობა შესამჩნევად გაიზარდა, რამდენადაც ეს პირდაპირი შემწეობის ზრდით ჩანდა. პირველად შეამჩნიეს, რომ ვაჭრობის აღმასვლას თან ახლდა ღარიბთა მდგომარეობის გაუარესება. გარდაუვალი იყო, რომ ეს აშკარა წინააღმდეგობა დასავლეთის მომავალი თაობის სოციალური ცხოვრების ყველაზე რთულად ასახსნელ ფენომენად იქცა. ჭარბი მოსახლეობის აჩრდილზე ფიქრმა ადამიანების გონება შეიპყრო. ჯოზეფ თაუნსენდი თავის ნაშრომში „ღარიბთა კანონების შესახებ დისერტაცია" ("*Dissertation on the Poor Laws*") აფრთხილებს საზოგადოებას: "თუ სპეკულაციებს შევეშვებით ფაქტია, რომ ინგლისში იმაზე მეტი ადამიანი გვყავს, ვიდრე შეგვიძლია გამოვკვებოთ და იმაზე მეტი ხალხი, ვისი სასარგებლოდ დასაქმებაც არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებითაა შესაძლებელი". 1776 წელს, ადამ სმიტი გამოხატავდა უხმაურო პროგრესის მახასიათებლებს, ხოლო თაუნსენდი კი ათი წლის შემდგომ უკვე აცნობიერებდა მომავალ ქარიშხალს.

ბევრი რამ უნდა მომხდარიყო იმისთვის, რომ (მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ) პოლიტიკისგან დაშორებული, წარმატებული შოტლანდიელი ხიდმშენებელი, ტელფორდი აღშფოთებულიყო და განეცხადებინა, რომ მმართველობის არსებული კურსით არაფერი შეიცვლებოდა და ერთადერთი იმედი რევოლუცია იყო. პეინის "ადამიანის უფლებების" ერთმა წიგნმა, რომელიც ტელფორდმა

საკუთარ სოფელში გააგზავნა, დიდი ჯანყი გამოიწვია. ევროპული დუღილის კატალიზატორი პარიზი იყო.

კანინგის აზრით, ღარიბთა კანონმა ინგლისი რევოლუციისგან იხსნა. ის უპირველეს ყოვლისა 1790-იან წლებსა და საფრანგეთის ომზე ფიქრობდა. მიწების შემოღობვის რეფორმების ახალმა ტალღამ უფრო გააუარესა ღარიბთა მდგომარეობა სოფლებში. შემოღობვის პოლიტიკის აპოლოგეტი ჯ.ჰ კლეფემიც აღიარებდა: „რეგიონები, სადაც ხელფასები სისტემატურად სუბსიდირდებოდა ადგილობრივი გადასახადების ხარჯზე, საოცრად ემთხვეოდა იმ რეგიონებს, სადაც მაქსიმალურ დონეს მიაღწია მიწების შემოღობვის პროცესმა“. სხვა სიტყვებით, რომ არა სახელფასო დანამატები, ინგლისური სოფლების ღარიბები შიმშილისთვის იქნებოდნენ განწირულნი. თივის ზვინებს ცეცხლის ალი მოედოთ, ბევრმა ირწმუნა პოპგანის შეთქმულების და აჯანყებებიც გახშირდა. ჰემფშირში – და არამხოლოდ იქ – სასამართლოები, ბაზრებსა და ქუჩებში, ნებისმიერი საქონლის ფასის ხელოვნურად დაწევაზე სიკვდილით დასჯით იმუქრებოდნენ“; მაგრამ, ამავდროულად, იმავე ოლქის მაგისტრატები დაჟინებით მოითხოვდნენ ხელფასების სუბსიდირებას. გასაგები იყო, რომ პრევენციული მოქმედებების დრო დადგა.

რატომ გატარდა ის მოქმედებები, რომლებიც მოგვიანებით ყველაზე არაპრაქტიკული გამოდგა? ამის გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ იმდროინდელი მდგომარეობა და მასში ჩართული სხვადასხვა ინტერესები. ინგლისურ სოფლებს სკვაირები (მემამულეები) და პასტორები მართავდნენ. ტაუნსენდი მდგომარეობას ასე აჯამებს – მიწისმფლობელი-ჯენტლმენი ინარჩუნებს მრეწველობას „მოსახერხებელ დისტანციაზე“, „ითვალისწინებს რა მრეწველობის არამდგრადობას, რამეთუ მისგან მიღებული სარგებელი შეიძლება არ აღმოჩნდეს მის მიწაზე დაკისრებული ტვირთის პროპორციული...“. ეს ტვირთი უმთავრესად მრეწველობის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგს მოიაზრებდა, კერძოდ, სიღატაკესა და ხელფასების ზრდას. კონკურენტული შრომის ბაზრის შემთხვევაში სიღატაკისა და ხელფასების ზრდა

ურთიერთსაპირისპირო გახდებოდა, ვინაიდან ის ბიძგს მისცემდა უმუშევრობის შემცირებას დასაქმებულთა ხელფასების შემცირების ხარჯზე. ასეთი ბაზრის არ არსებობის პირობებში, რადგან განსახლების აქტი ჯერ კიდევ ძალაში იყო, სიღატაკეც და ხელფასიც შეიძლებოდა ერთდროულად გაზრდილიყო. ასეთ პირობებში, ქალაქში უმუშევრობის „სოციალური დანახარჯები" ძირითადად მოდიოდა სამუშაო დაკარგული პირის მშობლიურ სოფელზე, სადაც ის ხშირად ბრუნდებოდა. ქალაქის მაღალი ხელფასები კვლავ დიდ ტვირთად აწვებოდა სოფლის ეკონომიკას. ფერმერისთვის სასოფლო სამეურნეო ხელფასები საკმაოდ მაღალი, ხოლო მშრომელისთვის კი საარსებო მინიმუმზე დაბალი იყო. გრძელვადიან პერსპექტივაში, სასოფლო მეურნეობა შემოსავლებით ვეღარ უწევდა კონკურენციას ქალაქს. მეორე მხრივ, ყველა თანხმდებოდა განსახლების აქტის გაუქმებაზე, ან სულ მცირე მის შემსუბუქებაზე, რათა მშრომელს გაიოლებოდა სამუშაოს შოვნა, ხოლო დამსაქმებელს შრომითი ძალები მოძიება. როგორც მიიჩნეოდა, ამ ზომების მიღება შრომის მთლიან პროდუქტიულობას გაზრდიდა და ამასთან ერთად, ხელფასების რეალურ ტვირთს შეამსუბუქებდა. მაგრამ, თუკი ხელფასებს „თავისუფალ დინებაზე მიუშვებდნენ", მაშინ ქალაქებსა და სოფლებში არსებული შრომითი ანაზღაურების სხვაობა სოფლის საზიანოდ გამძაფრდებოდა. მრეწველობაში დასაქმების რყევები, რომელსაც უმუშევრობის „სპაზმები" ახლავს თან, სოფლის მოსახლეობის დიდ გადაადგილებებს გამოიწვევდა. ამიტომ, საჭირო გახდა დამცავი კაშხლის აგება, რაც სოფელს მზარდი სახელფასო წყალდიდობისგან გადაარჩენდა. სოფლის სოციალური ძვრებისგან გადასარჩენად ისეთი მეთოდების მოძიება გახდა საჭირო, რომლითაც ტრადიციული მმართველობა გაძლიერდებოდა, შრომითი ძალების გადინება შეჩერდებოდა და სასოფლო სამეურნეო ხელფასი გაიზრდებოდა ფერმერებზე დამატებითი ტვირთის გარეშე. ასეთ მეთოდს სპინჰემლენდის კანონი წარმოადგენდა. ინდუსტრიული რევოლუციის მოვარდნილ ნიაღვარში მას დამცავი ზღუდის როლი უნდა ეთამაშა. მართლაც, თუკი სოფლის

მმართველებს, სკვაირებს დავუჯერებთ, სპინჰემლენდის კანონი არსებულ მდგომარეობასთან თანხვედრაში მოდიოდა.

ღარიბთა კანონის ადმინისტრირების თვალსაზრისით, სპინ-ჰემლენდი ძალიან რეტროგრადული ნაბიჯი იყო. 250 წლიანი გამოცდილება აჩვენებდა, რომ სამრევლო საკმაოდ მცირე ერთეული იყო ღარიბთა კანონის პრაქტიკული განხორციელებისთვის, რადგან იგი მკაფიოდ არ არჩევდა შრომისუნარიან პირებს და შრომისუუნარო მოხუცებს, უძლურებსა და ბავშვებს. ეს იგივეა თითქოს თანამედროვე პატარა ქალაქის სტაბილურობა უმუშევრობის დაზღვევით იყოს შესაძლებელი, ან მსგავსი დაზღვევა გაერთიანდეს მოხუცებულთა დახმარების სქემაში. აქედან გამომდინარე იმ მოკლე პერიოდებში, როცა ღარიბთა კანონის ადმინისტრირება ეროვნული და დიფერენცირებული იყო, იგი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად მუშაობდა. ეს პერიოდი 1590 წლიდან – 1640 წლამდე გრძელდებოდა. ბურლეისა და ლაუდის მმართველობის დროს, როდესაც, მშვიდობის სასამართლოში, სამეფო ტახტი ღარიბთა კანონით იმართებოდა და როდესაც იძულებით შრომასთან ერთად ღარიბთა სახლების აგებით ამბიციური სქემებიც ხორციელდებოდა. თუმცა რესპუბლიკის პერიოდმა კვლავ დაანგრია ის რაც შეირაცხა, როგორც მეფის ერთპიროვნული მმართველობა და რესტავრაციამ ბედის ირონიით სწორედ რესპუბლიკის სამუშაო დაასრულა. 1662 წლის განსახლების აქტმა ღარიბთა კანონი სამრევლოს დონეზე შეზღუდა. ინგლისური კანონმდებლობა პაუპერიზმს მეთვრამეტე საუკუნის მესამე ათწლეულამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ბოლოს, 1772 წელს დიფერენციაციის დადგენის მცდელობები დაიწყო: სამრევლოს კავშირებს სახელოსნოები ადგილობრივ ღარიბთა სახლებისგან განცალკევებით უნდა აეშენებინათ. თუკი სახელოსნო სათანადო მოწმობას წარმოადგენდა, ხანდახან პირდაპირი შემწეობების მიღებასაც შეძლებდა. 1782 წელს გილბერტის აქტმა სამრევლო ერთობების წახალისების საშუალებით დიდი ნაბიჯი გადადგა სამრევლოს ერთეულების გაფართოებისკენ; ამავე დროს სამრევლოებისთვის შრომისუნარიანი პირების სა-

მეზობლოში დასაქმება აუცილებელ მოთხოვნად იქცა. იმისთვის, რომ შემცირებულიყო შრომისუნარიანი მოსახლეობის დახმარების ხარჯები, საჭირო გახდა ღარიბთა შემწეობების და სახელფასო დახმარებების დამატება. მიუხედავად იმისა, რომ სამრევლო ერთეულების მოწყობა ნებაყოფლობითი იყო, ეს დახმარებაზე მყოფი ღარიბების სხვადასხვა კატეგორიებად დიფერენციაციისკენ და ადმინისტრაციული ერთეულების გაფართოებისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სისტემის ნაკლოვანებების მიუხედავად, გილბერტის აქტი სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. სანამ პირდაპირი შემწეობები და სახელფასო დახმარებები სოციალური კანონმდებლობის პოზიტიური შემავსებელი იყო, მანამდე ისინი რაციონალური გადაწყვეტილებისთვის ფატალური ხასიათის არ უნდა ყოფილიყვნენ. სპინჰემლენდმა ბოლო მოუღო ამ რეფორმებს. როდესაც პირდაპირი შემწეობები და სახელფასო დახმარებები *ნორმად* იქცნენ, იგი აღარ მიჰყვებოდა გილბერტის აქტს (როგორც ამას მცდარად ამტკიცებენ). იგი მიდიოდა სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით და ელისაბედ დედოფლის მიერ მიღებულ ღარიბთა კანონების მთლიან სისტემას ანგრევდა. დეტალურად ჩამოყალიბებული განსხვავება სახელოსნოსა და ღარიბთა სახლს შორის უმნიშვნელო გახდა; სხვადასხვა ტიპის ღატაკები და შრომისუნარიანი უმუშევრები მიდრეკილნი გახდნენ შემწეობაზე დამოკიდებულ ღარიბთა განურჩეველ მასაში აღრევისკენ. შედეგად, დიფერენციაციის საპირისპირო პროცესი დაიწყო: სახელოსნოები თანდათან ერწყმოდნენ ღარიბთა სახლებს, ხოლო ღარიბთა სახლები ნელ-ნელა ქრებოდა; სამრევლო კვლავაც ჩამოყალიბდა ინსტიტუციური გადაგვარების ერთადერთ და საბოლოო ნიმუშად.

სპინჰემლენდმა სკვაირის და პასტორის ბატონობა უფრო გააძლიერა (თუკი საერთოდ ეს შესაძლებელი იყო). „ძალაუფლების განურჩეველი ქველმოქმედება“, რაზეც ღარიბთა ზედამხედველები ჩიოდნენ, „თორი სოციალიზმის“ ფორმით ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა: მშვიდობის სასამართლო საქველმოქმედო პოლიტიკას განაგებდა, მაგრამ ამ დროს ღარიბთა ადგილობრი-

ვი გადასახადების ძირითადი ტვირთი სოფლის საშუალო ფენას ეკისრებოდა. იომანრების უდიდესი ნაწილი სასოფლო სამეურნეო რევოლუციის ქარტეხილებში დიდი ხნის წინ განადგურდა. მუდმივი მეიჯარეები და სრული მესაკუთრეები ადგილობრივი მმართველის თვალში ერთ სოციალურ ფენად აღიქმებოდნენ, წვრილ მიწის მესაკუთრე გლეხებთან და მოჯამაგირეებთან ერთად. სოფლის მმართველები დიდად არ არჩევდნენ ღარიბებსა და გაღარიბებულებს ერთმანეთისგან. ისინი ღრუბლებიდან გადმოსცქეროდნენ სოფლის მძიმე ცხოვრებას, თითქოს არც კი არსებულიყო მკვეთრი განსხვავება ღარიბებსა და ღატაკებს შორის. ამიტომ, მათი გაკვირვების საგანს არ წარმოადგენდა, თუ მოუსავლიან წელიწადში გაიგებდნენ, რომ მცირე ფერმერები დამანგრეველი შემწეობის გადასახადის გამო თავადვე აღმოჩნდებოდნენ შემწეობის იმედად. რა თქმა უნდა, მსგავსი შემთხვევები ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ ეს ფაქტებიც იმაზე მიუთითებდეს, რომ ბევრი მათგანი თავად ღარიბი იყო. საბოლოო ჯამში გადასახადის გადამხდელთა და პაუპერების მიმართება დაახლოებით ჰგავს თანამედროვეობას, როდესაც დაზღვევის სხვადასხვა სქემებით, დასაქმებულებზე გადადის დროებით უმუშევრისთვის გასაწევი ხარჯები. სპინჰემლენდის ეპოქის ტიპურ გადასახადის გადამხდელსაც არ გააჩნდა უფლება მიეღო ღარიბების დახმარება, ხოლო სოფლის მეურნეობის ტიპური მშრომელი არანაირ შემწეობის გადასახადს არ იხდიდა. პოლიტიკური თვალსაზრისით სპინჰემლენდის სისტემამ სოფელზე სკვაირის გავლენები გააძლიერა, ამან კი სოფლის საშუალო ფენა დაასუსტა.

ამ სისტემის ყველაზე ანომალიური მხარე მისი ეკონომიკა იყო. კითხვა თუ „ვინ იხდიდა სპინჰემლენდის გადასახადს?“, პრაქტიკულად პასუხგაუცემელი რჩებოდა. ერთი შეხედვით, ეს ტვირთი ძირითადად გადასახადის გადამხდელს დააწვა, მაგრამ ფერმერებს ეს დანახარჯები ნაწილობრივ მშრომელებზე გასაცემი დაბალი ხელფასით უნაზღაურდებოდათ – ასეთი იყო სპინჰემლენდის შედეგი. იმ შემთხვევაში თუ ფერმერი შემწეობის კანდიდატ სოფლის მოსახლეს დაასაქმებდა, ხშირად გადასახადები

უმცირდებოდა. ამიტომ ფერმერის სამზარეულოსა და კარ-მიდამოში დასაქმებულ ხალხს, რომლებიც საჭიროზე მეტნი იყვნენ, ხშირად სადებეტო მხარეს ჩამოწერდნენ. შესაბამისად, გადასახადებიდან შემწეობის მიმღებთა შრომა უფრო იაფი უნდა ყოფილიყო. მათ ხშირად გაყიდვების აგენტად მუშაობა უხდებოდათ სხვადასხვა ადგილზე, რაშიც ანაზღაურებას მხოლოდ საკვების სახით იღებდნენ. ზოგჯერ კი საკუთარი შრომის სოფლის აუქციონზე გატანაც უწევდათ, დღიურად რამდენიმე პენად. თუ რა ფასი ჰქონდა ასეთ „საკონტრაქტო“ შრომას ეს სხვა საკითხია. ყველაფერთან ერთად ღარიბები საცხოვრებელი ქირის შემწეობასაც ღებულობდნენ ხოლმე, მაგრამ არაკეთილსინდისიერი სახელოსნოს მესაკუთრეები მათ ანტისანიტარულ საცხოვრებლებს ხელოვნურად გაზრდილ ფასად აქირავებდნენ. სოფლის მმართველები ამაზე მანამდე ხუჭავდნენ თვალს სანამ ამ ფარდულებს გადასახადები შემოჰქონდათ. ცხადია, ასეთი ეგოისტური ინტერესთა თანხვედრა არსებითად აზიანებდა ფინანსურ პასუხისმგებლობას და ახალისებდა წვრილმან მექრთამეობას.

მთლიანობაში სპინჰემლენდი მაინც ინახავდა თავის თავს. თავიდან იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც სახელფასო დანამატი, რომელიც ერთი შეხედვით დასაქმებულებს უნდა დახმარებოდა, მაგრამ რეალურად იგი ხალხის ფულს დამსაქმებლების სუბსიდირებისთვის იყენებდა. ამიტომაც შემწეობის სისტემის მთავარი შედეგი ხელფასების საარსებო მინიმუმის ქვემოთ დაწევა იყო. სრულად პაუპერიზებულ არეებში ფერმერები არ ცდილობდნენ ისეთი სოფლის მუშების დასაქმებას, რომლებიც თუნდაც მცირე ნაკვეთს ფლობდნენ, „რადგან საკუთრების მქონე პირს სამრევლოს დახმარება არ ეკუთვნოდა, ხოლო სტანდარტული ხელფასი იმდენად დაბალი იყო, რომ დაოჯახებული კაცისთვის არსებობა, რაიმე ტიპის შემწეობის გარეშე, შეუძლებელი იყო“. ზოგიერთ ტერიტორიებზე კი მხოლოდ საგადასახადო შემწეობაზე მყოფ ხალხს გააჩნდა დასაქმების შანსი; ხოლო ვინც ცდილობდა დახმარების გარეშე საკუთარი რესურსებით თავის რჩენას, ის სტაბილური სამსახურის შოვნას თითქმის ვერ ახერხებდა. მათი უმრა-

ვლესობა ამ უკანასკნელ კატეგორიას განეკუთვნებოდა. ამიტომ დამსაქმებელი, როგორც კლასი, დაბალი სახელფასოებითა და ღარიბთა შემწეობის გადასახადის გადახდის გარეშე, თითოეულისგან დამატებით მოგებას ნახულობდა.

საბოლოო ჯამში ეკონომიკურად ასეთი გაუმართავი სისტემა შეუძლებელი იქნებოდა არ ასახულიყო შრომის პროდუქტიულობაზე და არ შეემცირებინა საშუალო ხელფასის დონე. გარდა ამისა, ეს სისტემა ასევე მაგისტრატების მიერ დადგენილ ღარიბთა შემწეობის ,,სკალაზეც“ მოქმედებდა. 1820-იანი წლებისთვის შემწეობით გაცემული პურის ოდენობა სხვადასხვა საგრაფოებში შემცირდა და ღარიბების ისედაც მწირმა შემოსავლებმა უფრო ქვემოთ დაიწია. 1815 და 1830 წლებს შორის სპინჰემლენდის სკალა, რომელიც მიახლოებით თანაბარი იყო, ყველა ქვეყანაში თითქმის ერთი მესამედით შემცირდა (ეს დაცემა პრაქტიკულად უნივერსალური ხასიათის იყო). უეცრად აღმოცენებული პროტესტის ფონზე, კლაფამი ეჭვობდა ღარიბთა საგადასახადო განაკვეთის განსაკუთრებულ სიმძიმეში. ეს ეჭვი შეიძლება მართებულია, რადგან ზოგიერთ რეგიონებში გადასახადის ზრდა ძალიან საგრძნობი იყო, ზოგან კი იგი რეალურ კატასტროფად აღიქმებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემის რეალური მიზეზი არა თავად საგადასახადო ტვირთი, არამედ სახელფასო დახმარების ეკონომიკური ეფექტი იყო შრომის პროდუქტიულობაზე. ინგლისის სამხრეთი, რომელსაც ყველაზე ძლიერი დარტყმა მიადგა, მისი შემოსავლების თითქმის 3.3%-ს შემწეობის გადასახადში იხდიდა, რაც კლაპჰამისთვის სავსებით მისაღები განაკვეთი იყო. რამდენადაც თვლიდა, რომ ამ ჯამური თანხის მნიშვნელოვანი წილი “ღარიბთა სახელფასო დახმარებებში უნდა წასულიყო”. ფაქტობრივად 1830-იან წლებში მთლიანი გადასახადები სტაბილურად მცირდებოდა, ხოლო მათი შეფარდებითი ტვირთი, ეროვნული სიმდიდრის ზრდის გათვალისწინებით, უფრო სწრაფად უნდა შემცირებულიყო. 1818 წელს ღარიბებზე გაწეული დახმარება საერთო ჯამში რვა მილიონ ფუნტს შეადგენდა; ეს მაჩვენებელი თითქმის უწყვეტად მცირდებოდა, სანამ 1826 წელს მან ექვს მილიონს არ მიაღწია,

როცა ეროვნული შემოსავალიც სწრაფად იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, სპინჰემლენდის კრიტიკა უფრო და უფრო მძაფრდებოდა ვინაიდან მასების დეჰუმანიზაცია ეროვნული ცხოვრების პარალიზებას და თავად სამეწარმეო განვითარებას ზღუდავდა.

სპინჰემლენდმა დააჩქარა სოციალური კატასტროფა. ჩვენ მივეჩვიეთ ადრეული კაპიტალიზმის პირქუში სურათების სენტიმენტალურ აღქმას, რასაც გამართლება არ მოეძებნება. ჰარიეტ მარტინოს ღარიბთა კანონის რეფორმის მგზნებარე მხარდაჭერა საოცრად დაემთხვა ჩარტისტი პროპაგანდისტების ბრძოლას ღარიბთა კანონის წინააღმდეგ. „ღარიბთა კანონის საკომისიო ანგარიშის" (1834) ცნობილ დოკუმენტში წარმოდგენილი ფაქტები, რომლებიც ადვოკატირებას უწევდნენ სპინჰემლენდის კანონის მყისიერ გაწვევას, შეიძლება დიკენსის საკომისიო პოლიტიკის ანტიკამპანიის მასალადაც გამომდგარიყო. არც ჩარლზ კინგსლი, არც ფრიდრიხ ენგელსი, არც ბლეიკი და არც კარლილი არ ცდებოდნენ იმაში, რომ კაცობრიობის სახე რაღაც საშინელი კატასტროფის მიერ იქნა შებღალული. ამ პოეტების და ფილანთროპების აგონიურ და მტკივნეულ განცდებზე შემაშფოთებელი მალთუსისა და რიკარდოს ყინულისებრი სიჩუმე იყო, რომელთა ფილოსოფიაც სწორედ ამ გარემოებებიდან იშვა, როგორც ადამიანის ამქვეყნიური წყევლა.

ეჭვგარეშეა, რომ სამანქანო დანადგარებითა და გარემოებებით გამოწვეულმა სოციალურ ცვლილებებმა, რომელთა მსახურებისთვისაც განწირული იყო ადამიანი, მრავალი გარდაუვალი შედეგი მოიტანა. ინგლისის სოფლებს გარს არ ერტყა ისეთი საქალაქო არეები, საიდანაც შემდგომ კონტინენტური ევროპის გვიანდელი სამრეწველო ქალაქები განვითარდა[1]. ახალ ქალაქებში არ იყო მყარი საშუალო კლასი. არ არსებობდა ხელოსანთა და ოსტატთა ბირთვი, პატივსაცემი წვრილი ბურჟუაზია, ვისაც შეეძლო მუშახელის ასიმილაცია, რომლებიც დამქანცველად შრომობდნენ

[1] პროფესორი უშერი ზოგადი ურბანიზაციის დაწყების თარიღად დაახლოებით 1795 წელს მონიშნავს.

ძველ საწარმოებში. მიდლენდსი[1] და ნორდვესტი კულტურულად უნაყოფო ადგილი იყო, რაც ტრადიციის არ არსებობასა და საკუთარ სამოქალაქო ღირსების არ ქონაზე მიუთითებდნენ. ამ სავალალო სიდუხჭირეში ჩაგდებული ემიგრანტი გლეხი, ან თუნდაც ყოფილი იომენი, ან მოიჯარე მალე იქცა ჭაობის უსახო ცხოველად. საქმე იმაში კი არ იყო რომ, მათ ძალიან ცოტას უხდიდნენ ან თუნდაც ის, რომ დიდხანს ამუშავებდნენ (თუმცა ეს ხშირად ხდებოდა), არამედ იმაში, რომ მათი ფიზიკურ არსებობის პირობები ყველანაირი ადამიანური სიცოცხლის ფორმას იყო მოკლებული. ალბათ ასე გრძნობდნენ თავს აფრიკის ტყეებიდან გალიაში აღმოჩენილი შავკანიანები, რომლებიც მონათმფლობელთა გემში სუნთქვაშეხუთულები ეყარნენ. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი იყო ამ ყველაფრის გამოსწორება. იქამდე, სანამ ადამიანს გააჩნდა სოციალური სტატუსი, მანამდე იბრძოლებდა მისი ნათესავებისა თუ მეგობრების მიერ დადგენილი ცხოვრების წესისთვის და საკუთარ ღირსებასაც შეინარჩუნებდა. მაგრამ მშრომელისთვის ეს მხოლოდ ერთი გზით თუ შეიძლებოდა მომხდარიყო: ახალი კლასის წევრად თვითგამოცხადების გზით. მანამ, სანამ მას საკუთარი შრომით არ შეეძლო თავის შენახვა, ის არა მშრომელი, არამედ ღატაკი იყო. ადამიანის ასეთ მდგომარეობამდე ხელოვნურად დაყვანა სპინჰემლენდის უსაზიზღრესი გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს კაცთმოყვარეობის არაერთმნიშვნელოვანი აქტი მშრომელებს ხელს უშლიდა ეკონომიკურ კლასად ჩამოყალიბებაში და ამ ეკონომიკურ მანქანაში იმ ერთადერთ საშუალებებზე წვდომასაც უსპობდა, რითაც შეეძლო თავის ხსნა.

სპინჰემლენდი სახალხო დემორალიზაციის უებარი ინსტრუმენტი იყო. თუ საზოგადოება თვითმოქმედი მანქანაა, რომელიც ინარჩუნებს სტანდარტებს, რომელთაც თავად ემყარება, სპინჰემლენდი ამ შემთხვევაში ისეთ ავტომატურად დამანგრეველ მანქანას წარმოადგენს, რომელიც ნებისმიერი ტიპის საზოგა-

[1] ცენტრალური საგრაფო ინგლისში. (მთარგმნ. შენიშვნა)

დოების სტანდარტებს გაანადგურებდა. მან არამხოლოდ სამუშაოს თავის არიდებას და შრომისუუნაროდ თავის მოჩვენების ტენდენცია წარმოშვა, არამედ სიღატაკისგან თავის დაღწევის მომენტში პაუპერიზაციისკენ მიდრეკილებაც გაზარდა. კერძოდ, როგორც კი ადამიანი ღარიბთა სახლში მოხვდებოდა (თუ ოჯახთან ერთად შემწეობას მიიღებდა, როგორც წესი, იქვე სახლდებოდა), ის მორალურ და ფსიქოლოგიურ ხაფანგში ხვდებოდა. საუკუნეების განმავლობაში მშვიდი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სამართლიანობა და საკუთარი თავისადმი პატივისცემა სწრაფად განიძარცვა მოუწესრიგებელ ღარიბთა სახლებში, სადაც ხალხს სიფრთხილის გამოჩენა უხდებოდათ საკუთარ მეზობელზე შეძლებულად რომ არ მიეჩნიათ. რადგან სხვა შემთხვევაში მას სხვა სამსახურის შოვნა მოუხდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულ „უსაქმურობას“ მიბრუნებოდა... „ღარიბების შემწეობა საზოგადოების სანადირო ნადავლად იქცა... საკუთარი წილის მოსაპოვებლად სასტიკად აშინებდნენ ადმინისტრატორებს, უპასუხისმგებლო მამაკაცები უკანონო შვილებს უტოვებდნენ გამოსაკვებად, ზარმაცი ადამიანები კი ხელგაწვდენილები ელოდნენ შემწეობის მიღებას, უმეცარი გოგონები და ბიჭები დახმარების მისაღებად ქორწინდებოდნენ, ბრაკონიერები, ქურდები და მეძავები მოხელეებს მუქარით სძალავდნენ შემწეობებს; სოფლის სასამართლოები პოპულარობისთვის, ხოლო მეურვეები კომფორტისთვის ფლანგავდნენ დახმარებებს. ასე იხარჯებოდა ფინანსები ... „ფერმერებს მიწის დასამუშავებლად უწევდათ საჭიროზე ორჯერ მეტი ადამიანის აყვანა, რომელთა ხელფასებიც ნაწილობრივ გადასახადებიდან გადაიხდებოდა; ეს ხალხი, რომლებიც ვალდებულების გამო იყვნენ დასაქმებულნი, კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ, რაც მიწათმფლობელს არ აძლევდა ისეთი კადრის აყვანის შესაძლებლობას, რომელიც საკუთარი დამოუკიდებლობისთვის მაქსიმალურ შრომას გასწევდა. ეს ყველაფერი ამცირებდა მიწის მოსავლიანობას. უკეთესები უარესების გარემოცვაში იძირებოდნენ. გადასახადის გადამხდელი სახელოსნოს მფლობელი უაზრო ბრძოლის შემდეგ იძულებული იყო თავად მოეთხოვა

დახმარება...“, წერდა ჰარიეტ მარტინო[1]. იმდროინდელმა გაუბედავმა ლიბერალებმა უპატივცემულოდ უგულებელყვეს თავიანთი გამორჩეული აღმსარებლობის ხსოვნა. გადაჭარბების მიუხედავად, რომლისაც ახლა ასე ეშინიათ, სწორ აქცენტს აკეთებდნენ. ის თავად მიეკუთვნებოდა მებრძოლ საშუალო კლასს, რომელთა ელეგანტურმა სიღარიბემაც ისინი უფრო მგრძნობიარეები გახადა ღარიბთა კანონების მორალური სირთულეებისადმი. მას ესმოდა და მკაფიოდ გამოხატავდა საზოგადოების საჭიროებას ახალ, „დამოუკიდებელ მშრომელთა“ კლასში. ისინი კი მისი ოცნების გმირები იყვნენ და ერთ-ერთ მათგანს (ქრონიკულად უმუშევარ მშრომელს, ვინც უარს ამბობს დახმარების მიღებაზე) თავის ნაწარმოებში, ამაყად ათქმევინებს შემწეობის მთხოვნელი მეგობრისთვის: „მე აქ ვდგავარ და ვუპირისპირდები მას ვისაც ვძულვარ. მე შემეძლო ეკლესიაში ჩემი შვილებით მივსულიყავი, მიმეთითებინა მათთვის საუკეთესო ადგილისკენ და აბა ვინმეს გაებედა მათი სოციალური მდგომარეობის გამო აბუჩად აგდება. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება უფრო ბრძენი იყოს; ზოგიც უფრო მდიდარი; მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის მათზე უფრო ღირსეული“. მმართველი კლასის მთავარი პირები კვლავაც ვერ აცნობიერებდნენ ამ ახალი კლასის საჭიროებას. მარტინო მიანიშნებდა „არისტოკრატიის ვულგარულ შეცდომაზე, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში მდიდრების ქვემოთ, მათზე მომუშავე, მხოლოდ ერთი კლასი არსებობდა“. ის საყვედურობდა, რომ ლორდ ელდონმა, ისევე როგორც სხვებმა, რომელთაც უკეთ უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ, „ერთ თავში გააერთიანეს [„დაბალი კლასები“] ყველა მდიდარი ბანკირის ქვემოთ – მწარმოებლები, ვაჭრები, ხელოსნები, მშრომელები და პაუპერები...“*. მაგრამ მარტინოს დაჟინებული მტკიცებით სწორედ ამ ორ უკანასკნელ ფენას შორის სხვაობაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების მომავალი. „თუ არ ჩავთვლით სუვერენს და დაქვემდებარებულს შორის სხვაობას, ინგლისში არ არსებობს უფრო დიდი სოციალური

[1] Martineau, H., The Parish, 1833.

განსხვავება, ვიდრე ეს დამოუკიდებელ მშრომელს და პაუპერს შორისაა“, წერდა ის. მათი აღრევა წარმოადგენს ამორალურობას, უგუნურებას და უმეცრებას. ეს, რა თქმა უნდა, აშკარა ფაქტი არ ყოფილა. ამ ორ სტრატას შორის სხვაობა სპინჰემლენდის პირობებში გაქრა. ეს მომავალი პოლიტიკის წინასწარმეტყველება უფრო იყო, პოლიტიკისა, რომელიც ღარიბთა კანონის რეფორმირების კომისიონერებს შეეხებოდათ. ეს ყოველივე წინასწარმეტყველებდა თავისუფალ კონკურენტუნარიან შრომის ბაზარს და მის შედეგად ინდუსტრიული პროლეტარიატის აღმოცენებას. სპინჰემლენდის კანონის გაუქმება მართლაც თანამედროვე მუშათა კლასის ჭეშმარიტი დაბადების დღე იყო, რომლის უშუალო ინტერესმა წინასწარ განსაზღვრა მომავალში მათი საზოგადოების მანქანური ცივილიზაციის თანდაყოლილი საშიშროებისგან დამცველის როლი. საერთო ჯამში, რაც არ უნდა მოემზადებინა მომავალს მათთვის, მუშათა კლასი და საბაზრო ეკონომიკა ისტორიაში ერთად გამოჩნდნენ. სახელმწიფო დახმარებისადმი სიძულვილი, სახელმწიფო მოქმედებისადმი უნდობლობა, პატივისცემა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა ბრიტანელი მშრომელისთვის თაობების განმავლობაში დამახასიათებელი დარჩა.

სპინჰემლენდის გაუქმება ისტორიის სცენაზე ახალი კლასის, ინგლისის საშუალო კლასის შემოსვლის ნიშანი იყო. მიწათმფლობელობა ვეღარ ახერხებდა იმ საქმის შესრულებას, რაც მას უნდა შეესრულებინა: საზოგადოების საბაზრო ეკონომიკაში ტრანსფორმაციას. უამრავი კანონი იქნა გამოთხოვილი და ჩანაცვლებული, სანამ გარდაქმნა დაიწყებოდა. 1832 წლის საპარლამენტო რეფორმის კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო უფლება ჩამოერთვა ღარიბ რეგიონებს და მთლიანი ძალაუფლება ერთხელ და სამუდამოდ გადაეცა თემთა პალატაში ყველა ბიზნესმენს. მათი პირველადი რეფორმის დიდი აქტი სპინჰემლენდის სისტემის გაუქმება იყო. ახლა, როდესაც ჩვენ ვაცნობიერებთ მისი პატერნალისტური მეთოდი დონეს, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაში იყო შერწყმული, ჩვენ ვხვდები, რომ რეფორმის ყველაზე რადიკალური მხარდამჭერიც კი ყოყმანობდნენ გარდამავალი პერიოდის

ათი ან თხუთმეტ წელზე ნაკლები ვადით შემოღებაზე. სინამდვილეში ეს გარდაქმნა მოულოდნელად მოხდა, რამაც ინგლისური გრადუალიზმის შესახებ ლეგენდა გააცამტვერა. ეს გრადუალიზმი უფრო გვიან პერიოდში წარმოიშვა, როდესაც რადიკალური რეფორმების წინააღმდეგ მიდიოდა კამათი. ეს ბრუტალური შოკი ბრიტანელ მშრომელებს თაობების განმავლობაში მოჰყვათ, მაგრამ ამ დამანგრეველი ოპერაციის წარმატება მაინც ემყარებოდა მოსახლეობის ფართო ფენების, მათ შორის მშრომელთა ღრმად ფესვგადგმულ რწმენას, რომ თავად სისტემა, რომელიც მათ ერთი შეხედვით მხარს უჭერდა, სინამდვილეში დაპირისპირებაში მოდიოდა მათთან და რომ "სიცოცხლის უფლება" სასიკვდილო ავადმყოფობას წარმოადგენდა.

ახალი კანონი სამომავლოდ უზრუნველყოფდა პირდაპირი დახმარებების გაუქმებას. მისი ადმინისტრირება ეროვნული დონის და ამავდროულად, განსხვავებული იყო. ამ თვალსაზრისით ის უკომპრომისო რეფორმასაც წარმოადგენდა. სახელფასო დახმარებებიც, რა თქმა უნდა, შეწყდა. კვლავ დაიწყო სახელოსნოების შემოწმებები, თუმცა ახლებური ფორმით. ამჯერად მთხოვნელს უნდა შეეფასებინა იყო, თუ არა ის იმდენად გაჭირვებული, რომ სპეციალურად მოწყობილ საშინელი პირობების მქონე თავშესაფარში შესულიყო. სამუშაო სახლი სტიგმას ატარებდა; მასში დარჩენა ფსიქოლოგიური და მორალური წამების ტოლფასი იყო, იმ დროს როცა ჰიგიენა და წესიერება მკაცრად მოითხოვებოდა. ეს მოთხოვნები კი იდეალურად გამოიყენებოდა მათი სხვადასხვაგვარი ფორმით დასამცირებლად. არა მშვიდობის სასამართლოები, არა ადგილობრივი ზედამხედველები, არამედ უფრო დიდი უფლებამოსილების ორგანოს წარმომადგენლები – მეურვეები- ახდენდნენ კანონის ადმინისტრირებას ცენტრალური დიქტატის ზედამხედველობის ქვეშ. პაუპერთა დაკრძალვაც კი ისეთ პროცედურად ჩამოყალიბდა, რომელიც მის მეგობარსაც კი აბრკოლებდა გამოეხატა თანაგრძნობა.

1834 წლის ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა სტარტი აიღო და ღარიბების კანონის რეფორმა დაიწყო. სპინჰემლენდის კანონი,

რომელიც იცავდა რურალურ ინგლისს და შესაბამისად, მშრომელ მოსახლეობას, საბაზრო მექანიზმის მთელი ძალით ფესვს უთხრიდა საზოგადოების საყრდენს. ამ კანონის გამოთხოვისას მშრომელთა მასები კოშმარში გამოცხადებულ აჩრდილებს უფრო მიაგავდნენ, ვიდრე ადამიანებს. თუ მშრომელები ფიზიკურად იყვნენ დეჰუმანიზებულნი, მესაკუთრე კლასები მორალურ დეგრადაციას განიცდიდნენ. ქრისტიანული საზოგადოების ტრადიციული ერთობა შეძლებული ფენებისთვის ტოვებდა სივრცეს, აერიდებინათ თავისი პასუხისმგებლობა მათ მოძმეთა საცხოვრებელი პირობებისგან. ორი სახის ერი ყალიბდებოდა. მოაზროვნეებისთვის ერთგან არნახული სიმდიდრე, მეორეგან არნახულ სიღარიბესთან გაიგივდა. მეცნიერები ამტკიცებდნენ ერთხმად, რომ ისეთი მეცნიერება იქნა აღმოჩენილი, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევდა ადამიანური სამყაროს წარმმართველი კანონების არსებობაში. ამ კანონების თანახმად, თანაგრძნობა იქნა უგულებელყოფილი და ადამიანური სოლიდარობის განცდა სტოიკური სიმტკიცით უარყოფილი, იმ მიზნით, რომ უფრო მეტ ადამიანს მეტი ბედნიერება მოეპოვებინა სეკულარული რელიგიის პირობებში.

ბაზრის მექანიზმი საკუთარ თავს ამკვიდრებდა და მოითხოვდა თავის სრულყოფას: ადამიანური შრომა უნდა ქცეულიყო საქონლად. რეაქციული პატერნალიზმი ძლიერ ცდილობდა ამ აუცილებლობისადმი წინააღმდეგობის გაწევას. სპინჰემლენდის სისასტიკის გამო, ადამიანები ბრმად მიაწყდნენ უტოპიური საბაზრო ეკონომიკის თავშესაფარს.

თავი 9
პაუპერიზმი[1] და უტოპია

სიღარიბის პრობლემის საფუძველს წარმოადგენდა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხი: პაუპერიზმი და პოლიტიკური ეკონომიკა. მათ გავლენას თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაზე ცალკე განვიხილავთ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი წარმოადგენდნენ განუყოფელი, ერთიანი მთლიანობის ნაწილებს – საზოგადოების აღმოჩენის.

სპინჰემლენდის ეპოქამდე ვერ გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი კითხვას – „საიდან ჩნდებიან ღარიბები?“ თუმცა, XVIII საუკუნის მოაზროვნეები ერთსულოვნად თანხმდებოდნენ, რომ პაუპერიზმი და პროგრესი განუყოფელი იყო. ყველაზე მეტ ღარიბს აღმოაჩენთ არა უნაყოფო ნიადაგის მქონე ქვეყნებში ან ბარბაროსულ ტომებში, არამედ სწორედ ცივილიზებულ სახელმწიფოებში, სადაც მიწა ყველაზე ნაყოფიერია – წერდა ჯონ მ’ფარლეინი 1782 წელს. ჯიამარია ორტესი, იტალიელი ეკონმისტი, აქსიომად მიიჩნევდა იმას, რომ ერის სიმდიდრე მისი მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად იზრდება, ხოლო სიღარიბე – მის სიმდიდრესთან ერთად (1774). ადამ სმიტიც კი მისთვის

[1] მშრომელთა მასების სიღატაკე ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კლასობრივი საზოგადოების პირობებში (მთარგმნ. შენიშვნა).

დამახასიათებელი სტილით, ფრთხილად შენიშნავს, რომ ყველაზე მდიდარ ქვეყნებში შესაძლოა შრომის ანაზღაურება ყველაზე მაღალი არ იყოს. შესაბამისად, მ'ფარლეინს არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს, როდესაც აღნიშნა, რომ, რადგანაც ინგლისმა უკვე საკუთარი სიდიადის უმაღლეს წერტილს მიაღწია, "ღარიბთა რიცხვი კვლავ გააგრძელებს ზრდას".[1]

თუმცა, ინგლისელები კომერციული სტაგნაციის პროგნოზირებისას მხოლოდ იმ დროს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმეორებდნენ. თუ კი ექსპორტის ზრდა წინა ნახევარი საუკუნის მანძილზე, 1782 წლამდე, გასაოცარი იყო, კიდევ უფრო მკვეთრი აღმოჩნდა ვაჭრობის სფეროში არსებული რყევები და ცვალებადობა. ვაჭრობა ის იყო იწყებდა გამოსვლას კრიზისიდან, რომლის დროსაც ექსპორტის მაჩვენებლები თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელ დონეზე დაეცა. ვაჭრობის საგრძნობი გაფართოება და ეროვნული კეთილდღეობის აშკარა ზრდა, რაც შვიდწლიან ომს მოჰყვა, თანამედროვეთა თვალში მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ინგლისმაც გამოიყენა თავისი შანსი ისევე, როგორც იქამდე პორტუგალიამ, ესპანეთმა, ჰოლანდიამ და საფრანგეთმა. მისი მკვეთრი აღზევება უკვე წარსულს ჩაბარებულ მოვლენას წარმოადგენდა და არანაირი საფუძველი არ არსებობდა იმისა, რომ ინგლისის ეკონომიკური პროგრესი, რომელიც მხოლოდ იღბლიანი ომის შედეგად იქნა აღქმული, მყარ ტენდენციად მიგვეჩნია. როგორც ვნახეთ, თითქმის ყველა ერთხმად ვაჭრობის დაცემას ელოდა.

ამასობაში, ძალიან ახლოს იყო აქამდე არნახული მასშტაბის ეკონომიკური ნახტომი, რომელიც საფუძვლიანად შეცვლიდა არა მხოლოდ ერთი რომელიმე ერის, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრების წესს – მაგრამ არც სახელმწიფო მოღვაწეებს და არც ეკონომისტებს მის მოახლოებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

---

[1] M'Farlane, J., *Enquiries Concerning the Poor,* 1782. Cf. also Postlethwayt's editorial remark in the Universal Dictionary of 1757 on the Dutch Poor Law of October 7, 1531.

სახელმწიფო მოღვაწეებისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან მომავალი ორი თაობის მანძილზე ვაჭრობის მკვეთრად მზარდი მაჩვენებელი მხოლოდ ხალხის სიდუხჭირის ზრდას იწვევდა. მაგრამ ეკონომისტების შემთხვევაში ეს ნამდვილად არასახარბიელო ამბავი იყო, რადგან მთელი მათი თეორიული სისტემა შეიქმნა ამ „ანომალიის“ გაბატონების დროს, როდესაც ვაჭრობისა და წარმოების უზარმაზარ ზრდას თან ახლდა ადამიანური სიდუხჭირის საოცარი ზრდა – სინამდვილეში ფაქტები, რომლებსაც ეფუძნებოდა მალთუსის, რიკარდოს და ჯეიმს მილის პრინციპები, ასახავდა მხოლოდ პარადოქსულ ტენდენციებს, რომლებიც მკვეთრად განსაზღვრული, გარდამავალი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი.

შექმნილი სიტუაცია მართლაც დამაბნეველი იყო. ღარიბები ინგლისში პირველად XVI საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ; ისინი ყურადღებას იქცევდნენ როგორც პირები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული მანორთან „ან რომელიმე ზემდგომ ფეოდალთან,” და თანდათანობით მათი გარდაქმნა თავისუფალ მშრომელთა კლასად, ერთობლივი შედეგი იყო მაწანწალების სასტიკი დევნისა და შინამრეწველობის განვითარებისა, რასაც დიდი სტიმული საგარეო ვაჭრობის უწყვეტმა გაფართოებამ მისცა. XVII საუკუნის განმავლობაში პაუპერიზმს ნაკლებად განიხილავდნენ და გადამჭრელი ზომებიც „განსახლების აქტის“ სახით, საჯარო განხილვის გარეშე იქნა მიღებული. როდესაც საუკუნის მიწურულს დისკუსია კვლავ განახლდა, თომას მორის „უტოპია“ და ადრე არსებული „ღარიბთა კანონი“ 150 წელზე მეტს ითვლიდა, მონასტრების დაშლა და „კეტის აჯანყება“ კი ყველას დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა. შემოღობვისა და „მიტაცების“ ცალკეული შემთხვევები მთელი ამ პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა, მაგალითად, ჩარლზ I-ის მეფობის დროსაც, მაგრამ მთლიანობაში ახალი კლასები უკვე ჩამოყალიბებულნი და დამკვიდრებულნი იყვნენ. ამასთანავე, თუ XVI საუკუნის შუა წლებში ღარიბები წარმოადგენდნენ საფრთხეს საზოგადოებისათვის, რომელსაც ისინი მტრული არმიებივით ესხმოდნენ თავს, XVII საუკუნის ბო-

ლოს, ისინი უბრალოდ მძიმე ტვირთად დააწვნენ გადასახადების გადამხდელებს. მაგრამ, ეს უკვე აღარ იყო ნახევრად ფეოდალური საზოგადოება, არამედ – ნახევრად კომერციული; ამ საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები აღიარებდნენ შრომის, როგორც ასეთის, ფასეულობას და უკვე ვეღარ მიიღებდნენ შუასაუკუნეების შეხედულებას, როდესაც სიღარიბე არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა და ვერც შემოღობვის მომხრეთა წარმატებული წარმომადგენლების შეხედულებებს გაიზიარებდნენ, რომლებიც უმუშევრებს მხოლოდ მუშაობისთვის ვარგის უსაქმურებად აღიქვამდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, დამოკიდებულება პაუპერიზმის მიმართ ასახავდა საერთო ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას – ზუსტად ისევე, როგორც ამას ადრე თეოლოგიური პრობლემატიკა აკეთებდა. წარმოდგენებს სიღარიბეზე სულ უფრო მეტად განსაზღვრავდა შეხედულებები ზოგადად ადამიანურ ყოფიერებაზე. სწორედ აქედან მომდინარეობს ამ მოსაზრებასთან დაკავშირებული ასეთი მრავალფეროვნება და აშკარა დაბნეულობა, მაგრამ, ამასთანავე, ის დიდი ინტერესიც, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ცივილიზაციის ისტორიისთვის.

პირველები, რომლებმაც გააცნობიერეს, რომ იძულებითი უმუშევრობა შრომის ორგანიზების სისტემაში არსებული გარკვეული დეფექტის ბრალი იყო, იყვნენ კვაკერები – ჭეშმარიტი პიონერები ადამიანის თანამედროვე ყოფის შესაძლებლობების შესწავლაში. სამეწარმეო მეთოდების ძლიერი რწმენით აღჭურვილმა კვაკერებმა საკუთარ წრეში გამოიყენეს ღარიბების კოლექტიური თვითდახმარების იგივე პრინციპი, რომელსაც პერიოდულად მანამდეც მიმართავდნენ, როდესაც უარს ამბობდნენ ხელისუფლების მხარდაჭერაზე და თავიანთ რელიგიურ-ეთიკური მრწამსის მიმდევრებს, რომლებიც უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე, ციხეში ამ თანხებით ინახავდნენ. ლოუსონმა, თავგამოდებულმა კვაკერმა, გამოაქვეყნა სპეციალური „პლატფორმა“, სათაურით – „მიმართვა პარლამენტს ღარიბთა საკითხთან დაკავშირებით, ინგლისში სიღარიბის აღმოფხვრის მიზნით“, რომელშიც მან „შრომითი ბირჟის“ დაარსების იდეა განავითარა,

შრომითი ბირჟისა, დასაქმების საზოგადოებრივი სააგენტოს თანამედროვე გაგებით. ეს 1660 წელს მოხდა, ხოლო ჰენრი რობინსონმა, ჯერ კიდევ ათი წლით ადრე, შესთავაზა ხელისუფლებას „დასაქმების სამსახურის“ ჩამოყალიბება. მაგრამ რესტავრაციის მთავრობა[1] უპირატესობას უფრო მარტივ მეთოდებს ანიჭებდა; 1662 წლის „განსახლების აქტი“ თავისი ტენდენციებით პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა „შრომითი ბირჟის“ რაიმე სახის რაციონალურ სისტემასთან, რაც შრომის უფრო ფართო ბაზარს შექმნიდა; ტერმინი „განსახლება“, რომელიც პირველად გამოიყენეს მოცემულ აქტში, შრომას სოფლის სამრევლოს ადგილობრივ თვითმმართველობას უკავშირებდა.

სახელოვანი რევოლუციის შემდეგ, კვაკერული ფილოსოფიის წიაღში ჯონ ბელერსის სახით იშვა შორეული მომავლის სოციალურ იდეათა ტენდენციების ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი. სწორედ კვაკერულ „ტანჯულთა საკრებულოს“ (Meeting of Sufferings) სასულიერო გარემოში, სადაც უკვე ხშირად იყენებდნენ სტატისტიკას, რათა რელიგიური შემწეობის მოქმედების წესი სამეცნიერო სიზუსტით გაეთვალათ, 1696 წელს დაებადა ბელერსს იდეა „შრომითი კოლეგიის“ დაარსების შესახებ, რომლის მეშვეობითაც იძულებითი უსაქმურობისთვის განწირული ღარიბი მოსახლეობა შეძლებდა თავისი უნარები სასარგებლო საქმიანობისკენ მიემართა. ამ პროექტს საფუძვლად ედო არა შრომითი ბირჟის პრინციპი, არამედ შრომითი მომსახურების გაცვლის მეტად განსხვავებული პრინციპები. პირველი ასოცირდებოდა უმუშევართა დამსაქმებლის პოვნის ჩვეულებრივ იდეასთან; მეორე კი გულისხმობდა იმას, რომ მშრომელებს სულაც არ დასჭირდებოდათ დამსაქმებელი, თუ ისინი საკუთარი შრომის პროდუქტების უშუალოდ ერთმანეთში გაცვლას შეძლებდნენ. „ღარიბების შრომა მდიდრებისთვის ოქროს მაღაროებია” – ამტკიცებდა ბელერსი. და თუ ეს ასეა, რატომ ვერ უნდა შეძლონ ღარიბებმა

[1] ინგლისში მონარქიის რესტავრაცია 1660 წელს, ჩარლზ II-ის ტახტზე ასვლის შემდგომ (მთარგმნ. შენიშვნა).

ეს სიმდიდრე საკუთარი სარგებლისთვის გამოიყენონ, საკუთარი თავი შეინახონ და გარკვეული მოგებაც ნახონ? საჭირო იყო მხოლოდ მათი ორგანიზება სპეციალურ „კოლეგიაში“ ან კორპორაციაში, სადაც ისინი საკუთარი ძალების გაერთიანებას შეძლებდნენ. სწორედ ეს იყო გულისგული სიღარიბის თემაზე ნებისმიერი შემდგომი სოციალისტური ნააზრევისა, იქნებოდა ეს ოუენის "მოკავშირე სოფლები" (Villages of Union), ფურიეს Phalanstères[1], პრუდონის „გაცვლითი ბანკი“ (Banks of Exchange), ლუი ბლანის Ateliers Nationaux[2], ლასალის Nationale Werkstätten,[3] თუ სტალინის ხუთწლიანი გეგმა. ბელერსის წიგნი in nuce[4] მოიცავდა მოცემული პრობლემის მოგვარების პროექტების უმეტესობას, რომლებიც წამოაყენეს მას შემდეგ, რაც პირველად აღმოაჩინეს მანქანების გავლენის საშინელი შედეგები თანამედროვე საზოგადოებაზე. "ამგვარი კოლეგიების წყალობით არა ფული, არამედ შრომა გახდება აუცილებელი მოხმარების საგნების ღირებულების საზომი სტანდარტი...“; თავად ეს კოლეგიები დაიგეგმა, როგორც „სხვადასხვა სახის სასარგებლო ხელობის წარმომადგენელთა გაერთიანება, რომლებიც იმუშავებდნენ ერთმანეთისთვის და არ დასჭირდებოდათ შემწეობა...“ მეტად მნიშვნელოვანია შრომითი ქვითრების (Labor-notes), თვითდახმარებისა და კოოპერაციის კავშირი. სამასამდე მშრომელი უნდა ყოფილიყო თვითდასაქმებული და მათ ერთობლივად უნდა ემუშავათ, რათა საკუთარი თავი უზრუნველეყოთ ყველაფრით, რაც გადარჩენისთვისაა აუცილებელი, ხოლო, „ის, რასაც ისინი კიდევ დამატებით გამოიმუშავებენ, უნდა ანაზღაურებულიყო“. ამრიგად, უნდა მომხდარიყო საარსებო მინიმუმისა და შედეგებზე დაფუძნებული ანაზღაურების გაერთიანება. თვითდახმარების რამდენიმე უმნიშვნელო ექს-

---

1 (ფრანგ.) ფალანსტერები – თემის კოლექტიური დასახლება ფურიეს უტოპისტურ-სოციალისტურ სისტემაში (მთარგმნ. შენიშვნა).

2 (ფრანგ.) ნაციონალური საამქროები.

3 (გერმ.) ნაციონალური საამქროები.

4 (ლათ.) ჩანასახოვან ფორმაში.

პერიმენტის შემთხვევაში, ფულადი ნამატი განსაკარგავად კვაკერული საბჭოს ხელში გადადიოდა და რელიგიური თემის სხვა წევრების სასარგებლოდ იხარჯებოდა. ამ ნამატს დიდი მომავალი ჰქონდა: მოგების ახალი და უჩვეულო იდეა იმხანად პანაცეად აღიქმებოდა. სინამდვილეში ბელერსის მიერ შემოთავაზებულ უმუშევრობის განმუხტვის ეროვნულ გეგმას კაპიტალისტები განახორციელებდნენ, ცხადია მოგების მიზნით! იმავე 1696 წელს ჯონ კერიმ დააარსა ბრისტოლის კორპორაცია ღარიბებისთვის, რომელმაც გარკვეული თავდაპირველი წარმატების შემდეგ მოგება ვერ მოიტანა ისევე, როგორც საბოლოოდ ვერცერთმა ამ სახის წამოწყებამ. ბელერსის იდეა ეფუძნებოდა იმავე პრინციპს, რასაც ჯონ ლოკის ასევე 1696 წელს წამოყენებული შრომის გადასახადების მიხედვით განაწილების სისტემა, რომლის მიხედვითაც სოფლის ღარიბი მოსახლეობა ადგილობრივი გადასახადების გადამხდელებზე უნდა გადანაწილებულიყო ისე, რომ მათ შეესრულებინათ სამუშაო, რომელიც შესაბამისი (პროპორციული) იქნებოდა იმ თანხის, რომელსაც ეს უკანასკნელნი იხდიდნენ. ასეთი იყო "გილბერტის აქტის" მეშვეობით სანქცირებული დამღუპველი „რაუნდსმენის სისტემის" დასაბამი. ხალხის ცნობიერებაში კი მტკიცედ გაიდგა ფესვები იდეამ იმის თაობაზე, რომ პაუპერიზმს შეიძლებოდა მოგება მოეტანა.

ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, ჯერემი ბენთემმა, სოციალური პროექტების ყველაზე ნაყოფიერმა შემქმნელმა, ჩამოაყალიბა ღარიბების ფართომასშტაბიანი გამოყენების გეგმა, რომელიც გამოდგებოდა მისი კიდევ უფრო საზრიანი ძმის – სამუელის, მიერ შექმნილი ხისა და ლითონის გადამამუშავებელი დანადგარების ასამუშავებლად. „ბენთემსა და მის ძმას ორთქლის ძრავა სჭირდებოდათ, – წერს სერ ლესლი სტივენი. – და მათ დაებადათ აზრი, რომ ორთქლის ნაცვლად პატიმრები გამოეყენებინათ". ეს ხდებოდა 1794 წელს, როცა ჯერემი ბენთემის „პანოპტიკონის" გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ციხეების ისე დაპროექტებას, რომ პატიმართა მეთვალყურეობა უფრო იაფი და ეფექტური ყოფილიყო, უკვე რამდენიმე წელია არსებობდა,

და ახლა მან გადაწყვიტა ეს იდეა პატიმრების ქარხნისათვის გამოეყენებინა, უბრალოდ, პატიმრების ადგილს ღარიბები დაიკავებდნენ. ამგვარად, ძმები ბენთემების კერძო კომერციულმა წამოწყებამ მთლიანი სოციალური პრობლემის გადაჭრის უნივერსალური გეგმის სახე მიიღო. სპინჰემლენდის მაგისტრატების გადაწყვეტილებამ, უაითბრედის წინადადებამ მინიმალური ხელფასის დაწესების თაობაზე და, უპირველეს ყოვლისა, პიტის კანონპროექტმა „ღარიბთა კანონის" ყოველმხრივი რეფორმის შესახებ, რომელიც არაოფიციალურად ვრცელდებოდა, პაუპერიზმი პოლიტიკოსთა წრეში განხილვის საგნად აქცია. ბენთემმა (რომლის კრიტიკის გამოც პიტის კანონპროექტი არ დამტკიცდა) არტურ იანგის „აგრიკულტურის ანალებში" ახლა საკუთარი საგულდაგულოდ შემუშავებული გეგმა წარმოადგინა (1797). შემწეობის მიმღები ღარიბების შრომის გამოსაყენებლად შექმნილი, „პანოპტიკონის" გეგმის (ხუთი სართული თორმეტ სექტორში) მიხედვით დაპროექტებული ბენთემის "შრომის სახლები" ცენტრალურ საბჭოს უნდა გაეკონტროლებინა. დედაქალაქში დაფუძნებული საბჭო ინგლისის ბანკის მმართველობის მოდელის მსგავსად იქნებოდა ორგანიზებული – ყველა წევრს, რომელიც ხუთი ან ათი გირვანქის ღირებულების აქციებს ფლობდა, ექნებოდა ერთი ხმის უფლება. რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ამ გეგმის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „(1) მთელ სამხრეთ ბრიტანეთში ღარიბ მოსახლეობაზე ზრუნვა დაეკისრება ერთ ორგანოს; ხოლო, შესაბამისი სახსრების დაფარვა – ერთ ფონდს. (2) ეს ორგანო, რომელიც სააქციო საზოგადოების სახით ჩამოყალიბდება, „ნაციონალური საქველმოქმედო კომპანიის" ან რაიმე სხვა მსგავსი სახელით იფუნქციონირებს".[1] გეგმის მიხედვით, უნდა აშენებულიყო არანაკლებ 250 შრომის სახლი, რომლებიც 500,000 ბინადარს დაიტევდა. გეგმას თან ახლდა უმუშევართა კატეგორიების საფუძვლიანი ანალიზი, რომლითაც ბენთემმა დაახლოებით ასი წლით გაუსწრო იმ შედეგებს, რომლებიც ამ

[1] Bentham, J., *Pauper Management*. First published, 1797.

სფეროში მოღვაწე სხვა მკვლევრებმა შემდგომში მიიღეს. აქ მისმა კლასიფიკატორულმა გონებამ საუკეთესოდ წარმოაჩინა რეალობის აღქმის უნარი. „უსაქმოდ დარჩენილ მუშახელს“, რომელთაც ახლახან დაკარგეს სამსახური, ბენთემი განასხვავებს იმათგან, ვინც უმუშევარი დარჩა „დროებითი სტაგნაციის“ გამო; სეზონურ მუშახელს მათი „პერიოდული სტაგნაციით“ – „ჩანაცვლებული მუშახელისაგან“, რომლებიც „მანქანების შემოღების გამო აღარ იყვნენ საჭირონი“ ან, კიდევ უფრო თანამედროვე ტერმინოლოგიით, ტექნოლოგიური უმუშევრებისაგან; მისეულ კლასიფიკაციაში ბოლო ჯგუფი არის „სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი მუშახელი“, კიდევ ერთი თანამედროვე კატეგორია, რომელიც ბენთემის დროს საფრანგეთთან ომის გამო გახდა თვალში საცემი. თუმცა, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს ზემოთხსნებული „დროებითი სტაგნაცია“, რომელიც მოიცავდა არამხოლოდ ხელოსნებსა და ოსტატებს, რომელთა ხელობაც „მოდის ტენდენციებზე“ იყო დამოკიდებული, არამედ უმუშევართა ბევრად უფრო მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელმაც სამუშაო „ზოგადად წარმოების სტაგნაციის გამო დაკარგა.“ ბენთემის გეგმა სხვა არაფერი იყო, თუ არა ეკონომიკური ციკლის გაწონასწორების მცდელობა გრანდიოზული მასშტაბის უმუშევრობის კომერციალიზაციის მეშვეობით.

1819 წელს რობერტ ოუენმა გამოაქვეყნა ბელერსის დაახლოებით 120 წლის წინანდელი გეგმა „შრომის კოლეგიების“ შექმნის შესახებ. ამ დროისათვის სპორადული სიდუხჭირე გაჭირვების ნიაღვრად იყო ქცეული. ოუენის „მოკავშირე სოფლები“ ბელერსის „კოლეგიებისგან“ ძირითადად თავიანთი გაცილებით დიდი მასშტაბებით განსხვავდებოდა: 1200 ადამიანი ამდენივე ჰექტარ მიწაზე. კომიტეტში, რომელიც უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად ამ უკიდურესად ექსპერიმენტული გეგმისათვის ფულის გაღებისკენ მოუწოდებდა მოქალაქეებს, შედიოდა ისეთი ავტორიტეტი, როგორიც დევიდ რიკარდოა, მაგრამ შემოწირულობის მსურველები არ გამოჩნდნენ. ოდნავ მოგვიანებით, ფრანგი შარლ ფურიე მასხრად აიგდეს, რადგან მუდამ ელოდა

პასიური კომპანიონის გამოჩენას, რომელიც ჩადებდა ფულს მის "ფალანსტერების" გეგმაში – გეგმაში, რომელიც ეფუძნებოდა იდეებს, რომლებიც საკმაოდ ჰგავდა იმ პრინციპებს, რომელთაც ფინანსური საკითხების ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი ექსპერტი ემხრობოდა. განა რობერტ ოუენის ფირმამ ნიუ ლანარკში, რომლის პასიური კომპანიონიც[1] ჯერემი ბენთემი გახლდათ, არ გაითქვა მთელ მსოფლიოში სახელი თავისი ფილანთროპული პროექტების ფინანსური წარმატებით? ჯერ კიდევ არ არსებობდა სტანდარტული ხედვა სიღარიბის შესახებ და არც ღარიბების გამოყენებით მოგების მიღების აღიარებული გზა.

ოუენი ბელერსს დაესესხა შრომითი ქვითრების (labor-notes) იდეა და ის 1832 წელს თავისი „ეროვნული სამართლიანი შრომის ბირჟის" განხორციელებისას გამოიყენა; ეს წამოწყება წარუმატებელი აღმოჩნდა. მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მუშათა კლასის ეკონომიკური თვითკმარობის პრინციპი, რომელიც ასევე ბელერსის იდეა იყო, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ცნობილი „პროფკავშირების მოძრაობის" საფუძვლად იქცა. პროფკავშირების გაერთიანება წარმოადგენდა ყველა პროფესიის, ხელობისა თუ საქმიანობის მიმდევართა ასოციაციას (წვრილი ხელოსნების ჩათვლით), რომელსაც ჰქონდა ბუნდოვანი მიზანი – ჩამოყალიბებულიყვნენ საზოგადოებრივ გაერთიანებად, ერთი მშვიდობიანი მანიფესტაციის სახით. ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ეს იყო ჩანასახი „გაერთიანებული დიდი კავშირის" (One Big Union) ჩამოყალიბების მგზნებარე მცდელობებისა მომავალი ასი წლის განმავლობაში? სინდიკალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი და ანარქიზმი ფაქტობრივად ღარიბთა პრობლემის მოგვარების თითქმის ერთნაირ გეგმებს გვთავაზობდნენ. 1848 წელს პრუდონის „გაცვლითი ბანკი" (Bank of Exchange)[2], ფილოსოფიური

---

[1] პარტნიორი, რომელიც ამა თუ იმ საქმიანობაში აქტიურად არ მონაწილეობს, მაგრამ აბანდებს ფულს მასში (მთარგმნ. შენ.).

[2] პრუდონის გეგმის მთავარი ნაწილი სახალხო ბანკის (*Banque du peuple*) დაფუძნება იყო, რომელიც მეტად დაბალპროცენტიანი კრედი-

ანარქიზმის პირველი პრაქტიკული წამოწყება, არსებითად, ოუენის ექსპერიმენტის შედეგი იყო. მარქსმა, სახელმწიფო სოციალისტმა, მძაფრად გააკრიტიკა პრუდონის იდეები და ამიერიდან ამ ტიპის კოლექტივისტური პროექტებისათვის კაპიტალს უკვე სახელმწიფოსგან ითხოვდნენ, რითაც ამ პროექტების ინიციატორები ლუი ბლანი და ლასალი, ისტორიაში შევიდნენ.

ეკონომიკური მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო შეუძლებელი ღარიბების მეშვეობით ფულის გამომუშავება, დიდი საიდუმლო არ უნდა ყოფილიყო. ამ მიზეზს ასორმოცდაათი წლის წინათ დანიელ დეფომ მოჰფინა ნათელი და თავისი 1704 წელს გამოქვეყნებული პამფლეტით ბელერსისა და ლოკის დისკუსიას ბოლო მოუღო. დეფო ამტკიცებდა, რომ თუ ღარიბებს შემწეობას დაუნიშნავდნენ, მაშინ ისინი აღარ მოისურვებდნენ ანაზღაურებად სამუშაოს; ხოლო მათი დასაქმება საჯარო დაწესებულებებში საქონლის საწარმოებლად, მხოლოდ ხელს შეუწყობდა უმუშევრობას კერძო სექტორში. მის პამფლეტს ყოვლის მამხილებელი სათაურით: „მოწყალების გაცემა არ არის ქველმოქმედება, ხოლო ღარიბების დასაქმება დამღუპველია ერისათვის“, მოჰყვა ექიმ მანდევილის უფრო ცნობილი უხეირო ლექსი დახვეწილი ფუტკრების შესახებ, რომელთა საზოგადოებაც ყვაოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველანაირად ხელს უწყობდა ამპარტავნებას, შურს, მანკიერებას და მფლანგველობას. მაგრამ, თუ ახირებული ექიმი სრულიად ზედაპირული ზნეობრივი პარადოქსებით იქცევდა თავს, პამფლეტის ავტორი ახალი პოლიტიკური ეკონომიკის ძირითად საკითხებს ეხებოდა. მისი ესეი მალევე მიეცა დავიწყებას „უმდაბლესი პოლიტიკის“ (როგორც XVIII საუკუნეში საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებულ პრობლემებს მოიხსენიებდნენ) ფარგლებს მიღმა, ხოლო მანდევილის იაფფასიანმა პარადოქსებმა მოხიბლა ისეთი კალიბრის მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ბერკლი, ჰიუმი და

ტის გარდა, გასცემდა გაცვლით ქვითრებს, რომლებიც ოქროთი გამყარებული ფულის ნაცვლად იქნებოდა მიმოქცევაში (მთარგმნ. შენიშვნა).

სმიტი. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მობილური სიმდიდრე კვლავ მორალურ პრობლემას წარმოადგენდა, ხოლო სიღარიბეს ჯერ კიდევ არ განიხილავდნენ ამ ჭრილში. პურიტანული კლასები აღშფოთებულნი იყვნენ თვალშისაცემი მფლანგველობის ფეოდალური ფორმებით, რასაც მათი სინდისი გმობდა, როგორც ფუფუნებასა და მანკიერებას, მაგრამ ამასთანავე, იძულებულნი იყვნენ, უხალისოდ ეღიარებინათ მანდევილის ფუტკრები, რადგან ამ სიავეების გარეშე ვაჭრობა უმალ დაეცემოდა. მოგვიანებით ეს მდიდარი ვაჭრები გათავისუფლდებიან კომერციის მორალთან დაკავშირებული მტანჯველი ეჭვებისაგან: ბამბის ახალი სამრეწველო ქარხნები აღარ ემსახურებოდნენ სიმდიდრის ამაო აფიშირებას, არამედ ერთფეროვან ყოველდღიურ საჭიროებებს; წარმოიშვა ფულის ფლანგვის ახალი დახვეწილი ფორმები, რომლებიც ვითომ ნაკლებად თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში ადრინდელზე უფრო უყაირათო იყო. დეფოს მასხრობა ღარიბების შემწეობის საშიშროებაზე არ იყო იმდენად აქტუალური, რომ სიმდიდრის მორალურ საფრთხეებზე ზრუნვით შეშფოთებული სინდისი შეეწუხებინა; ინდუსტრიული რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო შემდგარიყო. თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო, დეფოს პარადოქსები მომავალი მტანჯველი დილემების პროგნოზს წარმოადგენდა: „მოწყალების გაცემა არ არის ქველმოქმედება" – რადგან შიმშილის დროებით მოკვლა მხოლოდ წარმოებას აფერხებს და ამგვარად, უბრალოდ შიმშილობასა და სიდუხჭირეს წარმოშობს; "ღარიბების დასაქმება დამღუპველია ერისათვის" – რადგან საზოგადოებრივი დასაქმება იწვევს საქონლის სიჭარბეს ბაზარზე და კერძო მეწარმეების მსწრაფლ გაკოტრებას. სადღაც XVII საუკუნის დასაწყისში, წმინდანისა და ცინიკოსის – კვაკერი ჯონ ბელერსისა და ბიზნესის ენთუზიასტს – დანიელ დეფოს კამათში დაისვა ის საკითხები, რომლებზეც ორ საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობა და ფიქრი, იმედი და ტანჯვა უნდა დახარჯულიყო, რათა ეპოვათ არც ისე მარტივი გამოსავალი.

მაგრამ სპინჰემლენდის ეპოქაში პაუპერიზმის ჭეშმარიტი ბუნება ადამიანთა გონებისთვის ჯერ კიდევ საიდუმლოს წარმოადგენდა. ყველა თანხმდებოდა მოსახლეობის ზრდის წახალისებაზე, თან რაც შეიძლება მეტად, რადგან სახელმწიფო ძალაუფლება ადამიანებისგან შედგებოდა. ამასთანავე, თანხმდებოდნენ იაფი მუშახელის უპირატესობებზე, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი წარმოების აყვავება. უფრო მეტიც, თუ არა ღარიბი, მაშ ვინ უნდა ყოფილიყო მეზღვაური ან ვინ წავიდოდა ომში? ამასთანავე, არსებობდა ეჭვებიც – ხომ არ იყო პაუპერიზმი, როგორც ასეთი, ბოროტება. ნებისმიერ შემთხვევაში, რატომ არ შეიძლებოდა ღარიბების დასაქმება საზოგადოების სასარგებლოდ ისეთივე წარმატებით, როგორც ამას კერძო პირები ახერხებდნენ? დამაჯერებელი პასუხები ამ კითხვებზე არ მოიძებნებოდა. დეფო შემთხვევით „წააწყდა“ ჭეშმარიტებას, რომელსაც სამოცდაათი წლის შემდეგ ადამ სმიტი ჩასწვდა ან ვერ ჩასწვდა; საბაზრო სისტემის ბოლომდე განუვითარებელი მდგომარეობა მის თანდაყოლილ სისუსტეებს ფარავდა. სიმდიდრის ახალი ფორმები ისევე, როგორც სიღარიბისა, ჯერ კიდევ გაუგებარ ფენომენებს წარმოადგენდნენ.

იმას, რომ თავად პრობლემა განვითარების ჩანასახოვან ეტაპზე იყო, მოწმობდა საკვირველი მსგავსება მისი გადაწყვეტის გზებისა, რომლებიც წამოაყენეს ისეთი განსხვავებული შეხედულებების მქონე მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ კვაკერი ბელერსი, ათეისტი ოუენი და უტილიტარისტი ბენთემი. სოციალისტ ოუენს მტკიცედ სწამდა ადამიანთა თანასწორობა და მათი თანდაყოლილი უფლებები; ბენთემს კი ეზიზღებოდა ეგალიტარიზმი, მასხრად იგდებდა ადამიანის უფლებებს და აშკარად ლესე ფერის პრინციპებისკენ იხრებოდა. მიუხედავად ამისა, ოუენის “პარალელოგრამები” იმდენად ჰგავდა ბენთემის „შრომის სახლებს“, რომ, თუ დავივიწყებთ ბელერსის გავლენას, შეიძლება გვეგონოს, რომ ოუენი მხოლოდ ბენთემის იდეებით იყო შთაგონებული. სამივე მათგანი დარწმუნებული იყო, რომ უმუშევართა შრომის შესაბამისი ორგანიზებით შეიძლებოდა

მოგების ნახვა, რომელიც ფილანთროპ ბელერსს უნდოდა, რომ სხვა გაჭირვებულების შემწეობისთვის გამოეყენებინა; უტილიტარისტსა და ლიბერალ ბენთემს სურდა აქციონერებისთვის გადაეცა; სოციალისტი ოუენი კი ფიქრობდა, თავად უმუშევრებისთვის დაებრუნებინა. მაგრამ, თუ მათ შორის არსებული განსხვავებები სამომავლო პრინციპული განხეთქილების თითქმის შეუმჩნეველ ნიშნებს ავლენდნენ, მათ საერთო ილუზიებში მჟღავნდებოდა ის, რაც სამივესთვის იყო დამახასიათებელი – პაუპერიზმის არსის არასწორი გაგება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მათ შორის ყველა სხვა განსხვავებაზე მნიშვნელოვანი იყო ღარიბთა რაოდენობის უწყვეტი ზრდა: 1696 წელს, როდესაც ბელერსი წერდა, ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადის საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 40,000 ფუნტი იყო; 1796 წელს, როდესაც ბენთემმა პიტის ბილს გაუწია წინააღმდეგობა, მაჩვენებელმა 2 მილიონიანი ზღვარი გადალახა; 1818 წლისთვის, რობერტ ოუენის მოღვაწეობისას, მაჩვენებელი 8 მილიონს უახლოვდებოდა. ბელერსისა და ოუენის მოღვაწეობას შორის ჩავლილი 120 წლის მანძილზე, შესაძლოა ინგლისის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ღარიბთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადების მაჩვენებელი გაოცმაგდა. პაუპერიზმი ავის მომასწავებელ ნიშნად იქცა, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც ყველასთვის გამოცანა იყო.

თავი 10
პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოების აღმოჩენა

სიღარიბის ფენომენის მნიშვნელობის გაცნობიერება XIX საუკუნისთვის სცენის მომზადებას ნიშნავდა. წყალგამყოფს დაახლოებით 1780 წელი წარმოადგენდა. ადამ სმითის უდიდეს ნაშრომში ჯერ არ იყო წამოყენებული ღარიბთა შემწეობის პრობლემა; ეს საკითხი სერიოზულად მხოლოდ ერთი ათწლეულის შემდეგ დაისვა ტაუნსენდის ტრაქტატში – „დისერტაცია ღარიბთა კანონების შესახებ“, და მას შემდეგ კიდევ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მუდმივად აღელვებდა ადამიანთა გონებას.

ადამ სმითიდან მოყოლებული ტაუნსენდამდე არსებული ატმოსფერო ნამდვილად საგრძნობლად შეიცვალა. პირველმა დაასრულა ეპოქა, რომელიც გახსნეს სახელმწიფოს მოწყობის შემქმნელებმა – თომას მორმა და მაკიაველიმ, ლუთერმა და კალვინმა; მეორე კი იმ XIX საუკუნეს ეკუთვნოდა, რომელშიც რიკარდომ და ჰეგელმა საპირისპირო მხრიდან აღმოაჩინეს საზოგადოების არსებობა, რომელიც არ ექვემდებარებოდა სახელმწიფოს კანონებს, არამედ, პირიქით, მას საკუთარ კანონებს უმორჩილებდა. აღსანიშნავია, რომ ადამ სმითი მატერიალურ სიმდიდრეს ცალკე შესასწავლ სფეროდ მიიჩნევდა; რეალიზმის საოცარი განცდით აღჭურვილი, იგი ახალი მეცნიერების – ეკონომიკის, ფუძემდებელი გახდა. მიუხედავად ამისა, სიმდიდრე სმითისთვის

მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი იყო, რომლის მიზნებსაც იგი ექვემდებარებოდა; სიმდიდრე წარმოადგენდა აუცილებელ ატრიბუტს ერებისა, რომლებიც ისტორიაში შემორჩენისთვის იბრძოდნენ და მათი ცალ-ცალკე განხილვა არ შეიძლებოდა. მისი აზრით, ერთი წყება ფაქტებისა, რომლებიც განაპირობებენ ხალხთა სიმდიდრეს, მთლიანობაში ქვეყნის მდგომარეობით განისაზღვრება – მისი დაცემით, აღზევებით ან ცვლილებების არარსებობით; მეორე ეყრდნობა სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინტერესების პირველ ადგილზე დაყენებას და ასევე, ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობას; კიდევ ერთი ასეთი წყება მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შედეგად ჩნდება – იმის მიხედვით, თუ რის წახალისებას ცდილობს მთავრობა – ქალაქისა თუ სოფლის, მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის. ამგვარად, სმითი სიმდიდრის საკითხის ფორმულირებას შესაძლებლად მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ ჩარჩოებში მიიჩნევდა, და ამაში იგი „ხალხის დიდი ნაწილის“ მატერიალურ კეთილდღეობას გულისხმობდა. მის ნაშრომში არ გვხვდება მინიშნება იმაზე, რომ კაპიტალისტების ეკონომიკურმა ინტერესებმა უნდა დაადგინონ კანონები საზოგადოებისთვის, და, რომ თავად კაპიტალისტები არიან ღვთიური განგების საერო განმმარტებელნი, რომლებიც მართავენ ეკონომიკურ სამყაროს, როგორც ცალკეულ რეალობას. მისთვის ეკონომიკური სფერო ჯერ კიდევ არ ექვემდებარება საკუთარ კანონებს, რომლებიც კაცობრიობას სიკეთისა და ბოროტების სტანდარტებით უზრუნველყოფს.

სმითს სურდა ხალხთა სიმდიდრე მათი მთლიანი საერო ცხოვრების ფუნქციად წარმოედგინა, როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით; ამიტომაც ერგებოდა მისი საზღვაო პოლიტიკა ასე კარგად „კრომველის სანავიგაციო აქტებს“; ხოლო მისი წარმოდგენები ადამიანური საზოგადოების შესახებ ჰარმონიაში იყო ჯონ ლოკის ბუნებითი უფლებების სისტემასთან. მისი აზრით, არაფერი მიუთითებს საზოგადოების ფარგლებში განსაკუთრებული ეკონომიკური სფეროს არსებობაზე, რომელიც

შეიძლება მორალური კანონისა და პოლიტიკური ვალდებულებების წყაროდ იქცეს. პირადი ინტერესი უბრალოდ გვაიძულებს გავაკეთოთ ის, რაც თავისთავად სარგებელს მოუტანს სხვებსაც, ისევე, როგორც ყასაბი პირად ინტერესებზე ზრუნვით საბოლოოდ სადილით უზრუნველგვყოფს. სმითის აზროვნება ღრმა ოპტიმიზმით არის განმსჭვალული, ვინაიდან კანონები, რომელთაც სამყაროს ეკონომიკური ნაწილი ემორჩილება, ისევე, როგორც კანონები, რომლებიც მთელ დანარჩენ სამყაროს არეგულირებენ, სრულ თანხვედრაში არიან ადამიანის დანიშნულებასთან. არ არსებობს ისეთი „უხილავი ხელი“, რომელიც ცდილობს, პირადი ინტერესის სახელით კანიბალიზმისკენ გვიბიძგოს. ადამიანის ღირსება არის სულიერი არსების ზნეობა და სწორედ ამ თვისებით ხდება ადამიანი სამოქალაქო წესრიგის წევრი, სახელმწიფოს წევრი, და ბოლოს, „კაცობრიობის უდიდესი საზოგადოების“ წევრი. გონება და კაცთმოყვარეობა აწესებს ეგოიზმის საზღვრებს; მოგებამ და მეტოქეობამ მათ გზა უნდა მისცეს. ბუნებრივია ის, რაც შეესაბამება ადამიანის სულში განსხეულებულ პრინციპებს, ხოლო ბუნებრივ წესრიგს წარმოადგენს ის, რაც ამ პრინციპებს შეესაბამება. „ბუნებას“, ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით, სმითი შეგნებულად გამორიცხავს სიმდიდრის პრობლემების ანალიზისას. „როგორიც არ უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს ნიადაგი, კლიმატი ან ტერიტორიის ფართობი, მისი ხალხის წლიური მომარაგების სიმრავლე ან სიმწირე, ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ორ გარემოებაზე უნდა იყოს დამოკიდებული“, კერძოდ, შრომის ხარისხსა და საზოგადოების სასარგებლო და უსარგებლო წევრების პროპორციულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. აქ მნიშვნელობა აქვს არა ბუნებრივ, არამედ მხოლოდ ადამიანურ ფაქტორებს. სმითის მიერ საკუთარი წიგნის დასაწყისშივე ბიოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორების გამორიცხვა სავსებით მიზანმიმართული იყო. მისთვის გაფრთხილება იყო ფიზიოკრატების მიერ დაშვებული შეცდომები: სოფლის მეურნეობის განდიდებისადმი მათმა განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ გამოიწვია ის, რომ მოხდა ფიზიკური ბუნების აღრევა ადამიანის ბუნებასთან

და ფიზიოკრატები შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ ერთადერთ ნამდვილად მწარმოებლურ ძალას მიწა წარმოადგენდა. სმითის აზროვნებისთვის ფიზისის[1] ამგვარი განდიდება სავსებით უცხო იყო. პოლიტიკური ეკონომიკა უნდა ყოფილიყო ჰუმანიტარული მეცნიერება და უნდა განეხილა ის, რაც ბუნებრივი იყო ადამიანისთვის და არა „ბუნებისთვის“.

ტაუნსენდის ათი წლის შემდეგ დაწერილი „დისერტაცია“ თხებისა და ძაღლების თეორემაზე კონცენტრირდებოდა: მოქმედება ხდება უკაცრიელ კუნძულზე წყნარ ოკეანეში, ჩილეს სანაპიროებთან. შემდგომში საკუთარი თავის ხორცით უზრუნველყოფის მიზნით, ხუან ფერნანდესმა კუნძულზე რამდენიმე თხა ჩაიყვანა. თხები, რომლებიც ბიბლიური ნაყოფიერებით მრავლდებოდნენ, საკვების ხელსაყრელ მარაგად იქცნენ ძირითადად ინგლისელი მეკობრეებისთვის, რომელთაც თავიანთი თავდასხმებით ესპანეთის სავაჭრო ხომალდებს თავსატეხი გაუჩინეს. თხების გასაწყვეტად ესპანეთის ხელისუფლებამ კუნძულზე გადასხა დედალ-მამალი ძაღლები, რომელთაც დროთა განმავლობაში ასევე საოცრად იმრავლეს და შეამცირეს თხების რაოდენობა, რომლებითაც იკვებებოდნენ. „შემდეგ ახალი სახის წონასწორობა დამყარდა, – წერს ტაუნსენდი. ორივე სახეობიდან, პირველ რიგში, ყველაზე სუსტებმა გადაიხადეს ბუნების ვალი; ყველაზე ძლიერები და აქტიურები კი გადარჩნენ“. ტაუნსენდი დამატებით ასკვნის, რომ „სწორედ საკვების ოდენობა არეგულირებს ადამიანის სახეობის რაოდენობას“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროების[2] ანალიზის შედეგად ამ ისტორიის დადასტურება ვერ მოხერხდა. ხუან ფერნანდესმა მართლაც გადასხა კუნძულზე თხები; მაგრამ ლეგენდარული ძაღლების ნაცვლად უილიამ ფანელი მშვენიერ კატებს ახსნებს, ხოლო

---

1 აქ: ბუნება.

2 Cf. Antonio de Ulloa, Wafer, William Funnell, as well as Isaac James (which also contains Captain Wood Rogers's account on Alexander Selkirk) and the observations of Edward Cooke.

მტკიცებულება იმისა, რომ ეს ძაღლები ანდა კატები გამრავლდნენ, არ გაგვაჩნია; ასევე, თხები მიუდგომელ, სალ კლდეებზე ბინადრობდნენ, ხოლო პლაჟები – და ამაზე ყველა წყარო თანხმდება – სავსე იყო ჩასუქებული სელაპებით, რომლებიც ველური ძაღლებისთვის ბევრად უფრო მიმზიდველი ნადავლი იქნებოდა. თუმცა, ეს პარადიგმა სულაც არ საჭიროებს ემპირიულ მტკიცებულებას, რომლის არარსებობა ვერაფერს აკლებს იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ წყარომ შთააგონა მალთუსი და დარვინი: მალთუსი მას კონდორსიეს მეშვეობით გაეცნო, ხოლო დარვინი – მალთუსის. მაგრამ ვერც დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორია და ვერც მალთუსის მოსახლეობის კანონი ვერ მოახდენდა რაიმე სახის მნიშვნელოვან გავლენას თანამედროვე საზოგადოებაზე, რომ არა ის პრინციპები, რომლებიც ტაუნსენდმა დაადგინა თავისი თხებისა და ძაღლების ისტორიიდან გამომდინარე და სურდა ღარიბთა კანონის რეფორმისთვის მიესადაგებინა: „შიმშილი ათვინიერებს ყველაზე სასტიკ ცხოველებს, ის ყველაზე ჯიუტებს წესიერებასა და თავაზიანობას, მორჩილებასა და თვინიერებას ასწავლის. ზოგადად მხოლოდ შიმშილს შეუძლია აიძულოს ისინი [ღარიბები] იშრომონ; თუმცა, ჩვენს კანონებში ნათქვამია, რომ მათ არასდროს არ უნდა იშიმშილონ. ამასთან, ჩვენს კანონებში ასევე ხაზგასმულია, რომ მათ ძალა უნდა დავატანოთ, რათა იმუშაონ. მაგრამ საკანონმდებლო ძალდატანებას თან ახლავს დავიდარაბა, ძალადობა და ხმაური; ის იწვევს გულისწყრომასა და ბრაზს და ვერასოდეს ვერ უზრუნველყოფს პატიოსან და მისაღებ შრომას; ხოლო შიმშილი თავის ზეგავლენას ახდენს არამარტო მშვიდობიანად, უხმოდ, მუდმივი ზეწოლით, არამედ, წარმოადგენს გარჯისა და გულმოდგინების ყველაზე ბუნებრივ მოტივს, ის აიძულებს ადამიანს გამოიყენოს მთელი თავისი ძალისხმევა; და, როდესაც ის [მშიერი] სხვისი ნებაყოფლობითი გულუხვობით დაკმაყოფილდება [შიმშილს მოიკლავს], ეს კეთილგანწყობისა და მადლიერების მტკიცე და ხანგრძლივი საფუძველი გახდება. მონა იძულებულია, რომ იმუშაოს, მაგრამ თავისუფალ ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოიქცეს საკუთარი შეხედულებისამებრ;

ის სრულებით დაცული უნდა იყოს, რათა ისარგებლოს იმ ქონებით, რაც მას გააჩნია – ბევრი იქნება ეს, თუ ცოტა, და დაისაჯოს, როდესაც სხვისი საკუთრების ხელყოფას შეეცდება“.

ეს გახლდათ ახალი ამოსავალი წერტილი პოლიტიკური მეცნიერებისათვის. მიუდგა რა ადამიანთა საზოგადოებას ცხოველური მხრიდან, ტაუნსენდმა გვერდი აუარა ვითომდა გარდაუვალ საკითხს მთავრობის საფუძვლებთან დაკავშირებით და ამგვარად ადამიანური სამყაროს ანალიზში შემოიტანა ცნება ახალი ტიპის კანონის შესახებ – ბუნების კანონების კონცეფცია. ჰობსის მისწრაფება გეომეტრიისადმი, ისევე როგორც ჰიუმის ადა ჰარტლის, კენესა და ჰელვეციუსის სწრაფვა საზოგადოებაში ნიუტონის კანონების მსგავსის აღმოჩენისა, უბრალო მეტაფორამდე დაიყვანება: ისინი იღვწოდნენ საზოგადოებაში ისეთი უნივერსალური კანონის აღმოსაჩენად, როგორიც იყო გრავიტაცია ბუნებაში, ოღონდ ეს კანონი თავისი ხასიათით ადამიანურ კანონად წარმოედგინათ, მაგალითად, ისეთ მენტალურ ძალად, როგორიცაა შიში ჰობსთან, ასოციაციის ფენომენი ჰარტლის ფსიქოლოგიაში, ეგოიზმის მოქმედება კენესთან ან სწრაფვა სარგებლიანობისაკენ ჰელვეციუსთან. ამაში მეტისმეტი თავდაჭერილობა ან სიფაქიზე არ უნდა დავინახოთ: კენე, პლატონის მსგავსად, ხანდახან ადამიანთა მოდგმას საქონლის მომშენებელივით უყურებდა, ხოლო ადამ სმიტი ნამდვილად არ უგულებელყოფდა კავშირს რეალურ შრომის ანაზღაურებასა და შრომის ხანგრძლივ მიწოდებას შორის. არისტოტელე ასწავლიდა, რომ მხოლოდ ღმერთებსა და მხეცებს შეეძლოთ საზოგადოების გარეთ ცხოვრება, ადამიანი კი არც ერთ მათგანს არ წარმოადგენდა. ხოლო, ქრისტიანული აზროვნებისთვის ადამიანსა და მხეცს შორის დიდი უფსკრული იყო; ვერანაირი ექსკურსი ფიზიოლოგიურ სფეროში ვერ შეარყევდა თეოლოგებს რწმენას იმისა, რომ ადამიანის კეთილდღეობას სულიერი საფუძვლები გააჩნია. ჰობსისთვის ადამიანი ადამიანისთვის მგელი იყო, რადგან საზოგადოების გარეთ ადამიანები მგლებივით იქცეოდნენ და არა იმიტომ, რომ არსებობდა რაიმე ბიოლოგიური ფაქტორი, რომელიც

ადამიანებსა და მგლებს საზიარო ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯერ არც ერთი ადამიანური საზოგადოება არ იყო ჩამოყალიბებული, რომელსაც არ გააჩნდა კანონები და მთავრობა. მაგრამ ხუან ფერნანდესის კუნძულზე არც მთავრობა არსებობდა და არც კანონი; და მაინც თხებსა და ძაღლებს შორის წონასწორობა დაცული იყო. ეს წონასწორობა შენარჩუნდა იმ დაბრკოლების წყალობით, რომელსაც კუნძულის კლდოვან ნაწილში გაქცეული თხის შეჭმის მცდელობისას ძაღლები აწყდებოდნენ, და იმ სირთულეების წყალობით, რომელსაც თხები აწყდებოდნენ, როცა ძაღლებისგან თავდასაცავად კლდეებს ეფარებოდნენ. მთავრობა არ იყო საჭირო ამ წონასწორობის შესანარჩუნებლად; ის მყარდებოდა ერთი მხრივ შიმშილის მტანჯველი შეგრძნებისა, და მეორე მხრივ საკვების დეფიციტის მეშვეობით. ჰობსი დესპოტის არსებობის საჭიროებას იმით ამტკიცებდა, რომ ადამიანები ჰგავდნენ მხეცებს; ტაუნსენდი კი ამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეში მხეცები იყვნენ და რომ სწორედ ამ მიზეზის გამო, მთავრობის მხრიდან მინიმალური ჩარევა იყო საჭირო. ამ ორიგინალური თვალსაზრისის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისუფალი საზოგადოება ორი რასისგან შედგება: ქონების მფლობელებისა და მშრომელებისგან. ამ უკანასკნელთა რაოდენობა შეზღუდულია საკვების ოდენობით; და სანამ ქონებას საფრთხე არ ემუქრება, შიმშილი მათ მუშაობისკენ უბიძგებს. აქ მსაჯული არ არის საჭირო, რადგან შიმშილი უკეთესად ამყარებს დისციპლინას. მისთვის მიმართვა, მკაცრად აღნიშნავს ტაუნსენდი, „ძლიერის მხრიდან უფრო სუსტი ავტორიტეტისთვის მიმართვა იქნება“.

ეს ახალი პრინციპები შესანიშნავად შეესაბამებოდა იმ დროს ჩამოყალიბებულ საზოგადოებას. XVIII საუკუნის შუა წლებიდან ვითარდებოდა ეროვნული ბაზრები; მარცვლეულის ფასი აღარ იყო ადგილობრივი, არამედ რეგიონული; ეს გულისხმობდა ფულის თითქმის საყოველთაო გამოყენებას და საქონლის ფართო განვითარებას. საბაზრო ფასებმა და შემოსავალმა, იჯარისა და შრომის ანაზღაურების ჩათვლით, მნიშვნელოვანი სტაბილურობა

აჩვენა. ფიზიოკრატებმა პირველებმა აღნიშნეს ეს კანონზომიერებები, რომლებსაც ისინი თეორიულადაც კი ვერ აქცევდნენ რაიმე სახის მთლიან კონტექსტში, რადგან საფრანგეთში ჯერ კიდევ გავრცელებული იყო ფეოდალური ტიპის შემოსავლები და შრომა ხშირად ნახევრად ბატონყმური ხასიათისა იყო; ასე რომ, არც ქირა და არც ხელფასი, როგორც წესი, ბაზრით არ იყო განპირობებული. მაგრამ ინგლისური სოფელი ადამ სმითის ეპოქაში უკვე კომერციული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა; იჯარამ, რომელსაც მემამულეს უხდიდნენ, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებამ, ფასებზე დამოკიდებულების ასახვა დაიწყო. ფასები და შრომის ანაზღაურება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში რეგულირდებოდა ხელისუფლების მიერ. და მაინც, ამ ახალ უცნაურ წესრიგში, მათი კანონიერი პრივილეგიების გაქრობისა და უფლებათა შეზღუდვის მიუხედავად, საზოგადოების ძველი კლასები მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდნენ თავიანთ უწინდელ იერარქიას. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კანონი არ აიძულებდა მოჯამაგირეებს ფერმერთან ემუშავათ, ხოლო ფერმერს – უზრუნველეყო მემამულე, მოჯამაგირეები და ფერმერები ისე იქცეოდნენ, თითქოს ასეთი ძალდატანება არსებობდა. რომელი კანონით იყო ვალდებული მოჯამაგირე დამორჩილებოდა ბატონს, რომელთანაც მას არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნდა? რა ძალა აცალკევებდა საზოგადოების კლასებს ისე, თითქოს ისინი სხვადასხვა სახეობის ადამიანები იყვნენ? და ბოლოს, რა ინარჩუნებდა წონასწორობასა და წესრიგს ამ ადამიანთა კოლექტივში, რომელიც არც ითხოვდა, და მეტიც, ვერც იტანდა ვერანაირ ჩარევას მთავრობის მხრიდან?

თხებისა და ძაღლების პარადიგმა თითქოს ამ შეკითხვებზე პასუხს გვთავაზობდა. არაპოლიტიკური ხასიათის საზოგადოების განსაზღვრული საფუძვლის სახით ადამიანის ბიოლოგიური ბუნება მოგვევლინა. ამიტომაც ეკონომისტებმა უარი თქვეს ადამ სმითის ჰუმანისტურ პრინციპებზე და ტაუნსენდის მოძღვრება გაითავისეს. მალთუსის „მოსახლეობის კანონმა“ და „კლე-

ბადი უკუგების კანონმა“ რიკარდოს ტრაქტატში, ადამიანისა და ნიადაგის ნაყოფიერება ახლადაღმოჩენილი სფეროს შემადგენელ ელემენტებად აქცია. ეკონომიკური საზოგადოების, როგორც ფენომენის, კონტურები, პოლიტიკური სახელმწიფოსგან განსხვავებით, ცხადად გამოიკვეთა.

კონკრეტულ გარემოებებს, რომელთა დროსაც ამ ადამიანთა ერთიანობის – რთული საზოგადოების – არსებობა აშკარა გახდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის აზროვნების ისტორიისათვის. რადგან ახლადაღმოცენებული საზოგადოება სხვა არა იყო, თუ არა საბაზრო სისტემა, ახლა ადამიანთა საზოგადოებას ახალ პრინციპებზე გადაწყობის საფრთხე დაემუქრა, პრინციპებზე, რომლებიც სრულიად უცხო იყო იმ სულიერი სამყაროსთვის, რომლის შემადგენლობაშიც ჯერ კიდევ შედიოდა სახელმწიფო. პაუპერიზმის აშკარად გადაუჭრელი პრობლემა აიძულებდა მალთუსსა და რიკარდოს ტაუნსენდის ნატურალიზმში გადავარდნილი პოზიცია მიეღოთ.

ბერკი პაუპერიზმის საკითხს საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით განიხილავდა. კარიბებზე შექმნილმა პირობებმა მას დაანახა, თეთრკანიანი მეპატრონეების ყოველგვარი ადეკვატური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე, დიდი ოდენობით მონების ყოლის საშიშროება, თანაც ზანგებს კარიბებზე ხშირად აძლევდნენ უფლებას, იარაღი ეტარებინათ. ბერკის აზრით, ამგვარი პირობები იწვევდა უმუშევართა რაოდენობის ზრდას მეტროპოლიაში, რადგან მთავრობის განკარგულებაში არ იყვნენ საპოლიციო ძალები. პატრიარქალური ტრადიციების გულმხურვალე დამცველი, ბერკი, ასევე იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის მგზნებარე მხარდამჭერი და სწორედ მასში ხედავდა პაუპერიზმის ადმინისტრაციული პრობლემის გადაწყვეტის გზას. ბამბის ფაბრიკებზე მოულოდნელად გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ადგილობრივი ხელისუფლება სიამოვნებით იყენებდა ღარიბ ბავშვებს, რომლებისთვისაც ხელობის შესწავლა სოფლის სამრევლოს ევალებოდა. ასეულობით ღარიბი ბავშვი იდგა შეგირდად მეწარმეებთან, ხშირად ქვეყნის შორეულ

ნაწილებში. საერთოდ, ახალ სამრეწველო ქალაქებს ღარიბი ბავშვების მოთხოვნის მადა გაეხსნათ; ფაბრიკები კი მზად იყვნენ ღარიბი მოსახლეობის გამოსაყენებლად ფულიც კი გადაეხადათ. ზრდასრულების გამოყოფა ხდებოდა ნებისმიერი დამსაქმებლისთვის, ვინც მათი შენახვის ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებდა; ისევე, როგორც „რაუნდსმენის სისტემის“ სხვადასხვა ფორმის დროს, როდესაც მათ კვებასა და დაბინავებას ფერმერები მორიგეობით უზრუნველყოფდნენ. ღარიბების იჯარით გაცემა ბევრად უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე შრომის სახლების ე.წ. „უდანაშაულოთა ციხეების“ შენახვა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ეს ნიშნავდა იმას, რომ მთავრობისა და სოფლის სამრევლოს მიერ გამოყენებული იძულებითი წესით შრომა, ჩაანაცვლა „დამსაქმებლის უფრო მკაცრმა და უფრო პედანტურმა ძალაუფლებამ“[1].

ცხადია, საქმე სახელმწიფოებრიობის საკითხს ეხებოდა. რატომ უნდა დააწვნენ ღარიბები საზოგადოებას ტვირთად და რატომ უნდა იკისროს მათი შენახვა სოფლის სამრევლომ, თუ სამრევლო საბოლოდ მოიხსნის თავის ვალდებულებას და შრომისუნარიან ღარიბებს იჯარით დაუთმობს კაპიტალისტ მეწარმეებს, რომლებიც იმდენად მოწადინებულნი არიან ფაბრიკა-ქარხნებისთვის მუშახელის საშოვნელად, რომ ფულსაც კი იხდიან ამაში? ეს ხომ აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ არსებობდა სამრევლოს სისტემაზე უფრო იაფიანი გზა ღარიბების იძულებისა, ემუშავათ საკუთარი ლუკმა პურის საშოვნელად? გამოსავალი ელისაბედისდროინდელი კანონმდებლობის გაუქმებაში იყო, მისი სხვა კანონებით ჩანაცვლების გარეშე. არანაირი შრომის ანაზღაურების შეფასების დადგენა მთავრობის მიერ, არანაირი შემწეობა შრომისუნარიანი უმუშევრებისთვის – მაგრამ, ამასთანავე, არც მინიმალური შრომის ანაზღაურება და არც ცხოვრების უფლების გარანტირება. შრომას უნდა მოვეკიდოთ ისე, როგორც საქონელს, რომელმაც თავად უნდა დაადგინოს საკუთარი ფასი ბაზარზე. კომერციის კანონები არის ბუნების კანონები და, შესაბამისად,

[1] Webb, S. and B., *English Local Government*, Vols. VII-IX, „Poor Law History“.

ღმერთის კანონებიც. განა ეს არ ნიშნავდა აპელირებას უფრო სუსტის მაგივრად უფრო ძლიერ ძალაუფლებაზე, ყოვლისშემძლე შიმშილის მტანჯველ შეგრძნებაზე, ნაცვლად მსაჯულებისა? პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირებისათვის laissez-faire წარმოადგენდა მინიმალური დანახარჯებით კანონისა და წესრიგის უზრუნველყოფის პრინციპს. დაე, ბაზარმა დაარეგულიროს ღარიბების საკითხი და ყველაფერი თავისით მოგვარდება.

სწორედ ამ პუნქტში ეთანხმებოდა რაციონალისტი ბენთემი ტრადიციონალისტ ბერკს. ტკივილისა და სიამოვნების გამოანგარიშების პრინციპი კრძალავდა ისეთი ტკივილის მიყენებას, რომლისთვის თავის არიდება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, თუ ამ საქმეს შიმშილი შეასრულებდა, სხვა სასჯელი საჭირო აღარ იყო. კითხვაზე: „რისი გაკეთება შეუძლია კანონს ადამიანების საარსებო საშუალებებით უზრუნველსაყოფად?“, ბენთემი პასუხობდა: „პირდაპირი გზით – არაფრის.”[1] სიღარიბე იყო ბუნება, რომელიც საზოგადოებაში აგრძელებდა არსებობას; და მისი ფიზიკური სანქცია გახლდათ შიმშილი. „ფიზიკური სანქციის ძალები სავსებით საკმარისია, ამიტომაც პოლიტიკური სანქციის გამოყენება ზედმეტი იქნებოდა“.[2] საჭირო იყო მხოლოდ “სამეცნიერო და ეკონომიკური” მიდგომა ღარიბთა პრობლემის მიმართ.[3] ბენთემი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა „პიტის ბილს“ ღარიბთა კანონის შესახებ, რაც სპინჰემლენდის პრაქტიკას დააკანონებდა და საშუალებას მისცემდა ღარიბებს, მიეღოთ როგორც სახელფასო დანამატები, ისე პირდაპირი დახმარება. თუმცა, თვითონ ბენთემი ამ დროს, თავისი მიმდევრებისგან განსხვავებით, არც დემოკრატი იყო და არც ეკონომიკური ლიბერალიზმის მკაცრი მომხრე. მისი „შრომის სახლები“ წარმოადგენდა ადმინისტრაციის უტილიტარულ, კოშმარულ სისტემას, რომელიც სამეცნიერო მმართველობის სხვადასხვა სახის ხრიკებით იყო გამაგრებუ-

---

1 Bentham, J. *Principles of Civil Code*, Ch. 4., Browning, Vol. I, p. 333.

2 Bentham, J., *ibid*.

3 Bentham, J., *Observation and the Poor Bill*, 1797.

ლი. ბენთემი მიიჩნევდა, რომ ყოველთვის იარსებებდა „შრომის სახლების“ საჭიროება, რადგან საზოგადოებას არ შეეძლო უგულისყუროდ დაეტოვებინა ღატაკების ბედი. სიღარიბე, ბენთემის აზრით, წარმოადგენდა სიუხვის განუყოფელ ნაწილს. „სოციალური კეთილდღეობის მიღწევის უმაღლეს ეტაპზე, – წერდა ის, – მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს, სავარაუდოდ, მაინც არ ექნებათ იმაზე მეტი, ვიდრე დღიური შრომით შეიძლება გამოიმუშაონ, შესაბამისად, ისინი იარსებებენ მუდმივი სიღარიბის ზღვარზე....“ ამიტომაც ის რეკომენდაციას უწევდა „ღარიბთათვის რეგულარული გადასახადის დაწესებას“, თუმცა „თეორიულად თუ ვიმსჯელებთ“, ამატებდა იგი სინანულით, ამგვარი პოლიტიკა „ამცირებს გაჭირვებას და ამგვარად აზარალებს მრეწველობას, ვინაიდან უტილიტარული თვალსაზრისით, მთავრობის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გაზარდოს გაჭირვება, რათა შიმშილის ფიზიკური სანქცია უფრო ეფექტური გახდეს“.[1]

მზაობას, მოქალაქეთა უმრავლესობის გაღატაკებულ მდგომარეობაში ჩასაგდებად, როგორც საზოგადოების უმაღლესი კეთილდღეობისთვის გადასახდელ ფასს, მეტად განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა. ტაუნსენდი თავის ემოციურ წონასწორობას ცრურწმენებისა და სენტიმენტალიზმის მეშვეობით აბალანსებდა. ღარიბების სამწუხარო ბედ-იღბალი ბუნების კანონი იყო, რადგან ამ კანონის გარეშე ბინძურ, დამამცირებელ და უკადრის საქმეს საკუთარ თავზე არავინ არ აიღებდა. აბა, რა ბედი ეწევა ჩვენს სამშობლოს, თუ ღარიბებს არ დავეყრდნობით? – კითხულობდა ტაუნსენდი. „გასაჭირისა და სიღარიბის გარდა, სხვა რა უბიძგებს დაბალ კლასებს, რომ მედგრად დაუდგნენ ყველა იმ საშინელებას, რაც მათ ქარიშხლიან ოკეანეში ან ბრძოლის ველზე ელოდებათ?” მაგრამ ამ ერთობ უხეში პატრიოტიზმის გარდა, უფრო სათუთი გრძნობების ადგილიც მოიძებნებოდა. ღარიბთა შემწეობა, რა თქმა უნდა, პირდაპირ უნდა გაუქმებულიყო, რადგან ღარიბთა კანონი „ეყრდნობოდა პრინციპებს, რომლებიც

[1] Bentham, J., *Principles of Civil Code*, p. 314.

ფაქტიურად აბსურდული იყო, რადგან ისინი მიზნად ისახავდნენ იმის შესრულებას, რაც სამყაროს ბუნებისა და მოწყობის გათვალისწინებით, განუხორციელებელია“. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ღარიბებს შეძლებულების გულმოწყალების ანაბარა დავტოვებთ, ჩვენ ცალსახად მხოლოდ „ერთადერთი სირთულე“ დაგვრჩება გადასაჭრელი – ამ უკანასკნელთა გადამეტებული კეთილმოსურნეობის მოთოკვა. განა თანაგრძნობის გულწრფელი გრძნობები უფრო კეთილშობილური არაა ვიდრე ისინი, რომელთაც აღძრავენ ის ვალდებულებები, რომლებიც რკინის კანონებითაა გამყარებული? „რა შეიძლება იყოს სამყაროში იმაზე უფრო მშვენიერი, ვიდრე კაცთმოყვარეობით მიღებული ჩუმი თვითკმაყოფილება?” – წამოიძახა ტაუნსენდმა და მას დაუპირისპირა „სოფლის სამრევლოს გადამხდელი პუნქტის“ შეუბრალებლობა, რომლისთვისაც უცნობია ისეთი ამაღელვებელი რამ, როგორიცაა „მოულოდნელად გაწეული წყალობისთვის გულწრფელი მადლიერების ბუნებრივი გამოხატულება...“ „თუ ღარიბებს მდიდრებთან დამეგობრება მოუწევთ, მდიდრები ყოველთვის აღვსილნი იქნებიან გაჭირვების ჟამს ღარიბების დახმარების სურვილით...“ ვინც ამ „ორი ერის“ ინტიმური ცხოვრების ამ გრძნობებით აღსავსე სურათს გაეცნო, აუცილებლად დარწმუნდება იმაში, რომ ვიქტორიანულმა ინგლისმა თავისი “სენტიმენტალური აღზრდა“ გაუცნობიერებლად თხებისა და ძაღლების კუნძულის ამბიდან მიიღო.

ედმუნდ ბერკი სხვა გაქანების ადამიანი იყო. როდესაც ტაუნსენდისნაირები მცირედით ცდებოდნენ, ის დიდ შეცდომებს უშვებდა. მისი გენია სასტიკ ფაქტებს ტრაგედიად აქცევდა და სენტიმენტალურობას მისტიკის საბურველში ხვევდა. “როდესაც ჩვენ თანავუგრძნობთ ბედკრულებს, რომელთაც უნდა იშრომონ, რათა სამყარომ არსებობა შეძლოს, ჩვენ სერიოზულ საკითხს – კაცობრიობის ბედს, ზერელედ ვეკიდებით”. ეს უდავოდ უკეთესია, ვიდრე უხეში გულგრილობა, ცარიელი გოდება ან თანაგრძნობის ფარისევლური გამოხატულება. მაგრამ ამ რეალისტური პოზიციის სიძლიერეს ხელს უშლიდა ის ძნელად შესამჩნევი

თვითკმაყოფილება, რომლითაც ის არისტოკრატიულ დიდებულებას უსვამდა ხაზს. საბოლოდ, მან „ჰეროდესაც კი გადააჭარბა“, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასა დროული რეფორმის წინაპირობები. სავარაუდოა, ბერკი რომ ცოცხალი ყოფილიყო, 1832 წლის „საპარლამენტო რეფორმის ბილს“, რომელმაც ბოლო მოუღო ძველ რეჟიმს, მხოლოდ სრულიად არასაჭირო და სისხლიანი რევოლუციის ფასად მიიღებდნენ. ამას შესაძლოა ბერკი შეწინააღმდეგებოდა: თუკი თავად პოლიტიკური ეკონომიკის კანონები სწირავენ ხალხის მასებს მძიმე შრომისა და გაჭირვებისათვის, სხვა რა არის თანასწორობის იდეა, თუ არა სასტიკი სატყუარა, რომელიც კაცობრიობას თვითგანადგურებისკენ უბიძგებს?

ბენთემს არ ახასიათებდა არც თაუნსენდისნაირებისთვის დამახასიათებელი დათაფლული თვითკმაყოფილება, არც ბერკის ზედმეტად ნაჩქარევი ისტორიციზმი. პირიქით, ამ ადამიანს, რომელსაც მტკიცედ სწამდა გონებისა და რეფორმის, სოციალური სამართლის ახლად აღმოჩენილი სფერო ესახებოდა ნანატრ თავისუფალ სივრცედ უტილიტარული ექსპერიმენტებისთვის. ბერკის მსგავსად, ის არ აღიარებდა ზოოლოგიურ დეტერმინიზმს და გულმოდგინედ უარყოფდა ეკონომიკის პრიმატს საკუთრივ პოლიტიკაზე. ბენთემი, ავტორი ესეებისა – „პოლიტიკური ეკონომიკის სახელმძღვანელო“ და „მევახშეობის შესახებ“, ამ მეცნიერებაში მაინც დილეტანტი იყო და ვერ შეიტანა მასში ის ერთადერთი დიადი წვლილი, რომლის შეთავაზებაც შეეძლო უტილიტარიზმს ეკონომიკისთვის, კერძოდ, ის, რომ ღირებულება სარგებლიანობით განისაზღვრება. ამის ნაცვლად, ბენთემმა ასოციონისტური ფსიქოლოგიის გავლენით, საკუთარი მართლაც უსაზღვრო წარმოსახვის უნარი სოციალური ინჟინერიის განხრით თავის ნებაზე მიუშვა. Laissez-faire მისთვის სოციალური მექანიკის მხოლოდ ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ინდუსტრიული რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ფაქტორს წარმოადგენდა არა ტექნიკური გამოგონებები, არამედ სოციალური სიახლეები, ხოლო, თავიანთი გადამწყვეტი წვლილი ტექნიკურ განვითარებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მხო-

ლოდ ერთი საუკუნის შემდეგ შეიტანეს, როდესაც ინდუსტრიული რევოლუცია უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო. ხიდების და არხების მშენებლისთვის ან მანქანების, ან ძრავების კონსტრუქტორისთვის ბუნების ზოგადი კანონების ცოდნა სრულიად გამოუსადეგარი იყო მანამ, სანამ მექანიკისა და ქიმიის ახალი გამოყენებითი დარგები არ განვითარდა. ტელფორდი, „სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტის“ დამფუძნებელი და უცვლელი პრეზიდენტი, უარს ეუბნებოდა ამ დაწესებულების წევრობაზე მათ, ვინც ფიზიკას სწავლობდა და, თუ სერ დევიდ ბრუსტერის დავუჯერებთ, წარმოდგენა არ ჰქონდა გეომეტრიის ანაბანაზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერების ტრიუმფი თეორიული იყო ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით და ვერ შეედრებოდა იმდროინდელი სოციალური მეცნიერებების მიღწევების პრაქტიკულ მნიშვნელობას. სწორედ ამ უკანასკნელთ უნდა უმადლოდეს მეცნიერება თავის განსაკუთრებულ პრესტიჟულობას, რუტინისა და ტრადიციისაგან განსხვავებულს და, რაც არ უნდა დაუჯერებელი ეჩვენებოდეს ეს ჩვენს თაობას, საბუნებისმეტყველო მეცნიერების რეპუტაციამ ბევრი რამ მოიგო ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან კავშირით. ეკონომიკის აღმოჩენა წარმოადგენდა საოცარ მოვლენას, რომელმაც დააჩქარა საზოგადოების ტრანსფორმაცია და საბაზრო სისტემის დამკვიდრება მაშინ, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მანქანები გაუნათლებელი ხელოსნების მიერ იყო გამოგონილი, ზოგიერთ მათგანს წერა-კითხვაც კი ძლივს შეეძლო. ამრიგად, მექანიკური რევოლუციის (რომელმაც ბუნების ძალები ადამიანს დაუმორჩილა) ინტელექტუალურ მშობლებად სავსებით სწორად და სამართლიანად მიიჩნევდნენ არა საბუნებისმეტყველო, არამედ სოციალურ მეცნიერებებს.

თავად ბენთემი დარწმუნებული იყო, რომ მან ახალი სოციალური მეცნიერება აღმოაჩინა – მეცნიერება ზნეობისა და კანონმდებლობის შესახებ. მას საფუძვლად უნდა დასდებოდა სარგებლიანობის პრინციპი, რომელიც, ასოციონისტური ფსიქოლოგიის მეთოდების გამოყენებით, ზუსტი გაანგარიშების საშუალებას იძლეოდა. XVIII საუკუნის ინგლისში მეცნიერება

– სწორედ იმიტომ, რომ ეფექტური აღმოჩნდა ადამიანური საქმიანობის სფეროში – ყოველთვის გულისხმობდა პრაქტიკულ უნარს, რომელიც ეფუძნებოდა ემპირიულ ცოდნას. მოთხოვნილება ამ სახის პრაგმატულ დამოკიდებულებაზე მართლაც საკმაოდ ძლიერი იყო. ვინაიდან არ არსებობდა სტატისტიკა, ხშირად შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, გაიზარდა მოსახლეობის ოდენობა, თუ შემცირდა, როგორია საგარეო ვაჭრობის ბალანსის ტენდენცია ან რომელი კლასი განიცდის აღზევებას. ხშირად მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლებოდა იმაზე, იზრდება თუ მცირდება ქვეყნის მატერიალური დოვლათი, საიდან ჩნდებიან ღარიბი ადამიანები, რა მდგომარეობაა კრედიტის, საბანკო საქმისა თუ მოგების სფეროში. „მეცნიერებაში“, პირველ რიგში, სწორედ ასეთი საკითხების მიმართ ემპირიული მიდგომა იგულისხმებოდა, წმინდად სპეკულაციური ან ისტორიული მიდგომების ნაცვლად; და რადგან, ბუნებრივია, პრაქტიკული ინტერესები პირველხარისხოვანი იყო, სწორედ მეცნიერებას სთხოვდნენ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს და მოწესრიგდეს ახალი მოვლენების ეს უზარმაზარი სფერო. ჩვენ ვნახეთ, თუ რა საგონებელში ჩააგდო პურიტანები სიღარიბის ფენომენმა; როგორ მარჯვედ ატარებდნენ ექსპერიმენტებს თვითდახმარების სხვადასხვა ფორმებით; როგორ გამოაცხადეს მოგების ცნება პანაცეად სრულიად განსხვავებული დაავადებებისათვის; როგორ არავის შეეძლო გაეცა პასუხი კითხვაზე – პაუპერიზმი კარგი ნიშანი იყო, თუ ცუდი; როგორ ჩავარდნენ საგონებელში „სამეცნიერო მეთოდებით“ მოწყობილი შრომის სახლების ადმინისტრატორები, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ღარიბების მეშვეობით ფულს ვერ იშოვიდნენ; როგორ იშოვა ქონება ოუენმა თავისი ფაბრიკების შეგნებულად ფილანთროპიული პრინციპით განკარგვის მეშვეობით; ხოლო, სხვა მრავალი ექსპერიმენტი, რომლებიც თითქოსდა გაუმჯობესებული თვითდახმარების იმავე ტექნიკას იყენებდა, სავალალოდ ჩაიშალა და მათ ფილანთროპ ავტორებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. თუ ჩვენ მხოლოდ პაუპერიზმის პრობლემით არ შემოვიფარგლებით და ჩვენს

მიმოხილვაში ჩავრთავთ კრედიტს, ლითონის ფულს, მონოპოლიებს, დანაზოგებს, დაზღვევას, ინვესტიციებს, საჯარო ფინანსებს ან, თუნდაც, ციხეებს, განათლებასა და ლატარიებს, თითოეული ამ პუნქტისთვის ადვილად მოვიყვანთ ორიგინალური ჩანაფიქრებისა თუ თამამი გეგმების მაგალითებს.

დაახლოებით იმ პერიოდისთვის, როდესაც ბენთემი გარდაიცვალა, ეს პერიოდიც მთავრდება[1]; 1840-იანი წლებიდან ბიზნესის ნოვატორები უკვე აღარ არიან ისინი, ვინც საკუთარ თავს მიიჩნევენ ორმხრივი გაზიარების, ნდობისა და რისკის საყოველთაო პრინციპებისა და ადამიანური წამოწყების სხვა ასპექტების ახალი გამოყენების აღმომჩენებად თვლიან, არამედ კონკრეტული კომერციული საქმიანობის უბრალო ორგანიზატორები არიან. ამ დროიდან მოყოლებული ბიზნესმენები მიიჩნევენ, რომ მშვენივრად იციან, რა ფორმები უნდა მიიღოს მათმა საქმიანობამ; ბანკის დაარსებამდე ისინი იშვიათად ფიქრობენ ფულის ბუნების გამოკვლევაზე. სოციალური ინჟინრებს ახლა ჩვეულებრივ მხოლოდ ახირებულებისა და თაღლითების რიგებში თუ გადავეყრებით და ხშირად გისოსებს მიღმა გამომწყვდეულებს. სამრეწველო და საბანკო სისტემების ტალღამ, რომელმაც პატერსონიდან და ჯონ ლოუდან დაწყებული პერეირათი დამთავრებული, წალეკა საფონდო ბირჟები რელიგიური, სოციალური და აკადემიური სექტანტების პროექტებით, ახლა მოწანწკარე წყაროს სახე მიიღო. მათთვის, ვინც მთლიანად კომერციულ საქმიანობაში იყო ჩაფლული, ანალიტიკურ დეტალებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საზოგადოების გამოკვლევა, – ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევდნენ – უკვე დასრულებული იყო; ადამიანური ბუნების რუკაზე აღარ დარჩა თეთრი ლაქები. არსებობა მთელი საუკუნის მანძილზე შეუძლებელი გახდა ბენთემისნაირი ადამიანების არსებობა. როგორც კი საოჯახო ცხოვრების ორგანიზების საბაზრო სისტემა დომინანტური გახდა, ყველა სხვა ინსტიტუციური სფე-

[1] 1832.

რო ამ მოდელს დაექვემდებარა და სოციალური კონსტრუირების სული მოხეტიალე უსახლკაროდ იქცა.

ბენთემის "პანოპტიკონი" არ იყო მხოლოდ „წისქვილი, რომელიც არამზადებს პატიოსან კაცებად ფქვავს და უქნარებს – მუყაითებად"[1]; ის, ინგლისის ბანკის მსგავსად, დივიდენდებს იხდიდა. ის აფინანსებდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პროექტებს, როგორებიცაა პატენტების გაუმჯობესებული სისტემა; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები; ათ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის რაოდენობის აღწერა; ჯანდაცვის სამინისტროს დაარსება; პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები დანაზოგების საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიზნით; სამაცივრო დანადგარები ბოსტნეულისა და ხილისთვის; ახალ ტექნიკურ პრინციპებზე დაყრდნობით მომუშავე იარაღის მწარმოებელი ქარხნები, რომლებიც იყენებდნენ პატიმრების ან შემწეობის მთხოვნელი ღარიბების შრომას; „ქრესტომათიული დღის სკოლები" უტილიტარიზმის შესასწავლად საშუალო ფენის ნაღებისათვის; უძრავი ქონების საყოველთაო რეესტრი; საბუღალტრო აღრიცხვის საჯარო სისტემა; სახალხო განათლების რეფორმები; მოქალაქეების რეგისტრაციის ერთიანი სისტემა; მევახშეობისგან გათავისუფლება; კოლონიების დათმობა; კონტრაცეპტივების გამოყენება ღარიბების რაოდენობის მაჩვენებლის შესამცირებლად; სააქციო საზოგადოების დაარსება ატლანტისა და წყნარი ოკეანის დასაკავშირებლად და სხვა. ზოგიერთი ამგვარი პროექტი უამრავი სახის მცირე გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, მაგალითად, „შრომის სახლების" პროექტი, რომელიც არაერთ ინოვაციურ იდეას ეყრდნობოდა ადამიანის ზნეობრივი გამოსწორებისათვის და, ამასთანავე, მისი მეტად მომგებიანი ექსპლუატაციისთვის, იდეებს, რომელთაც ასოციონისტური ფსიქოლოგიის მიღწევები ედო საფუძვლად. თუ ტაუნსენდისა და ბერკისათვის Laissez-faire საკანონმდებლო კვიეტიზმთან იყო დაკავშირებული,

[1] Stephen, Sir L., *The English Utilitarians*, 1900.

ბენთემი მასში ვერ ხედავდა დაბრკოლებას რეფორმების უწყვეტი ტალღისათვის.

სანამ განვიხილავთ პასუხს, რომელიც 1798 წელს მალთუსმა გოდვინის კითხვას გასცა, რომლითაც იწყება კიდეც კლასიკური ეკონომიკა, გავიხსენოთ იმდროინდელი მოვლენები. გოდვინის „პოლიტიკური სამართლიანობა“ დაიწერა ბერკის ესსეის – „რეფლექსია საფრანგეთის რევოლუციის შესახებ“ (1790), პასუხად და გამოიცა იქამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ habeas corpus (1794) გაუქმებითა და დემოკრატიული „კორესპონდენციის საზოგადოებების” დევნით რეპრესიების ტალღა დაიწყებოდა. ამ დროს ინგლისი საფრანგეთს ეომებოდა და ტერორმა სიტყვა „დემოკრატია“ სოციალური რევოლუციის სინონიმად აქცია. მაგრამ ინგლისში დემოკრატიული მოძრაობა, რომლის საწყისი წერტილიც იყო დოქტორ პრაისის ქადაგება “ძველი ებრაელობის” შესახებ (1789), ხოლო ლიტერატურული პიკი – პეინის „ადამიანის უფლებები” (1791), პოლიტიკის სფეროს ფარგლებს არ სცდებოდა. მშრომელ ღარიბთა უკმაყოფილებამ მასში საკუთარი გამოძახილი ვერ პოვა, ხოლო ღარიბთა კანონის საკითხი მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები იმ პამფლეტებში, რომლებიც თავგამოდებით ითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებასა და ყოველწლიურ პარლამენტს. მიუხედავად ამისა, სწორედ ღარიბთა შესახებ არსებული კანონმდებლობის სფეროზე მიიტანეს სკვაირებმა გადამწყვეტი დარტყმა სპინჰემლენდის სახით. სოფლის სამრევლომ თავი შეაფარა ხელოვნურ ჭაობს, რომლის საფარქვეშაც ვატერლოოზე ოცი წლით მეტხანს იარსება. მაგრამ, თუ 1790-იანი წლების რეპრესიული პოლიტიკის შედეგად გამოცემული პანიკური აქტების უარყოფითი შედეგების დაძლევა იოლად შეიძლებოდა, სხვა თანმხლები ფაქტორები რომ არა, სპინჰემლენდის მიერ წარმოშობილმა სოციალური დეგენერაციის პროცესმა ქვეყანაზე წარუშლელი კვალი დატოვა. სპინჰემლენდმა სკვაირების ბატონობა ორმოცი წლით გაახანგრძლივა, რაც უბრალო ხალხის ზნეობრივი ძლიერებისა და ენერგიის მსხვერპლშეწირვის ფასად მოხდა. მანტუ წერს: „ჩივილისას, რომ გადა-

სახადი ღარიბთა შემწეობისათვის სულ უფრო და უფრო იზრდება, შეძლებული კლასები არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ ეს გადასახადი თავისი არსით წარმოადგენს გარანტიას რევოლუციისგან, ხოლო მუშათა კლასს, რომელიც მწირი მოწყალების მიღებას თანხმდებოდა, არ ესმოდა, რომ ეს შემწეობა ნაწილობრივ მათი კანონიერი გასამრჯელოს შემცირების ხარჯზე მიიღებოდა. ვინაიდან „შემწეობის“ სისტემა გამომუშავებულ ხელფასებს უცილობლივ სწევდა ყველაზე დაბალ დონეზე და აიძულებდა დაცემულიყო იმ ნიშნულის ქვემოთაც კი, რომელიც დაქირავებული მუშების შეუცვლელი საჭიროებების მინიმუმს შეესაბამებოდა. ფერმერი და მეწარმე სოფლის სამრევლოს ეყრდნობოდნენ, რათა მას აენაზღაურებინა სხვაობა იმ თანხას შორის, რომელსაც ისინი დაქირავებულ მუშახელს უხდიდნენ, და იმ თანხას შორის, რომლითაც მშრომელებს შეეძლოთ თავი შეენახათ. ნუ, რატომ უნდა გაეწიათ თავად ხარჯები, რომლებიც მარტივად შეიძლებოდა გადასახადის გადამხდელთა მასებისთვის მიეწერათ? ამასთანავე, ისინი, ვინც სოფლის სამრევლოსგან იღებდნენ შემწეობას, მზად იყვნენ უფრო დაბალ ხელფასზე ემუშავათ და ამგვარად მათთან კონკურენციაში შესვლა იმათთვის, ვინც შემწეობას არ იღებდა, სრულიად შეუძლებელი გახადეს. საბოლოოდ მივიღეთ პარადოქსული შედეგი: ე.წ. „გადასახადი ღარიბთა შემწეობისათვის“ დამსაქმებლებისთვის ეკონომიას ნიშნავდა, ხოლო გამრჯე მშრომელისთვის, რომელიც საზოგადოებრივი ქველმოქმედებისგან არაფერს ელოდა – ზარალს. ამრიგად, ინტერესთა უმოწყალო თამაშმა ფილანთროპიული კანონი რკინის ბორკილად აქცია“.[1]

მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს ბორკილი წარმოადგენს საფუძველს ახალი კანონებისა ხელფასებისა და მოსახლეობის შესახებ. თვით მალთუსი, ბურკისა და ბენთამის მსგავსად, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სპინჰემლენდს და მხარს უჭერდა „ღარიბთა კანონის“ სრულ გაუქმებას. ვერც ერთმა მათგანმა ვერ განჭვრიტა, რომ სპინჰემლენდი გამოიწვევდა მშრომელთა ხელფასის დაწევას

[1] Mantoux, P. L., *The Industrial Revolution in the Eighteenth Century*, 1928.

საარსებო მინიმუმამდე და კიდევ უფრო დაბლა; პირიქით, ისინი ელოდნენ, რომ ის გამოიწვევდა ხელფასების ზრდას, ან თუნდაც ხელოვნურად შეინარჩუნებდა იმავე დონეზე – რაც სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, პროფკავშირების წინააღმდეგ კანონები რომ არ მიეღოთ. ეს მცდარი მოსაზრება გვეხმარება გავიგოთ ის, თუ რატომ არ ცდილობდნენ ისინი სოფელში სპინჰემლენ-დის გავლენით ხელფასების დაბალი მაჩვენებლის ახსნას, რაც ამ ფენომენის გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზი გახლდათ, არამედ მას განიხილავდნენ ხელფასების ე.წ. რკინის კანონის მოქმე-დების უტყუარ მტკიცებულებად. ახლა ჩვენ სწორედ ამ ახალი ეკონომიკური მეცნიერების საფუძველმდებარე პრინციპს უნდა მივუბრუნდეთ.

ტაუნსენდის ნატურალიზმი, რა თქმა უნდა, არ იყო ერთადერ-თი შესაძლო ფუნდამენტი ახალი პოლიტიკური ეკონომიკისათ-ვის. ეკონომიკური საზოგადოების არსებობას მოწმობდა ფასების კანონზომიერებები და ამ ფასებზე დამოკიდებული შემოსავლების სტაბილურობა, შესაბამისად, ეკონომიკური კანონის საფუძველი შესაძლოა პირდაპირ ემყარებოდა ფასებს. ნატურალიზმის სა-ფუძვლებში მისი საწყისების ძიებაზე ორთოდოქს ეკონომისტებს უბიძგა მწარმოებელთა უმრავლესობის სხვაგვარად აუხსნელმა სიდუხჭირემ, რასაც, როგორც დღეს მოგვეხსენება, ვერასოდეს ვერ დაასკვნიდნენ მაშინდელი ბაზრის კანონებიდან გამომდინარე. მაგრამ ფაქტები – როგორც მათ თანამედროვეები აღიქვამდნენ – დაახლოებით ასეთი იყო: წარსულში მუშათა კლასები, როგორც წესი, გაჭირვების ზღვარზე ცხოვრობდნენ (ყოველ შემთხვევაში, თუ მოხმარების სტანდარტების ცვალებადობას გავითვალისწინე-ბთ); წარმოებაში მანქანების გამოჩენის შემდეგ მათი შემოსავა-ლი ნამდვილად არასოდეს ყოფილა საარსებო მინიმუმზე მაღალი; ხოლო ახლა, როდესაც ეკონომიკური საზოგადოება საბოლოოდ ყალიბდება, უდავოდ ფაქტია, რომ გასული ათწლეულების მან-ძილზე მშრომელ ღარიბთა მატერიალური კეთილდღეობის დონე იოტისოდენადაც კი არ გაიზარდა, არამედ შესაძლოა, პირიქით, გაუარესდა.

თუ ოდესმე აუარება სარწმუნო ფაქტი აზრთა მდინარებას ერთი მიმართულებით წარმართავდა, ეს ხდებოდა ხელფასების რკინის კანონის შემთხვევაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ საარსებო მინიმუმი, რომლითაც რეალურად ცხოვრობდნენ მშრომელები, განისაზღვრება კანონით, რომლის გამოც მათი ხელფასები იმდენად დაბალ ნიშნულზე იყო დაწეული, რომ სხვა სტანდარტის დაწესება მათთვის შეუძლებელი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მოჩვენებითი მსგავსება იყო არა მხოლოდ შეცდომაში შემყვანი, არამედ აბსურდულიც, დანახული კაპიტალიზმის პირობებში ნებისმიერი თანმიმდევრული თეორიის პრიზმიდან ფასებისა და შემოსავლების შესახებ. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში სწორედ ამ ყალბი მსგავსების გამო ხელფასების კანონი ვერ დაეფუძნა ადამიანური ქცევის რაიმე რაციონალურ წესს, არამედ დაეყრდნო ადამიანისა და ნიადაგის ნაყოფიერების ნატურალისტურ ფაქტებს, როგორც მოხდა მათი ინტერპრეტირება მალთუსისეული მოსახლეობის კანონისა და კლებადი უკუგების კანონთან დაკავშირებით. ნატურალისტური ელემენტის არსებობა ორთოდოქსული ეკონომიკის საფუძვლებში ძირითადად განაპირობა სპინჰემლენდის მიერ შექმნილმა პირობებმა.

ეს ნიშნავს იმას, რომ არც რიკარდოს და არც მალთუსს არ ესმოდათ, თუ როგორ მუშაობს კაპიტალისტური სისტემა. „ხალხთა სიმდიდრის“ გამოქვეყნებიდან მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გააცნობიერეს ნათლად ის, რომ საბაზრო სისტემის პირობებში პროდუქციის წარმოების პროცესის ნებისმიერი მონაწილე იღებს შედეგის წილს და, რომ პროდუქციის ზრდასთან ერთად მათი აბსოლუტური წილიც აუცილებლად გაიზრდება.[1] მიუხედავად იმისა, რომ ადამ სმითმა ის გზა გააგრძელა, რომლის სათავესაც წარმოადგენდა ლოკის წარუმატებელი თეორია შრომის, როგორც ღირებულების საზომის, შესახებ, რეალობის შეგრძნებამ ის გადამეტებულ თანმიმდევრულობას გადაარჩინა. ამრიგად, მას არეული შეხედულებები ჰქონდა იმის თაობაზე, თუ რა ელე-

[1] Cannan, E., *A Review of Economic Theory*, 1930.

მენტებისაგან ხდება ფასების ჩამოყალიბება, თუმცა სავსებით სამართლიანად ამტკიცებდა, რომ ისეთი საზოგადოება, რომლის წევრების უმრავლესობა ღარიბი და უბედურია ვერ აყვავდებოდა. მაგრამ ის, რაც ჩვენ ტრუიზმად გვეჩვენება, იმ დროს პარადოქსულად ჟღერდა. თავად სმითი მიიჩნევდა, რომ დოვლათის საყოველთაო სიუხვე აუცილებლად ჩამოჟონავდა ხალხამდე, რადგან შეუძლებელია, რომ საზოგადოება სულ უფრო მეტად მდიდრდებოდეს, ხოლო ხალხი კი უფრო ღარიბდებოდეს. სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს ჩანდა ისე, თითქოს მის შეხედულებებს ფაქტები ეწინააღმდეგებოდა; და რადგანაც თეორეტიკოსებმა სწორედ ფაქტები უნდა განმარტონ, რიკარდო შეუდგა იმის მტკიცებას, რომ რაც უფრო განვითარდებოდა საზოგადოება, საკვები პროდუქტების შეძენა მით უფრო გართულდებოდა, ხოლო მდიდარი მემამულეები კიდევ უფრო გამდიდრდებოდნენ, როგორც მუშების, ისე კაპიტალისტების ექსპლუატაციის ხარჯზე; რომ კაპიტალისტებისა და მშრომელების ინტერესები გარდაუვალ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან, მაგრამ ეს წინააღმდეგობა საბოლოოდ არაფერს არ ცვლის, რადგან მშრომელთა ხელფასები საარსებო მინიმუმს ვერასოდეს გასცდება, ხოლო კაპიტალისტების მოგება ნებისმიერ შემთხვევაში შემცირდება. გარკვეული არაპირდაპირი გაგებით, ყველა ეს მტკიცება შეიცავს სიმართლის მარცვალს, მაგრამ, თუ მათ კაპიტალიზმის თეორიის სახით განვიხილავთ, მაშინ ამაზე უფრო ფანტასტიკური და ბუნდოვანი რეალობის მოფიქრება ნამდვილად შეუძლებელია. ამასთანავე, თავად ფაქტებს ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები აყალიბებდნენ ისე, რომ დღესაც კი გვიჭირს მათი გარკვევა. გასაკვირი არ არის, რომ სამეცნიერო სისტემის ავტორებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩამოაყალიბეს წარმოებისა და განაწილების კანონები, არა მცენარეთა ან ცხოველთა, არამედ ადამიანების ქცევიდან, დასჭირდათ დასახმარებლად მოეხმოთ ცხოველთა და მცენარეთა გამრავლების deus ex machina.

მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ იმ ფაქტის შედეგები, რომ ეკონომიკურ თეორიას საფუძველი ჩაეყარა სწორედ სპინჰემლენ-

დის პერიოდში, რომლის გავლენითაც ის, რაც სინამდვილეში იყო კაპიტალიზმი შრომის ბაზრის გარეშე, თანამედროვეების მიერ კონკურენტუნარიან საბაზრო ეკონომიკად აღიქმებოდა.

პირველ რიგში, კლასიკური ეკონომისტების ეკონომიკური თეორიის ამოსავალი დებულებები დამაბნეველი და წინააღმდეგობრივი იყო. პარალელიზმმა სიმდიდრესა და ღირებულებას შორის ყველაზე დამაბნეველი ფსევდო პრობლემები წარმოქმნა რიკარდიანული ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. ასევე, შეცდომებისა და გაუგებრობების მდიდარ წყაროს წარმოადგენდა ადამ სმითის ნაანდერძალი სახელფასო ფონდის თეორია. თუ გამოვრიცხავთ ზოგიერთ სპეციალურ საკითხს, როგორებიცაა რენტა, დაბეგვრა და საგარეო ვაჭრობა, რომელთაც სმითი ღრმად ჩასწვდა, ახალი თეორია წარმოადგენდა უიმედო მცდელობას, გამოეტანა კატეგორიული დასკვნები თავისუფლად განსაზღვრული ტერმინების საფუძველზე, და ამგვარად აეხსნა ფასების ქცევა, შემოსავლების ფორმირება, წარმოების პროცესი, ღირებულების გავლენა ფასებზე, მოგებების, ხელფასების და პროცენტების დონეზე – საკითხები, რომლებიც დიდწილად კვლავ ისეთივე ბუნდოვანი რჩებოდა, როგორც აქამდე.

მეორეც, იმ პირობების გათვალისწინებით, რომელთა ფარგლებშიც ეს ეკონომიკური პრობლემა წარმოჩინდა, სხვა შედეგი სრულიად გამორიცხული იყო. არცერთ უნიტარულ თეორიულ სისტემას არ შეეძლო აეხსნა ფაქტები, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ რომელიმე ერთიანი სისტემის ნაწილს, არამედ, ერთობლივი ზემოქმედების შედეგს ორი ურთიერთგამომრიცხავი სისტემისა, კერძოდ, ახლადწარმოქმნილი საბაზრო ეკონომიკისა და პატერნალისტური რეგულირებისა წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორის – შრომის, სფეროში.

მესამეც, გადაწყვეტილებამ, რომელიც კლასიკურმა ეკონომისტებმა მიიღეს, მეტად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკური საზოგადოების არსის გააზრების შედეგებზე. რადგან საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელ კანონებს თანდათანობით ნათელი ეფინებოდა, ისინი თავად ბუნების ეგიდის ქვეშ მოაქ-

ციეს. ამგვარად, კლებადი უკუგების კანონი მცენარეთა ფიზიოლოგიის კანონს წარმოადგენდა. მალთუსის მოსახლეობის კანონი კი, ადამიანისა და ნიადაგის ნაყოფიერებას შორის არსებულ კავშირს ასახავდა. ორივე შემთხვევაში აქ მთავარ როლს თამაშობდნენ ბუნების ძალები – სქესობრივი გამრავლების ცხოველური ინსტინქტი და მცენარეულობის ზრდა მოცემულ ნიადაგში. პრინციპი იგივე იყო, რაც ტაუნსენდის თხებისა და ძაღლების მაგალითის შემთხვევაში: არსებობს ადამიანური არსებების გამრავლების ბუნებრივი ზღვარი, და ეს ზღვარი საკვები პროდუქტების მიწოდების ხარჯზე დგინდება. ტაუნსენდის მსგავსად, მალთუსმა დაასკვნა, რომ ზედმეტი ეგზემპლარები განადგურდებოდნენ; თუ თხებს ძაღლები კლავენ, თავად ძაღლები შიმშილის გამო იხოცებოდნენ. მალთუსთან რეპრესიული დამაბრკოლებელი ფაქტორის როლს ასრულებდნენ ბუნების უხეში ძალები, რომლებიც „ზედმეტ ეგზემპლარებს“ ანადგურებდნენ. რადგან ადამიანები შიმშილის გარდა სხვა მიზეზებითაც იღუპებიან – მაგალითად, ომის, ეპიდემიისა და მანკიერების, ეს უკანასკნელები ბუნების დესტრუქციულ ძალებთან გაიგივდა. ეს მტკიცება ეფუძნებოდა ლოგიკურ შეუსაბამობას, რადგან ის ბუნებრივი ბალანსის მისაღწევად პასუხისმგებლობას სოციალურ ძალებს აკისრებდა. თუმცა, ამგვარი შეკამათების პასუხად მალთუსს შეეძლო ეპასუხა, რომ ომებისა და მანკიერების არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ზნეობრივ საზოგადოებაში, იმდენად მეტ ადამიანს მოუწევდა შიმშილობა, რამდენიც მათივე ზნეობრივი საქციელის შედეგად გადარჩებოდა. არსებითად, ეკონომიკური საზოგადოება ემყარებოდა ბუნების სასტიკ რეალობას; თუ ადამიანი არ დაემორჩილებოდა წესებს, რომლებითაც ეს საზოგადოება იმართებოდა, უგუნურთა ნაშიერები ულმობელ ჯალათს უნდა დაეხრჩო. ამგვარად კონკურენტუნარიანი საზოგადოება ჯუნგლების კანონების სანქციის ქვეშ მოექცა.

ახლა სიღარიბის მტანჯველი პრობლემის ჭეშმარიტ მნიშვნელობას ნათელი მოეფინა: ეკონომიკური საზოგადოება ექვემდებარებოდა კანონებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ადამია-

ნურ კანონებს. ადამ სმითსა და ტაუნსენდს შორის არსებული განხეთქილების შედეგად გაჩენილი ნაპრალი უფსკრულად იქცა; ამ დიქოტომიის გაჩენა XIX საუკუნის ცნობიერების დაბადების ათვლის წერტილს წარმოადგენს. ამ დროიდან მოყოლებული ნატურალიზმი კუდში აედევნა მეცნიერებას ადამიანის შესახებ, ხოლო საზოგადოების დაბრუნება ადამიანურ სამყაროში იქცა მიზნად, რომლისკენაც ეპოქის სოციალური აზრი თავისი ევოლუციის მანძილზე მუდმივად ისწრაფოდა. ამ კონკრეტულ ასპექტში მარქსისტული ეკონომიკა იყო არსებითად წარუმატებელი მცდელობა ამ მიზნის მისაღწევად; მისი მარცხი იმით აიხსნება, რომ მარქსი ზედმეტად მკაცრად და ზედმიწევნით მისდევდა რიკარდოს პრინციპებსა და ლიბერალური ეკონომიკის ტრადიციებს.

თავად კლასიკური ეკონომისტები ამ საჭიროებას მშვენივრად აცნობიერებდნენ. მალთუსი და რიკარდო ღარიბების ბედს გულგრილად სულაც არ უდგებოდნენ, მაგრამ ამ ჰუმანურმა მღელვარებამ მხოლოდ ის გამოიწვია, რომ მათი ყალბი თეორიის განვითარება კიდევ უფრო რთულ და ჩახლართულ გზას დაადგა. როგორც ცნობილია, ხელფასების რკინის კანონი მოიცავდა განსაკუთრებულ მუხლს: რაც უფრო მაღალია მშრომელთა კლასის ჩვეულებრივი მოთხოვნილებები, მით უფრო მაღალია საარსებო მინიმუმი, რომლის მიხედვითაც რკინის კანონსაც კი არ შეეძლო ხელფასების შემცირება. სწორედ ამ "სიღატაკის დონეზე" ამყარებდა იმედს[1] მალთუსი, და სურდა ის ნებისმიერი გზით გაეზარდა, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა სიღატაკის იმ შემზარავი ფორმებისგან მათი გათავისუფლება, ვინც მისი კანონის თანახმად სიღატაკისთვის იყო განწირული. რიკარდოსაც იმავე მიზეზით სურდა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა კლასებს ეგემათ კომფორტისა და გართობის ნაყოფი „და მათი ხელმისაწვდომობა მშრომელთათვის ყველა კანონიერი გზით წახალისებულიყო". ბედის ირონიით, ბუნების კანონის

[1] Hazlitt, W., *A Reply to the Essay on Population by the Rev. T. A. Malthus in a Series of Letters*, 1803.

თავიდან აცილების მიზნით, ადამიანებს საკუთარი „შიმშილის დონის“ ამაღლებას ავალებდნენ. და მაინც, ეს იყო უდავოდ გულწრფელი მცდელობა კლასიკური ეკონომისტების მხრიდან ღატაკების გადასარჩენად იმ ბედისწერისგან, რომელსაც ღარიბებს მათივე თეორიები უმზადებდნენ.

რიკარდოს შემთხვევაში, თეორია თავისთავად მოიცავდა ელემენტს, რომელიც ხისტ ნატურალიზმს აწონასწორებდა. ამ ელემენტს, რომლითაც გამსჭვალული იყო მთელი მისი სისტემა, და მტკიცედ ემყარებოდა მისეულ ღირებულების თეორიას, წარმოადგენდა შრომის პრინციპი. მან დაასრულა საქმე, რომელიც ლოკმა და სმიტმა წამოიწყეს, – ეკონომიკური ღირებულების ჰუმანიზაცია; ის, რაც ფიზიოკრატებმა ბუნებას მიაწერეს, რიკარდომ ადამიანებს დაუბრუნა. თავისი მნიშვნელობით უზარმაზარი მასშტაბის მცდარ თეორემაში რიკარდომ შრომა ღირებულების ერთადერთ წყაროდ გამოაცხადა, რითაც ნებისმიერი შესაძლო გარიგება ეკონომიკურ საზოგადოებაში დაიყვანა თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში თანაბარუფლებიანი გაცვლის პრინციპზე.

თავად რიკარდოს სისტემის ფარგლებში თანაარსებობდნენ ნატურალისტური და ჰუმანისტური ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ საზოგადოებაში უპირატესობის მისაღწევად იბრძოდნენ. ამ სიტუაციის შედეგად წარმოიშვა კოლოსალური სიძლიერის მამოძრავებელი ძალები და მათი ზემოქმედების შედეგად კონკურენტუნარიანი ბაზრისკენ სწრაფვამ ბუნებრივი პროცესისთვის დამახასიათებელი დაუოკებელი იმპულსი შეიძინა. ვინაიდან, ითვლებოდა, რომ თვითრეგულირებადი ბაზარი ბუნების ულმობელ კანონებს მისდევდა, ბაზრის გათავისუფლება ძველი ბორკილებისგან გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. შრომის ბაზრის შექმნა იყო საზოგადოების სხეულზე ვივისექციის აქტის განხორციელება, ხოლო მის განმახორციელებლებს ამოძრავებდათ ის მტკიცე თავდაჯერებულობა, რომლის ჩანერგვაც მხოლოდ მეცნიერებას თუ შეუძლია. ღარიბთა კანონის გაუქმებაც სწორედ ამ თავდაჯერებულობის ნაწილი იყო. „გრა-

ვიტაციის პრინციპი არ არის იმდენად სარწმუნო, რამდენადაც ამგვარი კანონების ტენდენცია აქციოს სიმდიდრე და ენერგია სიდუხჭირედ და სისუსტედ... სანამ ბოლოს და ბოლოს ყველა კლასი უნივერსალური სიღარიბის ჭირით არ დაავადდება“ – წერდა რიკარდო.[1] და მართლაც მხდალი იქნებოდა ის, ვინც ამ ცოდნის მიუხედავად, ვერ იპოვიდა საკუთარ თავში ზნეობრივ ძალას, რათა კაცობრიობა საკუთარი თავისგან ეხსნა უმოწყალო ოპერაციის მეშვეობით – ღარიბთა შემწეობის გაუქმებით. სწორედ ამ პუნქტზე თანხმდებოდნენ ტაუნსენდი, მალთუსი, რიკარდო, ბენთემი და ბერკი. მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა მსოფლმხედველობის საკითხებსა და მეთოდებზე, მათ სპინჰემლენდისა და მაშინდელი პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპების კატეგორიული მიუღებლობა აერთიანებდათ. სწორედ ამ დიამეტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე ადამიანებს შორის თანხმობის წყალობით იქცა ეკონომიკური ლიბერალიზმი დაუძლეველ ძალად; რადგან იმან, რასაც თანაბრად უჭერდნენ მხარს ულტრა რეფორმატორი ბენთემი და ულტრა ტრადიციონალისტი ბერკი, ავტომატურად მიიღო თავისთავად ცხადი ჭეშმარიტების სტატუსი.

მხოლოდ ერთი კაცი ჩასწვდა ამ მძიმე განსაცდელის მნიშვნელობას, – ალბათ იმიტომ, რომ ეპოქის წამყვან მოაზროვნეთა შორის მხოლოდ ის ფლობდა საფუძვლიან პრაქტიკულ ცოდნას ინდუსტრიის შესახებ და, გარდა ამისა, გააჩნდა შინაგანი, სულიერი ხედვის უნარი. არცერთი მოაზროვნე არასდროს არ ჩაწვდენილა ისე სიღმისეულად ინდუსტრიული საზოგადოების ფენომენს, როგორც რობერტ ოუენი. ის აცნობიერებდა განსხვავებას საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; ამ უკანასკნელის მიმართ არ გააჩნდა ცუდი წინასწარგანწყობა (როგორც, მაგალითად, გოდვინს), იგი სახელმწიფოსგან ელოდა მხოლოდ იმას, რისი გაკეთებაც მას შეეძლო, კერძოდ, გონივრულ ჩარევას, რომელიც მიზნად

[1] Ricardo, D., *Principles of Political Economy and Taxation*, ed. Gonner, 1929, p. 86.

ისახავდა მოქალაქეებისათვის ზიანის თავიდან აცილებას და არა საზოგადოების ორგანიზებას. ანალოგიურად, არავითარი მტრული განწყობა არ გააჩნდა მანქანების მიმართ, რომელთა ნეიტრალური ხასიათიც აღიარა. არც სახელმწიფოს პოლიტიკური მექანიზმი და არც მანქანური წარმოების ტექნოლოგიური აპარატი მისთვის არ ჩრდილავდა მთავარს: საზოგადოების ფენომენს. ის არ აღიარებდა ანიმალისტურ მიდგომას საზოგადოების მიმართ, უარყოფდა მის მალთუსიანურ და რიკარდიანულ შეზღუდვებს. მაგრამ მისი აზროვნების ქვაკუთხედს წარმოადგენდა ქრისტიანობის კრიტიკა, რომელსაც ის „ინდივიდუალიზაციაში" ადანაშაულებდა, ანუ, პასუხისმგებლობის დაკისრებაში კონკრეტული პიროვნების ხასიათზე, რაც, ოუენის აზრით, ნიშნავდა საზოგადოების რეალობისა და ადამიანის ხასიათზე მისი ძლიერ განმსაზღვრელი გავლენის გამორიცხვას. „ინდივიდუალიზაციის" კრიტიკის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მდგომარეობდა მის მიერ დაჟინებით გატარებულ იდეაში სოციალურად განპირობებული ქცევის მოტივების შესახებ: „ინდივიდუალური ადამიანი და ის ყველაფერი, რაც ქრისტიანობაში ნამდვილად ღირებულია, ისეა ერთმანეთისგან გათიშული, რომ მთელი მარადისობის მანძილზე ვერ შეძლებს შეკავშირებას." სწორედ საზოგადოების აღმოჩენამ უბიძგა ოუენს გადაელახა ქრისტიანობის სულიერი ჰორიზონტები და მათ მიღმა გაეხედა. მან გააცნობიერა შემდეგი ჭეშმარიტება: რადგან საზოგადოება რეალურია, ადამიანი საბოლოოდ მას უნდა დამორჩილდეს. შეიძლება ითქვას, რომ მისი სოციალიზმი, ემყარებოდა ადამიანის ცნობიერების გადასხვაფერებას საზოგადოების რეალობის აღიარების მეშვეობით. „თუ აღმოჩნდება, რომ ბოროტების გარკვეული მიზეზების თავიდან აცილება შეუძლებელია იმ ახალი შესაძლებლობების მეშვეობით, რომლებიც მალე ადამიანთა ხელში აღმოჩნდება, – წერდა ოუენი, – ისინი მიხვდებიან, რომ ეს აუცილებელი და გარდაუვალი ბოროტებაა, და ყველანაირი ბავშვური, უშედეგო ჩივილი ამ მხრივ შეწყდება."

სავარაუდოდ, ოუენს ამ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ შესთა-

ვაზებდა ლანარკის ოლქის მმართველი ხელისუფკების წარმომადგენლებს საზოგადოების მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყებას „საზოგადოების ბირთვზე“ დაყრდნობით, რომელიც ოუენმა თავის ორგანიზებულ სასოფლო თემებში აღმოაჩინა. წარმოსახვის ასეთი ნაკადი გენიალური ადამიანების პრივილეგიაა, რომელთა გარეშეც კაცობრიობა, უძლური საკუთარი თავის გაგებაში, ვერ იარსებებდა. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო თავისუფლების უცვლელი საზღვარი, რომელზეც მიუთითებდა ოუენი; საზღვარი განპირობებული იმ ფაქტით, რომ საზოგადოების ბოროტებისგან გათავისუფლებას თავისი გარდაუვალი შეზღუდვები აქვს. მაგრამ ოუენი გრძნობდა, რომ ეს საზღვარი აშკარა იქამდე არ გახდებოდა, სანამ ადამიანი საზოგადოებას სამართლიანობის იდეალების შესაბამისად ძირეულად არ შეცვლიდა; მაშინ ზრდასრული ადამიანის მსგავსად, რომლისთვისაც უცხოა ბავშვური ჩივილი, მას ამ საზღვრის მიღება მოუწევდა.

რობერტ ოუენმა 1817 წელს აღწერა ის კურსი, რომელსაც დასავლელი ადამიანი დაადგა, და ამ სიტყვებით XIX საუკუნის უმთავრესი პრობლემა შეაჯამა. მან ყურადღება გაამახვილა იმ დიად შედეგებზე, რომლებიც ფაბრიკულ წარმოებას ახლავს თან, „როდესაც ის თავის ბუნებრივ პროგრესს მიჰყვება”. „წარმოების ზოგადი გავრცელება მთელ ქვეყანაში მისი მაცხოვრებლების ხასიათს ცვლის, და რადგან ეს ახალი ხასიათი ყალიბდება ინდივიდუალური ან ზოგადი ბედნიერებისათვის საკმაოდ არახელსაყრელი პრინციპით, ის აუცილებლად წარმოშობს ყველაზე სავალალო და მუდმივ უბედურებას, თუკი მის ზემოქმედებას საკანონმდებლო ჩარევა და რეგულაციია არ შეეწინააღმდეგება.” მთელი საზოგადოების მოგებისა და პირადი გამორჩენის პრინციპებზე ორგანიზებას შორსმიმავალი შედეგები უნდა ჰქონოდა. ოუენმა ისინი ფსიქოლოგიური ტერმინებით ჩამოაყალიბა, ვინაიდან ახალი ინსტიტუციური სისტემის ყველაზე აშკარა შედეგი იყო ჩასახლებული მოსახლეობის ტრადიციული ხასიათის განადგურება და მათი გარდაქმნა ადამიანის ახალ ტიპად, მუდმივად მომთაბარე და მოხეტიალე ტომად, ზნეობრივი დისციპლინისა

და საკუთარი ღირსების გარეშე, რომელთა მაგალითად კაპიტალისტებიც გამოდგებოდნენ და მშრომელებიც. ოუენმა გამოიტანა ზოგადი დასკვნა, რომ ეს პრინციპი არახელსაყრელია ინდივიდუალური და სოციალური ბედნიერებისთვის და ეს გზა დიდ უბედურებამდე მიგვიყვანს, თუ საბაზრო ინსტიტუტებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები არ შეიზღუდება შეგნებული და მიზანმიმართული სოციალური რეგულაციებით, რომლის ეფექტურობაც კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს. ეჭვგარეშეა, რომ მშრომელთა მდგომარეობა, რომელსაც ოუენი განიცდიდა, ნაწილობრივ „შემწეობის სისტემის“ შედეგი იყო. მაგრამ არსებითად, მისი მოსაზრება თანაბრად ეხებოდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელებს – „ისინი ამჟამად ბევრად უფრო დამცირებულ და სავალალო მდგომარეობაში არიან, ვიდრე მანუფაქტურების წარმოქმნამდე იყვნენ; იმ მანუფაქტურების, რომელთა წარმატებაზეც ახლა მათი საარსებო მინიმუმია დამოკიდებული.“ აქ მან ისევ მთავარ საკითხზე დასვა აქცენტი, როდესაც ხაზი გაუსვა არა შემოსავლებს, არამედ სოციალურ დეგრადაციასა და სიდუხჭირეს. ამ დეგრადაციის მთავარ მიზეზად ოუენმა, ისევ სავსებით სამართლიანად, დაასახელა მშრომელთა საარსებო მინიმუმის დამოკიდებულება ფაბრიკებზე. მან გაითავისა ის ფაქტი, რომ ის, რაც, ერთი შეხედვით, ეკონომიკურ პრობლემად გვეჩვენება, არსებითად სოციალური პრობლემაა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ნამდვილად ხდებოდა მშრომელების ექსპლუატაცია: მათ სანაცვლოდ ვერ მიიღეს ის, რაც მათ უნდა რგებოდათ. ეს ნამდვილად იყო ამ პრობლემის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ასპექტი. ექსპლუატაციის მიუხედავად, ფინანსური თვალსაზრისით მშრომელთა მდგომარეობა შესაძლოა კიდეც გაუმჯობესდა, მაგრამ ინდივიდუალური და საზოგადო ბედნიერებისათვის საკმაოდ არახელსაყრელი პრინციპი დამღუპველად მოქმედებდა მათ სოციალურ წრეზე, ბუნებრივ გარემოზე, საზოგადოებრივ პოზიციაზე, პროფესიულ კვალიფიკაციაზე; ერთი სიტყვით, ბუნებასა და ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების იმ სისტემაზე, რომელშიც აქამდე მათი, როგორც დაქვემდე-

ბარებული ელემენტების, ეკონომიკური არსებობა შედიოდა. ინდუსტრიული რევოლუცია უზარმაზარი მასშტაბის სოციალურ დისლოკაციას იწვევდა, და სიღარიბის პრობლემა ამ მოვლენის მხოლოდ ერთ, ეკონომიკურ ასპექტს წარმოადგენდა. ოუენი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ამ დამანგრეველი ძალების მოქმედება, თუ ის საკანონმდებლო ჩარევითა და რეგულირებით არ განეიტრალდებოდა, კოლოსალურ და ხანგრძლივ უბედურებას მოიტანდა.

თუმცა, იმ დროს მას არ შეეძლო წინასწარგანეჭვრიტა ის, რომ საზოგადოების თავდაცვის მექანიზმი, რომლის ჩამოყალიბებისკენაც ის მოუწოდებდა, თავად ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასთან შეუთავსებელი აღმოჩნდებოდა.

თავი 11
ადამიანი, ბუნება და მწარმოებელი ორგანიზაცია

ერთი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე საზოგადოების დინამიკას განსაზღვრავდა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებს შორის დაპირისპირება: ერთი მხრივ, ბაზარი განუწყვეტლივ იზრდებოდა, თუმცა მას უპირისპირდებოდა კონტრ-მიმართულება, რომელიც ბაზრის ასეთ ზრდას გარკვეულ გეზს აძლევდა. სწორედ ეს კონტრ-მიმართულება გახლდათ საზოგადოების დაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რადგან იგი შეუთავსებელი იყო ბაზრის თვითრეგულირებასთან და შესაბამისად, მთლიანად საბაზრო სისტემასთან.

სისტემა ნახტომისებურად განვითარდა; დაიკავა სივრცე და დრო მთლიანად და საბანკო ფულის შექმნით მანამდე არნახული ძალა შეიძინა. დაახლოებით 1914 წლისთვის, როდესაც აღნიშნულმა სისტემამ თავისი მასშტაბის მაქსიმუმს მიაღწია, მასში ჩართული აღმოჩნდა დედამიწის ყოველი კუთხე-კუნჭული, მთელი თავისი მაცხოვრებელითა და ჯერ კიდევ დაუბადებელი თაობებით, ფიზიკური პირებით თუ უზარმაზარი ხელოვნური წარმონაქმნებით, რომელთაც კორპორაციები ეწოდებათ. პლანეტაზე გავრცელება დაიწყო ცხოვრების ახალმა წესმა, უნივერსალურობაზე ისეთი პრეტენზიით, რომლის მსგავსიც ქრისტიანობის გა-

ვრცელების შემდგომ არ დაფიქსირებულა. ოღონდ, ამჯერად, ეს პროცესი წმინდა წყლის მატერიალურ დონეზე მიმდინარეობდა.

თუმცა, მაშინვე თავი იჩინა კონტრ-მიმართულებამაც. ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მორიგი თავდაცვის მცდელობა საზოგადოების მხირდან, რომელსაც ცვლილებები ელოდა; ეს იყო რეაქცია ადგილმონაცვლეობაზე, რომელიც საზოგადოების წყობას ემუქრებოდა და რომელიც გაანადგურებდა წარმოების ორგანიზების ყველა იმ ფორმას, რომელსაც ბაზარმა შთაბერა სული.

რობერტ ოუენი სწორად შენიშნავდა, რომ თუკი საბაზრო ეკონომიკა თავისივე კანონების მიხედვით განვითარების ამარა დარჩება, იგი მასშტაბური, მარადიული უბედურების წყაროდ იქცევა.

წარმოება ნიშნავს ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებას. თუკი ეს პროცესი ორგანიზებული იქნება ბარტერისა და გაცვლის თვითრეგულირებადი მექანიზმის მიერ, მაშინ მან ადამიანიც და ბუნებაც თავის ორბიტაზე უნდა გადაიყვანოს; ისინი უნდა იქცნენ მოთხოვნა-მიწოდების სუბიექტებად, რაც ნიშნავს, რომ მათ ისე უნდა მიუდგე, როგორც გასაყიდად წარმოებულ საქონელს.

სწორედ ასე იყო საბაზრო სისტემა მოწყობილი. ადამიანი შრომის სახელით, ბუნება კი მიწის სახელით იყო გამოტანილი გასაყიდად; სამუშაო ძალის გამოყენების შეძენა და გაყიდვა ყველასათვის შესაძლებელი იყო ხელფასის, ხოლო მიწის საფასურზე მოლაპარაკება – ქირის მეშვეობით. არსებობდა შრომის, ისევე როგორც მიწის ბაზარი და თითოეული მათგანზე მოთხოვნა-მიწოდება რეგულირდებოდა ხელფასებისა და ქირის ოდენობის მიხედვით. მუდმივად ხდებოდა იმ ფიქტიური იდეის კულტივირება, რომ შრომა და მიწა გასაყიდად იწარმოებოდა. კაპიტალს, რომელიც შრომისა და მიწის სხვადასხვა კომბინაციაში იყო ჩადებული, შეეძლო წარმოების ერთი დარგიდან მეორისკენ გადაენაცვლებინა, რაც საჭირო იყო აღნიშნული დარგების შემოსავლების ავტომატური გათანაბრებისათვის.

თუკი თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ წარმოება ორგანიზებულიყო ამ ფორმით, სასაქონლო ფიქციამ სრულებით უგულებელყო ის ფაქტი, რომ ნიადაგისა და ადამიანების ბედის ბაზრის ხელში დატოვება მათი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. ამიტომაც, კონტრ-მიმართულება გულისხმობდა ბაზრის ზემოქმედების შეზღუდვის მცდელობებს წარმოების ფაქტორებზე, შრომასა და მიწაზე. სწორედ ეს გახლდათ ინტერვენციონიზმის მთავარი ფუნქცია.

იმავე მხრიდან დაემუქრა საფრთხე მწარმოებელ ორგანიზაციებსაც. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ყველა ტიპის წარმოება – ინდუსტრიული, აგროკულტურული და კომერციული, რადგან ფასების დონეების ცვლილება მასზე გავლენას ახდენა. როდესაც საბაზრო სისტემაში ფასები ეცემა, ბიზნესი სუსტდება; თუკი პირდაპირ პროპორციულად არ გაიაფდება თვითღირებულების ყველა სხვა ელემენტიც, „მიმდინარე საკითხების“ ლიკვიდაცია მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ფასების ვარდნა შესაძლოა გამოწვეული იყოს არა ზოგადი ხარჯების შემცირებით, არამედ იმის გამო, თუ როგორ არის მოწყობილი მონეტარული სისტემა. რეალურად, ასეთი შემთხვევები ხშირი იყო თვითრეგულირებადი ბაზრის პირობებში, რასაც მოგვიანებით ვიხილავთ.

ამ შემთხვევაში, მსყიდველობითი უნარი, პრინციპში, თავად ბაზრის მუშაობის მიერ არის უზრუნველყოფილი და რეგულირებული; სწორედ ეს იგულისხმება, როდესაც ვამბობთ, რომ ფული საქონელია, რომლის ოდენობაც რეგულირდება პროდუქტის მოთხოვნა-მიწოდებით, რომელიც, ამ შემთხვევაში ფულის ფუნქციას ასრულებს – ეს არის კარგად ცნობილი, კლასიკური ფულის თეორია. ამ დოქტრინის თანახმად, ფული უბრალოდ განსხვავებული სახელია საქონლის, რომელიც გაცვლისათვის სხვებზე უფრო ხშირად გამოიყენება და რომელიც, ძირითადად, სწორედ გაცვლის ხელშესაწყობად მოიპოვება ხოლმე. ტყავი იქნება ეს, ხარი, ნიჟარები თუ ოქრო, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს; იმ საგანთა ღირებულება, რომლებიც ფულად გამოიყენება, განისაზღვრება ისე, თითქოსდა ადამიანები მათ მხოლოდ მათი საკვე-

ბი, ჩასაცმელი, ორნამენტული და სხვა ნიშნით გამოსადეგობის გამო მოიპოვებდნენ. თუკი ფულად ოქრო გამოიყენება, მისი ღირებულება, ოდენობა და მიმოქცევა ზუსტად ისეთივე კანონებით რეგულირდება, როგორითაც დარეგულირდებოდა სხვა საქონლის შემთხვევაში. გაცვლის ნებისმიერი სხვა საშუალებას დასჭირდებოდა ბაზრის მიღმა შექმნილი ვალუტის შემოტანა, ხოლო შექმნის ეს აქტი – ბანკის მიერ მოხდებოდა თუ მთავრობის – განხილული იქნებოდა, როგორც თვითრეგულირებად ბაზარში ჩარევა. მთავარი არსი არის ის, რომ საქონელი, რომელიც ფულად გამოიყენება არაფრით განსხვავდება სხვა საქონლისაგან; რომ მასზე მოთხოვნა-მიწოდებას არეგულირებს ბაზარი, ყველა სხვა საქონლის მსგავსად; და ამიტომაც, ნებისმიერი გააზრება, რომელიც ფულს რაიმე სხვა მახასიათებელს მიაწერს, გარდა იმისა, რომ ის არის საქონელი, რომელიც გამოიყენება გაცვლისათვის, არსებითად მცდარია. აქედან გამომდინარეობს ისაც, რომ თუკი ფულად გამოიყენება ოქრო, ბანკნოტები, მათი არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს ოქროსი. სწორედ ამ დოქტრინასთან თანხმობაში, რიკარდოს სკოლას სურდა, რომ ფულის მოწოდება ინგლისის ბანკის მეშვეობით დაეორგანიზებინა. მართლაც, არც ერთი სხვა მეთოდი არ მოჩანდა დამაჯერებლად, რომელიც დაიცავდა მონეტარულ სისტემას სახელმწიფოს მხრიდან „ჩარევისაგან“ და რომელიც უზრუნველყოფდა ბაზრის თვითრეგულირებას.

შესაბამისად, ბიზნესის მდგომარეობა ძალიან ჰგავდა სიტუაციას, რომელშიც საზოგადოების ბუნებრივი და ადამიანური რეალობა იმყოფებოდა. თვითრეგულირებადი ბაზარი წარმოადგენდა საფრთხეს ყველა მათგანისთვის და ძირითადად ერთი და იმავე მიზეზების გამო. ხოლო, თუკი ფაბრიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სოციალური კანონები საჭირო იყო სამუშაო ძალასთან დაკავშირებული სასაქონლო ფიქციისაგან ინდუსტრიული ადამიანის დასაცავად, მიწის კანონები და აგრარული ტარიფები შემოღებული იქნა ბუნებრივი რესურსების და სასოფლო კულტურის მათთან დაკავშირებული სასაქონლო ფიქციის შედეგებისაგან დაცვისათვის; ანალოგიურად შეგვიძლია ვამტკი-

ცოთ, რომ საჭირო იყო ცენტრალური საბანკო და მონეტარული სისტემის მმართველობა, რათა ფაბრიკები და სხვა საწარმოო დაწესებულებები დაცულები ყოფილიყვნენ ზიანისაგან, რომელიც მომდინარეობდა ფულთან დაკავშირებული სასაქონლო ფიქციისაგან. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, თვითრეგულირებადი ბაზრის დამანგრეველი შედეგებისაგან არა მხოლოდ ადამიანებისა და ბუნების, არამედ თავად კაპიტალისტური მწარმოებელი ორგანიზების დაცვაც გახდა საჭირო.

მოდი, დავუბრუნდეთ იმ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებს, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საზოგადოების მაორგანიზებელი ორი პრინციპის ქმედება, რომელთაგან თითოეულს საკუთარი სპეციფიკური ინსტიტუციური მიზანი აქვს დასახული, ჰყავს გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერი სოციალური ძალები და იყენებს თავის სპეციფიკურ მეთოდებს. პირველი იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპი, რომელიც მიზნად ისახავდა თვითრეგულირებადი ბაზრის ჩამოყალიბებას, ეყრდნობოდა მოვაჭრეთა კლასის მხარდაჭერას, ხოლო მეთოდებად ძირითადად ლესე ფერისა და თავისუფალ ვაჭრობას იყენებდა. მეორე კი სოციალური დაცვის პრინციპი გახლდათ, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანისა და ბუნების დაცვას მწარმოებელ ორგანიზაციასთან ერთად, ეყრდნობოდა მრავალფეროვან მხარდაჭერას იმ ადამიანებისგან, ვისზეც მყისიერი გავლენა ჰქონდა ბაზრის დამანგრეველ ქმედებებს; ესენი იყვნენ, ძირითადად, თუმცა არა ექსკლუზიურად, მუშათა კლასი და მიწათმფლობელები – და მეთოდად იყენებდა დამცავ კანონმდებლობას, შემზღუდავ ასოციაციებსა და ინტერვენციის სხვა ინსტრუმენტებს.

ამ პროცესში კლასობრივ ასპექტზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია. მომსახურებებმა, რომლებსაც საზოგადოებას უწევდნენ მიწათმფლობელები, ბურჟუაზია და მუშათა კლასი, განსაზღვრა მთელი მე-19 საუკუნის სოციალური ისტორია. თითოეული მათგანისათვის განკუთვნილი როლები განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციის შესრულება შეეძლოთ

მათ, რასაც საზოგადოების ზოგადი მდგომარეობა განსაზღვრავდა. ბურჟუაზია წარმოადგენს ჩანასახოვანი საბაზრო ეკონომიის პრინციპების მატარებელს; მათი საქმიანი ინტერესები, საერთო ჯამში, ზოგადად შეესაბამებოდა წარმოებისა და დასაქმების ინტერესებს. თუკი კომერციული საქმიანობა აყვავდებოდა, მაშინ დასაქმების შესაძლებლობაც გაჩნდებოდა ყველასთვის და გაქირავების შესაძლებლობაც საკუთრების მფლობელებისათვის; თუკი ბაზრები გაიზრდებოდა, თავისუფლად და იოლად იქნებოდა ინვესტირების შესაძლებლობა; თუკი მოვაჭრეთა საზოგადოება წარმატებულად გაუწევდა კონკურენციას უცხოელებს, მაშინ ვალუტას საფრთხე არ ემუქრებოდა. მეორე მხრივ, მოვაჭრეთა კლასს არ ჰყავდა ორგანო, რომელიც იგრძნობდა საფრთხეებს, რასაც იწვევდა მუშათა ფიზიკური ძალის ექსპლუატაცია, ოჯახების დანგრევა, სამეზობლოების განადგურება, ტყეების გაჩეხვა, მდინარეების დაბინძურება, პროფესიონალური სტანდარტების დაქვეითება, ტრადიციული ცხოვრების წესში ჩარევა, ყოფის ზოგადი დეგრადაცია, მათ შორის, საცხოვრებელი პირობებისა თუ ხელოვნების თვალსაზრისით, ისევე როგორც საჯარო თუ პირადი ცხოვრების სხვადასხვა ფორმის, რომლებსაც დაკავშირებული არაა სარგებელთან. ბურჟუაზია თავის ფუნქციას ასრულებდა საკუთარ თავში სარგებლის, როგორც საყოველთაო მადლისადმი ლამის საკრალური რწმენის შექმნით, თუმცა, სწორედ ამის გამო იყო, რომ იგი ადამიანის ცხოვრებისათვის ისეთივე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა ინტერესებს აღარ იცავდა, გარდა წარმოების გაზრდისა. სწორედ აქ უჩნდებოდათ შანსები იმ კლასებს, რომლებიც წარმოებაში ძვირფას, რთულ ან სპეციალურ დანადგარებს არ იყენებდნენ. უხეშად რომ ვთქვათ, მიწის მფლობელ არისტოკრატიას და გლეხობას ქვეყნის წინაშე არსებული საომარი მოვალეობების შესრულება უწევდა, რაც დიდწილად ჯერ კიდევ ადამიანურ და მიწასთან დაკავშირებულ რესურსებზე იყო დამოკიდებული, მშრომელები კი მეტ-ნაკლებად ზოგადი ადამიანური ინტერესების გამტარებლებად იქცნენ, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული. თუმცა, ადრე თუ

გვიან, თითოეული კლასი, შესაძლოა გაუაზრებლადაც კი, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ უფრო ფართო ინტერესების დასაცავად გამოდიოდა.

მე-19 საუკუნის დასასრულს – როდესაც ხმის მიცემის საყოველთაო უფლება თითქმის ერთდროულად გავრცელდა ყველგან – მუშათა კლასი სახელმწიფოში იქცა გავლენიან ფაქტორად; მეორე მხრივ კი, მოვაჭრეთა კლასმა, რომლის ძალაუფლებაც საკანონმდებლო სფეროში აბსოლუტური აღარ იყო, გაიაზრა პოლიტიკური ძალაუფლება, რომელსაც მას ინდუსტრიაში გაბატონებული მდგომარეობა ანიჭებდა. ზეგავლენისა და ძალაუფლების ეს განსაკუთრებული ლოკალიზება არავითარ პრობლემას არ ქმნიდა, რამდენადაც საბაზრო სისტემა აგრძელებდა მუშაობას განსაკუთრებული წნეხისა და შეზღუდვების გარეშე; მაგრამ, როდესაც, თავად საბაზრო ეკონომიკისთვის თანდაყოლილი მიზეზების გამო, ეს მოცემულობა შეიცვალა და სოციალურ კლასებს შორის დაძაბულობამ იჩინა თავი, თავად საზოგადოებას დაემუქრა საფრთხე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები მთავრობასა და კომერციულ საქმიანობას, ანუ სახელმწიფოსა და ინდუსტრიას, თავიანთ ციხე-სიმაგრეებად აქცევდნენ. დაიწყო საზოგადოების ორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის – პოლიტიკურისა და ეკონომიკურის – როგორც კერძო ინტერესებისათვის ბრძოლის იარაღის გამოყენება და მათით ბოროტად სარგებლობა. სწორედ ჩიხში ყოფნის ასეთ საშიში პირობებში დაიწყო ფაშისტურმა კრიზისმა აყვავება მე-20 საუკუნეში.

ამ ორი განსხვავებული გადმოსახედიდან გვსურს, გამოვკვეთოთ იმ პროცესის კონტურები, რომელმაც მე-19 საუკუნის სოციალური ისტორია განსაზღვრა. პირველი მათგანს საფუძვლად ედო დაპირისპირება ეკონომიკური ლიბერალიზმისა და სოციალური დაცვის მაორგანიზებელ პრინციპებს შორის, რამაც სიღრმისეული ინსტიტუციური დეფორმაცია განაპირობა; მეორე კი კლასებს შორის კონფლიქტი გახლდათ, რომლის პირველ კომპონენტთან ურთიერთქმედების შედეგადაც, კრიზისი კატასტროფაში გადაიზარდა.

თავი 12
ლიბერალური მრწამსის დაბადება

ეკონომიკური ლიბერალიზმი გახლდათ საზოგადოების ორგანიზების პრინციპი, რომელიც ჩართული იყო საბაზრო სისტემის შექმნაში. თავდაპირველად ქვეყნიერებას მოვლენილი როგორც უბრალო მისწრაფება არაბიუროკრატიული მეთოდებისაკენ, საბოლოო ჯამში, თვითრეგულირებადი ბაზრის მეშვეობით, კაცობრიობის ამქვეყნიური ხსნის ჭეშმარიტ რწმენაში გადაიზარდა. ასეთი ფანატიზმი იყო შედეგი იმისა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ის ცდილობდა, მოულოდნელად, გაცილებით უფრო მწვავე და რთული აღმოჩნდა; ნათელი გახდა, რომ ახალი წესრიგის დამყარება მოითხოვდა უდანაშაულო ადამიანების მრავალგზის ტანჯვას, ისევე, როგორც სერიოზული მასშტაბის ურთიერთდამოკიდებულ ცვლილებებს ისტებლიშმენტში. ლიბერალური მრწამსი მიიჩნევდა, რომ მისი ევანგელური გზნება მხოლოდ და მხოლოდ პასუხი იყო სრულმასშტაბიანი საბაზრო ეკონომიის საჭიროებებზე.

რეტროსპექტივაში რომ დავათარიღოთ და ვთქვათ, რომ ლესე ფერის პოლიტიკა მე-18 საუკუნის შუაში გაჩნდა (რაც ხშირად ხდება ხოლმე), ანუ მაშინ, როცა საფრანგეთში ეს საკვანძო სიტყვა პირველად გამოიყენეს, სრულიად არაისტორიული იქნება; თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვიდრე ამ ამბის შემდეგ თითქმის ორი თაობა არ გამოიცვალა, მანამდე ეკონომიკური ლიბერა-

ლიზმი სპორადულად იჩენდა ხოლმე თავს. მხოლოდ და მხოლოდ 1820-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა მისი სამი მთავარი პრინციპი: რომ შრომამ საკუთარი ფასი ბაზარზე თავად უნდა იპოვოს; რომ ფულის შექმნა ავტომატური მექანიზმის მეშვეობით უნდა მოხდეს; და რომ საქონელი ქვეყნიდან ქვეყანაში თავისუფლად, ყოველგვარი წინაღობის გარეშე უნდა გადიოდეს; ანდა მოკლედ რომ ვთქვათ, მისი სამი მთავარი პრინციპი იყო: შრომის ბაზარი, ოქროს სტანდარტი და თავისუფალი ვაჭრობა.

ფრანსუა კენესთვის იმის მიწერა, რომ მოვლენების ასეთი განვითარება მას წარმოდგენილი ჰქონდა, ცოტა არ იყოს და ფანტასტიკის სფეროდან იქნება. ის, რასაც ფიზიოკრატები მოითხოვდნენ მერკანტილისტურ სამყაროში იყო, მარცვლეულის თავისუფალი გატანა ექსპორტზე, რათა უზრუნველყოფილიყო ფერმერებისათვის, მოიჯარეებისა და მიწის მფლობელებისათვის მეტი შემოსავლის მოტანა. ყველაფერი დანარჩენისათვის კი ბუნებრივი წესრიგი (ordre naturel) იყო წარმოებისა და აგროკულტურის რეგულირების სამოქმედო პრინციპი, ყოვლის შემძლე და ყველგან მყოფი მთავრობისთვის. კენეს „მაქსიმები“ გამიზნული იყო ასეთი მთავრობისათვის მოსაზრებების მისაწოდებლად, რისთვისაც საჭირო იყო, რომ მას „ცოცხალი სურათი“ პრაქტიკულ პოლიტიკად ეთარგმნა, რომელიც დაეფუძნებოდა ავტორის მიერ დროდადრო წარდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს. ბაზრების თვითრეგულირებადი სისტემის იდეა კი მას თავში არც კი გაუვლია.

ლესე ფერი ინგლისშიც ძალიან ვიწროდ იყო გაგებული; იგი ნიშნავდა წარმოების რეგულირებისაგან გათავისუფლებას; თუმცა ამაში ვაჭრობა არ იგულისხმებოდა. ბამბის მწარმოებლები, იმ ეპოქის სასწაულმოქმედები, უმნიშვნელოდან ქვეყნის მთავარ საექსპორტო ინდუსტრიად იქცნენ – მიუხედავად ამისა, ქვეყანაში დაბეჭდილი ბამბის ქსოვილების იმპორტი აკრძალული იყო პოზიტიური საკანონმდებლო აქტით. მიუხედავად საშინაო ბაზრის ტრადიციული მონოპოლიისა, სახელმწიფო სუბსიდია გაიცემოდა ჩითისა და მიტკლის ექსპორტისათვის. პროტექციონიზმი

იმდენად ფესვგადგმული იყო, რომ მანჩესტერში ბამბის მწარმოებლებმა 1800 წელს ძაფის ექსპორტის აკრძალვა მოითხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებდნენ, რომ ეს მათთვის პირდაპირ კომერციულ დანაკარგს ნიშნავდა. 1791 წელს მიღებული აქტი, ბამბის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყოების ექსპორტიდან, ტექნიკური ინსტრუქციების მოდელების ექსპორტზე განავრცობდა ჯარიმებს. მითია თითქოს ბამბის ინდუსტრიას ფესვები თავისუფალ ვაჭრობაში აქვს გადგმული. ერთადერთი რაც ინდუსტრიას სურდა, ეს იყო წარმოების გათავისუფლება რეგულირებისაგან; გაცვლა-გამოცვლის სფეროში თავისუფლება კი კვლავაც საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის.

ვინმემ შესაძლოა იფიქროს, რომ წარმოების თავისუფლება ამ წმინდად ტექნოლოგიური სფეროდან ბუნებრივად გავრცელდებოდა მუშახელის დასაქმებაზეც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მანჩესტერში თავისუფალ შრომაზე მოთხოვნა შედარებით გვიან გაჩნდა. ხელოსანთა სტატუტი ბამბის ინდუსტრიაზე არასოდეს გავრცელებულა და ამ სფეროსათვის არასოდეს შეუშლია ხელი ყოველწლიურად ხელფასების გადახედვის, თუ შეგირდობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მეორე მხრივ, სიღარიბესთან ბრძოლის ძველი კანონი (იგივე Elizabethan Poor Law), რომელსაც მოგვიანებით მოღვაწე ლიბერალები ასე მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ, მწარმოებლებს დიდ დახმარებას უწევდა; იგი არა მარტო უზრუნველყოფდა იმას, რომ მანუფაქტურებში შეგირდები ჰყოლოდათ, არამედ ასევე ნებას რთავდა მათ, რომ თავიდან აერიდებინათ გათავისუფლებულ თანამშრომლებზე პასუხისმგებლობა და შესაბამისად, უმუშევრობის მთელი ტვირთი საზოგადოებრივ ფონდებზე გადაჰქონდა. ბამბის მწარმოებლებს შორის თავდაპირველად სპინჰემლენდის სისტემაც კი არ იყო არაპოპულარული; თუკი გაცემული დახმარების მორალური ეფექტი მშრომლის მწარმოებელუნარიანობას არ შეამცირებდა, ინდუსტრიას შესაძლოა დადებითადაც კი მიეჩნია ოჯახებისათვის შემოწირულობების გაცემა; იგი განიხილებოდა როგორც დახმარება მშრომელთა სარეზერვო არმიის შენახვაში, რომელიც შესაძლოა

მოულოდნელად საჭირო გამხდარიყო ვაჭრობის განსაკუთრებული რყევების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმ პერიოდში, როდესაც აგროკულტურაში დასაქმება ერთწლიანი ვადით ხდებოდა, მნიშვნელოვანი იყო, რომ მობილური შრომის ასეთი ფონდი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ინდუსტრიისათვის მისი გაფართოების პერიოდებში. ამას მოჰყვა მწარმოებლების შეტევა განსახლებათა აქტზე, რომელიც შრომის ფიზიკურ მობილობას ბარიერს უქმნიდა. თუმცა, აღნიშნული აქტით გათვალისწინებული რეფორმა 1795 წლამდე არ გატარებულა – რამაც სიღარიბის წინააღმდეგ კანონთან დაკავშირებული პატერნალიზმი კი არ შეასუსტა, კიდევ უფრო გააძლიერა. პაუპერიზმი[1] წვრილ მემამულეებსა და სოფლის მცხოვრებლებში კვლავაც წუხილის საგანს წარმოადგენდა; ხოლო სპინჰემლენდის ისეთი მწვავე კრიტიკოსებიც კი, როგორებიც იყვნენ ბურკი, ბენთამი და მალთუსი, თავს არა ინდუსტრიული პროგრესის წარმომადგენლებად, არამედ სასოფლო ადმინისტრირების პრინციპების მტკიცე მხარდამჭერებად მიიჩნევდნენ.

ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა ჯვაროსნული ვნებით მხოლოდ და მხოლოდ 1830-იან წლებში ამოხეთქა და ლესე ფერი საბრძოლო დოქტრინად იქცა. მწარმოებელთა კლასი მოითხოვდა შესწორების შეტანას სიღარიბის შესახებ კანონში, ვინაიდან იგი ხელს უშლიდა ინდუსტრიული მშრომელი კლასის ფორმირებას, რომლის შემოსავლებიც დამოკიდებული იყო შრომის შედეგებზე. ცხადი გახდა რისკის ხარისხი, რომელიც თავისუფალი შრომის ბაზრის შექმნაში იყო გაწეული, ისევე როგორც ცხადი შეიქნა ტანჯვის მასშტაბი, რომელიც პროგრესის მსხვერპლებს მიადგებოდათ. შესაბამისად, 1830-იანი წლების დასაწყისში, მკვეთრად შეიცვალა განწყობა. თაუნსენდის დისერტაციის 1817 წლის ხელახალ გამოცემას თან ერთოდა წინათქმა, რომელიც ავტორს

[1] პაუპერიზმი – მშრომელთა მასების სიღატაკე ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კლასობრივი საზოგადოების პირობებში (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.).

შორსმჭვრეტელობას უწონებდა, როდესაც იგი თავს ესხმოდა სიღარიბესთან დაკავშირებულ კანონს და მის სრულად გაუქმებას მოითხოვდა; თუმცა, რედაქტორები გვაფრთხილებდნენ მის „დაუფიქრებელ და ნაჩქარევ“ შემოთავაზებაზე, რომ ღარიბთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად მათი გარეშე ძალების მიერ მხარდაჭერა უნდა აღმოფხვრილიყო ათწლიან პერიოდში. რიკარდოს პრინციპებიც, რომელიც იმავე წელს გამოიცა, დაჟინებით ამახვილებდა ყურადღებას შეღავათების სისტემის გაუქმებაზე, თუმცა იგი მტკიცედ მოითხოვდა, რომ ეს ეტაპობრივად მომხდარიყო. პიტი კი, რომელიც ადამ სმიტის მოწაფე იყო, ასეთ სცენარს უარყოფდა იმ ტანჯვის გათვალისწინებით, რაც უდანაშაულო ადამიანებს მიადგებოდათ. 1829 წლისთვის კი, პიილი „ეჭვობდა, რომ შეღავათების სისტემის გასაუქმებლად, გარდა მისი ეტაპობრივი განხორციელებისა, რაიმე სხვა სწორ გზასაც უნდა ეარსება“[1]. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ, 1832 წელს, სიღარიბესთან დაკავშირებული კანონის შესწორებათა აქტი ყველაზე უფრო ექსტრემალური ფორმით განხორციელდა და ძალაში დაჩქარებულად შევიდა ისე, რომ არავითარი საშეღავათო პერიოდს არ ითვალისწინებდა. ლესე ფერი კი უკომპრომისო მძვინვარების იმპულსად იქცა.

ეკონომიკური ლიბერალიზმის აკადემიური ინტერესიდან თავშეუკავებელ აქტივიზმში გადაზრდის ასეთი ფსიქოლოგიური მზაობა ინდუსტრიულ ორგანიზაციებს ორ სფეროში აღმოაჩნდათ: ფულის მიმოქცევასა და ვაჭრობაში. ორივე მათგანის შემთხვევაში, როდესაც ნათელი ხდებოდა, რომ ნებისმიერი ზომის მიღება, გარდა ექსტრემალური გადაწყვეტილებებისა, გამოუსადეგარი იყო, ლესე ფერი მხურვალე ფანატიკურ რწმენაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ინგლისურ საზოგადოებამდე პირველი სავალუტო პრობლემა გაზრდილი საცხოვრებელი ხარჯების სახით მივიდა. 1790-დან 1815 წლამდე ფასები გაორმაგდა. რეალური ხელფასები შემცირ-

[1] *Webb, S. and B., op. cit.

და, ხოლო ბიზნესმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა საგარეო ვაჭრობაში. თუმცა, ეკონომიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად მყარი ვალუტა მხოლოდ და მხოლოდ 1825 წლის პანიკის შემდეგ იქცა; ანუ მაშინ, როდესაც რიკარ-დოსეული პრინციპები იმდენად ღრმად იყო გამჯდარი პოლი-ტიკოსებისა და ბიზნესმენების გონებაში, რომ „სტანდარტის" შენარჩუნებას მხარს უჭერდნენ, მიუხედავად უზარმაზარი ფი-ნანსური მსხვერპლისა. ეს იყოს დასაწყისი ოქროს სტანდარტის ავტომატურად მართვადი მექანიზმის მიმართ იმ შეურყეველი რწმენისა, რომლის გარეშეც საბაზრო სისტემა ვერ დაიწყებდა ფუნქციონირებას.

საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა არც მეტი, არ ნაკლე-ბი, რწმენის საკითხი იყო. ხოლო მისგან მომავალი შედეგები კი თავიდან ბოლომდე გაურკვევლობის განცდას აჩენდა. ეს ნიშ-ნავდა, რომ ინგლისი საკვებ მარაგებზე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო უცხოურ წყაროებზე; მას უნდა შეეწირა საკუთარი აგროკულტურა მსხვერპლად, თუკი საჭირო იქნებოდა; უნდა დაეწყო ახალი ცხოვრება და ქცეულიყო სრულიად ბუნდოვანი მომავლის მქონე მსოფლიო ერთობის ნაწილად, სადაც პლანე-ტის მოსახლეობა მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო – წინააღმდეგ შემთხვევაში კი, საზღვაო ფლოტი უზრუნველყოფდა მის უსა-ფრთხოებას; ინგლისელი ერი გმირულად უნდა შეხვედროდა მუდმივ ინდუსტრიულ უწესრიგობას და ჰქონოდა საკუთარი გა-მომგონებლური და მწარმოებლური შესაძლებლობების უპირატე-სობის მტკიცე რწმენა. თუმცა, ითვლებოდა, რომ თუკი ხორბალი თავისუფლად შევიდოდა მთელი მსოფლიოდან ბრიტანეთში, მხო-ლოდ ამ შემთხვევაში შეძლებდნენ ბრიტანული ქარხნები დანარ-ჩენი მსოფლიოსათვის მის იაფად მიწოდებას. სათანადო გამბე-დაობის საზღვრების დაწესება ამჯერადაც ვარიანტების სიუხვე-სა და ამ პროცესისადმი სრულად დანებებასთან დაკავშირებუ-ლი რისკების მასშტაბურობაზე იყო დამოკიდებული. აღნიშნული პროცესისადმი დანებების გარდა, ნებისმიერი სხვა გზა იყო გზა გარდაუვალი კრახისაკენ.

ლესე ფერის დოგმების უტოპიური წყაროები არასათანადოდაა გააზრებული, რადგან მათ ერთმანეთისაგან მოწყვეტით განიხილავენ ხოლმე. სამი პრინციპი – კონკურენტული დასაქმების ბაზარი, ავტომატური ოქროს სტანდარტი და თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა – ერთ მთლიანობას ქმნის. ამ სამიდან რომელიმე ერთის მისაღწევად გაღებული მსხვერპლი ამაო იყო (თუ უფრო უარესი არ იქნებოდა), თუკი დანარჩენი ორიც თანაბრად გარანტირებული არ იქნებოდა. ეს იყო მოცემულობა, სადაც მოქმედებდა პრინციპი ან ყველაფერი, ან არაფერი.

იოლი მისახვედრი იყო, რომ ოქროს სტანდარტი, მაგალითად, ნიშნავდა მომაკვდინებელ დეფლაციას ანდა შესაძლოა ფატალურ მონეტარულ კრიზისსაც კი პანიკის პირობებში. ამიტომაც, მწარმოებელს საკუთარი პოზიციის შენარჩუნების იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი მომგებიან ფასად წარმოების მზარდი მასშტაბების გარანტია ექნებოდა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელფასები, სულ მცირე, ზოგადი ფასების პროპორციულად შემცირდებოდა, რაც მუდამ მზარდი მსოფლიო ბაზრის ექპლუატაციას შესაძლებელს გახდიდა). შესაბამისად, 1846 წელს მიღებული მარცვლეულის კანონის საწინააღმდეგო ბილი ერთგვარად 1844 წლის პილის საბანკო აქტს ეხმიანებოდა. ორივე მათგანი ეხებოდა მუშათა კლასს, რომელიც 1834 წელს სიღარიბესთან ბრძოლის კანონის შესწორების აქტის მიღების შემდეგ, იძულებული იყო თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაეღო შიმშილის საფრთხის პირობებში; ასე რომ, ხელფასებს მარცვლეულის ფასი არეგულირებდა. ეს სამი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი ლოგიკურ ერთობას ქმნიდა.

ახლა უკვე შესაძლებელი იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის რეალური შედეგებისათვის თვალის შევლება. მსოფლიოს მასშტაბით თვითრეგულირებადი ბაზრის გარდა არაფერს შეეძლო ამ გასაოცარი მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სამუშაო ძალის საფასურის ყველაზე იაფ ხელმისაწვდომ მარცვლეულზე დამოკიდებულება იყო ერთადერთი გარანტია იმისა, რომ დაუცველი ინდუსტრიები არ დაჰყვებოდნენ საკუთარი ნებით

აღიარებული მეთვალყურის, ოქროს ძალაუფლებას. საბაზრო სისტემის გაფართოება მე-19 საუკუნეში გახლდათ საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის, კონკურენტული დასაქმების ბაზრისა და ოქროს სტანდარტის ერთდროული გავრცელების სინონიმი; ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილები. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი ლამის რელიგიად იქცა. როგორც კი ნათელი გახდა ის მნიშვნელოვანი საფრთხეები, რასაც ეს ინიციატივა შეიცავდა.

ლესე ფერიში არაფერი იყო ბუნებრივი; თავისუფალი ბაზარი ვერასდროს გაჩნდებოდა თავისით, მოვლენების საკუთარ ნებაზე მიშვებით. ისევე როგორც ბამბის წარმოებები – წამყვანი დარგი თავისუფალი ვაჭრობის ინდუსტრიაში – შეიქმნა დამცავი ტარიფებით, ექსპორტის დახმარებითა და ხელფასების არაპირდაპირი სუბსიდირებით, ლესე ფერიც სახელმწიფოსგან იყო თავს მოხვეული. 30-იან და 40-იან წლებში სახეზეა არა მხოლოდ შემზღუდავი რეგულაციების გაუქმების ერთგვარი ტალღა, არამედ ასევე სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც ეტაპობრივად დაიკავა ცენტრალური ბიუროკრატიის ადგილი და რომელსაც შეეძლო ლიბერალიზმის მიმდევრების მიერ დასახული ამოცანების შესრულება. ტიპური უტილიტარისტისათვის ეკონომიკური ლიბერალიზმი იყო სოციალური პროექტი, რომლის განხორციელების შედეგადაც რაც შეიძლება მეტი ადამიანი რაც შეიძლება ბედნიერი უნდა გამხდარიყო; ლესე ფერი რაიმეს მიღწევის საშუალება კი არ იყო, არამედ თავად გახლდათ ის, რისთვისაც უნდა მიეღწიათ. მართლაც, კანონმდებლობას პირდაპირ არაფრის მიღწევა შეეძლო, გარდა არახელსაყრელი შეზღუდვების გაუქმებისა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ მთავრობას არაფრის გაკეთება შეეძლო, განსაკუთრებით, არაპირდაპირი გზით. პირიქით, უტილიტარისტი ლიბერალი მთავრობაში ბედნიერების მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებას ხედავდა. მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით, ბენთამს სჯეროდა, რომ კანონმდებლობის გავლენა „არაფერს წარმოადგენს“ იმ გაუცნობიერებელ წვლილთან შე-

დარებით, რომელიც კეთილდღეობის შექმნაში „პოლიციის ოფიცერს“ შეჰქონდა. იმ სამი რამიდან, რაც ეკონომიკური წარმატების მისაღწევად იყო საჭირო – სურვილი, ცოდნა და ძალაუფლება – კერძო პირს მხოლოდ სურვილი ჰქონდა. ცოდნისა და ძალაუფლების ადმინისტრირება, ბენთამის აზრით, გაცილებით უფრო იაფადაა შესაძლებელი, თუკი კერძო პირის ნაცვლად, ამას მთავრობა გააკეთებს. სტატისტიკისა და ინფორმაციის შეგროვება, მეცნიერებისა და ექსპერიმენტების ხელშეწყობა აღმასრულებელი ხელისუფლების მოვალეობა იყო, ისევე, როგორც საბოლოო რეალიზაციისთვის საჭირო უამრავი ინსტრუმენტის შექმნა და მიწოდება შედიოდა მთავრობის კომპეტენციაში. ბენთამისეული ლიბერალიზმი გულისხმობდა საპარლამენტო ზომების ჩანაცვლებას ადმინისტრაციული ორგანოთა ზომებით.

ამისათვის საკმარისზე დიდი სივრცე არსებობდა. ინგლისში რეაქციის მართვა მოხდა არა საფრანგეთის მსგავსად ადმინისტრაციული მეთოდებით, არამედ ექსკლუზიურად, საპარლამენტო საკანონმდებლო ზომების გამოყენებით პოლიტიკური რეპრესიების განსახორციელებლად. „1785 და 1815-20 წლების რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლა არა აღმასრულებელი ხელისულფების ქმედებებით, არამედ საპარლამენტო კანონშემოქმედებით მიმდინარეობდა. ჰაბეას კორპუს აქტის გაუქმება, ისევე როგორც ცილისწამების აქტისა და 1819 წლის „6 აქტის“ მიღება ცალსახად იძულებითი ზომების ხასიათს ატარებდა, თუმცა მათში არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ისინი შეეცადნენ ადმინისტრირებისათვის კონტინენტური ხასიათი შეეძინათ. ვინაიდან ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფა პარლამენტის აქტის შესაბამისად და მის მიერ მოხდა.“[1] ეკონომიკურ ლიბერალებს თითქმის არანაირი გავლენა არ ჰქონდათ მთავრობაზე 1832 წელს, როდესაც პოზიცია რადიკალურად შეიცვალა ადმინისტრაციული მეთოდების სასარგებლოდ. „საბოლოო შედეგი

[1] Redlich and Hirst, J., Local Government in England, Vol. II, p. 240, quoted Dicey, A. V., Law and Opinion in England, p. 305.

საკანონმდებლო აქტივობისა, რომელიც 1832 წლიდან მოყოლებულ პერიოდში სხვადასხვა ხარისხის ინტენსიურობით ხასიათდებოდა, იყო განსაკუთრებულად კომპლექსური ადმინისტრაციული მანქანის ნაწილობრივი აშენება, რომელსაც სჭირდებოდა მუდმივი შეკეთება, განახლება, რეკონსტრუქცია და ადაპტაცია ახალ მოთხოვნებთან, თანამედროვე ფაბრიკის დანადგარების მსგავსად."[1] ადმინისტრაციის ასეთი ზრდა უტილიტარიანიზმის სულის მატარებელი იყო. ბენთამის ლეგენდარული პანოპტიკონი, მისი ყველაზე „პირადი" უტოპია, ვარსკვლავის ფორმის შენობას წარმოადგენდა, რომლის ცენტრიდანაც ზედამხედველს ტუსაღების განსაკუთრებულად დიდი ოდენობისათვის შეეძლო ყველაზე ეფექტურად ზედამხედველობა, საზოგადოების მიერ გაწეული ყველაზე ნაკლები დანახარჯის ფასად. მსგავსად ამისა, უტილიტარულ სახელმწიფოში ბენთამის საყვარელი „შემოწმებადობის" პრინციპი უზრუნველყოფდა, რომ საგუშაგო კოშკის სათავეში მოქცეულ ჩინოვნიკს შესძლებოდა ყველა ადგილობრივი ადმინისტრაციის ეფექტიანი კონტროლი.

გზა თავისუფალი ბაზრისაკენ გაიღო და ღია რჩებოდა განგრძობითი, ცენტრალურად დაგეგმილი და კონტროლირებული ინტერვენციონისტული ზომების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად. ყველაზე რთულ საკითხს კი წარმოადგენდა ადამ სმიტის „მარტივი და ბუნებრივი თავისუფლების" ადამიანთა საზოგადოების საჭიროებებისადმი შეთავსება. შეგიძლიათ საკუთარი თვალით იხილოთ უამრავი შემზღუდავი კანონის შესწორებების კომპლექსურობა; ბიუროკრატიული კონტროლის მასშტაბი სიღარიბის ახალი კანონების ადმინისტრირებისას, რაც დედოფალ ელიზაბეტის ტახტზე ასვლის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების მიერ პირველად კონტროლდებოდა ეფექტიანად; ანდა სამთავრობო ადმინისტრაციის ზრდა, რომელიც მუნიციპალური რეფორმის საქებარ საკითხს მოსდევდა. და მაინც, სამთავრობო ჩარევის ეს ციხე-სიმაგრეები აღიმართა ისე, რომ გარკვეული

[1] Ilbert, Legislative Methods, pp. 212-13, quoted Dicey, A. V., op. cit.

„მარტივი თავისუფლებები“ მხედველობის არედან არ გამორჩენოდა – ასეთი იყო მაგალითად მიწის, მუშაობისა თუ მუნიციპალური ადმინისტრირების თავისუფლება. მოლოდინის საპირისპიროდ, როგორც ეს მოხდა შრომის დამზოგავი მექანიზმების შექმნისას, რომელმაც არათუ შეამცირა, არამედ გაზარდა ადამიანური შრომის საჭიროება, თავისუფალი ბაზრის გაჩენა შორს იყო კონტროლის, რეგულირებასა და ინტერვენციის საჭიროებაზე უარის თქმისაგან. პირიქით, მან კიდევ უფრო გაზარდა ეს საჭიროებები. ადმინისტრატორებს მუდმივად უნდა ეკონტროლებინათ, რომ სისტემის თავისუფალ მუშაობას პრობლემა არ შექმნოდა. ამგვარად, მათაც კი, ვისაც განსაკუთრებული გზნებით სურდა სახელმწიფოს გათავისუფლება არასაჭირო პასუხისმგებლობებისაგან და ვისი ფილოსოფიაც მოითხოვდა სახელმწიფო აქტივობების შეზღუდვას, სხვა გზა აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ იმავე სახელმწიფოსათვის გადაებარებინა ახალი ძალაუფლებები, ორგანოები და ინსტრუმენტები, რომელიც ლესე ფერის შესაქმნელად იყო საჭირო.

ამ პარადოქსს ზემოდან დაერთო მეორე პარადოქსი. მიუხედავად იმისა, რომ ლესე ფერი ეკონომიკა გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი იყო, მოულოდნელად თავი იჩინა ლესე ფერის თანმდევმა შეზღუდვებმა. ლესე ფერი წინასწარ იყო დაგეგმილი, თავად დაგეგმვა კი არა. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ აღნიშნული მტკიცების პირველი ნაწილი სიმართლეს წარმოადგენდა – თუკი სადმე, ოდესმე აღმასრულებელი ძალაუფლება გააზრებულად იყო გამოყენებული მთავრობის მიერ კონტროლირებადი, წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკის სასარგებლოდ, უპირველესყოვილისა, ეს გახლდათ ლესე ფერის გმირულ ეპოქაში ბენთამის მომხრეთა მიერ. მტკიცების მეორე ნაწილი კი, თავდაპირველად სახელგანთქმულმა ლიბერალმა ალბერტ ვენ დაისმა განიხილა. იგი იკვლევდა „ანტი-ლესე ფერის“, ანდა როგორც თავად უწოდებდა, „კოლექტივისტური“ ტენდენციის გაჩენას ინგლისის საზოგადოებრივ აზრში, რომლის არსებობაც გვიანი 1860-იანი წლებიდან დასტურდება. იგი გაკვირვებულია, რომ ასეთი ტენ-

დენციის არსებობის არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს, გარდა თავად საკანონმდებლო აქტებისა. ანუ, საზოგადოებრივ აზრში „კოლექტივისტური ტენდენციის“ არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს, ვიდრე არ ჩნდება კანონები, რომლებიც ამ ტენდენციის არსებობას ამტკიცებს. მისი გონებამახვილური კვლევის დასკვნა ის არის, რომ საერთოდ არ არსებობდა სახელმწიფოს ფუნქციების გადაჭარბების ანდა ადამიანების პირადი თავისუფლების შეზღუდვის არავითარი წინასწარი განზრახვა იმათი მხრიდან, ვინც პირდაპირ იყო პასუხისმგებელი 1870-იან და 1880-იან წლებში შემზღუდავი კანონების გატარებაზე. აღმოჩნდა, რომ მწვავე საკანონმდებლო კონტრ-მიმართულება თვითრეგულირებადი ბაზრის წინააღმდეგ, რომელმაც 1860-იანი წლებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ იჩინა თავი, იყო სპონტანური, არავის მიერ არ იმართებოდა და მისი აქტუალურობა წმინდაწყლის პრაგმატული მოსაზრებებით იყო განპირობებული.

ეკონომიკური ლიბერალები ამ მოსაზრებას მკაფიოდ უნდა უპირისპირდებოდნენ. მთელი მათი სოციალური ფილოსოფია დამოკიდებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ლესე ფერი ბუნებრივი პროცესის შედეგი იყო, ხოლო თანმდევი ანტი-ლესე ფერი კანონმდებლობა ლიბერალური პრინციპების ოპონენტების გამიზნული ქმედებების შედეგი იყო. ტყუილი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ურთიერთშემხვედრი მიმართულებით მოძრავი ამ პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯნული, ზემოთ მოყვანილი ორი ინტერპრეტაცია ლიბერალური მრწამსთან დაკავშირებით ნაწილობრივ სიმართლეა, ნაწილობრივ – არა.

ლიბერალი ავტორები, როგორებიც არიან სპენსერი და სამნერი, მისესი და ლიპმანი ამ ორმაგი მიმართულებით მოძრავ პროცესებს ჩვენს მსგავსადვე აღწერენ, თუმცა აბსოლუტურად განსხვავებულ ინტერპრეტაციას უკეთებენ მას. თუკი ჩვენი გადმოსახედიდან თვითრეგულირებადი ბაზარის ცნება უტოპიურია და მისი განვითარება საზოგადოების რეალისტურმა თავდაცვამ შეაჩერა, მათი გადმოსახედიდან, პროტექციონიზმი მთლიანად

შეცდომა იყო, მოუთმენლობის, სიხარბისა და არაშორსმჭვრეტელობის გამო და ბაზარი ყველა სირთულეს თავად გაუმკლავდებოდა. ამ ორი შეხედულებიდან რომელია სწორი, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ბოლო ხანების სოციალური ისტორიის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც იგი მოიცავს პასუხს შეკითხვაზე, არის თუ არა ეკონომიკური ლიბერალიზმი საზოგადოების ორგანიზების საბაზისო პრინციპი. ვიდრე ფაქტების მტკიცებულებების სახით მოხმობას დავიწყებთ, საჭიროა საკითხის უფრო ზუსტი ფორმულირება.

ეჭვგარეშეა, რომ მომავალი თაობები ჩვენს ეპოქას შეაფასებენ, როგორც თვითრეგულირებადი ბაზრის დასრულების დროებას. 1920-იანი წლები ეკონომიკური ლიბერალიზმის პრესტიჟის მწვერვალი იყო. ასობით მილიონმა ადამიანმა საკუთარ თავზე გამოცადა ინფლაციის მოქნეული მათრახის სიმწარე; მთლიანმა სოციალურმა კლასებმა, მთლიანმა ერებმა გამოცადეს ექსპროპრიაცია. ვალუტების სტაბილიზება იქცა ხალხებისა და მთავრობების პოლიტიკური საზრისის ამოსავალ წერტილად; ოქროს სტანდარტის აღორძინება იქცა ეკონომიკურ სფეროში ყველანაირი ორგანიზების უმთავრეს მიზნად. უცხოური ვალების გადახდა და სტაბილური ვალუტების დაბრუნება იქცა რაციონალურობის კრიტერიუმად პოლიტიკაში; არ არსებობდა პირადი ტანჯვა თუ სუვერენულობის შეზღუდვა, რომლის მსხვერპლად გაღებაც არ ღირდა მონეტარული სიმტკიცის აღსადგენად. დეფლაციის შედეგად სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების ფინანსური ხელმოკლეობა; საჯარო მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე; ეროვნულ დონეზე განმტკიცებულ უფლებებზე უარის თქმა და კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებების დაკარგვაც კი, გამართლებულ საფასურად მიიჩნეოდა, რომლის გადახდაც ჯანსაღი ბიუჯეტისა და ჯანსაღი ვალუტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ღირდა, რაც აპრიორი ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპს წარმოადგენდა.

1930-იან წლები კი 1920-იანი წლების დოგმატების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების ეპოქა იყო. რამდენიმე წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც ვალუტები გაჯანსაღდა და ბიუჯეტები დაბალანსდა, ორმა ყველაზე ძლიერმა ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა აღმოაჩინა, რომ რთულ მდგომარეობაში იყვნენ, უგულებელყვეს ოქროს სტანდარტი და დაიწყეს საკუთარი ვალუტების დაგეგმვაზე ფიქრი. ყველაზე მდიდარი და პატივსაცემი სახელმწიფოები, ეკონომიკური ლიბერალიზმის დოგმების იგნორირებით მასობრივად ამბობდნენ უარს საგარეო ვალის გადახდაზე. 1930-იანი წლების შუაში, საფრანგეთი და რამდენიმე სხვა სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ ოქროს ერთგული რჩებოდა, რეალურად, იძულებული გახდა, რომ უარი ეთქვა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სახაზინო სტანდარტებზე, რომლებიც ერთ დროს ლიბერალური მრწამსის ერთგული დამცველები იყვნენ.

1940-იან წლებში ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა კიდევ უფრო მწარე მარცხი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა გადაუხვიეს მონეტარული ორთოდოქსიის გზას, ისინი კვლავაც ინარჩუნებდნენ ლიბერალიზმის პრინციპებსა და მეთოდებს ინდუსტრიაში, ვაჭრობასა და ეკონომიკური ცხოვრების ზოგად მოწყობაში. ეს გარემოება გათვლილი იყო იმაზე, რომ ქცეულიყო ფაქტორად ომის დაჩქარებასა და მისი მიმდინარეობისათვის ხელის შეშლაში, რამდენადაც ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა შექმნა და გაამყარა ილუზია, რომ დიქტატურები განწირულები იყვნენ ეკონომიკური კატასტროფისათვის. ამ რწმენის გამო, დემოკრატიული მთავრობები აღმოჩნდა ბოლო, ვინც რეგულირებული ვალუტებისა და მართული ვაჭრობის შედეგები გაიაზრა, მაშინაც კი, როდესაც სხვადასხვა მოცემულობათა გამო, იძულებულები იყვნენ, რომ თავად გამოეყენებინათ ეს მეთოდები; გარდა ამისა, ეკონომიკური ლიბერალიზმის შედეგებმა ხელი შეუშალა დაბალანსებული ბიუჯეტებისა და თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის სახელით გადაიარაღების დაწყებას, რომელიც უნდა გამხდარიყო ომის პირობებში ეკონომიკური ძლევამოსილების ერთადერთი გარანტირებული საფუძველი. დიდ ბრი-

ტანეთში საბიუჯეტო და მონეტარული ორთოდოქსია ინარჩუნებდა რწმენას შეზღუდული ჩარევის ტრადიციული სტრატეგიული პრინციპისადმი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ტოტალური ომის საფრთხის წინაშე იდგა; აშშ-ში მსხვილი საინვესტიციო ინტერესები, მაგალითად, ნავთობისა და ალუმინის წარმოებები, რომლებსაც გარს ლიბერალურ ბიზნესთან დაკავშირებული ტაბუების ბასტიონები ჰქონდა შემორტყმული, საკმაოდ წარმატებულად უწევდა წინააღმდეგობას საგანგებო მდგომარეობაში ინდუსტრიის მუშაობისათვის მზადებას. თუმცა, რომ არა სიჯიუტე და ვნება, რომლითაც ეკონომიკური ლიბერალები ებღაუჭებოდნენ საკუთარ ნაკლოვანებებს, ხალხის ლიდერები, ისევე როგორც მასები უკეთ მომზადებულები იქნებოდნენ ეპოქის გამოწვევებთან გასამკლავებლად და შესაძლოა საერთოდ ამ გამოწვევების თავიდან არიდებაც კი მოეხერხებინათ.

თუმცა, სოციალური ორგანიზების საერო პრინციპები, რომლებიც მთელს ცივილიზებულ სამყაროში იყო გავრცელებული, ათწლეულში მიმდინარე მოვლენებმა ბოლომდე ვერ გაანადგურა. როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე აშშ-ში მილიონობით დამოუკიდებელი ბიზნეს ერთეულის არსებობა ლესე ფერის პრინციპებიდან იღებდა სათავეს. მის შთამბეჭდავ მარცხს ერთ სფეროში არ გაუნადგურებია მისი ავტორიტეტი სხვა სფეროებში. მართლაც, მის ნაწილობრივ დაისს შესაძლოა კიდევ უფრო გაემყარებინა მისი პოზიცია, რადგან შესაძლებელი გახდა, რომ მის დამცველებს ემტკიცებინათ, რომ ამ პრინციპების არასრული დაცვა იყო მიზეზი აბსოლუტურად ყველა სირთულისა, რომელშიც მას ედებოდა ბრალი.

დღესდღეობით, სწორედ ეს არის ეკონომიკური ლიბერალების ბოლო არგუმენტი. მისი აპოლოგეტები კი უთვალავი ვარიაციით იმეორებენ რომ, რომ არა მისი კრიტიკოსების მიერ გატარებული პოლიტიკა, ლიბერალიზმი საუცხოო შედეგებს მოიტანდა; რომ ჩვენს ყველანაირ უბედურებაზე პასუხისმგებელი არის არა კონკურენციის სისტემა და თვითრეგულირებადი ბაზარი, არამედ აღნიშნულ სისტემაში ჩარევა და ინტერვენციები ბაზარში.

და ამის არგუმენტად მოჰყავთ არა მხოლოდ ბოლო ხანებში ეკონომიკურ თავისუფლებაში ჩარევის მრავალი შემთხვევა, არამედ ასევე ის დადასტურებული ფაქტი, რომ თვითრეგულირებადი ბაზრების გავრცელების სისტემა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გადაეყარა შეუდრეკელ კონტრმოძრაობას, რომელიც ასეთი ეკონომიკის თავისუფალ მუშაობას წინ ეღობებოდა.

შესაბამისად, ეკონომიკურ ლიბერალს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პოზიცია ჩამოაყალიბოს, რომელიც აწმყოს წარსულთან ერთი მთლიანობის სახით აკავშირებს. მართლაც, ვინ უარყოფს, რომ ბიზნესში მთავრობის ჩარევამ შესაძლოა მის თავდაჯერებულობას ძირი გამოუთხაროს? ვის შეუძლია უარყოს, რომ შესაძლოა ზოგჯერ უმუშევრობა ნაკლები ყოფილიყო რომ არ არსებობდეს კანონით გათვალისწინებული უმუშევრობის შემწეობა? რომ კერძო ბიზნესი საჯარო სამსახურებთან კონკურენციისას ზარალდება? რომ ფინანსურმა დეფიციტმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კერძო ინვესტიციებს? რომ პატერნალიზმი მიდრეკილია იმისაკენ, რომ ბიზნეს ინიციატივები მოკლას? ეს ასეა დღეს და, რა თქმა უნდა, წარსულშიც ასე იქნებოდა. ვის შეუძლია უარყოს, რომ 1870-იან წლებში, ევროპაში, ზოგადი პროტექციონისტული – სოციალური და ეროვნული – მოძრაობის დაწყებამ ხელი შეუშალა და შეზღუდა ვაჭრობა? ვის შეუძლია ეჭვის შეტანა იმაში, რომ ფაბრიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, სოციალური დაცვა, მუნიციპალური ვაჭრობა, ჯანდაცვის სერვისები, კომუნალური მომსახურებები, დადგენილი ტარიფები, შემწეობები და სუბსიდიები, კარტელები და ფონდები, ემბარგოები იმიგრაციაზე, კაპიტალის გადინებასა და იმპორტზე – რომ აღარაფერი ვთქვათ ნაკლებად ღია შეზღუდვებზე ადამიანების, საქონლისა და გადასახადების მიმოქცევაზე – მართლაც უამრავ წინაღობას შეუქმნიდა კონკურენციის სისტემას ფუნქციონირებისათვის? რომ დროში გაწელავდა კრიზისებს, რომელთა წინაშეც ბიზნესი იდგა; გაზრდიდა უმუშევრობას, გააღრმავებდა ფინანსურ უფსკრულს, შეამცირებდა ვაჭრობას და სერიოზულად დააზიანებდა ბაზრის თვითრეგულირების მე-

ქანიზმს? ლიბერალები დაჟინებით ამტკიცებენ, ამ ბოროტების სათავე სწორედ დასაქმებაში, ვაჭრობასა და ფულთან დაკავშირებულ საკითხებში ამ ტიპის ჩარევებია, რომლის ავტორიც სოციალური, ეროვნული და მონოპოლიური პროტექციონისზმის სხვადასხვა სკოლა იყო, მე-19 საუკუნის მესამე კვარტლიდან მოყოლებული; თუმცა, იმ უწმინდური კავშირის დამსახურებით, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, პროფკავშირებსა და მშრომელთა პარტიებსა და, მეორე მხრივ, მონოპოლისტ მწარმოებლებსა და აგრარულ სფეროში ინტერესების მქონეთა შორის, რომლებმაც თავიანთი არაშორსმჭვრეტელური სიხარბით ძალები გააერთიანეს ეკონომიკური თავისუფლების საზიანოდ, დღეს-დღეობით, მსოფლიო მატერიალური კეთილდღეობის შექმნის თითქმის ავტომატური სისტემის შედეგებით იღებს სარგებელს. ლიბერალები არასდროს იღლებიან იმის გამეორებით, რომ მე-19 საუკუნის ტრაგედია მდგომარეობს ადამიანის უუნარობაში, დარჩენილიყო ადრეული ლიბერალების შთაგონების ერთგული; რომ ჩვენი წინაპრების კეთილშობილი ინიციატივა შეეწირა ნაციონალიზმსა და კლასობრივ დაპირისპირებას, კორპორაციულ ინტერესებსა და მონოპოლისტებს; და რაც მთავარია, დასაქმებულთა სიბრმავეს შეუზღუდავი ეკონომიკური თავისუფლების სარგებლიანობისადმი, რომელიც მას მოჰქონდა სრულიად კაცობრიობის ინტერესებისათვის, მათ შორის მშრომელთათვის. მოკლედ, ჩაიშალა უზარმაზარი მორალური და ინტელექტუალური პროგრესი მოსახლეობის მასების ინტელექტუალური და მორალური სისუსტის გამო; ის, რაც განმანათლებლობის სულმა მოიხვეჭა, წყალში იქნა გადაყრილი ეგოისტური ძალების მიერ. საბოლოო ჯამში, ასეთია ეკონომიკური ლიბერალების თავდაცვითი არგუმენტები და თუკი ამას არ უარყოფენ, მოსალოდნელია, რომ არგუმენტების შეჯიბრში აუდიტორიის სიმპათია კვლავაც მათ მხარეს იქნეს გადახრილი.

ახლა კი, მოდი, თავად საკითხის შინაარსზე გავაკეთოთ აქცენტი. საყოველთაო თანხმობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ლიბერალურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა

საბაზრო სისტემის გავრცელებას, წინ გადაეღობა პროტექციონისტული კონტრ-მოძრაობა, რომელიც მის შეზღუდვას ცდილობდა; საკითხის ასეთი ფორმულირება, ნამდვილად ამყარებს ჩვენს თეზას ორმხრივი მიმართულებით მოძრავი პროცესების შესახებ. და თუკი ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემის აბსურდული ცნების პრაქტიკაში გამოყენება აუცილებლად გამოიწვევდა საზოგადოების ნგრევას, ლიბერალები სხვადასხვა ძალას სდებენ ბრალს, რომ მათ ბოლო მოუღეს დიდებულ წამოწყებას. არ შესწევს რა უნარი, რომ წარადგინოს მწყობრი არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობდა ლიბერალური მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართული ხელის შეშლის ერთიანი მცდელობები, იგი უბრუნდება ფარულ ქმედებებთან დაკავშირებულ ჰიპოთეზას, რომლის პრაქტიკული დამტკიცებაც შეუძლებელია. ეს გახლავთ ანტი-ლიბერალური კონსპირაციის მითი, რომელიც, ამა თუ იმ ფორმით, 1870-იან და 1880-იან წლებში მომხდარი მოვლენების ნებისმიერი სახის ლიბერალურ ინტერპრეტაციებშია გავრცელებული. როგორც წესი, სცენარის შეცვლაში ბრალი ნაციონალიზმისა და სოციალიზმის აღზევებას ედება ხოლმე; მთავარი ბოროტმოქმედები კი ამ ამბავში მწარმოებელთა ასოციაციები და მონოპოლისტები, მსხვილი მიწათმფლობელები და პროფკავშირები არიან. ამდენად, თავისი ყველაზე უფრო ამაღლებული ფორმით, ლიბერალური დოქტრინა ახდენს თანამედროვე საზოგადოებაში ზოგიერთი დიალექტიკური კანონის ჰიპოსტაზირებას; რომელიც განმანათლებლობის გონის მცდელობებს სასაცილოდაც კი იგდებს, მაშინ, როცა ყველაზე უფრო უხეში ფორმით, იგი პოლიტიკურ დემოკრატიას თავს ესხმის, როგორც ინტერვენციონიზმის მთავარ წყაროს.

თუმცა, ფაქტები ლიბერალური თეზის საპირისპირო რამეს მეტყველებენ. ანტი-ლიბერალური შეთქმულება წმინდა წყლის ფანტაზიის ნაყოფია. ის, რომ „კოლექტივისტურმა“ კონტრ-მოძრაობამ თავი იჩინა მრავალი სხვადასხვაგვარი ფორმით, განპირობებული იყო არა იმით, რომ ამ ერთიან მცდელობებს რაიმე ტიპის მიდრეკილება ჰქონდათ სოციალიზმისა თუ ნაციონალიზ-

მისადმი, არამედ იმით, რომ საბაზრო მექანიზმის გავრცელებამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სოციალური ინტერესების ფართო სპექტრზე მოახდინა გავლენა. ეს გვეხმარება გავიაზროთ, რატომ გამოიწვია უმეტესწილად პრაქტიკული ხასიათის ლამის საყოველთაო წინააღმდეგობა აღნიშნული მექანიზმის გავრცელებამ. ამ პროცესში არავითარი როლი არ უთამაშია ინტელექტუალურ მოდას; შესაბამისად, არც არავითარი წინასწარგანწყობა არ არსებობდა მასში, რასაც ლიბერალები ანტი-ლიბერალური მოძრაობის იდეოლოგიურ გამწევ ძალად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ 1870-იან და 1880-იან წლებში ორთოდოქსულ ლიბერალიზმს ბოლო მოეღო და თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის საფუძველი შეიძლება ამ ეპოქაში დავინახოთ, თუმცა არასწორია იმის თქმა, რომ სოციალურ და ნაციონალურ პროტექციონიზმში ცვლილებები გამოიწია სხვა რამემ, გარდა თავად თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი სისუსტეებისა და რისკების გამოვლინებამ. ამის არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი.

პირველ რიგში, ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ძალიან მრავალფეროვანია იმ სფეროთა ჩამონათვალი, სადაც კონტრ-მოძრაობა გაჩნდა. მარტო ეს ფაქტიც კმარა იმ აზრის უკუსაგდებად, რომ ლიბერალიზმის წინააღმდეგ ერთიან, შეთანხმებულ მოქმედებებს ჰქონდა ადგილი. გავიხსენოთ ინტერვენციათა სია, რომელსაც ჰერბერტ სპენსერი ჩამოთვლის 1884 წელს, როდესაც ლიბერალებს ბრალს სდებს „შემზღუდავი კანონმდებლობის“ გამო თავიანთი პრინციპების უგულებელყოფაში[1]. საკითხთა ჩამონათვალის ამაზე უფრო მრავალფეროვანი სიის წარმოდგენაც კი რთულია. 1860 წელს „საკვებისა და სასმლის ინსპექტორებს დაევალათ, რომ ხარისხის შემოწმებისას, ხარჯები ადგილობრივი ფასების გათვალისწინებით დაეთვალათ“; ამას მოჰყვებოდა აქტი, რომელიც ითვალისწინებდა „გაზის საწარმოების შემოწმებას“; მაღაროების აქტის განვრცობა, რომელიც „ჯარიმას აწესებდა 12

[1] Spencer, H., The Man vs. the State, 1884.

წლამდე ბიჭების დასაქმებისათვის, რომლებიც სკოლაში არ დადიოდნენ და რომლებსაც წერა-კითხვა არ შეეძლოთ “. 1861 წელს „სიღარიბესთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზედამხედველებს მიეცათ სავალდებულო ვაქცინაციის ჩატარების უფლება“; ადგილობრივ საბჭოებს გადაეცათ უფლება, „განესაზღვრათ ტრანსპორტირების საშუალებების დაქირავების ფასები“; ცალკეულ ადგილობრივ ორგანოებს „მიეცათ ადგილობრივებისათვის გადასახადის დაკისრების უფლება, სოფლებში სადრენაჟო და საირიგაციო სამუშაოებისათვის და საქონლის დასალევი წყლის უზრუნველსაყოფად“. 1862 წელს მიღებული იქნა აქტი, რომელიც კრძალავდა „ერთგვირაბიან ქვანახშირის მაღაროებს“; აქტი, რომელიც სამედიცინო განათლების საბჭოს ანიჭებდა ექსკლუზიურ უფლებას, „გამოეცა ფარმაკოპეა, რომლის ფასსაც სახელმწიფო ხაზინა განსაზღვრავდა“. თავზარდაცემულმა სპენსერმა ამ და ამის მსგავსი ზომების ჩამონათვალით არაერთი ფურცელი შეავსო. 1863 წელს მიიღეს „შოტლანდიასა და ირლანდიაში სავალდებულო აცრების გახანგრძლივების აქტი“. ასევე, შემოღებულ იქნა „ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების აქტი“; ბუხრის მწმენდავის აქტი, რომელიც კრძალავდა ბავშვების წამებას, რასაც ხშირად სიკვდილი მოჰყვებოდა ხოლმე განსაკუთრებით ვიწრო საკვამურების წმენდისას; გადამდებ დაავადებათა აქტი; საჯარო ბიბლიოთეკების აქტი, რომელიც ადგილობრივებს ძალაუფლებას გადასცემდა, „რომლის მეშვეობითაც წიგნების შესაძენად უმრავლესობას უმცირესობისათვის გადასახადის დაკისრების შესაძლებლობა ჰქონდა.“ სპენსერს აღნიშნული სია ანტი-ლიბერალური შეთქმულების დამდასტურებელი უტყუარი საბუთად მოჰქონდა. თუმცა, პრობლემები, რომლებთან გამკლავებასაც თითოეული ეს აქტი ცდილობდა, თანამედროვე ინდუსტრიული პირობებით იყო გამოწვეული და მიზნად ისახავდა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას აღნიშნული ინდუსტრიული პირობების თანმხლები საფრთხეების თუ საბაზრო მეთოდებისგან. მიუკერძოებელი შემფასებლისათვის, ეს შეზღუდვები ამტკიცებდა „კოლექტივისტური“ კონტრ-მოძრაობის წმინდად პრაქტიკულ და პრაგმატულ

ბუნებას. აღნიშნული ზომების გატარებაზე პასუხისმგებელთა უმეტესობა ლესე ფერის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო და, რა თქმა უნდა, არ სურდათ, რომ ლონდონში მეხანძრეთა ბრიგადის შექმნაზე მათი თანხმობა გაგებული ყოფილიყო, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპების წინააღმდეგ წასვლა. პირიქით, აღნიშნული საკანონმდებლო აქტების ინიციატორები, როგორც წესი, სოციალიზმისა და კოლექტივიზმის რაიმე სხვა ფორმის გულმხურვალე მოწინააღმდეგეები იყვნენ.

მეორე რიგში, სიტუაციიდან გამოსავლის ლიბერალურიდან „კოლექტივისტურ“ ხერხზე გადასვლა ზოგჯერ მოულოდნელად ხდებოდა და მათ, ვინც საკანონმდებლო განხილვების პროცესში იყო ჩართული, სულაც არ ჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ. დაისის მოჰყავს კლასიკური მაგალითი „მუშათა კომპენსაციის აქტი“, რომელიც შეეხება დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის საკითხს, როდესაც მათ მუშას სამუშაოს შესრულებისას გარკვეული ზიანი მიადგება. სხვადასხვა აქტის ისტორია გახლდათ იდეის ხორცშესხმა, რომელიც 1880-იანი წლებიდან მოყოლებული წინა პლანზე აყენებდა ინდივიდუალისტურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულისადმი, მკაცრად იდენტური უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლობისა, რომელიც მას ენიჭებოდა სხვა ადამიანების ანდა უცხოებისადმი. 1897 წელს, როდესაც ამგვარი აზროვნება ჯერ კიდევ მყარად იყო ფეხმოკიდებული, მოულოდნელად დამსაქმებელი გახდა დასაქმებულის გარანტი, სამუშაოს დროს მიღებული ნებისმიერი ზიანის შემთხვევაში, რაც დაისის შეფასებით „ზედმიწევნით კოლექტივისტურ ცვლილებას წარმოადგენდა კანონში“. შეუძლებელია უკეთესი მაგალითის მოყვანა იმის საჩვენებლად, რომ ლიბერალური პრინციპის ანტი-ლიბერალურით ჩანაცვლება ისე მოხდა, რომ არც საკითხში ჩართულ მხარეთა ინტერესში მომხდარა რაიმე ცვლილება და არც საზოგადოებაში შეცვლილა შეხედულება ამ თემაზე და მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულმა გარემოებებმა განიცადეს ევოლუცია, რომლის ფარგლებშიც აღ-

ნიშნული პრობლემა ჯერ წარმოიშვა, შემდგომ კი მისი გადაჭრის გზა მოიძებნა.

მესამე, არაპირდაპირ, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებო მტკიცებულებას გვაწვდის მსგავსი მოვლენები, რომლებიც პოლიტიკური კონფიგურაციით და იდეოლოგიურად ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ქვეყნებში მოხდა. ვიქტორიანული ინგლისი და ბისმარკის პრუსია ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსებს წარმოადგენს, ხოლო ორივე მათგანი ძალზედ განსხვავდება მესამე რესპუბლიკის საფრანგეთის თუ ჰაბსბურგების იმპერიისაგან. თუმცა, თითოეულმა მათგანმა გაიარა თავისუფალი ვაჭრობისა და ლესე ფერის ეპოქა, რასაც ანტი-ლიბერალური კანონმდებლობის შემოღება მოჰყვა ჯანდაცვასთან, ფაბრიკებში სამუშაო პირობებთან, სავაჭრო ასოციაციებთან და ა.შ. დაკავშირებით. იოლი იქნება კალენდრის შედგენა, რათა დავინახოთ წლები თუ როდის მოხდა სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ცვლილებები. დასაქმებულის კომპენსაცია ინგლისში 1880 და 1897 წლებში იქნა შემოღებული, გერმანიაში 1879 წელს, ავსტრიაში 1887 წელს, ხოლო საფრანგეთში 1899 წელს; საწარმოთა ინსპექტირება ინგლისში 1833 წელს დაიწყეს, პრუსიაში 1853 წელს, ავსტრიაში 1883 წელს, ხოლო საფრანგეთში 1874 და 1883 წელს; მუნიციპალური ვაჭრობა (კომუნალური მომსახურებების ჩათვლით) ბირმინგემში კაპიტალისტმა და დისენტერების მხარდამჭერმა, ჯოზეფ ჩემბერლაინმა შემოიტანა 1870-იან წლებში; ვენის იმპერიაში კათოლიკე „სოციალისტმა“ და ებრაელების მდევნელმა კარლ ლიუგერმა 1890-იან წლებში; ხოლო გერმანიასა და საფრანგეთში კი სხვადასხვა ტიპის ადგილობრივი კოალიციების მქონე მუნიციპალიტეტებმა. ამ იდეების მხარდამჭერები, ზოგ შემთხვევაში, ძალადობრივად რეაქციონერულები და ანტისოციალისტები იყვნენ, როგორც ეს მოხდა ვენაში, ზოგ შემთხვევაში კი – „რადიკალი იმპერიალისტები“, მაგალითად, ბირმინგემში, ანდა სუფთად ლიბერალური შეფერილობის, მაგალითად, ლიონის მერის, ფრანგი ედუარდ ჰერიონის შემთხვევაში. პროტესტანტულ ინგლისში, კონსერვატორთა და ლიბერალ-

თა მთავრობები დრო გამოშვებით მუშაობდნენ საწარმოებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დასახვეწად. გერმანიაში, რომაელი კათოლიკეები და სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ აღნიშნულის მიღწევას; ავსტრიაში, ეკლესია და მისი ყველაზე აქტიური მხარდამჭერები; საფრანგეთში ეკლესიის მტრები და თავდადებული ანტიკლერიკალები იყვნენ პასუხისმგებლები თითქმის იდენტური კანონების რეალურ ცხოვრებაში გატარებაზე. ამდენად, სხვადასხვა მოწოდების ფონზე, განსაკუთრებულად განსხვავებული მოტივაციით, ბევრი პარტია თუ სოციალური ფენა რეალობაში ატარებდა თითქმის ერთსა და იმავე ზომას ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში ბევრ საკმაოდ რთულ თემაზე. ზედაპირზევე ნათელია, რომ შეუძლებელია უფრო დიდი აბსურდის მოფიქრება, ვიდრე იმის თქმა, რომ მათ ერთი და იგივე იდეოლოგიური წინასწარგანწყობები ან ვიწრო ჯგუფური ინტერესები ამოძრავებდათ, როგორც ამაზე მიუთითებდა ანტილიბერალური შეთქმულება. პირიქით, ყველაფერი იმ მოსაზრებას განამტკიცებს, რომ კანონმდებლები უბრალოდ ხელფეხშეკრულნი იყვნენ საიმისოდ, რომ იმ საკმაოდ სერიოზული ობიექტური მიზეზების წინააღმდეგ წასულიყვნენ.

მეოთხე, არსებობს მნიშვნელოვანი ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა დროს ეკონომიკური ლიბერალები თავად გამოდიოდნენ თავისუფალი კონტრაქტებსა და ლესე ფერიზე შეზღუდვების დაწესების მოთხოვნით, რამდენიმე კარგად აღწერილ შემთხვევაში, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ბუნებრივია, მათი არ ჰქონიათ ანტი-ლიბერალური მოტივაცია. მხედველობაში გვაქვს მშრომელთა გაერთიანების პრინციპი, ერთი მხრივ, და კომერციულ კორპორაციებთან დაკავშირებული კანონი, მეორე მხრივ. პირველი შეეხება მუშათა უფლებას, გაერთიანებულიყვნენ ხელფასების გაზრდის მოთხოვნით; ხოლო მეორე, ფონდების, კარტელების თუ სხვა ტიპის კაპიტალისტური სინდიკატების უფლებას, გაეზარდათ ფასები. ორივე შემთხვევაში სამართლიანი იყო ბრალდება, რომ თავისუფალ კონტრაქტები და ლესე ფერი ვაჭრობის შეზღუდ-

ვისათვის გამოიყენებოდა. მუშათა გაერთიანებების მიერ ხელფასების გაზრდაზე იქნებოდა საუბარი თუ სავაჭრო ასოციაციების მიერ ფასების გაზრდაზე, ცალსახად შესაძლებელი იყო, რომ ლესე ფერის პრინციპი გამოეყენებინათ დაინტერესებულ მხარეებს დასაქმების თუ სხვა საქონლის ბაზრის შესავიწროებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ორივე შემთხვევაში თანმიმდევრული ლიბერალები ლოიდ ჯორჯიდან და თეოდორ რუზველტიდან მოყოლებული თრუმან არნოლდითა და უოლტერ ლიპმანით დამთავრებული, ლესე ფერის უქვემდებარებდნენ თავისუფალი კონკურენტული ბაზრის მოთხოვნებს; ისინი მოითხოვდნენ რეგულაციებსა და შეზღუდვებს, სისხლის სამართლის კანონებსა და ძალდატანების სხვა ფორმებს; და, როგორც ნებისმიერი რიგითი „კოლექტივისტი“ იზამდა, ამტკიცებდნენ, რომ თავისუფალ კონტრაქტების შემთხვევაში, პროფკავშირები იქნებოდა ეს თუ კორპორაციები, ისინი „ბოროტად იყენებდნენ“ მას. თეორიულად, ლესე ფერი ან თავისუფალი კონტრაქტები გულისხმობდა იმას, რომ დასაქმებულებს ჰქონდათ თავისუფლება, უარი ეთქვათ შრომაზე ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, თუკი ასე გადაწყვეტდნენ; იგი ასევე გულისხმობდა, რომ ბიზნესმენებს ჰქონდათ თავისუფლება, რომ მორიგებულიყვნენ გასაყიდ ფასებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სურდა მომხმარებლებს. თუმცა, პრაქტიკაში, ასეთი თავისუფლება კონფლიქტში მოდიოდა თვითრეგულირებადი ბაზრის ინსტიტუტთან და ასეთ კონფლიქტში თვითრეგულირებადი ბაზარი მუდმივად უპირატეს მდგომარეობაში იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი თვითრეგულირებადი ბაზრის საჭიროებები ვერ მოვიდოდა ლესე ფერის მოთხოვნებთან თანხმობაში, ეკონომიკური ლიბერალი ზურგს აქცევდა ლესე ფერის და უპირატესობას მიანიჭებდა – რასაც ასევე იზამდა ანტილიბერალი – რეგულაციებისა და შეზღუდვების ე.წ. კოლექტივისტურ მეთოდებს. ასეთი მიდგომის შედეგი იყო პროფკავშირებთან დაკავშირებული და ანტი-ტრესტული კანონმდებლობა. შეუძლებელია კიდევ უფრო მყარი არგუმენტის მოძებნა თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოე-

ბაში ანტილიბერალური ანდა „კოლექტივისტური“ მეთოდების აუცილებლობის სასარგებლოდ, ვიდრე თავად ის ფაქტი, რომ თვით ეკონომიკური ლიბერალებიც კი რეგულარულად იყენებდნენ ასეთ მეთოდებს, ინდუსტრიული ორგანიზების ცალსახად მნიშვნელოვან სფეროებში.

სხვათა შორის, ეს გარემოება გვეხმარება უკეთ გავარკვიოთ ტერმინ „ინტერვენციონიზმის“ ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური ლიბერალები აღნიშნავდნენ საკუთარი პოლიტიკის საპირისპიროდ არსებულ პოლიტიკას და რომელიც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს მათი აზროვნების არათანმიმდევრულობას. ინტერვენციონიზმის ანტონიმი არის ლესე ფერი, და ეს-ესაა ვნახეთ, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის ლესე ფერიდ იდენტიფიცირება შეუძლებელია (თუმცა კი, სამეტყველო ენაში, დიდი არაფერი დაშავდება თუკი მათ ერთმანეთის ჩამნაცვლებელ ტერმინებად გამოვიყენებთ). მკაცრად რომ ვთქვათ, ეკონომიკური ლიბერალიზმი არის საზოგადოებრივი მოწყობის პრინციპი, სადაც ინდუსტრია დაფუძნებულია თვითრეგულირებადი ბაზრის ინსტიტუციაზე. მართლაც, როგორც კი ასეთი სისტემა მეტ-ნაკლებად მიღწეულია, ამ ტიპის ჩარევის ნაკლები საჭიროება დგება. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს შეგვეძლოს თქმა, რომ საბაზრო სისტემა და ინტერვენცია ურთიერთგამომრიცხავი ტერმინებია. ვინაიდან, ვიდრე ეს სისტემა დამყარდება, ეკონომიკურმა ლიბერალებმა უნდა მოუწოდონ სახელმწიფოს მისი დამყარებისაკენ და ასეც იქცევიან ხოლმე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე; ხოლო როდესაც უკვე დამყარებულია, მისი შენარჩუნებისაკენ. ამიტომაც, ეკონომიკურ ლიბერალს შეუძლია, რომ ყოველგვარი არათანმიმდევრულობის გარეშე მოუწოდოს სახელმწიფოს კანონისმიერი ძალის გამოყენებისაკენ; თვითრეგულირებადი ბაზრისთვის ხელსაყრელი წინაპირობების შესაქმნელად, მან შესაძლოა ძალადობრივი სამოქალაქო ომის მხარეებთანაც კი მოახდინოს ამ თემაზე აპელირება. ამერიკაში სამხრეთი იყენებდა ლესე ფერის არგუმენტებს, რათა გაემართლებინა მონობა; ჩრდილოეთმა კი შეია-

რაღებულ ინტერვენციას მიმართა, რათა თავისუფალი შრომის ბაზარი დაეფუძნებინა. ამდენად, ლიბერალი ავტორების მხრიდან ინტერვენციონიზმის ბრალდება ცარიელი ლოზუნგია, რომელიც გულისხმობს ქმედებათა ერთი და იმავე ჯაჭვისთვის ბრალის წაყენებას იმისდა მიხედვით, თავად აწყობთ თუ არა. ერთადერთი პრინციპი, რომლის არათანმიმდევრულობის გარეშე დაცვაც ეკონომიკურ ლიბერალებს შეუძლიათ, ეს არის თვითრეგულირებადი ბაზრის პრინციპი, იმის მიუხედავად გულისხმობს თუ არა ის ინტერვენციებს.

რომ შევაჯამოთ, ეკონომიკური ლიბერალიზმისა და ლესე ფერის საწინააღმდეგო მოძრაობას გააჩნდა სპონტანური რეაქციის ყოველგვარი უტყუარი მახასიათებლები. უამრავ, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ შემთხვევაში, იგი მიმდინარეობდა ისე, რომ არ არსებობდა კავშირები ინტერესებს შორის, რომელთაც იგი პირდაპირ შეეხებოდა. ისევე, როგორც არც არავითარი იდეოლოგიური თანხმობა არსებობდა მათ შორის. თუნდაც ერთი და იმავე პრობლემის გადასაჭრელად, როგორიც იყო დასაქმებულთა კომპენსაციის საკითხი, სიტუაციიდან გამოსავლისადმი მიდგომა შეიცვალა ინდივიდუალისტურიდან „კოლექტივისტურით“, ლიბერალურიდან ანტი-ლიბერალურით, ლესე ფერიდან ინტერვენციონისტური ფორმით ისე, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა ეკონომიკურ ინტერესში, იდეოლოგიურ გავლენებსა თუ მონაწილე პოლიტიკურ ძალებში და უბრალოდ მოხდა პრობლემის რეალური ბუნების გაანალიზება. გარდა ამისა, იოლი დასანახია ისიც, რომ ლესე ფერიდან „კოლექტივიზმზე“ გადასვლის თითქმის მსგავსი ცვლილება სხვადასხვა ქვეყანაში ინდუსტრიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მოხდა, რაც მიუთითებს პროცესის გამომწვევი მიზეზის არსებითობასა და დამოუკიდებლობაზე, რასაც ეკონომიკური ლიბერალები ასე ხელოვნურად მიაწერდნენ განწყობების შეცვლასა და ინტერესთა სხვადასხვაობას. დაბოლოს, ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის ყველაზე რადიკალური მხარდამჭერებიც კი, ვერსად გაურბოდნენ იმ გარემოებას, რომელიც ლესე ფერის

განვითარებული ინდუსტრიული პირობებისათვის შეუფერებელს ხდიდა. პროფკავშირების კანონისა და ანტიტრესტული რეგულაციების შემთხვევაში, რომელთაც კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ, ექსტრემისტ ლიბერალებსაც კი მრავალგზის მოუხდათ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის მოთხოვნა, რათა წინ აღდგომოდნენ მონოპოლისტურ შეთანხმებებს, რაც თვითრეგულირებადი ბაზრის მუშაობის წინაპირობას წარმოადგენდა. თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციაც კი მოითხოვდა, რომ ინტერვენციებს ემუშავა. 1870-იან და 1880-იან წლებში „კოლექტივისტური" შეთქმულების ლიბერალური მითი კი არსებულ ფაქტებთან წინააღმდეგობაში მოდის.

მეორე მხრივ, ურთიერთსაპირისპირო ორმხრივი მოძრაობის ჩვენებური ინტერპრეტაცია ფაქტებზეა დაფუძნებული. ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენდა საფრთხეს სოციალური ქსოვილის ადამიანურ და ბუნებასთან დაკავშირებული კომპონენტებისათვის, რის ჩვენებასაც ჩვენ დაჟინებით ვცდილობთ, სხვას რას უნდა ელოდო გარდა იმისა, რომ ადამიანების მრავალფეროვანი ჯგუფი დაიწყებს ზრუნვას იმაზე, რომ გარკვეულწილად თავი დაიცვას როგორმე. სწორედ ეს აღმოვაჩინეთ ჩვენ. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ეს მოხდეს მათი მხრიდან ყოველგვარი თეორიული თუ ინტელექტუალური წინასწარგანჭვრეტის გარეშე და საბაზრო ეკონომიკის საფუძველში არსებული პრინციპებისადმი მათი დამოკიდებულებების მიუხედავად. და მართლაც ასე მოხდა. მეტიც, თუკი შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ცალკეული ინტერესები დამოკიდებული არ არის სხვადასხვა ქვეყანაში ფეხმოკიდებულ სპეციფიკურ იდეოლოგიებზე, ეს იქნებოდა ერთგვარი კვაზი-ექსპერიმენტი ჩვენი თეზის განსამტკიცებლად, რის შესაძლებლობასაც, ჩვენი რწმენით, სხვადასხვა მთავრობის ისტორიების შედარებითი ანალიზი მოგვცემდა. ამასთან დაკავშირებითაც შევძელით მყარი მტკიცებულებების წარდგენა. დაბოლოს, თავად ლიბერალთა ქცევამ ცხადყო, რომ ვაჭრობის თავისუფლების – ჩვენი სიტყვებით, თვითრეგულირებადი ბაზრის – შენარჩუნება საერთოდაც არ გამორიცხავდა ჩარევას და

რეალურად მოითხოვდა კიდეც მას. ხოლო ლიბერალები თავადაც რეგულარულად ითხოვდნენ, რომ სახელმწიფოს გაეტარებინა იძულებითი ზომები, მაგალითად, პროფკავშირებთან დაკავშირებული და ანტიტრესტული კანონმდებლობის შემთხვევაში. ამიტომაც, ისტორიაზე უკეთ ვერაფერი მოგვცემს იმის მტკიცებულებას, რომელი იყო მართალი ამ ურთიერთსაპირისპირო ორმხრივ მოძრაობაში: ეკონომიკური ლიბერალების, რომელიც ამტკიცებდა, რომ მათ პოლიტიკას არასდროს მისცემია განხორციელების საშუალება, რომ იგი ჩანასახშივე მოკლეს არაშორსმჭვრეტელმა პროფკავშირისტებმა, მარქსისტმა ინტელექტუალებმა, ხარბმა მეწარმეებმა და რეაქციონერმა მიწათმფლობელებმა; თუ მისი კრიტიკოსების, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უნივერსალურ „კოლექტივისტურ“ რეაქციას მიმართავდნენ საბაზრო ეკონომიკის, როგორც თვითრეგულირებადი ბაზრის უტოპიური პრინციპის თანმხლები საზოგადოებრივი საფრთხის, გავრცელების წინააღმდეგ.

თავი 13
ლიბერალური მრწამსის დაბადება (გაგრძელება): კლასობრივი ინტერესი და სოციალური ცვლილებები

ვიდრე მე-19 საუკუნის პოლიტიკის რეალური საფუძვლები ჩვენს წინაშე სრული სიცხადით გადაიშლება, აუცილებელია კოლექტივისტური შეთქმულების ლიბერალური მითის ბოლომდე გაქარწყლება. ამ ლეგენდის თანახმად, პროტექციონიზმი იყო მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედების, მწარმოებლებისა და პროფკავშირების მზაკვრული ინტერესების შედეგი, რომლებმაც, საკუთარი ეგოიზმით დაბრმავებულებმა, ბაზრის ავტომატური სისტემა ჩამოშალეს. განსხვავებული ფორმითა და, რაღა თქმა უნდა, საპირისპირო პოლიტიკური ტენდენციებით მარქსისტული პარტიებიც ისეთივე ჯგუფური ინტერესების გამომხატველი ტერმინების მოშველიებით იყვნენ ჩაბმულები დისკუსიაში. (ის გარემოება, რომ მარქსის ფილოსოფიის საფუძვლები საზოგადოების ტოტალურობასა და ადამიანის არაეკონომიკურ ბუნებაზე აკეთებს აქცენტს, ამ შემთხვევაში, არარელევანტურია[1]). თავად მარქსიც, რიკარდოს მსგავსად, კლასს ეკონომიკური ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს, ხოლო ეკონომიკური ექსპლუატაცია ცალსახად ბურჟუაზიული ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია.

---

1 Marx, K., „Nationalokonomie und Philosophie;‘ in Der Historische Materialismus, 1932.

ამან მარქსიზმის პოპულარულ ვერსიაში სოციალური განვითარების მოუხეშავი, პრიმიტიული კლასობრივი თეორია მოიტანა. ბაზრების მიტაცებისა და გავლენის სფეროების გაფართოების მოტივაცია აიხსნებოდა ძალიან მარტივად – ერთ მუჭა ფინანსისტებში მოგების მიღების სურვილით. იმპერიალიზმი აიხსნებოდა კაპიტალისტური შეთქმულებით, წაეხალისებინათ მთავრობები, წამოეწყოთ ომები დიდი ბიზნესების ინტერესების შესაბამისად. ომების დაწყებას იწვევდა აღნიშნული ინტერესები, საბრძოლო აღჭურვილობის მწარმოებელი ფირმების ინტერესებთან კომბინაციაში, რომლებმაც სასწაულებრივად მოიპოვეს უნარი, რომ მთლიანი ერებისათვის ებიძგებინათ დამღუპველი პოლიტიკების გატარებისაკენ, რაც მათ სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ლიბერალები და მარქსისტები, პრინციპში, თანხმდებოდნენ, რომ ჯგუფური ინტერესებით მოქმედება იყო პროტექციონისტული მოძრაობის წყარო. აგრარული ტარიფების დაწესებაში რეაქციონერ მიწათმფლობელებს გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ. წარმოების მონოპოლიური ფორმების ზრდაზე პასუხისმგებელი იყო ინდუსტრიის მაგნატების დაუცხრომელი სურვილი, რაც შეიძლება მეტი მოგება ენახათ, ხოლო ომს ისინი წარმოაჩენდნენ როგორც მსხვილი ბიზნესების ჰერალდიკურ სიმბოლოს.

ამგვარად, ლიბერალურმა ეკონომიკურმა პერსპექტივამ მნიშვნელოვანი მხარდამჭერი მოიპოვა ვიწრო კლასობრივი თეორიის სახით. მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს ურთიერთსაპირისპირო კლასების პერსპექტივიდან აღიქვამდნენ, ლიბერალები და მარქსისტები იდენტურ პოზიციაზე იდგნენ. ისინი რკინის არგუმენტებს იშველიებდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ მე-19 საუკუნის პროტექციონიზმი კლასობრივი მოქმედების შედეგი იყო, ხოლო აღნიშნული მოქმედება უმთავრესად აღნიშნულ კლასების წარმომადგენელთა ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. მათი ერთობლივი მოქმედებების დამსახურებით, ძალზედ გართულდა ზოგადი სურათის შექმნა საბაზრო საზოგადოებისა და აღნიშნულ საზოგადოებაში პროტექციონიზმის ფუნქციის დასანახად.

რეალურად, კლასობრივი ინტერესები საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში არსებული მოძრაობების მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდულ ახსნას გვთავაზობს. საზოგადოების საჭიროებები გაცილებით უფრო ხშირად განსაზღვრავს კლასების ბედს, ვიდრე საზოგადოების ბედს განსაზღვრავდეს კლასების საჭიროებები. საზოგადოების ცხადი სტრუქტურის შემთხვევაში, კლასობრივი თეორია მუშაობს; მაგრამ რა მოხდება როდესაც თავად სტრუქტურა განიცდის ცვლილებას? კლასი, რომელიც დაკარგავს ფუნქციას, შესაძლოა დაქუცმაცდეს და ერთ ღამეში სხვა კლასისა თუ კლასების შემადგენელ ნაწილებად იქცეს. ამასთან, ბრძოლაში ჩართული კლასების შანსები დამოკიდებული იქნება მათ უნარზე, მოიპოვებენ თუ არა ისინი მხარდამჭერებს გარდა უშუალოდ თავიანთი წევრებისა, რაც ისევ და ისევ დამოკიდებული იქნება იმაზე თუ როგორ გაუმკლავდებიან ისინი საკითხებს, რომლებიც სცდება მხოლოდ და მხოლოდ მათ ინტერესებს. ამდენად, არც კლასების გაჩენა, არც მათი გაქრობა, არც მათი მიზნები და არც ამ მიზნების მიღწევის ხარისხი; არც მათი თანამშრომლობა და არც მათი ანტაგონიზმი არ შეიძლება რომ საზოგადოების ინტერესებიდან მოწყვეტით იქნას განხილული, რასაც მთლიანად ზოგადი სიტუაცია განსაზღვრავს.

როგორც წესი, აღნიშნულ სიტუაციას გარე მიზეზები უდევს ხოლმე საფუძვლად, მაგალითად, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები, მარცვლეულის მოსავალი, ახალი მტრის გამოჩენა, ახალი იარაღის გამოყენება ძველი მტრის მიერ, საზოგადოებისათვის ახალი მიზნების დასახვა, ანდა ტრადიციული მიზნების მისაღწევად ახალი მეთოდების აღმოჩენა. ცხადი რომ გახდეს ჯგუფური ინტერესების როლი სოციალურ განვითარებაში, უნდა მოხდეს სიტუაციის ერთიანობის აღდგენა და აღნიშნული ინტერესების მათთან დაკავშირება.

საკითხთა არსიდან გამომდინარეობს, რომ სოციალურ ცვლილებებში კლასობრივი ინტერესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან ნებისმიერი ფართოდ გავრცელებული ცვლილება საზოგადოების სხვადასხვა ნაწილზე

განსხვავებულად ზემოქმედებს, სხვა ყველაფერი რომ დავივიწყოთ, თუნდაც განსხვავებული გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობისა და ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლების გამო. შესაბამისად, ჯგუფური ინტერესი წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური ცვლილების გამტარ ბუნებრივ მექანიზმს. ომი გამოიწვევს ცვლილებას, ვაჭრობა, რაიმე გასაოცარი გამოგონება თუ შეცვლილი ბუნებრივი პირობები, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილი განსხვავებულ (მათ შორის აკრძალულ) მეთოდებს გამოიყენებს სიახლეებთან შესაგუებლად და სიტუაციას საკუთარ ინტერესებს მოარგებს იმ ჯგუფისაგან განსხვავებულად, ვისზე გაბატონებასაც ის ცდილობს; ამიტომაც, ახსნა იმისა თუ როგორ მოხდა ესა თუ ის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ რომელმა ჯგუფმა ან ჯგუფებმა იმოქმედეს აღნიშნული ცვლილების მოხდენაზე. თუმცა კი, ცვლილების თავდაპირველი მიზანი გარეგანი ძალების მიერ არის განსაზღვრული და მხოლოდ და მხოლოდ ცვლილების მექანიზმის გამო ხდება ისე, რომ საზოგადოება შინაგან ძალებს ეყრდნობა. „გამოწვევის“ წინაშე საზოგადოება როგორც ერთი მთლიანობა დგას; ამაზე „საპასუხო რეაქცია“ კი ჯგუფების, ნაწილებისა და კლასების მხრიდან მოდის.

ამიტომაც, უბრალოდ კლასობრივი ინტერესი დამაკმაყოფილებელ პასუხებს ვერ მოგვცემს რაიმე ტიპის დროში გაწერილ სოციალურ პროცესთან დაკავშირებით. პირველ რიგში, იმის გამო, რომ შესაძლოა სწორედ განსახილველმა პროცესმა განსაზღვროს თავად ამ კლასის არსებობის საკითხი; მეორე რიგში, იმის გამო, რომ მოცემული კლასების ინტერესები განსაზღვრავენ მხოლოდ და მხოლოდ მიზანსა და განზრახვას, რომლისკენაც აღნიშნული კლასები მიისწრაფიან და არა მათი მცდელობების მარცხსა თუ წარმატებას. კლასობრივ ინტერესში არაფერია ისეთი მაგიური, რომელიც უზრუნველყოფდა იმას, რომ ერთი კლასის წევრებს მხარი დაეჭირათ სხვა კლასებისათვის. თუმცა კი, ასეთი მხარდაჭერის შემთხვევებს ყოველდღე ვხვდებით. ამის მაგალითია თავად პროტექციონიზმი. აქ, პრობლემა იყო არა ის, თუ რატომ

სურდათ მიწათმოქმედებს, მწარმოებლებსა და პროფკავშირის წევრებს საკუთარი შემოსავლის გაზრდა პროტექციონისტული ქმედებით, არამედ ის თუ რატომ შეძლეს მათ ამის წარმატებით განხორციელება; არა ის, თუ რატომ სურდათ კომერციულ მეწარმეებსა და მუშებს საკუთარ საქონელზე მონოპოლიის დაწესება, არამედ ის თუ რატომ მოახერხეს მათ ამის მიღწევა; არა ის თუ რატომ სურდა რამდენიმე კონტინენტურ ქვეყანაში ზოგიერთ ჯგუფს იდენტურად მოქცევა, არამედ ის თუ რატომ არსებობდა ასეთი ჯგუფები ქვეყნებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ და რატომ მიაღწიეს მათ თავიანთ მიზნებს ყველგან; არა ის თუ რატომ ცდილობდნენ სიმინდის ძვირად გაყიდვას ვისაც ის მოჰყავდა, არამედ ის თუ რატომ ახერხებდნენ ისინი მუდმივად, რომ მყიდველი დაერწმუნებინათ რომ მათ ფასების გაზრდაში დახმარებოდნენ.

მეორე რიგში, იმის გამო, რომ არსებობს ასეთივე მცდარი დოქტრინა, რომლის თანახმადაც, კლასობრივ ინტერესებს უმეტესწილად, ეკონომიკური ხასიათი აქვს. მართალია, ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების ცხოვრება ბუნებრივად არის განპირობებული ეკონომიკური ფაქტორებით, თუმცა ინდივიდუალურ დონეზე ადამიანების მოტივაცია მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არის განსაზღვრული მატერიალური სურვილების დაკმაყოფილებით. ის, რომ მე-19 საუკუნის საზოგადოება ორგანიზებული იყო დაშვების გარშემო, რომ ამგვარი მოტივაცია შესაძლოა უნივერსალური ყოფილიყო, უშუალოდ ამ ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოების გაანალიზებისას გამართლებული იყო ეკონომიკური მოტივისათვის შედარებით ფართო ასპარეზის დათმობა. თუმცა, ამ საკითხზე წინასწარი დასკვნების გამოტანისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან კითხვა, რომელიც აქ დაისმის, სწორედ იმას შეეხება თუ, რა მასშტაბით არის შესაძლებელი, რომ ასეთი უჩვეულო მოტივაციის უნივერსალურად განვრცობა ეფექტური იყოს.

წმინდაწყლის ეკონომიკური საკითხები, მაგალითად, „მოთხოვნა-დაკმაყოფილების“ სფეროში შემავალი საკითხები, კლასობრივი ქცევისათვის გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური აღიარების საკითხები. მოთხოვნა-დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, შესაძლოა იყოს ამგვარი აღიარების შედეგი, განსაკუთრებით, როგორც მისი ნივთიერი ნიშანი თუ ჯილდო. მაგრამ, კლასობრივი ინტერესები, ყველაზე უფრო პირდაპირ შეეხება სოციალურ მდგომარეობასა და რანგს, სტატუსსა და უსაფრთხოებას, რაც უმთავრესად არა ეკონომიკურ, არამედ სოციალურ საკითხებს წარმოადგენს.

კლასები და ჯგუფები, რომლებიც 1870-იანი წლების შემდეგ, დროგამოშვებით მონაწილეობდნენ პროტექციონიზმის მხარდამჭერ ზოგად მოძრაობაში, ამას აკეთებდნენ უმთავრესად არა საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გამო. „კოლექტივისტური” საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიღებულ იქნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი წლების განმავლობაში, ცხადყოფს, რომ მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდებოდა კონკრეტული კლასის ინტერესების გათვალისწინება და თუკი ხდებოდა, კიდევ უფრო იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც შეიძლებოდა რომ ამ ინტერესებისათვის ეკონომიკური გეწოდებინა. მართლაც, რომელი „მოკლე პერსპექტივაზე გათვლილი ეკონომიკური ინტერესის” დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო აქტით, რომელიც ქალაქის ხელმძღვანელობას აძლევდა ნებართვას, გადაებარებინა მიტოვებული ობიექტების ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნებაზე ზრუნვა; ანდა რეგულაციებით, რომელიც სახლის შიდა ეზოების საპნითა და ცხელი წყლით მორეცხვას ითხოვდა, სულ მცირე, 6 თვეში ერთხელ მაინც; ანდა საკანონმდებლო აქტი, რომელიც ღუზებისა და ბაგირების სავალდებულო შემოწმებას მოითხოვდა. ასეთი საკანონმდებლო ზომები უბრალოდ პასუხობდა ინდუსტრიული ცივილიზაციის საჭიროებებს, რომელთაც საბაზრო მეთოდები უბრალოდ ვერ აკმაყოფილებდა. აღნიშნული ინტერვენციების უმეტესობას არ მოუხდენია პირდაპირი გავლენა შემოსავლებზე და არაპირდაპირ გავლენასაც ძლივს ახდენდა. ეს

შეეხება თითქმის ყველა კანონს რომელიც დაკავშირებული იყო ჯანდაცვასთან, შინა მეურნეობებთან, საზოგადოებრივ კეთილ-მოწყობასთან, ბიბლიოთეკებთან, საწარმოში სამუშაო პირობებ-თან და სოციალურ დაზღვევასთან. იგი ასევე შეეხებოდა კომუ-ნალურ მომსახურებებს, განათლებას, ტრანსპორტს და უამრავ სხვა საკითხს. და იმ საკითხებშიც კი, სადაც ფული ფიგურირებ-და, იგი მეორეხარისხოვანი იყო სხვა ასპექტებთან შედარებით. თითქმის ყოველთვის, პირველ რიგში, საუბარი მიდიოდა ადა-მიანის პროფესიულ სტატუსზე, მის უსაფრთხოებასა და დაცუ-ლობაზე, მის მომავალზე, მისი არსებობის გააზრებასა და მისი გარემოს სტაბილურობაზე. რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვე-ვაში არ უნდა დავაკნინოთ ზოგიერთი ტიპური ინტერვენციის მონეტარული მნიშვნელობა, როგორიცაა საბაჟო მოსაკრებლები თუ დასაქმებულთა ანაზღაურება. თუმცა, ასეთ სიტუაციებშიც კი რთული იყო არამონეტარული ინტერესების მონეტარულისა-გან გამიჯვნა. საბაჟო მოსაკრებლები, რომელიც უზრუნველყოფ-და კაპიტალისტების შემოსავალსა და დასაქმებულის ხელფასს, საბოლოო ჯამში, გულისხმობდა უმუშევრობისაგან დაცვას, რე-გიონში პირობების დასტაბილურებას, ინდუსტრიების გადარჩე-ნას ლიკვიდაციისაგან და, შესაძლოა ყველაზე მეტად, სტატუსის მტკივნეული დაკარგვის თავიდან არიდებას, რომელიც აუცილე-ბლად თან ახლავს ისეთ სამსახურში გადასვლას, სადაც ადამია-ნისაგან გაცილებით უფრო ნაკლები უნარი და გამოცდილება მოითხოვება, ვიდრე ის ამჟამად ფლობს.

როგორც კი თავიდან მოვიშორებთ აკვიატებას, რომ მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინტერესები შეიძლება იყოს ეფექტიანი (და არავითარ შემთხვევაში ზოგადი), ისევე როგორც მის „მოძმე" ცრურწმენას, რომლის მეშვეობითაც ადამიანთა ჯგუფების ინტე-რესები მხოლოდ და მხოლოდ ფულად შემოსავლამდე დაგვყავს, პროტექციონისტული მოძრაობის მასშტაბურობა და კომპლექსუ-რობა მისტიკურობას კარგავს. თუკი ფულად ინტერესებს უშუა-ლოდ ის ადამიანები ახმოვანებენ ხოლმე, ვისაც ის ეხება, სხვა ინტერესებს დამცველთა გაცილებით უფრო ფართო წრე ჰყავს.

ისინი უამრავი სხვადასხვა ნიშნით ახდენენ ზეგავლენას ადამიანებზე, როგორც მეზობლებზე, პროფესიონალებზე, მომხმარებლებზე, ფეხით მოსიარულეებზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებზე, სპორტსმენებზე, მოგზაურებზე, მებაღეებზე, პაციენტებზე, დედებსა თუ პარტნიორებზე – და შესაბამისად, შეუძლიათ, რომ წარმოდგენილნი იყვნენ თითქმის ნებისმიერი ტიპის ტერიტორიული თუ ფუნქციონალური ასოციაციის მიერ, როგორიცაა ეკლესიები, მცირე ადმინისტრაციული ერთეულები, საძმოთა ლოჟები, კლუბები, პროფკავშირები ანდა ყველაზე ხშირად დიდი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წესების მკაცრი დაცვით ფუნქციონირებენ. „ინტერესის" ზედმეტად ვიწრო გაგებას აუცილებლად მოჰყვება ხოლმე სოციალური და პოლიტიკური ისტორიის დამახინჯებული გაგება, ხოლო ინტერესების წმინდა წყლის მონეტარული განსაზღვრება აღარ ტოვებს სივრცეს სოციალური დაცვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებისათვის, რომლის რეპრეზენტაციაც ხშირად იმ ადამიანებზე მოდის, ვინც პასუხისმგებელია საზოგადოების ზოგადი ინტერესების დაცვაზე – თანამედროვე გაგებით, კონკრეტულ სახელმწიფოში იმჟამად არსებულ მთავრობაზე. ზუსტად იმის გამო, რომ ბაზარი ემუქრებოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის არა ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ინტერესებს, სხვადასხვა ეკონომიკურ ფენას მიკუთვნებულმა ადამიანებმა დაიწყეს ძალების გაერთიანება საფრთხესთან გასამკლავებლად.

ამგვარად, კლასობრივი ძალების საქმიანობა თან ხელს უწყობდა ბაზრის განვითარებას და თან ხელს უშლიდა მას. საბაზრო სისტემის შესაქმნელად მექანიზებული წარმოების საჭიროების გათვალისწინებით, ერთადერთი ვაჭართა კლასი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც შეეძლო, რომ ტრანსფორმაციის ამ ადრეულ ეტაპზე წინამძღოლობა საკუთარ თავზე აეღო. ძველი კლასების ნაშთებიდან მეწარმეთა ახალი კლასი აღმოცენდა, რომელსაც სურდა საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა პროცესების მიმდინარეობაზე, რომელიც თანხმობაში მოვიდოდა თავისი კლასის ინტერესებთან. თუკი ბაზრის გაფართოების

მოძრაობაში მათი წამყვანი როლის შედეგი იყო მწარმოებელთა, მეწარმეთა და კაპიტალისტთა აღზევება, მაშინ ბაზრისაგან დაცვის ტვირთი მოდიოდა ტრადიციულ მიწათმფლობელთა და ახლადწარმოქმნილ მუშათა კლასზე. და თუკი ვაჭართა საზოგადოებაში სწორედ კაპიტალისტები იყვნენ ისინი, ვინც საბაზრო სისტემის სტრუქტურული პრინციპების სადარაჯოზე იდგნენ, არსებული სოციალური ქსოვილის თავგადაკლული დამცველების როლში, ერთი მხრივ, ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილი, მეორე მხრივ კი, მზარდი მშრომელი პროლეტარიატი მოგვევლინა. თუმცა, თუ მიწათმფლობელთა კლასი ყოველგვარი უბედურებისაგან თავის დახსნის გზას წარსულში ეძებდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მუშები, გარკვეული თვალსაზრისით, იდგნენ პოზიციაზე, რომელიც გულისხმობდა საბაზრო საზოგადოების ჩარჩოებს მიღმა გასვლას და სიტუაციიდან გამოსავლის მომავალში მონახვას. ეს სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ ფეოდალიზმში დაბრუნება ანდა სოციალიზმის საჯაროდ ქადაგება შედიოდა მათ სამოქმედო გეგმაში, თუმცა ამით კარგად ჩანს, რომ მიწათმოქმედები და ქალაქში მცხოვრები მუშათა კლასი საგანგებო მდგომარეობიდან გამოსავალს ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ მიმართულებებში ხედავდა. თუკი საბაზრო ეკონომიკა გამოვიდოდა მწყობრიდან, რის საფრთხესაც ყოველი მომდევნო სერიოზული კრიზისი ქმნიდა, მიწათმფლობელთა კლასი შესაძლოა დაბრუნებოდა პატერნალიზმის სამხედრო თუ ფეოდალურ რეჟიმს, ხოლო ფაბრიკის მუშები დაინახავდნენ მშრომელთა კოოპერატიული ერთობის დაფუძნების საჭიროებას. კრიზისზე „რეაქციებში" შესაძლებელია იმის დანახვა, რომ სიტუაციიდან გამოსავლის გზები ურთიერთგამომრიცხავი იყო. კლასობრივი ინტერესების უბრალო შეჯახება, რომელიც განსხვავებულ გარემოებებში შესაძლოა კომპრომისით დასრულებულიყო, ახლა ფატალურ მნიშვნელობას იძენდა.

ეს ყოველივე კი უნდა მივიღოთ გაფრთხილებად, რომ ისტორიის განმარტებისას ზედმეტად არ უნდა დავეყრდნოთ ამა თუ იმ კლასის ეკონომიკურ ინტერესებს. ასეთი მიდგომა საფუძველ-

შივე გულისხმობს აღნიშნული კლასების ისეთ გაგებას, რომელიც შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ ურღვევ საზოგადოებაშია. იგი მხედველობიდან სრულად გამოტოვებს ისტორიის ისეთ კრიტიკულ მონაკვეთებს, როდესაც ცივილიზაცია ინგრევა ანდა როდესაც იგი ტრანსფორმაციას გადის, რომლის დროსაც, როგორც წესი, ახალი კლასები იწყებენ ფორმირებას, ზოგჯერ საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში, ძველი კლასების ნანგრევებზე ანდა უცხო ელემენტების მიერ, როგორებიც არიან უცხოელი ავანტიურისტები ან საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანები. ხშირად, ისტორიის კრიტიკულ მომენტებში, ახალი კლასების ფორმირება უბრალოდ იმ ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხდება. საბოლოო ჯამში, ამიტომაცაა რომ კლასის როლი ამ დრამატულ ისტორიაში განისაზღვრება მისი ურთიერთობით საზოგადოებასთან როგორც ერთ მთლიანობასთან; ხოლო მისი წარმატებულობა განისაზღვრება არა თავისი, არამედ სხვათა ინტერესების მრავალფეროვნებითა და მასშტაბურობით, განსხვავებით საკუთარი ინტერესებისა, რომლისათვის სამსახურის გაწევაც მას ძალუძს. მართლაც, არანაირ ვიწრო კლასობრივ ინტერესზე დამყარებულ პოლიტიკას არ შესწევს ძალა, რომ ეს ინტერესი დააკმაყოფილოს – ამ წესიდან გამონაკლისი კი სულ თითზე ჩამოსათვლელია. არც ერთ კლასს, რომელიც დაუფარავად „ეგოისტია“, არ ძალუძს საზოგადოებაში საკუთარი პოზიციების გამყარება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი არსებული სოციალური წესრიგის ალტერნატივას აბსოლუტურ ქაოსსა და დესტრუქციაში დანთქმა არ წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ე.წ. კოლექტივისტური შეთქმულებისათვის ბრალის თავისუფლად წაყენება შეძლონ, ეკონომიკურ ლიბერალებს, საბოლოო ჯამში, უწევთ უარყოფა, რომ საზოგადოებას რაიმე სახის დაცვის საჭიროება უდგას. არც ისე დიდი ხნის წინ, ისინი ხმაურიანად მიესალმნენ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებებს, რომლებიც უარყოფდნენ ინდუსტრიული რევოლუციის ტრადიციულ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც, 1790-იან წლებში, ინგლისში, მუშათა კლასს კატასტროფული უბედურება

დაატყდა თავს. ამ ავტორთა მოსაზრებების მიხედვით, ბუნებაში არ მომხდარა ასეთი რამ, რომ თითქოს ცხოვრების სტანდარტების მოულოდნელ გაუარესებას უზარმაზარი გავლენა მოეხდინოს უბრალო ხალხზე. პირიქით, ქარხანათა სისტემის შექმნის შემდეგ დასაქმებულთა მატერიალური მდგომარეობა საერთო ჯამში გაუმჯობესდა, ხოლო რაც შეეხება მის რაოდენობას, ვერავინ უარყოფდა რომ ეს მაჩვენებელი უცბად გაიზარდა. საყოველთაოდ მიღებული ეკონომიკური კეთილდღეობის სტანდარტების მიხედვით – რეალური ხელფასი და მოსახლეობის რაოდენობა – ადრეული კაპიტალიზმის მიერ დატრიალებულ ჯოჯოხეთს, მათი მტკიცებითა, ბუნებაში არ უარსებია; მუშათა კლასი, რომელთა მდგომარეობაც ექსპლუატაციისაგან შორს იდგა, ეკონომიკურად ძლიერდებოდა და სოციალური დაცვის მოთხოვნა იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ყველას ხელს აძლევდა, ცალსახად შეუძლებელი იყო.

ლიბერალური კაპიტალიზმის კრიტიკოსები საგონებელში იყვნენ ჩაცვენილები. თითქმის 70 წლის განმავლობაში, მეცნიერები და სამეფო საბჭოები ერთხმად აძაგებდნენ ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეულ საშინელებებს, ხოლო პოეტების, მოაზროვნეებისა და მწერლების მთელი გალაქტიკა იღვწოდა იმისათვის, რომ აღნიშნული უბედურებები აღეწერათ. ითვლებოდა, რომ დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გულქვა ექსპლუატატორები ხალხთა მასებს წელში წყვეტდნენ შრომითა და შიმშილით, მათივე უმწეობის გამო; რომ შეზღუდვებმა სოფლად მცხოვრები ადამიანები საკუთარი სახლებისა და მოსავლის გარეშე დატოვა და გაუყენა სიღარიბის კანონის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი დასაქმების ბაზრის გზას; ხოლო მასების გაღატაკების საზარელ მტკიცებულებას წარმოადგენდა ტრაგედიები, რომლებიც პატარა ბავშვებს ატყდებოდათ თავს, რომელთაც ხშირად სულის ამოხდამდე უწევდათ მუშაობა მაღაროებსა და ქარხნებში. მართლაც, ინდუსტრიული რევოლუციის საყოველთაოდ ცნობილი ინტერპრეტაცია ეფუძნებოდა ექსპლუატაციის ახალ ტალღას, რომელიც შესაძლებელი გახდა მე-18

საუკუნის შეზღუდვებისა და დაბალი გადასახადების მეშვეობით, რომელსაც უსახლკარო მუშებს უხდიდნენ, რითაც აიხსნება თუ როგორ ნახა უზარმაზარი მოგება ბამბის ინდუსტრიამ, ანდა როგორ შეძლეს თავდაპირველმა მწარმოებლებმა კაპიტალის სწრაფი დაგროვება. მათ ბრალი ედებოდათ ექსპლუატატორობაში, თავიანთი თანამოქალაქეების უკონტროლო ექსპლუატაციაში, რაც წარმოადგენდა ადამიანთა ასეთი უბედურებისა და დაკნინების მთავარ მიზეზს. ახლა კი, როგორც ჩანს, ეს ყოველივე უარყოფილი იქნა. ეკონომიკის ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შავი ღრუბელი, რომელიც საწარმოო სისტემის ცაზე იყრიდა თავს გასული ათწლეულების განმავლობაში, გაფანტულია. ვინაიდან, როგორ შეიძლებოდა, რომ სოციალური კატასტროფა მომხდარიყო იქ, სადაც ცალსახად ეკონომიკურ წინსვლას ჰქონდა ადგილი?

სხვათა შორის, სოციალური კატასტროფა, მკვეთრად ზოგადკულტურული ფენომენია, და არა სუფთად ეკონომიკური, რომლის გაზომვაც შესაძლებელი იქნებოდა შემოსავლების ოდენობისა და მოსახლეობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებით. ბუნებრივია, შეუძლებელია, რომ ხშირად მოხდეს კულტურული კატასტროფები, რომელიც უბრალო ადამიანების ფართო წრეს მოიცავს; თუმცა, ამავდროულად, არც ისეთი კატაკლიზმური მოვლენები – როგორიც ინდუსტრიული რევოლუცია იყო – გახლავთ ეკონომიკური მიწისძვრა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე უფრო ნაკლებ ხანში შეძლებს, რომ ინგლისის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადგილზე დაფუძნებული ადამიანებიდან დაუცველ მიგრანტებად აქციოს. მაგრამ, თუკი ასეთი მასშტაბის კატაკლიზმები გამონაკლისს წარმოადგენს კლასთა ისტორიაში, იგი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა რასის ხალხთა შორის კულტურული კონტაქტის სფეროში. არსებითად, ეს სიტუაციები ერთმანეთის მსგავსია. მთავარი განსხვავება ისაა, რომ სოციალური კლასი შედგება საზოგადოების ნაწილისაგან, რომელიც ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალშია განსახლებული, ხოლო კულტურული

კონტაქტი მიმდინარეობს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში განსახლებულ საზოგადოებებს შორის. ორივე შემთხვევაში, კონტაქტს შესაძლოა გამანადგურებელი შედეგი ჰქონდეს უფრო სუსტ მხარეზე. დეგრადაციის გამომწვევი მიზეზი კი არის არა ეკონომიკური ექსპლუატაცია, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე, არამედ მსხვერპლის კულტურული გარემოსთან დეზინტეგრაცია. ეკონომიკურმა პროცესმა, რა თქმა უნდა, შეიძლება დესტრუქციის ინსტრუმენტის როლი შეასრულოს, და თითქმის ყოველთვის ეკონომიკური უპირატესობა სუსტ მხარეს ხდის იძულებულს რომ ფარ-ხმალი დაყაროს, თუმცა აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ უბედურების მთავარ მიზეზს ეკონომიკური ხასიათი აქვს; მისი უბედურების მთავარი წყარო ის სასიკვდილო ჭრილობაა, რომელიც მიყენებული აქვს ინსტიტუტებს, სადაც მისი სოციალური არსებობა განსხეულდება. ამის შედეგი კი საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვა და დამკვიდრებული ნორმების მოშლაა, იმის მიუხედავად, აქ ხალხზე ვისაუბრებთ თუ კლასზე, აღნიშნული პროცესი კი ე.წ. კულტურული კონფლიქტიდან წარმოიშობა თუ საზოგადოების ფარგლებში კლასობრივი პოზიციის შეცვლიდან.

ადრეული კაპიტალიზმის შესწავლისათვის პარალელების გაკეთება ძალზედ მნიშვნელოვანია. ზოგიერთი ადგილობრივი ტომის მდგომარეობა თანამედროვე აფრიკაში გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ინგლისში მშრომელთა კლასის მდგომარეობას მე-19 საუკუნის დასაწყისში. სამხრეთ აფრიკელი კაფრი, ეს დიადი ველური, რომლის მსგავსი სოციალური მდგომარეობაც მის მშობლიურ კრაალში არავის ჰქონია, ტრანსფორმირდა ნახევრად მოშინაურებული ცხოველის ადამიანურ სახეობად, რომელიც გამოწყობილია „ერთმანეთთან დაუკავშირებელ, ბინძურ, შეუხედავ ძონძებში, რომელსაც ყველაზე უფრო განუვითარებელი თეთრკანიანიც კი არ ჩაიცვამდა“[1], ენით აღუწერელ არსებად, საკუთარი თავისადმი ყოველგვარი პატივისცემისა და სტანდარტების არმქონე, ჭეშმა-

[1] Millin, Mrs. S. G., The South Africans, 1926.

რიტ ადამიანურ ნარჩენად. ეს აღწერა მოგვაგონებს პორტრეტს, რომელიც რობერტ ოუენმა აღწერა თავისივე თანამშრომლებზე საუბრისას, როდესაც ნიუ ლანარკში მათ მიმართავდა, თვალებში უყურებდა მათ და ეუბნებოდა ობიექტურად და ცივსისხლიანად, თითქოს სოციალური მკვლევარი აკეთებდა ჩანაწერებს, რომ ისინი იქცნენ დეგრადირებულ ბრბოდ, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა; ხოლო მათი დეგრადაციის ჭეშმარიტი მიზეზის საუკეთესო აღწერა ისაა, რომ ისინი არსებობდნენ „კულტურულ ვაკუუმში". ეს ტერმინი ერთ-ერთმა ანთროპოლოგმა გამოიყენა, როდესაც თეთრკანიანთა ცივილიზაციასთან კონტაქტის შედეგად აფრიკის შავკანიანი მამაცი ტომების კულტურულ დაკნინებაზე საუბრობდა[1]. მათი საომარი ოსტატობა დაღმავლობის გზას დაადგა, მათი არსებობის პოლიტიკური და სოციალური პირობები განადგურდა, რივერის ცნობილი ფრაზა რომ გამოვიყენოთ, ისინი იხოცებოდნენ მოწყენილობით, ხოლო თავიანთ ცხოვრებასა და მატერიალურ კეთილდღეობას ფლანგავდნენ. მაშინ, როდესაც თავიანთი კულტურა არავითარ მიზანს აღარ სთავაზობს, რომელიც ძალისხმევის ან მსხვერპლის გაღებად ღირს, ამ დროს რასობრივი სნობიზმი და წინასწარგანწყობები წინ ეღობებათ მათ, რომ ადეკვატური მონაწილეობა მიიღონ თეთრკანიანი დამპყრობლების კულტურის შექმნაში[2]. ჩავანაცვლოთ სოციალური ზღუდე რასობრივი ზღუდით და მივიღებთ 1840-იანი წლების ორ ერს, სადაც კაფრი წარმატებულად ჰყავს ჩანაცვლებული კინგსლის ნოველების აქეთ-იქეთ მოლასლასე ჯურღმულების მცხოვრებს.

მასაც კი, ვინც მზადაა დაეთანხმოს მოსაზრებას, რომ კულტურულ სიცარიელეში ცხოვრება ყველაფერია ცხოვრების გარდა, მაინც აქვს მოლოდინი, რომ ეკონომიკური საჭიროებები ავტომატურად ამოავსებს აღნიშნულ სიცარიელეს და ცხოვრებას ასატანს გახდის, რა პირობებიც არ უნდა არსებობდეს. ამ მოსაზრებას მკვეთრად ეწინააღმდეგება ანთროპოლოგიური

---

1 Goldcnweiscr, A., A11thropology, 1937.

2 Goldcnweiser, A. , იქვე

კვლევების შედეგები. „მიზანი, რომლისთვისაც ადამიანი მზადაა იმუშაოს, კულტურულად განპირობებულია და არ წარმოადგენს ორგანიზმის საპასუხო რეაქციას გარეგან, კულტურულად ამოუცნობ სიტუაციაზე, როგორიცაა საკვების სიმწირე,"- წერს დოქტორი მიდი. „პროცესი, რომლის შედეგადაც ველურთა ჯგუფი გადაიქცევა ოქროს მომპოვებლად ან გემის ეკიპაჟად ანდა უბრალოდ განიძარცვება ძალისხმევის გაღების ყოველგვარი მოტივაციისაგან და სასიკვდილოდ იქნება მიტოვებული მდინარის ნაპირზე, რომელიც ჯერ კიდევ სავსეა თევზით, იმდენად უცნაური და უცხო იქნება საზოგადოების ბუნებისა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის რომ პათოლოგიურად შეიძლება იქნას განხილული," – აღნიშნავს ის და განავრცობს – „როგორც წესი, სწორედ ეს ემუქრება ხალხს გარედან ძალადობით შემოტანილ ან სულ მცირე უბრალოდ გარედან შემოტანილი ცვლილებების პირობებში." მისი დასკვნით კი, „ეს უხეში კონტაქტი, პირველყოფილი ადამიანებისა საკუთარი ფესვებიდან მოგლეჯის ეს პრაქტიკა ზედმეტად ხშირია საიმისოდ, რომ სოციალურ ისტორიაში სათანადო სერიოზული ყურადღების დათმობას არ იმსახურებდეს."

მიუხედავად ამისა სოციალური ისტორიკოსები ამ რჩევას არ ითვალისწინებენ. ისინი კვლავაც არ უსწორებენ თვალს იმას, რომ კულტურული კონტაქტის სტიქიური ძალა, რომელიც ახლა კოლონიურ სამყაროში რევოლუციებს ახდენს, არის იგივე, რომელმაც ერთი საუკუნის წინ ადრეული კაპიტალიზმის ავბედითი სცენები შექმნა. ერთ-ერთი ანთროპოლოგი[1] ზოგად დასკვნას აკეთებს: „მიუხედავად უამრავი განსხვავებისა, საფუძველში თუ ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ დღეს ეგზოტიკური ხალხი იმავე უსიამოვნო სიტუაციების წინაშეა, რომლის წინაც ჩვენ ათწლეულების თუ საუკუნეების წინ ვიდექით. ახალმა ტექნიკურმა მოწყობილობებმა, ახალმა ცოდნამ, სიმდიდრისა და ძალაუფლების ახალმა ფორმებმა გაზარდეს სოციალური მობილობა, ე.ი. ინდივიდთა

[1] Thurnwald, R. C., Black and White in East Africa; The Fabric of a New Civilization, 1935.

მიგრაცია, გამოიწვიეს ოჯახების აღზევება და დაცემა, ჯგუფების დიფერენცირება, ლიდერობის ახალი ფორმები, ცხოვრების ახალი მოდელები და განსხვავებული ღირებულებები". თურნუალდის გამჭრიახმა გონებამ დაინახა, რომ შავკანიანთა საზოგადოების კულტურული კატასტროფა დღეს ძალზედ წააგავს თეთრკანიანთა საზოგადოების დიდი ნაწილის კატასტროფას კაპიტალიზმის ადრეულ ეპოქაში. სოციალურ ისტორიკოსებს კი ეს ანალოგია სრულიად გამორჩენილი აქვთ თვალთახედვიდან.

ჩვენს სოციალურ ხედვას ისე ეფექტურად ვერაფერი უშლის ხელს, როგორც ცრურწმენები ეკონომიკასთან დაკავშირებით. კოლონიურობის პრობლემის ანალიზისას პირველ პლანზე იმდენად დაჟინებით გადმოიწევს ექსპლუატაციის საკითხი, რომ ის განსაკუთრებული ყურადღების დათმობას იმსახურებს. გარდა ამისა, ელემენტარული საღი აზრიც კი საკმარისია მისახვედრად, რომ თეთრკანიანები იმდენად ხშირად და ისეთი დაჟინებითა და დაუნდობლობით ახდენდნენ მსოფლიოს ჩამორჩენილ ხალხთა ექსპლუატაციას, რომ კოლონიურობის პრობლემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დისკუსიაში ამ საკითხმა თუ მთავარი ადგილი არ დაიკავა, ეს უბრალოდ სრული გულგრილობისა და უგუნურების ნიშანი იქნება. თუმცა, ექსპლუატაციაზე ასეთი დიდი აქცენტის დასმა არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ ჩვენ მხედველობიდან გვრჩება კულტურული დეგრადაციის კიდევ უფრო სერიოზული საკითხი. თუკი ექსპლუატაცია განისაზღვრება წმინდა წყლის ეკონომიკური გაგებით როგორც მუდმივი შეუსაბამობა გაცვლით ურთიერთობებში, შესაძლოა საერთოდ საეჭვო გახდეს მისი არსებობის საკითხი. კატასტროფა, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებებს დაატყდათ თავს, გახლდათ პირდაპირი შედეგი მსხვერპლთა ინსტიტუციების დაჩქარებული და ძალადობრივი მორღვევის (იმის მიუხედავად, ძალა გამოყენებული იყო თუ არა ამ პროცესში, რაც ამ შემთხვევაში, საერთოდ არარელევანტური საკითხია). აღნიშნული ინსტიტუტების მორღვევა მოხდა ზუსტად იმის გამო, რომ საბაზრო ეკონომიკა თავსმოხვეული იქნა აბსოლუტურად განსხვავებულად ორგანიზებულ საზოგადოებე-

ბზე; შრომა და მიწა იქცა საქონლად, რაც, კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ორგანულ საზოგადოებაში ყველანაირი კულტურული ინსტიტუციის ლიკვიდაციის გამარტივებული ფორმულა გახლავთ. ასეთ პროცესში შემოსავლებსა და მოსახლეობის რაოდენობას შორის ცვლილებები არათანაზომიერია. მაგალითად, ვინ გაბედავს უარყოს, რომ ადამიანები, რომლებიც თავისუფლები იყვნენ, მონობაში ჩართეს ძალით და დაიწყო მათი ექსპლუატაცია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრების სტანდარტი, რაღაცა „ხელოვნური“ გაგებით, შეიძლება მართლაც უკეთესი იყო იმ ქვეყანაში, სადაც ისინი გაყიდეს, ვიდრე მათ მშობლიურ აფრიკულ ბუშებში? თუმცა, დიდად არც არაფერი შეიცვლებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროპელი დამპყრობლები ადგილობრივებს არ დაიმონებდნენ და ბამბის იაფფასიან პროდუქციაში ზედმეტი საფასურის გადახდას არ მოსთხოვდნენ, ხოლო მათი შიმშილი გამოწვეული იქნებოდა „უბრალოდ“ მათი სოციალური ინსტიტუტების მორღვევით.

გავიხსენოთ ინდოეთის ცნობილი მაგალითი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინდოელთა მასები სიღარიბისაგან იმის გამო არ დახოცილან, რომ ლანკაშირი მათ ექსპლუატაციას ეწეოდა; ბევრი მათგანი იხოცებოდა იმის გამო, რომ ინდური სოფლის საზოგადოებამ ჩამოშლა დაიწყო. ეჭვს არ ბადებს, რომ ეს ყოველივე ეკონომიკური კონკურენციის ფაქტორის მუდმივმა არსებობამ გამოიწვია, კერძოდ კი, დაზგაზე დამზადებული ჩადდარები გაცილებით უფრო იაფი ღირდა, ვიდრე ხელით ნაქსოვი; თუმცა, ეს ხომ პირდაპირ ეკონომიკური ექსპლუატაციის საპირისპირო რამეზე მეტყველებს, ვინაიდან დემპინგი და დაკლებულ ფასად გაყიდვა ორი აბსოლუტურად განსხვავებული რამეა. ბოლო 50 წლის განმავლობაში შიმშილობის რეალური მიზეზი იყო მარცვლეულის თავისუფალ ბაზარზე გასაყიდად გატანა, ადგილობრივებში შემოსავლების მკვეთრი კლების პარალელურად. რა თქმა უნდა, ზოგად სურათს ასევე ართულებდა მარცვლეულის ცუდი მოსავალი, თუმცა რკინიგზის მეშვეობით მარცვლეულის გადაზიდვამ შესაძლებელი გახადა, რომ იმ ტერიტორიებს, რო-

მელსაც მოსავლის აღება უჭირდა, გარკვეული დახმარება მიეღო; რეალური პრობლემა კი ის იყო, რომ ხალხს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ მარცვლეული ცაში გატყორცნილ ფასად ეყიდა, რაც თავისუფალ, თუმცა არასრულად ორგანიზებული ბაზრის პირობებში, პროდუქტების დეფიციტზე ერთადერთი გარდაუვალი რეაქციაა. წარსულში, მოუსავლიანობის პერიოდში, მცირე ზომის ადგილობრივი საწყობები გამოიყენებოდა ხოლმე, თუმცა დიდი ბაზრის გაჩენამ ასეთი საწყობების ფუნქციონირება გააჩერა ან საერთოდ გააქრო ისინი. ამიტომაც, შიმშილის პრევენციის მიღებულ ფორმად ახლა საზოგადოებრივი სამუშაოები იქცა, რომელიც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევდა, რომ პროდუქტები მკვეთრად მომატებულ ფასად შეეძინა. ამდენად, სამი თუ ოთხი შიმშილობა, რომელიც აჯანყების შემდგომ ბრიტანეთის მმართველობის პირობებში დაატყდა ინდოეთს იყო არა ექსპლუატაციის, არამედ უბრალოდ შრომისა და მიწის ახლებური საბაზრო ორგანიზების ბრალი, რამაც სოფლის ძველებური ყოფა გაანადგურა ისე, რომ მის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზე არც კი უფიქრია. მაშინ, როდესაც ფეოდალიზმის რეჟიმისა და სოფლის საზოგადოებების, სადიდგვაროვნო ვალდებულებების (noblesse oblige), გვაროვნული სოლიდარობებისა და მარცვლეულით ვაჭრობის რეგულირების მეშვეობით შიმშილობისაგან დაზღვევა ხერხდებოდა, ბაზრის მმართველობის პირობებში, თამაშის წესებიდან გამომდინარე, ხალხი უკვე ვეღარ ახერხებდა შიმშილით სიკვდილისაგან თავის დაცვას. ტერმინი „ექსპლუატაცია“ ცუდად აღწერს სიტუაციას, რომელიც საგანგაშო მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც East India Company-ის მონოპოლია აღმოიფხვრა და ის ინდოეთში თავისუფალმა ვაჭრობამ ჩაანაცვლა. მონოპოლისტების ხელში სიტუაცია მეტნაკლებად კონტროლის ქვეშ იყო, რაშიც წვლილი შეჰქონდა სოფლების არქაულ ორგანიზებას, რომელიც ასევე მოიცავდა მარცვლეულის თავისუფალ გავრცელებას, ხოლო თავისუფალი და თანასწორი ვაჭრობის პირობებში მილიონობით ინდოელი დაიღუპა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ინდოეთმა შესაძლოა მართლაც ნახა სარგებელი შორ

პერსპექტივაში, მაგრამ სოციალურად იგი დეზორგანიზდა და უბედურებისა და დეგრადაციისათვის იქნა განწირული.

შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე, რამდენიმე შემთხვევაში მაინც, ე.წ. კულტურული კონტაქტის დეზინტეგრაციის მექანიზმს სათავე ექსპლუატაციის საპირისპიროდ დაედო. ჩვენი დროის თანამედროვე ფინანსური სტანდარტებით თუ მივუდგებით, 1887 წელს, მიწების იძულებითი განაწილების შედეგად, ამერიკელმა ინდიელებმა ინდივიდუალურ დონეზე იხეირეს. თუმცა, აღნიშნულმა ზომამ ფაქტობრივად ფიზიკურად გაანადგურა მთელი რასა – რაც დღეისათვის შემონახული კულტურული დეგენერაციის ერთ-ერთი თვალში საცემი მაგალითია. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ჯონ კოლიერის მორალური უპირატესობის დამსახურებით, რომელიც დაჟინებით აკეთებდა აქცენტს მიწათმფლობელობის ტომობრივ ფორმებთან დაბრუნების აუცილებლობაზე, საწყისი მდგომარეობა აღდგა და შედეგად, დღესდღეობით, ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ ცოცხლად არის შემორჩენილი ჩრ. ამერიკელ ინდიელთა თემები; ეს სასწაული არა ეკონომიკური გაუმჯობესების, არამედ სოციალური რესტავრაციის დამსახურება იყო. დამანგრეველი კულტურული კონტაქტის შოკისმომგვრელი შედეგები კარგად არის ასახული 1890-იანი წლებისთვის პაუნების ტომის ხელებით თამაშის „სულების ცეკვის“ ვერსიის გაჩენის ამაღელვებელ ამბავში, რომელიც ზუსტად იმ დროს ვითარდებოდა, როდესაც ეკონომიკურმა პირობების გაუმჯობესებამ წითელკანიანი ინდიელების აბორიგენული კულტურა ანაქრონიზმად მონიშნა. მეტიც, ანთროპოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მოსახლეობის ზრდაც კი – რომელიც კიდევ ერთი ეკონომიკური მაჩვენებელია – არ გამორიცხავს კულტურული კატასტროფის შესაძლებლობას. მოსახლეობის ზრდის ბუნებრივი ტემპი შესაძლოა მართლაც იყოს ან კულტურული სიცოცხლისუნარიანობის ანდა კულტურული დეგრადაციის მაჩვენებელი. სიტყვა „პროლეტარის“ თავდაპირველი მნიშვნელობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ნაყოფიერებასა და მათხოვრობას, ამ ამბივალენტურობის არაჩვეულებრივი მაგალითია.

ეკონომისტური ცრურწმენა ერთდროულად იყო წყარო როგორც კაპიტალიზმის ადრეულ ეტაპზე ექსპლუატაციის მოუმწიფებელი თეორიისა, ასევე, არანაკლებ მოუმწიფებელი, თუმცა უფრო მეცნიერული მცდარი დოქტრინის, რომელიც უფრო მოგვიანებით საერთოდ უარყოფდა, რომ სოციალურ კატასტროფას ჰქონდა ადგილი. ისტორიის ამ და შედარებით უფრო გვიანდელი ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ლესე ფერის ეკონომიკის რეაბილიტაცია. ვინაიდან, თუკი ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებულ ეკონომიკას არავითარი უბედურება არ მოუტანია, მაშინ გამოდის, რომ პროტექციონიზმი იყო ის უპატიებელი დანაშაული, რის გამოც კაცობრიობამ თავისუფალი ბაზრის სიკეთეებით ვერ ისარგებლა. ახლა უკვე თავად ტერმინ „ინდუსტრიულ რევოლუციასაც“ კი ქედმაღლურად უყურებდნენ როგორც გაზვიადებულ იდეას იმისა, რაც სინამდვილეში ცვლილების ნელი პროცესი გახლდათ. აღნიშნული მეცნიერების თანახმად, ერთადერთი რაც მოხდა, იყო ის, რომ ტექნოლოგიური პროგრესის ძალები ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაქმნიდნენ ადამიანების ცხოვრებას; ცხადია, ამ ცვლილებების გამო ბევრმა ადამიანმა განიცადა ტანჯვა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს იყო მუდმივი განვითარებისა და უკეთესობისაკენ სვლის ერთი ამბავი. ეს სასიკეთო შედეგები ლამის გაუაზრებლად დადგა, ეკონომიკური ძალების ავტომატური ქმედებების დამსახურებით, რომლებიც მიუხედავად სულსწრაფი მხარეების მუდმივი ჩარევებისა, რომლებიც იმ მომენტისათვის გარდაუვალ სირთულეებს აზვიადებდნენ, კვლავაც განაგრძობდა ყველასთვის სასარგებლო საქმიანობას. აქედან დასკვნა, არც მეტი, არც ნაკლები, ის იყო, რომ ახალი ეკონომიკის მიერ საზოგადოებისათვის შექმნილი საფრთხეების უარყოფა უნდა მომხდარიყო. ინდუსტრიული რევოლუციის ეს შესწორებული ისტორია რომ მართლაც ფაქტებს ეფუძნებოდეს, მაშინ პროტექციონისტულ მოძრაობას არავითარი ობიექტური საფუძველი არ ექნებოდა, ხოლო ლესე ფერი თავიდან ბოლომდე გამართლებული იქნებოდა. სოციალური და კულტურული კატასტროფის ბუნებასთან დაკავშირებული ეს მატერიალური ცდო-

მილება განამტკიცებდა ლეგენდას, რომ ყოველგვარი უბედურება იმ ეპოქაში გამოწვეული იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის გზიდან გადახვევის გამო.

კიდევ ერთხელ განვმარტოთ რამდენიმე საკითხი: ე.წ. კოლექტივისტური მოძრაობის წყარო არ იყო ცალკე აღებული რომელიმე ერთი ჯგუფი თუ კლასი, თუმცა მასზე ცალსახად გავლენა იქონია მასში ჩართული კლასობრივი ინტერესების ბუნებამ. საბოლოო ჯამში, მოვლენების განვითარებას საზოგადოებრივი ინტერესები განსაზღვრავდა, მიუხედავად იმისა რომ ამა თუ იმ ინტერესის დაცვა – და ექსპლუატაცია! – კონკრეტულ სიტუაციებში საზოგადოების ერთ კონკრეტულ ნაწილს უფრო მიემართებოდა ხოლმე, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებას. ამიტომაც, გონივრული იქნება, თუკი პროტექციონისტული მოძრაობის აღწერისას ყურადღებას გავამახვილებთ არა კლასობრივ ინტერესზე, არამედ სოციალურ ინტერესებზე, რომელთაც ბაზარი საფრთხეს უქადდა.

საფრთხისშემცველი მომენტები განისაზღვრებოდა თავდასხმის მიმართულებებიდან გამომდინარე. კონკურენტულმა შრომის ბაზარმა სამუშაო ძალის მატარებელს, ადამიანს დაარტყა. თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა უმეტესწილად მსხვილ ინდუსტრიას უქმნიდა საფრთხეს, რომელიც დამოკიდებული იყო ბუნებაზე, კერძოდ კი აგროკულტურაზე. ოქროს სტანდარტი კი საფრთხეს წარმოადგენდა ისეთი მწარმოებელი ორგანიზაციებისათვის, რომელთა ფუნქციონირებაც დამოკიდებული იყო ფასთა ფარდობით მერყეობაზე. თითოეულ ამ სფეროში ბაზრები განვითარებული იყო, რაც მოიცავდა ფარულ საფრთხეს საზოგადოებისათვის, მათი არსებობის ამა თუ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ასპექტში.

შრომის, მიწისა და ფულის ბაზრის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ადვილია; თუმცა არც ისე იოლი საქმეა ერთმანეთისაგან გამიჯნო კულტურის ის სფეროები, რომელთა ბირთვსაც შესაბამისად აყალიბებენ ადამიანები, ბუნებრივი გარემო და მწარმოებე-

ლი ორგანიზაციები. ადამიანი და ბუნება კულტურულ სფეროში პრაქტიკულად ერთმანეთისაგან განუყოფელია; ხოლო მწარმოებელი საქმიანობის ფულადი ასპექტი თავს იჩენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ერთ საზოგადოებრივ ინტერესში, კერძოდ, ერის ერთიანობასა და თანხმობაში. ამდენად, თუკი ბაზრები შრომის, მიწისა და ფულის წარმოსახვითი საქონლისათვის განსხვავებული და გამიჯნული იყო, საფრთხეები, რომელთაც ისინი უქმნიდნენ საზოგადოებას, ასე მკაცრად არ იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი.

მიუხედავად ამისა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი 80 წლის (1834-1914) განმავლობაში, დასავლური საზოგადოების ინსტიტუციური განვითარების სქემა შესაძლოა ამ საფრთხის შემცველ მომენტებს ერთნაირად უდგებოდეს. რაზეც არ უნდა იყოს საუბარი – ადამიანი იქნება ეს, ბუნება თუ მწარმოებელი ორგანიზაცია – საბაზრო სისტემა საფრთხეს უქმნიდა თითოეულ მათგანს და ცალკეულ ჯგუფს თუ კლასს დაცვის საჭიროება ედგა. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი იყო განსხვავება, რომელიც არსებობდა დროის თვალსაზრისით ინგლისში, კონტინენტურ ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე პროცესებს შორის, საუკუნის მიწურულს პროტექციონისტულმა კონტრმოძრაობამ დასავლეთის ყველა ქვეყანაში ანალოგიური სიტუაცია შექმნა.

შესაბამისად, ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ ადამიანის, ბუნებისა და მწარმოებელი ორგანიზაციის დაცვის საკითხს – ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განვიხილავთ თავდაცვით მოძრაობას, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ახალი ტიპის მჭიდროდ შეკავშირებული საზოგადოება, რომელსაც, მიუხედავად ამისა, მაინც ემუქრებოდა სრული რღვევისა და ჩამოშლის საფრთხე.

თავი 14
ბაზარი და ადამიანი

შრომის სხვა ტიპის ცხოვრებისეული საქმიანობებისაგან გამიჯვნა და მისი დაქვემდებარება ბაზრის კანონებისათვის ნიშნავდა არსებობის ყოველგვარი ორგანული ფორმის განადგურებას და მათ ჩანაცვლებას სხვა ტიპის, ატომისტური და ინდივიდუალისტური მოწყობით.

აღნიშნული სისტემის განადგურებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კონტრაქტების თავისუფლების პრინციპის საყოველთაო დანერგვა. პრაქტიკაში, ეს ნიშნავდა არასაკონტრაქტო ორგანიზების ფორმების გაუქმებას ნათესაობაში, მეზობლობაში, პროფესიასა თუ რწმენაში, ვინაიდან იგი მოითხოვდა ერთგულებას ადამიანებისაგან და შესაბამისად, ზღუდავდა მის თავისუფლებას. აღნიშნული პრინციპისათვის „ჩაურევლობის“ წოდება, როგორც ეკონომიკურ ლიბერალებს სჩვეოდათ, უბრალოდ კონკრეტული სახის ჩარევისადმი ღრმად ჩაკირული წინასწარგანწყობის გამოხატულება გახლდათ, რომელიც უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ითვალისწინებდა ადამიანებს შორის არაფორმალური (არასაკონტრაქტო) ურთიერთობების მოშლას და მათი სპონტანური გარდაქმნისათვის ხელის შეშლას.

შრომის ბაზრის შექმნის ეს შედეგი თვალნათლივ ჩანს რეგიონებში, რომლებიც დღესდღეობით კოლონიებს წარმოადგე-

ნენ. ადგილობრივები იძულებულები არიან, რომ თავი ირჩინონ შრომის გაყიდვით. ეს კი ნიშნავს, რომ მათი ტრადიციული ინსტიტუტების განადგურება მოხდება და წინააღმდეგობა შეხვდება მათ გარდაქმნას, ვინაიდან, როგორც წესი, პრიმიტიულ საზოგადოებებში ინდივიდს შიმშილისაგან სიკვდილი არ ემუქრება, თუკი ანალოგიური საფრთხის წინაშე მთლიანად თემი არ დგას. მაგალითად, კაფრებში, მიწათა კრაალური სისტემის მიხედვით „სიღარიბის არსებობა თითქმის წარმოუდგენელია: ვისაც დახმარება სჭირდება, იგი მას აუცილებლად მიიღებს.“[1] არც ერთ ადამიანს კვაკიუტლის ტომიდან „არასდროს დამუქრებია შიმშილის საფრთხე“[2]. „საზოგადოებებში, სადაც საარსებო მინიმუმი უზრუნველყოფილია, არ არსებობს შიმშილი.“[3] გაჭირვებისაგან თავისუფლების პრინციპი თანაბრად იყო აღიარებული როგორც ინდიელთა სოფლებში, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპაშიც, თითქმის ყველა ტიპის სოციალური ორგანიზების ფორმაში, მე-16 საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე ჰუმანისტ ვივესის იდეები ღარიბებთან დაკავშირებით დავის საგანი გახდებოდა სორბონაში. სწორედ ინდივიდუალურ დონეზე შიმშილის საფრთხის არარსებობა გახლავთ ის, რაც პრიმიტიულ საზოგადოებას, საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებასთან შედარებით, რაღაც თვალსაზრისით, უფრო ჰუმანურსა და ნაკლებად ეკონომიურს ხდის. ისტორიის ირონია ისაა, რომ თეთრკანიანთა პირველი წვლილი შავკანიანთა ცხოვრებაში იყო მათთვის შიმშილის მათრახის გამოყენების გაცნობა. შესაბამისად, შეიძლებოდა კოლონისტებს გადაეწყვიტათ პურის ხეების გაჩეხა, რათა ხელოვნურად შეექმნათ საკვების დეფიციტი, ანდა ადგილობრივი ხალხებისათვის საბინაო გადასახადი დაეწესებინათ, რათა ეიძულებინათ ისინი, რომ საკუთარი შრომა გაეცვალათ. ნებისმიერ შემთხვევაში, დამდგარი

---

1 * Mair, L. P., An African People in the Twentieth Century, 1934.

2 Loeb, E. M., “ The Distribution and Function of Moneyin Early Society;’ in Essays in Anthropology, 1936.

3 Herskovits, M.J., The Economic Life of Primitive Peoples, 1 940.

შედეგი ძალიან წააგავდა ტიუდორთა მიერ მაწანწალათა ბრბოებისათვის დაწესებული შეზღუდვების შედეგებს. ევროპული ისტორიის XVI ასწლეულიდან ამ ბოროტებით აღსავსე ფიგურის, „უბატონო ადამიანის“ აფრიკულ ბუშებში გამოჩენის ისტორია ერთა ლიგის ერთ-ერთ ანგარიშში არის აღწერილი, თანმხლებ საშინელებებზე სათანადო აქცენტით[1]. გვიან შუა საუკუნეებში ადამიანის ასეთ ტიპს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების „ჯურღმულებში“ თუ შეხვდებოდით.[2] თუმცა, სწორედ ის გახლავთ მე-19 საუკუნის მიგრირებადი მშრომელის წინაპარი.[3]

თუმცა, იმას, რასაც თეთრკანიანი ადამიანი დღესდღეობით შორეულ ადგილებში პერიოდულად ახორციელებს პრაქტიკაში, ანუ როდესაც სოციალურ სტრუქტურებს ანადგურებს, რათა მათი განადგურების დროს გამოთავისუფლებული შრომითი ელემენტები აითვისოს, მე-18 საუკუნეში იმავეს უკეთებდა თეთრკანიან მოსახლეობას იმავე მიზნებით. სახელმწიფოს ჰობსისეული გროტესკული ხედვა – ადამიანი ლევიათანი, რომლის ვეებერთელა სხეულიც უთვალავი ადამიანური სხეულის სიმრავლისაგან შედგება – შრომის ბაზრის რიკარდოსეულმა კონცეფციამ დააკნინა როგორც ადამიანთა ცხოვრებისაგან შემდგარი ნაკადი, რომლის მდინარებასაც მათთვის ხელმისაწვდომი საკვების ოდენობა არეგულირებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული სტანდარტი, რომელსაც არც ერთი დასაქმებულის ხელფასი არ უნდა ჩამოსცილებოდა, აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებაში მოდიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებულის არჩევანი დავიდოდა იქამდე, რომ ან საჭმლის გარეშე დარჩენა უნდა აერჩია ანდა საკუთარი შრომის ბაზარზე გაყიდვა იმ ფასად, რა ფასადაც შეძლებდა. სხვათა შორის, ამით აიხსნება კლასიკოსი ეკონომისტების სრულიად აუხსნელი დუმილი იმაზე,

---

1 Thumwald, R. C., op. cit.

2 Brinkmann, C., ”Das soziale System des Kapitalismus:’ in Grundriss der Sozialo kon omik, 1924.

3 Toynbee, A., Lectures on the Industrial Revolution, 1887, p. 98.

თუ რატომ მიიჩნევა, რომ შიმშილის სახით სასჯელის დაწესებას შეუძლია ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის შექმნა და არა მაღალი ხელფასით დაჯილდოებას. აქ, კიდევ ერთხელ ხდება აქტუალური კოლონიური გამოცდილება. ადგილობრივი მოსახლეობის შემთხვევაში, რაც უფრო მაღალი იყო ანაზღაურება, მით უფრო ნაკლები იყო სტიმული ძალისხმევის გასაღებად, რადგან თეთრკანიანი ადამიანისაგან განსხვავებით, მათ მათი კულტურა არ აიძულებდა, რომ რაც შეიძლება ბევრი ფული ეშოვათ. ეს ანალოგია კიდევ უფრო გასაოცარი ხდება, როდესაც გავიაზრებთ, რომ ადრეული მუშებიც, რომელთაც სძულდათ ქარხანა, თავს დამცირებულად და ნაწამებად მიიჩნევდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, რომელიც ჩვენი თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, სამუშაოზე თანხმდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ფიზიკური განადგურების საფრთხე თუ არა, კორპორაციული სასჯელი მაინც ემუქრებოდა. ლიონელი მწარმოებლები მე-18 საუკუნეში დაჟინებით უჭერდნენ მხარს სამუშაოს დაბალ ანაზღაურებას ძირითადად სოციალური ხასიათის მქონე არგუმენტებზე მითითებით. [1] მათი მტკიცებით, მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი შრომისაგან წელგაწყვეტილი მუშა იტყვის უარს თავის თანამოაზრეებთან გაერთიანებაზე, რათა თავი დაიხსნას მონური მდგომარეობისაგან, რომლის პირობებშიც, მის ბატონს შეუძლია ნებისმიერი რამის გაკეთება აიძულოს. კანონით განსაზღვრული შრომის იძულება და რელიგიის დონეზე აყვანილი ბატონყმობა ინგლისში, აბსოლუტისტური შრომის პოლიტიკის სიხისტე კონტინენტურ ევროპაში და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკებში ისტორიის ადრეულ ეტაპზე დანერგილი „დაკონტრაქტებული“ შრომა გახლდათ წინაპირობა „მუყაითი მშრომელის“ ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, ამ პროცესმა საბოლოო ეტაპს „ბუნებისგან მოვლენილი სასჯელის“, შიმშილის ფართოდ გავრცელებით მიაღწია. შიმშილისაგან თავის დასაღწევად კი, საჭირო იყო აღმოფხვრი-

[1] Heckschcr, E. F., op. cit., Vol. II, p. 168.

ლიყო ორგანული საზოგადოება, რომელიც არ უშვებდა, რომ ადამიანს ეშიმშილა.

პირველ შემთხვევაში, საზოგადოების დაცვა მმართველ კლასზე მოდის, რომელსაც პირდაპირ შეუძლია, რომ თავს მოახვიოს საკუთარი სურვილები მას. თუმცა, ეკონომიკური ლიბერალები ზედმეტად იოლად ასკვნიდნენ, რომ ეკონომიკური მმართველების არსებობა სასარგებლო იყო, ხოლო პოლიტიკური მმართველების არა. მაგრამ, ადამ სმიტი ასე არ ფიქრობდა, როდესაც მიიჩნევდა, რომ ინდოეთში ბრიტანეთის პირდაპირმა მმართველობამ უნდა ჩაანაცვლოს დაქირავებული კომპანიის მეშვეობით მართვა. მისი მტკიცებით, პოლიტიკური მმართველების ინტერესები მართულებისას ემთხვეოდა, რომელთა გამდიდრებაც პირდაპირ გაზრდიდა სახელმწიფოს შემოსავლებსაც, ხოლო ვაჭართა ინტერესები ბუნებრივად წინააღმდეგობაში მოდიოდა მათი მომხმარებლების ინტერესებთან.

ობიექტური ინტერესების თუ პირადი მიდრეკილებების გამო ინგლისელ მიწათმფლობელებს უხდებოდათ უბრალო ადამიანების დაცვა ინდუსტრიული რევოლუციის ზეწოლისაგან. სპინჰემლენდის სისტემა წარმოადგენდა ერთგვარ თავდაცვით თხრილს ტრადიციული სასოფლო მოწყობისათვის, როდესაც ცვლილებათა ქარიშხალი წალეკვით ემუქრებოდა სასოფლო დასახლებებს და რომელიც, სხვათა შორის, აგროკულტურას უსარგებლო ინდუსტრიად ქცევას უქადდა. მათთვის დამახასიათებელი სიჯიუტით, ინდუსტრიული ქალაქების წინაშე ქედის მოხრაზე უარის თქმით, სკვაიერები აღმოჩნდნენ პირველები, ვინც მათ წინ აღუდგა ბრძოლაში, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთი საუკუნის განმავლობაში გასტანდა. თუმცა, მათ წინააღმდეგობას ამაოდ სულაც არ ჩაუვლია; მან თითქმის რამდენიმე თაობის განმავლობაში მოახერხა, რომ არსებული წყობა სრულად დანგრეულიყო, რითაც დრო მოიგო რომ საზოგადოება ბოლომდე გადაწყობილიყო. მომდევნო ორმოც წელში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენდა, პარლამენტის მიერ 1834 წელს მიღებული რეფორმის მეშვეობით, რომელიც სპინჰემლენ-

დის სისტემის მოშლას ისახავდა მიზნად, მიწათმფლობელებმა საწარმოებთან დაკავშირებული კანონებისაკენ მიმართეს წინააღმდეგობა. ეკლესია და ფეოდალები ხალხს ახლა უკვე ქარხანათა მფლობელების წინააღმდეგ ამხედრებდნენ, რომელთა გაბატონება მოასწავებდა იმას, რომ მთელი ყურადღება გადავიდოდა იაფი საკვების მოპოვებაზე, რაც ბუნებრივად შეუქმნიდა საფრთხეს ქირისა და საეკლესიო მეათედების გადახდას. მაგალითად, ოუსტლერი იყო „სასულიერო პირი, ტორი და პროტექციონისტი“ და მეტიც, იგი ფილანთროპიც გახლდათ. ასეთივე კონსერვატორული (ტორი) სოციალიზმის ინგრედიენტების სხვადასხვა კომბინაციის წარმომადგენლები იყვნენ ასევე სედლერი, საუთი და ლორდი შეფტსბერი. თუმცა, ფულადი შემოსავლების დაკარგვის საფრთხის წინათგრძნობა, რომელიც მათი მხარდამჭერების დიდ მასას აღძრავდა სამოქმედოდ, ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა: მანჩესტერელმა ექსპორტიორებმა მალევე დაიწყეს ხმამაღლა საუბარი დაბალ ანაზღაურებაზე, რაც ასევე გულისხმობდა დაბალ ფასს მარცვლეულზე – სპინჰამლენდის სისტემის გაუქმებამ და ქარხნების ზრდამ პრაქტიკულად შეამზადა ნიადაგი „მარცვლეულის კანონის“ მხარდამჭერი აგიტაციისათვის 1846 წელს. მიუხედავად ამისა, გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, აგროკულტურის მოშლამ ინგლისში მთელი ერთი თაობით გადაიწია. ამასობაში, დიზრაელმა სიღარიბის კანონის რეფორმის აქტის საწინააღმდეგო პროტესტს დააფუძნა კონსერვატორული სოციალიზმი, ხოლო ინგლისელმა კონსერვატორმა მიწათმფლობელებმა ინდუსტრიულ საზოგადოებაში ძალით დანერგეს ცხოვრების მოწყობის ახალი ფორმები. 1847 წელს მიღებული კანონი ათსაათიანი სამუშაო დღის შესახებ, რომელსაც მარქსი თავდაპირველად სოციალიზმის პირველ გამარჯვებად აღიქვამდა, რეაქციონერი განმანათლებლების დამსახურება იყო.

თავად მშრომელები ამ დიდ მოძრაობაში თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდნენ, რისი შედეგიც ის იყო, რომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ამ გარდამავალ პერიოდში მათ თავის გადარჩენა შეძლეს. მათი ბედის გადაწყვეტისას მათ ისევე ეთქმოდათ სიტყ-

ვა, როგორც შავკანიან მონებს, როცა ჰოკინსის ტვირთმზიდი გემის საპყრობილით მოჰყავდათ ისინი. თუმცა, სწორედ საკუთარი ბედის განკარგვის პროცესში ბრიტანული მუშათა კლასის მონაწილეობის ნაკლებობა გახდა გადამწყვეტი ფაქტორი ინგლისის სოციალური ისტორიის განვითარებაში და სწორედ მან აქცია ის კონტინენტური ევროპის ისტორიისაგან განსხვავებულად, დადებითი გაგებით ვიგულისხმებთ ამას თუ უარყოფითი.

დაბადების პროცესში მყოფი კლასის უმისამართო მღელვარებებში, ტლანქ მოძრაობებსა და უხეშ შეცდომებში, რომლის ჭეშმარიტი ბუნებაც ისტორიამ უკვე დიდი ხანია ყველას დაგვანახა, არის რაღაც თავისებურად სახასიათო. პოლიტიკურად, ბრიტანული მშრომელთა კლასი 1832 წლის საპარლამენტო რეფორმის საკანონმდებლო აქტმა განსაზღვრა, სადაც მათ უარი ეთქვათ ხმის მიცემის უფლების მინიჭებაზე; ეკონომიკურად – 1834 წელს მიღებულმა სიღარიბის კანონის რეფორმის აქტმა, რომელმაც ისინი შემწეობათა სისტემიდან გამორიცხა და ისინი პაუპერებისაგან გამიჯნა. შემდგომში, გარკვეული ხნის განმავლობაში, მუშათა კლასისათვის ბუნდოვანი იყო მომავალი, ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა ხსნა სოფლად ცხოვრებასა და ხელსაქმესთან დაბრუნებაში. სპინჰემლენდის სისტემის აღმოფხვრის შემდეგ ორი ათწლეულის განმავლობაში მათი ძალისხმევა მიმართული იყო სამანქანო დანადგარების თავისუფალი გამოყენების შეჩერებისაკენ, ხელოსანთა საკანონმდებლო აქტის შეგირდობასთან დაკავშირებული მუხლების პრაქტიკაში განხორციელების თუ პირდაპირი მოქმედების, ლუდიტური მოძრაობის მეშვეობით. ეს წარსულისაკენ მიმართული მზერა, შლეიფივით თან სდევდა მთელს ოუენისტურ მოძრაობას 40-იან წლებამდე, ვიდრე ათსაათიანი სამუშაო დღის კანონმა, ჩარტისტული მოძრაობის დაღმასვლამ და კაპიტალიზმის ოქროს ხანის დადგომამ ადამიანთა მეხსიერებიდან წარსული საბოლოოდ არ ამოშალა. მანამდე, დაბადების პროცესში მყოფი ბრიტანული მუშათა კლასი გამოცანად რჩებოდა თავის თავისთვისაც კი, ხოლო ზარალის დათვლა, რომელიც ინგლისს მიადგა ერის ცხოვრებიდან მუშათა კლასის

გამოთიშვით, შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაშია თუკი თვალს გავადევნებთ იმ სანახევროდ გაუცნობიერებელ პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ. როდესაც ოუენიზმმა და ჩარტიზმმა საკუთარი თავი ამოწურეს, აღნიშნული პროცესის შედეგად, ინგლისი კიდევ უფრო გაღარიბდა და დაკარგა ის ბაზისი, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა მომავალში თავისუფალი საზოგადოების ანგლო-საქსური იდეალის შესაქმნელად.

ოუენისტურ მოძრაობას მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური ხასიათის არც თუ მნიშვნელოვანი ქმედებები რომ მოჰყოლოდა, უკვე საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ ინგლისელი ერის შემოქმედებითი წარმოსახვის მონუმენტად ქცეულიყო. ხოლო ჩარტიზმი იმ ბირთვის საზღვრებს რომ არც გასცდენოდა, რომლის ფარგლებშიც დაიბადა „ეროვნული დღესასწაულის“ როგორც ადამიანის უფლების იდეა, იგი მაინც დაგვანახებდა, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ შეეძლოთ ოცნება და კარგადაც ხვდებოდნენ იმ საზოგადოების ფასს, რომელმაც ადამიანური სახე დაკარგა. თუმცა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. არც ოუენიზმი გამხდარა უმნიშვნელო დროებითი მიმართულების შთაგონების წყარო და არც ჩარტიზმი შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ელიტებით; ორივე მათგანი ასობით ათასი ხელოსნის, ხელსაქმის ოსტატის, მუშისა და მშრომელი ადამიანისაგან შედგებოდა და მათი საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერის მეშვეობით თანამედროვე ისტორიის უდიდეს მოძრაობებს შორის დაიკავეს ადგილი. და მიუხედავად იმისა თუ რამდენად განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან და რამდენად მსგავსი მასშტაბის მარცხი განიცადეს, ორივე მათგანმა ცხადყო, რომ, პირველყოვლისა, ადამიანის ბაზრის მარწუხებისაგან დაცვა იყო აუცილებელი.

ოუენიზმი თავდაპირველად არც პოლიტიკური მოძრაობა იყო და არც მუშათა მოძრაობა. იგი წარმოადგენდა ქარხნების გაჩენით ყველაზე მეტად დაზარალებული რიგითი ადამიანების დაუოკებელ სურვილს, რომ ეპოვათ არსებობის ისეთი ფორმა,

რომელიც შესაძლებელს გახდიდა, რომ ადამიანი მანქანა-დანადგარების ბატონი ყოფილიყო. მისი მიზანი, ფაქტობრივად, იყო ისეთი გზის მონახვა, რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც კაპიტალიზმისათვის გვერდის ავლა. ასეთი ფორმულირება, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეცდომაში შემყვანია, ვინაიდან კაპიტალის მაორგანიზებელი როლი და თვითრეგულირებადი ბაზრის რეალური ბუნება ჯერ კიდევ არ იყო განცხადებული. მიუხედავად ამისა, ალბათ სწორედ ასეთი ფორმულირება გადმოსცემს საუკეთესოდ ოუენის სულისკვეთებას, რომელიც ხაზგასმით მანქანა-დანადგარების წინააღმდეგი სულაც არ იყო. მას სწამდა, რომ მიუხედავად მანქანა-დანადგარების დანერგვისა, ადამიანი უნდა დარჩენილიყო საკუთარი თავის დამსაქმებლად; კოოპერაციის პრინციპი ანდა „პროფკავშირი“ კი მანქანა-დანადგარების საკითხს გადაწყვეტდა ისე, რომ არც ინდივიდუალური თავისუფლების ან სოციალური სოლიდარობის გაწირვა გახდებოდა საჭირო და არც ადამიანის ღირსებისა თუ თანამოაზრეებისადმი მისი სიმპათიების.

ოუენიზმის ძლიერი მხარე ის იყო, რომ მიუხედავად მისი შთაგონების წყაროს ცალსახად პრაქტიკული ხასიათისა, მისი მეთოდები მაინც ადამიანის ჰოლისტური გაგების სწორ აღქმას ეფუძნებოდა. მართალია, პრობლემები არსებითად ყოველდღიური ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორიცაა საკვების ხარისხი, საცხოვრებლისა და განათლების საკითხი, ხელფასების დონე, უმუშევრობის თავიდან არიდება, შემწეობა ავადმყოფობის დროს და ა.შ., საკითხები, რომელსაც ის ეხებოდა ისეთივე ფართო იყო, როგორც მორალური ძალები, რომლებზე აპელირებასაც ის ახდენდა. რწმენამ იმისა, რომ სწორი მეთოდის მიგნების შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრება კვლავაც ღირსეული გახდებოდა, შესაძლებელი გახადა, რომ მოძრაობის ფესვებს ცნობიერების ისეთ ღრმა შრეებში შეეღწია, სადაც ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბება მიმდინარეობს. იშვიათად თუ უარსებია ამაზე უფრო ნაკლებად ინტელექტუალიზებულ მოძრაობას, რომელმაც ამხელა მასშტაბებს მიაღწია; მასში ჩართული ადამიანების

რწმენა-წარმოდგენებმა მათ, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო ტრივიალურ ქმედებებსაც კი ისეთი მნიშვნელობა შესძინა, რომ არავითარი ცხადად ფორმულირებული რწმენის სიმბოლოების საჭიროება აღარ იდგა. თუმცა კი, მათი რწმენა წინასწარმეტყველური იყო, ვინაიდან ისინი აპელირებას ახდენდნენ ცხოვრების გადაწყობის ისეთ მეთოდებზე, რაც საბაზრო ეკონომიკის ფარგლებს სცდებოდა.

ოუენიზმი ეს იყო ინდუსტრიის რელიგია, რომლის მიმდევარიც მშრომელთა კლასი იყო[1]. მისი ფორმებისა და ინიციატივების სიუხვე ჯერ არნახული იყო. ფაქტობრივად, იგი წარმოადგენდა თანამედროვე პროფკავშირთა მოძრაობის საწყისს. დაარსდა კოოპერატიული საზოგადოებები, რომელიც ძირითადად საკუთარ წევრებთან საცალო ვაჭრობაში იყო ჩაბმული. რა თქმა უნდა, ეს გახლდათ არა მომხმარებელთა ჩვეულებრივი კოოპერატივები, არამედ უფრო სათავსოები, რომელთა უკანაც იდგნენ ენთუზიასტი ადამიანები, რომლებიც მომართულნი იყვნენ, რომ თავიანთი საწარმოების მოგება ოუენისტური გეგმების განხორციელებაში, საუკეთესო შემთხვევაში, კოოპერატიულ სოფლებში ჩაედოთ. „მათი საქმიანობა, კომერციულთან ერთად, საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულიც იყო; ხოლო მათი სურვილი იყო, რომ ერთიანი ძალისხმევით ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება გამხდარიყო შესაძლებელი“. „პროფკავშირთა მაღაზიები“, რომელთაც პროფკავშირები ფლობდა უფრო მწარმოებელთა კოოპერატივებს წარმოადგენდა, სადაც დაუსაქმებელ ხელოსნებს შეეძლოთ სამსახური ეშოვათ ანდა გაფიცვების შემთხვევაში, გარკვეული შემოსავალი მიეღოთ, საგაფიცვო ანაზღაურების ამარად ყოფნის მაგივრად. ოუენისტურ „შრომის ბირჟაზე“ კოოპერატიული მაღაზიის იდეა უნიკალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ბირჟის თუ ბაზრის იდეის ამოსავალი წერტილი იყო ხელობათა ურთიერთშემავსებელი ბუნება; ერთმანეთის საჭიროებების

[1] Cole, G. D. H., Robert Owen, 1925, ნაშრომი, რომელსაც ჩვენ აქტიურად ვეყრდნობით.

დაკმაყოფილებით, მოიაზრებოდა რომ, ხელოსნები დაცულები იყვნენ ბაზრის რყევებისაგან; მოგვიანებით, ამას დაემატა შრომითი თამასუქები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა. მსგავსი სქემა დღეს შესაძლოა ფანტასტიკის სფეროდან იყოს, მაგრამ ოუენის ეპოქაში არამხოლოდ ანაზღაურებადი შრომის, არამედ თავად ბანკნოტების გამოყენების იდეა ჯერაც ბუნდოვანი იყო. სოციალიზმი არსებითად არ განსხვავდებოდა იმ პროექტებისა და ჩანაფიქრებისაგან, რომლითაც სავსე იყო ბენთამისტების მოძრაობა. არა მხოლოდ მეამბოხე მოწინააღმდეგეები, არამედ რესპექტაბელური საშუალო კლასიც კი ჯერაც ექსპერიმენტების ხასიათზე იყო. თავად ჯერემი ბენტამმა ფული ჩადო ოუენის ფუტურისტული განათლების სქემაში ნიუ ლანარკში და დივიდენდიც მიიღო. ოუენისტური საზოგადოებები წარმოადგენდა სრულფასოვან ასოციაციებს ანდა კლუბებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ისეთი სოფლის კოოპერატივების შექმნის გეგმის მხარდაჭერას, როგორზეც ზემოთ სიღარიბის შემსუბუქების კონტექსტში ვსაუბრობდით; ეს გახლდათ აგრომწარმოებლების კოოპერატივის ჩანასახი, რომლის იდეაც უკვე დიდი ხანია არსებობდა. პირველი საერთო ეროვნული მწარმოებელთა ორგანიზაცია, რომელსაც სინდიკალისტური მიზნები ჰქონდა, გახლდათ მშენებელ ხელოსანთა გაერთიანება. იგი ცდილობდა, რომ თავად დაერეგულირებინა სამშენებლო მრეწველობა „ყველაზე უფრო დიდმასშტაბიანი შენობების“ აშენებით, საკუთარი ვალუტის შემოღებით და იმის ჩვენებით თუ რა გზით შეიძლებოდა „დიდი გაერთიანების შექმნა მწარმოებელთა კლასების ემანსიპაციისათვის.“ მე-19 საუკუნის ინდუსტრიულ მწარმოებელთა კოოპერატივები სწორედ ამ წამოწყებით თარიღდება. სწორედ მშენებელთა პროფკავშირიდან თუ გილდიიდან და მისი „პარლამენტიდან“ წარმოიშვა კიდევ უფრო მასშტაბური კონსოლიდირებული პროფკავშირები, რომელიც მცირე ხნის განმავლობაში თავს უყრიდა თითქმის ერთ მილიონ მუშასა და ხელოსანს პროფესიული კავშირებისა და კოოპერატიული საზოგადოებების ფედერაციაში, რომელსაც თავისუფალი ორგანიზაციული მოწყობა ჰქონდა. მისი მიზანი იყო

მშვიდობიანი გზებით ინდუსტრიის გადატრიალება, რომელიც წინააღმდეგობრივად აღარ მოგვეჩვენება, როგორც კი გავიხსენებთ, რომ მოძრაობის მესიანისტურ გარიჟრაჟზე მის წევრებს ღრმად სწამდათ, რომ მშრომელთა მიერ მისიის უბრალოდ გაცნობიერებაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ მოძრაობა წარმატებული გამომდგარიყო. სწორედ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ სასოფლო შტოს წარმოადგენდნენ ტოლპუდლელი წამებულები. ფაბრიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ პროპაგანდის წარმართვაზე აღორძინების საზოგადოებები (Regeneration Societies) იყვნენ პასუხისმგებლები; მოგვიანებით კი დაარსდა ეთიკური საბჭოები, რომლებიც სეკულარული მოძრაობის წინამორბედებს წარმოადგენდნენ. სწორედ მათ წიაღში შეისხა ხორცი არაძალადობრივი წინააღმდეგობის იდეამ. საფრანგეთში სენ სიმონიანიზმის მსგავსად, ოუენიზმი ინგლისში სპირიტუალური შთაგონების ყველანაირ ნიშანს ატარებდა; ოღონდ, თუკი სენ სიმონი ქრისტიანთა წინააღმდეგობას ედგა სათავეში, ოუენი გახლდათ ქრისტიანობის მოწინავე ოპონენტი თანამედროვე მუშათა კლასის ლიდერებს შორის. დიდ ბრიტანეთში მომხმარებელთა კოოპერატივი, რომელსაც მოგვიანებით მთელ მსოფლიოში გამოუჩნდნენ მიმდევრები, რა თქმა უნდა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ოუენიზმის ყველაზე წარმატებულ განშტოებას წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ, მისი იმპულსი დაიკარგა – ანდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელთა მოძრაობების პერიფერიულ სფეროებში შემორჩა – სასულიერო ძალების ცალსახად ყველაზე დიდი მარცხი გახლდათ ინდუსტრიული ინგლისის ისტორიაში. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანებმა, რომლებმაც სპინჰემლენდის სისტემის პერიოდის მორალური დეგრადაციას გაუძლეს, ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ ძალა, რომელიც საჭირო იყო ასეთი წარმოსახვითი და სტაბილური შემოქმედებითი შრომისათვის, რისთვისაც უსაზღვროდ დიდი ინტელექტუალური და ემოციური ენერგიის გაღება სჭირდებოდათ.

ოუენიზმში, რომელიც აპელირებდა ადამიანის ჰოლისტურ გაგებაზე, მაინც იყო შემორჩენილი შუა საუკუნეების მემკვიდრეობა, როგორც კორპორაციული ცხოვრების სახით, რამაც გამოხატულება მშენებელთა გილდიაში პოვა, ასევე მისი სოფლისათვის დამახასიათებელი სოციალური იდეალის სახით, რომელიც სოფლების კოოპერატივებში გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ ოუენიზმი წარმოადგენდა თანამედროვე სოციალიზმის წყაროს, მისი წამყვანი იდეები არ იყო დაკავშირებული კერძო საკუთრების საკითხთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმისთვის არის პრინციპულად მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხი. როდესაც ახალ ფენომენს, ინდუსტრიას წააწყდა, სენ-სიმონის მსგავსად მანაც აღიარა გამოწვევები, რომელსაც მანქანა-დანადგარები ქმნიდნენ. თუმცა, ოუენიზმის მახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ იგი დაჟინებით აკეთებდა აქცენტს სოციალურ მიდგომაზე: იგი უარყოფდა საზოგადოების დაყოფას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებად და შედეგად, იგი უარყოფდა ამ საკითხთან მიმართებაში პოლიტიკური ქმედების საჭიროებასაც. ეკონომიკური სფეროს დამოუკიდებლად ცნობა ნიშნავდა მოგება-მიწოდების პრინციპის საზოგადოების მაორგანიზებელ ძალად აღიარებას. ამას კი ოუენი ეწინააღმდეგებოდა. თავისი გამჭრიახობის დამსახურებით, მან განჭვრიტა, რომ მანქანა-დანადგარების ინკორპორირება მხოლოდ და მხოლოდ ახალი ტიპის საზოგადოებაში იყო შესაძლებელი. ოუენისთვის ინდუსტრიასთან დაკავშირებული საკითხები არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ასპექტით (ვინაიდან ეს ნიშნავდა საზოგადოების გაგებას ბაზრის კონტექსტში, რასაც ის ეწინააღმდეგებოდა). ნიუ ლანარკში მან გააცნობიერა, რომ ხელფასი მუშის ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტორია, მრავალ ისეთ ფაქტორთა შორის, როგორიცაა ბუნებრივი თუ საოჯახო გარემო, საქონლის ხარისხი და ფასი, სტაბილური სამსახური და დაკავებულად ყოფნის გარანტიები. (ნიუ ლანაკრის ქარხნები, ისევე როგორც მანამდე არსებული რამდენიმე ფირმა, დასაქმებულებს ხელფასებს იმ შემთხვევაშიც უხდიდა, თუკი იმ მომენტ-

ში მათთვის საქმე არ ჰქონდათ). თუმცა, რეორგანიზება თავისთავში გაცილებით უფრო მეტ რამეს მოიაზრებდა. ბავშვებისა და მოზარდების განათლება, დასვენებისა და გართობის, ცეკვის, მუსიკის ხელშეწყობა, და ზოგადად ახალგაზრდებსა და მოზრდილებში მაღალი მორალისა და პირადი სტანდარტების დამკვიდრება ქმნიდა ატმოსფეროს, სადაც მთლიანად ინდუსტრიულ საზოგადოებას ახალი სტატუსი ენიჭებოდა. მთელი ევროპიდან (და ამერიკიდანაც კი) ათასობით ადამიანი სტუმრობდა ნიუ ლანარკს როგორც მომავლის რეზერვაციას, სადაც შეუძლებლის მიღწევა შეძლეს – წარმატებით მართავდნენ ქარხანას, რომელშიც ადამიანები ისე მუშაობდნენ, რომ ადამიანურ სახეს არ კარგავდნენ. მიუხედავად ამისა, ოუენის ფირმა თანამშრომლებს გაცილებით უფრო ნაკლებს უხდიდა, ვიდრე ამას მეზობელ ქალაქებში აკეთებდნენ. ნიუ ლანარკის მოგების ძირითადი წყარო შრომის მაღალი პროდუქტიულობა და შემცირებული სამუშაო საათები იყო, ბრწყინვალე მოწყობისა და დასვენებული მუშა-ხელის დამსახურებით, რომლისგან მიღებული სარგებელიც გადაწონიდა გაზრდილ რეალურ ანაზღაურებას, რომელიც უზრუნველყოფდა ღირსეულ ცხოვრებას. ამ გარემოებათაგან ბოლო კარგად ხსნის იმ ფაქტს თუ რატომ აღმერთებდნენ დასაქმებულები ოუენს. ამ ტიპის გამოცდილებებით იგი აანალიზებდა, რომ ინდუსტრიასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად სოციალური მიდგომა გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ვიწრო ეკონომიკური.

მისი გამჭრიახობის კიდევ ერთი დასტური იყო ის, რომ მიუხედავად საკითხების კომპლექსური აღქმისა, ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ გაეაზრებინა კონკრეტული მატერიალური ფაქტების გადამწყვეტი როლი მუშათა ცხოვრებაში. მისი რელიგიური გრძნობები აუმხედრდა ჰანა მორისა და მის იაფფასიანი პროპაგანდისტული თხზულებების მატერიალურ ტრანსცენდენტალიზმს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი თხზულება ხოტბას ასხამდა ქვანახშირის საბადოში მომუშავე ლანკაშირელ გოგონას. 9 წლის ასაკში ის შახტაში გაამწესეს, თავისზე ორი წლით

პატარა ძმასთან ერთად, სადაც ქვანახშირი უნდა ეზიდათ[1]. „იგი სიხარულით გაჰყვა მას [მამამისს] ქვანახშირის მაღაროში და ჩაძვრა მიწის წიაღში, სადაც მიუხედავად პატარა ასაკისა და თავისი სქესისა, მას სულაც არ უთქვამს უარი საქმიანობაში შეერთებოდა მაღაროელებს, ადამიანთა ამ მართლაც ტლანქ, მაგრამ საზოგადოებისათვის ესოდენ სასარგებლო მოდგმას.“ მამა შვილების თვალწინ იმსხვერპლა უბედურმა შემთხვევამ. მოგვიანებით გოგონამ გადაწყვიტა, რომ მოსამსახურედ ემუშავა, მაგრამ იმის გამო, რომ ის მეშახტე იყო, მისდამი ცრურწმენების გამო სამსახურში არ აიყვანეს. ბედის განგებით, რომელიც უბედურებებს მადლად გარდაქმნის ხოლმე, მისმა მოთმინებამ და ამტანობამ ყურადღება მიიქცია, გაიკითხეს რა მისი ვინაობა მაღაროში და მას შემდეგ რაც ბრწყინვალედ დაახასიათეს ის, საბოლოოდ იგი სამსახურში აიყვანეს. „ეს ამბავი,“ – ასკვნიდა თხზულება, -„ღარიბებმა შესაძლოა გაკვეთილად ჩათვალონ, რომ თითქმის არ არსებობს ისეთი დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სადაც დამოუკიდებლობის გარკვეულ დონეს ვერ მიაღწევ, თუკი სათანადო ძალისხმევას გაიღებ და არ არსებობს ისეთი წარმოუდგენლად რთული ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც შეუძლებელს გახდის, რომ უამრავი ღირსეული საქმე აკეთო.“ დები მორები უმეტესწილად შიმშილისაგან გასავათებულ მშრომელ ხალხში საქმიანობდნენ, თუმცა, მათი ფიზიკური ტანჯვით ოდნავაც არ ინტერესდებოდნენ. მათ ერჩივნათ ინდუსტრიალიზმის მატერიალური პრობლემის გადაწყვეტის მარტივი გზა გამოენახათ და თავიანთი უსაზღვრო დიდსულოვნებით მუშები მათი სტატუსისა და ფუნქციის გამო შებრალებოდათ. ჰანა მორი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი მოთხრობის მთავარი გმირის მამა საზოგადოების ძალზედ გამოსადეგი წევრი იყო; ხოლო თავად გოგონას განსაკუთრებულ ღირსებას მისი დამსაქმებლების შეფასებებიც ცხადყოფდა. ჰანა მორის სწამდა,

[1] More, H., The Lancashire Colliery Girl, May, 1795; cf. Hammond, J. L. and B., The Town Labourer, 1917, p. 230.

რომ ამაზე მეტი არც არაფერი იყო საჭირო გამართულად მომუშავე საზოგადოების არსებობისათვის.[1] რობერტ ოუენმა კი ზურგი აქცია ქრისტიანობას, რომელიც უარყოფდა ამქვეყნიური ცხოვრების სირთულეებზე გამარჯვებას და ამჯობინებდა, რომ ჰანა მორის თხზულების გაუბედურებული გმირი განედიდებინა, ნაცვლად იმისა, რომ თვალი გაესწორებინა კომპლექსურ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის შესახებ საშინელი სიმართლისათვის, რაც ახალი აღთქმის საზღვრებს ცდებოდა. ვერავინ დაეჭვდება გულწრფელობაში, რომლითაც განმსჭვალულია ჰანა მორის მსჯელობა, რომ რაც უფრო მორჩილად შეეგუებოდა ღარიბი ადამიანი თავის დაკნინებულ მდგომარეობას, მით უფრო იოლად პოვებდა ის ნუგეშს, რაზეც მორი მთელ თავის იმედებს ამყარებდა – როგორც ღარიბთა სულების გადარჩენის საკითხში, ისე ბაზარზე ორიენტირებული საზოგადოების გამართული ფუნქციონირებაში, რომლისაც მას ასე მტკიცედ სწამდა. თუმცა, მთელი ეს ფუჭი ქრისტიანული გარსი, რომელიც არისტოკრატიის მეტნაკლებად ღირსეული წარმომადგენლების სულიერ ცხოვრებას ძლივს უმაგრებდა ზურგს, საკმაოდ უსახურად გამოიყურებოდა ინდუსტრიის რელიგიის შემოქმედებით რწმენასთან შედარებით, რომლის შემართებითაც ინგლისის რიგითი მოქალაქეები ქვეყნის გადარჩენას ცდილობდნენ. თუმცა, კაპიტალიზმის დასასრულამდე ჯერ კიდევ შორი იყო.

ჩარტისტული მოძრაობა აბსოლუტურად განსხვავებულ იმპულსებზე აპელირებდა, ხოლო იმის გამო, რომ ოუენიზმმა და მისმა უმწიფარმა ინიციატივებმა ფაქტობრივი მარცხი განიცადა, რთული იყო წინასწარ არ განგეჭვრიტა ამ მოძრაობის აღმოცენების შესაძლებლობა. ეს გახლდათ სუფთად პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც გათვლას აკეთებდა კონსტიტუციური გზე-

[1] Cf. Drucker, P. F., The End of Economic Man, 1939, p. 93, ინგლისურ ევანგელიკანურ მოძრაობასთან დაკავშირებით; and The Future of Industrial Man, 1942, pp. 21 and 194. სტატუსსა და ფუნქციასთან დაკავშირებით.

ბით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენაზე; მისი მცდელობები, რომ წნეხი განეხორციელებინა მთავრობაზე, სრულ თანხმობაში მოდიოდა საპარლამენტო რეფორმის მოძრაობის ტრადიციულ ტაქტიკასთან, რომელმაც მანამდე უზრუნველყო რომ საშუალო კლასს ხმის მიცემის უფლება ჰქონოდა. ქარტიის ექვსი პრინციპი გამოხატავდა ხალხისათვის ხმის მიცემის ქმედითი უფლების მოთხოვნას. უკომპრომისო სიხისტე, რომელსაც რეფორმირებული პარლამენტი თითქმის საუკუნის მესამედის განმავლობაში იჩენდა ხმის მიცემის უფლების ამგვარი გაფართოებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში; ქარტიისადმი მასების მხარდაჭერის მნიშვნელობის გათვალისწინება და ზიზღი, რომლითაც 1840-იან წლებში ლიბერალები იყვნენ განმსჭვალულები სახალხო მთავრობის იდეისადმი, ცხადყოფდა, რომ ინგლისის საშუალო კლასისათვის დემოკრატიის ცნება უცხო იყო. საშუალო კლასმა ხმის მიცემის უფლება უკეთეს პოზიციაში მყოფ მუშებს მხოლოდ მას შემდეგ დაუთმო, რაც მშრომელთა კლასმა კაპიტალისტური ეკონომიის პრინციპები გაითავისა, ხოლო პროფკავშირებმა საკუთარი ზრუნვის მთავარ საგნად ინდუსტრიის შეუფერხებელი ფუნქციონირება გაიხადა, ანუ ჩარტისტული მოძრაობის ჩაცხრომიდან დიდი ხნის შემდგომ, როდესაც უკვე ცხადი გახდა, რომ მშრომელები აღნიშნული უფლების საკუთარი იდეების სასარგებლოდ გამოყენებას არ შეეცდებოდნენ. არსებობის საბაზრო ფორმების გავრცელების პერსპექტივიდან ამ ყოველივეს გამართლება შესაძლებელი იყო, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა წინააღმდეგობების გადალახვას, რომელსაც ქმნიდა მშრომელ ხალხებში ცხოვრების ორგანული და ტრადიციული ფორმების არსებობა. ხოლო რაც შეეხება აბსოლუტურად განსხვავებულ საკითხს – უბრალო ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელთა ცხოვრებასაც ინდუსტრიულმა რევოლუციამ უმოწყალოდ გამოუთხარა ძირი და მათ დაბრუნებას საყოველთაო ეროვნული კულტურის ფარგლებში – ეს კვლავაც მოუგვარებელი რჩებოდა. ხმის მიცემის უფლების მინიჭებას მაშინ, როდესაც უკვე გამოუსწორებელი ზიანი ჰქონდა მიყენებული მათ უნარს, გაე-

ნაწილებინათ პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაზე, მათი მდგომარეობის გამოსწორება აღარ შეეძლო. არისტოკრატიამ შეცდომა დაუშვა მკაცრი კლასობრივი მმართველობის პრინციპების განვრცობით ისეთი ტიპის ცივილიზაციაზე, რომელიც მოითხოვდა ქვეყნის ერთიანობას კულტურულ და საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებში, თუკი მას დამაკნინებელი გავლენებისაგან თავის დაცვა სურდა.

ჩარტისტული მოძრაობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და შესაბამისად, ოუენიზმთან შედარებით იოლი იყო მის არსში ჩაწვდომა. მიუხედავად ამისა, მაინც საეჭვოა, რომ ჩარტიზმის ემოციურ სიმძაფრეს ან თუნდაც ამ მოძრაობის მასშტაბებს ჩავწვდეთ, თუკი იმ ეპოქის სულიერი ატმოსფეროს წარმოდგენას არ შევეცდებით. 1789 და 1830 წლებმა რევოლუცია ევროპაში რეგულარულ ინსტიტუციად აქცია; 1848 წელი, პარიზის აჯანყების წელი, ლონდონსა და ბერლინში გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველეს, თუმცა საუბარი იყო არა სოციალურ ცვლილებებზე, არამედ ბაზრის გახსნაზე, რასაც მალევე მოჰყვა „გაგრძელება“ რევოლუციების სახით ბერლინში, ვენაში, ბუდაპეშტსა და იტალიის ზოგიერთ ქალაქში. დაძაბული ვითარება იყო ლონდონშიც, სადაც ყველა, მათ შორის, თავად ჩარტისტებიც ელოდნენ, რომ გარკვეული ძალადობრივი მოქმედებები დაიწყებოდა, რათა პარლამენტი ეიძულებინათ, რომ ხალხისათვის ხმის მიცემის უფლება მიენიჭებინა. (იმ დროისათვის ხმის მიცემის პრივილეგია ზრდასრული მამაკაცების 15 %-ზე ნაკლებს ჰქონდა). ინგლისის მთელი ისტორიის განმავლობაში არასდროს მომხდარა ისეთი მაღალი კონცენტრაცია ძალების, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ კანონი და წესრიგი, როგორც 1848 წლის 12 აპრილს. სპეციალურად დანიშნული პოლიციელების განკარგულებაში იყო ათასობით მოქალაქე, რომლებიც მზად იყვნენ იმ დღეს იარაღი მიეშვირათ ჩარტისტებისათვის. პარიზის რევოლუცია ზედმეტად დააგვიანდა, საიმისოდ რომ ინგლისში სახალხო მოძრაობის გამარჯვება უზრუნველეყო. იმ პერიოდისათვის რევოლუციური სული, რომელიც სიღარიბის კანონის რეფორმირების აქტმა და 40-იანი წლე-

ბის შიმშილისგან გამოწვეულმა ტანჯვამ გააღვიძა, უკვე მილევის პროცესში იყო; ვაჭრობის მზარდმა ტალღამ სამუშაო ადგილები გააჩინა, კაპიტალიზმმა კი საქონლის მოწოდება უზრუნველყო. ჩარტისტები მშვიდობიანად დაიშალნენ. მათი ინიციირებული საკითხი პარლამენტს აღარც კი განუხილავს, ვიდრე მოგვიანებით თემთა პალატამ მათი წინადადება ხუთი ხმით ერთის წინააღმდეგ საერთოდ უკუაგდო. ამაო გამოდგა შეგროვებული მილიონობით ხელმოწერა. ამაო გამოდგა ჩარტისტების კანონმორჩილი მოქალაქეობა. გამარჯვებულებმა ჩარტისტების მოძრაობას დამცირებით მოუღეს ბოლო. ასე დასრულდა ინგლისელი ხალხის უდიდესი ძალისხმევა, რომ თავიანთი ქვეყანა სახალხო დემოკრატიად ექციათ. ერთი-ორი წლის შემდეგ კი, ჩარტისტები აღარავის ახსოვდა.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ კონტინენტურ ევროპამდე ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩააღწია. აქ, მიწის დასაკუთრების მოძრაობამ მუშათა კლასი კი არ შეავიწროვა და განდევნა, არამედ მაღალი ხელფასებისა და ქალაქური ცხოვრების მიმზიდველობამ ნახევრად დამონებულ მდგომარეობაში მყოფი აგრომუშაკი წაახალისა, რომ დაეტოვებინა ადგილი და გადასახლებულიყო ქალაქში, სადაც ის ტრადიციული საშუალო კლასს შეერწყა და გაუჩნდა „ქალაქური ტონების“ მიღების შესაძლებლობა. ნაცვლად დაკნინებისა, მან ახალ გარემოში თავი ამაღლებულად იგრძნო. რა თქმა უნდა, საცხოვრებელი პირობები სავალალო იყო და ქალაქის მშრომელთა დაბალ ფენებში ალკოჰოლიზმი და პროსტიტუცია მე-20 საუკუნის დასაწყისამდეც კი მძვინვარებდა. მიუხედავად ამისა, შედარებაც კი არ შეიძლება მორალური და კულტურული კატასტროფის თვალსაზრისით ინგლისელი გლეხის ანდა ღირსეული წარმომავლობის კოპიჰოლდერის, რომელმაც ერთ დღესაც ნორს-ვესტერნის ფაბრიკების სამეზობლოში სოციალურ და ფიზიკურ ჯურღმულში გაიღვიძა და სლოვაკ ანდა პომერანიელ მიწათმოქმედ გლეხს შორის, რომელიც თავლაში მცხოვრები დღიური მოჯამაგირიდან ლამის ერთ ღამეში მეტროპოლიის საწარმოს მუშად გადაიქცა. ირლანდიელ

ან უელსელ დღიურ მუშას ანდა შოტლანდიის მთიანეთის დასავლეთში მცხოვრებს შესაძლოა იგივე გამოცდილება ჰქონოდა მანჩესტერის ანდა ლივერპულის ხეივნებში ხეტიალისას, მაგრამ ინგლისელი იომენის შვილს ანდა გამოსახლებულ მოჯამაგირეს ნამდვილად არ უგრძნია, რომ მისი სოციალური სტატუსი გაიზარდა. კონტინენტურ ევროპაში მცხოვრებ ახლად ემანსიპირებულ ფერმის მუშას არა მხოლოდ იმისი თანაბარი შანსი გაუჩნდა, რომ ხელოსანთა და მოვაჭრეთა წვრილ ბურჟუათა კლასში აღზევებულიყო, რომელსაც თავისი ძველისძველი კულტურული ტრადიციები მოსდგამდა, არამედ თავად ბურჟუაზიაც კი, რომელიც სოციალურ კიბეზე მათზე მაღლა აყენებდა თავს, პოლიტიკურად იმავე ნავში, რეალური მმართველი კლასისაგან დისტანცირებული აღმოჩნდა. ფეოდალური არისტოკრატიისა და რომის ეპისკოპატის წინააღმდეგ ბრძოლაში მზარდი საშუალო და მუშათა კლასი ერთმანეთის გვერდით იდგა. ინტელიგენციამ, კერძოდ კი უნივერსიტეტის სტუდენტობამ, ეს კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა საერთო მიზნის დამსახურებით, იერიში მიეტანათ აბსოლუტიზმსა და პრივილეგიებზე. ინგლისში ბურჟუაზია, სკვაირები იქნებოდნენ ან ვაჭრები მე-17 საუკუნეში, თუ ფერმერები და ხელოსნები მე-19 საუკუნეში, საკმარისად ძლიერები იყვნენ საიმისოდ, რომ საკუთარი უფლებები თავად დაეცვათ და 1832 წლის მოვლენებში, რომელიც ლამის რევოლუციით დასრულდა, მუშათა მხარდაჭერის მოპოვებას არც კი ცდილობდნენ. მეტიც, ინგლისში ახლად ჩამოსულთაგან ყველაზე მდიდრების ასიმილაცია არისტოკრატიამ დაუფიქრებლად დაიწყო და თავისი სოციალური იერარქიის ზედა ეშელონები გააფართოვა, მაშინ როდესაც კონტინენტურ ევროპაში ჯერ კიდევ ნახევრად-ფეოდალური არისტოკრატია ბურჟუათა შვილებზე არ ქორწინდებოდა, ხოლო მაიორატის ინსტიტუტის არარსებობამ საგულდაგულოდ მოახდინა მათი იზოლირება დანარჩენი კლასებისაგან. ამიტომაც, თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ გადადგმული ყოველ ნაბიჯს სარგებელი მოჰქონდა როგორც საშუალო, ისე მუშათა კლასისათვის. 1830 წლიდან, და შეიძლება 1789 წლიდანაც კი, კონტინენ-

ტური ევროპის ტრადიციად ჩამოყალიბდა ის, რომ მუშათა კლასი ბურჟუაზიას გვერდში ედგა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც გავრცელებულ გამონათქვამში იყო აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც საბოლოო ჯამში გამარჯვების სიკეთეებთან დაკავშირებით ბურჟუაზიას ის მოეტყუებინა. იმის მიუხედავად მუშათა კლასმა გაიმარჯვა თუ ვერა, მათი მიზნები პოლიტიკურად იქცა. სწორედ ეს იგულისხმებოდა კლასობრივი ცნობიერების გაჩენაში. მარქსისტულმა იდეოლოგიებმა ქალაქში მცხოვრებ მუშათა თვალსაწიერის კრისტალიზება მოახდინა, რომელსაც გარემოებებმა ასწავლა, რომ საკუთარი ინდუსტრიული და პოლიტიკური ძლიერი მხარეების იარაღად გამოყენება პოლიტიკის უმაღლესი ფორმაა. თუკი ბრიტანელმა მუშებმა შეიძინეს შეუდარებელი გამოცდილება პროფკავშირული მოძრაობის პირად და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ხოლო საერთო ეროვნული პოლიტიკის საკითხები სოციალურ კიბეზე მათზე მაღლა მდგომებს დაუტოვეს, ცენტრალურ ევროპაში მცხოვრები მუშები პოლიტიკურ სოციალისტებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის მეშვეობით პრობლემების მოგვარებას შეუდგნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, პირველ რიგშ,ი იმ პრობლემების, რომლებიც მათ ეხებოდათ.

თუკი კონტინენტურ ევროპასთან შედარებით ინდუსტრიალიზაცია ნახევარი საუკუნით ადრე დაიწყო დიდ ბრიტანეთში, ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების კუთხით ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო. ერთიანობის დონე, რომელსაც იტალიამ და გერმანიამ მხოლოდ და მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწიეს, ინგლისში საუკუნეებით ადრე იყო მიღწეული, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის პატარა სახელმწიფოებში ეს ეტაპი კიდევ უფრო გვიან დადგა. სახელმწიფოს მშენებლობის ამ პროცესში მუშათა კლასმა სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი შეითავსა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი პოლიტიკური გამოცდილება. ინდუსტრიულ ეპოქაში შეუძლებელი იყო, რომ ასეთ პროცესს ასევე არ მოეცვა სოციალური პოლიტიკა. ამგვარად, ბისმარკმა მეორე რაიხის ერთიანობას სოციალურ საკითხებთან

დაკავშირებული ეპოქალური მნიშვნელობის კანონმდებლობის შემოღებით მიაღწია. იტალიის ერთიანობა რკინიგზის ნაციონალიზაციამ დააჩქარა. ავსტრია-უნგრეთის სამეფოში, რომელიც თავს უყრიდა სხვადასხვა ერსა და ხალხს, თავად მონარქი მიმართავდა ხოლმე მუშებს ცენტრალიზაციისა და იმპერიული ერთიანობის მიღწევის პროცესში მათი მხარდაჭერისათვის. ამ გაცილებით უფრო ფართო სფეროში, საკანონმდებლო ორგანოებში თავიანთი გავლენების მეშვეობით, სოციალისტური პარტიები და პროფკავშირებიც ნახულობდნენ მოქმედების შესაძლებლობას საწარმოთა მუშების ინტერესების დასაცავად. [1]

ეკონომისტურმა აკვიატებულმა შეხედულებებმა მუშათა კლასის საკითხის საზღვრები გააუფერულა. ბრიტანელ ავტორებს უჭირდათ გაეაზრებინათ, თუ რა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა დამკვირვებლებზე კონტინენტური ევროპიდან ლანკაშირში არსებულმა ადრეული კაპიტალისტური შრომის პირობებმა. ისინი ხელს იშვერდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კიდევ უფრო დაბალი ცხოვრების სტანდარტებზე ცენტრალური ევროპის მრავალი ქვეყნის ტექსტილის ინდუსტრიაში, რომელთა შრომის პირობებიც ხშირად ალბათ ისეთივე სავალალო იყო, როგორიც მათი ინგლისელი ამხანაგების. თუმცა, ასეთი შედარება საერთოდ ბუნდოვანს ხდიდა ათვლის წერტილს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მშრომელთა სოციალური და პოლიტიკური სტატუსი მაღლა იწევდა კონტინენტურ ევროპაში, განსხვავებით ინგლისისა, სადაც ეს სტატუსი მხოლოდ დაბლა მიექანებოდა. კონტინენტურ ევროპაში მცხოვრებ მუშას არ გაუვლია სპეინჰამლანდის გამანადგურებელი პაუპერიზაცია და არც სიღარიბესთან დაკავშირებული ახალი კანონის მსგავსი არავითარი პარალელი მოიძებნებოდა მის გამოცდილებაში. ყმური სტატუსიდან იგი გადავიდა – უფრო სწორედ, აღზევდა – ფაბრიკის მუშის და ძალიან მალე უკვე პოლიტიკური უფლებების მქონე, პროფკავშირის წევრი მუ-

[1] Knowles, L., Industrial and Commercial Revolutions in Great Britain during the Nineteenth Century, 1926.

შის სტატუსამდე. ამდენად, იგი ასცდა კატასტროფას, რომელიც ინგლისში ინდუსტრიული რევოლუციის გამოღვიძებას მოჰყვა. მეტიც, კონტინენტურ ევროპაში ინდუსტრიალიზაცია მაშინ მოხდა, როდესაც უკვე შესაძლებელი იყო ადაპტაცია საწარმოთა ორგანიზების ახალ ფორმებთან, უმეტესწილად, სოციალური დაცვის ინგლისური მეთოდების იმიტაციის დამსახურებით.

კონტინენტურ ევროპაში მუშებს დაცვა სჭირდებოდათ არა იმდენად ინდუსტრიული რევოლუციის ეფექტებისგან – სოციალური თვალსაზრისით კონტინენტურ ევროპაში ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია – რამდენადაც ფაბრიკებში არსებული პირობების ნორმალური ქმედებებისა და შრომის ბაზრისაგან. ამის მიღწევა კი მათ შეძლეს ძირითადად კანონმდებლობის მეშვეობით, მაშინ როდესაც მათი ბრიტანელი ამხანაგები უფრო მეტად ეყრდნობოდნენ ნებაყოფლობით გაერთიანებებს – პროფკავშირებს – და მათ უნარს, მოეხდინათ შრომის მონოპოლიზება. სოციალური დაზღვევა კონტინენტურ ევროპაში გაცილებით უფრო სწრაფად შემოვიდა, ვიდრე ინგლისში. ეს განსხვავება ადვილად აიხსნებოდა კონტინენტური ევროპის პოლიტიკური მიდრეკილებით და მუშათა მასებისათვის ხმის მიცემის უფლების შედარებით ადრევე გადაცემით. მართალია ეკონომიკური თვალსაზრისით განსხვავება დაცვის სავალდებულო და ნებაყოფლობითი მეთოდების ნიშნით – კანონი თუ იუნიონიზმი – გადაჭარბებულად შეიძლება იქნას შეფასებული, მაგრამ ამ განსხვავების პოლიტიკური შედეგები მნიშვნელოვანი იყო. კონტინენტურ ევროპაში პროფკავშირები იყო მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი; ინგლისში კი პოლიტიკური პარტიები იყო პროფკავშირების მიერ შექმნილი. თუკი კონტინენტურ ევროპაში იუნიონიზმი მეტ-ნაკლებად სოციალისტური გახდა, ინგლისში პოლიტიკური სოციალიზმიც კი არსებითად პროფკავშირულ ხასიათს ინარჩუნებდა. ამიტომაც, უნივერსალური ხმის მიცემის უფლების მოძრაობას, რომელიც ინგლისში საყოველთაო ეროვნულ თანხმობას უწყობდა ხელს, ზოგჯერ საპირისპირო შედეგები მოჰქონდა კონტინენტურ ევროპაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ

იქ და არა ინგლისში გამართლდა პიტისა და პილის, ტოკვილისა და მაკლაუს წინასწარმეტყველებები, რომ სახალხო მთავრობის არსებობას შესაძლოა საფრთხე შეექმნა ეკონომიკური სისტემისათვის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სოციალური დაცვის როგორც ბრიტანული, ისე კონტინენტური მეთოდები თითქმის იდენტურ შედეგებამდე მივიდა. მათ მიაღწიეს იმას, რაც მიზნად ჰქონდათ დასახული: ბაზრის დესტრუქცია წარმოების იმ ფაქტორისათვის, რომელიც სამუშაო ძალის სახელით იყო ცნობილი. ასეთ ბაზარს თავისი ფუნქციის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი ხელფასები ფასების დაცემის პარალელურად შემცირდებოდა. ადამიანური თვალსაზრისით ეს პოსტულატი გულისხმობდა მუშებისთვის შემოსავლების განსაკუთრებულ არასტაბილურობას, პროფესიული სტანდარტების არარსებობას, სრულ მზადყოფნას, რომ ისე მოქცეოდნენ როგორც ნივთებს, რომლებსაც საითაც მოესურვებოდათ, იქით მოისვრიან, ერთი სიტყვით, ბაზრის ახირებებზე დამოკიდებულად ყოფნას. მისესი სწორად შენიშნავდა, რომ თუკი მუშები „პროფკავშირებში არ გაერთიანდებოდნენ და ერთად არ იმოქმედებდნენ და ნაცვლად ამისა, თავიანთ მოთხოვნებს შეამცირებდნენ და შეიცვლიდნენ თავიანთ ადგილმდებარეობასა და პროფესიას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ისინი შეძლებდნენ სამუშაოს შოვნას.“ ეს კარგად აღწერს პოზიციას სისტემაში, რომელიც დაფუძნებული იყო შრომის სასაქონლო ბუნების პოსტულატზე. საქონლის გადასაწყვეტი არ არის, თუ სად გაიტანენ მას გასაყიდად, რა მიზნებით გამოიყენებენ მას, რა ფასად უნდა იყოს ნებადართული მისი გაცვლა ანდა რა ფორმით უნდა გამოიყენონ ან გაანადგურონ ის. „ჯერჯერობით, თავშიც კი არავის მოსვლია აზრად,“ – წერდა ეს თანმიმდევრულად ლიბერალი ავტორი, -„რომ ხელფასის სიმცირე გაცილებით უკეთესი პირობაა, ვიდრე სამუშაოს არქონა, ვინაიდან ის რის დანაკლისსაც უმუშევარი ადამიანი განიცდის, არის არა შრომა, არამედ შრომის ანაზღაურება.“ მისესი მართალი იყო, თუმცა ორიგინალურობაზე პრეტენზია არ

უნდა ჰქონოდა. ჯერ კიდევ 150 წლის წინ ეპისკოპოსმა უოტლიმ თქვა: „როდესაც ადამიანი სამუშაოს იხვეწება, ის ითხოვს ხელფასს და არა შრომას“. მიუხედავად ამისა, ტექნიკურად, მართლაც „უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში იმით არის გამოწვეული, რომ როგორც მთავრობის, ისე პროფკავშირების პოლიტიკას მიზანში ამოღებული აქვს ანაზღაურების ისეთი ნიშნული, რაც შრომის არსებულ პროდუქტიულობასთან ჰარმონიაში არ მოდის.“ სხვა რა შეიძლება იწვევდეს უმუშევრობას, კითხულობს მისესი, თუ არა ის ფაქტი, რომ მუშებს „არ სურთ იმუშაონ იმ ხელფასზე, რომლის მიღებაც შრომის ბაზარზე შეუძლიათ, კონკრეტული საქმისათვის, რომლის გაკეთებაც შეუძლიათ და რომლის სურვილიც აქვთ?“ აქედან ნათლად ჩანს თუ რას ნიშნავს სინამდვილეში დამსაქმებლის მოთხოვნა შრომის მობილობასა და ხელფასების მოქნილობაზე: სწორედ იმას, რაც ზემოთ აღვწერეთ როგორც ბაზარი, სადაც ადამიანური შრომა საქონლად აღიქმება.

ყოველგვარი სოციალური დაცვის ბუნებითი მიზანი იყო, რომ ასეთი ინსტიტუცია მოეშალა და შეუძლებელი გაეხადა მისი არსებობა. შრომის ბაზარს ფაქტობრივად შეეძლო თავისი მთავარი ფუნქციის შენარჩუნება, ოღონდ იმ პირობით, რომ ხელფასები და შრომის პირობები, სტანდარტები და რეგულაციები უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ უნდა უზრუნველეყო ამ ერთგვარი საქონლის, სამუშაო ძალის ადამიანური ბუნება. იმის მტკიცება, რომ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, კანონებს ფაბრიკების შესახებ, უმუშევრობის დაზღვევას და, განსაკუთრებით, პროფკავშირებს ხელი არ შეუშლიათ შრომის მობილობისა და ხელფასების მოქნილობისათვის, რასაც ზოგჯერ გადავაწყდებით, ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუციებმა საკუთარ მიზნებს საერთოდ ვერ მიაღწიეს. მათი მიზნები კი სწორედ იმას გულისხმობდა, რომ ეს ინსტიტუტები წინ უნდა აღდგომოდნენ მოთხოვნა-მიწოდების კანონებს ადამიანური შრომის კონტექსტში და ჩამოეშორებინათ ის ბაზრის ორბიტისაგან.

თავი 15
ბაზარი და ბუნება

ის, რასაც ჩვენ მიწას ვუწოდებთ, არის ბუნების ელემენტი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ინსტიტუციებთან. მისი გამოცალკევება და მისთვის ბაზრის შექმნა, ალბათ, ჩვენი წინაპრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო უცნაურია.

ტრადიციულად, მიწა და შრომა ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო; შრომა წარმოადგენს ცხოვრების ნაწილს, მიწა კი რჩება ბუნების ნაწილად, ხოლო ცხოვრება და ბუნება ერთ მთლიანობას ქმნიან. ამგვარად, მიწა მიბმულია ნათესაობის, მეზობლობის, ხელოსნობისა და რწმენის ინსტიტუტებთან – გვარ-ტომთან, საღოცავთან, სოფელთან, გილდიასთან და ეკლესიასთან. მეორე მხრივ, ერთი დიდი ბაზარი, ეკონომიკური ცხოვრების დამახასიათებელია, რომელიც თავის თავში აერთიანებს წარმოების შემადგენელი ელემენტებისათვის ცალ-ცალკე არსებულ ბაზრებს. ვინაიდან ეს ელემენტები განურჩეველია ადამიანთა ინსტიტუციების ელემენტებისაგან, ანუ თავად ადამიანისა და ბუნებისაგან, იოლი დასანახია, რომ საბაზრო ეკონომიკა მოიცავს საზოგადოებას, რომლის ინსტიტუტებიც ექვემდებარებიან საბაზრო მექანიზმის მოთხოვნებს.

ეს მტკიცება მიწასთან მიმართებაშიც ისეთივე უტოპიურია, როგორც შრომასთან მიმართებაში. ეკონომიკური ფუნქცია მიწის ფუნქციებიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთია და არა ერთადერთი. მიწა ადამიანის ცხოვრებას სტაბილურს ხდის; სწორედ მასზე დგას ადამიანის საცხოვრებელი ადგილი; ის არის მისი ფიზიკური უსაფრთხოების წინაპირობა; მიწა ეს არის ლანდშაფტი და წელიწადის დროები. მიწის გარეშე ცხოვრება ადამიანისათვის იგივეა, რაც ხელფეხის გარეშე დაბადება. და მაინც, მიწის გამიჯვნა ადამიანისაგან და საზოგადოების მოწყობა იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულიყო უძრავი ქონების ბაზრის მოთხოვნები, იყო საბაზრო ეკონომიკის უტოპიური ცნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სწორედ თანამედროვე კოლონიზაციის სფეროში გამოჩნდა ამგვარი ავანტიურის რეალური სახე. ხოლო ის, თუ რაში სჭირდება კოლონიალისტს მიწა, სიმდიდრის დასამარხად თუ ადგილობრივების შესავიწროებლად, რათა შემდგომ საკვები და ნედლი მასალა აწარმოოს, ხშირ შემთხვევაში საერთოდ არარელევანტური საკითხია; ისევე, როგორც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ადგილობრივი დასაქმებულები კოლონიალისტის პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებენ თუ რაღაც სხვა ფორმის არაპირდაპირი ძალდატანების პირობებში, ვინაიდან თითოეული ასეთი შემთხვევა, პირველ რიგში, ადგილობრივთა სოციალური და კულტურული სისტემების ნაცარტუტად ქცევას გულისხმობს.

ბევრი მსგავსება არსებობს დღევანდელ კოლონიურ სიტუაციასა და ერთ-ორი საუკუნის წინ დასავლეთ ევროპულ კოლონიზაციას შორის. თუმცა, მიწების მობილიზება, რაც ახლა ეგზოტიკურ რეგიონებში შესაძლოა სულ რამდენიმე წლის ანდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გაგრძელდეს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემთხვევაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა.

გამოწვევა კი მას შემდეგ გაჩნდა, რაც წმინდად კომერციული ფორმის გარდა, სხვა ტიპის კაპიტალიზმმა დაიწყო ზრდა.

არსებობდა აგროკულტურული კაპიტალიზმი, რომელიც ტიუ-დორთა ეპოქის ინგლისში გაჩნდა და რომელიც მიწისადმი ინ-დივიდუალურ მიდგომებს მოითხოვდა, მათ შორის, გადაკეთე-ბისა და შემოსაზღვრის თვალსაზრისით. ასევე, მე-18 საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთსა და ინგლისში გაჩნდა ინდუსტრიული კაპიტალიზმი, რომელიც უმეტესწილად ქალაქგარეთ ვითარდე-ბოდა და რომელსაც სივრცეები საწარმოს შენობა-ნაგებობებისა და მუშათა დასახლებებისთვის სჭირდებოდა. დაბოლოს, მე-19 საუკუნეში გაჩნდა ყველაზე უფრო მძლავრი ფორმა, რომელიც მიწის გამოყენებაზე უფრო ახდენდა გავლენას, ვიდრე იქ არსე-ბულ საკუთრებაზე, ინდუსტრიული ქალაქების აღზევების სახით, რომელსაც, პრაქტიკულად, საკვებისა და ნედლის მასალების ულევი რესურსი სჭირდებოდა.

ერთი შეხედვით, ამ გამოწვევების საპასუხოდ გადადგმულ ნაბიჯებში მსგავსება არ შეინიშნებოდა, თუმცა ეს ყოველივე ერთიანი პროცესის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენდა, რაც პლანეტის ზედაპირის ინდუსტრიული საზოგადოების საჭიროე-ბებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობდა. პირველი საფეხუ-რი ეს იყო ნიადაგის კომერციალიზაცია და მიწიდან მიღებული ფეოდალური შემოსავლების მობილიზება. მეორე საფეხური იყო საკვებისა და ნედლი ორგანული მასალების წარმოების დაჩქარე-ბა, მთელი ქვეყნის მასშტაბით სწრაფად მზარდი ინდუსტრიუ-ლი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მესამე საფეხური, გულისხმობდა ჭარბი წარმოების ამგვარი სისტემების გავრცელებას ოკეანის გადაღმა ტერიტორიებსა და კოლონიებში. ბოლო საფეხურის მეშვეობით კი მიწა და მისი პროდუქტი საბო-ლოოდ თავსდებოდა თვითრეგულირებადი მსოფლიო ბაზრის სქე-მაში.

ნიადაგის კომერციალიზაცია უბრალოდ ფეოდალიზმის ლიკვი-დაციის განსხვავებული სახელი იყო, რომელიც როგორც დასა-ვლურ საქალაქო ცენტრებში, ასევე ინგლისში მე-14 საუკუნეში დაიწყო და თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ ევროპული რევო-ლუციებით დაგვირგვინდა, როდესაც ფეოდალური ბატონ-ყმობის

გადმონაშთები აღმოიფხვრა. ადამიანის განცალკევება ნიადაგისგან ნიშნავდა მეურნე სხეულის დაშლას ისეთ ნაწილებად, რომ მის თითოეულ ელემენტს შესძლებოდა სისტემის ისეთ ნაწილთან მორგება, სადაც ის ყველაზე უფრო გამოსადეგი იყო. თავდაპირველად, ახალი სისტემა ძველი სისტემის არსებობის პარალელურად გაჩნდა, რომლის ასიმილაციასა და შეთვისებასაც ის ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდელი პერიოდის მარწუხებით შებორკილი მიწების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევით შეეცადა. მიწების ჩამორთმევის ფეოდალური წესი აღმოიფხვრა. „აღნიშნული აქტის მიზანი იყო, რომ სამეზობლო თუ სანათესავო ინსტიტუტებს ჩამორთმეოდათ მიწაზე რაიმე სახის უფლების თუ პრეტენზიის ქონის შესაძლებლობა, განსაკუთრებით, მდიდარ არისტოკრატიასა და ეკლესიას – რომელთა მხრიდან გამოხატული პრეტენზიაც ხელს უშლიდა მიწის დაგირავებასა თუ მის გამოყენებას აღებ-მიცემობისათვის.“[1] ამის მიღწევა ზოგან ინდივიდუალური ძალისხმევითა და ძალადობით მოხერხდა, ზოგან – ქვემოდან თუ ზემოდან წამოსული რევოლუციით, ზოგან – ომითა და დაპყრობით, ზოგან – საკანონმდებლო ქმედებით, ზოგან – ადმინისტრაციული წნეხით, ზოგან კი – კერძო პირების მხრიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მცირემასშტაბიანი სპონტანური ქმედებებით. ამ დანაწევრებით მიყენებული იარები სწრაფად შეხორცდებოდა თუ ღია ჭრილობად დარჩებოდა სოციალურ სხეულზე, უმეტესწილად, დამოკიდებული იყო ზომებზე, რომლებიც მიიღებოდა პროცესების რეგულირებისათვის. თავად მთავრობებმა გადადგეს სერიოზული ნაბიჯები ცვლილებების გასატარებლად და ადაპტაციისათვის. მაგალითად, იტალიურ რისორჯიმენტომდე (იტალიის გაერთიანება) მოდერნული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტი და ასევე, სხვათა შორის, მიწების კერძო ინდივიდების ხელში მოწესრიგებულად გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი ეკლესიის მიწების სეკულარიზაცია იყო.

---

[1] Brinkmann, C., ”Das soziale System des Kapitalismus;’ in Grundriss der Sozial Okonomik, 1924.

ამ მხრივ, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საფრანგეთის რევოლუციისა და ბენთამისეული რეფორმების მეშვეობით 1830-იან და 1840-იან წლებში. „აგროკულტურის აყვავებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი პირობები იქმნება იქ," – წერდა ბენთამი – „სადაც არ არსებობს მაიორატული მემკვიდრეობა, არ არსებობს გაუსხვისებელი ქონება, საერთო მიწები, უფლება გამოსყიდვაზე და საეკლესიო მეათედები...". კერძო საკუთრებისადმი და განსაკუთრებით მიწის სახით არსებული კერძო საკუთრებისადმი ასეთი მიდგომა შეადგენდა ინდივიდუალური თავისუფლების ბენთამისეული კონცეფციის არსებით ნაწილს. აღნიშნული თავისუფლების განვრცობა ამა თუ იმ მიმართულებით, წარმოადგენდა ისეთი კანონების მიზანსა და შედეგს, როგორიც იყო აქტი სიძველეების შესახებ, მემკვიდრეობის აქტი, ჯარიმებისა და სასამართლოს ძალით ზღვევინების აქტი, უძრავი ქონების აქტი და 1801 წლის საზღვრების დადგენის ზოგადი აქტი და მის შემდგომ მიღებული დოკუმენტები;[1] ისევე, როგორც საარენდო უფლებების (კოპიჰოლდის) აქტი, 1841 წლიდან 1926 წლამდე. საფრანგეთსა და კონტინენტური ევროპის ცალკეულ ნაწილებში ნაპოლეონის კოდექსმა საკუთრების ბურჟუაზიული ფორმების ინსტიტუციონალიზება მოახდინა, რამაც მიწა გასაყიდ საქონლად, ხოლო გირავნობა კერძო სამოქალაქო კონტრაქტების ნაწილად აქცია.

მეორე საფეხური, რომელიც ნაწილობრივ პირველ საფეხურზეც ვრცელდება, იყო მიწის დაქვემდებარება ქალაქის სწრაფად მზარდ მაცხოვრებელთა საჭიროებებისათვის. მართალია, თავად მიწის მობილიზება ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი პროდუქციის მობილიზება, თუკი გამართული სატრანსპორტო საშუალებების არსებობა და კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა. „ამდენად, საქონლის მობილობა გარკვეულწილად აკომპენსირებს დანაკლისს, რომელიც გამოწვეულია რეგიონებს შორის ქარხნების მობილობის შეუძლე-

[1] Dicey, A. V. , op. cit., p. 226 .

ბლობით; ანდა, ვაჭრობა ანაზღაურებს საწარმოო საშუალებების არახელსაყრელი გეოგრაფიული განაწილებით გამოწვეულ ნაკლოვანებებს (რაც პრინციპში იმავეს ნიშნავს).“[1] ტრადიციული წარმოდგენებისათვის ასეთი შეხედულება აბსოლუტურად უცხო იყო. „არც ანტიკურ და არც ადრეულ შუა საუკუნეებში – ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს – ყოველდღიური მოხმარების საქონლის რეგულარული ყიდვა-გაყიდვა არ ხდებოდა.“[2] მაშინდელი გაგებით, მარცვლეულის მორჩენილი მარაგებით სამეზობლოში არსებული ქალაქები უნდა მომარაგებულიყო, ხორბლის ბაზრები მე-15 საუკუნემდე მკაცრად ლოკალური ორგანიზებით გამოირჩეოდა. თუმცა, ქალაქების ზრდამ მიწათმფლობელებს უბიძგა, რომ პროდუქცია უმთავრესად ბაზარზე გასატანად ეწარმოებინათ, ინგლისში მეტროპოლიების ზრდამ კი ხელისუფლება აიძულა, რომ ხორბლით ვაჭრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები შეემსუბუქებინა და დაეშვა რეგიონული, თუმცა არა ქვეყნის მასშტაბით მისი გაყიდვა.

საბოლოო ჯამში, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ინდუსტრიული ქალაქების მოსახლეობისაგან დაკომპლექტებულ აგლომერაციებში სიტუაცია სრულიად შეიცვალა – ჯერ ეროვნული, შემდგომ კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თავისუფალი ვაჭრობის ჭეშმარიტი არსი სწორედ ამ ცვლილებით გამოწვეულ შედეგებში აისახა. მიწათმოქმედების პროდუქციის მობილიზება ახლო-მახლო სასოფლო დასახლებებს გასცდა და ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებსაც მისწვდა – შრომის ინდუსტრიულ-აგროკულტურული დაყოფა მთელ პლანეტაზე გავრცელდა. შედეგად, შორეულ ადგილებში მცხოვრები

---

1 Ohlin, B. , Interregional and International Trade, 1935, p . 42.

2 Bucher, K., Entstehung der Volkswirtschaft, 1904. Cf. also Penrose, E. F., Population Theories and Their Application, 1934; ციტირებული Longfield, 1834, სადაც პირველად იყო ნახსენები იდეა, რომ საქონლის მობილობა შესაძლოა გაგებული იყოს როგორც საწარმოო ფაქტორთა მობილობის შემცვლელი.

ადამიანები ცვლილებათა მორევში იქნენ ჩათრეულები, რომლის წარმოშობაც კვლავაც ბუნდოვანი რჩებოდა მათთვის, ევროპული სახელმწიფოები კი ამასობაში, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, დამოკიდებულები გახდნენ საზოგადოებრივი ინტეგრაციის იდეაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გარანტირებული. ამგვარად, თავისუფალ ვაჭრობასთან ერთად ადამიანის ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი, გრანდიოზული მასშტაბის პლანეტარული ურთიერთდამოკიდებულების რისკები.

სოციალური წესრიგის საყოველთაო მოშლისაგან თავდაცვის ფრონტი ისეთი ფართომასშტაბიანი იყო, როგორიც თავდასხმის ფრონტი. მართალია, ზოგადი კანონები და საკანონმდებლო რეგულაციები ზოგჯერ ამ პროცესს აჩქარებდა, თუმცა ზოგჯერ იგი თავად ხდებოდა შემაფერხებელი ფაქტორი. მაგრამ, ზოგადი კანონი და საკანონმდებლო აქტები სულაც არ მოქმედებდნენ ყოველთვის ერთნაირად.

ზოგადმა კანონებმა, უმეტესწილად, დადებითი როლი შეასრულა შრომის ბაზრის ჩამოყალიბებაში – შრომის როგორც საქონლის თეორიაზე, თავდაპირველად, იურისტებმა დაიწყეს ხაზგასმით საუბარი და არა ეკონომისტებმა. მშრომელთა გაერთიანებისა და ფარული მოლაპარაკებების კანონთან დაკავშირებითაც კანონმდებლობა უპირატესობას თავისუფალ შრომის ბაზარს ანიჭებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორგანიზებული მშრომელების გაერთიანების თავისუფლებას ზღუდავდა.

თუმცა, მიწასთან დაკავშირებით, ზოგადი კანონის დამოკიდებულება დროთა განმავლობაში შეიცვალა; თავდაპირველად, იგი მხარს უჭერდა, შემდგომ კი ეწინააღმდეგებოდა ცვლილებას. მე-16 და მე-17 საუკუნეებში ზოგადი კანონი, უმეტესწილად, მხარს უჭერდა მეპატრონის უფლებას გაეუმჯობესებინა მიწის შემოსავლიანობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რადიკალურ ცვლილებებს მოიტანდა მიწაზე მცხოვრებთა და მასზე მომუშავეთათვის. კონტინენტურ ევროპაში მობილიზაციის ეს პროცესი, როგორც ცნობილია, გულისხმობდა რომის კანონის მიღებას, ხოლო ინგლისს თავისი საკუთარი კანონი ჰქონდა და მან წარმატებით

დააახლოვა ერთმანეთთან შუა საუკუნეების კერძო საკუთრების შეზღუდული უფლებები და თანამედროვე ინდივიდუალური საკუთრება, ისე რომ არ მოუწია სასამართლოს მიერ მიღებული კანონის პრინციპების მსხვერპლად გაღება, რაც კონსტიტუციური თავისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მეორე მხრივ, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, მიწის შესახებ ზოგადი კანონი ასრულებდა წარსულის თანამედროვე კანონმდებლობისაგან დაცვის ფუნქციას. თუმცა, საბოლოო ჯამში ბენთამის მიმდევრებმა თავიანთი გაიტანეს და 1830-დან 1860 წლამდე კონტრაქტების თავისუფლება მიწებზეც გავრცელდა. ეს მძლავრი ტენდენცია მხოლოდ და მხოლოდ 1870-იან წლებში შეიცვალა მას შემდეგ, რაც კანონმდებლობამ ვითარება რადიკალურად შემოატრიალა. ასე დაიწყო „კოლექტივისტური“ პერიოდი.

ზოგადი კანონის ინერციას ახლა უკვე მიზანმიმართულად უმაგრებდა ზურგს დაჩქარებულად მიღებული საკანონმდებლო აქტები, რათა თავისუფალი კონტრაქტების შედეგებისაგან სოფლად მცხოვრები კლასის საცხოვრებელი და სამუშაო პირობები დაეცვა. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაღებული, რათა ღარიბთა საცხოვრებლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები გაუმჯობესებულიყო, იჯარით მისცემოდათ მათ მიწები, რათა ჰქონოდათ შანსი, რომ ჯურღმულებიდან ამოსულიყვნენ და სუფთა ჰაერი ესუნთქათ. გაღატაკებული ირლანდიელი მოიჯარეები და ლონდონის ჯურღმულებში მცხოვრებლები ბაზრის კანონების რკინის მარწუხებისაგან საკანონმდებლო აქტებმა დაიხსნა, რომლებიც პროგრესის ულმობელი ძალისაგან მათ დასაცავად იქნა შემოღებული. კონტინენტურ ევროპაში კი, უმეტესწილად სტატუტის აქტები და ადმინისტრაციული ქმედებები იცავდა მოიჯარეს, გლეხსა და მიწის მუშებს ურბანიზაციის ყველაზე უფრო მკაცრი შედეგებისაგან. პრუსიელი კონსერვატორები, როგორიც იყო მაგალითად როდბერტუსი, რომლის იუნკერულმა სოციალიზმმაც გავლენა მოახდინა მარქსზე და ინგლისელი ტორი-დემოკრატები ერთი სისხლი და ხორცი იყვნენ.

მალევე, თავი იჩინა აგროკულტურაში ჩაბმული მოსახლეობის დაცვის პრობლემამ მთლიანად ქვეყნებსა თუ კონტინენტებზე. საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა, თუკი მისი რეგულირება არ ხდება, აუცილებლად უსარგებლოდ აქცევს აგროკულტურის წარმოებაში ჩართულ, ნებისმიერ მეტნაკლებად მსხვილ კომპაქტურ ჯგუფს.[1] ნგრევის ამ გარდაუვალ პროცესს, განსაკუთრებით ამწვავებდა ტრანსპორტირების თანამედროვე საშუალებების განვითარებაში მომხდარი წყვეტები, რომელთა განვრცობაც პლანეტის ახალ რეგიონებზე ძალიან ძვირი ჯდებოდა, თუკი მისგან მიღებული სარგებელი განსაკუთრებით მაღალი არ იყო. როგორც კი გემებისა და რკინიგზის მშენებლობაში ჩადებულმა დიდძალმა რესურსებმა შედეგი გამოიღო, მთლიანად კონტინენტების კარები გაიღო და მარცვლეულმა ზვავებად დაიწყო დენა გაჭირვებაში მყოფ ევროპაში. მოვლენების ასეთი განვითარება კლასიკურ პროგნოზს არ შეესაბამებოდა. მაგალითად, რიკარდო აქსიომად მიიჩნევდა, რომ, პირველ რიგში, ყველაზე უფრო სარგებლიანი მიწების განაშენიანება მოხდებოდა. როგორც კი რკინიგზის გაყვანამ, ანტიპოდებში კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერი მიწებისაკენ გახსნა გზა, ეს აქსიომა უკვე სასაცილო გამოჩნდა. ცენტრალური ევროპა, რომელსაც სოფლად მცხოვრები საზოგადოების სრული განადგურება ემუქრებოდა, იძულებული გახდა, რომ საკუთარი გლეხები პურის კანონებით დაეცვა.

თუმცა, მართალია ევროპის გამართულად მოწყობილ ქვეყნებს შეეძლოთ თავის დაცვა საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის შედეგებისაგან, მაგრამ პოლიტიკურად არაორგანიზებულ კოლონიებში მცხოვრები ხალხი ამას ვერ ახერხებდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყება, უმეტესწილად, იყო ეგზოტიკური ხალხების მცდელობა, მიეღწიათ პოლიტიკური სტატუსისათვის, რომელიც საჭირო იყო ევროპული სავაჭრო პოლიტიკით გამოწვეული სოციალური მოშლისაგან თავის დასაცავად. უსაფრთხოების გარანტიებზე, რომლის მიღებაც თეთრკანიან ადა-

[1] Borkenau, F., “Towards Collectivism;’ in The Totalitarian Enemy, 1939.

მიანს იოლად შეეძლო, სხვა რასის წარმომადგენლებს ხელი არ მიუწვდებოდათ, ვინაიდან ისინი განიცდიდნენ მთავარი წინაპირობის, პოლიტიკური მართვის სადავეების ნაკლებობას.

ვაჭართა კლასი აქტიურად უწყობდა ხელს მიწების მობილიზებაზე მოთხოვნის გაჩენას. კობდენმა ინგლისელ მიწათმფლობელებში შფოთი შემოიტანა იმის აღმოჩენით, რომ ფერმერული მეურნეობა „კომერციული საქმიანობა“ იყო, ხოლო ისინი, ვინც გაღარიბდნენ, სხვებს გზიდან უნდა ჩამოშორებოდნენ. როგორც კი ნათელი გახდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა საკვებზე ფასის დაწევას განაპირობებდა, მუშათა კლასმა მის მხარდამჭერთა ბანაკში გადაინაცვლა. პროფკავშირები იქცა ანტი-აგრარიანიზმისა და რევოლუციური სოციალიზმის ბასტიონად, რომელიც მსოფლიო გლეხობას ერთი ხელის მოსმით აკერებდა რეაქციონერთა მასის იარლიყს. შრომის საერთაშორისო დანაწილება ცალსახად პროგრესულ პრინციპს წარმოადგენდა; ხოლო მისი მოწინააღმდეგეების გადაბირება ხშირად იმ ადამიანებიდან ხდებოდა, რომელთა განსჯის უნარიც პირადი ინტერესების ანდა ბუნებისგან მინიჭებული გონის ნაკლოვანების გამო არც თუ სახარბიელო იყო. ხოლო რამდენიმე დამოუკიდებელი და პირადი ინტერესების არ მქონე ადამიანი, რომლებმაც შეუზღუდავი თავისუფალი ვაჭრობის ნაკლოვანებები დაინახეს, ზედმეტად ცოტანი იყვნენ საიმისოდ, რომ შთაბეჭდილება მოეხდინათ.

მიუხედავად ამისა, დამდგარი შედეგი ნაკლებ რეალური არ გამხდარა იმის გამო, რომ ადამიანებს სრული სერიოზულობით არ ჰქონდათ ის გააზრებული. არსებითად, უდიდესი გავლენა, რომლითაც მიწათმფლობელები სარგებლობდნენ დასავლეთ ევროპაში და ცხოვრების ფეოდალური ფორმების შენარჩუნება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნეში, კარგად ხსნიდა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დამცავ ფუნქციას, რომელიც ამ ძალებს ჰქონდათ მიწის მობილიზების შეყოვნების პროცესში. ხშირად გაისმოდა შეკითხვა: რამ მისცა კონტინენტური ევროპის ფეოდალურ არისტოკრატიას იმის შესაძლებლობა, რომ თავიანთი ძალაუფლება შეენარჩუნებინათ ბურჟუაზიულ

სახელმწიფოში, მას შემდეგ, რაც მათ დაკარგეს სამხედრო, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ფუნქციები, რომელთა დამსახურებითაც ისინი თავის დროზე აღზევდნენ? „გადარჩენის“ თეორია ზოგჯერ მოჰყავდათ ხოლმე როგორც ახსნა-განმარტება იმისა, რომ უფუნქციო ინსტიტუციებმა თუ ჩვევებმა შესაძლოა კვლავაც განაგრძონ არსებობა ინერციის დამსახურებით. თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს ინსტიტუცია, რომელიც ბოლომდე ამოწურავს თავის დანიშნულებას – როდესაც გვგონია, რომ ასე მოხდა, იმის ბრალია ხოლმე, რომ იგი იწყებს რაღაც სხვა ფუნქციის შესრულებას, რომელიც არ რის საჭირო რომ თავდაპირველ ფუნქციას გულისხმობდეს. ამგვარად, ფეოდალიზმმა და მიწათმფლობელმა კონსერვატორებმა შეინარჩუნეს თავიანთი ძალაუფლება, იმის გამო, რომ ისინი ემსახურებოდნენ მიზანს, რომელიც გულისხმობდა მიწის მობილიზების კატასტროფული შედეგების შეზღუდვას. ამ დროისათვის თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერებს დავიწყებული ჰქონდათ, რომ მიწა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს და სუვერენობის ტერიტორიული მახასიათებელი უბრალოდ სენტიმენტალური ასოციაციის შედეგი კი არ არის, არამედ განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის ეკონომიკურითაც. „მომთაბარე ხალხებისაგან განსხვავებით, მიწათმოქმედი ადამიანები ძალისხმევას იღებენ გარკვეული პროგრესის მისაღწევად, რომელიც მიბმულია კონკრეტულ ადგილთან. ასეთი პროგრესის გარეშე ადამიანების ცხოვრება პრიმიტიული დარჩებოდა და ცხოველებისაგან დიდად განსხვავებული არ იქნებოდა. მართლაც, რამხელა როლი შეასრულეს ამგვარმა ფიქსაციებმა კაცობრიობის ისტორიაში! სწორედ ისინი, გასუფთავებული და კულტივირებული მიწები, სახლები და სხვა ნაგებობები, კომუნიკაციის საშუალებები, წარმოებისათვის, მათ შორის ინდუსტრიისა და სამთო მოპოვებისათვის საჭირო დანადგარები, საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობილობები, რომელთაც მუდმივი და „სტაციონარული“ მახასიათებლები აქვთ, ამყარებენ კავშირს ადამიანთა ჯგუფებსა და გარკვეულ ადგილებს შორის. მათი იმპროვიზაცია

შეუძლებელია, ისინი ეტაპობრივად უნდა შექმნას თაობების მიერ მოთმინებით გაღებულმა ძალისხმევამ, საზოგადოებას კი იმის ფუფუნება არ აქვს, რომ ეს ყოველივე გაწიროს და სადღაც სხვაგან ყველაფრის სუფთა ფურცლიდან შენება დაიწყოს. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის ტერიტორიული მახასიათებელი განუყოფელია ჩვენი პოლიტიკური წარმოდგენებისაგან."[1] ეს ცხადი ჭეშმარიტება ერთი საუკუნის განმავლობაში სასაცილოდ მიიჩნეოდა.

ეკონომიკასთან დაკავშირებული არგუმენტის განვრცობა რთული არ იქნება ისე, რომ მოიცვას ნიადაგისა და მისი რესურსების ერთიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების პირობებიც – როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის ცხოვრებისეული ძალა და ენერგია, საკვები რესურსების სიუხვე, თავდაცვისათვის საჭირო მასალების რაოდენობა და ხარისხი და ქვეყნის კლიმატიც კი. ამ ყოველივეს, შესაძლოა დიდი ზიანი ჰქონდეს მიყენებული ტყეების გაჩეხის, ეროზიებისა და ქვიშის ქარიშხლების მიერ, რაც, საბოლოო ჯამში, მიწის ფაქტორზეა დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი არ არის დამოკიდებული ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმზე. იმის გათვალისწინებით, რომ ეგზისტენციალური საჭიროებების გარანტირებულად დაკმაყოფილების საკითხში სისტემა მთლიანად არის დამოკიდებული ბაზრის ფუნქციებზე, ნდობა ბუნებრივად ჩნდება ისეთი ძალებისადმი, რომლებიც ბაზრის სისტემის მიღმა არსებობენ და რომელთაც დანამდვილებით შეუძლიათ საერთო ინტერესების დაცვა, რომელთაც სისტემა საფრთხეს უქმნის. ეს შეხედულება სრულ თანხვდება ჩვენს შეხედულებას გავლენების რეალური წყაროების შესახებ, რომელიც ამა თუ იმ კლასში იჩენს ხოლმე თავს: ნაცვლად იმისა, რომ მოვლენების განვითარება, რომელიც ეპოქისთვის დამახასიათებელ ზოგად ტენდენციას ემთხვევა, ავხსნათ რეაქციული კლასების (აუხსნელი) გავლენით, გვირჩევნია, რომ აღნიშნული კლასების ამ ტიპის გავლენები

[1] Hawtrey, R. G., The Economic Problem, 1933.

ავხსნათ იმ ფაქტით, რომ მართალია შემთხვევით, მაგრამ ისინი მხარს უჭერენ პროცესების ისეთ განვითარებას, რომელიც მხოლოდ გარეგნულად უპირისპირდება საზოგადოების ზოგად ინტერესებს. ის, რომ ამგვარი პოლიტიკური შემოთავაზებებით მათი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება ხდება, კიდევ ერთი ილუსტრაციაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ კლასები წარმატებულად ახერხებენ, რომ არაპროპორციულად მეტი სარგებელი მიიღონ სერვისებიდან, რომელთაც ისინი თემზე ავრცელებენ.

ამის კარგი მაგალითი იყო სპინჰემლენდი. მემამულე, რომელიც მართავდა სოფელს უცებ პოულობდა გზებს, რათა შეეჩერებინა სოფლად მცხოვრებთა ხელფასების ზრდა და საფრთხე, რომელიც მოშლით ემუქრებოდა სოფლის ცხოვრების ტრადიციულ სტრუქტურას. შორ პერსპექტივაში, შერჩეული მეთოდი განწირული იყო საიმისოდ, რომ ყოვლად ამაზრზენი შედეგები მოჰყოლოდა. და მაინც, მიწათმფლობელები ვერ შეძლებდნენ საკუთარი პრაქტიკის გაგრძელებას, თავიანთი ამ ქმედებით ისინი მთლიანად ქვეყანას რომ არ დახმარებოდნენ, ინდუსტრიული რევოლუციის მეწყერთან შესახვედრად.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კონტინენტურ ევროპაში, აგრარული პროტექციონიზმი აუცილებლობა იყო. თუმცა, იმ ეპოქის ყველაზე აქტიური ინტელექტუალური ძალები გახვეულნი იყვნენ ავანტიურაში, რომლის გამოც მათი მზერა სულ სხვა მხარეს იყო მიმართული და შედეგად, აგრარული პრობლემის რეალური მნიშვნელობა მათთვის შეუმჩნეველი დარჩა. ამ პირობებში, ჯგუფს, რომელსაც შეეძლო რომ საფრთხის წინაშე არსებული აგრარული ინტერესები წარმოედგინა, შეეძლო თავისი მასშტაბის არათანაზომიერი გავლენა მოეპოვებინა. პროტექციონისტულმა კონტრმოძრაობამ მართლაც წარმატებით შეძლო ევროპის ქალაქგარეთ ტერიტორიებზე სტაბილურობის მიღწევა და მოსახლეობის ქალაქის მიმართულებით დინების შეჩერება, რაც იმ ეპოქის ნამდვილი ჭირი იყო. რეაქცია სარგებელს ნახულობდა საზოგადოებისათვის სასარგებლო ფუნქციაში, რომელსაც იგი რთულ სიტუაციაში ასრულებდა. აღნიშნული ფუნქცია,

რომელიც ევროპაში რეაქციულ კლასებს შესაძლებლობას აძლევდა, რომ ტრადიციული სენტიმენტებით ეთამაშათ აგრარული ტარიფებისათვის ბრძოლაში, პასუხისმგებელი იყო დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკაში ტენესის ხეობის ადმინისტრაციისა და სხვა პროგრესული სოციალური ტექნიკების წარმატებაზე. საზოგადოების საჭიროებები, რომლითაც დემოკრატია სარგებლობდა ახალ სამყაროში, ძველში არისტოკრატიის გავლენას აძლიერებდა.

მიწის მობილიზაციისათვის გაწეული წინააღმდეგობა იყო ის სოციოლოგიური პროცესი, რომლის ფონზეც ვითარდებოდა ბრძოლა ლიბერალიზმსა და მასზე რეაქციას შორის, რაც მე-19 საუკუნის კონტინენტური ევროპის პოლიტიკური ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამ ბრძოლაში სამხედრო კლასი და უმაღლესი სამღვდელოება მიწათმფლობელთა მოკავშირეები იყვნენ, რომლებმაც თითქმის სრულად დაკარგეს თავიანთი უმთავრესი ფუნქცია საზოგადოებაში. აღნიშნული კლასები ახლა უკვე მზად იყვნენ, რომ მხარი დაეჭირათ ჩიხიდან ნებისმიერი რეაქციონერული გამოსავლისთვის, რომლისკენაც მათ საბაზრო ეკონომიკა და მისი ჭეშმარიტი პირმშო, კონსტიტუციური სისტემა მიაქანებდა – მათ ხომ არც ტრადიცია და არც იდეოლოგია არ აკავშირებდათ სამოქალაქო თავისუფლების თუ საპარლამენტო მმართველობის პრინციპებთან.

მოკლედ, ეკონომიკური ლიბერალიზმი გადაჯაჭვული იყო ლიბერალურ სახელმწიფოსთან, ხოლო მიწათმფლობელთა ინტერესები კი – არა; სწორედ ეს განაპირობებდა კონტინენტურ ევროპაში მათ მუდმივ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რამაც პრუსიის პოლიტიკაში ბისმარკის მმართველობისას საწინააღმდეგო დინებები გააჩინა, საფრანგეთში სამღვდელოებისა და სამხედროთა რევანში გააძლიერა, ჰაბსბურგთა იმპერიაში შექმნა გარანტიები სასამართლოზე არისტოკრატიის გავლენისათვის, ხოლო ეკლესია და ჯარი რღვევის პირას მისული ტახტების დამცველებად აქცია. ვინაიდან ამ კავშირმა ორი თაობის კრიტიკულად მნიშვნელოვან პერიოდს გაუძლო (რომელიც ჯონ მეინარდ კეინსმა დაადგინა

როგორც უსასრულობის პრაქტიკული ალტერნატივა), მიწა და მიწასთან დაკავშირებული საკუთრება ახლა უკვე განიხილებოდა როგორც რეაქციულობის თანდაყოლილი და განუყრელი ნიშანი. მე-18 საუკუნის ინგლისი თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერ ტორებთან და აგრარული სფეროს ნოვატორებთან ერთად დავიწყებულ იქნა, მსგავსად ტიუდორთა ეპოქის მონოპოლისტებისა და მიწიდან ფულის შოვნის მათი რევოლუციური მეთოდებისა. ფრანგი და გერმანელი ფიზიოკრატი მიწათმფლობელები და მათი ენთუზიაზმი თავისუფალი ვაჭრობისადმი საზოგადოების მეხსიერებიდან ამოშალა იმ დროისათვის სოფლისადმი როგორც მუდმივად ჩამორჩენილი სივრცისადმი არსებულმა წინასწარ განწყობამ. ჰერბერტ სპენსერისთვის ერთი თაობაც შეიძლება ყოფილიყო საკმარისი უსასრულობის სადემონსტრაციოდ, თუმცა, ეს მან უბრალოდ მილიტარიზმზე რეაქციით გამოხატა. სოციალური და ტექნოლოგიური შემგუებლობა, რომელიც ბოლო ხანებში გამოაჩინა იაპონურმა, რუსულმა ანდა ნაცისტურმა არმიამ, მისთვის გაუგებარი დარჩებოდა.

თუმცა, ასეთი მოსაზრებები კონკრეტული ეპოქის ვიწრო გადმოსახედით იყო ნასაზრდოები. საბაზრო ეკონომიკის გრანდიოზული ინდუსტრიული მიღწევები, საზოგადოების არსისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფასად იქნა მოპოვებული. ამ პირობებში ფეოდალურმა კლასებმა დაინახეს შესაძლებლობა, რომ მიწისა და მასზე მომუშავეთა სიკეთეების მხარდამჭერებად ქცევით, დაკარგული პრესტიჟის ნაწილი მაინც დაებრუნებინათ. ლიტერატურულ რომანტიზმში ბუნება წარსულის მოკავშირედ იქცა; მე-19 საუკუნის აგრარულ მოძრაობაში ფეოდალიზმი, არც თუ წარმატებულად, ცდილობდა, რომ საკუთარი თავის როგორც ადამიანების ბუნებრივი საარსებო გარემოსა და ნიადაგის დამცველად წარმოდგენით წარსულის დიდება აღედგინა. საფრთხე რომ რეალური არ ყოფილიყო, ამ ხრიკს შესაძლოა არ ემუშავა.

გარდა ამისა, ჯარმა და ეკლესიამ პრესტიჟი მოიპოვა იმის გამოც, რომ ისინი მზად აღმოჩნდნენ, ქცეულიყვნენ „წესრიგისა და კანონის დამცველებად," რაც მგრძნობიარე საკითხი იყო, რადგან

მმართველი ბურჟუაზიული კლასი ახალი ტიპის ეკონომიკის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის შეუფერებელი იყო. საბაზრო სისტემა გაცილებით უფრო ალერგიული იყო აჯანყებებისადმი, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი რომელიმე სხვა ეკონომიკური სისტემა. ტიუდორთა მთავრობა აჯანყებებს სათავისოდ იყენებდა, რათა ადგილობრივი უკმაყოფილებებისკენ მიემართა ყურადღება, რამდენიმე ბუნტისთავს სახრჩობელას გზას გაუყენებდნენ და ამით ამოიწურებოდა მთელი ეს უსიამოვნება. ფინანსური ბაზრის აღზევება კი, ასეთი დამოკიდებულების დასასრულს ნიშნავდა; 1797 წლის შემდეგ არეულობები აღარ წარმოადგენდა ლონდონის ცხოვრების განუყრელ ნაწილს. მათი ადგილი ნელ-ნელა დაიკავა შეკრებებმა, სადაც, სულ მცირე პრინციპების დონეზე მაინც, ხელებს მუშტი-კრივისთვის კი არ იღერებდნენ, არამედ მათ ხმის მიცემისათვის სწევდნენ ჰაერში.[1] პრუსიის მეფე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მშვიდობის დაცვა აღნიშნული სუბიექტების პირველი და უმთავრესი მოვალეობა იყო, პირველი ცნობილი პარადოქსი გახლდათ, რომელიც მალევე ჩვეულ მოვლენად იქცა. მე-19 საუკუნეში საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევა, შეიარაღებული ხალხის მიერ აჯანყებისა და სახელმწიფოსათვის უმწვავესი საფრთხის შექმნის საწყის საფეხურად განიხილებოდა; საფონდო ბირჟებზე პანიკა ისადგურებდა, აქციათა ფასების ვარდნას კი ბოლო არ უჩანდა. მეტროპოლიის ქუჩებში აყალმაყალსა და იარაღის გასროლას შესაძლოა ქვეყნის ეროვნული ნომინალური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაენადგურებინა. მით უმეტეს, რომ საშუალო კლასი სამხედრო სამსახურისთვის კვლა-

---

[1] Trevelyan, G. M., History of England, 1926, p. 533. "ინგლისი უალპოლის პირობებში ჯერ კიდევ არისტოკრატია წარმოადგენდა, აჯანყებებისაგან შესუსტებულს" ჰანა მორის თხზულება, „ჯანყი; დაიწერა ოთხმოცდათხუთმეტ წელს, გაჭირვებისა და განგაშის ჟამს" სპინჰემლენდის ეპოქაში. Cf. The Repository Tracts, Vol. I, New York, 1835. ასევე, The Library, 1940, fourth series, Vol. XX, p. 295, on "Cheap Repository Tracts (1795 98)

ვაც შეუფერებელი იყო; სახალხო დემოკრატია კი თავისი თავით ამაყობდა, რომ მასების პროტესტს გზას უხსნიდა; კონტინენტურ ევროპაში კი, ბურჟუაზია ჯერაც საკუთარი რევოლუციური ახალგაზრდობის მოგონებებს იყო ჩაბღაუჭებული, როდესაც ისინი ბარიკადებზე უშიშრად უპირისპირდებოდნენ არისტოკრატთა ტირანიას. ერთი სიტყვით, მხოლოდ გლეხობა, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო ლიბერალური ვირუსით დაავადებული, მიიჩნეოდა ერთადერთ ფენად, რომელსაც შეეძლო, მკერდით გადაფარებოდა „კანონსა და წესრიგს“. გამოდიოდა, რომ რეაქციის ერთ-ერთი ამოცანა იყო, რომ დასაქმებულ კლასებს სცოდნოდათ თავიანთი ადგილი და შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, რათა ბაზრებზე პანიკა არ დაწყებულიყო. მართალია, ეს მომსახურება ძალზე იშვიათად ხდებოდა საჭირო, მაგრამ გლეხობის როგორც კერძო საკუთრების უფლების დამცველების მზაობა აგრარული ბანაკისათვის დიდი რესურსი იყო.

1920-იანი წლების ისტორიის განსხვავებული ახსნა შეუძლებელია. როდესაც ომისა და მარცხის შედეგად გამოწვეული მღელვარების გამო ცენტრალურ ევროპაში სოციალური სტრუქტურა ჩამოინგრა, ერთადერთი მშრომელთა კლასი აღმოჩნდა მზად, რომ პროცესების მართვის სადავეები აეღო ხელში. ძალაუფლება ყველგან პროფკავშირებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელში გადავიდა: ავსტრია, უნგრეთი და გერმანიაც კი რესპუბლიკებად გამოცხადდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ამ ქვეყანაში მანამდე აქტიურ რესპუბლიკურ პარტიებს არ უარსებია. თუმცა, როგორც კი სოციალური ჩამოშლის მწვავე საფრთხემ გაიარა და პროფკავშირების მომსახურება აღარ იყო საჭირო, ბურჟუაზია შეეცადა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მშრომელთა კლასის გავლენები მთლიანად შეეზღუდა. ეს პროცესი ცნობილია, როგორც ომის შემდგომი პერიოდის კონტრრევოლუციური ფაზა. რეალურად, კომუნისტური რეჟიმისაგან არავითარი სერიოზული საფრთხე არ მომდინარეობდა, ვინაიდან მშრომელები ორგანიზებულები იყვნენ ისეთ პარტიებსა და პროფკავშირებში, რომლებიც აქტიურად მტრობდნენ კომუ-

ნისტებს. (უნგრეთის ბოლშევიკურ ეპიზოდთან დაკავშირებით, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას სხვა ალტერნატივა უბრალოდ აღარ ჰქონდა დარჩენილი თავის დასაცავად, როდესაც საფრანგეთი შეიჭრა). რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა არა ბოლშევიზმი, არამედ გულგრილობა საბაზრო ეკონომიკის წესებისადმი, რომლებიც პროფკავშირებსა და მუშათა პარტიებს საგანგაშო მდგომარეობამდე მიიყვანდა. ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, უწყინარი ჩარევები საზოგადოებრივი წესრიგისა და სავაჭრო მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებაში, შესაძლოა სასიკვდილო საფრთხედ ქცეულიყო[1], ვინაიდან მათ შეეძლოთ გამოეწვიათ ეკონომიკური რეჟიმის ნგრევა, რომელზეც საზოგადოების ყოველდღიური სარჩო-საბადებელი იყო დამოკიდებული. ამით აიხსნებოდა ის გასაკვირი გადასვლა საწარმოთა მუშების სავარაუდოდ გარდაუვალი დიქტატურიდან გლეხობის რეალურ დიქტატურაზე, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა. სწორედ 1920-იან წლებში გლეხობამ, რომელსაც ჩვეულებრივ მხოლოდ და მხოლოდ მოკრძალებული როლი ეკისრა, ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა დაიწყო. ახლა უკვე გლეხობა გამოდგა ერთადერთი კლასი, რომელსაც შეეძლო წესრიგისა და კანონის დაცვა, ამ ტერმინის თანამედროვე, ძალზედ მგრძნობიარე გაგებით.

ომის შემდგომ ევროპაში, მწვავე ბრძოლა აგრარული ინტერესებისათვის ნათელს ფენს იმ პრივილეგირებულ დამოკიდებულებას, რომლითაც, პოლიტიკური მიზეზების გამო, გლეხობა სარგებლობდა. ფინური ლაპპოს მოძრაობიდან მოყოლებული, ავსტრიული ჰეიმვეირის მოძრაობამდე გლეხებმა დაამტკიცეს, რომ საბაზრო ეკონომიკის ნამდვილი ლიდერები იყვნენ, რამაც ისინი პოლიტიკურად ძალზე მნიშვნელოვან აქტორებად აქცია.

---

[1] Hayes, C., A Generation of Materialism, 1870-1890, ჰეისი აღნიშნავს, რომ „ცალკეულ სახელმწიფოთა უმრავლესობა, სულ მცირე, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ერთი შეხედვით აღმატებით შიდა სტაბილურობას განიცდიდა.“

საკვების დეფიციტი ომის შემდგომ წლებში, რომელსაც ზოგჯერ მიაწერენ ხოლმე მათ აღზევებას, არაფერ შუაში იყო. მაგალითად, იმისათვის რომ გლეხებს ფინანსურად ენახათ სარგებელი, ავსტრიას მოუწია საკვების სტანდარტების დაწევა მარცვლეულზე გადასახადების შენარჩუნების გზით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა განსაკუთრებით დამოკიდებული იყო იმპორტზე, საკვებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლეხობის ინტერესები ნებისმიერ ფასად უნდა დაეცვათ, თუნდაც აგრარულ პროტექციონიზმს ქალაქის მაცხოვრებელთა ტანჯვა და საექსპორტო ინდუსტრიაში ფასების არაგონივრული მატება მოჰყოლოდა. ამგვარად, გლეხთა კლასმა, რომელსაც ადრე გავლენა არ ჰქონდა, თავისი ეკონომიკური მნიშვნელობის არაპროპორციულად სწრაფი აღმასვლა განიცადა. ბოლშევიზმის შიში იყო ის, რამაც მათი პოლიტიკური პოზიცია ურყევი გახადა. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს გახლდათ არა მუშათა კლასის დიქტატურის შიში – საბოლოოდ, არაფერი ამის მსგავსი არ გამოჩენილა ჰორიზონტზე – არამედ შიში, რომ საბაზრო ეკონომიკის პარალიზება მოხდებოდა, თუკი პოლიტიკური ავანსცენიდან არ გაქრებოდა ყველა მოთამაშე, რომელიც, კრიტიკულ სიტუაციაში, საბაზრო თამაშის წესებიდან გადაუხვევდა. რამდენადაც გლეხობა ერთადერთ კლასს წარმოადგენდა, რომელსაც აღნიშნული დავალების შესრულება შეეძლო, ისინი განსაკუთრებულად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და შეეძლოთ ქალაქში მცხოვრები საშუალო კლასი ტყვეობაში ჰყოლოდათ. როგორც კი სახელმწიფო ძალაუფლების კონსოლიდაციამ ... ხოლო მანამდე, ფაშიზმის მიერ ქალაქში მცხოვრებ მეშჩანთა შემტევ ჯარისკაცებად ქცევამ ბურჟუაზია გლეხებზე დამოკიდებულებისაგან გაათავისუფლა, ამ უკანასკნელის პოლიტიკური გავლენები მკვეთრად შემცირდა. ქალაქსა და ქარხანაში „შიდა მტრის“ განეიტრალების თუ დამორჩილებისთანავე, გლეხობა დაუბრუნდა თავის მოკრძალებულ ადგილს ინდუსტრიულ საზოგადოებაში.

მსხვილ მიწათმფლობელთა გავლენები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მათ სასარგებლოდ კი გაცილებით უფრო სტაბილური

ფაქტორი მუშაობდა – აგროკულტურული თვითმყოფადობის მზარდი მილიტარისტული მნიშვნელობა. პირველმა მსოფლიო ომმა საზოგადოებას ნათლად დაანახა სტრატეგიასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები, ხოლო მსოფლიო ბაზრისადმი გულუბრყვილო ნდობამ გზა გაუხსნა საკვების წარმოების შესაძლებლობების პანიკურ დაგროვებას. ბოლშევიკთა შიშით დაწყებული „რე-აგრარიზაცია“ ცენტრალურ ევროპაში ავტარკიის ნიშნებით დასრულდა. „შიდა მტერთან“ დაკავშირებული არგუმენტის გარდა, ახლა უკვე „გარე მტრის“ არგუმენტიც გაჩნდა. ლიბერალი ეკონომისტები, ამ ყოველივეში, როგორც ყოველთვის, უბრალოდ არაჯანსაღი ეკონომიკური დოქტრინებისგან გამოწვეულ რომანტიკულ გადაცდომას ხედავდნენ; მაშინ, როდესაც რეალობაში მღელვარე პოლიტიკური მოვლენები ყველაზე უფრო არაგამჭრიახი გონებისთვისაც კი თვალნათელს ხდიდა ეკონომიკური წარმოდგენების არარელევანტურობას, საერთაშორისო სისტემის მოახლოებული კრახის ფონზე. ჟენევა განაგრძობდა თავის ფუჭ მცდელობებს დაერწმუნებინა ხალხი, რომ ისინი წარმოსახვით საფრთხესთან გასამკლავებლად ახვავებდნენ პროდუქტებს და თუკი ყველა უნისონში იმოქმედებდა, შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი ვაჭრობის აღდგენა და მისგან საყოველთაო ხეირის ნახვა. იმ პერიოდის უცნაურად გულუბრყვილო ატმოსფეროში ბევრი აპრიორი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური პრობლემიდან (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ის) გამოსავლის პოვნა ომის საფრთხეს უბრალოდ კი არ ჩაახშობდა, არამედ სამუდამოდ გააქრობდა მას. ასწლიანმა მშვიდობიანმა პერიოდმა გააჩინა ილუზიათა გადაულახავი კედელი, რომლითაც ფაქტებს ჩრდილი ადგებოდა. იმ პერიოდის ავტორები რეალიზმის განსაკუთრებული მიუღებლობით გამოირჩეოდნენ. ერი-სახელმწიფო ა.ი. ტოინბის ვიწრო, შეზღუდულ ცრურწმენად მიაჩნდა, ლუდვიგ ვონ მისესი სუვერენულობას სასაცილო ილუზიას უწოდებდა, ნორმან ანხელი კი ომს არასწორ კომერციულ გათვლად მიიჩნევდა. პოლიტიკას-

თან დაკავშირებული პრობლემების საბაზისო ბუნების შესახებ ცნობიერება უპრეცედენტოდ დაბალ ნიშნულზე იყო დასული.

თავისუფალი ვაჭრობა, რომლისთვის ბრძოლაც 1846 წელს მარცვლეულის კანონის მიღებით დაგვირგვინდა, 8 წლის შემდგომ კვლავაც დავის საგნად იქცა და ამჯერად, იმავე საკითხთან დაკავშირებით დამარცხდა. ავტარკიის მტანჯველი პრობლემა საბაზრო ეკონომიკას დასაბამიდანვე თან სდევდა. შესაბამისად, ეკონომიკურმა ლიბერალებმა ომის აჩრდილი შერისხეს და თავიანთი არგუმენტები სრულიად გულუბრყვილოდ დააფუძნეს საბაზრო ეკონომიკის უძლეველობის რწმენას. შეუმჩნეველი დარჩა, რომ მათი არგუმენტი უბრალოდ იმაზე მიუთითებდა თუ რამხელა განსაცდელი ემუქრებოდა საზოგადოებას, რომელიც თავის უსაფრთხოებას ისეთ მყიფე ინსტიტუციას ანდობდა, როგორიც თვითრეგულირებადი ბაზარი იყო. 1920-იანი წლების ავტარკიის მოძრაობა, ფაქტობრივად, წინასწარმეტყველური გამოდგა: იგი მიუთითებდა წესრიგის გაქრობის ფაქტთან ადაპტაციის საჭიროებაზე. პირველმა მსოფლიო ომმა საფრთხე ხილული გახადა და ადამიანებმაც შესაბამისად იმოქმედეს; თუმცა, ვინაიდან მათი ქმედება 10 წლით იყო დაგვიანებული, კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის უგულებელყოფილი იქნა როგორც არაგონივრული. „რა საჭიროა თავის დაცვა გარდასულ საფრთხეთაგან?“ კითხულობდა არაერთი ადამიანი მაშინ. ამ მცდარმა ლოგიკამ გაართულა არა მხოლოდ ავტარკიის გააზრება, არამედ რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ფაშიზმის. პრინციპში, ავტარკიაც და ფაშიზმიც იმ ფაქტით აიხსნებოდა, რომ როგორც კი საზოგადო გონი აღიქვამს, რომ განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება, მასში წარმოქმნილი შიში ფარულად აგრძელებს არსებობას, ვიდრე ამ შიშის მთავარი წყარო არ გაქრება.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ევროპის ერებმა ვერაფრით ვერ შეძლეს თავის დაღწევა შოკიდან, რომელიც მიიღეს ომის გამოცდილებიდან და რომელმაც ისინი მოულოდნელად დააყენა იმ საფრთხეთა წინაშე, რასაც ერთმანეთზე დამოკიდებულად

ყოფნა წარმოშობდა. ამაო აღმოჩნდა სავაჭრო კავშირების განახლება, ამაო გამოდგა მთელი წყება სამშვიდობო საერთაშორისო კონფერენციებისა თუ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების ერთგულებაზე გაკეთებული განცხადებები ათობით ქვეყნის მთავრობების მიერ; ხალხი ვერ ივიწყებდა, რომ თუკი მათ ხელი არ მიუწვდებოდათ საკვებსა და ნედლ მასალაზე ან თუკი არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ აღნიშნულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გარანტირებული იქნებოდა სამხედრო გზებით, ვერც მყარი ვალუტა და ვერც გარანტირებული კრედიტი ვერ დაიცავდა მათ სათანადოდ, რომ სრულიად უმწეო სიტუაციაში არ აღმოჩენილიყვნენ. ვერაფერი იქნებოდა უფრო ლოგიკური ვიდრე ის თანმიმდევრულობა, რომლითაც აღნიშნულმა ფუნდამენტურმა იდეამ, საზოგადოებრივი პოლიტიკები ჩამოაყალიბა. საფრთხის წყარო ჯერაც არსად გამქრალიყო. მაშ, რატომ უნდა ველოდოთ, რომ შიში გაქრებოდა?

მსგავსი დაშვების გამო ფაშიზმის კრიტიკოსებიც შეცდნენ (აღსანიშნავია, რომ ისინი სრულ უმრავლესობაში იმყოფებოდნენ), რომლებიც ფაშიზმს როგორც პოლიტიკური რაციონალობის არმქონე ანომალიას განიხილავდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მუსოლინი ამტკიცებდა, თითქოს იტალიაში ბოლშევიზმის საფრთხე აირიდა თავიდან, თუმცა სტატისტიკამ ცხადყო, რომ აჯანყების ტალღა მხოლოდ რომისაკენ მსვლელობამდე ერთი წლით ადრე დაიშალა. ცნობილია, რომ 1921 წელს შეიარაღებულმა მუშებმა დაიკავეს ფაბრიკები. თუმცა იყო კი ეს საკმარისი საფუძველი, რათა მათი განიარაღება მომხდარიყო 1923 წელს, როდესაც ისინი უკვე კარგა ხნის ჩამოსულები იყვნენ კელებიდან, სადაც დარაჯებად იყვნენ გამაგრებულები. ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ მან გერმანია იხსნა ბოლშევიზმისაგან. მაგრამ ნუთუ არ შეიძლება იმის დადასტურება, რომ უმუშევრობის ტალღამ, რომელიც მის კანცლერობას უძღოდა წინ, მის ძალაუფლებაში მოსვლამდე დაიწყო უკუსვლა? მტკიცება, რომ მან თავიდან აირიდა ის, რაც მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროს საერთოდ აღარ არსებობ-

და, ეწინააღმდეგებოდა მიზეზ-შედეგობრივ ლოგიკას, რომელიც ასევე შენარჩუნებული უნდა იქნას პოლიტიკაში.

სინამდვილეში, გერმანიაში, ისევე როგორც იტალიაში, ომის შემდგომმა პერიოდმა ცხადყო, რომ ბოლშევიზმს წარმატების მცირედი შანსიც კი არ ჰქონდა. თუმცა, ამ პერიოდმა ისიც ნათლად ცხადყო, რომ საგანგებო სიტუაციაში მშრომელთა კლასმა, მათმა პროფკავშირებმა და პარტიებმა, შესაძლოა უგულებელყონ ბაზრის კანონები, რომლებიც კონტრაქტების დადების თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის აბსოლუტურობას აწესებს; მოვლენათა მსგავს განვითარებას კი, საზოგადოებაზე განსაკუთრებულად მავნე ზეგავლენა უნდა ჰქონდეს, მან ხელი უნდა შეუშალოს ინვესტიციებს და კაპიტალის დაგროვებას, დატოვოს ანაზღაურება დაბალ ნიშნულზე, საფრთხე შეუქმნას ვალუტას, ძირი გამოუთხაროს უცხოურ კრედიტებს, დაასუსტოს საწარმოები და გამოიწვიოს მათი პარალიზება. იმ ფარული შიშის წყარო კი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში ფაშისტური პანიკის სახით ამოხეთქა, იყო არა კომუნისტური რევოლუციის ილუზორული საფრთხე, არამედ ის დადასტურებული ფაქტი, რომ მუშათა კლასები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი, რომ იძულებულნი გახდნენ განეხორციელებინათ ინტერვენციები, რომლებიც თავად მათ გაანადგურებდა.

რთულია ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნო საფრთხეები, რომლებიც ადამიანს და ბუნებას ემუქრება. მშრომელთა კლასისა და გლეხობის რეაქციები საბაზრო ეკონომიკაზე პროტექციონიზმამდე მიდიოდა. პირველ შემთხვევაში, ეს გამოიხატა სოციალური კანონმდებლობისა და ფაბრიკებთან დაკავშირებული კანონების ფორმით, მეორე შემთხვევაში კი – აგრარული ტარიფებითა და მიწებთან დაკავშირებული კანონებით. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა შემდეგი მნიშვნელოვანი განსხვავება: კრიტიკულ სიტუაციაში, ფერმერები და გლეხები ევროპაში საბაზრო სისტემას იცავდნენ, რაც საფრთხეს უქმნიდა მუშათა კლასის პოლიტიკებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებითად არამყარი სისტემით

გამოწვეული კრიზისი პროტექციონისტული მოძრაობის ორივე ფრთას საფრთხეს უქმნიდა; სოციალური ფენა, რომელიც დაკავშირებული იყო მიწასთან, მიდრეკილი იყო საბაზრო სისტემასთან კომპრომისებზე წასვლისაკენ, ხოლო უფრო ფართო მშრომელთა კლასი კი სულაც არ შემცირებულა საბაზრო ეკონომიკის წესების დარღვევისა და მათი გამოწვევის წინაშე ღიად დაყენების გამო.

თავი 16
ბაზარი და საწარმოო ორგანიზაცია

თავად კაპიტალისტური ფირმებიც კი დასაცავები გახდნენ საბაზრო მექანიზმის შეუზღუდავი მუშაობისაგან. ამან მაინც უნდა გაფანტოს ეჭვები, რომელთაც ტერმინების „ადამიანისა“ და „ბუნების“ ხსენება იწვევს ხოლმე ზოგჯერ ერუდირებულ ტვინებში; რომლებიც მიდრეკილნი არიან, რომ ნებისმიერი საუბარი შრომისა და მიწის როგორც პროდუქტების დაცვაზე გამოაცხადონ მოძველებულ იდეებად, თუკი საერთოდ მონოპოლიური ინტერესების შენიღბვაში არ დასდებენ ბრალს.

რეალურად, საწარმოო ორგანიზაციების შემთხვევაში, ბუნებისა და ადამიანის არ იყოს, რეალური და ობიექტური საფრთხე არსებობდა. დაცვის საჭიროება გაჩნდა იმის გამო, თუ როგორ იყო ფულის მარაგები ორგანიზებული საბაზრო სისტემაში. თანამედროვე ცენტრალიზებული საბანკო სისტემა, არსებითად, გახლდათ მექანიზმი, რომელიც შეიქმნა, რათა შეეთავაზებინა დაცვის გარანტიები, რომელთა გარეშეც ბაზარი ბოლოს მოუღებდა თავისსავე შვილებს, სხვადასხვა კომერციულ საწარმოებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, სწორედ დაცვის ეს ფორმა იყო ის, რამაც ყველაზე სწრაფად შეიტანა წვლილი საერთაშორისო სისტემის ჩამონგრევაში.

თუკი მეტნაკლებად ცხადია ის რისკები, რომლებიც მიწასა და შრომას ემუქრება ბაზრის ორომტრიალში, მონეტარულ სისტემაში ბიზნესის წინაშე არსებული საფრთხეები ადვილი გასააზრებელი სულაც არ არის. მით უმეტეს, რომ თუკი მოგება დამოკიდებულია ფასებზე, მაშინ მონეტარული შეთანხმებები, რომელზეც ფასებია დამოკიდებული, გადამწყვეტი მნიშვნელობის უნდა იყო ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მოგების მიღებითაა მოტივირებული. მართალია, შორ პერსპექტივაში, გასაყიდ ფასებში მომხდარი ცვლილება სულაც არ არის აუცილებელი რომ გავლენას ახდენდეს მოგებაზე, იმის გამო, რომ ხარჯები შესაბამისად აიწევს ან დაიწევს, მაგრამ ახლო პერსპექტივაში ეს სულაც არ არის ასე, ვინაიდან გარკვეული დრო სჭირდება იმას, სანამ ცვლილება შევა კონტრაქტით ფიქსირებულ ფასებში. ასეთ საფასურთა შორის არის შრომის საფასურიც, რომელიც ბუნებრივად ხდება კონტრაქტით ფიქსირებული, ბევრ სხვა ტიპის ფასებთან ერთად. აქედან გამომდინარე, თუკი ფასები მონეტარული მიზეზების გამო დიდი ხნის განმავლობაში ეცემა, ბიზნესს ექმნება ლიკვიდაციის საფრთხე, რასაც მოჰყვება საწარმოო ორგანიზაციის ჩამოშლა და კაპიტალის მასიური განადგურება. საფრთხეს ქმნიდა არა დაბალი, არამედ კლებადი ფასები. ჰიუმმა საფუძველი ჩაუყარა ფულის რაოდენობრივ თეორიას თავისი აღმოჩენით, რომ კომერციული საწარმო დანაკარგს არ განიცდის ფულის მოცულობის განახევრების შემთხვევაში, ვინაიდან ფასებიც უბრალოდ ორჯერ შემცირდება თავის პირვანდელ დონესთან შედარებით. თუმცა, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ამ პროცესში შესაძლოა კომერციული საწარმო საერთოდ განადგურდეს.

ეს გახლავთ იოლად გასაგები მიზეზი იმისა თუ რატომ არის შეუთავსებელი ინდუსტრიულ წარმოებასთან საქონლური ფულის სისტემა, რომლის გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად წარმოებისკენაც არის მიდრეკილი ბაზრის მექანიზმი. საქონლური ფული გახლავთ გარკვეული ტიპის საქონელი, რომელიც ფუნქციონირებს ისე, როგორც ფული და შესაბამისად, მისი ოდენობა, პრინციპში, შეუძლებელია რომ გაიზარდოს, გარდა იმ შემთხვევისა, რო-

დესაც საქონელი, რომელიც არ ასრულებს ფულის როლს, კლებას იწყებს. პრაქტიკაში საქონლურ ფულს წარმოადგენს ოქრო ან ვერცხლი, რომლის ოდენობაც შესაძლოა გაიზარდოს, თუმცა არა მნიშვნელოვნად დროის მოკლე პერიოდში. თუმცა, წარმოებისა და ვაჭრობის ზრდამ, რომელსაც თან არ ახლავს ფულის ოდენობის ზრდა, უნდა გამოიწვიოს ფასების კლება – სწორედ ის გამაკოტრებელი დეფლაცია, რომელსაც ვგულისხმობდით. ფულის უკმარისობა გახლდათ მუდმივი, სერიოზული საფიქრალი მე-17 საუკუნეში ვაჭართა საზოგადოებებში. ნომინალური ფული ადრეულ ეპოქაში იმისთვის გაჩნდა, რომ ვაჭრობა დაეცვა მომძლავრებული დეფლაციისაგან, რომელიც თან ახლდა ლითონის ფულის გამოყენებას მას შემდეგ, რაც კომერციული წარმოებები გაიზარდა. საბაზრო ეკონომიკის არსებობა წარმოუდგენელი იყო ხელოვნური ფულის სახით მედიუმის არსებობის გარეშე.

რეალური სირთულე წარმოიშვა მაშინ, როდესაც გაჩნდა საზღვარგარეთ სტაბილური მიმოცვლის საჭიროება და შემოვიდა მისი თანმხლები ოქროს სტანდარტი, დაახლოებით ნაპოლეონის ომების ეპოქაში. სტაბილური მიმოცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ინგლისის ეკონომიკის არსებობისთვის; ლონდონი კი იქცა მზარდი მსოფლიო ვაჭრობის ფინანსურ ცენტრად. თუმცა, ამ დანიშნულებით სწორედ საქონლური ფულის გამოყენება უნდა მომხდარიყო გასაგები მიზეზების გამო – ნომინალური ფული, ბანკის გამოუშვებდა მას თუ რაიმე სხვა ინსტიტუცია, საზღვარგარეთ ვერ გავრცელდებოდა. შედეგად, გაჩნდა ოქროს სტანდარტი, რაც საერთაშორისო საქონლური ფულის სისტემის გავრცელებული სახელია.

თუმცა, ადგილობრივი მიზნებისათვის, როგორც ვიცით, ლითონის ფული არ გამოდგება სწორედ იმის გამო, რომ იგი საქონლურია და მისი ოდენობა სურვილისამებრ ვერ გაიზრდება. ოქროს მოცულობა შესაძლოა წელიწადში მხოლოდ რამდენიმე პროცენტით გაიზარდოს, თუმცა არა ათეულობით პროცენტით რამდენიმე კვირაში, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს, რათა გაუძლოს ტრანზაქციების მოულოდნელ ზრდას. ნომინალური

ფულის არარსებობის შემთხვევაში, კომერციულ საწარმოს შესაძლოა წარმოების შეკვეცა ანდა მუშაობის დაბალ ფასად გაგრძელება მოუწიოს, რაც მკვეთრ ეკონომიკურ დაცემას და უმუშევრობას გამოიწვევს.

რომ გავამარტივოთ ეს საკითხი, პრობლემა იყო შემდეგში: საქონლური ფული იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზღვარგარეთ ვაჭრობისათვის; ნომინალური ფული კი ადგილობრივი ვაჭრობისათვის. თუმცა, რამდენად მოდიოდნენ ისინი ერთმანეთთან თანხმობაში?

მე-19 საუკუნეში არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საზღვარგარეთ ვაჭრობასა და ოქროს სტანდარტს ცალსახად პრიორიტეტი ენიჭებოდა ადგილობრივი კომერციული წარმოების საჭიროებებთან შედარებით. ოქროს სტანდარტის გამართული მუშაობა მოითხოვდა ადგილობრივი ფასების დაწევას, როგორც კი გაუფასურების გამო მიმოცვლას საფრთხე ემუქრებოდა. ვინაიდან დეფლაცია კრედიტზე დაწესებული შეზღუდვების მეშვეობით ხდება, გამოდის, რომ საქონლური ფულის გამოყენება ხელს უშლიდა საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას. ეს კი კომერციული წარმოებისათვის მუდმივ საფრთხეს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ნომინალური ფულის სრულებით უგულებელყოფა და ვალუტის საქონლურ ფულამდე დაყვანა საერთოდ არც კი განიხილებოდა, რადგან ასეთი წამალი ავადმყოფობაზე უარეს შედეგს დააყენებდა.

ცენტრალიზებულმა საბანკო სისტემამ საკრედიტო ფულის ეს ნაკლოვანება მნიშვნელოვანწილად შეამცირა. ქვეყანაში არსებული საკრედიტო რესურსების ცენტრალიზების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა დეფლაციის დამახასიათებელი კომერციული საქმიანობისა და დასაქმების სფეროს სრული მოშლის თავიდან არიდება; ასევე, მისი ისე ორგანიზება, რომ შოკის ტალღა შეეჩერებინა და ნეგატიური შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაენაწილებინა. ნორმალურ პირობებში ბანკი შემამსუბუქებლის როლს ასრულებდა, როგორც ოქროს მარაგების ამოღების დაუყოვნებლივი ეფექტებისთვის ბანკნოტების ცირკულაციაზე,

ისევე ბანკნოტების შემცირებული ცირკულაციის შედეგებისთვის კომერციულ საქმიანობაზე.

ბანკმა შესაძლოა ბევრ სხვადასხვა მეთოდს მიმართოს. მოკლე ვადიანმა სესხებმა შესაძლოა ამოავსოს ნაპრალი, რომელსაც ოქროს მოკლევადიანი დანაკარგი აჩენს და თავიდან აირიდონ კრედიტზე დაწესებული შეზღუდვების საჭიროება. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც საკრედიტო შეზღუდვები გარდაუვალი იყო, რაც ხშირად ხდებოდა, ბანკის ქმედებები ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდა: საბანკო ტარიფების ზრდა, ისევე როგორც ღია ბაზარზე არსებული საკრედიტო ოპერაციები შეზღუდვების შედეგებს მთელ ქვეყანაზე ავრცელებდა, რითაც შეზღუდვათა სიმძიმე ყველაზე ძლიერ აქტორთა მხრებზე გადაჰქონდა.

მოდი, წარმოვიდგინოთ ერთი მიმართულებით განხორციელებული გადახდის მნიშვნელოვანი მაგალითი, როდესაც თანხის ტრანზაქცია ხდება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. ამის საჭიროება შესაძლოა დადგეს, როდესაც ადგილობრივი საკვების ნაცვლად, მოთხოვნა ჩნდება უცხოურ საკვებზე. ოქრო, რომელიც ამ სიტუაციაში უნდა გაიგზავნოს საზღვარგარეთიდან საჭმლის იმპორტისთვის, სხვა შემთხვევაში შიდა გადასახადებში დაიხარჯებოდა. ახლა კი, იმის გამო, რომ ეს ოქრო აღარ არსებობს, ადგილობრივმა გაყიდვებმა უნდა დაიკლოს და შესაბამისად, ფასებიც უნდა დაეცეს. ასეთი ტიპის დეფლაციას „ტრანზაქციული“ ვუწოდოთ, ვინაიდან იგი ერთი კონკრეტული ფირმიდან მეორე ფირმაზე ვრცელდება მათი შემთხვევითი გარიგებების შესაბამისად. საბოლოოდ, დეფლაციის გავრცელება მიაღწევს საექსპორტო ფირმებამდეც და ამგვარად მიიღწევა საექსპორტო აქტიური სალდო, რომელიც წარმოადგენს „რეალურ“ ტრანსფერს. თუმცა, ზიანი და ზარალი, რომელიც მთელ საზოგადოებას მიადგა გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ასეთი საექსპორტო სალდოს მისაღწევად იყო საჭირო. ვინაიდან, ყოველთვის არსებობენ ფირმები, რომელთაც დიდი საექსპორტო შესაძლებლობები არ გააჩნიათ და რომლებისთვისაც საკმარისია ფასების უმნიშვნელო შემცირებაც კი საიმისოდ, რომ „შეტევაზე გადავიდნენ“; ასეთი

შემცირების მიღწევა კი, ყველაზე ეკონომიკურად შესაძლებელია დეფლაციის ნაბიჯ-ნაბიჯ გავრცელებით, მთელს კომერციულ საზოგადოებაზე.

სწორედ ეს გახლდათ ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი ფუნქცია. ჩამოფასების პოლიტიკამ და ღია ბაზარზე ოპერირებამ, რაც მნიშვნელოვანი წნეხი იყო, განაპირობა ადგილობრივი ფასების მეტ-ნაკლებად თანაბრად დაწევა; ასევე, „ექსპორტისათვის თითქმის მზად მყოფ“ ფირმებს შესაძლებლობა მისცა, გაეგრძელებინათ ან გაეზარდათ ექსპორტი, ხოლო ლიკვიდაცია ყველაზე არაეფექტურ კომპანიებს მოუწევდათ. ამგვარად, „რეალური“ ტრანსფერის განხორციელება ეკონომიკური სისტემის გაცილებით უფრო ნაკლებ მოშლას გამოიწვევდა, ვიდრე ეს მოხდებოდა იმავე საექსპორტო აქტიური სალდოს მიღწევისას „ტრანზაქციული“ დეფლაციის ვიწრო არხების მეშვეობით გადაცემული შემთხვევითი და ხშირად კატასტროფული იმპულსების ირაციონალური მეთოდით.

თუმცა, ოქროს სტანდარტის მისამართით არსებული ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო ის, რომ მიუხედავად დეფლაციის ზეგავლენის შემსუბუქების მექანიზმების არსებობისა, შედეგი, კვლავაც, ბიზნესის სრული დეზორგანიზება და თანმდევი მასობრივი უმუშევრობა გახლდათ.

ფულთან დაკავშირებული მაგალითი, შრომასთან და მიწასთან დაკავშირებული სიტუაციის ძალიან ზუსტ ანალოგიას წარმოადგენდა. საქონლური ფიქციის გამოყენებამ თითოეულ მათგანთან მიმართებით, გამოიწვია მათი ინკორპორირება საბაზრო სისტემაში, რის პარალელურადაც საზოგადოების წინაშე არსებული საფრთხეები სულ უფრო მწვავდებოდა. ფულის შემთხვევაში, საფრთხე ემუქრებოდა მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა არსებობასაც საფრთხე ემუქრებოდა ფასების ყოველი დაცემისას, რასაც საქონლური ფულის გამოყენება იწვევდა. ამ შემთხვევაშიც, საჭირო გახდა დამცავი ზომების გატარება, რომლის შედეგადაც ბაზრის თვითმართვადი მექანიზმის გამოთიშვა უნდა მომხდარიყო.

ცენტრალიზებულმა საბანკო სისტემამ ოქროს სტანდარტის ავტომატური ფუნქციონირება უბრალო თვალთმაქცობად აქცია. ის გულისხმობდა ვალუტის ცენტრალიზებულ მართვას; საკრედიტო უზრუნველყოფის თვითრეგულირებადი მექანიზმი იცვლებოდა მართულით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული და გააზრებული არ ყოფილა. უფრო და უფრო მეტად ხდებოდა იმის აღიარება, რომ საერთაშორისო ოქროს სტანდარტი თვითრეგულირებადი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამხდარიყო, თუკი ცალკეული ქვეყნები უარს იტყოდნენ ცენტრალიზებულ საბანკო სისტემაზე. სუფთად ოქროს სტანდარტის ერთადერთი თანმიმდევრული მხარდამჭერი, რომელიც მართლაც ამართლებდა ამ სასოწარკვეთილ ნაბიჯს ლუდვიგ ვონ მისესი იყო; მისი მოსაზრება რომ გაეთვალისწინებინათ, ეროვნული ეკონომიკა ნანგრევების გროვებად იქცეოდა.

ფულის თეორიაში დაბნეულობას, დიდწილად, იწვევდა პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც საბაზრო საზოგადოებისთვისაა გამორჩეულად დამახასიათებელი. საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ფული განიხილებოდა როგორც წმინდა წყლის ეკონომიკური კატეგორია, საქონელი, რომელიც გამოიყენებოდა არაპირდაპირი გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ოქრო რომ ასეთი უპირატესი საქონელი ყოფილიყო, ოქროს სტანდარტი გააგრძელებდა ფუნქციონირებას. (მსაზღვრელი „საერთაშორისო“ ამ სტანდარტთან მიმართებაში არავითარ შინაარსს არ ატარებდა, ვინაიდან ეკონომისტისათვის საერთოდ არ არსებობდა ერები; ტრანზაქცია ხორციელდებოდა არა ერებს, არამედ ინდივიდებს შორის, რომელთა პოლიტიკური ლოიალობა ისეთივე არარელევანტური საკითხი იყო, როგორც მათი თმის ფერი). რიკარდომ მე-19 საუკუნის ინგლისში დაამკვიდრა აზრი, რომ ტერმინი „ფული“ გაცვლა-გამოცვლის საშუალებას აღნიშნავდა; ბანკნოტები უბრალოდ უფრო მოსახერხებელი იყო და მათი გამოყენების უპირატესობა ის გახლდათ, რომ უფრო იოლი მოსახმარი იყო, ვიდრე ოქრო; თუმცა, მათი ღირებულება გამომდინარეობდა იქიდან, რომ მათი ფლობით ჩვენ ვფლობდით

საშუალებას, რათა თავად საქონელს, ანუ ოქროს ვფლობდეთ, ჩვენთვის სასურველ დროს. აქედან გამომდინარეობდა, რომ ვალუტების ეროვნულ მახასიათებლებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ისინი ერთი და იმავე საქონელს უბრალოდ სხვადასხვა ნიშნით გამოხატავდნენ. და თუკი მთავრობების შემთხვევაში არაგონივრული იყო, რომ ძალისხმევა გაეღოთ თავად ოქროს ფლობისთვის (ვინაიდან აღნიშნული საქონლის გავრცელება, ყველა სხვა ტიპის საქონლის მსგავსად, თავისთავად რეგულირდებოდა მსოფლიო ბაზარზე), კიდევ უფრო არაგონივრული იყო წარმოგვედგინა, რომ ნიშნებს, რომლებიც ამა თუ იმ ეროვნების სიმბოლოებს ატარებდნენ, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდათ შესაბამისი ქვეყნების განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.

თუმცა, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროები ინსტიტუციურად ერთმანეთისაგან სრულად გამიჯნული არასდროს ყოფილა და სწორედ ვალუტის საკითხი ადასტურებდა იმას, რომ ასეთი გამიჯვნა ბოლომდე არასდროს მომხდარა. სახელმწიფო, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი ზარაფხანაც უბრალოდ მონეტების წონის სერტიფიცირებას ახდენდა, რეალურად თავად იყო ნომინალური ფულის ღირებულების გარანტი, რომელსაც ის გადასახადების აკრეფისა თუ სხვა ფუნქციების შესრულების მეშვეობით იძენდა. ეს ფული იყო არა გაცვლა-გამოცვლის, არამედ გადახდის საშუალება; იგი გახლდათ არა საქონელი, არამედ მსყიდველობითი უნარი; იგი თავისთავად რაიმე სარგებელს კი არ წარმოადგენდა, არამედ უბრალოდ საგნის შეძენის სურვილის რიცხვებში გამოხატული მთვლელი იყო. ცხადია, საზოგადოება, სადაც დისტრიბუცია დამოკიდებული იყო მსყიდველუნარიანობის ასეთი სიმბოლოების ფლობაზე, საბაზრო ეკონომიკისაგან აბსოლუტურად განსხვავებულად იყო მოწყობილი.

აქ, ჩვენ ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არა რეალურ სურათზე, არამედ კონცეპტუალურ მოდელებზე, რომელთა გამოყენებაც ხდება მეტი სიცხადის შემოტანისთვის. საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკური სფეროდან გამიჯვნა შეუძლებელი იყო; პირიქით,

ეს გახლდათ კონსტრუქცია, რომელიც საფუძვლად ედო ეკონომიკის კლასიკურ გაგებას დევიდ რიკარდოდან მოყოლებული და რომლის გარეშეც მისი ცნებებისა და დაშვებების გააზრებაც შეუძლებელი იქნებოდა. ამ სქემის თანახმად, საზოგადოება შედგებოდა გაცვლა-გამოცვლაში ჩართული ინდივიდებისაგან, რომლებიც გარკვეული ტიპის საქონელს ფლობდნენ – პროდუქტებს, მიწას, შრომა და მათ შემადგენელ ნაწილებს. ფული კი უბრალოდ ერთ-ერთი სახეობა იყო საქონლის, რომლის გაცვლაც, სხვებთან შედარებით, უფრო ხშირად ხდებოდა და აქედან გამომდინარე, იგი გამოიყენებოდა გაცვლა-გამოცვლისათვის. ასეთი „საზოგადოების“ წარმოდგენა შესაძლოა არარეალური იყოს, თუმცა იგი კარგად აღწერს კონსტრუქციის ჩარჩოს, რომელსაც ეკონომიკის კლასიკური გაგება დაეფუძნა.

რეალობის კიდევ უფრო ნაკლებად სრულ სურათს გვთავაზობს მსყიდველუნარიანობის ეკონომიკა.[1] მიუხედავად ამისა, მისი მახასიათებლები გაცილებით უფრო მიახლოებულია რეალური საზოგადოების მახასიათებლებთან, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის პარადიგმის. მოდი, ვცადოთ ისეთი „საზოგადოების“ წარმოდგენა, სადაც ყოველი ინდივიდი აღჭურვილია განსაზღვრული ოდენობის მსყიდველუნარიანობით, რომელიც საშუალებას აძლევს მას, რომ შეიძინოს პროდუქტები, რომელთაგან თითოეულს გარკვეული ფასი აქვს მინიჭებული. ასეთ საზოგადოებაში ფული საქონელი არ არის; მას თავისთავადი გამოსადეგობა არ გააჩნია; მისი გამოყენება ერთადერთი გარკვეული პროდუქციის შეძენისთვის შეიძლება, რომელსაც გარკვეული ფასი ადევს. ანუ, დაახლოებით ისე, როგორც ამას დღეს მაღაზიებში ვაკეთებთ.

მართალია, მე-19 საუკუნეში, როდესაც სოციალური ინსტიტუტები ბევრი ნიშნით თანხვდებოდნენ საბაზრო მოდელს, საქონლური ფულის თეორია ბევრად უსწრებდა თავის მეტოქე თეორიას; მაგრამ, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მსყიდვე-

---

[1] თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო მას, ფ. შაფერმა განავითარა ველინგტონში, ახალ ზელანდიაში.

ლუნარიანობის კონცეფციამ ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა. ოქროს სტანდარტის დეზინტეგრაციასთან ერთად, საქონლურმა ფულმა პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა და ბუნებრივი იყო, რომ ფულის მსყიდველუნარიანობის კონცეფციას ჩაენაცვლებინა ის.

მექანიზმებიდან და კონცეფციებიდან საქმეში ჩართულ სოციალურ ძალებს რომ დავუბრუნდეთ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ თავად გაბატონებული კლასები ფულადი სახსრების ცენტრალური ბანკის მეშვეობით მართვას უჭერდნენ მხარს. მართვის ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, არ განიხილებოდა ოქროს სტანდარტის ინსტიტუტისთვის ხელის შეშლად; პირიქით, იგი წარმოადგენდა თამაშის წესს, რომლის ფარგლებშიც ოქროს სტანდარტს უნდა ეფუნქციონირა. ვინაიდან, ოქროს სტანდარტის შენარჩუნება აქსიომას წარმოადგენდა და ცენტრალიზებული საბანკო მექანიზმს არ შეეძლო ისე მოქცეულიყო, რომ ქვეყანა ოქროს მარაგების გარეშე დარჩენილიყო (არამედ პირიქით, ბანკის უმთავრესი დირექტივა ის იყო, რომ ნებისმიერ პირობებში ქვეყანას ოქროს მარაგები შეენარჩუნებინა), ისე ჩანდა თითქოს, არავითარი პრინციპული წინააღმდეგობა არ არსებობდა. თუმცა, ეს ასე ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იქამდე, ვიდრე მოცემული ფასების დონის მერყეობა, ე.წ. ოქროს ნიშნულიდან მაქსიმუმ 2-3 პროცენტის ფარგლებში რჩებოდა. თუმცა, როგორც კი გაცვლა-გამოცვლის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ადგილობრივი ფასების მერყეობა გაცილებით უფრო დიდი იყო, როდესაც ის 10 ან 30 პროცენტამდე ადიოდა, სიტუაცია რადიკალურად იცვლებოდა. ფასების ასეთ ვარდნა მაშინვე იწვევდა ათასგვარ უბედურებასა და დესტრუქციას. თავად ის ფაქტი, რომ ფულის რეგულირება მიმდინარეობდა, უმნიშვნელოვანესი ხდებოდა, ვინაიდან ეს ნიშნავდა, რომ ცენტრალიზებული საბანკო მეთოდები გარკვეულ პოლიტიკაში ექცეოდა; ანუ იქცეოდა ისეთ საკითხად, რომელთან დაკავშირებითაც პოლიტიკური სუბიექტები იღებდნენ გადაწყვეტილებას. მართლაც, ცენტრალიზებული საბანკო სისტემის განსაკუთრებული ინსტიტუციური მნიშვნელობა ის იყო, რომ მონეტარული პოლიტიკა

მას პოლიტიკურ სფეროში გადაჰქონდა. ამ ყოველივეს შედეგები კი შესაძლოა მხოლოდ შორსმიმავალი ყოფილიყო.

აღნიშნული შედეგები შესაძლოა ორად გავყოთ. ქვეყნის შიგნით, მონეტარული პოლიტიკა უბრალოდ ინტერვენციონიზმის მორიგი ფორმა იყო. ხოლო ეკონომიკური კლასების დაპირისპირება მიდრეკილი იყო, რომ ამ საკითხის გარშემო კრისტალიზებულიყო. ეს კი ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოქროს სტანდარტთან და დაბალანსებულ ბიუჯეტებთან. როგორც შემდგომ ვნახავთ, 1930-იანი წლების შიდა კონფლიქტები, ხშირად ფოკუსირდებოდა ამ საკითხზე, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტიდემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებაში.

საგარეო საქონელბრუნვის სფეროში ეროვნული ვალუტების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, თუმცა იმ პერიოდისთვის ამ ფაქტის აღიარება მაინცა და მაინც არ ხდებოდა. მე-19 საუკუნისათვის პაციფიზმი და ინტერნაციონალიზმი წამყვან ფილოსოფიებს წარმოადგენენ; „პრინციპში“ ყველა განათლებული ადამიანი თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერი იყო და ვისაც რაიმე კვალიფიკაცია ჰქონდა, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან სასაცილოდ მოკრძალებულად მოჩანს, პრაქტიკაშიც თავისუფალ ვაჭრობას უჭერდნენ მხარს. ასეთი პერსპექტივის ათვლის წერტილი, რაღა თქმა უნდა, ეკონომიკური ინტერესი იყო; ბარტერისა და ვაჭრობის სფეროებიდან გაცილებით უფრო გულწრფელი იდეალიზმი გამოსჭვიოდა – სრული პარადოქსი იყო, მაგრამ ადამიანის ეგოისტური სურვილები განამტკიცებდა მის ყველაზე უფრო დიდსულოვან იმპულსებს. თუმცა, 1870-იანი წლებიდან მოყოლებული შესამჩნევი ხდებოდა ემოციური დამოკიდებულების ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ დომინანტურ იდეებს შორის შესაბამისი წყვეტა არ მომხდარა. მსოფლიოს კვლავაც სწამდა ინტერნაციონალიზმისა და ურთიერთდამოკიდებულების იდეის, ნაციონალიზმისა და თვითკმარობის იმპულსების მიხედვით მოქმედების მიუხედავად. ხდებოდა ლიბერალური ნაციონალიზმის ტრანსფორმირება ნაციონალურ ლიბერალიზმში თავისი მკვეთრად გამოხატული ტენდენციებით პროტექციონიზმითა და

იმპერიალიზმით საზღვარგარეთ და მონოპოლისტური კონსერვატიზმით საშინაო საკითხებში. შეუსაბამობა არსად ისეთი მძაფრი, თუმცა ამავდროულად ყველაზე ნაკლებად გააზრებული არ ყოფილა, როგორც მონეტარულ სფეროში; რადგან საერთაშორისო ოქროს სტანდარტის დოგმატური რწმენა კვლავაც განაგრძობდა ადამიანების უპირობო მხარდაჭერის მოპოვებას. პარალელურად, იქმნებოდა ვალუტები, სხვადასხვა ცენტრალიზებული საბანკო სისტემის სუვერენულობაზე დაყრდნობით. საერთაშორისო პრინციპების ეგიდით, ემისიის ცენტრალური ბანკების სახით, უნებლიედ, ახალი ნაციონალიზმის აუღებელი ბასტიონების აგება მიმდინარეობდა.

სინამდვილეში, ახალი ნაციონალიზმი ახალი ინტერნაციონალიზმის პირმშო იყო. საერთაშორისო ოქროს სტანდარტს ვერ შექმნიდნენ ქვეყნები, რომელთაც ის უნდა გამოეყენებინათ, თუკი ისინი წინასწარ თავს არ დაიზღვევდნენ საფრთხეებისაგან, რომლითაც ეს სტანდარტი ემუქრებოდა მის ერთგულ საზოგადოებებს. სრულად მონეტიზებული საზოგადოებები ვერ გაუძლებდნენ ფასების დონის მკვეთრი ცვლილებით გამოწვეულ გამანადგურებელ ეფექტებს, რომელიც საჭირო იყო სტაბილური გაცვლა-გამოცვლის შენარჩუნებისათვის, თუკი შოკის შემსუბუქება არ მოხდებოდა დამოუკიდებელი ცენტრალური საბანკო პოლიტიკის მეშვეობით. ეროვნული ნომინალური ვალუტა იყო ამ შედარებითი უსაფრთხოების ერთგვარი გარანტი, რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდიდა, რომ ცენტრალურ ბანკს შეესრულებინა ერთგვარი ბუფერის როლი საშინაო და საგარეო ეკონომიკებს შორის. თუკი საგადასახადო ბალანსს არალიკვიდურობა დაემუქრებოდა, სირთულის დაძლევაში ჩაერთვებოდა რეზერვები და უცხოური სესხები; თუკი საჭირო გახდებოდა სრულებით ახალი ეკონომიკური ბალანსის შექმნა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე ფასების დონის დაწევას გულისხმობდა, კრედიტზე დაწესებული შეზღუდვები შესაძლოა მაქსიმალურად რაციონალურად გადანაწილებულიყო, რათა აღმოეფხვრა არაეფექტური შეზღუდვები და მთელი დატვირთვა ეფექტურ შეზღუდვებზე გადასულიყო.

ასეთი მექანიზმის არარსებობა შეუძლებელს გახდიდა, რომ რომელიმე განვითარებული ქვეყანა ორიენტირებულიყო ოქროს სტანდარტზე, ვინაიდან მას გამანადგურებელი ეფექტი ექნებოდა მის კეთილდღეობაზე, იქნებოდა ეს წარმოების პირობების, შემოსავლისა თუ დასაქმების თვალსაზრისით.

თუკი საბაზრო ეკონომიკის მთავარი გმირი ვაჭართა კლასი იყო, აღნიშნული კლასის ბუნებრივი ლიდერი ბანკირი გამოდიოდა. დასაქმება და ხელფასები დამოკიდებული იყოს სამეწარმეო საქმიანობის შემოსავლიანობაზე, თუმცა სამეწარმეო საქმიანობის შემოსავლიანობა დამოკიდებული იყო სტაბილურ გაცვლა-გამოცვლასა და ჯანსაღ საკრედიტო პირობებზე, რაც მთლიანად ბანკირის პრეროგატივა იყო. სწორედ მას სწამდა, რომ ამ ორის ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ უნდა მომხდარიყო. ჯანსაღი ბიუჯეტი და სტაბილური ადგილობრივი საკრედიტო პირობები განსაზღვრავდა სტაბილურ საგარეო გაცვლა-გამოცვლას; ისევე, როგორც გაცვლა-გამოცვლა სტაბილური ვერ იქნებოდა, თუკი ადგილობრივი კრედიტი გარანტირებული, ხოლო სახელმწიფოს ფინანსური მეურვეობა ეკვილიბრიუმის მდგომარეობაში არ იქნებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბანკირს ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა: ჯანსაღი საშინაო ფინანსებისა და საგარეო ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა. სწორედ ამის გამო იყო რომ, როდესაც ორივე მათგანმა მნიშვნელობა დაკარგა, ბანკირთა კლასი უკანასკნელი იყო ვინც ეს შენიშნა. მართლაც, არაფერია გასაოცარი 1920-იან წლებში საერთაშორისო ბანკირების დომინანტურ გავლენებში და არც 1930-იან წლებში მათი გავლენების გაქრობაში. 1920-იან წლებში ოქროს სტანდარტი კვლავაც სტაბილურობასა და კეთილდღეობასთან დაბრუნების წინაპირობად მიიჩნეოდა; შესაბამისად, მისი პროფესიონალი მეურვეების, ბანკირების მხრიდან წამოყენებული არავითარი მოთხოვნა არ განიხილებოდა როგორც ზედმეტად რთულად შესასრულებელი, თუკი იგი გაცვლითი კურსის დასტაბილურების პირობას იძლეოდა; 1929 წლის შემდეგ, როდესაც დადასტურდა რომ ეს ყოველივე შეუძლებელი იყო, წამყვან საჭიროებად შიდა

ვალუტის სტაბილურობა იქცა, ხოლო აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ბანკირზე უფრო არაკვალიფიციური არავინ იყო.

საბაზრო ეკონომიკის კრიზისი არც ერთ სხვა სფეროში ისეთი მწვავე არ ყოფილა, როგორც ფულად ურთიერთობებში. აგრარულმა ტარიფებმა, რომელმაც ხელი შეუშალა საზღვარგარეთიდან პროდუქტის იმპორტს, თავისუფალი ვაჭრობა დაასამარა; შრომის ბაზრის შემცირებამ და რეგულირებამ მოლაპარაკებების მიმდინარეობა ისეთ დონემდე დაიყვანა, რომ კანონი მასში ჩართულ მხარეებს უტოვებდა გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას. თუმცა, არც შრომის და არც მიწის შემთხვევაში, საბაზრო მექანიზმებში არ მომხდარა ისეთი მოულოდნელი და სრული ფორმალური წყვეტა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფულად ურთიერთობებში. სხვა ბაზრებზე არაფერი მომხდარა ისეთი, რომლის შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მიერ 1931 წლის 21 სექტემბერს ოქროს სტანდარტზე უარის თქმასთან; ანდა 1933 წლის ივნისში ამერიკის მსგავს ქმედებასთანაც კი, რომელიც თავისი მნიშვნელობით უკვე მეორეხარისხოვანი იყო. მართალია, დიდმა დეპრესიამ, რომელიც 1929 წელს დაიწყო, მსოფლიო ვაჭრობის უმეტესი ნაწილი გაანადგურა, მაგრამ ამას არავითარი ცვლილება არ მოუტანია მეთოდებში და არც გაბატონებულ იდეებზე მოუხდენია გავლენა. თუმცა, ოქროს სტანდარტის საბოლოო მარცხი თავად საბაზრო ეკონომიკის ფინალური მარცხი იყო.

ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა გეზი ასი წლით ადრე აიღო, რასაც პროტექციონისტული კონტრმოძრაობა გადაეღობა წინ, რომელმაც ახლა უკვე საბაზრო ეკონომიკის უკანასკნელი ბასტიონიც კი დაამხო. თვითრეგულირებადი ბაზრის სამყარო ამჯერად უკვე ახალმა წამყვანმა იდეებმა ჩაანაცვლა. თანამედროვეთა სრული უმრავლესობის სისულელის დამსახურებით, თავი იჩინეს ქარიზმატული ლიდერობისა და ავტარკისტული იზოლაციონიზმის უხილავმა ძალებმა და დაიწყეს საზოგადოებების ახალი ფორმებით გაერთიანება.

თავი 17
შესუსტებული თვითრეგულაცია

ნახევარი საუკუნის განმავლობაში, 1879-1929 წლებში, დასავლური საზოგადოებები მჭიდროდ შეკავშირებული ერთეულებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ფარულად საკმაოდ სერიოზულ დამანგრეველ მიდრეკილებებს ატარებდნენ. აღნიშნული პროცესის უშუალო წყარო კი საბაზრო ეკონომიკის შესუსტებული თვითრეგულირება იყო. ვინაიდან საზოგადოება იძულებული იყო, რომ საბაზრო მექანიზმის საჭიროებებს მორგებოდა, მექანიზმის ფუნქციონირებაში არსებული ყოველი ნაკლოვანება ხელს უწყობდა აღნიშნული მიდრეკილებების დაგროვებას თავად სოციალურ სხეულში.

დასუსტებული თვითრეგულირება იყო პროტექციონიზმის შედეგი. რა თქმა უნდა, გარკვეული გაგებით, ბაზრები ყოველთვის თვითრეგულირებადები არიან, ვინაიდან ისინი მიდრეკილნი არიან, რომ დააწესონ ფასი, რომელიც მათ არსებობას გაამართლებს; ოღონდ, ეს ხდება ნებისმიერი ბაზრის შემთხვევაში, თავისუფალი იქნება ის თუ არა. თუმცა, როგორც უკვე ვაჩვენეთ, თვითრეგულირებადი ბაზრის სისტემა გულისხმობს რაღაც გაცილებით უფრო განსხვავებულს, კერძოდ, ბაზარს წარმოების ელემენტებისთვის – შრომის, მიწისა და ფულისათვის. ვინაიდან ასეთი ბაზრების ფუნქციონირება საზოგადოების განადგურე-

ბის საფრთხეს ქმნის, საზოგადოების მოქმედება, რომელიც მიმართული იყო თავის დაცვისაკენ, მიზნად ისახავდა აღნიშნული ბაზრების გაჩენისათვის ხელის შეშლას ანდა მათი თავისუფლად ფუნქციონირების შეფერხებას, მათი შექმნის შემდეგ.

ეკონომიკურ ლიბერალებს მოჰყავდათ ამერიკის მაგალითი როგორც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შესაძლებლობის საბოლოო მტკიცებულება. უკვე ერთი საუკუნის განმავლობაში, შტატებში შრომა, მიწა და ფული იყიდებოდა სრულიად თავისუფლად და მიუხედავად ამისა, როგორც ამტკიცებდნენ, სოციალური დაცვის არავითარი ზომის გატარება არ გამხდარა საჭირო და საბაჟო ტარიფებს თუ არ ჩავთვლით, ინდუსტრიული ცხოვრება ყოველგვარი სამთავრობო ჩარევის გარეშე გრძელდებოდა.

ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, უბრალოდ თავისუფალი შრომით, მიწითა და ფულით ხსნიდნენ. 1890-იან წლებამდე საზღვრები ღია იყო და მიწათა თავისუფალი გამოყენებაც გრძელდებოდა[1]; პირველ მსოფლიო ომამდე დაბალი სტანდარტის მუშახელის რეზერვები თავისუფლად შემოედინებოდა; და ახალი საუკუნის დადგომამდე არ არსებობდა არავითარი ვალდებულება, რომ საგარეო გაცვლა-გამოცვლის სტაბილურობა შეენარჩუნებინათ. მიწის, შრომისა და ფულის თავისუფალი მარაგები კვლავაც ხელმისაწვდომი იყო; შესაბამისად, არ არსებობდა თვითრეგულირებადი საბაზრო სისტემა. ვიდრე აღნიშნული პირობები ნარჩუნდებოდა, არც ადამიანს, არც ბუნებას და არც კომერციულ საწარმოს არ სჭირდებოდა ისეთი ტიპის დაცვა, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ ინტერვენციას შეეძლო.

შეიცვალა თუ არა აღნიშნული გარემოებები, მაშინვე ამოქმედდა სოციალური დაცვის ზომები. როგორც კი მშრომელთა ქვედა რიგების თავისუფლად შევსება ვეღარ ხდებოდა იმიგრანტთა ამოუწურავი რეზერვების ხარჯზე, ხოლო ზედა რიგებს ჯერ

---

[1] Penrose, E. F., *op. cit*. მალთუსის კანონი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიწის რესურსები შეზღუდულია.

კიდევ არ შეეძლო, რომ თავისუფლად დასახლებულიყო მიწებზე; როგორც კი თავისუფალი მიწა და ბუნებრივი რესურსები მწირი, მათი ეკონომიკურად დამუშავება კი საჭირო გახდა; როგორც კი ოქროს სტანდარტი შემოიღეს, რათა ფულადი ურთიერთობები პოლიტიკის სფეროდან გაეტანათ და შიდა ვაჭრობა მსოფლიო ვაჭრობასთან დაეკავშირებინათ, აშშ მაშინვე ერთი საუკუნით წამოეწია ევროპულ განვითარებას: დაიწყეს, და თან საკმაოდ მასშტაბურ დონეზე, მიწისა და მიწათმოქმედების დაცვა, პროფკავშირებისა და კანონმდებლობის დონეზე მშრომელთა სოციალური დაცვა და ამოქმედდა ცენტრალიზებული საბანკო სისტემა. ჯერ მონეტარულმა პროტექციონიზმმა იჩინა თავი: ფედერალური სარეზერვო სისტემის დაარსება მიზნად ისახავდა ოქროს სტანდარტის საჭიროებების ჰარმონიზებას რეგიონულ მოთხოვნებთან; ამას მოჰყვა პროტექციონიზმი შრომისა და მიწის სფეროში. კეთილდღეობის ათწლეული 1920-იან წლებში ისეთი სასტიკი კრიზისით დაგვირგვინდა, რომ „ახალი კურსის“ ფარგლებში, ევროპაში ჯერაც არნახული მასშტაბური დამცავი ზომების გატარება დაიწყეს შრომასა და მიწასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აშშ არის ჩვენი თეზის ცოცხალი მაგალითი – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გაგებით – რომ სოციალური დაცვა თითქოსდა თვითრეგულირებადი ბაზრის თანმხლები იყო.

ამავდროულად, პროტექციონიზმი ყველგან მყარ დამცავ შრეს ქმნიდა სოციალური ცხოვრების ახლად აღმოცენებული ორგანიზმისათვის. ეს ახალი წარმონაქმნი ნაციონალურ ნიადაგზე იყო ამოზრდილი, თუმცა, სხვა მხრივ, მას ძალზე ცოტა რამ ჰქონდა საერთო თავის წინამორბედებთან, წარსულში არსებულ უდარდელ ერებთან. ეს ახალი „კიბოსმაგვარი“ ნაცია თავის იდენტობას ეროვნულ ნომინალურ ვალუტებში გამოხატავდა, რომელთაც აქამდე ჯერ არნახული ეჭვებით აღსავსე და აბსოლუტური სუვერენიტეტი იცავდა. ამ ვალუტათა სიკაშკაშე გარეთაც აღწევდა, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა საერთაშორისო ოქროს სტანდარტის ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის წამყვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა. და

ახლა, თუკი ცალსახა იყო, რომ სამყაროს ფული მართავდა, ამ ფულზე ეროვნული ნიშანი იყო აღბეჭდილი.

ერებსა და ვალუტებზე ასეთი განსაკუთრებული აქცენტის დასმა ლიბერალთა გონებისათვის სრულიად მიუწვდომელი იქნებოდა. ჩვეულებისამებრ, მათ ხომ საერთოდ თვალთახედვიდან რჩებათ, თუ რას წარმოადგენს რეალურად სამყარო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. თუკი ერს ისინი ანაქრონიზმად აფასებდნენ, ეროვნულ ვალუტებს ისინი საერთოდ ყურადღების ღირსადაც კი არ თვლიდნენ. ლიბერალური ეპოქის არც ერთი ეკონომისტი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემდა, არც კი დაეჭვდებოდა იმ ფაქტის არასერიოზულობაში, რომ სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მხარეს ქაღალდის სხვადასხვა ნაწილს განსხვავებული დასახელება ჰქონდა. არაფერი იყო იმაზე უფრო ადვილი, ვიდრე ერთი კუპიურის მეორეთი შეცვლა სავალუტო ბაზრის მეშვეობით, ინსტიტუციის, რომლის ფუნქციონირებასაც საფრთხე არ ემუქრებოდა, ვინაიდან, საბედნიეროდ, სახელმწიფოს ან პოლიტიკოსთა კონტროლს არ ექვემდებარებოდა. დასავლეთ ევროპა ახალი განმანათლებლობის ეპოქას გადიოდა და მის მიერ მტრად შერაცხილ ცნებათა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებდა ერის „ტრაიბალისტური“ კონცეფცია, რომლის თითქოსდა სუვერენულობა ლიბერალებისათვის ჩამორჩენილი აზროვნების ცოცხალი გამოვლინება იყო. 1930-იან წლებამდე ნებისმიერი ეკონომიკური ცნობარი ირწმუნებოდა, რომ ფული უბრალოდ გაცვლა-გამოცვლის ინსტრუმენტი გახლდათ და ამიტომაც, იგი არაარსებითი იყო. საბაზრო ეკონომიკის იდეებით დაბრმავებული გონება თანაბრად არამგრძნობიარე გახლდათ როგორც ერის, ისე ფულის ფენომენისადმი. როგორც ერთის, ისე მეორესთან მიმართებაში თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ნომინალისტი იყო.

ეს კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისათვის ის აბსოლუტურად შეუმჩნეველი დარჩა. პერიოდულად, თავს იჩენდა ხოლმე თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინის, ისევე როგორც ორთოდოქსული დოქტრინების კრიტიკა, თუმცა იშვიათად, რომ ვინმეს შეემჩნია, რომ ამ

დოქტრინათაგან ორივე თითქმის ერთსა და იმავეს ქადაგებდა განსხვავებული სიტყვებით და თუკი ერთ-ერთი მათგანი ცდებოდა, მაშინ მეორეც ისეთივე მცდარი გამოდიოდა. უილიამ კანინგჰემმა და ადოლფ ვაგნერმა გამოავლინეს კოსმოპოლიტური თავისუფალი ვაჭრობის ნაკლოვანებები, თუმცა მათ ამ საკითხის ფულთან კავშირი არ უჩვენებიათ; მეორე მხრივ, მაკლოუდმა და გესელმა იერიში მიიტანეს ფულის კლასიკურ თეორიებზე, კოსმოპოლიტური სავაჭრო სისტემების უპირატესობებზე ხაზის გასმით. ვალუტის არსებითი მნიშვნელობა ერის, როგორც იმ ეპოქის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთეულის დაფუძნებაში, ისევე აქვთ გამორჩენილი ლიბერალური განმანათლებლობის ხანის ავტორებს, როგორც ისტორიის არსებობა დაავიწყდათ მათ წინამორბედებს მე-18 საუკუნიდან. სწორედ ამ პრინციპებს იზიარებდა ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტი მოაზროვნე რიკარდოდან მოყოლებული უაიზერამდე, ჯონ სტიუარტ მილიდან მოყოლებული მარშალისა და უიკსელის ჩათვლით; მაშინ, როცა განათლებული კლასის რიგითი წარმომადგენლები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეროვნული ეკონომიკური საკითხის აკვიატება ანდა ვალუტით დაინტერესება ინდივიდებს არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენდა. ხოლო აღნიშნული ცდომილებების იმ საზარელ თეორემასთან გაერთიანება, რომ ეროვნული ვალუტები წამყვან როლს თამაშობდნენ ჩვენი ცივილიზაციის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებაში, შეფასდებოდა უაზრო და ყოველგვარი საღი აზრისაგან დაცლილ პარადოქსად.

რეალურად, ახალი ეროვნული ერთეული განუყოფელი იყო ახალი ეროვნული ვალუტისაგან. სწორედ ვალუტას მოჰყავდა მოქმედებაში ეროვნული თუ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მექანიზმი და სწორედ მას შემოჰქონდა საერთო სურათში ის მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფდა აღნიშნული მექანიზმის უცაბედ დამუხრუჭებას, როდესაც ამის საჭიროება დადგებოდა. მონეტარული სისტემა, რომელსაც საკრედიტო სის-

ტემა ეფუძნებოდა, გახლდათ სასიცოცხლო არტერია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ეკონომიკისათვის.

პროტექციონისტული მოძრაობა სამი მიმართულებით ვითარდებოდა. თითოეულ ამ ფაქტორს – მიწას, შრომას და ფულს – თავისი განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა. თუმცა, თუკი მიწა და შრომა დაკავშირებული იყო კონკრეტულ, თუმცა ფართო სოციალურ ფენებთან, მაგალითად, მუშებთან ან გლეხობასთან, მონეტარული პროტექციონიზმი, დიდწილად, საერთო ეროვნული საკითხი იყო, რომელიც ხშირად მრავალ სხვადასხვა ინტერესს უყრიდა თავს. მართალია, მონეტარულ პოლიტიკას შეეძლო როგორც ერის გაერთიანება, ისე მისი დაყოფა, თუმცა ობიექტურად, მონეტარული სისტემა იყო ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც მის ინტეგრაციას ახდენდა.

შრომა და მიწა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო სოციალურ კანონმდებლობასთან და მარცვლეულის მოსაკრებლებთან. ფერმერები აპროტესტებდნენ ვალდებულებებს, რომლებსაც სარგებელი მოჰქონდა მშრომელებისათვის და იწვევდა ხელფასების ზრდას, ხოლო მშრომელები ეწინააღმდეგებოდნენ ფასების ყოველგვარ ზრდას საკვებზე. თუმცა, როგორც კი მარცვლეულისა და შრომის კანონმდებლობა შევიდოდა ძალაში – რაც გერმანიაში ადრეული 1880-იანი წლებიდან მოხდა – ერთი მათგანის გაუქმება მეორის გაუქმების გარეშე შეუძლებელი ხდებოდა. აგროკულტურულ და ინდუსტრიულ ტარიფებს შორის კი კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი არსებობდა. მას შემდეგ, რაც ბისმარკის დამსახურებით, პოპულარული გახდა საყოველთაო პროტექციონიზმის იდეა (1879 წ), პოლიტიკური ალიანსი მიწათმფლობელებსა და მეწარმეებს შორის როგორც ერთი, ისე მეორე ტარიფის დაცვის მიზნით გერმანული პოლიტიკური ცხოვრების მახასიათებლად იქცა; ტარიფების ხელშეწყობა ერთმანეთის სასარგებლოდ ფრიად გავრცელებული იყო, ისევე, როგორც კარტელების შექმნა, რათა ტარიფებიდან კერძო სარგებლის მიღება უზრუნველყოფილიყო.

შიდა და საგარეო, სოციალური და საერთო ეროვნული პროტექციონიზმი მიდრეკილი იყო შერწყმისაკენ.[1] მარცვლეულთან დაკავშირებული კანონებით გამოწვეული საყოფაცხოვრებო ხარჯების ზრდა მეწარმეებს უბიძგებდა, რომ მოეთხოვათ პროტექციონისტული ტარიფები; რასაც ისინი თითქმის ყოველთვის წარმატებულად იყენებდნენ კარტელური პოლიტიკის ინსტრუმენტებად. ბუნებრივია, რომ პროფკავშირები დაჟინებით მოითხოვდა ხელფასების გაზრდას, რათა მომხდარიყო მომატებული საყოფაცხოვრებო ხარჯების კომპენსირება და არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ შეწინააღმდეგებოდა ისეთ საბაჟო ტარიფებს, რომლებიც დამსაქმებლებს საშუალებას მისცემდა, რომ დასაქმებულისათვის გაზრდილი ანაზღაურება მიეცათ. თუმცა, როგორც კი სოციალური კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშსწორება ტარიფებით განპირობებულ ანაზღაურების დონეს დაეფუძნა, დამსაქმებლებისაგან აღარ იყო მოსალოდნელი აღნიშნული კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულება, თუკი მათ არ ექნებოდათ უწყვეტი დაცვის გარანტიები, რაც სავსებით სამართლიანი იყო. სხვათა შორის, სწორედ ეს გახლდათ ფაქტობრივი საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა კოლექტივისტური შეთქმულების იდეის მომხრეთა წაყენებული ბრალი, რომელიც თითქოსდა პასუხისმგებელი იყო პროტექციონისტულ მოძრაობაზე. თუმცა, აღნიშნული პოზიცია შედეგებსა და მიზეზებს ერთმანეთში ურევდა. მოძრაობა თავდაპირველად სპონტანური და მრავალფეროვანი იყო, თუმცა როგორც კი ის დაიწყო, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, რომ ამას არ გამოეწვია პარალელური ინტერესების გაჩენა, რომელთაც სურდათ, რომ მოძრაობა გაგრძელებულიყო.

თუმცა, ინტერესთა თანხვედრაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ რეალური პირობების ერთგვაროვანი გავრცელება, რომლებიც მსგავსი ზომების გატარების ერთობლივი შედეგი იყო. თუკი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება ერთმანეთისაგან განსხვავდე-

[1] Carr, E.IL., The Twenty Years' Crisis, 1919 1939, 1940.

ბოდა, რაც რეალობაში ყოველთვის ასე ხდებოდა, აღნიშნული სხვაობის ახსნა ახლა უკვე შესაძლებელი იყო კონკრეტული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების პროტექციონისტული მიზნებით, ვინაიდან წარმოების პირობები და ახლა, შრომა ძირითადად დამოკიდებული იყო ტარიფებზე, გადასახადებსა და სოციალურ კანონებზე. აშშ-ისა და ბრიტანული დომინიონის მიერ იმიგრაციას შეზღუდვამდეც კი გაერთიანებული სამეფოდან ემიგრირებულთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, მიუხედავად უმუშევრობის მწვავე პრობლემისა, რომელსაც მშობლიურ ქვეყანაში ბევრად გაუმჯობესებული სოციალური კლიმატი იწვევდა.

თუმცა, თუკი საბაჟო ტარიფებმა და სოციალურმა კანონმდებლობამ ხელოვნური კლიმატის შექმნას შეუწყო ხელი, მონეტარულმა პოლიტიკამ შექმნა ის, რაც მართლაც შეიძლება, რომ ხელოვნური კლიმატის პირობებს შევადაროთ; ის ყოველდღიურად იცვლებოდა და ზეგავლენას ახდენდა საზოგადოების ყოველ წევრსა და მის უშუალო ინტერესებზე. მონეტარულმა პოლიტიკამ თავისი მაინტეგრირებელი ფუნქციის დამსახურებით, უკან ჩამოიტოვა სხვა ტიპის პროტექციონისტული ზომები, რომლებიც ზანტი და მოუხერხებელი აპარატით ხასიათდებოდნენ, ვინაიდან მონეტარული დაცვის გავლენა ყოველთვის აქტიური და მუდამ ცვალებადი იყო. ის, რაც კომერციულ მეწარმეს, ორგანიზებულ მუშას თუ დიასახლისს აწუხებდა ან ის, რაზეც ფიქრობდა ფერმერი, რომელიც მოსავლის მოყვანას გეგმავდა, მშობელი, რომელსაც თავისი შვილის მომავალი აფიქრებდა თუ შეყვარებულები, რომლებსაც ქორწინება სურდათ, გაცილებით უფრო პირდაპირ იყო დაკავშირებულ ცენტრალური ბანკის მონეტარულ პოლიტიკასთან, ვიდრე სხვა რომელიმე ცალკეულ ფაქტორთან. და თუკი ეს სიმართლეს შეესაბამებოდა მაშინ, როდესაც ვალუტა სტაბილური იყო, არასტაბილური ვალუტის პირობებში, ამ განცხადების სიმართლეში ეჭვსაც ვერ შეიტანდი და ინფლაციის თუ დეფლაციის გარდაუვალი გადაწყვეტილება მისაღები იყო. პოლიტიკურად ერის იდენტობას მთავრობა განსაზღვრავდა, ეკონომიკურად კი პასუხისმგებლობა ცენტრალურ ბანკს ენიჭებოდა.

საერთაშორისო დონეზე, მონეტარული სისტემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა. ფულის თავისუფალი მიმოქცევა, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგი იყო, ვინაიდან, რაც უფრო რთულდებოდა პროდუქციისა და ადამიანების მიერ საზღვრის კვეთა, მით უფრო საიმედოდ უნდა მომხდარიყო ფულის გადახდის თავისუფლების უზრუნველყოფა. მოკლევადიანი ფულის მიღება დედამიწის ერთი წერტილიდან მეორეში რამდენიმე საათის შუალედში იყო შესაძლებელი. საერთაშორისო გადარიცხვების სახეობები მთავრობებსა და კერძო კორპორაციებს თუ ინდივიდებს შორის ერთგვარად რეგულირდებოდა; უცხოური ვალების გადახდაზე უარის თქმა ან საბიუჯეტო გარანტიების სფეროში თაღლითობის მცდელობები, ჩამორჩენილი ქვეყნების მთავრობების მხრიდანაც კი, ახლა უკვე მიუტევებელ შეცდომად ითვლებოდა და ისჯებოდა კრედიტისათვის შეუფერებელთა გარიყულების წრეში მოხვედრით. მსოფლიო მონეტარული სისტემის ყველა რელევანტურ საკითხთან დაკავშირებით ყველგან მსგავსი ინსტიტუციები გაჩნდა, კერძოდ, წარმომადგენლობითი ორგანოები და წერილობითი კონსტიტუციები; ისინი განსაზღვრავდნენ მათ იურისდიქციას და არეგულირებდნენ ბიუჯეტის დამტკიცების წესს, კანონების გამოქვეყნებას, ხელშეკრულებების რატიფიცირებას, ფინანსური ვალდებულებების აღების მეთოდებს, საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებების საკითხებს, უცხოელთა უფლებებს, სასამართლოთა იურისდიქციას, სავექსელო გადახდის ადგილს და შესაბამისად, ემისიის ბანკის, ობლიგაციების უცხოელი მფლობელებისა და ყველა სახის კრედიტორების სტატუსს. ეს გულისხმობდა ბანკნოტებისა და მონეტების გამოყენების, საფოსტო რეგულაციებსა და საფონდო ბირჟისა და საბანკო მეთოდების დამორჩილებას. ალბათ ყველაზე მდიდარი ქვეყნების გარდა, სხვა ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავდა, რომ ფულთან დაკავშირებული ტაბუები დაერღვია. საერთაშორისო დონეზე ერის წარმომადგენელი ვალუტა

გახლდათ; და არ არსებობდა ერი, რომელიც ხანგრძლივი დროით საერთაშორისო სისტემის გარეთ შეძლებდა არსებობას.

ადამიანისა და საქონლისაგან განსხვავებით, ფული ყოველ-გვარი ხელის შემშლელი პირობებისაგან თავისუფალი იყო და წარმატებით განაგრძობდა ნებისმიერ დისტანციასა თუ დროში კომერციული წარმოებისათვის საჭირო საქმიანობას. რაც უფრო რთულდებოდა რეალური საგნების სივრცეში გადაადგილება, მით უფრო იოლდებოდა მათზე მოთხოვნის გაგზავნა. მაშინ, როცა საქონლისა და მომსახურებების შეძენა ბარიერებს აწყდებოდა და მათი ბალანსი გარემოებების მიხედვით მერყეობდა, გადა-რიცხვათა ბალანსი თითქმის ავტომატურად ლიკვიდური რჩებო-და, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმოქცევაში მყოფი ხანმოკლე სესხებისა და ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მეშვეობით, რაც თითქმის არაფრით იყო დაკავშირებული ხილულ ვაჭრობას-თან. გადახდებზე, ვალებსა და ფინანსურ საჭიროებებზე თითქ-მის არავითარ გავლენას არ ახდენდა პროდუქტის გაცვლა-გა-მოცვლის წინაშე აღმართული ბარიერები; საერთაშორისო მონე-ტარული მექანიზმების მზარდი მოქნილობა და უნივერსალურობა გარკვეულწილად აკომპენსირებდა მსოფლიო ვაჭრობის არხების მუდმივ შევიწროებას. 1930-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ვაჭრობის აღნიშნული არხები თითქმის დაშრა, საერ-თაშორისო მოკლევადიანმა სესხებმა მობილობის აქამდე არ-ნახულ მასშტაბებს მიაღწია. ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მიმოქცევის და ხანმოკლე კრედიტების მექანიზმი გამართულად მუშაობდა, რეალური ვაჭრობის დისბალანსი ისეთ მასშტაბებს ვერ მიაღწევდა, რომელსაც ანგარიშსწორების მეთოდები ვერ გა-დალახავდა. კრედიტების მიმოქცევამ შესაძლებელი გახადა სო-ციალური რღვევის თავიდან არიდება; ეკონომიკური დისბალანსი ფინანსურმა საშუალებებმა აღადგინეს.

საბოლოო ჯამში, ბაზრის დასუსტებული თვითრეგულირება პოლიტიკურ ინტერვენციით დაგვირგვინდა. მორიგი სავაჭრო ციკლის დასრულების შემდგომ, როდესაც ყველაფერი თავის ად-გილას არ დადგა და უმუშევრობის საკითხი არ გამოსწორდა, რო-

დესაც იმპორტმა ექსპორტი ვერ უზრუნველყო, როდესაც საბანკო რეგულაციები პანიკაში მყოფ ბიზნესს დაემუქრა, როდესაც უცხოელმა მევალეებმა ვალის დაბრუნებაზე უარი განაცხადეს, მთავრობას მოუწია შეზღუდვების შემოღება. კრიტიკულ სიტუაციაში, საზოგადოებამ საკუთარი ერთიანობის დემონსტრირება ინტერვენციების მეშვეობით მოახდინა.

რამდენად შორს უნდა წასულიყო სახელმწიფო ჩარევის წახალისებაში, ეს საკითხი დამოკიდებული იყო პოლიტიკური სფეროს მოწყობასა და ეკონომიკური წნეხის დონეზე. ვიდრე ხმის მიცემის უფლება შეზღუდული რჩებოდა და მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ჰქონდა პოლიტიკური გავლენა, ინტერვენციონიზმი გაცილებით ნაკლებ პრობლემური ჩანდა, ვიდრე მას შემდეგ, რაც საყოველთაო ხმის უფლების მოძრაობამ სახელმწიფო მილიონობით ადამიანის მართულ ორგანოდ აქცია – იმავე მილიონების, ვისაც ეკონომიკურ სფეროში ხშირად მართულის ტვირთი უნდა ეზიდა. ვიდრე სამუშაო უხვად იყო, შემოსავლები – გარანტირებული, წარმოება – უწყვეტი, საცხოვრებელი პირობები – ატანადი, ხოლო ფასები – სტაბილური, ინტერვენციონისტული წნეხი ბუნებრივად ნაკლები იყო, ვიდრე მას შემდეგ, რაც გაჭიანურებულმა კრიზისმა ინდუსტრია გამოუყენებელი ხელსაწყოებისა და გაცრუებული იმედების გროვად აქცია.

საერთაშორისო დონეზეც, პოლიტიკური მეთოდები გამოიყენებოდა როგორც ბაზრის არასრულყოფილი თვითრეგულირების დამატება. რიკარდოს ვაჭრობისა და ვალუტის თეორია ამაოდ ახდენდა სტატუსებს შორის განსხვავების იგნორირებას, რომელიც არსებობდა სხვადასხვა ქვეყანას შორის სიმდიდრის წარმოებისა და საექსპორტო შესაძლებლობების, ვაჭრობის, გადაზიდვისა და საბანკო გამოცდილების თვალსაზრისით. ლიბერალური თეორიის თანახმად, დიდი ბრიტანეთი იყო უბრალოდ რიგითი ატომი ვაჭრობის სამყაროში, სადაც მას ზუსტად იგივე ადგილი ეკავა, რაც დანიას ან გვატემალას ჰქონდა. რეალურად კი, სამყარო იყოფოდა სულ რამდენიმე ტიპის ქვეყნებად, გამსესხებელ და მსესხებელ ქვეყნებად, ექსპორტიორ და პრაქტიკულად

დამოუკიდებელ ქვეყნებად, დივერსიფიცირებულ ექსპორტიორ და ისეთ ქვეყნებად, რომლებიც იმპორტსა და საგარეო ვაჭრობაში მთლიანად დამოკიდებულები იყვნენ ერთადერთ პროდუქტზე, მაგალითად, ხორბალზე ან ყავაზე. ასეთ განსხვავებებს შესაძლოა იგნორირება გაუკეთო თეორიაში, მაგრამ პრაქტიკაში მათი შედეგების სრულად უგულებელყოფა შეუძლებელია. ხშირად, ოკეანის მიღმა ქვეყნები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მდგომარეობაში, როდესაც უცხოური ვალის გასტუმრება არ შეეძლოთ ან მათი ვალუტა გაუფასურებული იყო, რაც მათ გადახდისუნარიანობას საფრთხის წინაშე აყენებდა; ზოგჯერ ისინი გადაწყვეტდნენ ხოლმე, რომ ბალანსი პოლიტიკური მეთოდით აღედგინათ და უცხოელი ინვესტორების საკუთრებაში იჭრებოდნენ. არც ერთ ასეთ შემთხვევაში არ იყო შესაძლებელი ეკონომიკური თვითგაჯანსაღების პროცესის ნდობა, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური დოქტრინის თანახმად, აღნიშნული პროცესები სრულად დაუბრუნებდა ფულს კრედიტორს, აღადგენდა ვალუტას და დაიცავდა უცხოელს მსგავსი დანაკარგებისაგან. ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყო, ჩართული ქვეყნები მსოფლიო შრომის განაწილების სისტემის მეტნაკლებად თანასწორი მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა, ამას ნამდვილად არ ჰქონია ადგილი. ამაო იყო მოლოდინი, რომ ქვეყანა, რომლის ვალუტაც უეცრად დაეცა, ავტომატურად გაზრდიდა თავის ექსპორტს და შედეგად, აღიდგენდა საგადასახადო ბალანსს. ან, თითქოსდა, უცხოური კაპიტალის საჭიროება აუცილებლად აიძულებდა მას, რომ უცხოელისთვის კომპენსაცია მიეცა და კვლავაც გააგრძელებდა ვალის აღების შედეგად დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. მაგალითად, ყავის ან ნიტრატების უეცრად მომატებულმა გაყიდვებმა, შეიძლება ბაზარზე მათი ფასის კატასტროფული დაცემა განაპირობოს. ამიტომაც, შესაძლოა კაბალური უცხოური ვალის გადახდაზე უარის თქმა უფრო სასურველი ჩანდეს, ვიდრე ეროვნული ვალუტის გაუფასურება. მსოფლიო ბაზრის მექანიზმს ასეთი რისკის გაწევის ფუფუნება არ ჰქონდა. ნაცვლად ამისა, მაშინვე

კანონერები[1] გაიგზავნებოდა ადგილზე და მთავრობას, რომელიც ვალდებულებას არ ასრულებდა, მიუხედავად იმისა თაღლითობდა იყო თუ არა ის, ორი არჩევანი ექნებოდა, დაბომბვა ან კრედიტის გადახდა. გადასახადის გადახდის იძულების, დიდი დანაკარგების თავიდან არიდების და სისტემის გამართული მუშაობისთვის არავითარი სხვა მეთოდი არ არსებობდა. მსგავსი პრაქტიკა გამოიყენებოდა კოლონიზებულ ხალხებთანაც, რათა ვაჭრობის უპირატესობა ეღიარებინათ, როდესაც ორმხრივი სარგებლის თეორიულად საიმედო არგუმენტი დროულად – და ალბათ საერთოდაც – არ იყო გაზიარებული მკვიდრი ხალხების მიერ. კიდევ უფრო ცხადი იყო ინტერვენციული მეთოდების საჭიროება თუკი მოცემული რეგიონი ისეთი ნედლი მასალით აღმოჩნდებოდა მდიდარი, რაზე მოთხოვნა არსებობდა ევროპელ მწარმოებლებში, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი არსებული ჰარმონიული მოცემულობა არ აჩვენებდა, რომ ადგილობრივ ხალხებში ლტოლვა არ არსებობდა ევროპელი მწარმოებლებისადმი, რომელთა ბუნებრივი მოთხოვნილებები ადრე სრულიად სხვა მხარეს იყო მიმართული. თავისთავად ცხადია, რომ ვითომდა თვითრეგულირებადი სისტემის პირობებში არც ერთ აღნიშნულ პრობლემას არ უნდა ეჩინა თავი. თუმცა, რაც უფრო ხშირი იყო, რომ ვალის გასტუმრება მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული ინტერვენციების მუქარის შიშით ხდებოდა, რაც უფრო ხშირად გამოიყენებოდა კანონერები სავაჭრო გზების ჩაკეტვის თავიდან ასაცილებლად, რაც უფრო ხშირად მოჰყვებოდა სავაჭრო გემები სამხედრო ფლოტს, ფლოტი კი იმ მიმართულებით გაცურდებოდა, საითაც თავისი მთავრობის საჭიროებები უკარნახებდნენ, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში წონასწორობის შესანარჩუნებლად პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება იყო საჭირო.

[1] კანონერი – ქვემეხიანი ნავი (მთარგ.)

თავი 18
დამანგრეველი დაძაბულობა

ინსტიტუციური მოწყობის ამგვარმა ერთგვაროვნებამ გასაოცარი მსგავსება გამოიწვია იმ მოვლენებისა, რომლებიც ნახევარი საუკუნის მანძილზე, 1879-1929 წლებში ფართო მასშტაბით ვითარდებოდა.

ხასიათის, გამოცდილებების, ინტელექტუალური განვითარებისა და წინაპართა უგზო-უკვლო მრავალფეროვნებამ ბევრ ქვეყანას ადგილობრივი ნიშა და ელფერი შესძინა, თუმცა, ცივილიზებულ სამყაროს, მეტწილად, მაინც საერთო აგებულება ჰქონდა. ეს მსგავსება საზიარო კულტურულ შტრიხებს ერთნაირი ხელსაწყოებით გარდაქმნიდა და გაწეული ძალისხმევისთვის დაწესებული ჯილდოებიც ერთმანეთის მსგავსი იყო. უფრო ზუსტად, ისტორიულ კონტექსტში განვითარებული მოვლენების ის ფუნქციები იყო მსგავსი, რომლებიც კოლექტიური თანაარსებობის დროში შეზღუდული კომპონენტია. სწორედ ამ იდენტური მიდრეკილებებისა და წნეხების ანალიზმა უნდა გამოავლინოს ის მექანიზმი, რომელიც ამ პერიოდში გამორჩეულად ერთგვაროვან ისტორიულ თარგებს ქმნიდა.

წნეხები შეგვიძლია მარტივად დავაჯგუფოთ მთავარი ინსტიტუციური სფეროების მიხედვით. შიდა ეკონომიკაში არამდგრადობის მრავალფეროვანი სიმპტომები – წარმოების, სამუშაო ადგილებისა და გამომუშავების კლება – უმუშევრობის სადამს-

ჯელო ეფექტში უნდა გავაერთიანოთ. შიდა პოლიტიკაში სოციალური ძალების დაპირისპირება და შეუთანხმებლობა კლასთა შორის დაპირისპირების მაგალითად გამოდგება. სირთულეები საერთაშორისო ეკონომიკაში, რომელიც საგადასახადო ბალანსის ირგვლივ იყო კონცენტრირებული და ექსპორტის კლების, ვაჭრობისთვის არახელსაყრელი გარემოს, ნედლი მასალების იმპორტის სიმწირისა და საგარეო ინვესტიციების დაკარგვისაგან შედგებოდა, სახასიათო ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, სახელდობრ – წნეხი საქონლის მიმოცვლაზე. დაბოლოს, საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული დაძაბულობები უნდა მივაკუთვნოთ იმპერიალისტთა მეტოქეობის ქვეჯგუფს.

განვიხილოთ ქვეყანა, რომელმაც კომერციული მეწარმეობის ეკონომიკური აქტიურობის კლების შედეგად უმუშევრობის თვალსაზრისით დიდი დარტყმა მიიღო. თვალსაჩინოა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერი ზომა, რომელიც შესაძლოა ბანკებმა აირჩიონ, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს სტაბილური ბირჟების მოთხოვნებთან. ბანკები ვერ შეძლებენ ინდუსტრიულ სექტორზე გაცემული სესხების გაფართოებას ან გახანგრძლივებას ცენტრალური ბანკისთვის მიმართვის გარეშე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დინებას ვერ გაყვება, რადგან ვალუტის უსაფრთხოება საპირისპირო მოქმედებას მოითხოვს. ერთი მხრივ, თუკი ზეწოლა სამრეწველო სფეროდან სახელმწიფოზე გავრცელდება – პროფესიულმა გაერთიანებებმა შესაძლოა, მათთან აფილირებული პოლიტიკური პარტიები წააქეზონ, რომ საკითხი პარლამენტში დააყენონ – შემამსუბუქებელი ზომების ან საჯარო სამუშაოების მასშტაბი ბიუჯეტის წონასწორობის მოთხოვნებით იქნება შეზღუდული, რაც სტაბილური ბირჟების კიდევ ერთი წინაპირობაა. შესაბამისად, ოქროს სტანდარტით, ხაზინისა და ცენტრალური ბანკის მოქმედებები თანაბარი ეფექტიანობით უნდა შემოწმდეს, კანონმდებლობა კი ისეთივე შეზღუდვების წინაშე აღმოჩნდება, როგორც ინდუსტრიული სექტორი.

რა თქმა უნდა, შესაძლოა, რომ უმუშევრობის წნეხმა ქვეყნის მასშტაბით ინდუსტრიულ ან სამთავრობო სექტორზე გადაიაროს.

თუკი კონკრეტულ შემთხვევაში კრიზისი ხელფასებზე დეფლაციური ზეწოლით გადაილახა, შეიძლება ითქვას, რომ ტვირთი უმეტესწილად ეკონომიკის სფეროს დააწვებოდა. თუმცა, თუკი მტკივნეული ზომები სამემკვიდრეო გადასახადიდან სუბსიდირებული საჯარო სამუშაოების დახმარებით იქნა თავიდან არიდებული, მთავარი დარტყმა პოლიტიკურ სფეროს მიადგებოდა. (იგივე იქნებოდა, რომელიმე სამთავრობო ღონისძიების საფუძველზე პროფკავშირებისთვის ხელფასების შემცირების იძულება, რაც მოპოვებული უფლებების დარღვევა იქნებოდა). ხელფასებზე დეფლაციური ზეწოლის მაგალითში წნეხი საბაზრო სივრცეს არ გასცლია და შემოსავლების გადანაწილებაში გამოიხატა, რაც ფასთა ცვალებადობით იყო განპირობებული. მეორე შემთხვევაში, როგორიცაა საზოგადოებრივი სამსახურების ან პროფკავშირებისთვის დაწესებული შეზღუდვები, შეიცვალა სამართლებრივი სტატუსი ან დაბეგვრის წესი, რამაც უმეტესწილად ამ ჯგუფის პოლიტიკურ პოზიციებზე იქონია გავლენა.

საბოლოოდ, უმუშევრობა შესაძლოა ქვეყნის საზღვრებს გასცდეს და უცხოურ ბირჟებზე იქონიოს გავლენა. ეს შეიძლება მოხდეს განურჩევლად იმისა, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული – პოლიტიკური თუ ეკონომიკური. ოქროს სტანდარტის მიხედვით, რომელიც, ჩავთვალოთ რომ ყოველთვის ძალაშია, ნებისმიერმა სახელმწიფო ღონისძიებამ, რომელმაც საბიუჯეტო დეფიციტი გამოიწვია, შესაძლოა ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც გამოიწვიოს: თუ უმუშევრობას ფულის მარაგების ზრდით ებრძოდნენ, შიდა ფასების ზრდა ექსპორტზე მოახდენდა გავლენას, რაც საგადასახადო ბალანსზე იმოქმედებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ბაზარზე კრიზისს გამოიწვევდა და ქვეყნის ვალუტას ტვირთად დააწვებოდა.

ანდა, უმუშევრობით გამოწვეულმა წნეხმა შესაძლოა საგარეო დაძაბულობა გამოიწვიოს. ზოგ შემთხვევაში, ამას მნიშვნელოვნად გაუუარესებია სუსტი ქვეყნების საერთაშორისო პოზიციები. მათი სტატუსი დაკნინდა, უფლებები უგულებელყოფილ

იქნა, მათზე საგარეო კონტროლი დაწესდა, ხოლო ეროვნული მისწრაფებები – ჩაფლავდა. ძლიერი ქვეყნების შემთხვევაში, ეს წნეხი შესაძლოა უცხოური ბაზრების, კოლონიების, გავლენის ზონებისა და იმპერიალისტური მეტოქეობის სხვა ფორმებისკენ ლტოლვაში გადაიზარდოს.

ამდენად, ბაზრიდან წამოსული წნეხი ბაზარსა და სხვა მთავარ ინსტიტუციურ სივრცეებში მონაცვლეობდა და ზოგჯერ მთავრობის სფეროს მოქმედებაზე ახდენდა გავლენას, ზოგჯერ კი ოქროს სტანდარტზე ან ძალთა ბალანსის სისტემაზე, სიტუაციიდან გამომდინარე. თითოეული სფერო სხვებთან შედარებით დამოუკიდებელი იყო და წონასწორობისკენ მიიღვწოდა. ბალანსის მიუღწევლობის დროს, გაუწონასწორებლობა სხვა სფეროებზეც ვრცელდებოდა. შედარებით ავტონომიურ სფეროებში წნეხი გროვდებოდა, ზოგჯერ იმ დოზით, რომ საბოლოოდ, შედეგი მეტნაკლებად სტერეოტიპული ფორმის აფეთქება იყო. ვიდრე მე-19 საუკუნე წარმოსახვით ლიბერალურ უტოპიას აშენებდა, რეალურად, იგი გარკვეული რაოდენობის კონკრეტულ ინსტიტუციებს გადასცემდა კონტროლს, რომელთა მექანიზმებიც დღის წესრიგს განსაზღვრავდა.

რეალობის გაცნობიერებასთან მიახლოება, ალბათ, ერთი ეკონომისტის რიტორიკული შეკითხვა იყო, რომელმაც 1933 წელს, „მთავრობათა დიდ უმრავლესობა" პროტეცქციონისტური პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. რამდენად არის შესაძლებელი, რომ პოლიტიკა, რომელსაც ყველა ექსპერტი ერთხმად გმობს იმის გამო, რომ იგი უკიდურესად მცდარი, უხეშად აბსურდული და ეკონომიკური თეორიის ყველა პრინციპთან წინააღმდეგობაშია, სწორი იყოს? – იკითხა მან. ცალსახად, „არა"[1], იყო მისი პასუხი. თუმცა კი, ამაოა აშკარა ფაქტების ახსნა-განმარტება ლიბერალურ ლიტერატურაში ეძებო. ერთადერთი პასუხი მთავრობების, პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იყო, რასაც ბოლო არ

[1] Haberler, G., Der internationale Handel, 1933, p. vi.

უჩანდა. სავარაუდოდ, სწორედ მათი უცოდინარობა, ამბიციები, სიხარბე და არაგამჭრიახი წინასწარგანწყობები განაპირობებდა ამ ქვეყნების „დიდ უმრავლესობაში" პოპულარულ პროტექციონიზმის პოლიტიკას. მათ გადაწყვეტილებებში სულ მცირე დასაბუთებული არგუმენტიც კი იშვიათად თუ მოიძებნებოდა და მათი ქმედებები აშკარა წინასწარგანწყობების საშიში მასშტაბებით გამოვლინება იყო. ერთადერთი ინტელექტუალური პასუხი პროტექციონისტული კონსპირაციის მითის იმპერიალისტური მანიის მითით დაგვირგვინება იყო.

ლიბერალური არგუმენტაცია, ყოველ შემთხვევაში, მისი არტიკულირებული ვერსია, ამტკიცებდა, რომ დაახლოებით ადრეულ 1880-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში იმპერიალისტური ვნებები აღიძრა და ეკონომისტი მოაზროვნეების ნაყოფიერი შრომა ტომობრივი ცრურწმენებისადმი ემოციურმა მიდრეკილებმა გაანადგურა. ნელ-ნელა ამ სენტიმენტალურმა პოლიტიკამ ძალა მოიკრიბა და პირველ მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განმანათლებლობის ძალებს კიდევ ერთი შანსი მიეცათ, კეთილგონიერების მმართველობა აღედგინათ, თუმცა პროგრესი იმპერიალიზმის მოულოდნელმა ამოფრქვევამ შეაჩერა, განსაკუთრებით ახლად გაჩენილ პატარა ქვეყნებში, მოგვიანებით კი, „უქონელ" გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში. „ცბიერმა ცხოველმა," პოლიტიკოსმა მარათონში ჩაბმული გონიერების ცენტრები – ჟენევა, უოლ სტრიტი და ლონდონი დაამარცხა.

პოპულარული პოლიტიკური თეოლოგიის ამ ნაწილში იმპერიალიზმი ადამიანური ბუნების თანდაყოლილ ცოდვილ ბუნებას წარმოადგენს. სახელმწიფოები და იმპერიები დაბადებით იმპერიალისტურებად მოიაზრებიან, თითქოს, ისინი მეზობლებს სინანულის გარეშე გადასანსლავენ. ამ მტკიცების მეორე ნაწილი სიმართლეა, თუმცა არა პირველი. მართალია, იმპერიალიზმი, განურჩევლად იმისა, თუ სად და როდის აღმოცენდა იგი, გაფართოების დროს კეთლიგონიერებას ან მორალურ განსჯას ეყრდნობა, თუმცა მცდარი შეფასებაა, რომ სახელმწიფოები და

იმპერიები ყოველთვის ექსპანსიონისტები არიან. ტერიტორიული გაერთიანებები არ არიან ყოველთვის საზღვრების გაფართოებისკენ მიდრეკილი; არც ქალაქებს, სახელმწიფოებსა და იმპერიებს აქვთ ასეთი მანია. საპირისპიროს მტკიცება ზოგიერთი ტიპური შემთხვევის ზოგად წესად გასაღება იქნებოდა. არსებითად, პოპულარული აზრის საპირისპიროდ, თანამედროვე კაპიტალიზმი ხანგრძლივი კონტრაქციონიზმით (შეკუმშვით) დაიწყო. იმპერიალიზმისაკენ მან მოგვიანებით გადაუხვია.

ანტიიმპერიალიზმი ადამ სმიტმა დააფუძნა, რომელმაც არა მხოლოდ ამერიკული რევოლუცია, არამედ მომავალი საუკუნის „პატარა ინგლისის" მოძრაობაც კი იწინასწარმეტყველა. განხეთქილებას ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა: ბაზრების სწრაფმა ზრდამ, რაც „შვიდწლიანი ომით" დაიწყო, იმპერიების პოპულარობა შეამცირა. თუკი გეოგრაფიული აღმოჩენები თავისი შედარებით ნელი სატრანსპორტო საშუალებებით, შორეულ პლანტაციებს ანიჭებდა უპირატესობას, კომუნიკაციების დაჩქარებამ კოლონიები ძვირადღირებული ფუფუნების საგნებად აქცია. პლანტაციებისთვის არახელსაყრელი კიდევ ერთი ფაქტორი ის იყო, რომ ექსპორტი იმპორტზე მნიშვნელოვანი გახდა; მყიდველის ბაზრის იდეალმა გზა გამყიდველის ბაზარს დაუთმო, რომელშიც მეტოქეებს, მათ შორის უკვე კოლონისტებს, საქონლის შედარებით დაბალ ფასად გაყიდვით იგერიებდნენ. ატლანტიკური ზღვისპირეთის კოლონიების დაკარგვის შემდეგ კანადამ იმპერიაში (1837) თავის შენახვა ვერ მოახერხა; დისრაელიც კი დასავლეთ აფრიკაში არსებული ქონების ლიკვიდაციის მომხრე იყო. „ნარინჯისფერმა სახელმწიფომ" ამაოდ ითხოვა იმპერიის წევრობა და ზოგიერთმა კუნძულმა წყნარ ოკეანეში, რომლებიც დღეს მსოფლიო სტრატეგიულ ღერძებად იწოდებიან, არაერთხელ მიიღო უარი შემოერთებაზე. თავისუფალმა მოვაჭრეებმა და პროტექციონისტებმა, ლიბერალებმა და გულმხურვალე ტორებმა აღიარეს, რომ კოლონია ხარჯიანი ქონება იყო, რომელიც, ადრე თუ გვიან, პოლიტიკური და ფინანსური ტვირთი გახდებოდა. ყველა, ვინც 1780-1880 წლების საუკუნოვან შუალედში კოლონიებს

მხარს უჭერდა, მოძველებული რეჟიმის მიმდევრად მიიჩნეოდა. საშუალო კლასმა დაგმო დაპყრობა და ომები, რომელთაც დინასტიური მაქინაცია უწოდა, სანაცვლოდ კი პაციფიზმი აირჩია (ფრანსუა კუსენა პირველი იყო, ვინც ჩაურევლობის პოლიტიკას მშვიდობის დაფნის გვირგვინი დაადგა). ინგლისის მაგალითს საფრანგეთი და გერმანიაც მიჰყვნენ. საფრანგეთმა საგრძნობლად შეამცირა ექსპანსია და მისი იმპერიალიზმიც კი უფრო კონტინენტური გახდა, ვიდრე კოლონიური. ბისმარკმა უარი განაცხადა ადამიანების სიცოცხლის გაწირვაზე ბალკანეთისთვის და მთელი თავისი გავლენა ანტი-კოლონიური პროპაგანდისკენ მიმართა. ასეთი იყო მთავრობის განწყობა, როცა კონტინენტებს კაპიტალისტური კომპანიები ესეოდნენ; როცა East India Company ლანკაშირელი ექსპორტიორების მოწადინებით დაიშალა, ხოლო ინდოეთში გამორჩეული ფიგურები, კლაივ და ვორენ ჰასტინგები ქსოვილის ანონიმმა ვაჭრებმა ჩაანაცვლეს. მთავრობები პროცესებისგან თავს შორს იჭერდნენ. კანინგს ბირჟის მოთამაშეების გამო პროცესებში ჩარევა სასაცილოდ ეჩვენებოდა. პოლიტიკისა და ეკონომიკის გამიჯვნა ახლა უკვე საერთაშორისო ურთიერთობებშიც გავრცელდა. თუკი დედოფალი ელისაბედი საკუთარ შემოსავალს კეპერების შემოსავლისგან დიდად არ განასხვავებდა, გლადსტონი ცრუ ბრალდებას უწოდებდა იმას, რომ ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა უცხოელ ინვესტორებს ემსახურებოდა. სახელმწიფო ძალაუფლებისა და სავაჭრო ინტერესების გაერთიანება მე-19 საუკუნის იდეა არ ყოფილა, პირიქით – ადრე-ვიქტორიანული სახელმწიფო მოხელეები პოლიტიკისა და ეკონომიკის დამოუკიდებლობას საერთაშორისო ქცევის პრინციპად მოიაზრებდნენ. მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრულ შემთხვევებში უნდა ემოქმედათ დიპლომატიურ წარმომადგენლებს მათი თანამოქალაქეების კერძო ინტერესების სასარგებლოდ და ამ პრაქტიკის ფარულად გაგრძელება საზოგადოდ მიუღებელი ქცევა იყო, დამტკიცების შემთხვევაში კი, დაგმობას იმსახურებდა. კერძო ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც ვრცელდებოდა. მთავრო-

ბა კერძო სავაჭრო ურთიერთობებში არ უნდა ჩარეულიყო და საგარეო ოფისებისგანაც არ იყო მოლოდინი, რომ საზღვარგარეთ კერძო ინტერესებისადმი განსხვავებული მიდგომა ექნებოდათ. ინვესტიციები ქვეყნის შიგნითვე რჩებოდა, მეტწილად, სოფლის მეურნეობაში; საგარეო ინვესტიციები კი ჯერაც სარისკოდ ითვლებოდა და მიიჩნეოდა, რომ ინვესტორებისგან გამოწვეული ხშირი ზარალი უხვად კომპენსირდებოდა სამევახშეო სესხების შემაშფოთებელი პირობებით.

ცვლილება მოულოდნელად და ერთდროულად მოხდა დასავლეთის ყველა წამყვან ქვეყანაში. მართალია, გერმანიამ ინგლისში განვითარებული პროცესები ნახევარი საუკუნის დაგვიანებით გაიარა, თუმცა გარდაუვალი იყო, რომ მსოფლიო მასშტაბის საგარეო მოვლენები ყველა სავაჭრო ქვეყანას ერთნაირად შეეხებოდა. სწორედ ასეთი მოვლენა იყო საერთაშორისო ვაჭრობის რიტმისა და მოცულობის ზრდა და მიწის უნივერსალური მობილიზაცია, რაც მარცვლეულისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პლანეტის ერთიდან მეორე წერტილში მინიმალური დანახარჯებით მასობრივ ტრანსპორტირებაში გამოიხატებოდა. ამ ეკონომიკურმა მიწისძვრამ სამეურნეო ევროპაში ათეულობით მილიონი ადამიანის ცხოვრება შეცვალა. რამდენიმე წელიწადში თავისუფალი ვაჭრობა წარსულად იქცა, საბაზრო ეკონომიკის გაფართოება კი სრულიად ახალ პირობებში მოხდა.

თავად ამ პირობებს „ორმაგი მოძრაობა" ადგენდა. საერთაშორისო ვაჭრობის ნიმუშებს, რომლებიც აჩქარებული დინამიკით ვრცელდებოდა, პროტექციონისტული ინსტიტუტები დაემატა, რომელთა ფუნქცია ბაზრის საერთო ქცევის შემოწმება იყო. აგრარულმა კრიზისმა და 1873-86 წლების დიდმა დეპრესიამ ეკონომიკური თვითგანკურნების რწმენა შეარყია. ამიერიდან, საბაზრო ეკონომიკის ტიპური ინსტიტუტები ბაზარზე მხოლოდ პროტექციონისტული ზომების თანხლებით ჩნდებოდნენ. ამის კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ გვიან 1870-იანი და ადრეული 1880-იანი წლებიდან ერებმა ორგანიზებულ ერთეულებად დაიწყეს ჩამოყალიბება, რომლებიც საგარეო ბირჟებისა და ვაჭრობის

საჭიროებებისადმი სწრაფად მორგების თანმხლები ძვრებით დიდად იტანჯებოდნენ. ამდენად, საბაზრო ეკონომიკის გაფართოების მთავარ იარაღს, რაც ოქროს სტანდარტი იყო, როგორც წესი, თან ახლდა იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ტიპური პროტექციონისტული პოლიტიკები, როგორებიცაა სოციალური კანონმდებლობა და საბაჟო ტარიფები.

ამ ეტაპზე, კოლექტივისტური კონსპირაციის ტრადიციული ლიბერალური ვერსიაც ფაქტების დამახინჯება იყო. თავისუფალი ვაჭრობა და ოქროს სტანდარტის სისტემა უმიზეზოდ არ დაუნგრევიათ ეგოისტ ტარიფებით მოვაჭრეებს ან გულკეთილ კანონმდებლებს. პირიქით, ოქროს სტანდარტის წამოწევამ თავად დააჩქარა პროტექციონისტული ინსტიტუტების გავრცელება, რომლებსაც მით უფრო მიესალმებოდნენ, რაც უფრო მძიმე აღმოჩნდებოდა ფიქსირებული ბირჟები. ამ დროიდან მოყოლებული, ტარიფები, ფაბრიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და აქტიური კოლონიური პოლიტიკა სტაბილური საგარეო ვალუტის აუცილებელი წინაპირობა გახდა (დიდი ბრიტანეთი თავისი ფართო ინდუსტრიული უპირატესობით ის გამონაკლისი იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წესს განამტკიცებდა). საბაზრო ეკონომიკის მეთოდების უსაფრთხოდ დანერგვა მხოლოდ ან წინაპირობების გათვალისწინების შემდეგ გახდა შესაძლებელი. იქ, სადაც ასეთი მეთოდები დამცავი მექანიზმების გარეშე, ეგზოტიკური და ნახევრადკოლონიური რეგიონების მსგავსად, დაუცველ ადამიანებზე გამოცადეს, შედეგი ენით აღუწერელი ტანჯვა იყო.

იმპერიალიზმის მოჩვენებითი პარადოქსის გასაღები იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნები ეკონომიკური გამართლების გარეშე, სავარაუდოდ, ირაციონალურ უარს ამბობენ ერთმანეთთან ვაჭრობაზე, სანაცვლოდ კი შორეული და ეგზოტიკური ბაზრებისკენ ისწრაფვიან. ასეთი ქცევის მიზეზი იყო შიში, რომ ისეთივე შედეგებამდე არ მისულიყვნენ, ძალაუფლების არმქონე ხალხმა რომ ვერ აიცილა თავიდან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თუკი გაღატაკებული კოლონიის ტროპიკული მოსახლეობა

იმდენად დეგრადირდებოდა, რომ ხშირად ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშეც კი დგებოდა, დასავლეთის ქვეყნები ვაჭრობაზე უარს ნაკლები რისკის ფასად ამბობდნენ, რომელიც ამავდროულად საკმარისად რეალური იყო საიმისოდ, რომ ყველაფრის ფასად აერიდებინათ თავიდან. ის ფაქტი, რომ კოლონიების შემთხვევის მსგავსად, რისკი არსობრივად ეკონომიკური არ იყო, არაფერს ცვლიდა. წინასწარგანწყობების გარდა, ეკონომიკური სიმძლავრის სოციალური ძვრების ძიების მიზეზი არ არსებობდა. აბსურდია იმის მტკიცება, რომ საზოგადოება არაფრად ჩააგდებდა უმუშევრობას, ინდუსტრიებისა და საქმიანობის ცვლილებასა და მათ თანამდევ ფსიქოლოგიურ წამებას მხოლოდ იმის გამო, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უმნიშვნელო ეკონომიკური ეფექტი მიეღო.

ერები ერთნაირი წარმატებით აღმოჩნდებოდნენ ხოლმე წნეხის პასიური მიმღებნი და აქტიური ინიციატორები. თუკი რომელიმე საგარეო ფაქტორი მძიმედ დააწვებოდა ქვეყანას, მისი შიდა მექანიზმი ჩვეულებრივად მუშაობდა, ანუ წნეხს ეკონომიკურიდან პოლიტიკურ ზონაში გადაიტანდა და პირიქით. ომის შემდგომ პერიოდში ამის უამრავი მაგალითი გამოჩნდა. ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ქვეყნისთვის დამარცხებამ განსაკუთრებით ხელოვნური პირობები შექმნა, რომელთა შემადგენლობაშიც, რეპარაციის საგარეო წნეხი შედიოდა. ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, გერმანიის შიდა პოლიტიკაში საგარეო წნეხი ინდუსტრიულ სექტორსა და სახელმწიფოს შორის მონაცვლეობდა, ერთი მხრივ, ხელფასებსა და სარგებელს, მეორე მხრივ კი, სოციალურ სარგებელსა და გადასახადებს შორის. რეპარაცია მთელი ერის ზურგზე გადადიოდა და ქვეყნის შიგნით მდგომარეობაც იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორ უმკლავდებოდა ამ წნეხს ქვეყანა, სახელდობრ, მთავრობა და ბიზნესი. ამიტომაც, ეროვნული სოლიდარობა ოქროს სტანდარტში დამკვიდრდა, რამაც ვალუტის საგარეო ღირებულების შენარჩუნება პრიორიტეტად აქცია. გერმანული ვალუტის დასაცავად „დაეივისის გეგმა" საგანგებოდ შეიქმნა. ეს აუცილებელი პირობა იყო „იანგის გეგმაშიც". რეიხ-

მარკის საგარეო ღირებულების შენარჩუნების ვალდებულების გამო, ამ პერიოდის გერმანიის შიდა პოლიტიკა გაურკვეველი გახდა. ვალუტის სიმყარეზე კოლექტიურმა პასუხისმგებლობამ ურღვევი ჩარჩო შექმნა, რომელშიც წნეხს ბიზნესი და პარტიები, ინდუსტრიული სექტორი და სახელმწიფო ერთად ინაწილებდნენ. თუმცა, ის, რისი გადატანაც გერმანიას ომში დამარცხების გამო მოუწია, პირველ მსოფლიო ომამდე ადამიანებმა ნებაყოფლობით გამოცადეს. კერძოდ, ეს იყო ხელოვნური ინტეგრაცია სტაბილური ბირჟების წნეხის გამო. მხოლოდ ბაზრის გარდაუვალი კანონების მიღებით აიხსნებოდა ამაყი მორჩილება, რომლითაც მძიმე ჯვარი უნდა ეზიდათ.

შეგვიძლია ვიდავოთ, რომ ეს მონახაზი საკითხის ზედმეტად გამარტივების შედეგია. საბაზრო ეკონომიკა ერთ დღეში არ დაწყებულა, სამივე ბაზარს ტროიკის მსგავსი ტემპი არ ჰქონია და არც პროტექციონიზმს ჰქონია პარალელური ეფექტი ყველა ბაზარზე. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეა, თუმცა კი პრობლემის არსს ყურადღების მიღმა ტოვებს.

მართლაც, ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა უბრალოდ ახალი მექანიზმი შექმნა უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული ბაზრებისგან. მან სხვადასხვა ტიპის უკვე არსებული ბაზრები გააერთიანა და მათი ფუნქციების ერთ სისტემაში კოორდინაცია მოახდინა. იმ დროისთვის, შრომისა და მიწის განცალკევება უკვე დაწყებული პროცესი იყო, ისევე როგორც ფულისა და კრედიტებისთვის ბაზრების განვითარება. მთელი ამ პროცესის განმავლობაში აწმყო წარსულთან იყო დაკავშირებული და წყვეტა არსად ჩანდა.

ინსტიტუციური ცვლილება – ასეთია მისი ბუნება – მოულოდნელად დაიწყო. კრიტიკულ მომენტი ინგლისში შრომის ბაზრის შექმნის დროს დადგა, სადაც მუშები დაქირავებული შრომის პირობებთან შეუთავსებლობის შემთხვევაში შიმშილობის საფრთხის წინაშე დგებოდნენ. ამ მკაცრი ნაბიჯის შემდეგ, ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმი სწრაფად ამოქმედდა. საზოგადოებაზე მისი დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის მყისიერად და აზრის უცვლელად აამოქმედა ძლიერი დაცვითი რეაქცია.

გარდა ამისა, მიუხედავად მათი განსხვავებული ბუნებისა და წარმომავლობისა, ბაზრები ინდუსტრიის სხვადასხვა ელემენტებისთვის პარალელურად ვითარდებოდნენ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ადამიანის, ბუნებისა და მწარმოებელი ორგანიზაციის დაცვა უტოლდებოდა შრომისა და მიწის ბაზრებში, ისევე როგორც გაცვლის საშუალებაში ჩარევას და ამდენად, ფაქტობრივად, სისტემის თვითრეგულირებას აზიანებდა. რამდენადაც ინტერვენციის დანიშნულება ადამიანებისა და მათი საცხოვრებელი გარემოს რეაბილიტაცია, მათთვის დაცულობის მინიჭება იყო, ინტერვენცია მიზნად ისახავდა ხელფასების ცვლილებას და შრომის მობილობას, შემოსავლის სტაბილურობასა და წარმოების განგრძობითობის უზრუნველყოფას. ინტერვენციის შედეგად ეროვნულ რესურსებზე საზოგადოებრივი კონტროლი წესდებოდა, ხოლო ვალუტის მენეჯმენტს ფასთა არასასურველი ცვალებადობა უნდა აერიდებინა.

1873-86 წლების ხანგრძლივმა დეპრესიამ და 1880-იანი წლების აგრარულმა გაჭირვებამ წნეხი სამუდამოდ გაზარდა. დეპრესიის დასაწყისში ევროპა თავისუფალი ვაჭრობის ზენიტში იმყოფებოდა. გერმანიის ახალმა რაიხმა საფრანგეთს, მათ შორის, უპირატესი რეჟიმის ხელშეწყობის დათქმის შემოღება აიძულა, შოთისებრ თუჯზე ტარიფების მოხსნა დაისახა მიზნად და ოქროს სტანდარტი დაამკვიდრა. დეპრესიის დასრულებამდე, გერმანიამ ირგვლივ დაცვითი ტარიფები შემოიკრიბა, კარტელური ორგანიზაცია დააარსა, ყოველმხრივი სოციალური დაზღვევის სისტემა შექმნა და აგრესიულ კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებდა. აშკარაა, რომ პროტექციონიზმზე გადართვის მიზეზი ისევე არ ყოფილა პრუსიანიზმი, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის პიონერი იყო, როგორც მას არ მიეწერება „კოლექტივიზმის" შემოტანა. აშშ-ის რაიხზე მაღალი ტარიფები ჰქონდა და თავისებურად, არანაკლებ „კოლექტივისტური" იყო; მან მძიმედ დაასუბსიდირა პერსპექტიული სარკინიგზო შენობები და კრედიტების გიგანტური წარმონაქმნი შექმნა.

ტენდენციას ყველა დასავლური ქვეყანა აჰყვა, განურჩევლად ეროვნული მენტალიტეტისა თუ ისტორიისა[1]. ამოქმედდა საერთაშორისო ოქროს სტანდარტის ყველაზე ამბიციური საბაზრო გეგმა, რაც ეროვნული ხელისუფლებებისგან ბაზრების სრულ დამოუკიდებლობას უდრიდა. მსოფლიო ვაჭრობა ახლა იმას ნიშნავდა, რომ პლანეტაზე ცხოვრება თვითრეგულირებადი ბაზრის პრინციპით ორგანიზდებოდა და მასში სამუშაო ძალა, მიწა და ფული შედიოდა. ამ გიგანტური ავტომატიზაციის მფარველი კი ოქროს სტანდარტი იყო. ერები და ხალხი უბრალო მარიონეტებად იქცნენ სპექტაკლში, რომელსაც ვერ აკონტროლებდნენ. ისინი უმუშევრობისა და არასტაბილურობისგან თავს მსოფლიო ბანკის, საბაჟო ტარიფებისა და მიგრაციის კანონების დახმარებით იცავდნენ. ეს მექანიზმები თავისუფალი ვაჭრობისა და ფიქსირებული ვალუტების დამანგრეველი ეფექტის დასაბალანსებლად შეიქმნა და იმდენად აღწევდნენ ამ მიზანს, რამდენადაც ამ მექანიზმის მოქმედებაზე ახერხებდნენ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ შეზღუდვას თავისი მოსარგებლე ჰყავდა, რომელთა სუპერ-მოგებები ან ხელფასები ყველა სხვა მოქალაქეზე დაწესებული გადასახადი იყო, გაუმართლებელი ზოგჯერ არა პროტექციონიზმი, არამედ თავად გადასახადის ოდენობა იყო. საბოლოოდ, ფასები მასობრივად დაეცა, რითაც ყველამ ისარგებლა.

მიუხედავად იმისა, გამართლებული იყო თუ არა პროტექციონიზმი, მსოფლიო ბაზრის სისტემის სისუსტე ინტერვენციის შედეგებმა გამოავლინა. ერთი ქვეყნის იმპორტის ტარიფები მეორე ქვეყნის ექსპორტს აფერხებდა და მას პოლიტიკურად დაუცველ რეგიონებში აიძულებდა ბაზრების ძებნას. ეკონომიკური იმპერიალიზმი, მეტწილად, პოლიტიკურად დაუცველ ბაზრებზე ვაჭრობის გახანგრძლივების პრივილეგიისთვის ბრძოლა იყო. ექსპორ-

[1] ჯორჯ დუგლას ჰოუარდ კოული 1870-იან წლებს უწოდებს „სრულიად მე-19 საუკუნის ყველაზე აქტიურ პერიოდს სოციალური კანონმდებლობისთვის"

ტის წნეხი ნედლეულის მარაგებისთვის ბრძოლამ გააცოცხლა, რაც წარმოების ციებ-ცხელებით იყო გამოწვეული. მთავრობები ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში კომერციული წარმოების მქონე მოქალაქეებს დახმარებას უწევდნენ. ვაჭრები და ფლოტი ერთმანეთის კვალდაკვალ მონაწილეობდა ამ მარათონში. ძალები, რომლებიც უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურ სისტემაზე, იმპერიალიზმისა და ავტოკრატიისკენ ნახევრად გაცნობიერებული სწრაფვისკენ იყვნენ მიდრეკილნი. და მაინც, საერთაშორისო ოქროს სტანდარტის მთლიანობის შენარჩუნებას იმპერატიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნგრევის ერთი ინსტიტუციური წყარო იყო.

ეროვნულ საზღვრებშიც ანალოგიური წინააღმდეგობა არსებობდა. პროტექციონიზმის წყალობით, კონკურენტული ბაზრები მონოპოლისტებად იქცნენ. სულ უფრო და უფრო ნაკლებად მიესადაგებოდათ ბაზრებს აღწერა, რომ ისინი კონკურენტი ნაწილების ავტონომიური და ავტომატური მექანიზმები იყვნენ. ინდივიდებს სულ უფრო ხშირად ანაცვლებდათ კონკურენციისგან განრიდებულ ჯგუფებთან გაერთიანებული ასოციაციები, ადამიანები და კაპიტალი. ეკონომიკური მორგება ნელი და რთული პროცესი გახდა. ბაზრების თვითრეგულაცია ძალიან გართულდა. საბოლოოდ, ფასებისა და ხარჯების დაურეგულირებელმა სტრუქტურებმა დეპრესია გაახანგრძლივა, შეუსაბამო აღჭურვამ არამომგებიანი ინვესტიციების ლიკვიდაცია შეაფერხა, ფასებისა და შემოსავლების დაურეგულირებლობამ კი სოციალური დაძაბულობა განაპირობა. იმის მიუხედავად სამუშაო ბაზარი იქნებოდა ეს, მიწის თუ საკრედიტო, წნეხი ეკონომიკურ ზონას გასცდებოდა, ბალანსის აღდგენა კი პოლიტიკური მეთოდებით გახდებოდა საჭირო. თუმცა, პოლიტიკის ეკონომიკური სფეროსგან გამიჯვნა საბაზრო საზოგადოების მახასიათებელი იყო. ამდენად, განურჩევლად წნეხისა, ის უნდა შენარჩუნებულიყო. ეს იყო გამანადგურებელი დაძაბულობის მეორე წყარო.

ამით თხრობის დასასრულს ვუახლოვდებით, თუმცა, ჩვენი არგუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერაც წინ არის. იმ შემთხვე-

ვაშიც კი, თუ დანამდვილებით მოვახერხეთ იმის დამტკიცება, რომ ტრანსფორმაციის მთავარი მიზეზი ბაზრის უტოპიის კრახი გახდა, ვალდებულები ვართ, ვაჩვენოთ, თუ რა პროცესების გამო დადგა ეს შედეგი.

რაღაც თვალსაზრისით, ეს შეუძლებელია, რამდენადაც ისტორიას ერთი განცალკევებული ფაქტორი არ ქმნის. მიუხედავად მისი სიმდიდრისა და მრავალფეროვნებისა, ისტორიის დინებაში განმეორებები და ალტერნატივები გვხვდება, რომლებიც ეპოქის მოვლენათა ტექსტურაში ზოგადი მსგავსებების განმაპირობებელია. თუკი რაღაც დოზით იმ პროცესების დანახვას მოვახერხებთ, რომლებიც ჩვეულ პირობებში მიმართულებებს და კონტრმიმართულებებს ქმნიდნენ, შეგვიძლია ამოუცნობი ქარიშხლების წინარეპერიოდებზე აღარ ვიფიქროთ.

ასეთ პირობებს მე-19 საუკუნეში თვითრეგულირებადი ბაზრების მექანიზმი ქმნიდა, რომლის მოთხოვნებიც ეროვნული და საერთაშორისო ცხოვრების დინებას უნდა დაეკმაყოფილებინა. ამ მექანიზმმა ცივილიზაციის ორი თავისებურება წარმოშვა: მისი ჯიუტი დეტერმინიზმი და ეკონომიკური ხასიათი. თანამედროვე ხედვა ამ ორს აკავშირებდა და ასკვნიდა, რომ დეტერმინიზმი ეკონომიკური მოტივაციის ბუნებიდან წარმოიშვა, რომლის თანახმადაც, ინდივიდები ფინანსურ ინტერესებს უნდა დაჰყოლოდნენ. სინამდვილეში, ამ ორს შორის კავშირი არ არსებობდა. „დეტერმინიზმი", რომელიც ბევრ დეტალში ასეთი მნიშვნელოვანია, უბრალოდ შედეგი იყო საბაზრო საზოგადოების მექანიზმებისა, თავიანთი განჭვრეტადი ალტერნატივებით, რომელთა სიმკაცრეც შეცდომით მიეწერებოდა ეკონომიკური მოტივების ძალას. სინამდვილეში, მოთხოვნა-მიწოდების ფასთა სისტემა ყოველთვის დაბალანსდება, განურჩევლად ინდივიდის მოტივებისა და როგორც ასეთი, ცნობილია, რომ უმეტესად, ეკონომიკური მოტივები ადამიანებზე იმაზე ნაკლებად მოქმედებენ, ვიდრე ე.წ. ემოციური მოტივები.

კაცობრიობა არა ახალი მოტივების, არამედ ახალი მექანიზმების მუჭში მოექცა. მოკლედ რომ ვთქვათ, წნეხი ბაზრიდან

გავრცელდა და პოლიტიკურ სფეროზე გადავიდა, შესაბამისად, მთელი საზოგადოება მოიცვა. თუმცა, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკა ფუნქციონირებას განაგრძობდა, ზოგიერთ ერში დაძაბულობა უხილავი ფორმით ნარჩუნდებოდა. სტრესი მხოლოდ მაშინღა გამოთავისუფლდა, როცა ბოლო გადარჩენილი ინსტიტუტი, ოქროს სტანდარტი დაიშალა. რამდენადაც ეს ქვეყნები განსხვავებულად პასუხობდნენ მოცემულ სიტუაციას, ისინი ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკის მოშლასთან შეგუების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. როცა ის დაიშალა, მთლიანად საბაზრო ცივილიზაციაც შთაინთქა. ამით აიხსნება თითქმის დაუჯერებელი ფაქტი, რომ ცივილიზაციას უსულო ინსტიტუტების ბრმა მოქმედებები ანგრევდნენ, რომელთა ერთადერთ მიზანს მატერიალური კეთილდღეობის ავტომატური ზრდა წარმოადგენდა.

მაგრამ, სინამდვილეში, როგორ მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო? როგორ ითარგმნა ის პოლიტიკურ მოვლენებში, რომლებიც ისტორიის ღერძს წარმოადგენენ? საბაზრო ეკონომიკის დაცემის ამ საბოლოო ფაზაში კლასობრივი ძალების დაპირისპირებამ გაბედულად შეაბიჯა.

მესამე ნაწილი

ტრანსფორმაცია მიმდინარეობს

თავი 19
სახალხო მთავრობა და საბაზრო ეკონომიკა

როცა 1920-იან წლებში საერთაშორისო სისტემამ მარცხი განიცადა, ადრეული კაპიტალიზმის თითქმის დავიწყებულმა საკითხებმა ხელახლა იჩინა თავი. მათ შორის პირველ რიგში იყო სახალხო მთავრობის საკითხი.

ფაშისტების მიერ სახალხო დემოკრატიაზე შეტევამ, მხოლოდ გააცოცხლა პოლიტიკური ინტერვენციონიზმის საკითხი, რომელიც ჩრდილად გასდევდა საბაზრო ეკონომიკის ისტორიას, რადგან ეს საკითხი თითქმის სინონიმი იყო პოლიტიკური სფეროსგან ეკონომიკურის გამოცალკევების.

პირველად, შრომასთან მიმართებით ინტერვენციონიზმის საკითხი, ერთი მხრივ, სპინჰემლენდმა და ახალმა ღარიბთა კანონმა, ხოლო მეორე მხრივ, საპარლამენტო რეფორმამ და ჩარტისტულმა მოძრაობამ დააყენა. მიწასა და ფულთან დაკავშირებით ინტერვენციონიზმი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბატალიები ნაკლებ სანახაობრივი იყო. კონტინენტზე მსგავსი სირთულეები შრომასთან, მიწასთან და ფულთა დაკავშირებით დროში დაგვიანებით გაჩნდა, რამაც კონფლიქტები ინდუსტრიულად უფრო თანამედროვე, მაგრამ სოციალურად ნაკლებად ერთგვაროვან გარემოში წარმოშვა. ყველგან ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროების განცალკევე ბა იგივენაირი

განვითარების შედეგი იყო. როგორც ინგლისში, ისე კონტინენტზე საწყისი წერტილი კონკურენტული შრომითი ბაზრის შექმნა და პოლიტიკური სახელმწიფოს დემოკრატიზება იყო.

სპინჰემლენდი სამართლიანად აღიწერა როგორც პრევენციული ინტერვენცია, რამაც ხელი შეუშალა შრომითი ბაზრის ჩამოყალიბებას. ინდუსტრიული ინგლისისთვის პირველი ბრძოლა გაიმართა და დროებით სპინჰემლენდში დამარცხდა. ამ ბრძოლაში სიტყვა "ინტერვენციონიზმი" კლასიკურმა ეკონომისტებმა სლოგანად მოიფიქრეს, ხოლო სპინჰემლენდი ჯერ კიდევ არარსებულ საბაზრო წესრიგში ხელოვნურ ჩარევად მოინათლა. თაუნსენდმა, მალთუსმა და რიკარდომ ღარიბთა კანონის მყიფე საფუძველზე კლასიკური ეკონომიკების ჩარჩო აღმართეს, ყველაზე მრისხანე და გამანადგურებელი ცნებობრივი აპარატი რომელიც ოდესმე აღმართულა გაცვეთილი წესრიგის წინააღმდეგ. თუმცა, შემწეობების სისტემამ მაღალი საქალაქო ხელფასების მიზიდულობისგან სოფლის საზღვრები კიდევ ერთი თაობისთვის დაიცვა. 1820იანი წლების შუა პერიოდისთვის, ჰასკისონი და პიილი საგარეო ვაჭრობის არეალებს აფართოებდნენ, დანადგარების ექსპორტი დაშვებული გახდა, ბამბის ექსპორტზე ემბარგო მოიხსნა, საქონლის ტრანსპორტირების შეზღუდვები გაუქმდა, ემიგრაცია გამარტივდა, ხოლო სწავლებისა და სახელფასო შეფასების თაობაზე არსებული ხელოსანთა წესდების ფორმალურ გაუქმებას გაერთიანებების საწინააღმდეგო კანონების გამოხმობა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, სპინჰემლენდის დემორალიზების შემტანი კანონი საგრაფოდან საგრაფოში ვრცელდებოდა, მშრომელს პატიოსანი შრომისგან აკავებდა და საკუთრივ დამოუკიდებელი მშრომელის ცნებას არარეალურს ხდიდა. მართალია, შრომითი ბაზრის დრო დამდგარი იყო, მის დაბადებას მემამულეთა "კანონი" უშლიდა ხელს.

რეფორმატორულმა პარლამენტმა ერთიანად გადაწყვიტა შემწეობების სისტემის გაუქმება. ახალ ღარიბთა კანონს, რომელმაც ამ მიზანს მიაღწია, ეწოდა ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური აქტი რომელიც კი ოდესმე თემთა პალატას მიუღია. არსე-

ბითად კი კანონპროექტი უბრალოდ სპინჰემლენდის ანულირება გულისხმობდა. ამაზე უკეთესი საბუთი არ არსებობს იმის საჩვენებლად, რომ იმ დროისთვის შრომის ბაზარზე ინტერვენციის უბრალო არ არსებობა, აღიარეს ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტად, მთლიანად საზოგადოების მომავალი სტრუქტურის განსაზღვრისთვის. ისევე როგორც ეკონომიკური დაძაბულობის წყაროდ.

რაც შეეხება პოლიტიკურ განზომილებას, 1832 წლის საპარლამენტო რეფორმა მშვიდობიან რევოლუციას მიაღწია. 1834 წლის ღარიბთა კანონის შესწორებით, ქვეყნის სოციალური სტრატიფიკაცია გადასხვაფერდა, ხოლო ინგლისური ცხოვრების ზოგიერთი მარტივი ფაქტი რადიკალურად ახალი პოზიციებიდან განიმარტა. ახალმა ღარიბთა კანონმა გააუქმა ღარიბის, "პატიოსანი ღარიბის" ან "მშრომელი ღარიბის" ზოგადი კატეგორია – ცნებების რომელთა წინააღმდეგ ბერკი იბრძოდა. ყოფილი ღარიბები ახლა დაყოფილები იყვნენ ფიზიკურად უმწეო პაუპერებად, რომელთა ადგილი სამუშაო სახლებში იყო, და დამოუკიდებელ მშრომელებად რომლებიც თავიანთ სარჩოს ხელფასზე მუშაობით მოიპოვებდნენ. ამან შექმნა ღარიბის სრულიად ახალი კატეგორია, უმუშევარი, რომელიც სოციალურ სცენაზე პირველად გამოჩნდა. მაშინ როცა პაუპერს, კაცობრიობის სახელით, უნდა შეწევნოდნენ, უმუშევარს, ინდუსტრიის სახელით, არ უნდა შეწევნოდნენ. ის რომ უმუშევარი მშრომელი არ იყო თავისი ბედის განმსაზღვრელი აღარ მიიჩნეოდა საპატიოდ. საქმე იმაში კი არ იყო ის იპოვიდა თუ არ სამსახურს თუ ამას მართლა მოინდომებდა, არამედ იმაში რომ თუ ის შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე არ იქნებოდა, რისი ერთადერთი ალტერნატივა აუტანელი შრომა-გამოსწორების სახლი იყო, სახელფასო სისტემა ჩამოიშლებოდა და ამგვარად საზოგადოება უბედურებასა და ქაოსში გადაეშვებოდა. ცნობილი იყო ის რომ ეს უდანაშაულოთა დასჯას გულისხმობდა. სისასტიკის პერვერსიულობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მშრომელის გათავისუფლება ემსახურებოდა გაცხადებულ მიზანს, რომ შიმშილით სიკვდილის საფრთხე რეალური გამხდა-

რიყო. ეს პროცედურა გასაგებს ხდის იმ სასოწარკვეთის დამთრგუნველ განცდას, რაც ჩვენ კლასიკური ეკონომისტების შრომების კითხვისას გვეუფლება ხოლმე. შრომითი ბაზრის საზღვრებში გამომწყვდეული ზედმეტი მშრომელებისთვის კარი უსაფრთხოდ რომ გამოეკეტათ, მთავრობამ გამოსცა საკუთარი თავის უარმყოფელი ბრძანება, არიეტ მარტინოს სიტყვებით – უდანაშაულო მსხვერპლებისთვის შემწეობის გაცემა სახელმწიფოს მხრიდან "ხალხის უფლებების დარღვევა იყო".

როცა ჩარტისტულმა მოძრაობამ მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოითხოვა, ეკონომიკისა და პოლიტიკის განცალკევებამ შეწყვიტა აკადემიურ საკითხად ყოფნა და საზოგადოების არსებული სისტემის საფუძველი გახდა. სიგიჟე იქნებოდა თუ ღარიბების ახალი კანონის ადმინისტრირებას, მისი თანმხლები ფსიქოლოგიური წამების მეცნიერული მეთოდებით, გადასცემდნენ იმ ხალხის წარმომადგენლებს, ვის წინააღმდეგაც ასეთი მოპყრობის გეგმა იყო შემუშავებული. ლორდი მაკოლეი, ეს დიდი ლიბერალი, უბრალოდ თანმიმდევრულობას იჩენდა როცა ლორდთა პალატისგან, თავის ერთ-ერთ ყველაზე მჭერმეტყველ სიტყვაში, საკუთრების ინსტიტუტის სახელით, მოითხოვა ჩარტისტების პეტიციის უპირობო უარყოფა, რომელზედაც იდგა ყველა ცივილიზაცია.. სერ რობერტ პილმა ქარტიას კონსტიტუციის იმპიჩმენტი დაარქვა. თუმცა, შრომითი ბაზარი რაც უფრო ამრუდებდა მუშების ცხოვრებას, მით უფრო ხმამაღლა ითხოვდნენ ისინი ხმის უფლებას. სახალხო მთავრობის მოთხოვნა დაძაბულობის პოლიტიკური წყარო იყო.

ამ პირობებში კონსტიტუციონალიზმა სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. იქამდე საკუთრების უფლებაში უკანონო ჩარევისგან დაცვის კონსტიტუციური გარანტიები, ზემოდან წამოსული თვითნებური ქმედებების წინააღმდეგ იყო მიმართული. ლოკის ხედვა არ სცდებოდა სამამულო და კომერციული საკუთრების საზღვრებს, და მიზნად ისახავდა ტახტის ისეთი თვითნებური ქმედებების გამორიცხვას როგორიც იყო ჰენრი VIII მიერ საეკლესიო ქონებების ჩამორთმევა [secularizations], ჩარლზ

I მიერ ზარაფხანის გაძარცვა, ან ჩარლზ II დროს ხაზინის "გაჩერება". ლოკისეული გაგებით ბიზნესისგან მთავრობის გამოცალკევება სამაგალითოდ მიიღწა 1694 წელს, დამოუკიდებელი ინგლისის ბანკის ქარტიით. კომერციულმა დედაქალაქმა ტახტს ხელი გადაუწია.

ასი წლის შემდეგ არა კომერციული არამედ ინდუსტრიული საკუთრება იყო დასაცავი, და არა ტახტის, არამედ ხალხისგან. მხოლოდ არასწორმა წარმოდგენამ შეიძლება მიგვაყენებინოს მეჩვიდმეტე საუკუნის მნიშვნელობები, მეცხრამეტე საუკუნის სიტუაციებს. უფლებამოსილებების განცალკევება, რომელიც ამასობაში მონტესკიემ (1748) გამოიგონა, ახლა უკვე გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ხალხი გამოცალკევებულიყო მათივე უფლებამოსილებისგან, თავიანთ ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ამერიკულმა კონსტიტუციამ, რომელიც ჩამოყალიბდა ფერმერი-ხელოსნის გარემოში იმ ლიდერების მიერ რომლებიც იცნობდნენ ინგლისის ინდუსტრიული სცენის საფრთხეებს, ეკონომიკური სფერო მთლიანად გამოაცალკევა კონსტიტუციის იურისდიქციისგან; შესაბამისად კერძო საკუთრება მოაქცია ყველაზე მაღალი შესაძლო დაცვის ქვეშ, და შექმნა ერთადერთი სამართლებრივად გამყარებული საბაზრო საზოგადოება მსოფლიოში. მიუხედავად საყოველთაო ხმის უფლებისა, ამერიკელი ამომრჩევლები უძლურები იყვნენ მესაკუთრეების წინააღმდეგ.[1]

ინგლისში კონსტიტუციის დაუწერელ კანონად იქცა ის რომ მუშათა კლასს არ უნდა ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება. ჩარტისტი ლიდერები დაიჭირეს; მათი მომხრეები, რომელთა რიცხვი მილიონებს ითვლიდა, სასაცილოდ აიგდეს კანონმდებლებმა რომლებიც მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ ნამცეცს წარმოადგენდნენ; ხოლო უბრალოდ ხმის მიცემის უფლების მოთხოვნას ხშირად მთავრობა დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევდა. კომპრომისების სულის, რაც ვითომ ბრიტანული სისტემის მახასიათებელია

[1] Hadley, A. T., Economics: An Account of the Relations between Private Property and Public Welfare, .

– გვიანდელი გამოგონება – ნიშანწყალი არ ჩანდა. იქამდე სანამ მუშათა კლასმა არ გაიარა შიმშილის ორმოციანები [Hungry Forties] და მორჩილი თაობა არ წამოვიდა, რომელიც კაპიტალიზმის ოქროს ხანის შედეგებს მოიმკიდა; იქამდე სანამ კვალიფიციური მუშახელის ზედა ფენამ არ ჩამოაყალიბა თავისი პროფკავშირები და დაემშვიდობა გაღატაკებულ მშრომელთა ბნელ მასას; იქამდე სანამ მუშები არ დაყაბულდნენ სისტემას რომლის თავს მოხვევასაც ღარიბების ახალი კანონი გულისხმობდა და მათმა უკეთესი ანაზღაურების მქონე ფენამ მიიღო ერის საბჭოებში მონაწილეობის უფლება. ჩარტისტებმა იბრძოლეს უფლებისთვის გაეჩერებინათ ბაზრის წისქვილი, რომელიც ხალხის ცხოვრებას საფუძველს უდებდა. თუმცა ხალხს უფლება მხოლოდ მაშინ მიენიჭა, როცა საშინელებასთან შეგუება უკვე მოხდა. ინგლისის შიგნით და გარეთ, მაკოლეიდან მიზესამდე, სპენსერიდან სამნერამდე, არ იყო მებრძოლი ლიბერალი რომელმაც არ გამოხატა რწმენა რომ სახალხო დემოკრატია კაპიტალიზმისთვის საფრთხეა.

შრომითი საკითხის გამოცდილება ვალუტის საკითხზე განმეორდა. აქაც 1920იანებს წინ უსწრებდა 1790იანები. ბენთამი პირველი იყო ვინც შენიშნა რომ ინფლაცია და დეფლაცია საკუთრების უფლებაში ინტერვენცია იყო: პირველი ბიზნესზე გადასახადი იყო, ხოლო მეორე კი მასში ჩარევა.[1] მას მერე შრომა და ფული, უმუშევრობა და ინფლაცია პოლიტიკურად ერთი და იმავე კატეგორიაში იყო. კობეტმა ახალ ღარიბების კანონთან ერთად ოქროს სტანდარტიც დაგმო; რიკადრო, ძალიან მსგავსი არგუმენტებით, ორივესთვის იბრძოდა. მისთვის როგორც შრომა ისე ფული საქონელი იყო, ხოლო მთავრობას არც ერთში ჰქონდა ჩარევის უფლება. ისეთი ბანკირები, როგორიც ბირმინგჰემის ეტვუდი იყო, და რომლებიც უპირისპირდებოდნენ ოქროს სტანდარტის შემოღებას, თავიანთი თავი ისეთი სოციალისტების მხარეს აღმოაჩინეს, როგორიც ოუენი იყო. ერთი საუკუნის

[1] Bentham, J., Manual of Political Economy, p.44, on inflation as ‘‘forced frugality’’; p. (footnote) as ‘‘indirect taxation.’’ Cf. also Principles of Civil Code, Ch. .

შემდეგ მიზესი კვლავ გაიმეორებს რომ შრომა და ფული ისევე არაა სახელმწიფოს საქმე, როგორც ბაზარზე სხვა საქონელი. მეთვრამეტე საუკუნის წინარეფედერალურ ამერიკაში იაფი ფული სპინჰემლენდის ეკვივალენტი იყო, ესე იგი, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურად დამღუპველი დათმობა სახალხო საჭიროებების სასარგებლოდ. ფრანგულმა რევოლუციამ და მისმა ასიგნაციებმა აჩვენა რომ ხალხმა შეიძლება გაანადგუროს ვალუტა, ხოლო ამერიკის შტატების ისტორია არ იძლეოდა იმის მიზეზს, რომ ასეთი სცენარისადმი ეჭვები გამქრალიყო. ბერკმა ამერიკული დემოკრატია სავალუტო თავსატეხთან გააიგივა, ხოლო ჰამილტოს არა მხოლოდ ეშინოდა არა მხოლოდ განხეთქილებების, არამედ ინფლაციისაც. მაშინ როცა მეცხრამეტე საუკუნის ამერიკაში პოპულისტური და სახელმწიფო საბანკო ბანკნოტების მომხრე პარტიების წვრილმანი დავები უოლ სტრიტის მაგნატებთან ენდემური იყო, ევროპაში დემოკრატიულად არჩეული კანონმდებლების წინააღმდეგ ინფლაციურობის ბრალდებამ მხოლოდ 1920იან წლებში შეიძინა ძალა, რასაც გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგები ჰქონდა.

სოციალური დაცვა და ვალუტაში ჩარევა არა უბრალო ანალოგიად იყო წარმოდგენილი, არამედ ხშირად მას ერთი და იმავე საკითხად თვლიდნენ. ოქროს სტანდარტის დადგენის მერე, ვალუტას საფრთხეს უქმნიდა როგორც გაზრდილი სახელფასო დონე, ისე პირდაპირი ინფლაცია – ორივეს შეეძლო შეემცირებინა ექსპორტი და შედეგად დაეგდო გაცვლითი კურსი. ეს მარტივი კავშირი ინტერვენციის ორ საბაზისო ფორმას შორის პოლიტიკის ცენტრში 1920იან წლებში მოექცა. ის პარტიები რომლებსაც ვალუტის უსაფრთხოება აღელვებდათ, აპროტესტებდნენ როგორც საშიში საბიუჯეტო დეფიციტს, ისე იაფი ფულისკენ მიმართულ საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამგვარად ისინი თანაბარი მონდომებით უპირისპირებოდნენ როგორც "სახაზინო ინფლაციას", ისე "საკრედიტო ინფლაციას", ან, უფრო პრაქტიკული სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი გმობდნენ სოციალურ ტვირთს და მაღალ ხელფასებს, პროფკავშირებსა და შრომით

პარტიებს. აქ არა ფორმა, არამედ შინაარსი მნიშვნელობდა, და განა ვინმეს შეეძლო ეჭვი მიეტანა იმაზე რომ ზღვარდაუდებელი უმუშევრობის შემწეობები ისევე წარმატებით მოარღვევდა საბიუჯეტო ბალანს, როგორც ფასების ინფლაციის დროს ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთი – და რომ ამ ყველაფერს იგივე ავი შედეგები ექნებოდა გაცვლით კურსზე? გლეიდსტონმა ბიუჯეტი ბრიტანელი ერის სინდისად აქცია. უფრო დაბალი წოდების მქონე ხალხისთვის სტაბილური ვალუტას შეიძლება ბიუჯეტის ადგილი დაეკავებინა. თუმცა შედეგი ძალიან მსგავსი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა მოხდებოდა თუ არა ხელფასების ან სოციალური მომსახურებების შეკვეცა, არშეკვეცის შედეგები ბაზრის მექანიზმით გარდაუვალად იყო დადგენილი. ამ ანალიზის მიხედვით, დიდი ბრიტანეთის ეროვნულმა მთავრობამ შედარებით მოკრძალებულად იგივე ფუნქცია შეასრულა, რაც ამერიკულმა ახალმა შეთანხმებამ [New Deal]. ორივე შემთხვევაში საქმე გვქონდა ცალკეული ქვეყნების დიდ ტრანსფორმაციაზე მორგებასთან. თუმცა, ბრიტანეთის შემთხვევას ის უპირატესობა ჰქონდა რომ ის თავისუფალი იყო დამატებითი გამართულებელი ფაქტორებისგან, როგორიც იყო სამოქალაქო დაპირისპირებები ან იდეოლოგიური მიქცევ-მოქცევები, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მახასიათებელს ის უფრო მკაფიოდ აჩვენებდა.

1925 წლიდან მოყოლებული დიდი ბრიტანეთის სავალუტო პოზიცია არასაიმედო იყო. ოქროზე დაბრუნებას შესაბამისად არ მოყვა ფასების დონის გასწორება, რომელიც მსოფლიო ბალანსთან შედარებით აშკარად მაღლა იყო. ძალიან ცოტა ადამიანი აცნობიერებდა იმ გეზის აბსურდულობას რომელიც მთავრობამ და ბანკმა, პარტიებმა და პროფკავშირებმა ერთად აიღეს. სნოუდენი, ხაზინის კანცლერი ლეიბორისტების პირველ მთავრობაში (1924), ოქროს სტანდარტის ყველაზე ჯიუტი მხარდამჭერი იყო, მიუხედავად ამისა ის ვერ მიხვდა რომ ფუნტის აღდგენის მცდელობით მან თავის პარტიას აიძულა ან პასუხისმგებლობა აეღო ხელფასების ვარდნაზე ან დაეკარგა ძალაუფლება. შვიდი წლის შემდეგ ლეობორისტული პარტია – თავად სნოუდენის მეშვეო-

ბით – იძულებული შეიქნა ორივე გაეკეთებია. 1931 წლის შემოდგომისთვის დეპრესიით გამოწვეული განგრძობადი გამოფიტვა ფუნტს უკვე ეტყობოდა. ამაო აღმოჩნდა 1926 წლის საყოველთაო გაფიცვის ჩაშლა, რომელმაც უზრუნველყო სახელფასო დონის არგაზრდა – ამან ხელი ვერ შეუშალა მზარდ ფინანსურ ტვირთს სოციალურ მომსახურებებზე, საიდანაც ლომის წილი უპირობო უმუშევრობის შემწეობაზე მოდიოდა. არ იყო ბანკირების "თაღლითობის" საჭიროება (თუმცა თაღლითობას ადგილი ჰქონდა) იმისთვის რომ ერისთვის ჩაეგონებინათ, ერთი მხრივ, ალტერნატიული საიმედო ვალუტისა და საიმედო ბიუჯეტის, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმჯობესებული სოციალური მომსახურებებისა და გაუფასურებული ვალუტის საჭიროება – მიუხედავად იმისა ეს გაუფასურება გამოიწვია მაღალმა ხელფასებმა და ექსპორტის კლებამ თუ უბრალოდ დეფიციტურმა ხარჯვამ. სხვა სიტყვებით, ან სოციალური მომსახურებები უნდა შეკვეცილიყო ან გაცვლითი კურსი უნდა დაცემულიყო. ვინაიდან ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს მათ შორის გადაეწყვიტათ – შეკვეცა პროფკავშირების პოლიტიკის საწინააღმდეგო იყო, ხოლო ოქროს სტანდარტის მოშორება მკრეხელობად ჩაითვლებოდა – მათ დაატოვებინეს მთავრობა და თავად ტრადიციულმა პარტიებმა შეკვეცეს სოციალური მომსახურებები, მათ მალევე ოქროს სტანდარტიც შეაჩერეს. უპირობო უმუშევრობის შემწეობა გაუქმდა, სანაცვლოდ საჭიროებების შემოწმების პოლიტიკა შემოიღეს. ამავდროულად ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ორპარტიული სისტემა გაუქმდა და მის აღდგენას არავინ ჩქარობდა. თორმეტი წლის შემდეგ ის კვლავ მითვლემილი იყო და არაფერი მიანიშნებდა მის დაბრუნებას. ქვეყნის კეთილდღეობის ან თავისუფლების ყოველგვარი ტრაგიკული დანაკარგის გარეშე, ქვეყანამ ოქროს სტანდარტის შეჩერებით გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა მასშტაბური გარდაქმნისკენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ ყველაფერს უკვე დაემატა ცვლილებები ლიბერალური კაპიტალიზმის მეთოდებში. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი

არ იყო ჩაფიქრებული მუდმივმოქმედად და შესაბამისად, ქვეყანა არ დაცილებულა საშიშ ზონას.

ყველა მნიშვნელოვან ევროპულ ქვეყანაში მსგავსი მექანიზმი მუშაობდა, რაც ყველგან ძალიან მსგავს შედეგს იძლეოდა. ავსტრიაში 1923 წელს, ბელგიასა და საფრანგეთში 1926 წელს, გერმანიაში 1931 წელს, "ვალუტის გადასარჩენად" შრომის პარტიები აიძულეს დაეტოვებინათ მთავრობა. ისეთმა სახელმწიფო მოღვაწეებმა როგორებიც იყვნენ ზაიპელი, ფრანკი, პუანკარე ან ბარნინგი, მთავრობიდან ამოძირკვეს შრომითი პარტიები, შეამცირეს სოციალური ხარჯები და შეეცადნენ გაეტეხათ პროფკავშირების წინააღმდეგობა სახელფასო ცვლილებების წინააღმდეგ. თითოეულ ამ შემთხვევაში საფრთხე ემუქრებოდა ვალუტას, და თანაბარი სიხშირით პასუხისმგებლობას აკისრებდნენ გაზრდილ ხელფასებსა და დაუბალანსებელ ბიუჯეტებს. ასეთი გამარტივება არანაირად არ უწყობდა ხელს პრობლემათა მთელი სპექტრის გადაჭრას, რომელიც შედგებოდა ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხისგან, მათ შორის, საგარეო ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის საკითხებისგან. თუ ამ საკითხებს ახლოდან შევხედავთ ნათელი უნდა გახდეს რომ საბოლოო ჯამში ვალუტამ და ბიუჯეტმა ცენტრში მოაქცია ის საკითხები, რომლებიც დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა კი ან ერთი ჯგუფის წამყვან ჯგუფებს უნდა მიმხრობოდა ან მეორეს.

ეგრე წოდებულმა ბლუმის ექსპერიმენტმა (1936) კიდევე ერთი მაგალითი მოგვცა. მთავრობაში შრომის პარტია იყო, თუმცა ერთი პირობით რომ ოქროს ექსპორტზე ემბარგო არ დაწესდებოდა. ფრანგულ ახალ შეთანხმებას არანაირი შანსი არ ჰქონდა, რადგან მთავრობა შებოჭილი იყო ვალუტის უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ეს შემთხვევა განსაკუთრებით საგულისხმოა რადგან საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, როგორც კი შრომის პარტიები გააუვნებელყეს, საშუალო კლასის პარტიებმა ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიების გარეშე უარი თქვეს ოქროს სტან-

დარტზე. ეს მაგალითები აჩვენებს იმას, თუ რა გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა საიმედო სავალუტო პოლიტიკის პოსტულატს, სახალხო საჯარო პოლიტიკებზე.

ამერიკულმა გამოცდილებამ იგივე გაკვეთილი სხვანაირად გვასწავლა. ახალი შეთანხმება შეუძლებელი იქნებოდა ოქროს სტანდარტზე უარის თქმის გარეშე, მიუხედავად იმისა რომ საგარეო გაცვლითი კურსი ფაქტორი იყო; თუმცა მცირე ოქროს სტანდარტის პირობებში ფინანსური ბაზრის ლიდერებს, გარდაუვალად, ებოძათ პასუხისმგებლობა დაეცვათ სტაბილური გაცვლითი კურსი და საიმედო საშინაო ფინანსირება, რაზედაც უმეტესწილად მთავრობის ფინანსებია დამოკიდებული. ამრიგად, საბანკო ორგანიზაციას აქვს ძალა ეკონომიკურ სფეროში ხელი შეუშალოს ნებისმიერ საშინაო სვლას რომელიც მას არ მოეწონება, არ აქვს მნიშვნელობა ეს სვლა კეთილგონივრულია თუ არა. რაც შეეხება პოლიტიკას: ვალუტასა და კრედიტთან დაკავშირებით მთავრობა უნდა მიიღოს ბანკირების რჩევები, რადგან მხოლოდ მათ უწყიან შეუქმნის თუ არა საფრთხეს ფინანსური ღონისძიებები კაპიტალის ბაზარსა და გაცვლით კურსს. ის რომ სოციალური პროტექციონიზმი ამ შემთხვევაში ჩიხში არ შევიდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ შეერთებულმა შტატებმა დროულად შეაჩერა ოქროს სტანდარტი. მართალია ამ სვლის ტექნიკური უპირატესობები მცირე იყო (ხოლო ადმინისტრაციის გაცხადებული მიზეზები, როგორც ხშირად ხდება, ძალიან სუსტი), უოლ სტრიტის პოლიტიკური განძარცვა სწორედ ამ ნაბიჯის შედეგი იყო. ფინანსური ბაზრები პანიკით იმართება. 1930იან წლებში უოლ სტრიტის დასუსტებამ, შეერთებული შტატები ევროპის მსგავსი სოციალური კატასტროფისგან იხსნა.

თუმცა, მხოლოდ შეერთებულ შტატებში, მსოფლიო ვაჭრობისგან თავისი დამოუკიდებლობითა და ზედმეტად ძლიერი სავალუტო პოზიციით, ოქროს სტანდარტი იყო უპირატესად საშინაო პოლიტიკის ნაწილი. სხვა ქვეყნებში, ოქროს სტანდარტზე უარის თქმა არც მეტი, არც ნაკლები მსოფლიო ეკონომიკისგან მოწყვეტას ნიშნავდა. ალბათ ერთადერთი გამონაკლისი დიდი ბრიტანე-

თი იყო, რომლის წილი მსოფლიო ვაჭრობაში იმდენად დიდი იყო, რომ მას შეეძლო შემოეღო პირობები, რომელშიც საერთაშორისო სავალუტო სისტემა იმუშავებდა და ამგვარად ოქროს სტანდარტის ტვირთი სხვებზე გადაეტანა. ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და ავსტრია, არც ერთი ეს პირობა არ არსებობდა. მათთვის ვალუტის განადგურება გარესამყაროსგან მოწყვეტას ნიშნავდა და შესაბამისად იმპორტირებულ ნედლეულზე დამოუკიდებელი ინდუსტრიების გაწირვას, საგარეო ვაჭრობის არევას რომელზედაც დასაქმება იყო დამყარებული; და ყველაფერი ეს იმ შესაძლებლობის გარეშე, რომ თავიანთი თანაფარდი გაუფასურება ეიძულებინათ მომმარაგებლებისთვისაც და ამით თავიდან აერიდებინათ საშინაო შედეგები – მათი ვალუტის ოქროს ღირებულებასთან მიმართებაში დაცემა, ის რაც დიდმა ბრიტანეთმა გააკეთა.

გაცვლითი კურსი ძალიან ეფექტური ბერკეტი იყო, რომელიც სახელფასო დონეს აწვებოდა. სანამ გაცვლითი კურსი ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, ჩვეულებრივ სახელფასო საკითხები ზრდიდნენ ხოლმე ზღვრულ დაძაბულობას. თუმცა, იმას რასაც ბაზრის კანონები ხშირად ვერ აიძულებდნენ ხოლმე ხელფასზე მომუშავეებს, საგარეო გაცვლითი კურსის მექანიზმი ამას ყველაზე ეფექტურად ასრულებდა. სავალუტო კურსის მაჩვენებელი ხილულს ხდიდა ყველა არახელსაყრელ გავლენას, რაც პროფკავშირების ინტერვენციონისტულმა საჯარო პოლიტიკებმა იქონიეს საბაზრო მექანიზმზე (რომლის შინაგანი სისუსტე, მათ შორის სავაჭრო ციკლები, თავისთავადად იყო მიღებული).

მართლაც, შეუძლებელია საბაზრო საზოგადოების უტოპიური ბუნების სახის უკეთ წარმოჩენა, იმ აბსურდის გარეშე, რომელშიც შრომასთან დაკავშირებულმა სასაქონლო ფიქციამ, საზოგადოება უნდა ჩართოს. გაფიცვა, მუშების მიერ მოლაპარაკებებზე ზემოქმედების ეს ჩვეულებრივი ინსტრუმენტი, უფრო და უფრო ხშირად წარმოჩინდებოდა სოციალურად სასარგებლო შრომის თვითნებურ შეფერხებად, რომელიც, ამავდროულად, ამცირებდა სოციალურ წილს საიდანაც საბოლოოდ ხელფასები უნდა

დარიგებულიყო. სოლიდარობის გაფიცვების აღმაშფოთებელი იყო, , საყოველთაო გაფიცვები კი საზოგადოების საარსებო საფრთხედ მოინათლა. რეალურად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამსახურებსა და საჯარო დაწესებულებებში მოწყობილი გაფიცვები მოქალაქეებს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა და ამავდროულად, მათ შრომითი ბაზრის ნამდვილი ფუნქციების ჩახლართულ პრობლემებში რთავდა. შრომამ ბაზარზე თავისი ფასი უნდა იპოვოს, ნებისმიერი ფასი, გარდა იმისა რომელიც არაეკონომიურია. იქამდე სანამ მშრომელს ეს პასუხისმგებლობა ექნება აღებული, ის იქნება შემადგენელი ნაწილი იმისა რაც თავად არის, საქონელი "შრომა", და უარს იტყვის ეს გაყიდოს საბაზრო ფასზე დაბალი ტარიფით, რომლისთვისაც მყიდველს მაინც შეუძლია რომ ფული გადაიხადოს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ მშრომელის მთავარი ვალდებულებაა, თითქმის ყოველთვის გაფიცული იყოს. ამ წინადადებას შეუძლებელია აჯობო თავისი აბსურდულობით, თუმცა ის მხოლოდ ლოგიკურად გამომდინარეობს შრომის სასაქონლო თეორიიდან. თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობის წყარო კი, ცხადია ისაა, რომ შრომა სინამდვილეში არ არის საქონელი, და თუ შრომას შევწყვეტთ მხოლოდ იმიტომ რომ მისი ზუსტი ფასი გავიგოთ (ისევე როგორც, ყველა სხვა საქონლის მიწოდების ზრდა წყდება მსგავ ვითარებებში), საზოგადოება ძალიან მალე საარსებო საშუალებების ნაკლებობის გამო დაშლას დაიწყებს. საოცარია რომ გაფიცვის თაობაზე ამ თვალსაზრისს ძალიან იშვიათად, ან საერთოდ არ ახსენებენ ხოლმე ლიბერალი ეკონომისტები.

რეალობას რომ დავუბრუნდეთ: გაფიცვის გზით ხელფასების ფიქსირება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებისთვის დამანგრეველი იქნება, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენისაზე, რომელიც თავს იწონებს მისი უტილიტარიანული რაციონალობით. სინამდვილეში, კერძო საწარმოების სისტემაში, მუშას არ აქვს უსაფრთხოება თავის სამუშაო ადგილზე, ეს გარემოება გულისხმობს მისი სტატუსის რადიკალურ გაუარესებას. ამას თუ დაუმატებთ მასობრივი უმუშევრობის საფრთხეს, პროფკავშირების ფუნქცია

მორალურად და კულტურულად სასიცოცხლო გახდება ხალხის უმრავლესობისთვის, მინიმალური სტანდარტების შესანარჩუნებლად. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ინტერვენციის ნებისმიერი მეთოდი რომელიც მუშებს დაიცავს, ამავდროულად, თვითრეგულირებადი ბაზრის მექანიზმის ხელის შეშლაცაა, რაც შედეგად ამცირებს თავად მომხმარებელთა საერთო სიმდიდრის ფონდს, საიდანაც ისინი ხელფასებს იღებენ.

მისი შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე, საბაზრო საზოგადოების ძირეულმა პრობლემებმა ხელახლა იჩინა თავი: ინტერვენციონიზმი და ვალუტა. ისინი 1920-იანი წლების პოლიტიკის ცენტრში მოექცნენ. ეკონომიკური ლიბერალიზმი და სოციალისტური ინტერვენციონიზმი მათთვის მოცემული განსხვავებული პასუხებით განისაზღვრა.

ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა ყველაზე მაღალი ფსონი, სისტემის თვითრეგულირების აღდგენის სასარგებლოდ, ინტერვენციული საჯარო პოლიტიკების აღმოფხვრაზე დადო, რომელიც ხელს უშლიდა მიწაზე, სამუშაო ძალასა და ფულზე ბაზრების თავისუფალ წვდომას. საგანგებო ვითარებაში მან მიზნად დაისახა არც მეტი არც ნაკლები თავისუფალი ვაჭრობის, თავისუფალი შრომითი ბაზრისა და თავისუფლად ფუნქციონირებადი ოქროს სტანდარტის სამი ფუნდამენტური პრინციპის, გრძელვადიანი პრობლემის გადაჭრა. შედეგად ის ჰეროიკული მცდელობის წამყვანი ძალა გახდა, რომელსაც უნდა აღედგინა მსოფლიო ვაჭრობა, მოეშორებინა სამუშაო ძალის მობილობის დამაბრკოლებელი ყველა არააუცილებელი ფაქტორი და დაებრუნებინა სტაბილური გაცვლითი კურსი. ეს უკანასკნელი მიზანი ყველა დანარჩენზე უპირატესად ითვლებოდა. იქამდე სანამ ვალუტისადმი ნდობა არ აღდგებოდა, ბაზრის მექანიზმი ვერ იმუშავებდა; ამ შემთხვევაში კი, ილუზორული იქნებოდა მთავრობებისგან იმის მოლოდინი, რომ თავს შეიკავებდნენ მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით თავიანთი ხალხის ცხოვრების დაცვას. ბუნებრივია რომ ეს საშუალებები, რომელთა შორის მთავარი იყო ტარიფები და სოციალური კანონები, მიმართული საკვებისა და დასაქმების

უზრუნველყოფისკენ, შესაბამისად, ზუსტად ისეთი ინტერვენციები იყო, რომლებიც თვითრეგულირებად სისტემას მუშობაში ხელს შეუშლიდა.

არსებობდა ასევე მეორე, უფრო მყისიერი მიზეზი რატომაც საერთაშორისო სავალუტო სისტემის აღდგენა უპირატესი უნდა ყოფილიყო: დეზორგანიზებული ბაზრებისა და არასტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში საერთაშორისო კრედიტი უფრო და უფრო სასიცოცხლო როლს ასრულებდა. დიდ ომამდე საერთაშორისო კაპიტალ მოძრაობები (მათ გარდა რომლებიც გრძელვადიან ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული) უბრალოდ ეხმარებოდა გადახდის ბალანსის ლიკვიდურობის შენარჩუნებას, თუმცა ამ ფუნქციაშიც კი ის ეკონომიკური გათვლებით მკაცრად იყო შეზღუდული. კრედიტი გაიცემოდა მხოლოდ მაშინ როცა ბიზნეს გათვლების საფუძველზე ნდობის გამოცხადება იყო შესაძლებელი. ახლა ვითარება შებრუნებული იყო: ვალები ისეთი პოლიტიკური საფუძვლით იქმნებოდა როგორიც იყო რეპარაციები, ხოლო სესხები ნახევრადპოლიტიკური საფუძვლით გაიცემოდა, რათა რეპარაციების გადახდა შესაძლებელი ყოფილიყო. თუმცა სესხები ასევე ეკონომიკური პოლიტიკის მიზეზებითაც გაიცემოდა, რათა დასტაბილურებულიყო მსოფლიო ფასები ან აღდგენილიყო ოქროს სტანდარტი. საკრედიტო მექანიზმს მსოფლიო ეკონომიკის შედარებით სანდო ნაწილი იყენებდა, რათა ამოევსოთ ნაპრალი ეკონომიკის შედარებით დეზორგანიზებული ნაწილში, მიუხედავად წარმოებასა და ვაჭრობაში არსებული ვითარებისა. გადახდის ბალანსის, ბიუჯეტებისა და გაცვლითი კურსების დაბალანსება რიგ ქვეყნებში ვითომ ყოვლისშემძლე საერთაშორისო საკრედიტო მექანიზმების მეშვეობით ხელოვნურად ხდებოდა. თუმცა ეს მექანიზმი თავად დაფუძნებული იყო სტაბილური გაცვლითი კურსის დაბრუნების მოლოდინზე, რაც ისევ და ისევ ოქროს სტანდარტის დაბრუნებას გულისხმობდა. ამ გასაოცარმა ძალისხმევამ შეძლო შლადი ეკონომიკური სისტემის პირობებში შეენარჩუნებინა მისი ერთიანობის მოჩვენებითობა;

თუმცა რამდენად გაუძლებდა ასეთი ერთიანობა დატვირთვას დამოკიდებული იყო ოქროს დროულ დაბრუნებაზე.

ამ მხრივ ჟენევის შეთანხმება განსაკუთრებული იყო. მიზანი რომ არსებითად შეუძლებელი მისაღწევი არ ყოფილიყო, ის ნამდვილად შეძლებდა თავისი ამოცანის შესრულებას, ვინაიდან მცდელობა იყო მძლავრი, მდგრადი და მიზანმიმართული. დღევანდელი გადმოსახედიდან, ალბათ არ არსებულა იმაზე უფრო დამანგრეველი შედეგების მქონე ინტერვენცია, რომელიც ჟენევის შეთანხმებას მოჰყვა. ვინაიდან ის თითქმის წარმატებულად მოჩანდა, ამან მისი საბოლოო მარცხისგან გამოწვეული შედეგები ერთიორად გაამწვავა. 1923 წელს(როცა გერმანული მარკა რამდენიმე თვეში დაიფშვნა) და 1930 წელს შორის (როცა მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი ვალუტა ოქროს დაუბრუნდა), ჟენევამ გამოიყენა საერთაშორისო საკრედიტო მექანიზმი რათა, პირველ რიგში, აღმოსავლეთ ევროპის არასაკმარისად სტაბილიზებული ეკონომიკების ტვირთი გადაეტანა დასავლელ გამარჯვებულებზე; ხოლო შემდეგ, ეს ტვირთი აქედან ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ უფრო დიდ მხრებზე დაედო.[1] ამერიკაში ჩამოშლა ჩვეულებრივ ბიზნეს ციკლთან ერთად დაიწყო, თუმცა, იმ დროისთვის როცა ეს დაიწყო, ჟენევურ და ანგლო-საქსურ საბანკო სისტემას პლანეტის ეკონომიკა უკვე ფინანსურ ქსელებში ჰყავდა გაბმული, რამაც ის ერთიანად ამოაყირავა.

თუმცა აქ კიდევ უფრო მეტი რამ ხდებოდა. 1920იან წლებში, ჟენევის მიხედვით, სოციალური ორგანიზების საკითხები სრულად უნდა დაქვემდებარებულიყო ვალუტის აღდგენის საჭიროებებს. დეფლაცია უპირატესი საჭიროება იყო; ადგილობრივი ინსტიტუტები ამ გარემოებას მაქსიმალურად კარგად უნდა შეგუებოდნენ. რაღაც ვადით, თავისუფალი შიდა ბაზრებისა და ლიბერალური სახელმწიფოს აღდგენაც კი უნდა გადადებულიყო. ოქროს დელეგაციის სიტყვებით, დეფლაციამ ვერ შეძლო "ზეგა-

[1] Polanyi, K., ''Der Mechanismus der Weltwirtschaftskrise,'' Der Osterreichische Volkswirt (დამატება).

ვლენა მოეხდინა საქონლისა და სერვისების გარკვეულ ტიპებზე, და მაშასადამე, ვერ შეძლო ახალი სტაბილური წონასწორობის შექმნა." მთავრობები უნდა ჩარეულიყვნენ რათა შეემცირებინათ ფასები ცალკეულ მონოპოლიურ საქონლებზე, შეემცირებინათ შეთანხმებული სახელფასო სკალები და შეეკვეცათ რენტა. დეფლაციონისტური იდეალი გახდა "თავისუფალი ეკონომიკა ძლიერი მთავრობის ქვეშ"; თუმცა მართალია, მთავრობის შესახებ ფრაზა იმას გულისხმობდა რასაც ამბობდა, სახელდობრ, საგანგებო უფლებამოსილებებს და საჯარო თავისუფლებების შეზღუდვას, პრაქტიკაში "თავისუფალ ეკონომიკა" იმის საპირისპიროს გულისხმობდა რასაც ამბობდა, კერძოდ, მთავრობის დარეგულირებულ ფასებსა და ხელფასებს (აღსანიშნავია, რომ რეგულირება გაცვლით კურსისა და ადგილობრივი თავისუფალი ბაზრებისთვის, თავისუფლების დაბრუნების გაცხადებული მიზნით გაკეთდა). გაცვლითი კურსისთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება არც მეტი, არც ნაკლები გულისხმობდა – ლიბერალური კაპიტალიზმის ორი სვეტის – თავისუფალი ბაზრებისა და თავისუფალი მთავრობების შეწირვას. ამ მხრივ ჟენევა, მიზნის და არა მეთოდის ცვლილებას გულისხმობდა: მაშინ როდესაც ჟენევის მიერ დაგმობილი ინფლაციური მთავრობები, ვალუტის სტაბილურობას უქვემდებარებდნენ შემოსავლებისა და დასაქმების სტაბილურობას, ჟენევის მიერ ძალაუფლებაში მოყვანილი დეფლაციური მთავრობები არანაკლებ ინტერვენციონისტულ მეთოდებს იყენებდნენ; რათა შემოსავლებისა და დასაქმების სტაბილურობა ვალუტის სტაბილურობისთვის დაექვემდებარათ. ერთა ლიგის ოქროს დელეგაციის მოხსენებამ თქვა რომ გაცვლითი კურსის გაურკვევლობის დაბრუნებით, გასული ათწლეულის მონეტარული მიღწევები წყალში გადაიყარა. ის რაც მოხსენებამ არ თქვა იყო ის, რომ მთელი ამ ამაო დეფლაციური მცდელობების პერიოდში, მიუხედავად თავისუფალი მთავრობების შეწირვისა, თავისუფალი ბაზრები არ აღდგა. მართალია თეორიაში ეწინააღმდეგებოდნენ ინტერვენციონიზმსა და ინფლაციას, ეკონომიკურ ლიბერალებს ორს შორის არჩევანი

უნდა გაეკეთებინათ და მყარი-ვალუტის იდეალი ჩაურევლობისაზე უფრო მაღლა უნდა დაეყენებინათ. ამგვარად ისინი გაჰყვნენ თვითრეგულირებადი ეკონომიკის შინაგან ლოგიკას. თუმცა ასეთი გზა კრიზისს მხოლოდ ავრცობდა, ის ფინანსებს მასიური ეკონომიკური ძვრების აუტანელი ტვირთს ადებდა, და კიდევ უფრო ზრდიდა სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკების დეფიციტს იქამდე სანამ საერთაშორისო შრომის დანაწილების ნარჩენების განადგურებაც გარდაუვალი არ გახდებოდა. სიჯიუტე რომლითაც ეკონომიკურმა ლიბერალებმა, უმნიშვნელოვანეს ათწლეულში, დეფლაციური საჯარო პოლიტიკების სასარგებლოდ, ავტორიტარულ ინტერვენციონიზმს დაუჭირეს მხარი საბოლოო მხოლოდ იმით დასრულდა რომ ძლიერი დარტყმა მიადგათ დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში თავიდან აირიდებდნენ ფაშისტურ კატასტროფას. დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა – ვალუტის ბატონებმა და არა მსახურებმა – ამ განსაცდელისგან თავის არიდების მიზნით დროულად მიატოვეს ოქროს სტანდარტი.

არსებითად სოციალიზმი ინდუსტრიული ცივილიზაციის შინაგანი მიდრეკილებაა, გადაილახოს თვითრეგულირებადი ბაზარი, მისი დემოკრატიულ საზოგადოებისთვის მიზანმიმართული დაქვემდებარებით. ის არის ბუნებრივი გადაჭრის გზა ინდუსტრიული მუშებისთვის, რომლებიც ვერ ხედავენ მიზეზს რატომ პირდაპირ არ უნდა რეგულირდებოდეს წარმოება და რატომ უნდა იყოს ბაზარი იმაზე მეტი ვიდრე თავისუფალ საზოგადოებას დაქვემდებარებული ინსტრუმენტი. მთლიანად საზოგადოების პერსპექტივიდან, სოციალიზმი მხოლოდ გაგრძელებაა იმ მისწრაფებისა რომ საზოგადოება გახდეს პიროვნებათა შორისი გამორჩეულად ადამიანური ურთიერთობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ყოველთვის ქრისტიანულ ტრადიციასთან იყო ასოცირებული. ეკონომიკური სისტემის პერსპექტივიდან კი, პირიქით, ის წარსულთან რადიკალური განშორებაა; იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ აღიარებს მცდელობას კერძო ფულადი მოგება იყოს მწარმოებლური აქტივობების ზოგადი წამახალისებელი,

და არ აღიარებს კერძო ინდივიდების უფლებას გაანადგურონ წარმოების მთავარი ინსტრუმენტები. საბოლოო ჯამში, სწორედ ამიტომაა სოციალისტური პარტიების მიერ კაპიტალისტური ეკონომიკის რეფორმირება რთული, მაშინ როცა გადაწყვეტილი აქვთ არ ჩაერიონ საკუთრების სისტემაში. იმ მცირედი შესაძლებლობის შემთხვევაში თუ ისინი გადაწყვეტენ რომ ასე ქნან, ეს ძირს უთხრის იმ ტიპის ნდობას, რომელიც ლიბერალური ეკონომიკისთვის სასიცოცხლოა, კერძოდ, აბსოლუტურ დარწმუნებულობას საკუთრების უწყვეტობაში. მართალია კანონმდებლების ხელში საკუთრების უფლების არსებული შინაარსები შეიძლება ახლებურად განისაზღვროს, თუმცა ფორმალურ უწყვეტობაში დარწმუნება მუშა საბაზრო სისტემისთვის არსებითია.

დიდი ომიდან მოყოლებული ორი რამ შეიცვალა რაც სოციალიზმის პოზიციებზე გავლენას ახდენს. პირველი, საბაზრო სისტემამ აჩვენა რომ ის არასანდოა და ზოგჯერ შეიძლება ტოტალურ ჩამოშლამდეც მივიდეს, ნაკლი რომელსაც მისი კრიტიკოსებიც კი არ ელოდნენ; მეორე, რუსეთში სოციალისტური ეკონომიკა დაფუძნდა, რაც სრულიად ახალ გზას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პირობები რომელშიც მას საფუძველი ჩაეყარა მას დასავლური ქვეყნებისადმი შეუსაბამოს ხდის, თავად საბჭოთა რუსეთის არსებობამ აჩვენა რომ მას პირდაპირი გავლენა აქვს. მართალია რომ ის სოციალიზმისკენ განვითარებული ინდუსტრიების, საყოველთაო წერა-კითხვის ცოდნისა და დემოკრატიული ტრადიციების გარეშე წავიდა – დასავლური იდეების მიხედვით სამივე სოციალიზმის წინაპირობებს წარმოადგენდა. ამან მისი განსაკუთრებული მეთოდები და ამოხსნები შეუფერებელი გახადა სხვებისთვის, მაგრამ ხელი არ შეუშალა სოციალიზმს, გამხდარიყო შთაგონება. კონტინენტზე მუშათა პარტიები თავისი მსოფლმხედველობით ყოველთვის სოციალისტურები იყვნენ და ნებისმიერ რეფორმა რომლის მიღწევასაც ცდილობდნენ, ცხადია, სოციალისტური მიზნებისადმი მსახურებაში იყო ეჭვმიტანილი. წყნარ დროში ასეთი ეჭვი დაუსაბუთებელი იქნებოდა; სოციალისტური მუშათა კლასის პარტიები მთლიანობაში

კაპიტალიზმის რეფორმირებისკენ იყვნენ მოწოდებული, და არა მისი რევოლუციური გადაგდებისკენ. თუმცა საგანგებო ვითარებაში პოზიცია განსხვავებული იყო. თუ ჩვეულებრივი მეთოდები არასაკმარისი იყო, მაშინ არაჩვეულებრივს ცდიდნენ ხოლმე; მუშათა პარტიისთვის ასეთი მეთოდი ზოგჯერ საკუთრების უფლების უგულებელყოფას გულისხმობდა. გარდაუვალი საფრთხის წინაშე მუშათა პარტიები შეიძლება გაფიცულიყვნენ იმ ზომების მოსათხოვნად, რომლებიც სოციალისტურისმაგვარი იყო ან სულ მცირე, ასეთად მოჩანდა კერძო საწარმოების ხმალამოღებული დამცველებისთვის. მცირედი მინიშნებაც კი საკმარისია, რომ ამან ბაზრების დაბნეულობა გამოიწვიოს და საყოველთაო პანიკას დაუდოს სათავე.

ასეთ პირობებში რუტინული კონფლიქტმა დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ინტერესებს შორის ავბედითი სახე მიიღო. მაშინ როცა განსხვავებული ეკონომიკური ინტერესები ჩვეულებრივ კომპრომისით შესჯერდებოდა, საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროების განცალკევებამ ასეთი კონფლიქტები საზოგადოებისთვის მძიმე შედეგების მქონედ წარმოაჩინა. დამსაქმებლები ქარხნებისა და მაღაროებს მფლობელები იყვნენ, ესე იგი, პირდაპირ პასუხისმგებლები საზოგადოებაში წარმოების გაგრძელებაზე (რაც საკმაოდ დაშორებულია მოგებაში მათი პირადი ინტერესისგან). პრინციპის დონეზე, მათ ყველანაირი მხარდაჭერა უნდა ჰქონოდათ თავიანთ საქმიანობაში რათა ემუშავებინათ ინდუსტრია. თუმცა, მეორე მხრივ, დასაქმებულები საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ; მათი ინტერესები აგრეთვე მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ემთხვეოდა მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. ისინი წარმოადგენდნენ ერთადერთ კლასს რომელსაც შეეძლო მომხმარებელთა, მოქალაქეთა და ზოგადად ადამიანთა ინტერესების დაცვა; ხოლო ხმის მიცემის საყოველთაო უფლების პირობებში, მათი რაოდენობა საშუალებას მისცემდა უპირატესობა ჰქონოდათ პოლიტიკურ სფეროში. მიუხედავად ამისა, ინდუსტრიის მსგავსად, საკანონმდებლო ორგანოს საზოგადოებაში თავისი ფორმალური ფუნქციების ჰქონ-

და შესასრულებელი. მის წევრებს უფლებამოსილება ჰქონდათ მინიჭებული შეექმნათ საზოგადოებრივი ნება, განესაზღვრათ საჯარო პოლიტიკის მიმართულება, შეემუშავებინათ გრძელვადიანი საშინაო და საგარეო პროგრამები. ვერცერთი კომპლექსურ საზოგადოებას ვერ იარსებებს პოლიტიკური ხასიათის მუშა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გარეშე. ჯგუფური ინტერესების ჯახი რომელიც ინდუსტრიული ან სახელმწიფო ორგანოების პარალიზებას იწვევდა – ერთ-ერთის ან ორივეს – საზოგადოებისთვის მყისიერ საფრთხეს წარმოადგენდა.

1920-იან წლებში სწორედ ასეთი ვითარება იყო. მუშათა პარტიები პარლამენტში გამაგრდნენ, სადაც თავიანთი რაოდენობა მათ წონას აძლევდა, კაპიტალისტებმა ინდუსტრია თავიანთ ციხესიმაგრედ აქციეს საიდანაც ქვეყნისთვის უნდა ეკარნახათ. სახალხო ორგანოებმა მათ ბიზნესში დაუნდობელი ინტერვენციებით უპასუხეს, უგულებელყვეს ინდუსტრიის მოცემული ფორმის საჭიროებები. ინდუსტრიის კაპიტნები მოეშალათ მოსახლეობის მხარდაჭერა თავიანთი თავისუფლად არჩეული ლიდერებისადმი; ხოლო დემოკრატიული ორგანოები კი ომს აწარმოებდნენ იმ ინდუსტრიული სისტემის წინააღმდეგ, რომელზეც ყველას სარჩო-საბადებელი იყო დამოკიდებული. საბოლოოდ, დადგებოდა მომენტი როცა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები სრული პარალიზების საფრთხის წინაშე დადგებოდნენ. ხალხს შიში მოიცავდა, ხოლო ლიდერობა იძულებული იქნებოდა მათი დაეჯერებინა ვინც ადვილ გამოსავალს, ბუნდოვან ფასად სთავაზობდა. კრიზისის ფაშისტური გადაწყვეტისთვის დრო მომწიფდა.

თავი 20
სოციალური ცვლილებებით დატვირთული ისტორია

თუ ოდესმე არსებობდა პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც ობიექტური ვითარების საჭიროებებს უპასუხა და შემთხვევითობის შედეგი არ იყო – ეს ფაშიზმია. ამავდროულად, ფაშისტური გამოსავლის დეგენერაციული ხასიათიც აშკარა იყო. ინსტიტუციური ჩიხიდან, რომელიც ბევრი ქვეყნებისთვის არსებითად მსგავსი იყო, ის სთავაზობდა თავის დაღწევის გზას, მიუხედავად ამისა, თუ შემოთავაზებული წამალი გამოიცდებოდა, ის ყველგან ჭრილობაზე მარილის მოყრა იქნებოდა. სწორედ ასე ქრებიან ცივილიზაციები.

ლიბერალური კაპიტალიზმის მიერ ჩიხიდან გამოსვლის ფაშისტური გზა შეიძლება აღიწეროს როგორც წარმოებისა და პოლიტიკის სფეროში ყველა დემოკრატიული ინსტიტუტის ამოძირკვის ხარჯზე საბაზრო ეკონომიკის რეფორმირებად. ამით ნგრევის პირას მისული ეკონომიკური სისტემა უნდა გაჯანსაღებულიყო, ხოლო თავად ხალხის მსოფლმხედველობა ისე უნდა შეცვლილიყო რომ ინდივიდი არაბუნებრივი გამხდარიყო და მას ვერ შესძლებოდა პოლიტიკური სხეულის პასუხისმგებლობიან ნაწილად არსებობა. ეს ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც პოლიტიკური რელიგიის პოსტულატებისგან შედგებოდა და საყოველთაო ძმობის იდეას მის ნებისმიერ გამოვლინებაში უა-

რყოფდა, მიიღწა წამების მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ურჩთა მასობრივი იძულებითი მოქცევის გზით.

მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებში, და ზოგ ოდნავ ინდუსტრიალიზებულ ქვეყანაში, ასეთი მოძრაობების გამოჩენა არ უნდა აგვეხსნა ლოკალური მიზეზებით, ეროვნული მენტალობებით ან ისტორიული წარსულით, რასაც ასე ხშირად აკეთებდნენ ამ მოვლენათა თანამედროვეები. ფაშიზმს არაფერი ჰქონდა საერთო როგორც დიდ ომთან, ისე ვერსალის ზავთან, როგორც იუნკერთა მილიტარიზმთან, ისე იტალიურ ტემპერამენტთან. მოძრაობა გაჩნდა ისეთ დამარცხებულ ქვეყნებში, როგორიც ბულგარეთი იყო და ისეთ გამარჯვებულ ქვეყნებში, როგორიც იუგოსლავია იყო, ჩრდილოური ტემპერამენტის ქვეყნებში, როგორიც ფინეთი და ნორვეგია იყო და სამხრეთული ტემპერამენტის ქვეყნებში, როგორიც იტალია და ესპანეთი იყო, ისეთ არიული რასის ქვეყნებში როგორიც ინგლისი, ირლანდია ან ბელგია იყო და არა-არიული რასის ქვეყნებში როგორიც იაპონია, უნგრეთი ან პალესტინა იყო; ასევე, კათოლიკური ტრადიციის ქვეყნებში, როგორიც პორტუგალია იყო და პროტესტანტულში, როგორიც ჰოლანდია იყო, სამხედრო საზოგადოებებში, როგორიც პრუსია იყო და სამოქალაქოში, როგორიც ავსტრია იყო, ძველ კულტურებში როგორიც საფრანგეთი იყო და ახლებში, როგორიც შეერთებული შტატები და სამხრეთ-ამერიკის ქვეყნები იყო. რეალურად, არ არსებობდა წარსული გამოცდილების ტიპი – რელიგიური, კულტურული ან ეროვნული – რაც ქვეყანას ფაშიზმისადმი იმუნურს გახდიდა, როცა მისი აღმოცენების პირობები გაჩნდებოდა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია რომ არ არსებობდა ურთიერთკავშირი ამ მოძრაობების მატერიალურ და რაოდენობრივ ძალასა და მათ პოლიტიკურ შედეგიანობას შორის. თავად სიტყვა "მოძრაობა" იყო შეცდომაში შემყვანი, რადგან ის გულისხმობს ბევრი ხალხის გარკვეულ ჩართულობას ან პირად მონაწილეობას. თუ რაიმე ახასიათებდა ფაშიზმს, ეს სწორედ ასეთი სახალხოობისგან დამოუკიდებლობა იყო. ჩვეულებრივ, მათი მიზანი მასობრივი მხარდაჭერის მოპოვება იყო, თუმცა, მათი პოტენციური

ძალა, არა მათი მხარდამჭერების რაოდენობით, არამედ მაღალ სოციალურ პოზიციებზე მყოფი პირების გავლენებით იზომებოდა, რომელთა კეთილგანწყობითაც ფაშისტი ლიდერები სარგებლობდნენ, და საზოგადოებაში ვისი გავლენის იმედზეც უნდა ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში თუ გადატრიალება ჩავარდებოდა, რაც რევოლუციის მცდელობის რისკების დაზღვევას ნიშნავდა.

ქვეყანა, რომელიც ფაშისტურ ფაზას უახლოვდებოდა, აჩვენებდა სიმპტომებს, რომელთა შორის შორის აუცილებლად არ იყო საკუთრივ ფაშისტური მოძრაობის არსებობა. სულ მცირე არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშანი იყო ირაციონალისტური ფილოსოფიების გავრცელება, რასობრივი ესთეტიკა, ანტიკაპიტალისტური დემაგოგია, ჰეტეროდოქსული სავალუტო ხედვები, პარტიული სისტემის კრიტიკა, "რეჟიმის" საყოველთაო ძაგება ან იმისა რაც არსებულ დემოკრატიულ წყობილებას ერქვა. ავსტრიაში ოტმარ შპენის ეგრეთ წოდებული უნივერსალისტური ფილოსოფია, გერმანიაში შტეფან გეორგეს პოეზია და ლუდვიგ კლაგეს კოსმოგენური რომანტიზმი, ინგლისში დი ეიჩ ლორენსის ეროტიკული ვიტალიზმი, ხოლო საფრანგეთში ჟორჟ სორელის პოლიტიკური მითის კულტი წარმოადგენდნენ ერთ-ერთს უაღრესად მრავალფეროვან წინამორბედებს შორის. ჰიტლერი ხელისუფლებაში დასვა პრეზიდენტ ჰინდერბურგის გარშემო მყოფმა ფეოდალისტურმა დაჯგუფებამ, ისევე როგორც მუსოლინი და პრიმო დე რივერა ხელისუფლებაში მათი მეფეების მეშვეობით მოხვდნენ. ჰიტლერს დიდი მოძრაობა უჭერდა მხარს, მუსოლინის პატარა, პრიმო დე რივერას კი არავინ. არცერთ შემთხვევაში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ნამდვილ რევოლუცია არ მომხდარა; ყოველთვის ფაშისტური ტაქტიკა დადგმული აჯანყება იყო, რომელსაც ხელისუფლება ფარულად უჭერდა მხარს და რომელიც თავს აჩვენებდა თითქოს უზარმაზარ ძალას წინ ვეღარ აღუდგა. ეს მხოლოდ კომპლექსური სურათის მონახაზია, რომელშიც სივრცე უნდა დავუტოვოთ ისეთი ერთმანეთისგან განსხვავებული ფიგურებისთვის, როგორებიც არიან ინდუსტრიული დეტროიტის უპარტიო კათოლიკე დემაგოგი, ჩამორჩე-

ნილი ლუიზიანას "კინგფიში", იაპონიის არმიის შეთქმულები და უკრაინელი ანტი-საბჭოთა დივერსანტები. 1930იანი წლებიდან ყველა ინდუსტრიულ საზოგადოებაში ფაშიზმი უფრო და უფრო მკვიდრდებოდა როგორც პოლიტიკური შესაძლებლობა, როგორც მყისიერი ემოციური რეაქცია. ამას შეიძლება ეწოდოს "ძვრა" და არა "მოძრაობა", რათა ხაზი გაესვას კრიზისის უპიროვნო ბუნებას, რომლის სიმპტომები ხშირად ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო. ხალხი ხშირად ვეღარ ხვდებოდა იყო თუ არა ფაშისტური ესა თუ ის პოლიტიკური სიტყვა ან დადგმა, ქადაგება თუ საჯარო მსვლელობა, მეტაფიზიკა თუ ხელოვნება, პოემა თუ პარტიის პროგრამა. მაშინ არ არსებობდა ფაშიზმის დამკვიდრებული კრიტერია, ხოლო თავად ფაშიზმი არ ატარებდა ნაცნობ პრინციპებს. მიუხედავად ამისა, მის ყველა ორგანიზებულ ფორმას ახასიათებდა მოულოდნელი გამოჩენა და გაქრობა, განუსაზღვრელი დროით ძილის მერე ძალადობრივად ისევ რომ ამოეხეთქა. ეს ყველაფერი შეესაბამება იმ სოციალური ძალის სურათს, რომელიც ობიექტური ვითარების შესაბამისად ზვირთდება ან მიილევა ხოლმე.

რასაც ჩვენ შემოკლებით "ფაშისტური ვითარება" ვუწოდეთ სხვა არაფერი იყო თუ არა ტიპური შემთხვევა როცა ფაშისტები ადვილ და სრულ გამარჯვებას აღწევდნენ. მოულოდნელად მუშების უზარმაზარი ინდუსტრიული და პოლიტიკური ორგანიზაციები და კონსტიტუციური თავისუფლებების თავდადებული დამცველები ქრებოდნენ, ხოლო პატარა ფაშისტური ძალები გვერდზე მოისროდნენ დემოკრატიული მთავრობების, პარტიებისა და პროფკავშირების იქამდე გადაულახავ ძალებს. თუ "რევოლუციურ ვითარებას" ახასიათებს წინააღმდეგობის ძალების ფსიქოლოგიური და მორალური დეზინტეგრაცია იქამდე, სანამ მცირერიცხოვან მსუბუქად შეიარაღებულ აჯანყებულებს საშუალება არ მიეცემათ შტურმით აიღონ რეაქციის თითქოს შეუღწევადი სიმაგრეები, მაშინ "ფაშისტური ვითარება" ამის სრულყოფილი ანალოგია იმ განსხვავებით რომ აქ დემოკრატიისა და კონსტიტუციური თავისუფლებების სიმაგრეები აიღეს შტურმით და არანაკლებ გასაოცრად მათი თავდაცვითი ზღუდეები არ-

სად ჩანდა. 1932 წლის ივლისში, პრუსიაში, სოციალ დემოკრატების კანონიერმა მთავრობამ, რომელიც ლეგიტიმურ ძალაუფლებას ფლობდა, კაპიტულაცია გამოაცხადა არაკონსტიტუციური ძალადობის უბრალო მუქარის წინაშე რომელიც მათ წინააღმდეგ ჰერ ფორ პაპენმა გააჟღერა. დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ ჰიტლერი მშვიდობიანად დაეუფლა ხელისუფლების უმაღლეს პოსტებს, საიდანაც მან რევოლუციური შეტევა წამოიწყო ვაიმარის რესპუბლიკის ინსტიტუტებისა და კონსტიტუციური პარტიების სრული განადგურებისთვის. იმის წარმოდგენა რომ თითქოს ამ მოძრაობის ძალამ შექმნა ასეთი ვითარებები და ვერ დაინახო ის რომ სწორედ ვითარებამ შვა, ამ შემთხვევაში, მოძრაობა, ნიშნავს გასული ათწლეულების გამორჩეული გაკვეთილების უგულებელყოფას.

ფაშიზმი, სოციალიზმის მსგავსად, საფუძველს იმ საბაზრო საზოგადოებაში იღებდა, რომელიც უარს ამბობდა ფუნქციონირებაზე. სწორედ ამიტომ ის იყო გლობალური, მასშტაბით ყოვლისმომცველი, გამოყენებით უნივერსალური; საკითხები გასცდა ეკონომიკის სფეროს და გამორჩეულად სოციალური ხასიათის ზოგადი ტრანსფორმაცია შვა. მან ადამიანის აქტივობის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია, იქნება ეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკური, კულტურული თუ ფილოსოფიური, სახელოვნებო თუ რელიგიური. რაღაც დოზით ის შეერწყა ლოკალურ და მიმდინარე ტენდენციებს. ამ პერიოდის ისტორიის გაგება შეუძლებელია იქნება თუ არ გავმიჯნავთ საფუძველმდებარე ფაშისტურ ბიძგს იმ მეორადი ტენდენციებისგან, რომელთა სახეც ამ ბიძგმა სხვადასხვა ქვეყნებს მიიღო.

1920იანი წლების ევროპაში ორი ასეთი ტენდენცია – კონტრრევოლუცია და ნაციონალისტური რევიზიონიზმი – იყო გაბატონებული და ზედდებული უფრო ყოვლისმომცველ მაგრამ ფაშიზმის უფრო სუსტ პატერნზე. ცხადია, მათი ამოსავალი წერტილი სამშვიდობო ზავები და ომის შემდგომი რევოლუციები იყო. თუმცა, ნათელია რომ კონტრრევოლუციაც და რევიზიონიზმიც

თავისთავად შეზღუდული იყო, მიზნებში და ამიტომ ადვილად ერწყმოდა ფაშიზმს.

კონტტრევოლუცია პოლიტიკური ქანქარას ჩვეული უკურეაქცია იყო ,იმ ვითარების აღსადგენად, რომელიც ძალადობრივად აირია. ასეთ განვითარება ტიპური იყო ევროპისთვის სულ მცირე მას მერე რაც ინგლისური თანამეგობრობა არსებობს, თუმცა ამას შეზღუდული კავშირი ჰქონდა იმ დროის სოციალურ პროცესებთან. 1920იან წლებში მრავალი მსგავსი ვითარება შეიქმნა, სოციალურმა ძვრებმა ათობით სამეფო ტახტი გაანადგურა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რაც ნაწილობრივ ომში დამარცხების გამოძახილი იყო და არა დემოკრატიისკენ სვლის. კონტრრევოლუციის მთავარი საქმე პოლიტიკური იყო და მას ისეთი განძარცვული კლასები და ჯგუფები ხელმძღვანელობდნენ როგორებიც იყვნენ დინასტიები, არისტოკრატიები, ეკლესიები, მძიმე ინდუსტრიები და მათთან დაახლოებული პარტიები. ამ პერიოდში კონსერვატორებსა და ფაშისტებს შორის ალიანსები და დაპირისპირებები ძირითადად იმ წილზე იყო რაც ფაშისტებს უნდა შეხვედროდათ კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. ფაშიზმი რევოლუციური ტენდენცია იყო რომელიც ისევე დაპირისპირებული იყო კონსერვატივიზმთან, როგორც მის მეტოქე სოციალიზმის რევოლუციურ ძალასთან. ამან ხელი არ შეუშალა ფაშისტებს პოლიტიკურ ველზე ძალაუფლებისთვის ებრძოლათ კონტრრევოლუციისთვის დახმარების აღმოჩენით. პირიქით, ისინი ძალაუფლების მონოპოლიზებისთვის ლეგიტიმაციას ძირითადად ეძებდნენ კონსერვატივიზმის თითქოსდა უუნარობაში, რაც გარდაუვალი იყო თუ მიზანი სოციალიზმის შეჩერება იყო. ბუნებრივია, კონსერვატორებმა სცადეს კონტრრევოლუციის მონაპოვარის მონოპოლიზება და სინამდვილეშიც, როგორც ეს გერმანიაში მოხდა, ეს მათ დამოუკიდებლად მიაღწიეს. მათ მუშათა პარტიებს წაართვეს გავლენა და ძალაუფლება ისე რომ ეს ნაცისტებს არ ჩაბარებიან. მსგავსად, ავსტრიაში ქრისტიან სოციალისტებმა – კონსერვატიულმა პარტიამ – უმეტესწილად განაიარაღეს მუშები (1927) ისე, რომ არაფერი დაეთმოთ "მემარ-

ჯვენე რევოლუციისთვის". მაშინაც როცა კონტრრევოლუციაში ფაშისტების მონაწილეობა გარდაუვალი იყო, ახლადშექმნილმა "ძლიერმა" მთავრობებმა ფაშიზმი უკან მოიტოვეს. ასე მოხდა ესტონეთში 1929 წელს, ფინეთში 1932 წელს, ლატვიაში 1934 წელს. ფსევდო-ლიბერალურმა რეჟიმებმა დროებით გატეხეს ფაშისტური ძალები უნგრეთში 1922 წელს და ბულგარეთში 1926 წელს. მხოლოდ იტალიაში ვერ შეძლეს კონსერვატორებმა ინდუსტრიისთვის აღედგინათ სამუშაო დისციპლინა ისე, რომ ფაშისტებისთვის არ მიეცათ ძალაუფლების ხელში აღების შესაძლებლობა.

ომში დამარცხებულ ქვეყნებში, და ასევე "ფსიქოლოგიურად" დამარცხებულ იტალიაში, ეროვნული პრობლემა უზარმაზარი იყო. აქ ამოცანა დასახული იყო, რომლის სიმკაცრის უარყოფა შეუძლებელი იყო. ყველა საკითხზე უფრო ღრმა იყო დამარცხებული ქვეყნების მუდმივი განიარაღების პრობლემა; იმ მსოფლიოში სადაც საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო მშვიდობის ორგანიზება ძალთა ბალანსს ემყარებოდა, რიგი ქვეყნები დაუძლურდნენ ისე რომ არანაირი მინიშნება არ ჩანდა თუ რა ტიპის სისტემა ჩაანაცვლებდა ძველს. უკეთეს შემთხვევაში, ერთა ლიგა ძალთა ბალანსის გაუმჯობესებულ სისტემას წარმოადგენდა, თუმცა ახლოსაც არ იყო ვენის შეთანხმების მეორე ეტაპის დონესთან, რადგან ახლა ძალაუფლების ზოგადი დიფუზიის წინაპირობა არ არსებობდა. ჩანასახში მყოფმა ფაშისტურმა მოძრაობამ თავისი თავი თითქმის ყველგან ეროვნული საკითხების სამსახურში ჩააყენა; ის ვერ შეინარჩუნებდა არსებობას თუ ამ ფერხულს არ ჩაებმებოდა.

თუმცა, მისთვის ამ საკითხს მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობა ჰქონდა; სხვა დროს ის პაციფისტურ და იზოლაციონისტურ ნოტებზეც უკრავდა. ინგლისსა და შეერთებულ შტატებში ის მოკავშირედ გაუხდა დაშოშმინების პოლიტიკას; ავსტრიაში ჰაიმვერი თანამშრომლობდა სხვადასხვანაირ კათოლიკე პაციფისტებთან; ხოლო კათოლიკური ფაშიზმი პრინციპის დონეზე ანტინაციონალისტური იყო. ჰიუი ლონგს არ სჭირდებოდა საზღვრო კონფლიქტი მისისიპისთან ან ტექსასთან რათა დაეწყო

მისი ფაშისტური მოძრაობა ბატონ რუჟიდან. მსგავსი მოძრაობები ჰოლანდიაში და ნორვეგიაში იმდენად არანაციონალისტური იყო რომ ზოგჯერ ღალატს უდრიდა – ქვისლინგი შეიძლება კარგ ფაშისტის სახელი იყოს, მაგრამ არანაირად კარგი პატრიოტის.

პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ფაშიზმი სრულიად თავისუფალია უგულებელყოს ან გამოიყენოს ადგილობრივი საკითხები. მისი მიზანი პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარჩოს მიღმაა: ის სოციალურია. ის პოლიტიკურ რელიგიას დეგენერაციული პროცესის სამსახურში აყენებს. აღმასვლისას ის თავისი რეპერტუარიდან ძალიან ცოტა სენტიმენტს გამორიცხავს; თუმცა როგორც კი წარმატებას მიაღწევს ის ჩახსნის ყველას გარდა მოტივაციათა ძალიან მცირე ჯგუფისა – აქაც ძალიან სახასიათოებს. თუ ჩვენ ერთმანეთისგან არ გავარჩევთ ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე ფსევდო-შეუწყნარებლობას, ძალაუფლებაში მოსვლის შემდგომი ნამდვილი შეუწყნარებლობისგან, ჩვენ ვერ შევძლებთ გავიგოთ ის ფაქიზი, მაგრამ გადამწყვეტი განსხვავება რაც არსებობს რევოლუციის პერიოდში ზოგიერთი ფაშისტური მოძრაობის ფსევდო-ნაციონალიზმსა და სპეციფიკურად იმპერიალისტურ არანაციონალიზმს შორის, რომელიც რევოლუციის შემდეგ მათ განავითარეს.[1]

როგორც წესი კონსერვატორები საკუთარი ძალებით ახორციელებდნენ წარმატებულ საშინაო კონტრრევოლუციებს, თუმცა ისინი იშვიათად ახერხებდნენ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ-საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას. 1940იანებში ბრიუნინგი ამტკიცებდა რომ იქამდე გადაჭრა გერმანული რეპარაციებისა და განიარაღების საკითხი სანამ “ჰინდერბურგის გარემოცვამ” ის თანამდებობას ჩამოაშორა და ძალაუფლება ნაცისტებს ჩააბარა. მის თქმით, მათი ქმედების მიზეზი ის იყო რომ მათ არ სურდათ ამ საქმეში დამსახურება მას, ბრიუნინგს,

[1] Rauschning, H., The Voice of Destruction.

მიწეროდა.[1] ეს მართლაც ასე იყო თუ არა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან გერმანიის თანაბარი სტატუსი არ იზღუდებოდა მხოლოდ ტექნიკური განიარაღებით, როგორც ამას ბრიუნინგი ამბობს, არამედ გულისხმობდა დემილიტარიზების თანაბრად მნიშვნელოვან საკითხსაც. ამასთან ერთად, შეუძლებელია იმის უგულებელყოფაც, რომ გერმანულმა დიპლომატიამ ნაცისტური მასების მიერ ნაციონალისტური პოლიტიკებისადმი მხარდაჭერით მნიშვნელოვანი ძალა იგრძნო. მოვლენებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ გერმანიისთვის თანაბარი სტატუსის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა რევოლუციური გამოსვლის გარეშე და სწორედ ამ პერსპექტივიდან ჩანს აშკარად ნაციზმის საშინელი პასუხისმგებლობა, რომელმაც თავისუფალი და თანასწორი გერმანია დანაშაულის გზაზე დააყენა. გერმანიაში და იტალიაში ფაშიზმმა ძალაუფლების ხელში აღება შეძლო მხოლოდ იმიტომ რომ მას შეეძლო ბერკეტად გამოყენებინა გადაუჭრელი ეროვნული საკითხები, ხოლო საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ფაშიზმი მნიშვნელოვნად დასუსტდა მისი ანტიპატრიოტიზმით. მხოლოდ პატარა და ბუნებრივად დამოკიდებულ ქვეყნებში შეიძლებოდა უცხო ძალისადმი მორჩილების საერთო განწყობა გამხდარიყო ფაშიზმისთვის სასარგებლო.

როგორც უკვე ვნახეთ, მხოლოდ შემთხვევითობა იყო რომ 1920იან წლებში ევროპული ფაშიზმი ეროვნულ და კონტრრევოლუციურ ტენდენციებს დაუკავშირდა. ეს იყო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წარმოშობის მქონე მოძრაობებს შორის სიმბიოზის შემთხვევა, რამაც ერთმანეთი გააძლიერა და შექმნა არსებითი მსგავსების შთაბეჭდილება, მიუხედავად იმისა ისინი სინამდვილეში არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები.

რეალურად, ფაშიზმის როლი ერთმა ფაქტორმა განსაზღვრა: საბაზრო სისტემის არსებობამ.

---

[1] Heymann, H., Plan for Permanent Peace, 1941. Cf. Bruning's letter of January 8, 1940.

1917-1923 წლებში მთავრობები იყენებდნენ ფაშისტების დახმარებას რათა აღედგინათ კანონი და წესრიგი: მეტი არაფერი იყო საჭირო საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისთვის. ფაშიზმი განუვითარებელი რჩებოდა.

1924-1929 წლებში, როცა საბაზრო სისტემის აღდგენა თითქოს უზრუნველყოფილი იყო, ფაშიზმი როგორც პოლიტიკური ძალა თითქმის გაქრა.

1930 წლის მერე საბაზრო ეკონომიკა საერთო კრიზისში შევიდა. რამდენიმე წელიწადში ფაშიზმი მსოფლიო ძალა გახდა.

პირველ პერიოდს, 1917-1923 წლებში, ცნებაზე მეტი თითქმის არ შეუქმნია. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში – როგორებიც არიან ფინეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი და უნგრეთი – აგრარული ან სოციალისტური რევოლუციები მოხდა, ხოლო სხვებში – რომელთა შორისაა იტალია, გერმანია და ავსტრია – ინდუსტრიულმა მუშათა კლასმა შეიძინა პოლიტიკური გავლენა. ამას მოყვა კონტრრევოლუციების მიერ შიდა ძალთა ბალანსის აღდგენა. ქვეყნების უმრავლესობაში გლეხობა ქალაქის მუშების წინააღმდეგ წავიდა; ზოგიერთ ქვეყანაში ფაშისტური მოძრაობები ოფიცრებმა და წვრილმა თავადაზნაურობამ დაიწყო, რომელიც წინ გაუძღვა გლეხობას; სხვაგან კი, როგორც იტალიაში, უმუშევრები და წვრილი ბურჟუაზია ფაშისტურ დაჯგუფებებად ჩამოყალიბდა. არსად კანონისა და წესრიგის გარდა არც ერთი სხვა საკითხი არ დასმულა, არანაირი რადიკალური რეფორმების მოწოდება არ გაკეთებულა; სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობდა ფაშისტური რევოლუციის მკაფიო ნიშნები. ეს მოძრაობები ფაშისტური იყო მხოლოდ ფორმით, იმ აზრით რომ სამოქალაქო დაჯგუფებებს, ეგრეთ წოდებულ უპასუხისმგებლო ელემენტებს, გავლენის მქონე პირები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. ფაშიზმის ანტიდემოკრატიული ფილოსოფია უკვე დაბადებული იყო, თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკური ფაქტორი. 1920 წელს კომინტერნის მეორე ყრილობაზე ტროცკიმ ვრცელი მოხსენება წაიკითხე იტალიაში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა არც კი

უხსენებია ფაშიზმი, მიუხედავად იმისა რომ ფაში [fasci] უკვე საკმაო ხანი არსებობდა. კიდევ ათი წელი ან მეტი დასჭირდა სანამ იტალიური ფაშიზმი, ქვეყნის მთავრობაში მოსვლიდან დიდი ხნის მერე, ჩამოაყალიბებდა განსაკუთრებულ სოციალურ სისტემას.

1924 წელს და შემდეგ, ევროპა და შეერთებული შტატები ხმაურიანი ბუმის სცენა იყო, სადაც საბაზრო სისტემის სიმყარისადმი ყველა კითხვა გაქრა. კაპიტალიზმი აღდგენილად გამოცხადდა. ბოლშევიზმი და ფაშიზმი პერიფერიულ რეგიონების გარდა ყველგან განადგურდა. კომინტერნმა კაპიტალიზმის კონსოლიდირება ფაქტად გამოაცხადა; მუსოლინიმ ხოტბა შეასხა კაპიტალიზმს; დიდი ბრიტანეთის გამოკლებით ყველა მნიშვნელოვანი ქვეყანა წინ მიდიოდა. შეერთებულმა შტატებმა ლეგენდარული აყვავების დრო გამოიარა, ხოლო კონტინენტზე თითქმის ასევე კარგად მიდიოდა საქმეები. ჰიტლერის პუტჩი ჩაახშვეს; საფრანგეთმა რურის გაათავისუფლა; რაიხსმარკა ლამის სასწაულებრივად აღდგა; დაუესის გეგმამ რეპარაციები და პოლიტიკა გამიჯნა; ლოკარნო შეთანხმებები ახლოს იყო; ხოლო გერმანია აღმასვლის შვიდ წელიწადში შედიოდა. 1926 წლამდე ოქროს სტანდარტი მოსკოვიდან ლისაბონამდე იყო გაბატონებული.

სწორედ მესამე პერიოდში – 1929 წლის შემდეგ – გახდა ფაშიზმის ნამდვილი მნიშვნელობა ნათელი. საბაზრო სისტემის ჩიხი აშკარა იყო. იქამდე ფაშიზმი მხოლოდ იტალიის ავტორიტარული მთავრობის შტრიხი იყო, რაც მცირედით განსხვავებოდა სხვა უფრო ტრადიციული ტიპებისგან. ის ახლა წარსდგა ინდუსტრიული საზოგადოების პრობლემის ალტერნატიულ გადაწყვეტად. გერმანია წინა გაუძღვა ევროპის მასშტაბის რევოლუციას, ხოლო ძალაუფლებისთვის მის ბრძოლას ფაშისტურმა ბლოკმა დინამიკურობა შესძინა, რამაც მალევე ხუთივე კონტინენტი მოიცვა. ისტორიის მსვლელობა სოციალურ ძვრებს დაექვემდებარა.

გაუთვალისწინებელმა თუმცა არა შემთხვევითმა მოვლენამ საერთაშორისო სისტემის ნგრევის პროცესი დაიწყო. უოლ სტრიტის ვარდნამ უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია, რასაც დიდი ბრიტანეთის მიერ ოქროს სტანდარტიდან გამოსვლა მოყვა. ორი

წლის შემდეგ, მსგავსი სვლა გააკეთა შეერთებულმა შტატებმაც. ამავდროულად, განიარაღების კონფერენციამ შეხვედრები შეწყვიტა, ხოლო 1933 წელს გერმანიამ ერთა ლიგა დატოვა.

ამ სიმბოლურმა მოვლენებმა მსოფლიო წესრიგში უზარმაზარი ცვლილებების ეპოქა დაიწყო. სამი ძალა, იაპონია, გერმანია და იტალია, სტატუს კვოს წინააღმდეგ აჯანყდა და დაანგრია მშვიდობის მორღვეული ინსტიტუტები. ამავდროულად მსოფლიო ეკონომიკის ფაქტობრივი ორგანიზება ფუნქციონირებაზე უარს ამბობდა. ოქროს სტანდარტი სულ მცირე დროებით შეაჩერეს მისმა ანგლო-საქსონმა შემქმნელებმა; დეფოლტის საშიშროების წინაშე, საგარეო ვალებზე პასუხიმგებლობა მოიშორეს; კაპიტალის ბაზრები და მსოფლიო ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა. პლანეტის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისტემამ ერთდროული შლა დაიწყო.

თავად ქვეყნებში ცვლილებები არანაკლებ ღრმა იყო. ორპარტიული სისტემები ერთპარტიული მთავრობებით ჩანაცვლდა, ზოგჯერ ეროვნული თანხმობის მთავრობებით. მიუხედავად ამისა, გარეგანი მსგავსებები დიქტატორულ ქვეყნებსა და იმ ქვეყნებს შორის რომლებიც ინარჩუნებდნენ დემოკრატიულ საჯარო სივრცეს ემსახურებოდა მხოლოდ იმას რომ ხაზი გასმოდა თავისუფალი მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების გაზვიადებულ მნიშვნელობას. რუსეთმა სოციალიზმი დიქტატორულ ფორმებში გარდაქმნა. ლიბერალური კაპიტალიზმი გაქრა იმ ქვეყნებში რომლებიც გერმანიის, იაპონიისა და იტალიის მსგავსად ომისთვის ემზადებოდნენ, უფრო ნაკლები ხარისხით შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთშიც. თუმცა, ახლად გაჩენილი ფაშიზმის, სოციალიზმის და ახალი შეთანხმების [New Deal] რეჟიმები ერთმანეთის მსგავსი მხოლოდ ლესე-ფერის [laissez-faire] პრინციპების უარყოფით იყვნენ.

მართალია ეს ისტორიული პროცესი ყველას მიმართ გარეგანი მოვლენით დაიწყო, ცალკეულმა ერებმა ამ გამოწვევას მათი მდებარეობიდან გამომდინარე უპასუხეს. ზოგს არ სურდა ცვლილება, ზოგს დიდი დრო დასჭირდა ახალ გარემოებებთან

შესაგუებლად; ზოგი გულგრილი იყო. ასევე ისინი ყველა მიმართულებით ეძებდნენ გამოსავალს. თუმცა, საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეს ერთი შეხედვით რადიკალურად განსხვავებული გადაჭრის გზები უბრალოდ მოცემულ ალტერნატივებს წარმოადგენდა.

მათ შორის, ვინც მოწოდებული იყო საერთო კრიზისი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა, იყო უკმაყოფილო დიდი სახელმწიფოების ჯგუფი, რომელთათვისაც ძალთა ბალანსის სისტემის დასრულება, თუნდაც ერთა ლიგის დასუსტებული ფორმით, იშვიათ შესაძლებლობად მოჩანდა. გერმანია ახლა უკვე მოწადინებული იყო დაეჩქარებინა ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკის დაცემა, რომელიც ჯერ კიდევ ამაგრებდა საერთაშორისო წესრიგს, და ელოდებოდა ამ ეკონომიკის ჩამოშლას რათა უპირატესობა ჰქონოდა მის მოწინააღმდეგეებთან მიმართებით. ის მიზანმიმართულად ჩამოშორდა კაპიტალურ, სასაქონლო და სავალუტო საერთაშორისო სისტემას, რათა შეემცირებინა მასზე გარე სამყაროს გავლენა იმ დროისთვის როცა პოლიტიკურ ვალდებულებებზე უარის თქმისთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა. მან განავითარა ეკონომიკური ავტარკია რათა ამით მისი შორსმიმავალი გეგმებისთვის საჭირო თავისუფლება უზრუნველეყო. მან გაფლანგა საკუთარი ოქროს რეზერვები, გაანადგურა მისი საგარეო ვალი ვალდებულებების უმიზეზო უარყოფით და, გარკვეული დროის განმავლობაში, მოსპო მისი დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი. მან ადვილად შეძლო თავისი ნამდვილი მიზნების შენიღბვა, რადგან არც უოლ სტრიტს, არც ქალაქ ლონდონს და არც ჟენევას ეჭვი არ მიუტანიათ იმაზე რომ ნაცისტები ფსონს დებდნენ მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიკის საბოლოო განადგურებაზე. სერ ჯონ საიმონსა და მონტაგუ ნორმანს დაბეჯითებით სჯეროდათ რომ შახტი საბოლოოდ მაინც აღადგენდა ორთოდოქსულ ეკონომიკას გერმანიაში, რომელიც წნეხის ქვეშ იყო და, თუ მხოლოდ ფინანსურად დაეხმარებოდნენ, დაუბრუნდებოდა მის ადრინდელ მდგომარეობას. ასეთი ილუზიები დაუნინგ სტრიტზე მიუნხენამდე და მერეც შენარჩუნ-

და. მაშინ როცა გერმანიისთვის ძალზედ ხელსაყრელი აღმოჩნდა მისი ფარული გეგმების განსახორციელებლად მისი უნარი მორგებოდა ტრადიციული სისტემის ნგრევას, დიდი ბრიტანეთი ხელფეხშეკრული აღმოჩნდა სისტემისადმი მისი ერთგულების გამო.

მართალია ინგლისი დროებით ჩამოშორდა ოქროს სტანდარტს, მისი ეკონომიკა და ფინანსები აგრძელებდა სტაბილური გაცვლითი კურსისა და მყარი ვალუტის პრინციპებზე ყოფნას. აქედან გამომდინარეობს მისი ხელფეხშეკრულობა ხელახალ შეიარაღებასთან მიმართებით. ისევე როგორც გერმანული ავტარკია სამხედრო და პოლიტიკური გათვლებს შედეგი იყო, რომელიც გამომდინარეობდა მისი განზრახვიდან ხელი შეეშალა საყოველთაო ტრანსფორმაციისთვის, ბრიტანეთის სტრატეგია და საგარეო პოლიტიკა შეზღუდული იყო მისი კონსერვატიული ფინანსური ხედვით. შეზღუდული ომის სტრატეგია ასახავდა კუნძულოვანი იმპერიის წარმოდგენას, რომელიც თავის თავს უსაფრთხოდ მიიჩნევდა სანამ მას ჰქონდა საკმარისად ძლიერი საზღვაო ძალები, რომელიც უზრუნველყოფდა შვიდ ზღვაში მყარი ვალუტით შეძენილი საქონლით უსაფრთხო მომარაგებას. ჰიტლერს უკვე ძალაუფლება ჰქონდა, როცა 1933 წელს, დაფ კუპერი, გულმოდგინედ იცავდა 1932 წლის შეიარაღებული ძალების ბიუჯეტის შემცირებას, რაც განხორციელდა "ეროვნული გაბანკროტების საფრთხის წინაშე, რაც მაშინ უფრო დიდი საფრთხედ მიიჩნეოდა ვიდრე არაეფექტური საბრძოლო სამსახური". სამი წლის შემდეგ ლორდი ჰალიფაქსი ამტკიცებდა რომ მშვიდობის მიღწევა შესაძლებელი იყო ეკონომიკური რეფორმებით და რომ არ უნდა მომხდარიყო ვაჭრობაში ჩარევა, რადგან ეს ასეთ რეფორმებს უფრო გაართულებდა. მიუნხენის შეთანხმების წელს, ჰალიფაქსი და ჩემბერლენი ბრიტანეთის პოლიტიკას კვლავ გერმანიისთვის"ვერცხლის ტყვიებისა" და ტრადიციულ ამერიკული სესხების ცნებებში აყალიბებდნენ. მართლაც, მაშინაც კი როცა ჰიტლერმა რუბიკონი გადალახა და პრაღა დაიკავა, სერ ჯონ საიმონმა მხარი დაუჭირა თემთა პალატაში მონტაგუ ნორმანის მონაწილეობას

ჩეხეთის ოქროს რეზერვების ჰიტლერისთვის გადაცემაში. საიმონს სჯეროდა რომ ოქროს სტანდარტის დაცვა, რის აღდგენასაც მან მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა, ყველა სხვა საკითხზე წონადი იყო. მის თანამედროვეებს ეგონათ რომ საიმონის ქმედება დაშოშმინების პოლიტიკით იყო ნაკარნახევი. სინამდვილეში ეს ერთგულება იყო ოქროს სტანდარტის სულისკვეთებისადმი, რომელიც კვლავ ასაზრდოებდა ქალაქ ლონდონის გავლენიანი კაცების მსოფლმხედველობას, როგორც სტრატეგიულ, ისე პოლიტიკურ საკითხებში. ზუსტად ომის გაჩაღების კვირას, საგარეო სამსახურმა, ჰიტლერის ჩემბერლენთან სიტყვიერი კომუნიკაციის პასუხად, ბრიტანეთის პოლიტიკა გერმანიისთვის ტრადიციული ამერიკული სესხების სახით ჩამოაყალიბა. ინგლისის სამხედრო მოუმზადებლობა უმეტესად შედეგი იყო მისი ოქროს სტანდარტის ეკონომიკისადმი ერთგულების.

გერმანიამ მიიღო ის უპირატესობა რასაც იღებენ ხოლმე ისინი ვინც ხელს უწყობენ დასრულდეს ის რაც დასრულებისთვისაა განწირული. მისმა ფორამ იქამდე გასტანა სადამდეც გაცვეთილი მეცხრამეტე საუკუნის სისტემის განადგურება მას უპირატესობას აძლევდა. ლიბერალური კაპიტალიზმის, ოქროს სტანდარტისა და აბსოლუტურ სუვერენიტეტთა განადგურება მისი მტაცებლური რეიდების თანმხლები შედეგი იყო. თვითიზოლაციაზე მორგებით და ცხადია, შემდეგ, მონათვაჭრობითი ექსპედიციებით, მან განავითარა ექსპერიმენტული მეთოდები იმ პრობლემათა გადასაჭრელად რომელიც ტრანსფორმაციამ გააჩინა.

თუმცა, მისი მთავარი პოლიტიკური კაპიტალი ძევს მის უნარში დაერწმუნებინა მსოფლიოს ქვეყნებში შეკავშირებულიყვნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. გერმანიამ თავისი თავი ტრანსფორმაციის პირველ მოსარგებლედ აქცია იმით რომ ის წინ გაუძღვა საბაზრო ეკონომიკის პრობლემის გადაჭრას, რომელიც დიდ ხნის მანძილზე უპირობო მხარდაჭერას იღებდა ხოლმე მდიდარი კლასებისგან, და ზოგჯერ არა მხოლოდ მათგან. ლიბერალური და მარქსისტული პოსტულატიდან გამომდინარე რომ ეკონომიკური კლასობრივი ინტერესები უპირატესი იყო, ჰიტლერი გა-

მარჯვებისთვის იყო განწირული იყო. გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული სოციალური ქსოვილი უფრო გამძლე აღმოჩნდა ვიდრე კლასობრივი ეკონომიკური ქსოვილი.

რუსეთის აღმასვლა დაკავშირებული იყო ტრანსფორმაციაში მის როლთან. 1917 დან 1929 წლამდე ბოლშევიზმის შიში სხვა არაფერი იყო თუ არა განუკითხაობის შიში, რასაც საბედისწეროდ შეეძლო საბაზრო ეკონომიკის აღდგენა, რომელიც ვერ იმუშავებდა მისადმი უპირობო ნდობის კლიმატის გარეშე. მომდევნო ათწლეულებში რუსეთში სოციალიზმი რეალობა გახდა. ფერმების კოლექტივიზება გულისხმობდა საბაზრო ეკონომიკის ჩანაცვლებას კოოპერაციული მეთოდებით მიწასთან როგორც ფუნდამენტურ ფაქტორთან მიმართებით. რუსეთი, რომელიც უბრალო ადგილი იყო საიდანაც რევოლუციური აგიტაცია კაპიტალისტურ სამყაროში იწარმოებოდა, ახლა წარსდგა როგორც ახალი სისტემა რომელსაც შეეძლო საბაზრო ეკონომიკის ჩანაცვლება.

ხშირად არ იციან ხოლმე რომ ბოლშევიკები, რომლებიც თავად გულმხურვალე სოციალისტები იყვნენ, ჯიუტად უარყოფდნენ "სოციალიზმის რუსეთში დამყარების იდეას". მხოლოდ მათი მარქსისტული წარმოდგენებიც კი საკმარისი იყო რომ ასეთი შესაძლებლობა გამოერიცხათ ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანაში. 1920იანი წლების ე.წ. "ომის კომუნიზმის" სრულიად განსაკუთრებული პერიოდის გამოკლებით, ლიდერები მისდევდნენ ხედვას რომ მსოფლიო რევოლუცია უნდა დაიწყოს ინდუსტრიალიზებულ დასავლეთ ევროპაში. სოციალიზმი ერთ ქვეყანაში მათთვის წინააღმდეგობრივი წინადადება იქნებოდა, და როცა ეს რეალობა გახდა, თითქმის ყველა ძველმა ბოლშევიკებიდან უარყო ის. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს გადახვევა იყო ის რამაც საოცარი წარმატება აჩვენა.

როცა რუსეთის ისტორიის საუკუნის მეოთხედს უკან ვუყურებთ, ჩანს რომ რასაც ჩვენ რუსულ რევოლუციას ვეძახით, სინამდვილეში ორი სხვა რევოლუციისგან შედგებოდა, საიდანაც პირველი ტრადიციული დასავლურ ევროპული იდეალების განსახიერება იყო, ხოლო მეორე, ოცდაათიანი წლების სრულიად ახალი

გზის ნაწილი იყო. 1917-1924 წლების რევოლუცია მართლა ბოლო იყო ევროპის პოლიტიკურ ძვრებში, რომელიც მიჰყვა ინგლისის თანამეგობრობისა და საფრანგეთის რევოლუციის მოდელს; რევოლუცია რომელიც 1930იან წლებში ფერმების კოლექტივიზებით დაიწყო, პირველი იყო იმ დიდ სოციალურ ცვლილებებს შორის რომლებმაც ჩვენი მსოფლიო ოცდაათიან წლებში გარდაქმნეს. პირველმა რუსულმა რევოლუციამ გაანადგურა აბსოლუტიზმი, ფეოდალური მიწის მფლობელობა და რასობრივი ჩაგვრა – 1789 წლის იდეალების ჭეშმარიტი მემკვიდრე; მეორე რევოლუციამ კი სოციალისტური ეკონომიკა დააფუძნა. საბოლოო ჟამში, პირველი უბრალოდ რუსული მოვლენა იყო – მან რუსულ მიწაზე დასავლური განვითარების გრძელი პროცესი დააგვირგვინა – თუმცა მეორე რევოლუცია ნაწილი გახდა თანადროული მსოფლიო ტრანსფორმაციისა.

ჩანს ხოლმე თითქოს 1920იან წლებში რუსეთი ევროპისგან გარეთ იდგა და საკუთარ ხსნაზე მუშაობდა. უფრო სიღრმისეულმა ანალიზმა ეს წარმოდგენა შეიძლება გააბათილოს. იმ ფაქტორებს შორის რამაც მას ორ რევოლუციას შორის ეს გადაწყვეტილება აიძულა იყო საერთაშორისო სისტემის ჩავარდნა. 1924 წლისთვის "ომის კომუნიზმი" დავიწყებას მიეცა და რუსეთმა აღადგინა ხორბლის თავისუფალი შიდა ბაზარი და ამავდროულად ინარჩუნებდა სახელმწიფო კონტროლს საგარეო ვაჭრობასა და საკვანძო ინდუსტრიებზე. ის ახლა ცდილობდა გაეზარდა საგარეო ვაჭრობა, რაც ძირითადად მარცვლეულის, ხე-ტყის, ტყავისა და სხვა ბუნებრივი წიაღისეულისგან შედგებოდა, რომელთა ფასებმა დიდი ვარდნა განიცადა აგრარული დეპრესიისას, რაც წინ უძღოდა ვაჭრობის ზოგად მოშლას. რუსეთის უძლურებამ საექსპორტო ვაჭრობა ხელსაყრელი პირობებით განევითარებინა ხელს უშლიდა მანქანა-დანადგარების იმპორტს და შესაბამისად ეროვნული ინდუსტრიების შექმნას; ამან თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლაზეც – ე.წ. "მაკრატლის კრიზისი" – შედეგად გაიზარდა გლეხების წინააღმდეგობა ქალაქის მუშათა მმართველობასთან. ამ მხრივ

მსოფლიო ეკონომიკის მოშლამ გაზარდა წნეხი რუსეთში აგრარული საკითხის დროებითი მოგვარების ზომებზე და დააჩქარა კოლხოზების გამოჩენა. ევროპის ტრადიციული პოლიტიკური სისტემის ჩამოშლამ რომელსაც მშვიდობა და უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო, მოთხოვნა გაზარდა შეიარაღებაზე, რითაც მტკივნეული ინდუსტრიალიზების სირთულეები კიდევ უფრო დაამძიმა. მეცხრამეტე საუკუნის ძალთა ბალანსის სისტემის გაქრობამ, ისევე როგორც მსოფლიო ბაზრის უუნარობამ შეესრუტა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მას აიძულა უხალისოდ წასულიყო თვითკმარობის გზაზე. სოციალიზმი ერთ ქვეყანაში მოიტანა საბაზრო ეკონომიკის უუნარობამ უზრუნველეყო მსოფლიოს ქვეყნებს შორის კავშირი; ის რაც რუსულ ავტარკიად ჩანდა მხოლოდ კაპიტალისტური ინტერნაციონალიზმის დასრულება იყო.

საერთაშორისო სისტემის მარცხმა ისტორიის ენერგია გამოათავისუფლა – მისი რელსები კი უკვე საბაზრო საზოგადოების შინაგან ტენდენციებს ჰქონდა დაგებული.

თავი 21
თავისუფლება კომპლექსურ საზოგადოებაში

მეცხრამეტე საუკუნის ცივილიზაცია ბარბაროსებს არ გაუნადგურებიათ, არც გარედან და არც შიგნიდან; მისი სასიცოცხლო ენერგია არ ამოწურულა პირველი მსოფლიო ომის უბედურებებით და არც სოციალისტური პროლეტარიატის ან ფაშისტური საშუალო კლასის აჯანყებით. მისი მარცხის მიზეზი არ იყო რაღაც ეკონომიკური კანონი, მოგების ნორმის ვარდნის თაობაზე; დაბალი ან ჭარბი მოხმარება. მისი მორღვევა სრულიად სხვა რიგი მიზეზების გამო მოხდა: მიზეზი იყო ის ზომები, რომელიც საზოგადოებამ მიიღო რათა, თავის მხრივ, არ განადგურებულიყო თვითრეგულირებადი ბაზრის მიერ. გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა რომელიც ჩრდილო ამერიკის ღია საზღვრების საუკუნეს ახასიათებდა, კონფლიქტმა ბაზარსა და ორგანიზებული სოციალური ცხოვრების ელემენტარულ საჭიროებებს შორის ამ საუკუნეს მამოძრავებელი ძალა მისცა და წარმოშვა სახასიათო დაძაბულობა და სტრესი რამაც საბოლოოდ გაანადგურა ის საზოგადოება. საგარეო ომებმა მხოლოდ დააჩქარა მისი ნგრევა.

ბრმა "გაუმჯობესების" საუკუნის შემდეგ კაცი იბრუნებს მის "საცხოვრებელ სივრცეს". თუ გვინდა რომ ინდუსტრიალიზმმა არ

გაანადგუროს კაცთა მოდგმა, ის უნდა დაექვემდებაროს ადამიანის ბუნების მოთხოვნებს. საბაზრო საზოგადოების სწორი კრიტიკა ის კი არაა რომ ის ეკონომიკაზე იყო დაფუძნებული – რაღაც აზრით, ყველა და ნებისმიერ საზოგადოება მას უნდა ეფუძნებოდეს – არამედ ის რომ მისი ეკონომიკა თვით-ინტერესზე იყო დაფუძნებული. ეკონომიკური ცხოვრების ასეთი ორგანიზება სრულად არაბუნებრივი და ვიწრო ემპირიული თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნეები წარმოიდგენდნენ რომ ადამიანი თავის ეკონომიკურ აქტივობაში მოგებას ესწრაფოდა, რომ მისი მატერიალისტური მიდრეკილებები მას უფრო ნაკლები ძალისხმევის გაწევაში წაახალისებდა და გაუჩენდა მოლოდინს რომ მისი შრომა უნდა ანაზღაურებულიყო; მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წარმოდგენის მიხედვით მის ეკონომიკურ საქმიანობაში ადამიანი იხელმძღვანელებდა, რასაც ისინი ეძახდნენ, ეკონომიკური რაციონალობით, ხოლო ყველა მასთან შეუსაბამო ქცევა გარეგანი ჩარევის შედეგი იქნებოდა. აქედან გამომდინარეობდა რომ ბაზარი ბუნებრივი ინსტიტუცია იყო, რომ ისინი სპონტანურად წარმოიქმნებოდა თუ ადამიანებს უბრალოდ თავის ნებაზე დატოვებდნენ. ამგვარად, იმაზე ნორმალური არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო ვიდრე ეკონომიკური სისტემა რომელიც ბაზრებისგან შედგებოდა და რომელსაც მხოლოდ საბაზრო ფასები აკონტროლებდა. შესაბამისად, ადამიანთა საზოგადოება რომელიც ასეთ ბაზრებს ეფუძნებოდა ნებისმიერ პროგრესის მიზანი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა სასურველი იყო თუ არა ასეთი საზოგადოება მორალური თვალსაზრისით, მისი პრაქტიკულობა – და ეს აქსიომად მიიჩნეოდა – ეფუძნებოდა კაცთა მოდგმის თანშობილ მახასიათებლებს.

დღეს ჩვენ ვიცით რომ სინამდვილეში, ადამიანის ქცევა როგორც მის პრიმიტიულ მდგომარეობაში, ისე ისტორიის მანძილზე, ამ ხედვაში ნაგულისხმევი ქცევის თითქმის სრულიად საპირისპირო იყო. ფრენკ ჰ. ნაითის გამოთქმა რომ "არც ერთი განსაკუთრებულად ადამიანური მოტივი არაა ეკონომიკური" მიესადაგება არა მხოლოდ ზოგადად სოციალურ ცხოვრებას, არამედ

თავად ეკონომიკურ ცხოვრებასაც. ბარტერისადმი მიდრეკილება, რაზეც ადამ სმიტმა ასე თავდაჯერებულად დააფუძნა თავისი წარმოდგენები პრიმიტიული ადამიანის შესახებ, ეკონომიკურ საქმიანობაში არის არა ადამიანის საყოველთაოდ გავრცელებული ქცევა, არამედ, პირიქით, ყველაზე იშვიათი. არათუ თანამედროვე ანთროპოლოგიის მოპოვებული ფაქტები აბათილებს ამ რაციონალისტურ კონსტრუქტებს, არამედ ვაჭრობისა და ბაზრების ისტორიაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა იმ წარმოდგენებისგან, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის სოციოლოგების ჰარმონიულ სწავლებებში იყო ნაგულისხმები. ეკონომიკური ისტორია აჩვენებს რომ ეროვნული ბაზრების გაჩენა არანაირად არ იყო შედეგი სამთავრობო კონტროლისგან ეკონომიკური სფეროს თანდათანობითი და სპონტანური გათავისუფლებისა. პირიქით, ბაზარი იყო შედეგი სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული და ხშირად ძალადობრივი ჩარევისა, რითაც მან თავისი არაეკონომიკური მიზნებისთვის საზოგადოებას საბაზრო პრინციპით ორგანიზება აიძულა. ხოლო, თუ ახლოდან შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის თვითრეგულირებადი ბაზარი რადიკალურად განსხვავებული იყო თუნდაც მისი უშუალო წინამორბედისგან იმით, რომ მისი რეგულირების მექანიზმი ეკონომიკური თვითინტერესი იყო. მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოების სისუსტე ის კი არ იყო რომ ინდუსტრიული იყო, არამედ ის რომ საბაზრო საზოგადოება იყო. ინდუსტრიული ცივილიზაცია არსებობას მაშინაც განაგრძობს როცა თვითრეგულირებადი ბაზრის უტოპიური ექსპერიმენტი მოგონებად დარჩება.

ინდუსტრიული ცივილიზაციის ახალ არასაბაზრო საფუძველზე გადასვლაზე ფიქრი ბევრისთვის ზედმეტად უიმედო ამოცანაა. მათ ინსტიტუციური ვაკუუმის ეშინიათ, ან, უარესი, თავისუფლების დაკარგვის. განა შეუძლებელია ამ საფრთხეების თავიდან არიდება?

უზარმაზარი ტანჯვის დიდი ნაწილი რომელიც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს, უკვე უკან მოვიტოვეთ. ჩვენი ეპოქის სოციალურ და ეკონომიკურ რყევებში, დიდი დეპრესიის ტრაგიკულ

ბედის უკულმართობაში, ვალუტის მერყეობაში, მასობრივ უმუშევრობაში, სოციალური სტატუსის სწრაფ ცვლილებებში, ისტორიული სახელმწიფოების უზარმაზარ ნგრევებში – ყველაზე ცუდი უკვე გამოვცადეთ. ცვლილების ფასს ჩვენდა უნებლიედ ვიხდიდით. რაოდენ შორს არ უნდა იყოს კაცობრიობა მანქანების გამოყენებასთან შეგუებისგან, და რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მომავალი ცვლილებები, წარსულის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ყველა ჩვენი პრობლემის სხვა პლანეტაზე გადატანა. აგრესიისა და დაპყრობის დემონური ძალების განადგურების ნაცვლად, ასეთი ფუჭი მცდელობა მხოლოდ უზრუნველყოფს ამ ძალების გადარჩენას მაშინაც, თუ ისინი სამხედრო თვალსაზრისით სრულად დამარცხდებიან. ბოროტების მიზეზი ჩაითვლება უპირატესობად, პოლიტიკაში ესოდენ მნიშვნელოვანი, რომელიც იმას წარმოადგენს რაც შესაძლებელია და შეპირისპირებული იქნება იმასთან რისი მიღწევაც შეუძლებელია, მიუხედავად იმისა რაოდენ კარგიც არ უნდა იყოს განზრახვა.

არც ტრადიციული სისტემის ჩამოშლას დავუტოვებივართ სიცარიელეში. ისტორიაში პირველად არ ხდება როცა დროებითი სისტემები შეიცავენ დიდი და გრძელვადიანი ინსტიტუტების ჩანასახს.

სხვადასხვა ერებში ჩვენ ვხედავთ პროცესებს სადაც ეკონომიკური სისტემა აღარ უწესებს კანონს საზოგადოებას და სისტემაზე საზოგადოების უპირატესობა უზრუნველყოფილი ხდება. ეს ბევრნაირად შეიძლება მოხდეს, დემოკრატიულად და არისტოკრატიულად, კონსტიტუციონალისტურად და ავტორიტარულად და ალბათ კიდევ რაღაც გზებით რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ზოგიერთი ქვეყნის მომავალი შეიძლება უკვე აწმყო იყოს სხვებში, ხოლო ზოგი შეიძლება ყველა დანარჩენის წარსულს განასახიერებდეს. მიუხედავად ამისა, შედეგი ყველგან ერთია: საბაზრო სისტემა პრინციპის დონეზეც აღარ იქნება თვითრეგულირებადი, რადგან მასში აღარ იქნება ჩართული შრომა, მიწა და ფული.

ბაზრიდან შრომის გამოყვანა ისეთივე რადიკალური ტრანსფორმაციაა, როგორიც კონკურენტული შრომითი ბაზრის ჩამოყალიბება იყო. დაქვემდებარებული და დამხმარე როლის მიღმა შრომითი კონტრაქტი წყვეტს კერძო კონტრაქტად ყოფნას. არათუ შრომითი პირობები, სამუშაო დრო და კონტრაქტის ფორმები, არამედ თავად ხელფასიც ბაზრის მიღმა წყდება; მაშასადამე, ის თუ რა როლი აქვს პროფკავშირებს, სახელმწიფოსა და სხვა საჯარო ორგანოებს დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ინსტიტუტების ბუნებაზე, არამედ წარმოების რეალური მენეჯმენტის ორგანიზებაზეც. მართალია სახელფასო განსხვავებები არსებით როლს შეასრულებს (და უნდა შეასრულოს) ეკონომიკურ სისტემაში, სხვა მოტივებმა, რომლებიც პირდაპირ ფულად შემოსავალს არ გულისხმობენ, შეიძლება გადაწონონ შრომის ფინანსური ასპექტები.

ბაზრიდან მიწის გამოყვანა იგივეა რაც მიწის შეყვანა ისეთ განსაზღვრულ ინსტიტუტებში როგორებიცაა ჰომსტედი [homestead], კოოპერატივი, ქარხანა, რაიონი [township], სკოლა, ეკლესია, პარკი, ბუნებრივი ნაკრძალი და ასე შემდეგ. რაოდენ გავრცელებულიც არ უნდა დარჩეს ფერმერების მიერ მიწის ინდივიდუალური მფლობელობა, მიწის ფლობასთან დაკავშირებულ შეთანხმებებში მხოლოდ მეორეხარისხოვან დეტალებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, რადგან არსებითი საკითხები ბაზრის იურისდიქციიდანაა გაყვანილი. იგივე შეიძლება ითქვას კვების ძირითად პროდუქტებსა და ბუნებრივ ნედლ მასალებზე, რადგან ბაზარს არ აქვს ფასების ფიქსაციის უფლება. თუ პროდუქციის უზარმაზარი მრავალფეროვნებისთვის, კონკურენტუნარიანი ბაზრები განაგრძობენ ფუნქციონირებას, მაშინ ეს სოციალურ სისტემაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს, ვიდრე შრომის, მიწისა და ფულის ფასების ბაზრის გარედან ფიქსირება ახდენს გავლენას სხვადასხვა პროდუქტებთან მიმართებით ფასწარმოების ფუნქციაზე. ცხადია, ასეთი ზომების მიღება საკუთრების ხასიათს მნიშვნელოვნად ცვლის, რადგან საჭირო აღარაა დაშვებული იყოს საკუთრების უბრალო ფლობით მიღებული შემოსავალი

უკონტროლოდ იზრდებოდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო რომ უზრუნველყოფილი იყოს დასაქმება, წარმოება და საზოგადოებაში რესურსების გამოყენება.

ბაზრისთვის ფულზე კონტროლის ჩამორთმევა დღეისთვის თითქმის ყველა ქვეყანაშია მიღწეული. უმეტესწილად ეს ანაბრების გაჩენამ გახადა შესაძლებელი, თუმცა 1920იან წლებში ოქროს სტანდარტის კრიზისმა დაამტკიცა რომ საქონელ-ფულსა და პირობით-ფულს შორის კავშირი არ გაწყვეტილა. ყველა მნიშვნელოვან შტატში "ფუნქციური ფინანსების" შემოღების მერე, ინვესტირების მიმართულება და დანაზოგების მოცულობის რეგულირება სახელმწიფოს ამოცანა გახდა. ბაზრიდან წარმოების ელემენტთა – მიწის, შრომისა და ფულის – გამოყვანა ბაზრის პერსპექტივიდან ერთგვაროვანი აქტი იყო, რადგან მათ განიხილავდა ისე თითქოს ისინი საქონლები იყვნენ. ადამიანური რეალობის პერსპექტივიდან კი, ის რაც სასაქონლო ფუნქციის ჩამოშორებით აღიდგენს თავს, სოციალური ცხოვრების ყველა მხარეს ეხება. შედეგად, ერთგვაროვანი საბაზრო ეკონომიკის შლა გზას უხსნის საზოგადოებათა ახალ ფორმებს. აღსანიშნავია რომ საბაზრო საზოგადოების დასასრული არანაირად არ ნიშნავს ბაზრების არ არსებობას. ისინი სხვადასხვა ფორმით კვლავ აგრძელებენ მომხმარებელთათვის თავისუფლების უზრუნველყოფას, მოთხოვნათა ცვალებადობის ჩვენებით, მწარმოებელთა შემოსავალზე ზემოქმედებით, და ასრულებენ ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ფუნქციას; ამავდროულად, ისინი მთლიანად წყვეტენ ეკონომიკური თვითრეგულირების მექანიზმებად ყოფნას.

XIX საუკუნის საზოგადოება როგორც მის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში ეკონომიკით იყო შეზღუდული. ფიქსირებული გაცვლითი კურსი ცივილიზაციის თანადროულია. იქამდე სანამ ოქროს სტანდარტი და – რაც თითქმის მისი თანმხლები გახდა – საკონსტიტუციო მოწყობა ძალაში იყო, ძალთა ბალანსი მშვიდობას უზრუნველყოფდა. სისტემამ იმუშავა დიდი სახელმწიფოების მეშვეობით, პირველ რიგში ბრიტანეთის, რომელიც მსოფლიოს ფინანსური ცენტრი იყო და ნაკლებ განვითარებულ ქვეყნების-

გან წარმომადგენლობითი დემოკრატიების შექმნას დაჟინებით ითხოვდა. ეს მოთხოვნა აუცილებელი იყო მოვალე ქვეყნების ფინანსებისა და ვალუტების – და აქედან გამომდინარე ბიუჯეტების – კონტროლისთვის. თუმცა, როგორც წესი ასეთი წარმოდგენები გაუცნობიერებლად არსებობდა სახელმწიფო მოღვაწეების თავებში, ეს ასე ხდებოდა მხოლოდ იმიტომ რომ ოქროს სტანდარტის მუშაობისთვის აუცილებელი მოთხოვნები აქსიომად ითვლებოდა. მონეტარული და წარმომადგენლობით ინსტიტუტების ერთგვაროვანი მსოფლიო მოდელი იმ პერიოდის ტლანქი ეკონომიკის შედეგი იყო.

ასეთ პირობებში XIX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ორი პრინციპი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა: ანარქისტული სუვერენულობა და სხვა ქვეყნის საქმეებში "გამართლებული" ინტერვენცია. მართალია ეს ორი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ისინი ურთიერთდაკავშირებულები იყვნენ. ცხადია, სუვერენულობა წმინდად პოლიტიკური ცნება იყო, რადგან არარეგულირებული საგარეო ვაჭრობისა და ოქროს სტანდარტის პირობებში მთავრობები უძლურები იყვნენ საერთაშორისო ეკონომიკასთან მიმართებით. ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ და არც უნდოდათ თავიანთი ქვეყნებისთვის მონეტარული ვალდებულებების დაკისრება – ასეთი იყო მათი ფორმალური სამართლებრივი პოზიცია. რეალურად, მხოლოდ ის ქვეყნები მიიჩნეოდნენ სუვერენულად რომლებსაც ცენტრალური ბანკების მიერ კონტროლირებული მონეტარული სისტემები ჰქონდათ. ძლიერი დასავლური ქვეყნების შემთხვევაში ეს ულიმიტო და შეუზღუდავი ეროვნული მონეტარული სუვერენულობა მისივე საპირისპიროს ერწყმოდა, კერძოდ, მძლავრ ზეწოლა რის გამოც მათ საბაზრო ეკონომიკისა და საბაზრო საზოგადოების ქსოვილი დანარჩენ მსოფლიოში უნდა გაევრცელებინათ. შედეგად, XIX საუკუნის ბოლოსთვის მოხდა მსოფლიო ხალხების აქამდე არნახული ინსტიტუციური სტანდარტიზება.

ასეთი სისტემა სირთულეებს აწყდებოდა მისი სირთულისა და უნივერსალურობის გამო. ანარქისტული სუვერენიტეტი ნე-

ბისმიერი რეალური საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა, რაც ერთა ლიგის ისტორიამ ნათლად დაადასტურა; ხოლო ქვეყანათა საშინაო სისტემების იძულებითი სტანდარტიზება მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა თავისუფალი ეროვნული განვითარებისთვის, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ქვეყნებში და ზოგჯერ მოწინავე, მაგრამ ფინანსურად სუსტ ქვეყნებშიც. ეკონომიკური თანამშრომლობა კერძო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის შემოიფარგლებოდა, რაც ისეთივე უშედეგო და არაეფექტური იყო როგორიც თავისუფალი ვაჭრობა, მაშინ როდესაც ხალხებს შორის, ესე იგი, ხელისუფლებებს შორის, რეალური თანამშრომლობის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა.

ასეთმა ვითარებამ საგარეო პოლიტიკას ორი მკაფიოდ შეუთავსებელი მოთხოვნა შეიძლება წაუყენოს: მას დასჭირდება მეგობარ ქვეყნებს შორის ისეთი ხარისხის მჭიდრო თანამშრომლობა, როგორიც წარმოუდგენელი იყო XIX საუკუნის სუვერენიტეტის ფარგლებში. ამავდროულად, რეგულირებული ბაზრების არსებობა ეროვნულ მთავრობებს უფრო ეჭვიანს გახდის გარე ჩარევებისადმი ვიდრე ოდესმე. თუმცა, ოქროს სტანდარტის ავტომატური მექანიზმის გაქრობასთან ერთად, მთავრობები შეძლებენ აბსოლუტური სუვერენიტეტისთვის დამახასიათებელი ყველაზე მავნე შტრიხის მოშორებას, რაც საერთაშორისო ეკონომიკაში მონაწილეობაზე უარის თქმაში გამოიხატება. ამასთან ერთად, შესაძლებელი გახდა ნებაყოფლობითი შემწყნარებლური მიდგომა სხვა ერების საშინაო საქმეებისადმი მოაწყონ შიდა ინსტიტუტები ისე როგორც ეს მათ მისწრაფებებს შეეფერება, ამგვარად მან გადააბიჯა XIX საუკუნის დოგმას, რომლის მიხედვითაც ქვეყანათა საშინაო მოწყობები აუცილებლად ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში. ძველი მსოფლიოს ნანგრევებიდან, ახლის ქვაკუთხედის დანახვა უკვე შესაძლებელია: ხელისუფლებებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა და ნებისამებრ ეროვნული ცხოვრების მოწყობის თავისუფლება. თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდველი სისტემის

პირობებში ორივე ეს შესაძლებლობა წარმოუდგენელი იყო, რაც ერთა შორის თანამშრომლობის მრავალ მეთოდს გამორიცხავდა. მაშინ როდესაც საბაზრო ეკონომიკისა და ოქროს სტანდარტის პირობებში ფედერაციის იდეა სამართლიანად მიიჩნეოდა კოშმარულ ცენტრალიზებად და გაერთგვაროვნებად, საბაზრო ეკონომიკის დასასრული შეიძლება ნიშნავდეს, შიდა საქმეებში დამოუკიდებლობასთან ერთად, სახელმწიფოებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას.

თავისუფლების პრობლემა ორ სხვადასხვა დონეზე წამოიჭრება: ინსტიტუციურზე და მორალურ ან რელიგიურზე. ინსტიტუციურ დონეზე საქმე ეხება ბალანსს თავისუფლების ზრდასა და შემცირებას შორის; აქ რადიკალურად ახალ საკითხებს არ ვაწყდებით. უფრო ფუნდამენტურ დონეზე კი თავად თავისუფლების შესაძლებლობაა კითხვის ნიშნის ქვეშ. ჩანს რომ ის ხერხები რომლითაც თავისუფლების ნარჩუნდება ხრწნის და ანადგურებს თავად თავისუფლებას. ჩვენს დროში თავისუფლების პრობლემის გასაღები სწორედ მეორე დონეზე უნდა ვეძებოთ. ინსტიტუციები ადამიანის შინაარსისა და მიზნის განსხეულებაა. ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ თავისუფლება რომელსაც ვესწრაფვით თუ ვერ გავიგებთ კომპლექსურ საზოგადოებაში თავისუფლების ნამდვილ მნიშვნელობას.

ინსტიტუციურ დონეზე, რეგულაციები აფართოებენ და ზღუდავენ თავისუფლებას; მხოლოდ მოპოვებულ და დაკარგულ თავისუფლებებს შორის ბალანსია მნიშვნელოვანი. იგივე შეიძლება ითქვას იურიდიულ და რეალურ თავისუფლებებზე. უზრუნველი კლასები სარგებლობენ იმ თავისუფლებით რაც მათთვის უსაფრთხო დასვენებას მოაქვს; ისინი ბუნებრივია ნაკლებად შფოთავენ საზოგადოებაში თავისუფლების გავრცელებით, ვიდრე ისინი ვინც შემოსავლის ნაკლებობის გამო ამის მინიმუმით უნდა დაკმაყოფილდნენ. ეს აშკარა ხდება როგორც კი ჩნდება ჯიუტი მოთხოვნა რომ შემოსავალი, დასვენება და უსაფრთხოება უფრო სამართლიანად გადანაწილდეს. მართალია შეზღუდვა ყველას ეხება, პრივილეგირებულებს ის უფრო ხშირად სძულთ, თითქოს ის

მხოლოდ მათ წინააღმდეგ იყოს მიმართული. ისინი ლაპარაკობენ მონობაზე, როცა რეალურად საქმე მხოლოდ იმ თავისუფლებების სხვებზე განვრცობას ეხება, რითაც ისინი უკვე სარგებლობენ. თავდაპირველად, შეიძლება საჭირო იყოს მათი დასვენებისა და უსაფრთხოების შემცირება, შედეგად, მათი თავისუფლების, რათა მთელ ქვეყანაში გაიზარდოს თავისუფლების დონე. თუმცა, თავისუფლების ასეთმა გადანაცვლებად, სახეცვლილებამ და გაფართოებამ არ უნდა მოგვცეს რაიმე საფუძველი იმის მტკიცებისთვის რომ ახალი გარემოება აუცილებლად უფრო არათავისუფალია ვიდრე ძველი.

თუმცა არსებობს თავისუფლებები რომელთა შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია. მშვიდობის მსგავსად ისინიც XIX საუკუნის ეკონომიკის თანმდევი პროდუქტები იყვნენ და ჩვენ მათი თავისთავადად დაფასება დავიწყეთ. პოლიტიკისა და ეკონომიკის ინსტიტუციური გამიჯვნა, რაც მომაკვდინებელი საფრთხე აღმოჩნდა საზოგადოების ფუნდამენტისთვის, თითქმის ავტომატურად ქმნიდა თავისუფლებებს სამართლიანობისა და უსაფრთხოების ხარჯზე. სამოქალაქო თავისუფლებები, კერძო ბიზნესი და სახელფასო სისტემა შეერწყა ცხოვრების მოდელს რომელიც უპირატესობას ანიჭებდა მორალურ თავისუფლებასა და გონების დამოუკიდებლობას. აქაც, იურიდიული და ნამდვილი თავისუფლებები საერთო მდინარეს შეუერთდა, საიდანაც მათი ელემენტების სუფთა გამიჯვნა შეუძლებელია. ზოგი უმუშევრობისა და სპეკულატორების მიერ ფულის კეთების ბოროტების გვერდითი ეფექტი იყო; ზოგი რენესანსისა და რეფორმაციის ყველაზე ძვირფას ტრადიციებს ეკუთვნოდა. ჩვენ ნებისმიერი ხერხით უნდა ვცადოთ და შევინარჩუნოთ ეს მაღალი ღირებულებები რომლებიც უკვე ჩამოშლილი საბაზრო ეკონომიკისგან მემკვიდრეობით გვერგო. ეს მართლაც დიდი ამოცანაა. ვერც თავისუფლება და ვერც მშვიდობა ვერ ინსტიტუციონალიზდება იმ ეკონომიკის პირობებში, რადგან მისი მიზანი იყო მოეტანა მოგება და კეთილდღეობა და არა მშვიდობა და თავისუფლება. მომავალში ჩვენ მათთვის გააზრებულად უნდა ვისწრაფოთ თუ საერთოდ

გვექნება ისინი; ისინი უნდა გახდნენ საზოგადოებების მიერ არჩეული ორიენტირები საითკენაც ჩვენ ვმოძრაობთ. შესაძლოა სწორედ ეს იყოს დღევანდელი მსოფლიოს ნამდვილი საზრისი, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს მშვიდობა და თავისუფლება. რამდენად წარმატებული იქნება ნება დამყარდეს მშვიდობა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას რომ მშვიდობისადმი ინტერესი რომელიც XIX საუკუნის ეკონომიკიდან აღმოცენდა აღარ არსებობს, დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად წარმატებით შევძლებთ საერთაშორისო წესრიგის დამყარებას. რაც შეეხება პირად თავისუფლებას, ის იმდენად იარსებებს რამდენადაც ჩვენ გამიზნულად შევქმნით მისი შენარჩუნებისა და, რაღა თქმა უნდა, მისი გაფართოების გარანტირების მექანიზმებს. შემდგარ საზოგადოებაში არაკონფორმულობის უფლება ინსტიტუციურად უნდა იყოს დაცული. ინდივიდს უნდა ჰქონდეს სინდისის თავისუფლება და არ ეშინოდეს ხელისუფლების რომელსაც ჩაბარებული ექნება სოციალური ცხოვრების ზოგიერთი ნაწილის ადმინისტრირება. მეცნიერება და ხელოვნება ყოველთვის სწავლულთა რესპუბლიკის [Respublica literaria] მფარველობის ქვეშ უნდა იყოს. იძულება არასდროს უნდა იყოს აბსოლუტური; "გამპროტესტებელს" უნდა ჰქონდეს უკან დასახევი გზა, ალტერნატივის არჩევის შესაძლებლობა რომელიც მას ღირსეულ ცხოვრებას შეუნარჩუნებს. სწორედ როგორც თავისუფალი საზოგადოების განმასხვავებელი ნიშანი, მოხდება არაკონფორმულობის უფლების უზრუნველყოფა.

საზოგადოების გაერთიანებისკენ მიმართულ ნებისმიერ სვლას თან უნდა ახლდეს თავისუფლების ზრდა; დაგეგმარებისკენ სვლა უნდა გულისხმობდეს საზოგადოებაში ინდივიდის უფლებების გაძლიერებას. მისი ხელშეუვალი უფლებები კანონმა უნდა დაიცვას უმაღლესი ძალაუფლების მქონეთა პირადი თუ ანონიმური გავლენების წინაშეც. ბიუროკრატიის როგორც ძალაუფლების მავნე გამოყენების წყაროს წინააღმდეგ ნამდვილი პასუხია შეიქმნას თავისუფლების შეუზღუდავი სფეროები რომლებიც დაურღვეველი კანონებით იქნება დაცული. ძალაუ-

ფლების დელეგირების პრაქტიკა რაოდენ ფართოც არ უნდა იყოს, ყოველთვის იქნება ცენტრში ძალაუფლების კონცენტრაცია და, შესაბამისად, საფრთხე ინდივიდუალური თავისუფლებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების ინსტიტუციური ორგანოების მიმართ, ისე პროფესიული კავშირების მიმართაც, რომელთა ფუნქციაა დაიცვან თითოეული წევრის უფლებები. მათმა სიდიდემ მას შეიძლება უმწეოდ აგრძნობინოს თავი, მიუხედავად იმისა რომ მათი მხრიდან ბოროტ ქმედებაზე ეჭვის მიტანის საფუძველი არ არსებობდა. განსაკუთრებით მაშინ როცა მისი ხედვები ან ქმედებები იმგვარია რომ ძალაუფლების მპყრობელთა გრძნობებს ლახავს. უფლებების უბრალო გამოცხადება არ კმარა: ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ უფლებების ეფექტური განხორციელება. ჰაბეას კორპუსი არ უნდა იყოს ბოლო კონსტიტუციური ბერკეტი რომელიც კანონის ძალით უზრუნველყოფს პირად თავისუფლებას. მოქალაქეთა დღემდე არაღიარებული უფლებებიც უნდა შეემატოს უფლებათა ბილს [bill of rights]. მათ უნდა გადაწონონ ნებისმიერი ხელისუფლება, სახელმწიფო, მუნიციპალური თუ პროფესიული. სიის თავში უნდა იყოს პიროვნების უფლება ჰქონდეს სამსახური შესაბამის პირობებში, მიუხედავად მისი პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებია, ან კანის ფერისა და რასისა. ეს გულისხმობს უსამართლო მოპყრობისგან პიროვნების დაცვის უზრუნველყოფას, რაოდენ შეფარულიც არ უნდა იყოს ის. შრომით დავებზე სპეციალიზებული სასამართლოები [industrial tribunal] ცნობილები იყვნენ საზოგადოების ცალკეული წევრების დაცვით ისეთი თვითნებური ძალაუფლებრივი დაჯგუფებებისგან, როგორებსაც წარმოადგენდნენ ადრეული სარკინიგზო კომპანიები. ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების კიდევ ერთი მაგალითი რომელსაც ეს სასამართლოები პირდაპირ შეეჭიდნენ იყო, საგანგებო მდგომარეობის დროს, არსებითი სამუშაოების ბრძანება ინგლისში, ან „მშრომელების სამუშოებზე მიმაგრება“ აშშ-ში, რაც სახელმწიფოს აძლევდა დისკრიმინაციის თითქმის შეუზღუდავ შესაძლებლობებს. როცა საზოგადოებრივი აზრი სა-

მოქალაქო თავისუფლებების დაცვის საქმეში შეუვალი იყო, ტრიბუნალები ან სასამართლოები ყოველთვის ახერხებდნენ პირადი თავისუფლების გამართლებას. მისი დაცვა ნებისმიერ ფასად უნდა მოხდეს – მათ შორის წარმოების ეფექტურობის, მოხმარების ეკონომიის ან რაციონალური ადმინისტრირების ხარჯზეც. ინდუსტრიულ საზოგადოებას აქვს ფუფუნება იყოს თავისუფალი.

საბაზრო ეკონომიკის დაისი შეიძლება აქამდე არნახული თავისუფლების ეპოქის დასაწყისი გახდეს. იურიდიული და ნამდვილი თავისუფლებები შეიძლება უფრო გაფართოვდეს და უფრო ყოვლისმომცველი გახდეს ვიდრე ოდესმე; რეგულაციებმა და კონტროლმა შეიძლება მოიტანოს თავისუფლება არა მხოლოდ ერთეულთათვის, არამედ ყველასთვის. თავისუფლება შეიძლება აღარ იყოს პრივილეგირებულთა აქსესუარი, ძირშივე შებღალული, არამედ საორიენტაციო უფლება, რომელიც გასცდება პოლიტიკური სფეროს ვიწრო ჩარჩოებს და მოიცავს თავად საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს. ამგვარად, ძველი თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები დაემატება ინდუსტრიული საზოგადოების მიერ ყველასთვის შეთავაზებულ იმ ახალ თავისუფლებებს რომლებსაც დასვენებისა და უსაფრთხოების ახალი პირობები ქმნიან. ასეთ საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ფუფუნება ერთდროულად იყოს სამართლიანი და თავისუფალი.

თუმცა ჩვენ ვხედავთ რომ ამ გზას მორალური წინაღობა ბლოკავს. დაგეგმარებასა და კონტროლს უტევენ თავისუფლების დაცვის ეგიდით. თავისუფალი ბიზნესი და კერძო მფლობელობა თავისუფლების არსებით პირობადაა გამოცხადებული. სხვა საფუძველზე აშენებული არც ერთი საზოგადოება არ მიიჩნევა ღირსად ეწოდოს თავისუფალი. თავისუფლება რომლებსაც რეგულაციები ქმნის დაგმობილია როგორც არათავისუფლება; მის მიერ შეთავაზებული სამართლიანობა, თავისუფლება და კეთილდღეობა გაკრიტიკებულია როგორც შენიღბული მონობა. სოციალისტებმა ამაოდ გააკეთეს თავისუფლების სამეფოს დაპირება, რადგანაც საშუალებები განსაზღვრავენ მიზნებს: საბჭოთა კავშირმა, რომელმაც თავის ინსტრუმენტად გამოიყენა დაგეგმარება, რე-

გულირება და კონტროლი, პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ განახორციელა მის კონსტიტუციაში დაპირებული თავისუფლებები, და, შეიძლება, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, არც არასდროს განახორციელოს... თუმცა, რეგულაციების წინააღმდეგ წასვლა რეფორმების წინააღმდეგ წასვლაა. ლიბერალების შემთხვევაში თავისუფლების იდეა გადაგვარდა თავისუფალი ბიზნესის უბრალო ადვოკატობაში – რაც დღეს მხოლოდ ფიქციაა იმ რეალობის ფონზე როცა არსებობს უზარმაზარი ტრესტები და მონოპოლიები. ეს ნიშნავს სრულფასოვან თავისუფლებას მათთვის ვისი ხელფასი, დასვენების დრო და უსაფრთხოება აღარ საჭიროებს გაზრდას, ხოლო მიზერულ თავისუფლებას იმ ხალხისთვის, ვინც ამაოდ შეიძლება შეეცადონ გამოიყენონ თავიანთი დემოკრატიული უფლება, რათა თავი დაიცვან მესაკუთრეთა ძალაუფლებისგან. ეს ყველაფერი არაა. რეალურად ლიბერალებმა ვერსად ვერ შეძლეს თავისუფალი ბიზნესის აღდგენა, რადგან ეს მცდელობა რიგი მიზეზების გამო წინასწარ განწირული იყო. სწორედ მათი მცდელობების შედეგად რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში ოფიციალური ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მსხვილმა ბიზნესმა და, სხვათა შორის, ფაშიზმის ნაირსახეობებმაც, როგორც ეს ავსტრიაში მოხდა. დაგეგმარება, რეგულირება და კონტროლი, რისი აკრძალვაც მათ თავისუფლების ეგიდით სურდათ, შემდეგ გამოიყენებს თავისუფლების ღია მტრებმა რათა ის მთლიანად გაეუქმებინათ. ფაშიზმის გამარჯვება პრაქტიკულად გარდაუვალი გახდა ლიბერალების წინააღმდეგობის გამო ნებისმიერი რეფორმისადმი, რომელიც გულისხმობდა დაგეგმვას, რეგულირებას ან კონტროლს.

ფაშიზმში თავისუფლების სრული კრახი მართლაც გარდაუვალი შედეგია ლიბერალური ფილოსოფიის, რომელიც ამტკიცებს რომ ძალაუფლება და იძულება ბოროტებაა და რომ თავისუფლება მოითხოვს მათ არარსებობას ადამიანთა საზოგადოებაში. ასეთი რამ შეუძლებელია; კომპლექსურ საზოგადოებაში ეს აშკარა ხდება. ეს სხვა გზას არ ტოვებს, გარდა იმისა, რომ ან ერთგული დარჩე თავისუფლების ილუზიური იდეისადმი და უარყო საზოგადოებრივი რეალობა, ან მიიღო ეს რეალობა და უარყო თავისუ-

ფლების იდეა. პირველი ლიბერალის დასკვნაა; მეორე ფაშისტის. სხვა გზა თითქოს არ ჩანს.

აქედან ჩვენ აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე რომ თავად თავისუფლების შესაძლებლობა დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ რეგულაცია ერთადერთი საშუალებაა კომპლექსურ საზოგადოებაში თავისუფლების გავრცელებისა და გაძლიერების, და თუ მისი გამოყენება თავისუფლების როგორც ასეთის საწინააღმდეგოა, მაშინ ასეთი საზოგადოება ვერ იქნება თავისუფალი.

ნათელია რომ ამ დილემის ძირში თავად თავისუფლების მნიშვნელობა ძევს. ლიბერალურმა ეკონომიკამ ჩვენს იდეალებს არასწორი მიმართულება მისცა. ისე ჩანდა თითქოს ის გვაახლოებდა არსებითად უტოპიური მოლოდინების ასრულებასთან. შეუძლებელია არსებობდეს საზოგადოება რომელშიც ძალაუფლება და იძულება არ არსებობს, არც ისეთი მსოფლიო რომელშიც ძალას არ აქვს ფუნქცია. ილუზია იყო იმის წარმოდგენა რომ საზოგადოება მხოლოდ ადამიანის ნებისა და სურვილის მიხედვით შენდება. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს იყო საზოგადოების საბაზრო ხედვის შედეგი, რომელმაც ეკონომიკა საკონტრაქტო ურთიერთობებს გატოლა, ხოლო საკონტრაქტო ურთიერთობები თავისუფლებას. უკიდურესი ილუზია იყო იმის წარმოდგენა რომ ადამიანთა საზოგადოებაში არაფერია ისეთი რაც არ მომდინარეობს ინდივიდების ნებიდან და რაც, შესაბამისად, არ შეიძლება ადამიანის ნებითვე არ გაუქმდეს. ამ ხედვას ბაზარი ზღუდავდა, რადგან მან ცხოვრება "დაყო" მწარმოებლების ნაწილად, ვისთვისაც ის სრულდება ბაზრამდე პროდუქტის მიტანით, და მომხმარებელთა ნაწილად, ვისთვისაც ყველა საქონელი ბაზრიდან მოდის. პირველი ბაზრიდან "თავისუფლად" იღებდა შემოსავალს, ხოლო მეორე "თავისუფლად" ხარჯავდა მას. საზოგადოება როგორც მთლიანობა კი უხილავი დარჩა. სახელმწიფო ძალაუფლება აქ არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან რაც უფრო ნაკლები ძალაუფლება ექნებოდა მას, მით უფრო დაუბრკოლებლად იფუნქციონირებდა საბაზრო მექანიზმი. ვერც ამომრჩევლები, ვერც მესაკუთრეები, ვერც მწარმოებლები და

ვერც მომხმარებლები ვერ აგებდნენ პასუხს თავისუფლების ისეთი სასტიკი შეზღუდვის გამო, როგორსაც გულისხმობდა უმუშევრობა და სიღატაკე. ნებისმიერ წესიერ ადამიანს შეეძლო პასუხისმგებლობა მოეხსნა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ იძულების ზომებზე, რომლებსაც ის, პირადად, უარყოფდა; ან საზოგადოებაში ეკონომიკურ ტანჯვაზე რისგანაც მას, პირადად, არ უხეირია. ის "თავის თავს არჩენდა", მას "არავისი არ მართებდა" და შორს იყო ძალაუფლებისა და ეკონომიკური ღირებულების ბოროტებებისგან. მათთვის მისი პასუხისმგებლობისგან თავისუფლება იმდენად ცხადი იყო რომ ის რეალობას საკუთარი თავისუფლების სახელით უარყოფდა.

თუმცა, ძალაუფლება და ეკონომიკური ღირებულება სოციალური რეალობის პარადიგმას წარმოადგენენ. ისინი არ არიან ადამიანის ნებაზე დამოკიდებულები; შეუძლებელია მათში არმონაწილეობა. ძალაუფლების ფუნქციაა უზრუნველყოს კონფორმულობის ის ხარისხი, რაც საჭიროა ჯგუფის გადარჩენისთვის; მისი მთავარი ბერკეტი საზოგადოებრივი აზრია – <u>და ვის შევუწყობთ ხელს თუ ამ ან სხვა აზრს ვატარებთ?</u> ეკონომიკური ღირებულება უზრუნველყოფს წარმოებული საქონლის სარგებლიანობის; ის წინ უნდა უსწრებდეს მათი წარმოების გადაწყვეტილებას; ის წარმოადგენს შტამპს რომელიც შრომის დანაწილებას ედება. მისი წყარო ადამიანის საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების საშუალებების დეფიციტია – და როგორც შეიძლება მოლოდინი გვქონდეს იმისა, რომ არ გვსურდეს ერთი რამ მეორეზე მეტად? ნებისმიერი აზრის ან სურვილის ქონით ჩვენ ვხდებით ძალაუფლებისა და ეკონომიკური ღირებულების ქმნადობის ნაწილი. სხვაგვარად მოქცევის თავისუფლება წარმოუდგენელია.

მივადექით ჩვენი არგუმენტის ბოლო ეტაპს.

საბაზრო უტოპიის უარყოფა საზოგადოებრივი რეალობის პირისპირ გვაყენებს. ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს ლიბერალიზმი, ხოლო მეორე მხრივ ფაშიზმი და სოციალიზმი. მათ შორის მთავარი განსხვავება არ არის ეკონომიკური. ის მორალური და რელიგიურია. მაშინ როცა მათ იდენტური ეკონომიკები აქვთ, ისი-

ნი არა მხოლოდ განსხვავებულები არიან, არამედ საპირისპირო პრინციპების განსახიერებებიც. ყველაზე მთავარი რაც მათ განასხვავებს ისევ თავისუფლებაა. ფაშისტებისა და სოციალისტებისთვის საზოგადოებრივი რეალობა ისეთივე გარდაუვალობას წარმოადგენს, როგორსაც ადამიანის ცნობიერებაში სიკვდილი. ძალაუფლება და იძულება ამ რეალობის ნაწილია; იდეალი რომელიც მათ საზოგადოებიდან გამორიცხავს გარდაუვალად მიიჩნევა როგორც მცდარი. საკითხი, რაც მათ ყოფს ამ ცოდნის გათვალისწინებით მათი თავისუფლების დაცვაა. არის თუ არა თავისუფლება ცარიელი სიტყვა, ცდუნება, რომელიც ადამიანისა და მისი ნამოღვაწარის დასანგრევადაა შექმნილი, თუ შეუძლია ადამიანს დაიცვას საკუთარი თავისუფლება ასეთი ცოდნის წინაშეც და საზოგადოებაში მის განხორციელებას ესწრაფოს ისე, რომ არ ჩავარდეს მორალურ ილუზიებში?

ეს შფოთვებით აღსავსე კითხვა აჯამებს ადამიანის მდგომარეობას. ამ კვლევის სულმა და გულმა ამ კითხვაზე პასუხი უნდა აჩვენოს.

ჩვენ მოვიყვანეთ ის რაც გვგონია რომ დასავლელი ადამიანის ცნობიერების სამი განმსაზღვრელი ფაქტია: ცოდნა სიკვდილის შესახებ, ცოდნა თავისუფლების შესახებ და ცოდნა საზოგადოების შესახებ. პირველი, ებრაული ლეგენდის მიხედვით, ძველი აღთქმის ამბავში გამჟღავნდა. მეორე პიროვნების უნიკალურობაზე ახალ აღთქმაში იესოს სწავლების მეშვეობით გაცხადდა. მესამე ჩვენ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ცხოვრებისგან ვისწავლეთ. ამ უკანასკნელთა არც ერთი დიდი ადამიანის სახელი არაა დაკავშირებული, თუმცა რობერტ ოუენის სახელი ყველაზე ახლოს მივიდა გამხდარიყო მასთან დაკავშირებული. თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში საზოგადოება მთავარი ელემენტია.

საზოგადოებრივი რეალობის აღიარების ფაშისტური პასუხი თავისუფლების პოსტულატის უარყოფაა. ფაშიზმი უარყოფს თითოეული ადამიანის უნიკალურობისა და კაცობრიობის ერთიანობის ქრისტიანულ აღმოჩენას. სწორედ აქაა მისი დეგენერაციული ხასიათის საფუძველი.

რობერტ ოუენი პირელი იყო ვინც შენიშნა რომ სახარება უგულებელყოფდა საზოგადოებრივ რეალობას. მან ამას ქრისტიანობის მხრიდან ადამიანის "ინდივიდუალიზება" უწოდა და სჯეროდა რომ მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობაზე აგებულ თანამეგობრობას შეეძლო "ყველაფერი რაც ქრისტიანობაში ჭეშმარიტად ძვირფასია" ადამიანის ცხოვრების ნაწილი გაეხადა. ოუენმა შენიშნა რომ იესოს სწავლების შედეგად მოხვეჭილი თავისუფლება არ შეესაბამებოდა კომპლექსურ საზოგადოებას. მისი სოციალიზმი ასეთ საზოგადოებაში ადამიანის თავისუფლებისკენ სწრაფვის დაცვას ემსახურებოდა. დასავლური ცივილიზაციის პოსტ-ქრისტიანული ეპოქა დაიწყო, რომელშიც სახარება უკვე აღარ კმარა, თუმცა ის მაინც ჩვენი ცივილიზაციის საფუძვლად დარჩა.

საზოგადოების აღმოჩენა, ან თავისუფლების დასასრული ან მისი ხელახალი დაბადებაა. მაშინ როცა ფაშისტი თავისუფლებაზე უარს ამბობს და ადიდებს ძალაუფლებას, რაც საზოგადოებრივი რეალობაა, სოციალისტი ამ რეალობას იღებს და ამის მიუხედავადაც იცავს თავისუფლების იდეას. კიდევე ერთხელ რომ მოვიყვანოთ რობერტ ოუენის შთამაგონებელი სიტყვები: "თუკი ბოროტების რაიმე საფუძველი აღმოუფხვრელი დარჩება იმ ახალი ძალების წინაშეც რასაც ადამიანი მალე მოიპოვებს, მათ ეცოდინებათ რომ ისინი აუცილებელი და გარდაუვალი ბოროტებები არიან და შეწყდება ბავშვური, ფუჭი ჩივილებიც."

ბედთან შერიგება ყოველთვის იყო ადამიანის ძალისა და ახალი იმედის წყარო. ადამიანმა მიიღო სიკვდილის რეალობა და მისი ხორციელი ცხოვრების საზრისი მასზე ააგო. ის შეურიგდა ჭეშმარიტებას, რომ მას სული ჰქონდა დასაკარგი და რომ ეს უარესი იყო ვიდრე სიკვდილი, და ამ ჭეშმარიტებაზე მან ააგო თავისუფლება. ჩვენს დროში ის ურიგდება საზოგადოებრივ რეალობას, რაც ამ თავისუფლების დასასრულს ნიშნავს. თუმცა, ისევ და ისევ სიცოცხლე სწორედ ასეთი შერიგებიდან მოჩქეფს ხოლმე. ჩივილის გარეშე საზოგადოებრივი რეალობის მიღება ადამიანს აძლევს უშრეტ გამბედაობასა და ძალას აღმოფხვრას ყველა

უსამართლობა და არათავისუფლება რომელიც აღმოფხვრადია. იქამდე სანამ ის ერთგულია მისი ამოცანისადმი რომ შექმნას უხვი თავისუფლება ყველასთვის, მას არ უნდა ეშინოდეს იმის რომ ძალაუფლება ან დაგეგმარება მის წინააღმდეგ მობრუნდება და გაანადგურებს იმ თავისუფლებას რომლის ასაშენებლადაც მათ იყენებს. ესაა თავისუფლება კომპლექსურ საზოგადოებაში; ესაა რაც გვაძლევს ჩვენთვის აუცილებელ რწმენას.

შენიშვნები

პირველი თავისთვის

1. ძალის პოლიტიკის ბალანსი.

ძალის პოლიტიკის ბალანსი ეროვნული ინგლისური ინსტიტუციაა. თავისი არსით წმინდად პრაგმატული და ზუსტია. ხსენებული ტერმინი არ უნდა აგვერიოს ძალთა ბალანსის პრინციპში ან ძალთა ბალანსის სისტემაში. მოცემული პოლიტიკა ინგლისის კუნძულოვანი მდებარეობით იყო გამოწვეული იმ კონტიტენტური სანაპიროს მიმართ, რომელიც პოლიტიკური ერთობების მიერ იყო დაკავებული. „მისი დიპლომატიის აღმავალი სკოლა, უოლსიდან სესილამდე ძალთა ბალანსს მისდევდა, როგორც ინგლისის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთ შესაძლებლობას დიდი კონტინენტური სახელმწიფოების ფორმირების პირისპირ“, ამბობს ტრეველიანი. ამ პოლიტიკის დასაბამი, ცალსახად, თიუდორების მმართველობის დროიდან დაიწყო და გამოიცადა სერ ვილიამ თემფლის, ქენინგის, პალმერსტონისა და სერ ედვარდ გრეის მიერ. ის ორი საუკუნით უსწრებს წინ კონტინენტზე ძალთა ბალანსის სისტემის წარმოქმნას და სრულიად დამოუკიდებელია თავის განვითარებაში ძალთა ბალანსის დოქტრინის კონტინენტური წყაროებისგან, როგორც ფენელონისა და ვატელის მიერ წამოყენებული პრინციპისგან. თუმცა, ამ სისტემის განვითარებამ იმდენად დიდი დახმარება გაუწია ინგლი-

სის ეროვნულ პოლიტიკას,რომ საბოლოოდ ამან მნიშვნელოვნად გაამარტივა ალიანსების ორგანიზება კონტინენტის ნებისმიერი წამყვანი ძალის წინააღმდეგ. შესაბამისად,ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე ესწრაფოდა იმ იდეის წახალისებას, რომ ინგლისის ძალთა ბალანსის პოლიტიკა სინამდვილეში ძალთა ბალანსის პრინციპის გამოხატულება იყო და ამგვარად ინგლისი, რომელიც ამ პოლიტიკას მისდევდა მხოლოდ თავის როლს თამაშობდა ძალთა ბალანსის პრინციპზე დამყარებულ სისტემაში. და მაინც, სახელმწიფო მოღვაწეები განზრახულად არ მალავდნენ განსხვავებას თავდაცვის მისეულ პოლიტიკასა და სხვა ნებისმიერ პრინციპს შორის,რომელიც სახელმწიფოს წინსვლას შეუწყობდა ხელს. Twenty-Five Years -ში სერ ედვარდ გრეი წერს: „თეორიულად, დიდი ბრიტანეთი არ ყოფილა მტრულად განწყობილი ევროპაში ძლიერი ჯგუფის დომინირების მიმართ მაშინ, როდესაც ეს თითქოს სტაბილურობასა და სიმშვიდეს უწყობდა ხელს“. ამ კომბინაციის მხარდაჭერა, როგორც წესი, უპირველეს არჩევანს წარმოადგენდა. და თუ დომინანტური ძალა აგრესიულობას იძენს, ის გრძნობს, რომ მისი ინტერესები საფრთხეშია და თავდაცვის ინსტინქტით თუ არა სულაც წინასწარგანზრახული პოლიტიკით, მიიწევს იმისკენ, რასაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ძალთა ბალანსი.

ამგვარად, ინგლისის მიერ ძალთა ბალანსის სისტემის განვითარება კონტინენტზე მის ლეგიტიმურ ინტერესებში შედიოდა და უჭერდა კიდეც მას მხარს. ამგვარი მოქმედება მისი პოლიტიკის ნაწილი იყო. ძალთა ბალანსის ამ ორი, არსებითად განსხვავებული მიმართების გადახლართვით განპირობებული დაბნეულობა შემდეგ სიტყვებშია გამოხატული. ფოქსმა 1787 წელს შეშფოთებულმა მიმართა მთავრობას, „განა აღარ არის ინგლისი იმ მდგომარეობაში, რომ ევროპაში ძალთა ბალანსი შეინარჩუნოს და მას თავისუფლებების მცველად თვლიდნენ“? ის ამტკიცებდა, რომ ეს ინგლისის ვალია, მიჩნეულ იყოს ევროპაში ძალთა ბალანსის სისტემის გარანტორად. ოთხი წლის შემდეგ, ბიორკმა მოცემული სისტემა აღწერა როგორც „ევროპის საჯარო სამართალი, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა. ინგლისის ეროვნული პოლიტიკის ესოდენ რიტორიკული გაიგივება ძალთა ბალანსის ევროპულ სისტემასთან ბუნებრივია ამერიკელებისთვის უფრო ართულებდა იმ

ორი კონცეფციის ერთმანეთისგან გამორჩევას, რომლებიც მათ თანაბრად უსიამოვნოდ მიაჩნდათ.

2. ძალთა ბალანსი, როგორც ისტორიული სამართალი.

ძალთა ბალანსის კიდევ ერთი მნიშვნელობა პირდაპირ ეფუძნება ძალაუფლების ერთეულების ბუნებას, რაც პირველად ჰიუმის თანამედროვე საზრისში გადმოიცა. მისი მიღწევა ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ, პოლიტიკური აზრის სრული დაბნელებების დაიკარგა. ჰიუმი ფენომენის პოლიტიკურ ბუნებას აღიარებდა და ხაზს უსვამდა მის დამოუკიდებლობას ფსიქოლოგიური თუ მორალური ფაქტორებისგან. ის ძალაში შედიოდა აქტორების მოტივებისადა მიუხედავად მანამ, სანამ ისინი ძალაუფლების განხორციელებად აღიქმებოდნენ. ჰიუმი წერდა: „გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შეჯიბრი იქნებოდა ეს თუ ფრთხილი პოლიტიკა მათი მთავარი მოტივი და ზემოქმედება ერთმანეთის მსგავსი იქნებოდა“. ფ.შუმანი ამბობს:“ თუ ვინმე სამი A,B და C ერთეულისგან შემდგარი სახელმწიფო სისტემის პოსტულირებას ახდენს,მაშინ ცხადია, რომ რომელიმე მათგანის ძალის გაზრდა დანარჩენი ორი ერთეულის ძალის შემცირებას გამოიწვევს“. ის ასკვნის, რომ ძალთა ბალანსი „ თავის ყველა მარტივ გამოვლინებაში შექმნილია სახელმწიფო სისტემის თითოეული ერთეულის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის“. გარდა ამისა, მან მოცემული პოსტულატი განაზოგადა, რათა ის ძალაუფლების ყოველ ერთეულს მისადაგებოდა, დამოუკიდებლად იმისგან, ორგანიზებული პოლიტიკური სისტემების ერთეულებზე იქნებოდა საუბარი თუ არა. შედეგად, ისტორიის სოციოლოგიაში ძალთა ბალანსი სწორედ ასე წარმოჩინდება. თავის Study of History-ში ტოინბი (Toynbee) ახსენიებს იმ ფაქტს, რომ ძალაუფლების ერთეულები ძალაუფლების ჯგუფების პერიფერიებზე უფრო არიან მიდრეკილნი გაფართოებისკენ, ვიდრე ცენტრში, სადაც ზეწოლა ყველაზე მაღალია. აშშ, რუსეთი და იაპონია, ისევე, როგორც ბრიტანეთის დომინიონები უჩვეულოდ გაფართოვდნენ იმ დროს, როდესაც თითქოს მცირედი ტერიტორიული ცვლილებებიც კი პრაქტიკულად მიუღწევლად წარმოედგინათ დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში. იგივე ტიპის ისტორიულ სამართალს მოიხმობდა

პირენიც (Pirenne) ის შენიშნავს, რომ შედარებით არაორგანიზებულ საზოგადოებებში გარე ზეწოლების მიმართ არსებული წინააღმდეგობის ქვაკუთხედი, ჩვეულებრივ, ძლევამოსილი მეზობლისგან მაქსიმალურად მოშორებულ რეგიონებში ფორმირდება. მაგალითებად შეგვიძლია მოვიხმოთ შორეულ ჩრდილოეთში ფრანკთა სამეფოს დაარსება პიპინ ჰერისტალელის მიერ ან აღმოსავლეთ პრუსიის, როგორც გერმანული სამეფოების გამაერთიანებელი ცენტრის წარმოქმნა. იმავე ტიპის სამართალი გვხვდება ბელგიელი დე გრიფის (Eugene De Greef) ბუფერულ სახელმწიფოშიც, რომელმაც, როგორც ჩანს, ზეგავლენა მოახდინა ფრედერიკ ტერნერის სკოლაზე. ამან ამერიკული დასავლეთის იმ კონცეფციამდე მიგვიყვანა, რომელსაც „მოხეტიალე ბელგიას“ უწოდებენ. ძალთა ბალანსისა თუ დისბალანსის მოცემული კონცეფციები მორალის, კანონისა თუ ფსიქოლოგიის ცნებებისგან დამოუკიდებელია და მხოლოდ ძალაუფლებას მიემართებიან, რაც გამოააშკარავებს მათ პოლიტიკურ ბუნებას.

3. ძალთა ბალანსი, როგორც პრინციპი და სისტემა.

როგორც კი ადამიანის ინტერესი ლეგიტიმურ აღიარებს მოიპოვებს, ქცევის პრინციპი მისგან გამომდინარეობს. 1648 წლიდან, ევროპული სახელმწიფოების ინტერესი მიუნსტერისა და ვესტფალიის ზავებით დაფუძნებულ სტატუს კვოში აღიარებულია და ამ მხრივ ზავის ხელმომწერ მხარეებს შორის სოლიდარობის პრინციპი დამკვიდრდა. 1648 წლის ზავს ხელი თითქმის ყველა ევროპულმა ძალამ მოაწერა; მათ საკუთარი თავი გარანტორებად გამოაცხადეს. ნიდერლანდები და შვეიცარია საკუთარ საერთაშორისო პოზიციონირებას სუვერენული სახელმწიფოების სახით სწორედ ამ ზავის დადებით ათარიღებენ. ამიერიდან,სახელმწიფოები უფლებამოსილი გახდნენ ჩაეთვალათ, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება სტატუს ქვოში ყველა დანარჩენის ინტერესიც იქნებოდა. ეს ძალთა ბალანსის, როგორც ნაციების ოჯახის პრინციპის რუდიმენტული ფორმაა და ამ მიზეზით, არცერთი სახელმწიფო, რომელიც მოცემული პრინციპის შესაბამისობით იმოქმედებდა არ ჩაითვლებოდა მტრულად განწყობილად იმ სახელმწიფოსადმი, რომლის მიმართ საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ეჭვი იარსებებდა მის მიერ სტატუს კვოს შეცვლის

განზრახვასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა საქმის ამგვარი ვითარება დიდწილად შეუწყობდა ხელს ცვლილებების მოწინააღმდეგე კოალიციების ფორმირებას. თუმცა, მოცემული პრინციპი თვალსაჩინოდ მხოლოდ 75 წლის შემდგომ აღიარეს უტრეხტის ზავში როდესაც „ad conservadum in Europa equilibrium" („ევროპაში წონასწორობის შენარჩუნებისთვის") ესპანური სამფლობელოები გაიყო ბურბონებად და ჰაბსბურგებად. პრინციპის ფორმალური აღიარებით ევროპამ ეტაპობრივად ამ პრინციპზე დამყარებულ სისტემად ორგანიზება დაიწყო. თუ მცირე ძალების შთანთქმა(მათზე დომინირება)დიდი ძალების მიერ ავნებდა ძალთა ბალანსის სისტემას, მცირე ძალების დამოუკიდებლობა ირიბად იქნებოდა დაცული სისტემის მიერ. როგორი მოჩვენებითიც არ უნდა ყოფილიყო ევროპის ორგანიზაცია 1648 და 1723 წლების შემდგომ, დიდი თუ პატარა სახელმწიფოების შენარჩუნება ორი საუკუნის განმავლობაში სწორედ ძალთა ბალანსის სისტემის დამსახურებაა. მისი სახელით უამრავი ბრძოლა გაიმართა და თუმცა ყველა მათგანი, გამონაკლისის გარეშე, ძალაუფლებით შთაგონებულად უნდა მივიჩნიოთ, შედეგი კი ისეთივე იქნებოდა, სახელმწიფოებს კოლექტიური გარანტიების პრინციპით რომ ემოქმედათ არაპროვოცირებული აგრესიის აქტების წინააღმდეგ. არავითარი სხვა ახსნა არ მოეპოვება ისეთი სუსტი პოლიტიკური საზოგადოებების განგრძობითი არსებობის ფაქტს, როგორიცაა დანია, ჰოლანდია, ბელგია და შვეიცარია, მიუხედავად იმ საფრთხეებისა, რაც მათ საზღვრებს ემუქრებოდა ძლევამოსილი სახელმწიფოების მხრიდან.

ლოგიკურად, განსხვავება პრინციპსა და ორგანიზაციას შორის, რომელიც ამ პრინციპს ემყარება(ანუ სისტემას შორის) ცხადია. და მაინც, არ უნდა უგულებელვყოთ პრინციპების ეფექტურობა მათ სუბორგანიზებულ მდგომარეობაშიც კი, სხვა სიტყვებით, როდესაც მათ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ინსტიტუციურ საფეხურისთვის და უბრალოდ ასაზრდოებენ კონვენციურ ჩვეულებებსა და წესებს. ჩამოყალიბებული ცენტრის, ქცევის სავალდებულო კოდექსის, რეგულარული შეხვედრების და საზოგადო მოხელეების გარეშეც კი, ევროპა სისტემად ფორმირდებოდა დიპლომატიური ორგანოების წევრებთან და სხვადასხვა კანცელარიებთან მჭიდრო კონტაქტის მეშვეობით. მკაცრი ტრადიცია, რომელიც არეგულირებს მოთხოვნებს,

დემარშებს, სამახსოვრო ბარათებს, ერთობლივად თუ ცალ-ცალკე მოწოდებულს, იდენტურს თუ განსხვავებული ტერმინებით შედგენილს- საერთო ჯამში ძალაუფლებრივი ვითარებების გამოხატვის ისეთ საშუალებებს ქმნიდა, რომელიც მათ გამწვავებას უშლიდა ხელს და კომპრომისისკენ ახალ გზებს ხსნიდა, მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში კი საერთო ქმედებისკენ მაინც უბიძგებდა. მართლაც, პატარა ქვეყნის საქმეებში ჩარევის უფლება, იმ შემთხვევაში თუ წამყვანი ძალების ლეგიტიმურ ინტერესებს საფრთხე დაემუქრებოდა, სუბორგანიზებული ფორმით არსებულ ევროპული დირექტორიუმის არსებობას უთანაბრდებოდა.

შესაძლოა ამ არაფორმალური სისტემის ყველაზე მტკიცე საყრდენს საერთაშორისო კერძო ბიზნესი წარმოადგენდა, რომელიც ხშირად გარდაიქმნებოდა რომელიმე სავაჭრო ხელშეკრულებას ან ტრადიციითა და ჩვეულებით გაძლიერებულ რომელიმე სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტად.

მთავრობები და მათი გავლენიანი მოქალაქეები მრავალი გზით იყვნენ გახვეული მსგავსი საერთაშორისო გარდაქმნების განსხვავებული ტიპის ფინანსურ,ეკონომიკურ თუ სამართლებრივ ქსელებში . ადგილობრივი ომები მხოლოდ მცირე ხნით თუ შეაკავებდა ამ გარდაქმნებს,მაშინ როდესაც სხვა საერთაშორისო გარდაქმნებში ჩართული ინტერესები მუდმივად, ან სულ მცირე, დროებით ხელუხლებელი რჩებოდნენ და საერთო ჯამში უზარმაზარ მასას წარმოქმნიდნენ იმ გარდაქმნებთან შედარებით, რომლებიც ომების გამოისობით შესაძლოა მტრისთვის არასახარბიელოდ განვითარებულიყო. კერძო ინტერესების ეს ჩუმი ზეწოლა,რომელმაც მოიცვა ცივილიზებული საზოგადოებების მთელი ცხოვრება და გააღწია ეროვნულ საზღვრებს მიღმა საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების უხილავ დედაბოძს წარმოადგენდა. გარდა ამისა, სწორედ მან უზრუნველყო ძალთა ბალანსის პრინციპი შედეგიანი სანქციებით მაშინაც კი, როდესაც ევროპის კონცერტმა და ერთა ლიგამ ვერ მიიღო ორგანიზებული ფორმა.

ძალთა ბალანსი, როგორც ისტორიის კანონი

Hume, D., “On the Balance ofPower;’ Works, Vol. III (1854), p. 364. Schuman, F., InternationalPolitics (1933), p. 55· Toynbee, A. J., Study ofHistory, Vol. III, p. 302. Pirenne, H., Outline ofthe History ofEuropefrom the Fall ofthe Roman Empire to 16oo(England1939). Barnes Becker Becker,onDe-Greef,Vol.II,p.871.Hofmann, A., Das deutsche Land and die deutsche Geschichte (1920). Also Haushofer’s Geo political School. At the other extreme, Russell, B., Power. Lasswell’s Psychopathol ogy and Politics; World Politics and Personal Insecurity, and other works. Cf. also Rostovtzeff, Social and Economic History ofthe Hellenistic World, Ch. 4, Part I.

ძალთა ბალანსი, როგორც პრინციპი და სისტემა

Mayer, J. P., Political Thought (1939), p. 464. Vattel, Le Droit des gens (1758). Hershey, A. S., Essential sof International Public Law and Organization (1927), pp. 567-69. Oppenheim, L., International Law. Heatley, D.P., Diplomacy and the StudyofInternationalRelations (1919).

ასწლიანი მშვიდობა

Leathes, “Modern Europe;’ Cambridge Modern History, Vol. XII, Ch. 1. Toynbee, A. J., Study ofHistory, Vol. IV(C), pp. 142-53. Schuman, F., International Politics, Bk. I, Ch. 2. Clapham, J. H., Economic Development ofFrance and Ger many, 1815-1914, p. 3· Robbins, L., The Great Depression (1934), p. t . Lippmann, W., The Good Society. Cunningham, W., Growth of English Industry and Commerce in Modern Times. Knowles, L. C. A., Industrial and Commercial Revolutions in Great Britain during the Nineteenth Century (1927). Carr, E. H., The Twellfy Years’ Crisis, 1919 1939 (1940). Crossman, R. H. S., Governmentand the Governed (1939), p. 225. Hawtrey, R. G., The Economic Problem (1925), p. 265.

ბაღდადის რკინიგზა

The conflict regarded as settled by the British-German agreement of June 15, 1914: Buell, R. L., International Relations (1929). Hawtrey, R. G., The Economic Problem (1925). Mowat, R. B., The Concert ofEurope (1930), p. 313. Stolper, G., This Age ofFable (1942) . For the contrary view: Fay, S.

B., Origins of the World War, p. 312. Feis, H., Europe, The World's Banker, 1870-1914 (1930), pp. 335/f.

ევროპის კონფერენცია

Langer, W. L., European Alliances and A.lignments (1871-1890) (1931). Sontag, R.). , European Diplomatic History (1871-1932) (1933). Onken, H., "The German Empire," in Cambridge Modern History, Vol. XII. Mayer, J. P., Political Thought (1939), p.464.Mowat,R.B.,TheConcertofEurope(1930), p.23. Phillips, W.A.,The Confederation ofEurope, 1914 (2d ed., 1920). Lasswell, H. D., Politics, p. 53· Muir, R., Nationalism and Internationalism (1917), p. 176. Buell, R. L., International Rela tion (1929), p. 512.

2.ასწლოვანი მშვიდობა

1. ფაქტები.

1815-დან 1914 წლებში ევროპის წამყვანი ძალები ერთმანეთთან მხოლოდ რამდენიმე ხანმოკლე მონაკვეთში ომობდნენ: 1859 წელს 6 თვის განმავლობაში, ექვსი კვირის განმავლობაში 1866 წელს და ცხრა თვის განმავლობაში 1870-71 წლებში. როგორც ამაზე ისტორიკოსები ქლეფჰემი,ტრეველიანი, ტოინბი და ბინკლი თანხმდებიან, ყირიმის ომი, რომელმაც სულ ორი წელიწადი გასტანა, პერიფერიული და ნახევრადკოლონიური ბუნების იყო. სხვათა შორის, ამ ომის დროს ბრიტანელების ხელთ არსებული რუსული ობლიგაციები ("Russian Bonds" – იგულისხმება war bonds, სამხედრო ოპერაციების დაფინანსებისთვის გამოყოფილი ობლიგაციები) ლონდონში პატივით სარგებლობდნენ. ძირითადი განსხვავება მეცხრამეტე საუკუნესა და მის წინა საუკუნეებს შორის ომების სრულ არარსებობასა და პერიოდულად წარმართულ დიდ ომებს შორის არსებული პერიოდი წარმოადგენს. გენერალ-მაიორ ფულერის მტკიცება იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნეში ომის გარეშე არცერთ წელიწადს არ ჩაუვლია უსაფუძვლოა. ქუინსი რაითი კი განსხვავებულ საუკუნეებში ომიანობის წლების შედარებით დამოუკიდებლად იმისგან, ადგილობრივი იყო ეს ომები თუ სახელმწიფოთშორისი, გვერდს უვლის მნიშვნელოვან საკითხს.

2. პრობლემა.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის განგრძობითი სავაჭრო ომების, როგორც საერთაშორისო ომების მდიდარი წყაროს შეწყვეტა პირველ რიგში ახსნას საჭიროებს. ეს ორი ერთმანეთს ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებული ორი ფაქტით უკავშირდება: (ა) ძველი კოლონიური იმპერიის ხანის დასრულებით და (ბ) თავისუფალი ვაჭრობის ხანით,რომელიც შემდგომში საერთაშორისო ოქროს სტანდარტში გადაიზარდა. იმ დროს, როდესაც ვაჭრობის ახალი ფორმების წარმოშობასთან ერთად ომის მიმართ ინტერესი გაქარწყლდა, ახალი საერთაშორისო ვალუტისა და საკრედიტო სტრუქტურის წარმოქმნის შედეგად პოზიტიური მშვიდობის ინტერესიც გაჩნდა. ამიერიდან, სრულიად ეროვნული ეკონომიკების ინტერესი დაკავშირებული იყო სტაბილური ვალუტის შენარჩუნებასთან და მსოფლიო ბაზრების ფუნქციონირებასთან, რაზეც თავის მხრივ დამოკიდებული იყო შემოსავლები და დასაქმება. ამრიგად,ტრადიციული ექსპანსიონიზმი ანტი-იმპერიალისტური მიმდინარეობით ჩანაცვლდა, რაც ესოდენ ჩვეული იყო თითქმის ყველა წამყვანი ძალისთვის 1880 წლამდე. (ამაზე ჩვენ მე-18 თავში ვსაუბრობთ.)

შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში (1815-80 წლებში) ერთგვარი ფანჯარა არსებობდა. მოცემულ ინტერვალში იგულისხმება პერიოდი ერთი მხრივ სავაჭრო ომებს (როდესაც თითქოს ბუნებრივ მოცემულობად მიიჩნევდნენ, რომ მომგებიანი ბიზნესის წინსვლა საგარეო პოლიტიკის ინტერესებში შედიოდა) და შედარებით გვიან პერიოდს, როდესაც ობლიგაციების უცხოელი მფლობელების თუ პირდაპირი ინვესტორების ინტერესები უცხოური კანცელარიების ლეგიტიმურ საზრუნავად მოიაზრებოდნენ . დროის სწორედ ამ შუალედში ჩამოყალიბდა დოქტრინა, რომელმაც გამორიცხა კერძო ბიზნეს ინტერესების გავლენა საგარეო საქმეების წარმართვაზე; სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს კანცელარიებმაც მსგავსი პრეტენზიების დასაშვებად აღქმა, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ახალ მიმდინარეობასთან მიმართებით მკაცრი დათქმების გამოყენებით. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოცემული ცვლილება ვაჭრობის ხასიათს უკავშირდებოდა, რომლის მასშტაბიცა და წარმატებაც მე-19 საუკუნეში არსებული პირობე-

ბით, აღარ იყო დამოკიდებული პირდაპირ, ძალის პოლიტიკაზე. გარდა ამისა, საგარეო პოლიტიკაზე ბიზნეს გავლენების დაბრუნება იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ საერთაშორისო ვალუტამ და საკრედიტო სისტემამ ეროვნულ საზღვრებზე აღმატებული, ბიზნეს ინტერესების ახალი ტიპი შექმნეს. მაგრამ მანამ, სანამ ეს ინტერესები უბრალოდ ობლიგაციების უცხოელ მფლობელებს ეკუთვნოდათ, მთავრობები ნაკლები ხალისით აძლევდნენ მათ რაიმე გასაქანს. უცხოური სესხები დიდ ხნის განმავლობაში მოიაზრებოდნენ წმინდად სპეკულაციურად, ამ სიტყვის ყველაზე მკაცრი გაგებით. კორპორაციული შემოსავლები სამთავრობო ობლიგაციებში იყო დაბანდებული; არცერთ მთავრობას აზრადაც არ მოუვიდოდა მხარი დაეჭირა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც სარისკო რეპუტაციების მქონდე მთავრობებთან თანხის გასესხების საქმიანობაში იყვნენ ჩართული. ქენინგმა უპირობოდ უარყო იმ ინვესტორების დაჟინებული მოთხოვნები, რომლებიც ბრიტანეთის მთავრობისგან მოელოდნენ მათი საგარეო ფინანსური დანაკარგებით დაინტერესებას. გარდა ამისა, ქენინგისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ლათინო ამერიკული რესპუბლიკის აღიარების საკითხი მათ მიერ საგარეო ვალების აღიარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. პალმერსტონის 1848 წლის ცნობილი ცირკულარი პირველ მინიშნებას წარმოადგენდა ამ შეცვლილ დამოკიდებულებაზე, თუმცა არც ეს ცვლილებები წასულა შორს, ვინაიდან სავაჭრო საზოგადოების ბიზნეს ინტერესები იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ მთავრობა ნაკლებად დაუშვებდა ვიწრო კორპორაციულ ინტერესს გაერთულებინა მსოფლიო იმპერიის საქმეები .

საგარეო პოლიტიკის ინტერესის ხელახლა გაღვივებამ საზღვარგარეთის ბიზნეს საქმიანობებში დიდწილად თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლით და შესაბამისად, მე-18 საუკუნის მეთოდებთან დაბრუნებით იყო განპირობებული. ვინაიდან ვაჭრობის უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებამ წმინდად ბუნებრივი და ამჯერად არასპეკულაციური ხასიათი შეიძინა, საგარეო პოლიტიკა კვლავ დაუბრუნდა სავაჭრო საზოგადოების ინტერესების სამსახურს. თუმცა, ახსნას ამ შემთხვევაში ხსენებული პაუზის დროს ამ ინტერესების წყვეტა წარმოადგენს და არა უშუალოდ მათი განახლების მიზეზები.

მეორე თავისთვის

3. ოქროს ძაფის გაწყვეტა

ოქროს სტანდარტის მოშლა ვალუტების იძულებითი სტაბილიზაციით იყო გამოწვეული. სტაბილიზაციისკენ მიმართული ქმედებების პიკი ჟენევა იყო, რომელმაც ლონდონისგან და უოლ სთრითისგან მომავალი ზეწოლა ფინანსურად შედარებით სუსტ სახელმწიფოებზე გადაიტანა. სახელმწიფოების პირველი ჯგუფი, რომელიც დასტაბილიზდა დამარცხებული ქვეყნებისგან შედგებოდა, რომელთა ვალუტებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაუფასურდა. მეორე ჯგუფი კი იმ გამარჯვებული ევროპული სახელმწიფოებისგან შედგებოდა, რომლებმაც საკუთარი ვალუტები მეტწილად პირველი ჯგუფის სახელმწიფოების შემდგომ დაასტაბილურეს. მესამე ჯგუფი ოქროს სტანდარტის მთავარი ბენეფიციარის, ამერიკის შეერთებული შტატებისგან შედგებოდა.

1. დამარცხებული სახელმწიფოები		**2. გამარჯვებული ევროპული სახელმწიფოები**			**3. უნივერსალური კრედიტორი სტაბილიზებული**	
	სტაბილიზებული		*სტაბილიზებული*	*ოქროს სტანდარტის მიტოვება*		*ოქროს სტანდარტის მიტოვება*
რუსეთი	1923	დიდი ბრიტანეთი	1925	1931	აშშ	1933
ავსტრია	1923					
უნგრეთი	1924	საფრანგეთი	1926	1936		
გერმანია	1924					
ბულგარეთი	1925	ბელგია	1926	1936		
ფინეთი	1925	იტალია	1926	1933		
ესტონეთი	1926					
საბერძნეთი	1926					
პოლონეთი	1926					

პირველ ჯგუფში არსებული დისბალანსს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეორე ჯგუფის სახელმწიფოებზე ჰქონდა ზეგავლე-

ნა. ვალუტის დასტაბილურების შემდეგ მეორე ჯგუფი ასევე აღმოჩნდა მხარდაჭერის საჭიროების წინაშე, რაც თავის მხრივ მესამე ჯგუფის მიერ იყო უზრუნველყოფილი. საბოლოოდ, სწორედ მესამე ჯგუფი(რომელიც აშშ-გან შედგებოდა) აღმოჩნდა ის, რომელმაც ყველაზე მძიმედ მიიღო ევროპული სტაბილიზაციით გამოწვეული დისბალანსის მთელი დარტყმა.

4. ქანქარისებრი რხევა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ქანქარისებრი რხევა საყოველთაო და სწრაფი, ხოლო მისი ამპლიტუდა მცირე იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში 1918-23 წლებმა კონსერვატიზმის რესტავრაცია მოიტანა დემოკრატიული(ან სოციალისტური) რესპუბლიკისკენ მისწრაფებით, რაც მარცხით დასრულდა; რამდენიმე წლის შემდეგ ფაქტობრივად მსოფლიო მასშტაბით ერთპარტიული მთავრობები ჩამოყალიბდა. და მაინც, მოძრაობა ჭეშმარიტად საყოველთაო იყო.

ქვეყანა	*რევოლუცია*	*კონტრრევოლუ-ცია*	*ერთპარტიული სახელმწიფო*
ავსტრია	ოქტ.1928 სოც. დემ.რესპუბლიკა	1920 საშუალო კლასის რესპ.	1934
ბულგარეთი	ოქტ.1928 რა-დიკალური აგრ. რეფორმა	1923 ფაშისტური კონტრ-რევოლუ-ცია	1934
ესტონეთი	1917 სოციალის-ტური რესპ.	1918 საშუალო კლასის რესპუ-ბლიკა	1926
ფინეთი	თებ.1917 სოცია-ლისტური რესპ.	1918 საშუალო კლასის რესპუ-ბლიკა	–
გერმანია	ნოემბ.1928 სოც. დემ რესპუბლიკა	1920 საშუალო კლასის რესპუ-ბლიკა	1933

უნგრეთი	ოქტ.1918 დემოკრატიული რესპ.	1919 კონტრრევოლუცია	–
იუგოსლავია	1918 დემოკრატიული ფედერაცია	1926 ავტორიტარული სამხედრო სახელმწიფო	1929
ლატვია	1927 სოციალისტური რესპ.	1918 საშუალო კლასის რესპუბლიკა	1934
ლიტვა	1917 სოციალისტური რესპ.	1918 საშუალო კლასის რესპუბლიკა	1926
პოლონეთი	1919 სოც.დემ რესპუბლიკა	1926 ავტორიტარული სახელმწიფო	–
რუმინეთი	1918 აგრარული რეფორმა	1926 ავტორიტარული რეჟიმი	–

5. ფინანსები და მშვიდობა

უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში საერთაშორისო ფინანსების პოლიტიკური როლის შესახებ რაიმე მასალის მოძიება უკიდურესად რთულია. როტშილდის შესახებ დაწერილი კორტის წიგნი მხოლოდ ევროპის კონცერტამდე არსებულ პერიოდს ფარავს. წიგნში გამოტოვებულია ისეთი მოვლენები, როგორიცაა მათი მონაწილეობა სუეცის აქციების შეთანხმებაში, ბლაიხრიოდერის შემოთავაზებაში დაეფინანსებინათ ფრანგული ომის კონტრიბუცია საერთაშორისო ვალის მეშვეობით და ასევე, მათი ჩართულობა აღმოსავლეთ რკინიგზის არსებობის პერიოდში განხორციელებულ მსხვილ ინვესტიციებში. ლენგერისა და სონტაგის ისტორიული ნაშრომები მცირედ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ფინანსებს (მაგალითად სონტაგი საერთოდ არ ახსენებს ფინანსებს მშვიდობის განმაპირობებელი ფაქტორების ჩამოთვლისას) ლითენსის შენიშვნები Cambridge Modern History-ში ფაქტობრივად გამონაკლისს წარმოადგენს.

თავისუფალი ლიბერალური კრიტიკა არც ფინანსისტების პატრიოტიზმის ნაკლებობების დემონსტრირებისკენ იყო მიმართული და არც მათი იმ მიდრეკილებების ჩვენებას ცდილობდა, რომლებიც პროტექციონისტული თუ იმპერიალისტური ტენდენციების მხარდაჭერაში გამოიხატებოდნენ თავისუფალი ვაჭრობის საზიანოდ, როგორც ეს საფრანგეთში ლაისის მსგავსი მწერლების, ან ინგლისში ჯ.ა ჯობსონის შემთხვევაშია. ისეთი მარქსისტების ნაშრომებში, როგორებიც მაგალითად ჰილფერინგი და ლენინია, ავტორები მკაფიოდ უსვამდნენ ხაზს იმპერიალისტურ ძალების არსებობას, რომლებიც ეროვნული საბანკო სფეროდან მომდინარეობდნენ და ორგანული კავშირი ჰქონდათ მძიმე ინდუსტრიებთან. მოცემული არგუმენტი, გარდა იმისა, რომ შეზღუდული იყო (დიდწილად გერმანიაში) საერთოდ ვერ გაუმკლავდა საერთაშორისო საბანკო ინტერესებს.

უოლ სთრითის გავლენა 1920 წელს განვითარებულ მოვლენებზე ზედმეტად ახალია იმისათვის, რომ ობიექტური შესწავლის საგანი გახდეს. ნაკლებად შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ უოლ სთრითის გავლენა სასწორზე იყო შეგდებული საერთაშორისო მედიაციისა და ზომიერების მხარეს სამშვიდობო ხელშეკრულებების პერიოდიდან დავოსის გეგმამდე, ასევე იანგის გეგმის და რეპარაციების ლიკვიდაციის დროიდან ლოზანაში და მას შემდეგაც. ბოლოდროინდელი ლიტერატურა მიისწრაფვის კერძო ინვესტიციების პრობლემის გამოცალკევებისკენ, როგორც ეს სტენლის ნაშრომშია, სადაც ის მკაფიოდ გამორიცხავს მთავრობებისთვის სესხების შესაძლებლობებს დამოუკიდებლად იმისგან, ეს სესხი სხვა მთავრობებისგან არის შეთავაზებული თუ კერძო ინვესტორებისგან. მოცემული შეზღუდვა პრაქტიკულად გამორიცხავს საერთაშორისო ფინანსების ნებისმიერ ზოგად შეფასებას მის საინტერესო კვლევაში. ფაისის ბრწყინვალე მსჯელობა,რომელიც ჩვენ აქ უხვად მოვიხმეთ, ახლოსაა საკითხის მთლიანად დაფარვასთან, თუმცა ამასთან ის ავთენტური მასალების გარდაუვალ სიმწირეს განიცდის, ვინაიდან haute finance (Haute Finance Laissez-faire პერიოდში საერთაშორისო საბანკო საქმიანობის ყველაზე მაღალი ინსტიტუციური ფორმა იყო, რომელიც გარდა იმისა, რომ დამაკავშირებელი რგოლის როლს თამაშობდა მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზების შორის,

მშვიდობის დამყარების ინსტრუმენტადაც მოიაზრებოდა) არქივები ჯერაც არ არის ხელმისაწვდომი. ერლის, რემერისა და ვაინერის მიერ გაწეული ფასდაუდებელი შრომა სწორედ იმავე გარდაუვალი შეზღუდვის საგანია.

მეოთხე თავისთვის

6. „საზოგადოებები და ეკონომიკური სისტემები“ – რჩეული წყაროები

მე-19 საუკუნეში ინდივიდუალურ სარგებლის მოტივზე დამყარებული თვით-რეგულირებადი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა იყო. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მსგავსი საქმიანობა თავისი არსით შეუძლებელი იყო. ამ მიდგომასთან მიმართებით ჩვენი მთავარი პრობლემა ცხოვრებისა და საზოგადოების დამახინჯებული ხედვაა. მაგალითისთვის,მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნეები ფიქრობდნენ, რომ ვაჭარივით მოქცევა ბაზარზე „ბუნებრივი“ იყო და სხვა ნებისმიერი ქცევის ფორმა ხელოვნურ ეკონომიკურ ქცევად მიაჩნდათ, როგორც ადამიანურ ინსტინქტებში ჩარევის შედეგი; მათი მოსაზრების თანახმად, ბაზრები სპონტანურად წარმოიქმნებოდნენ, თუ ადამიანებს თავს დაანებებდნენ და დამოუკიდებლად იმისგან , რამდენად სასურველი იქნებოდა მსგავსი საზოგადოების არსებობა მორალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მისი პრაქტიკულობა, სულ მცირე, რასის უცვლელ მახასიათებლებზე იყო დამყარებული და ა.შ მოცემული მოსაზრებების სრულად საპირისპირო მნიშვნელობის მტკიცებებია ნაგულისხმევი სოციალური მეცნიერებების განსხვავებული მიმართულებების, სოციალური ანთროპოლოგიის, პრიმიტიული ეკონომიკის, ადრეული ცივილიზაციისა და ზოგადი ეკონომიკური ისტორიის თანამედროვე კვლევებში .მართლაც, ეკონომიკური ლიბერალიზმის ფილოსოფიაში რთულად თუ მოიძებნება ისეთი სოციალური ან ანთროპოლოგიური (ცხადი თუ ბუნდოვანი) დაშვება, რომელიც არ უკუაგდეს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ციტატა.

ა) სარგებლის მოტივი არ არის „ბუნებრივი“ ადამიანისთვის.

„პრიმიტიული ეკონომიკების დამახასიათებელი ნიშანი წარმოებისა და გაცვლისგან სარგებლის მიღების სურვილის არარსებობაა“ ((Thurnwald, Economics in Primitive Communities, 1932, p. xiii). „კიდევ ერთი ცნება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვაგდოთ, ზოგიერთ ამჟამინდელ ეკონომიკის სახელმძღვანელოებში მოცემული პრიმიტიული ეკონომიკის ადამიანია (” (Malinowski, Argonauts of the Western Pacific, 1930, p. 60). „ჩვენ უნდა უარვყოთ მანჩესტერული ლიბერალიზმის იდეალური ტიპები, რომლებიც არამხოლოდ თეორიულად, არამედ ისტორიულადაც მცდარია“. (Brinkmann, “Das soziale System des Kapitalismus,” in Grundriss der Sozialökonomik, Vol. IV, p. 11).

(ბ) გაწეული შრომისთვის ანაზღაურების მოლოდინი ადამიანისთვის არ არის „ბუნებრივი“.

„სარგებელი, როგორც ასეთი, ხშირ შემთხვევაში ცივილიზებულ საზოგადოებებში შრომის სტიმულად მოიაზრება და არასდროს მოქმედებს, როგორც იმპულსი პირველსაწყის ავთენტურ მდგომარეობაში“ ((Malinowski, op. cit., p. 156). „გავლენებისგან თავისუფალ პრიმიტიულ საზოგადოებებში ვერსად შეხვდებით შრომასთან დაკავშირებული ანაზღაურების იდეას“. (Lowie, “Social Organization,” in Encyclopedia of the Social Sciences, Vol. XIV, p. 14). “შრომას არსად ყიდიან და ყიდულობენ (Thurnwald, Diemenschliche Gesellschaft, Book III, 1932, p. 169) „შრომასთან მოპყრობა ისე, როგორც ვალდებულებასთან, გასამრჯელოს მოთხოვნის გარეშე...“ (Firth, Primitive Economics of the New Zealand Maori, 1929). შუასაუკუნეებშიც კი შრომითი ანაზღაურება უცხოელებისთვის გაუგონარი რამ იყო“. “უცხოელს არავითარი პირადი ვალდებულება არ გააჩნია და შესაბამისად, მან პატივისა და აღიარებისთვის უნდა იმუშაოს“. მენესტრელები, როგორც უცხოელები, „გასამრჯელოს იღებდნენ და შესაბამისად, ისინი საძულველნი იყვნენ“ (Lowie, op. cit.).

(გ) შრომის გარდაუვალ მინიმუმამდე შემცირება არ არის „ბუნებრივი“ ადამიანისთვის.

„შეუძლებელია თვალსაწიერიდან გამოგვრჩეს, რომ შრომა არასდროს ყოფილა დაყვანილი გარდაუვალ მინიმუმამდე, ის ყოველთვის აჭარბებს სრულიად აუცილებელ ოდენობას, მოქმედებისკენ მიმართული ბუნებრივი ან შეძენილი ფუნქციური მოწოდების გამოისობით“. (Thurnwald, Economics, p. 209). „შრომა ყოველთვის მიდრეკილია გაცდეს იმას, რაც აუცილებელ საჭიროებად არის მიჩნეული“(-Thurnwald, Die menschliche Gesellschaft, p. 163).

(დ) შრომის ჩვეულ სტიმულებს არა მოგება, არამედ ნაცვალგება, კონკურენცია, მუშაობის ხალისი და სოციალური სასურველობა წარმოადგენენ.

ნაცვალგება: „ეკონომიკური ქმედებების უდიდესი ნაწილი, თუ არა მათი აბსოლუტური უმრავლესობა საპასუხო ძღვენების მთელ ჯაჭვს მიეკუთვნება, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში ორივე მხარისთვის თანაბრად სარგებლიანია... ადამიანი, რომელიც ჯიუტად გაურბის კანონის მმართველობას თავის ეკონომიკურ საქმეებში საკუთარ თავს მალევე აღმოაჩენს სოციალური და ეკონომიკური წესრიგის მიღმა – და ის ძალიან კარგად იცის ამის შესახებ“ (Malinowski, Crime and Custom in Savage Society, 1926, pp. 40–41):კონკურენცია: „კონკურენცია ძლიერია და მიუხედავად მიზნის გარშემო თანხმობისა, განსხვავდება სრულყოფილების ხარისხში ... კონკურენცია პაექრობაა სრულყოფილებისთვის ნიმუშების შექმნაში“ ” (Goldenweiser, “Loose Ends of Theory on the Individual, Pattern, and Involution in Primitive Society,” in Essays in Anthropology, 1936, p. 99).

`ადამიანები ეჯიბრებიან ერთმანეთს სიჩქარეში, სიზუსტეში, სიმძიმეების აწევაში, ბაღში დიდი პალოების ან მოყვანილი იამსის გადაზიდვაში“ (Malinowski, Argonauts, p. 61).

შრომის ხალისი: „შრომა საკუთარი თავისთვის მაორის ინდუსტრიის მუდმივ მახასიათებელს წარმოადგენს“ (Firth, “Some Features of Primitive Industry” E. J., Vol. I, p. 17). „მეტი დრო და შრომა ესთეტიკური მიზნებიდან გამომდინარეა ბოძებული, რათა ბაღები ნარჩენებისგან გასუფთავდეს, დიდი და ძლიერი იამსების მოსაყვანად კი

მყარი ღობეები აშენდეს. ყოველივე ეს, გარკვეულწილად, მცენარის გაზრდისთვის არის აუცილებელი, თუმცა არავითარი ეჭვი არაა იმაში, რომ მკვიდრები მნიშვნელოვნად ცდებიან თავიანთ ცნობიერებაში აუცილებელი საჭიროების საზღვრებს“ (Malinowski, op. cit., p. 59).სოციალური სასურველობა: „სრულყოფილება მებაღეობაში პიროვნების სოციალური ღირებულების ზოგად მაჩვენებსლ წარმოადგენს“. (Malinowski, Coral Gardens and Their Magic,

Vol. II, 1935, p. 124). “საზოგადოების თითოეული წევრისგან არსებობს მოლოდინი, რომ გამოყენების ნორმალურ ხარისხს გამოავლენენ“ (Firth, Primitive Polynesian Economy, 1939,p. 161). “ანდამანის კუნძულების მკვიდრი მოსახლეობა სიზარმაცეს ანტისოციალურ ქცევად მიიჩნევენ (Ratcliffe-Brown, The Andaman Islanders), „სხვისი ბრძანებით შესრულებული შრომა არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური სამსახურიცაა“(Firth, op. cit., p. 303).

(ე) კაცობრიობა ერთსა და იმავე ასაკში

ლინტონი თავის Study of Man-ში გვირჩევს თავი ავარიდოთ პიროვნების განსაზღვრის ფსიქოლოგიურ თეორიებს და ამტკიცებს, რომ „ზოგად დაკვირვებებს იმ დასკვნამდე მივყავართ,რომ ამ ტიპების საერთო დიაპაზონი ყველა საზოგადოებაში თითქმის ერთი და იგივეა... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი ის (დამკვირვებელი) კულტურული განსხვავებების ეკრანში შეაღწევს, აღმოაჩენს, რომ ეს ადამიანები არსებითად ჩვენი მსგავსნი არიან“ (გვ.484) ტურნვალდი ადამიანების მსგავსებას უსვამს ხაზს მათი განვითარების ყველა ეტაპზე: „წინა გვერდებზე შესწავლილი პრიმიტიული ეკონომიკა არ განსხვავდება ეკონომიკის სხვა ფორმებისგან იმდენად, რამდენადაც ადამიანური ურთიერთობები მიემართება და ეფუძნება სოციალური ცხოვრების ერთსა და იმავე ზოგად პრინციპებს“ (Economis, გვ.288) „მარტივი ხასიათის ზოგიერთი კოლექტიური ემოციები თავისი არსით ყველა ადამიანისთვის ერთნაირი და ხსნიან მათ სოციალურ არსებობაში მსგავსი კონფიგურაციების განმეორებითობას“ (“Sozialpsychische Abläufe im Völkerleben,” in Essays in Anthropology, p. 383). რუთ ბენედიქტის „Patterns of Culture“ საბოლოო ჯამში მარტივ დაშვებას ეფუძნება: „ ისე ვსაუბრობ თითქოს

ადამიანის ტემპერამენტი მუდმივობით ხასიათდება, თითქოს ყოველ საზოგადოებაში მსგავსი გადანაწილება პოტენციურად შესაძლებელი იყო და თითქოს მათგან ამორჩეულმა კულტურამ, თავისი ტრადიციული პატერნების თანახმად, ინდივიდების ერთობა ერთიანობად ჩამოაყალიბა. მაგალითისთვის, ამ ინტერპრეტაციის თანახმად ტრანსგამოცდილება გარკვეული ინდივიდების უნარიანობაა ნებისმიერ პოპულაციაში. როდესაც ამას პატივს სცემენ და ახალისებენ, მნიშვნელოვანი ნაწილი მიაღწევს კიდეც მას ან სიმულირებას მოახდენს...“ (გვ.233) მალინოვსკი თავის ნაშრომებში იგივე პოზიციას იზიარებდა.

(3) ეკონომიკური სისტემები, როგორც წესი, ჩაშენებულია სოციალურ ურთიერთობებში, მატერიალური სიკეთეების გადანაწილება არაეკონომიკური მოტივებით არის უზრუნველყოფილი.

პრიმიტიული ეკონომიკა „სოციალურ საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც პიროვნებების გარკვეულ რიცხვს ისე უმკლავდება, როგორც ურთიერთდაკავშირებული მთლიანობის ნაწილებს“ (Thurnwald, Economics, p. Xii). ეს იმავენაირად მიემართება დოვლათს, შრომასა და ბარტერს. „პრიმიტული დოვლათი არა ეკონომიკური, არამედ სოციალური ბუნებისაა“ (იქვე). შრომას „ეფექტური მუშაობის“ უნარი შესწევს ვინაიდან ის „ ინტეგრირებულია სოციალური ძალების ორგანიზებულ ძალისხმევაში“ (Malinowski, Argonauts, p. 157). „საქონლის ბარტერი და მომსახურება მიმდინარე პარტნიორობის ფარგლებში სრულდება ან დაკავშირებულია განსაზღვრულ სოციალურ ბმებთან, რომლებსაც თან ერთვის ურთიერთგაგება არაეკონომიკურ საკითხებში“. (Malinowski, Crime and Custom, p. 39).

ორი მთავარი პრინციპი, რომელიც განაგებს ეკონომიკურ ქცევას, როგორც ჩანს ნაცვალგება და შენახვა/გადანაწილებაა.

„მთელი ტომობრივი ცხოვრება გამსჭვალულია მუდმივი გაცემითა და მიღებით“ ((Malinowski, Argonauts, p. 167). „დღევანდელი გაცემა ხვალინდელი მიღებით დაკომპენსირდება“. ეს ნაცვალგების პრინციპის შედეგია, რომელიც პრიმიტიულ ცხოვრებაში არსებულ ნებისმიერ ურთიერთობაში აღწევს...“ ” (Thurnwald, Economics, p. 106). იმისათვის, რომ ეს ნაცვალგება შესაძლებელი იყოს, ველურ საზოგა-

დოებებში ინსტიტუციების გარკვეული „ორბუნებიანობა“ ან სტრუქ-ტურის სიმეტრიულობა უნდა გამოიძებნოს, როგორც ნაცვალგები-თი ვალდებულებების საფუძველი“ (Malinowski, Crime and Custom, p. 25). „მათი სულების სავანეების სიმეტრიული დანაწილება ბანაროს ხალხთან ერთად მათი საზოგადოების სტრუქტურას ემყარება, რო-მელიც ასევე სიმეტრიულია“. (Thurnwald, Die Gemeinde der Bánaro, 1921, p. 378).

ტურნვალდმა აღმოაჩინა, რომ მარაგის შექმნის პრაქტიკა და გადანაწილება ერთად და ცალ-ცალკეც გამოყენების ყველაზე ჩვეუ-ლი ფორმა იყო სხვადასხვა საზოგადოებებისთვის – პრიმიტიული მონადირე ტომებიდან ყველაზე დიდ იმპერიებამდე.

საქონელს მრავალი სხვადასხვა გზით, ცენტრალიზებული წე-სით აგროვებდნენ და შემდგომ გადაანაწილებდნენ საზოგადოების წევრები. მიკრონეზიელ და პოლინეზიელ ხალხებში,მაგალითისთვის, მეფეები, როგორც პირველი კლანის წარმომადგენლები შემოსავალს ღებულობდნენ, შემდგომ კი ანაწილებდნენ მას მოსახლეობაში დიდ-სულოვნების ნიშნად“ (Thurnwald, Economics, p. Xii). გადამანაწილებე-ლი ფუნქცია ცენტრალური ორგანოების პოლიტიკური ძალის პირ-ველადი წყაროა (იქვე, გვ107).

(ზ) საკვების ინდივიდუალური შეგროვება საკუთარი თავისა და ოჯახისთვის ადრეული ხანის ადამიანის ცხოვრების ჩვეულებას არ წარმოადგენდა.

კლასიკოსებს მიაჩნდათ, რომ პრე-ეკონომიკური ხანის ადამიანს საკუთარ თავზე და ოჯახზე უნდა ეზრუნა. ეს ვარაუდი კარლ ბუ-ჩერმა გააცოცხლა თავის პიონერულ ნაშრომში და საკმაოდ ფარ-თო გავრცელებაც მოიპოვა. უკანასკნელმა კვლევებმა ერთხმად შეიტანეს შესწორება ბუშერის მოსაზრებებში ამ საკითხთან დაკავ-შირებით (Firth,Primitive Economics of the New Zealand Maori, pp. 12, 206, 350. Thurnwald, Economics, pp. 170, 268, and Die menschliche Ge-sellschaft, Vol.III, p. 146; Herskovits, The Economic Life of Primitive Peoples, 1940, p. 34; Malinowski, Argonauts, p. 167, footnote.)

(თ) ნაცვალგება და გადანაწილება ის პრინციპებია, რომლებიც არამხოლოდ პრიმიტიულ საზოგადოებებს, არამედ დიდსა და მდიდარ იმპერიებსაც მიესადაგება.

„გადანაწილებას საკუთარი ისტორია გააჩნია ჯერ კიდევ ყველაზე პრიმიტიული, მონადირე ტომების დროიდან“. „საქმე სხვაგვარადაა შედარებით ახალ და უფრო მკაფიოდ გამოხატული სტრატიფიკაციის მქონე საზოგადოებებში..“ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ამ მხრივ მწყემსებისა და სოფლის მეურნეობით დაკავებულ ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს“. „პირობები ამ საზოგადოებებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუმცა, გადამანაწილებელი ფუნქცია რამდენიმე ოჯახის პოლიტიკური ძალის ზრდასთან და დესპოტების აღზევებასთან ერთად ძლიერდება. ბელადი გლეხების ძღვენს იღებს, რომელიც ახლა „გადასახადებად“ გადაიქცა და ანაწილებს მას თავის წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებით კი მათ შორის, ვინც მის კართანაა დაახლოებული“.

„ეს განვითარება გადანაწილების უფრო მეტ რთულ სისტემას გულისხმობდა...ყველა არქაული სახელმწიფო – ძველი ჩინეთი, ინკების იმპერია, ინდური სამეფოები, ეგვიპტე თუ ბაბილონი გადასახადებისთვის და გასამრჯელოსთვის მეტალიკურ ვალუტას იყენებდნენ, თუმცა ძირითადად მაინც ნატურით ანაზღაურებას ეყრდნობოდნენ, რომლებიც თავის მხრივ ხორბლის საცავებსა და საწყობებში ინახებოდა“ ; ეს რესურსები შემდგომში მოხელეებზე, მეომრებზე და თავისუფალ კლასებზე ნაწილდებოდა, სხვა სიტყვებით მოსახლეობის არამწარმოებელ კლასებზე“ (Thurnwald, Economics, pp. 106–8).“ფეოდალიზმზე საუბრისას ჩვეულებრივ შუასაუკუნეების ევროპაზე ვფიქრობთ...თუმცა, ეს ის ინსტიტუციაა,რომელიც მალევე სტრატიფიცირებულ საზოგადოებებად გარდაიქმნენ. სწორედ ფეოდალიზმის ეკონომიკურ შედეგია ის ფაქტი, რომ ტრანზაქციების დიდი ნაწილი ნატურით ხორციელდება და უმაღლესი ფენები მთელს მიწასა და საქონელზე აცხადებს პრეტენზიას...“(იქვე, გვ 195)

მეხუთე თავისთვის

7. რჩეული წყაროები „ბაზრის პატერნების რევოლუციის“ შესახებ

ეკონომიკური ლიბერალიზმი იმ ილუზიით იყო შეცდომაში შეყვანილი, რომ მისი პრაქტიკები და მეთოდები პროგრესის ზოგადი კანონის შედეგს წარმოადგენდნენ. იმისათვის, რომ ისინი ამ ბაზრის რევოლუციის პატერნებს მისადაგებოდნენ, თვითრეგულირებადი ბაზრის პრინციპები კაცობრიობის მთელ განვლილ ისტორიაზე პროეცირდა. შედეგად, ვაჭრობის,ბაზრის, ფულის, ქალაქის ცხოვრებისა და ეროვნული სახელმწიფოების ჭეშმარიტი ბუნება და პირველსაწყისები იმდენად დეფორმირდა, რომ მათი პირველადი სახის ამოცნობა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

(ა) საქონლის გადაზიდვის, გაცვლისა და ბარტერის“ ინდივიდუალური აქტები ექსკლუზიურად მხოლოდ პრიმიტიულ საზოგადოებაში ხორციელდებოდა.

„ბარტერი თავდაპირველად სრულიად უცნობი ფენომენი იყო. ბარტერისადმი დაუცხრობელი სურვილისგან მნიშვნელოვნად მოცილებული პრიმიტიული ადამიანი ზიზღით ეკიდებოდა მას“ (Bücher, Die Entstehung der Volkswirtschaft, 1904, p. 109). „ მაგალითისთვის, შეუძლებელია ბონიტოს თევზსაჭერის ღირებულების შეფასება საკვების რაოდენობის გადმოსახედიდან, ვინაიდან მსგავსი გაცვლა არასდროს განხორციელებულა და ეს ტიკოტოპიელებისთვის სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა...თითოეული ნივთი კონკრეტული სოციალური სიტუაციისთვის არის შესაფერისი“(Firth, op. cit., p. 340).

(ბ) ვაჭრობა არ აღმოცენებულა საზოგადოების შიგნით; ვაჭრობა საგარეო საქმეა,რომელშიც განსხვავებული საზოგადოებებია ჩართული.

„თავდაპირველად სავაჭრო გარიგებები არა ტომის წევრებს ან ერთი და იგივე საზოგადოების წევრებს შორის, არამედ ეთნიკურ ჯგუფებს შორის იდებოდა, უძველეს სოციალურ ერთობებში ეს გარეგანი ფენომენი იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უცხო ტომებს მიემართებოდა“(M. Weber, General Economic History, p. 195). „უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ დასაწყისიდანვე შუასაუკუნეებში კომერცია არა ადგილობრივი, არამედ ექსპორტული ვაჭრობის გავლების ქვეშ იყო მოქცეული“ (Pirenne, Economic and Social His-

tory of Medieval Europe, p. 142). „შორეულ მანძილებზე გათვლილი ვაჭრობა პასუხს აგებდა შუასაუკუნეების ეკონომიკურ აღორძინებაზე“(Pirenne, Medieval Cities, p. 125).

(გ) ვაჭრობა არ ეფუძნება ბაზრებს , ის ცალმხრივ გადაზიდვას ეფუძნება, მშვიდობიანს თუ სხვაგვარს.

ტურნვალდმა დაადგინა ის ფაქტი, რომ ვაჭრობის ადრეული ფორმები საგნების დიდ მანძილზე შესყიდვასა და გადმოზიდვას ეფუძნებოდნენ. ექსპედიცია ომიანი იქნებოდა თუ არა, როგორ მაგალითად მონებზე ნადირობა ან მეკობრეობაა, დიდწილად იყო დამოკიდებული იმ წინააღმდეგობაზე,რომელსაც ის წააწყდებოდა(op. cit., pp. 145, 146). „მეკობრეობა საზღვაო ვაჭრობის პირველსაწყისად გვევლინება როგორც ჰომერის ხანაში ბერძნების, ისე ჩრდილოეთის ვიკინგების შემთხვევაში; დიდი ხნის მანძილზე ეს ორი საქმიანობა შეთანხმებულად ვითარდებოდა(Pirenne, Economic and Social History, p. 109).

(დ) ბაზრების არარსებობა, როგორც მოცემულობა, არ წარმოადგენს არსებით მახასიათებელს; ადგილობრივ ბაზრებს ზრდისკენ მიდრეკილება არ გააჩნიათ.

იმ ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც არ ფლობენ ბაზრებს, არც რაიმე საერთო მახასიათებლის ქონა ესაჭიროებათ(Thurnwald, Die menschliche Gesellschaft, Vol. III, p. 137). ადრეული ხანის ბაზრებზე „მხოლოდ განსაზღვრული საგნების განსაზღვრული რაოდენობით გაცვლა იყო შესაძლებელი“ (იქვე, გვ.137). „ტურნვალდი განსაკუთრებულ შექებას იმსახურებს იმ დაკვირვებისთვის, რომ პრიმიტიული ფული და ვაჭრობა არსებითად სოციალურო და არა ეკონომიკური მნიშვნელობისაა“(Loeb, “The Distribution and Function of Money in Early Society,” in Essays in Anthropology, p. 153). ადგილობრივი ბაზრები არა „შეიარაღებული ვაჭრობიდან, „ჩუმი ბარტერიდან“ ან საგარეო ვაჭრობის რაიმე სხვა ფორმიდან განვითარდა, არამედ შეზღუდული მიზნებით ნაკარნახევი სამეზობლო გაცვლის ადგილას შენარჩუნებული „მშვიდობიდან“. ადგილობრივი ბაზრის მიზანს რაიონებში დასახლებული მოსახლეობის ყოველდღიური

ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სწორედ ამ ამით აიხსნება ბაზრების ყოველკვირეული გამართვა, მიზიდულობის შეზღუდული წრე და აგრეთვე, მათი აქტივობის მარტივ საცალო სავაჭრო ოპერაციებამდე დაყვანა(Pirenne, op. cit., Ch. 4, „Commerce to the End of the Thirteenth Century," p. 97). შედარებით გვიან ეტაპზეც კი, ადგილობრივი ბაზრები, ბაზრობებისგან განსხვავებით ზრდისკენ არ ისწრაფოდნენ: „ბაზარი ადგილობრივების საჭიროებებს უზრუნველყოფდა და მათ მხოლოდ სამეზობლოს მაცხოვრებლები ესწრებოდნენ;საქონელი ძირითადად სოფლის ნაწარმისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შედგებოდა" (Lipson, The Economic History of England, 1935, Vol. I, p. 221). ადგილობრივი ვაჭრობა დასაწყისისთვის გლეხებისა და საშინაო მეურნეობაში ჩართული ადამიანების დამხმარე საქმიანობად განვითარდა და როგორც წესი, სეზონური საქმიანობის ხასიათს ატარებდა" (Weber, op. cit., p. 195). „ერთი შეხედვით,ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ვაჭართა კლასი თანდათანობით აღმოცენდა მიწათმოქმედი მოსახლეობის შიგნით, თუმცა, არაფერი ანიჭებს სანდოობას ამ თეორიას(Pirenne, Medieval Cities, p. 111).

(ე) შრომის დანაწილება არა ვაჭრობიდან ან გაცვლიდან, არამედ გეოგრაფიული, ბიოლოგიური და სხვა არაეკონომიკური ფაქტორებიდან წარმოიშვა.

„შრომის დანაწილება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს გართულებული ეკონომიკის შედეგს, როგორც ამას რაციონალისტური თეორია წარმოგვიდგენს. ეს პრინციპულად სქესისა და ასაკის ფსიქოლოგიური განსხვავების გამოა(Thurnwald, Economics, p. 212)." შრომის დანაწილება თითქმის მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის ხდება(Herskovits, op. cit., p. 13). .

შრომის დანაწილების კიდევ ერთი ფორმა, რომელშიც შრომის დანაწილება შესაძლოა ბიოლოგიური ფაქტებით იყო განპირობებული განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების სიმბიოზის შემთხვევას უკავშირდება. „საზოგადოების მაღალი ფენების" ფორმირების მეშვეობით „ეთნიკური ჯგუფები პროფესიულ-სოციალურ ჯგუფებად გარდაქმნა. „ამრიგად, იქმნება ერთგვარი ორგანიზაცია, რომელიც

ერთი მხრივ დამოკიდებული კლასის კონტრიბუციებსა და მომსახურებაზეა დამყარებული, ხოლო მეორე მხრივ გადანაწილების ძალაუფლებაზე, რომელიც „წამყვანი ფენების“ ხელთაა მოქცეული. (Thurnwald, Economics, p.86). აქ ჩვენ სახელმწიფოების ერთ-ერთ პირველსაწყისს ვხვდებით.(Thurnwald, Sozialpsyschische Abläufe, p. 387).

(3) ფული არ წარმოადგენს საკვანძო გამოგონებას; მისი არსებობა ან არარსებობა ეკონომიკის ტიპისთვის არსებითად არაფერს ცვლის.

„მხოლოდ ის ფაქტი, რომ რომელიმე ტომი ფულს იყენებდა, ეკონომიკურად მნიშვნელოვნად არ განასხვავებდა მას იმ ტომებისგან, რომლებიც არ იყენებდნენ მას“(Loeb, op. cit., p. 154). „და თუ კი ფული საერთოდ გამოიყენებოდა, მისი ფუნქცია საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ის ჩვენი ცივილიზაციის პირობებში ასრულებს. ფული ყოველთვის იყო მყარი მასალა და ის არასოდეს გადაიქცევა ღირებულების სრულად აბსტრაქტული გამოხატულებად“(Thurnwald, Economics, p. 107. ბარტერთან დაკავშირებულ სირთულეებს ფულის „გამოგონებაში“ წვლილი არ მიუძღვით. „ კლასიკოსი ეკონომისტების ეს ძველი ხედვა უპირისპირდება ეთნოლოგიურ კვლევებს“(Loeb, op. cit., p. 167, footnote 6).

კონკრეტული საქონლის გამოყენებითი ფუნქციების გამო (რომლებსაც გარდა ფულის ფუნქციისა, ძალის ატრიბუტის ფუნქციაც გააჩნია,როგორც სიმბოლური დატვირთვის გამოხატულება) შეუძლებელია „ეკონომიკური მფლობელობა ცალმხრივი რაციონალისტური გადმოსახედიდან განვიხილოთ”(Thurnwald, Economics). ფული კი, მაგალითისთვის, შესაძლოა მხოლოდ გასამრჯელოსა და გადასახადებისთვის (იქვე.გვ 108) ან ცოლის, „სისხლის ფულის“(ინგ. Blood Money – ერთგვარი კომპენსაციაა, რომელსაც ბრალდებული (როგორც წესი მკვლელი) უხდის მსხვერპლის ოჯახს) და ჯარიმების გადასახდელად იქნეს გამოყენებული. “ამრიგად, წინასახელმწიფოებრივი მდგომარეობების მოხმობილ მაგალითებში ვხვდებით ღირებული საგნების შეფასებას კონტრიბუციის ოდენობიდან, წამყვანი პირების პოზიციებისა და მყარი ურთიერთობებიდან გამომდინარე თავიანთი საზოგადოებების უსტატუსო წევრებთან.

ბაზრების მსგავსად, ფული დიდწილად გარეგანი ფენომენია, რომლის მნიშვნელობაც საზოგადოებისთვის პირველ რიგში სავაჭრო ურთიერთობები განისაზღვრება(Loeb,op. cit., p. 156).. „ფულის იდეა ჩვეულებრივ გარედან არის წარმოდგენილი“ _ „ფულის , როგორც გაცვლის ზოგადი საშუალების ფუნქცია საგარეო ვაჭრობიდან მომდინარეობს“ (Weber, op.cit., p. 238).

(ზ) საგარეო ვაჭრობა თავდაპირველად იყო ვაჭრობა არა ინდივიდებს, არამედ კოლექტივებს შორის.

ვაჭრობა „ჯგუფური საქმიანობაა“; ის „საგნების კოლექტიურ შეძენას“ ეხება.

ვაჭრობის პირველსაწყისები „კოლექტიური სავაჭრო მოგზაურობებიდან“ მომდინარეობს“. სწორედ ამ ექსპედიციებისთვის მომზადებაში , რაც ხშირად საგარეო ვაჭრობის ხასიათს ატარებს, იკვეთება კოლექტიურობის პრინციპიც(Thurnwald, Economics, p. 145). „ნებისმიერ შემთხვევაში, კომერციის უძველესო ფორმები უცხოელ ტომებს შორის ბარტერულ ურთიერთობებს წარმოადგენდნენ (Weber, op. cit., p. 195). შუასაუკუნეების ვაჭრობა მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდებს შორის სავაჭრო ურთიერთობებით არ შემოიფარგლებოდა, ეს იყო „ვაჭრობა კონკრეტულ ქალაქებს, თემთაშორისი და მუნიციპალიტეტებსშორისი ვაჭრობა“ (Ashley, An Introduction to English Economic History and Theory, Part I, “The MiddleAges,” p. 102).

(თ) სოფელი მოკვეთილი იყო შუასაუკუნეების ვაჭრობიდან.

„მეთხუთმეტე საუკუნეში და იქამდეც, ქალაქები ინდუსტრიისა და კომერციის ერთადერთ ცენტრებს წარმოადგენდნენ იმდენად, რომ ვერ დაუშვებდნენ რომელიმე მათგანი ღია სასოფლო სივრცეში გაქცეულიყო“ (Pirenne, Economic and Social History, p. 169). „ბრძოლა რურალური ვაჭრობისა და ხელობის მიმართ თითქმის 7 თუ 8 საუკუნე გაგრძელდა“ (Heckscher, Mercantilism, 1935, Vol. I, p. 129). „ამ ზომების სიმკაცრე „დემოკრატიული მთავრობის“ გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა. „მიუხედავად იმისა, რომ მე–14 საუკუნეში რეგულარული შეიარაღებული ექსპედიციები მეზობელი სოფლების

წინააღმდეგ იყვნენ წარგზავნილი, ხოლო საქსოვი დაზგებსა და საწნახელს ანადგურებდნენ ან იტაცებდნენ“ (Pirenne, op. cit., p. 211).

(i)შუასაუკუნეებში ქალაქებს შორის ვაჭრობა შერჩევით ხასიათს ატარებდა.

მუნიციპატიტეტბსშორისი ვაჭრობა გულისხმობდა შერჩევით ურთიერთობებს კონკრეტულ ქალაქებსა და ქალაქთა ჯგუფებს შორის, როგორიც, მაგალითად ლონდონისა და ტაუნტონის ჰანზებს შორის კავშირია. ნაცვალგება და შურისგება ამ ქალაქებს შორის არსებული ურთიერთობების წამყვანი პრინციპები იყო. მაგალითისთვის, ვალების გადაუხდელობის შემთხვევაში გამსესხებლის ქალაქის მოსამართლეები მევალეს მიმართავდა და სამართლის აღსრულებას მოითხოვდა, რაც „იმ ქალაქის ხალხზე შურისძიებას გულისხმობდა, რომელსაც მევალე წარმოადგენდა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში“(Ashley,op. cit., Part I, p. 109).

(ი)ეროვნული პროტექციონიზმი ნაცნობი ფენომენი არ იყო.

„მეცამეტე საუკუნეში ეკონომიკური მიზნებით ქვეყნების ერთმანეთისგან განსხვავება ნაკლებადაა საჭირო, ვინაიდან ქრისტიანულ სამყაროში სოციალური ურთიერთობებისთვის იმაზე მცირე ბარიერები გვხვდებოდა, ვიდრე ახლა გვხვდება“(Cunningham, Western Civilization in Its Economic Aspects, Vol. I, p. 3). საბაჟო გადასახადი პოლიტიკურ საზღვრებზე მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში დაწესდა. „იქამდე ეროვნული ვაჭრობის საგარეო კონკურენციისგან დაცვის ოდნავი სურვილის კვალიც კი არსად ჩანდა“' (Pirenne, Economic and Social History, p. 92). „საერთაშორისო“ ვაჭრობა თავისუფალი იყო თავის ყველა გამოვლინებაში(Power and Postan, Studies in English Trade in the Fifteenth Century).

(კ) მერკანტილიზმმა ეროვნული საზღვრების ფარგლებში. უფრო თავისუფალ ვაჭრობას შეუწყო ხელი ქალაქებსა და პროვინციებში.

ჰეკშერის Mercantilism (1935) –ის პირველი თავი შემდეგნაირად არის დასათაურებული : „Mercantilism as a Unifying System“ (მერკანტილიზმი, როგორც გამაერთიანებელი სისტემა). როგორც ასეთი, მერკანტილიზმი „უპირისპირდება ყველაფერს, რაც ეკონომიკურ ცხოვრებას კონკრეტულ ადგილს მიაჯაჭვებდა და ხელს შეუშლიდა

ვაჭრობას სახელმწიფო საზღვრების შიგნით“ (Heckscher, op. cit., Vol. II, p. 273). „მუნიციპალური პოლიტიკის ორივე ასპექტი, რურალური სასოფლო სივრცე და უცხოური ქალაქების კონკურენციასთან ბრძოლაც სახელმწიფოს ეკონომიკურ მიზნებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა“(ibid., Vol. I, p. 131). „მერკანტილიზმმა სოფლების „ნაციონალიზება“ კომერციული საქმიანობის გზით მოახდინა, რამაც ლოკალური პრაქტიკები მთელს სახელმწიფო ტერიტორიაზე განავრცო“ (Pantlen, “Handel,” in Handwörterbuch der Staatswissenschaften, Vol. VI, p. 281). „მერკანტილიზმი ხშირად ხელოვნურად აძლიერებდა კონკურენციას ბაზრების მოთხოვნა–მიწოდების ავტომატური რეგულაციებით ორგანიზებისთვის“(ჰეკშერი). პირველი თანამედროვე ავტორი, რომელმაც ცნო მერკანტილური სისტემის ლიბერალიზაციის ტენდენცია შმოლერი იყო (Schmoller 1884)

(ლ) შუასაუკუნეების რეგულაციონიზმი უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

„ანტიკური სამყაროს ხანის დასრულების შემდგომ, შუასაუკუნეების ქალაქების პოლიტიკა დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური მიმართულების მუდმივ პრინციპებზე დაყრდნობით საზოგადოების ორგანიზების პირველი მცდელობა იყო. ეს მცდელობა უჩვეულო წარმატებით დაგვირგვინდა....ეკონომიკური ლიბერალიზმი ან laissez-faire, თავისი უცილობელი უზენაესობის პერიოდში, შესაძლოა წარმოადგენდეს კიდეც ასეთ მაგალითს, თუმცა ხანგრძლივობის კუთხით, ლიბერალიზმი ქალაქების მტკიცე პოლიტიკასთან შედარებით მცირე, , ეფემერული ეპიზოდი იყო“ (Heckscher, op. cit., p. 139). „მათ ამას რეგულაციების სისტემის მეშვეობით მიაღწიეს, რომელიც ისე საუცხოოდ მიესადაგა მის მიზნებს, რომ შეგვიძლია ის თავისებურ შედევრადაც კი მივიჩნიოთ...ქალაქის ეკონომიკა გოთიკური არქიტექტურის ბრწყინვალებას უტოლდებოდა, რომელიც ამასთან მისი თანამედროვეც იყო“(Pirenne, Medieval Cities, p. 217).

(მ) მერკანტილიზმმა მუნიციპალური პრაქტიკები ეროვნულ ტერიტორიებზე განავრცო.

„მსგავსი პრაქტიკების შედეგი სახელმწიფო ბაზისზე დაყრდნობილი ქალაქის პოლიტიკა იქნებოდა, რომელმაც მუნიციპალური პოლიტიკის სახით გავრცელება პოვა უფრო ფართო სივრცეებშიც“(Heckscher, op. cit., Vol. I, p. 131).

(ნ) მერკანტილიზმი – ყველაზე წარმატებული პოლიტიკა

„მერკანტილიზმმა შექმნა მოსურვება-დაკმაყოფილების (want-satisfaction) კომპლექსური და დახვეწილი ოსტატური სისტემა(Bücher, op. cit., p. 159). კოლბერის რეგლამენტების (ჟან-ბატისტ კოლბერის ეკონომიკური პოლიტიკა) მიღწევა, რომლის თვითმიზანსაც წარმოების მაღალი ხარისხი წარმოადგენდა, შთამბეჭდავი იყო (Heckscher, op. cit., Vol. I, p. 166). „ეკონომიკური ცხოვრება ეროვნული მასშტაბით პოლიტიკური ცენტრალიზაციის შედეგი იყო“ (Bücher, op. cit., p. 157). მერკანტილიზმის მარეგულირებელ სისტემას უნდა მივაწეროთ „ შრომისა კოდექსისა და დისციპლინის შექმნა, რომელიც იმაზე უფრო მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა, ვიდრე ნებისმიერი რამ, რაც შუასაუკუნეების ქალაქების მთავრობების ვიწრო პარტიკულარიზმს შეეძლო ეწარმოებინა თავიანთი მორალური და ტექნოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით“ (Brinkmann, “Das soziale System des Kapitalismus,” in Grundriss der Sozialökonomik, Vol. IV).

8. ლიტერატურა სპინჰემლენდის შესახებ

სპინჰემლენდის გადამწყვეტ მნიშვნელობას ჩვენ მხოლოდ ლიბერალური კაპიტალიზმის ხანის დასაწყისსა და დასასრულს ვაგნებთ. რა თქმა უნდა, 1938 წლამდე და მას შემდეგაც, მუდმივად მოიხსენიებდნენ „შემწეობის სისტემასა“ და „ღარიბთა კანონის არასათანადო მართვას“, რომლებიც თარიღდებოდნენ გილბერტის 1782 წლის აქტით, შესაბამისად, სპინჰემლენდის სისტემის ჭეშმარიტი მახასიათებლები საზოგადოებრივ ცნობიერებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ იყო.

ეს მახასიათებლები არც დღესდღეობით არის ჩამოყალიბებული. დღემდე ფართოდაა გავრცელებული ის მოსაზრება, რომ სისტემა ღარიბთა არაშერჩევით დახმარებას გულისხმობდა. სინამდვილეში, ეს არსებითად განსხვავებული რამ იყო, რომელიც ანაზღაურებაზე თანდართულ სისტემატურ დახმარებას გულისხმობდა. მხოლოდ ნაწილობრივ თუ აღიარებდნენ იმას, რომ მსგავსი პრაქტიკა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა თიუდორების სამართალთან და ვერც იმას აცნობიერებდნენ, რომ ის სრულიად შეუსაბამო იყო ფორმირების პროცესში არსებულ შრომის ანაზღაურების სისტემასთან . რაც შეეხება პრაქტიკულ ეფექტებს, ისინი შეუმჩნეველი რჩებოდნენ მანამ, სანამ მოგვიანებით, 1799-1800 წლებში ანტიკომბინაციურ კანონებთან ერთად ხელფასების კლება არ დაიწყო და სისტემა უმუშევართა სუბსიდირების წყაროდ გადაიქცა.

კლასიკოს ეკონომისტებს არასოდეს შეუწყვეტიათ „შემწეობის სისტემის“ დეტალების კვლევა, როგორც ისინი ქირისა და ვალუტის შემთხვევაში მოიქცნენ. მათ შემწეობისა და დახმარების ყველა ფორმა “ღარიბთა კანონებში“ გააერთიანეს და მათ სრულ გაუქმებასა და აღკვეთას მოითხოვდნენ . არც ტაუნსენდი,არც მალთუსი და არც რიკარდო არ ადვოკატირებდნენ ღარიბთა კანონს, პირიქით, ისინი მისი გაუქმებისკენ მოუწოდებდნენ. ბენთამი, რომელმაც შეისწავლა ეს საგანი, მოცემულ საკითხთან მიმართებით ნაკლებად დოგმატური იყო. ბერკმა გაიგო ის, რაც პიტს გამორჩა თვალსაწიერიდან, რომ ჭეშმარიტად მანკიერი პრინციპი ის იყო, რომელიც ხელფასთან თანდართულ დახმარებას წარმოადგენდა.

ენგელსსა და მარქსს ღარიბთა კანონი არ შეუსწავლიათ. ალბათ რთული წარმოსადგენია რაიმე იმაზე მეტად შეეფერებოდეს მათ, ვიდრე იმ სისტემის ფსევდოჰუმანურობის გამომჟღავნება, რომელიც თითქოს ახალისებდა ღარიბთა ახირებებს, სინამდვილეში კი მათ ანაზღაურებას საარსებო მინიმუმს ზღვარს ქვედა ნიშნულამდე ამცირებდა(რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ანტი პროფკავშირული კანონი) და სახელმწიფო ფულს მდიდრებს ურიგებდა, რითაც მათ ღარიბების წყალობით მეტი ფულის შოვნაში ეხმარებოდა. თუმცა, მათ დროს ღარიბთა ახალი კანონი მტრად მიიჩნეოდა და ზოგიერთი ჩარტისტი ძველის იდეალიზებისკენ იყო მიდრეკილი. მეტიც, ენგელსსა და მარქსს სწამდათ, რომ კაპიტალიზმის დად-

გომის შემთხვევაში, ღარიბთა კანონის რეფორმირება გარდაუვალი იქნებოდა, ამგვარად, მათ გამოტოვეს არამხოლოდ პირველადი მნიშვნელოვნების დებატები, არამედ ის არგუმენტიც, რომლის მეშვეობითაც სპინჰემლენდმა თავისი თეორიული სისტემა გააძლიერა. მოცემული არგუმენტის თანახმად კაპიტალიზმი ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას თავისუფალი შრომის ბაზრის გარეშე.

სპინჰემლენდის ეფექტების თავისი გამჭრიახი აღწერებისთვის ჰარიეტ მარტინო უხვად მოიხმობს კლასიკურ პასაჟებს ღარიბთა კანონის ანგარიშიდან (11834). გულდსი და ბერინგსი, რომლებიც მის დიდებულ, მცირე ტომებს აფინანსებდნენ (რომლებშიც მარტინო მიზნად ისახავდა გაენათლებინა ღარიბები თავიანთი გარდაუვალი უბედურების შესახებ, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ პოლიტიკური ეკონომიკის კანონებს შეეძლო მათი ბედი ნაკლებად გაუსაძლისი გაეხადა) უკეთესს გზას ვერ მოძებნიდნენ საკუთარი მრწამსის ადვოკატირებისთვის((Illustrations to Political Economy, 1831, Vol. III; also The Parish and The Hamlet in Poor Laws and Paupers, 1834). მისი Thirty Years' Peace, 1816–1846, რომელიც გამკიცხავ ტონალობაში იყო შესრულებული უფრო მეტი თანაგრძნობით იყო განწყობილი ჩარტისტების, ვიდრე მისი დიდი მასწავლებლის, ბენთამის მიმართ (Vol. III, p. 489, and Vol. IV, p. 453). მან თავისი ქრონიკა ამ მნიშვნელოვანი პასაჟით დაასრულა: „ახლა მთელი ჩვენი გული და გონება შრომის უფლებების უმნიშვნელოვანესი საკითხითა და უცხოეთიდან მიღებული იმ შთამბეჭდავი გაფრთხილებებით არის შეპყრობილი, რომ ამ უფლებების უგულებელყოფის შემთხვევაში ყველაზე მსუბუქი სასჯელიც კი ყველასთვის დამანგრეველი იქნება. ნუთუ შეიძლება, რომ გამოსავალს ვერ მივაკვლიოთ? გამოსავალი შესაძლოა ბრიტანეთის მომდევნო ისტორიული პერიოდისთვის ცენტრალურ ფაქტს წარმოადგენს; და უფრო მაშინ, ვიდრე დღეს, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ სწორედ მისთვის მზადებაში ძევს წინამორბედი ოცდაათწლიანი მშვიდობის უზენაესი ინტერესი". ეს დაყოვნებული ქმედების წინასწარმეტყველებაა. „ბრიტანეთის მომდევნო პერიოდის ისტორიაში" შრომის საკითხი წყვეტს არსებობას და მოგვიანებით ბრუნდება 1870 იან წლებში, მომდევნო ნახევარი საუკუნის შემდგომ კი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხად გადაიქცევა. აშკარაა, რომ 1840 იან წლებში 1940 იან წლებთან შე-

დარებით უფრო მარტივი იქნებოდა იმის გაგება, რომ შრომის საკითხის პირველსაწყისები ღარიბთა კანონის რეფორმის აქტის წამყვანი პრინციპების საფუძველშია მოქცეული.

მთელი ვიქტორიანული ხანის განმავლობაში და მას შემდეგაც, არცერთი ფილოსოფოსი ან ისტორიკოსი არ ჩაღრმავებულა სპინჰემლენდის წვრილმან ეკონომიკას. ბენთამიზმის სამი ისტორიკოსიდან ერთ-ერთს, სერ ლესლი სტეპჰენს, არ გაჭირვებია ჩაღრმავებოდა დეტალებს; ელი ჰალევს, რომელმაც პირველმა აღიარა ღარიბთა კანონის ფუნდამენტური როლი ფილოსოფიური რადიკალიზმის ისტორიაში, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენები ჰქონდა საკითხის გარშემო. მესამე ანგარიშში, დაისს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ გამორჩა. კანონისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთობის შესახებ მისი შეუდარებელი ანალიზი "laissezz-faire"-სა და „კოლექტივიზმს" ისე ეკიდებოდნენ, როგორც რაიმე ტექსტურის ქსოვილს; თავად თარგი კი, როგორც მას სჯეროდა, ბიზნეს და ინდუსტრიული ცენტრებისგან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ინსტიტუტებისგან წარმოიშვა, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებას აყალიბებენ. დაისზე მკაფიოდ ვერავინ გამოკვეთდა ვერც იმ როლს, რომელიც პაუპერიზმმა შეასრულა საზოგადოებრივ აზრში და ვერც ღარიბთა კანონის რეფორმის მნიშვნელობას ბენთამისეულ საკანონმდებლო სისტემაში. და მაინც, დაისს საგონებელში აგდებდა ღარიბთა კანონის რეფორმის ცენტრალური მნიშვნელობა, რომელიც ბენთამისტებმა მიაწერეს მას. თავიანთ საკანონმდებლო გეგმაში, მათ რეალურად სჯეროდათ, რომ მთავარი საკითხი აქ მრეწველობაზე დაკისრებული საგადასახადო ტვირთი იყო. შუმპტერისა და მიტჩელის რანგის ეკონომიკური აზრის ისტორიკოსებმა კლასიკური ეკონიმისტების კონცეფციები სპინჰემლენდის პირობების მოხსენიების გარეშე გააანალიზეს.

ტოინბის ლექციებთან ერთად (1881) ინდუსტრიული რევოლუცია ეკონომიკური ისტორიის საკითხად გადაიქცა; ტოინბიმ ტორთა სოციალიზმი სპინჰემლენდზე და „მდიდარი იცავს ღარიბს" პრინციპზე პასუხისმგებელი გახადა. იმ დროისათვის უილიან ქანინგჰემი იმავე საკითხს მიუბრუნდა, რაც სასწაულებისამებრ ამ შეკითხვამ სიცოცხლე შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ხმა იყო უდაბნოსა შინა. მიუხედავად იმისა, რომ მანტუმ (1907) ერთგვა-

რი სარგებელი მიიღო ქანინგჰემის შედეგრისგან (1881), ის სპინ-ჰემლენდს ისე მოიხსენიება, როგორც მხოლოდ და მხოლოდ „მორიგ რეფორმას“ და რაც არ უნდა უცნაური იყოს, სწორედ ამ უკანასკ-ნელს მიაწერდა“ შრომის ბაზრიდან ღარიბთა გამოდევნას (The Industrial Revolution in the Eighteenth Century, p. 438). ბირი, რომლის ნაშრომის ადრეული ინგლისური სოციალიზმის მონუმენტს წარ-მოადგენს, თითქმის არ მოიხსენიებდა ღარიბთა კანონს.

ასე გრძელდებოდა, სანამ ჰამონდსმა(1911) ახალი ცივილიზაციის ხედვა არ დასახა, რომელმაც ინდუსტრიულ რევოლუციას დაუდო დასაბამი და სპინჰემლენდიც ხელახლა იქნა აღმოჩენილი. ამგვარად, სპინჰემლენდი ზემოხსენებულთან ერთად არა ეკონომიკური, არა-მედ სოციალური ისტორიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. ვებ-სებმა ეს საქმიანობა განაგრძეს და წინ წამოწიეს სპინჰემლენდის პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობები, იმის ცხადი გაცნო-ბიერებით, რომ მათ ჩვენი დროის სოციალური პრობლემების პირ-ველსაწყისებთან ჰქონდათ საქმე.

ქლეფჰემმა მოისურვა მტკიცებულებები შეეგროვებინა იმის წი-ნააღმდეგ, რასაც შესაძლოა ეკონომიკური ისტორიის ინსტიტუციო-ნალისტური მიდგომაც ვუწოდოთ. მოცემულ მიდგომას ენგელსი, მარქსი, ქანინგჰემი, მანტუ და მოგვიანებით, ჰამონდსი წარმოად-გენდნენ. ქლეფჰემი ეწინააღმდეგებოდა სპინჰემლენდის სისტემის ინსტიტუტად აღქმას და მას სოფლის „აგრარული ორგანიზაციის“ ჩვეულებად მოიხსენიებდა (Vol. I, Ch. 4). მსგავსი მიდგომა არასათა-ნადო იყო, ვინაიდან სისტემის ჩამოშლა სწორედ იმან განაპირობა, რომ ის ქალაქებამდე განივრცო. გარდა ამისა, გაემიჯნა სპინჰემლენ-დის ეკონომიკურ ეფექტებს ხელფასიდან გაქვითულ გადასახადებზე და ზემოთ ხსენებული „სახელმწიფოს ეკონომიკური აქტივობების“ ნუსხაში განიხილა. ეს, ისევ და ისევ, ხელოვნური ქცევა იყო, რამაც სპინჰემლენდის ეკონომიკა დამსაქმებელთა კლასის თვალთახედვი-დან გამოტოვა, რომელმაც დაბალი ანაზღაურებებიდან იმაზე მეტი მოგება მიიღო, ვიდრე გადასახადებში დაკარგა. თუმცა, ქლეფჰემის მიერ ფაქტების კეთილსინდისიერმა აღიარებამ მის მიერ ინსტიტუ-ტის უგულებელყოფა გამოისყიდა. “war enclosure”-ის გადამწყვეტი გავლენები იმ სივრცეზე, სადაც სპინჰემლენდის სისტემა აღმოცენ-და, ისევე, როგორც ის რეალური მაჩვენებლები, რომლებამდეც

შემცირდა ანაზღაურებები, პირველად სწორედ ქლეფჰემმა წარმოადგინა. (ინგ. enclosure,inclosure – წარმოადგენდა სათემო მიწების ლიკვიდაციის პროცესს ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე. ბრიტანეთში ამან ერთგვარი კანონიერი პროცესის სახე მიიღო, რამაც მცირე მიწები შედარებით დიდ ფერმებში გააერთიანა, რაც ნიშნავდა რომ მიწით სარგებლობდა შეზღუდული იყო და მხოლოდ უშუალო მფლობელისთვის იყო დაშვებული მოცემული პრაქტიკამ მოსახლეობის გაღარიბება და ქალაქებში გადასახლება გამოიწვია).

სპინჰემლენდის სრული შეუთავსებლობა სახელფასო სისტემასთან მხოლოდ ეკონომიკური ლიბერალების ტრადიციას შემორჩება მეხსიერებაში. მხოლოდ მათ გააცნობიერეს ის, რომ საკითხის ფართო გაგებით, შრომის დაცვის ნებისმიერი ფორმა სპინჰემლენდის ინტერვენციონიზმის პრინციპს მიემართებოდა. სპენსერმა "ხელფასების გაყალბების" ბრალდება ნებისმიერი „კოლექტივისტური" პრაქტიკის წინააღმდეგ წამოაყენა (ვინაიდან შემწეობის სისტემა მის მხარეშიც მოქმედებდა) , ტერმინის, რომელიც მან ყოველგვარი სირთულის გარეშე განავრცო საჯარო განათლებაზე, მეურნეობაზე, მოსასვენებელი მოედნების უზრუნველყოფა და ა.შ. 1923 წელს დაისმა შემდეგი სიტყვებით შეაჯამა ძველი საპენსიო აქტის (1908) მისეული კრიტიკა:" არსებითაც, ეს არაფერია, გარდა ღარიბთა შემწეობის ახალი ფორმა (ინგ. "Outdoor relief – ელიზაბეთ I-ის მმართველობის ხანაში მიღებული ღარიბთა კანონი, რაც სოციალური კეთილდღეობის ერთგვარ პროგრამას წარმოადგენდა. დახმარებას ღარიბ მოსახლეობას ფულის,საკვებისა და სამოსის სახით გადაეცემოდა კონკრეტული დაწესებულების წევრობის გარეშე, მაგ: მიუსაფართა სახლის, ბავშვთა სახლის ან სხვა რაიმე დაწესებულების წევრობის გარეშე, აქედან მომდინარეობს ტერმინი "outdoor relief") დაისს ეეჭვებოდა, ეკონომიკურ ლიბერალებს საერთოდ ოდესმე თუ მისცემიათ მათი პოლიტიკის წარმატებული ამოქმედების შესაძლებლობა. „ ზოგიერთ მათი წინადადება არასდროს ამოქმედებულა"; საგარეო შემწეობა(outdoor relief), მაგალითისთვის, არ უკუაგდეს". ასეთი იყო დასის მოსაზრება, მიზესის აზით კი სრულიად ბუნებრივი იყო ის, რომ უმუშევრობის შემწეობის არსებობამდე, უმუშევრობაც იარსებებდა" (Liberalism, 1927, p. 74); და რომ

„ როგორც აღმოჩნდა,უმუშევართა დახმარება განადგურების ყველაზე ეფექტური იარაღია“ (Socialism, 1927, p. 484; Nationalökonomie, 1940, p. 720). უოლტერ ლიპმანი თავის „Good Society” (1973)მხოლოდ იმიტომ შეეცადა დისტანცირებოდა სპენსერს, რომ მიზესი მოეხმო. მიზესი და ლიპმანი ასახავდნენ ლიბერალურ რეაქციას 1920-1930 იანი წლების ახალ პროტექციონიზმზე. ამ ვითარების მრავალი მახასიათებელი ახლა უდავოდ სპინჰემლენდს მოაგონებდნენ. ავსტრიაში უმუშევრობის შემწეობა გაკოტრებული სახაზინოს მიერ იყო სუბსიდირებული; დიდი ბრიტანეთში “უმუშევრობის გაზრდილი შემწეობა“ არაფრით განსხვავდებოდა შემწეობისგან; ამერიკაში PWA (Public Work Administration) და WPA ამოქმედდა; სერ ელფრედ მონდი , Imperial Chemical Industries-ის ხელმძღვანელი, 1926 წელს ადვოკატირებას უწევდა ბრიტანელი დამსაქმებლების მიერ უმუშევართა ფონდიდან გრანტების მიღებას ანაზღაურებათა „გაუმჯობესების“ და შესაბამისად, უმუშევრობის შემცირების მიზნით. უმუშევრობის საკითხთან, ისევე როგორ ვალუტის საკითხთან მიმართებით, აგონიაში მყოფი ლიბერალური კაპიტალიზმი იმ გადაუწყვეტელ პრობლემებს გადააწყდა, რომლებიც მისთვის დასაწყისიდანვე იყო ნაანდერძალი.

9. ღარიბთა კანონი და შრომის ორგანიზება.

სპინჰემლენდის უფრო შორსმიმავალი შედეგების, მისი პირველსაწყისების, გავლენებისა და ბოლოს მისი ჩამოშლის რაიმე კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. აქ რამდენიმე საკითხის გამოყოფაა შესაძლებელი.

1. რა დონემდე იყო სპინჰემლენდი საომარი ზომა?

წმინდად ეკონომიკური თვალთახედვიდან, სპინჰემლენდს ბოლომდე საომარ ღონისძიებას ვერ მივაკუთვნებთ, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ. თანამედროვენი იშვიათად თუ უკავშირებენ სახელფასო მდგომარეობას საომარ საგანგებო მდგომარეობას. იმდენად, რამდენადაც ხელფასების შესამჩნევი ზრდა შეინიშნებოდა, მოძრაობა ომზე ადრე დაიწყო. არტურ იანგის „Circular Letter” (1975) შეიქმნა მოუსავლიანობით იმ ზეგავლენების დასადგენად, რომლე-

ბმაც სიმინდის ფასზე იმოქმედა. მეოთხე პუნქტში ჩამოყალიბებულია შეკითხვა: „რამდენად გაიზარდა(თუ გაიზარდა) სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მშრომელების ანაზღაურება განვლილ პერიოდთან შედარებით?“ მისმა კორესპონდენტებმა ვერ მოახერხეს ფრაზისთვის „განვლილი პერიოდი“ განსაზღვრული მნიშვნელობის მინიჭება. წყაროები 3-დან 50-წლამდე დიაპაზონშია მოქცეულია და ისინი დროის შემდეგ მონაკვეთებშია მოქცეული:

3 წელი	ჯ. ბოისი,გვ.97
3-4 წელი	ჯ. ბოისი, გვ97
10 წელი	ანგარიშები შროფშირიდან,მიდლსექსიდან, კემბრიჯშირიდან.
10-15 წელი	ე. ჰარისი
20 წელი	ჯ. ნოისი, გვ 86
30-40 წელი	უილიამ პიტი
50 წელი	რევ. ჯ. ჰოულეტი

არავის დაუდგენია ორწლიანი პერიოდი, ფრანგული ომის ხანგრძლივობა, რომელიც 1793 წლის თებერვალში დაიწყო. სინამდვილეში, დიდად არც ერთ კორესპონდენტს არ უხსენებია ომი.

სხვათა შორის, მოუსავლიანობითა და არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული სიღატაკის მზარდ მაჩვენებელთან ბრძოლა(რომელმაც საბოლოო ჯამში უმუშევრობის ზრდაზე იმოქმედა) ორი მიმართულებისგან შედგება : 1. ადგილობრივად შემწეობის გაცემისგან, იქნებოდა ეს საკვებისა და საწვავის უფასოდ ან შემცირებულ ფასში გაცემა. 2. სამუშაო ადგილების შექმნისგან. ხელფასები, როგორც წესი, ცვლილებას არ ექვემდებარებოდნენ; მსგავს საგანგებო სიტუაციებში, 1788-89 ნორმალურზე დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები იქმნებოდა(Cf. J. Harvey, “Worcestershire,” in Ann. Of Agr., v, XII, p. 132, 1789. Also E. Holmes, “Cruckton,” l.c., p. 196.)

მიუხედავად ამისა, საფუძვლიანად იყო მიჩნეული, რომ ომმა, სულ მცირე, ირიბი ზეგავლენა მაინც მოახდინა სპინჰემლენდის, როგორც იმ დროისათვის მიზანშეწონილი ზომის მიღებაზე. რეალურად, სწრაფად გაფართოებადი საბაზრო სისტემის ორი ნაკლოვანება ომმა უფრო გაამწვავა და ხელი შეუწყო იმ ვითარების შექმნას, საიდანაც სპინჰემლენდი აღმოცენდა: 1. სიმინდის ფასების

მერყეობა, 2. უწესრიგობების საზიანო გავლენები ამ მერყეობებზე. ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ სულ ახლახან გათავისუფლებული სიმინდის ბაზარი ომით გამოწვეულ დაძაბულობასა და ბლოკადის საშიშროებას გაუძლებდა. სიმინდის ბაზარი არც იმ პანიკას გაუძლებდა, რომელიც უკვე სახიფათო შინაარსის მქონე, ჩვევად გადაქცეული უწესრიგობებით იყო გამოწვეული. ეგრეთ წოდებული რეგულაციური სისტემის პირობებში, ცენტრალური ხელისუფლება „მოწესრიგებულ უწესრიგობას“ ისე ეკიდებოდა, როგორც ადგილობრივად რესურსების სიმწირის ინდიკატორს (რომელიც მშვიდად უნდა მოგვარებულიყო). ახლა კი ის დაგმეს, როგორც ამ სიმწირისა მიზეზი და ეკონომიკური საფრთხე საზოგადოებისთვის და არა უშუალოდ ღატაკთათვის. არტურ იანგმა გამოაქვეყნა გაფრთხილება „უწესრიგობების შედეგებზე მაღალ ფასებსა და საკვებ პროდუქტებზე“ და ჰანა მორმა კი მსგავსი ხედვა გამოსცა თავის დიდაქტიკურ პოემებში სახელწოდებით „The Riot,or, Half a loaf is better than no bread”(„ამბოხი, თუ ნახევარი პური ჯობია უპურობას“). მისი პასუხი დიასახლისებს ერითმება იმას, რაც იანგმა გამოხატა თავის გამოგონილ დიალოგში: „იქამდე უნდა ვიყოთ ჩუმად, სანამ შიმშილით არ დავიხოცებით? რა თქმა უნდა ,ასე არ არის – უნდა გამოთქვათ უკმაყოფილება, თუმცა ისე, რომ არ გავამწვავოთ ის ზიანი, რასაც ისედაც შევიგრძნობთ“. იანგი ამტკიცებდა, რომ შიმშილის მცირედი საფრთხეც კი არ იქნებოდა , „ამბოხებისგან თავისუფალნი რომ ვყოფილიყავით“. მღელვარებისთვის ეს საკმაო საფუძველს წარმოადგენს, სიმინდის მიწოდება პანიკისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩეოდა. მეტიც, საფრანგეთის რევოლუცია მუქარისშემცველ კონოტაციას ანიჭებდა „მოწესრიგებულ უწესრიგობებსაც“ კი. მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების ზრდის შიში უდავოდ წარმოადგენდა სპინჰემლენდის სისტემის ჩამოყალიბების მიზეზს, შეიძლება ითქვას, რომ იმდენად, რამდენადაც საქმე ომს ეხებოდა, ვითარების შედეგები ბევრად უფრო სოციალური შინაარსის იყო, ვიდრე პოლიტიკური ან ეკონომიკური.

2. სერ უილიამ იანგი და განსახლების კანონის შემსუბუქება.

1795 წელს ღარიბთა კანონით გათვალისწინებული ორი მკაცრი ზომა მიღეს: სპინჰენლენდი და ბატონყმობა. რთულია დასაჯერებელია, რომ ეს უბრალო დამთხვევაა. შრომის მობილობაზე მათ

ურთიერთსაპირისპირო ზეგავლენა მოახდინეს. მაშინ,როდესაც ბატონყმობამ მშრომელისთვის უფრო მიმზიდველი გახადა გადაადგილება სამუშაო ადგილის ძიებაში, სპინჰემლენდმა ამის საჭიროება ფაქტობრივად გამორიცხა. მიგრაციის კვლევებში ხშირად გამოიყენება ისეთი მოსახერხებელ ტერმინები, როგორიცაა „მოქაჩვა" და „მიწოლა". პირველი დანიშნულების ადგილისადმი მიზიდულობის ზრდას აღნიშნავს, ხოლო „მიწოლა" იმას, რომ მშობლიური სოფლისადმი მიჯაჭვულობამ მინიმუმამდე იკლო. სპინჰემლენდმა ცალსახად შეამსუბუქა რურალური შრომის უწესრიგობა როგორც 1662 წლის აქტის გადახედვის შედეგი. ღარიბთა კანონის მართვის პერსპექტივიდან, ზემოთხსენებული ორი ღონისძიება ერთმანეთის პირდაპირი შესატყვისი იყო. 1662 წლის შემსუბუქება იმ რისკებს შეიცავდა, რომელთა ასარიდებლადაც შეიქმნა ეს კანონი, როგორიც იყო მაგალითად, ღარიბთა მასის მიერ „უკეთესი" ფენების გადაფარვა. თუმცა, სპინჰემლენდისთვის მოვლენები სწორედ ასე წარიმართა. თანამედროვეები თითქმის არ მოიხსენიებენ ამ კავშირს, რაც სულაც არ არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ არავის ახსოვს, 1662 წლის აქტიც კი ყოველგვარი საჯარო დისკუსიის გარეშე მიიღეს. და მაინც, სერ უილიამ იანგს, რომელიც ორივე ზემოხსენებულ ღონისძიებას უჭერდა მხარს, რაღაც მწრამსი ამოძრავებდა. 1795 წელს ის ის განსახლების კანონის შესწორებას ადვოკატირებდა და ამავე დროს 1796 წლის კანონპროექტის ინიციატორიც იყო, რითიც სპინჰემლენდის პრინციპი ფაქტობრივად კანონს შეერწყა. 1788 წელს ის ამაოდ შეეცადა მსგავსი ღონისძიებების მხარდაჭერას. სწორედ იმავე წელს, იანგი განსახლების აქტით გაუქმების ინიციატივით გამოვიდა, ისევე, როგროც 1795 წელს და ამავდროულად ღარიბთათვის შემწეობის დანიშვნას უჭერდა მხარს (შემწეობა გულისხმობდა საარსებო მინიმუმის დაწესებას,რომლის ორი მესამედიც დამსაქმებლის მიერ იქნებოდა ანაზღაურებული, მესამედი კი გადასახადებიდან (Nicholls, History of the Poor Laws, Vol. II). თუმცა, ამ ორ მარცხს, მოუსავლიანობისა და საფრანგეთის ომის სახით, კიდევ ერთი ესაჭიროებოდა, რათა ზემოხსენებული პრინციპებს ეზეიმა.

3. ქალაქებში მაღალი ანაზღაურების გავლენები სასოფლო საზოგადოებებზე.

ქალაქებისკენ მიზიდულობის ზრდამ სოფლად ანაზღაურების ზრდა გამოიწვია და ამავდროულად სოფლის მეურნეობას შრომითი რეზერვი გამოაცალა. ამ ორი უბედურებიდან ერთი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო. სოფლის მეურნეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო საკმარისი სამუშაო ძალის არსებობა, რომლის საჭიროებაც ოქტომბერსა და გაზაფხულში უფრო მწვავედ იდგა ხოლმე, ვიდრე უმოქმედო ზამთრის სეზონზე. დღესდღეობით, ორგანული სტრუქტურის მქონე ტრადიციულ საზოგადოებებში მსგავსი რეზერვის არსებობა არა უბრალოდ ანაზღაურების დონის საკითხია, არამედ უფრო ინსტიტუციური გარემოსი, რომელიც მოსახლეობის შედარებით ღარიბი ნაწილის სტატუსს განსაზღვრავს. ჩვენთვის ნაცნობ თითქმის ყველაზე საზოგადოებაში ვხვდებით კანონიერ თუ სიტყვიერ შეთანხმებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მშრომელებს დამსაქმებლის სამსახურში ყოფნას ავალდებულებდნენ განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნის პერიოდში. სწორედ ამაში მდგომარეობს რურალურ საზოგადოებაში არსებული ვითარების არსი, რომელიც ქალაქებში ანაზღაურებების ზრდამ გამოიწვია, როგორც კი კონტრაქტმა უპირატესობა მოიპოვა სტატუსზე.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე სოფლად სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობდა: არსებობდა საშინაო მრეწველობა, რომელშიც მამაკაცი ზამთრის პერიოდში იყო ჩართული, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში ის და მისი მეუღლე მინდვრებში მუშაობდნენ. განსახლების აქტმა ღარიბები ფაქტობრივად სოფლის ადგილობრივ ხელისუფლებას და ამგვარად, ადგილობრივ ფერმერებს დაუქვემდებარა. ღარიბთა კანონის ფარგლებში სხვა უამრავი გზაც არსებობდა ადგილობრივი მშრომელების დასამორჩილებლად, მაგალითად ისეთები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა და რაუნდსმანის სისტემა (Roundsman System – ელიზაბეთ პირველის მმართველობის დროს შემოღებული ერთგვარი შრომითი გაცვლის სისტემა მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენებისთვის. ადგილობრივი ხელისუფლება გარკვეულ თანხას

უხდიდა ადგილობრივ ფერმერებს (როგორც წესი ეს თანხა მინიმალური ანაზღაურების ნიშნულს ქვემოთ იყო) და სანაცვლოდ ისინი მოსახლეობის ღარიბ ფენებს ასაქმებდნენ თავიანთ ფერმებსა თუ მეურნეობებში) . მრეწველობის სხვადასხვა სახლების წესდებების მიხედვით (House of Industry – ე.წ მრეწველობის სახლები მე-18 და მე-19 საუკუნეებში გაერთიანებულ სამეფოებში გავრცელებული „საქველმოქმედო“ დაწესებულებები იყო, რომლებიც ღარიბთა კანონის ფარგლებში შეიქმნა. მრეწველობის სახლები ერთგვარ სამუშაო სივრცეებს წარმოადგენდნენ, სადაც ღატაკ მშრომელებს იძულებით ამუშავებდნენ, სანაცვლოდ კი საკვებსა და თავშესაფარს აძლევდნენ) დასაქმებულის სასტიკად დასჯა არამხოლოდ დამსაქმებლის შეხედულებისამებრ ხდებოდა, არამედ ფარულადაც. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები ადამიანების საცხოვრებელ სივრცეში შეიჭრებოდნენ და დათვალიერების შემდეგ დაასკვნიდნენ, რომ ადამიანი „სიღატაკეში ცხოვრობს და გათავისუფლებას საჭიროებს“ შემწეობის მაძიებელ ადამიანს დააკავებდნენ და იძულებით მოათავსებდნენ მრეწველობის სახლებში” (31Geo. III. c. 78). სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსგავს დაწესებულებებში შემზარავი იყო. და თუ ყოველივე ამას, იმასაც დავურთავთ, რომ შოტლანდია/ინგლისის საზღვარზე მაცხოვრებლები ნატურით იღებდნენ ანაზღაურებას და ნებისმიერ დროს იყვნენ იძულებული მინდვრებში მომუშავეებს დახმარებოდნენ, ხოლო ე.წ “tied cottage” ების არსებობა (გაერთიანებულ სამეფოში tied cottage დამსაქმებლის მფლობელობაში არსებულ პატარა სოფლის სახლები იყო, რომლებსაც ის დასაქმებულებზე აქირავებდა) და ღარიბი ფენის მიერ მიწების საეჭვო მფლობელობა დაქვემდებარებულობის მრავალგვარ სახეებს წარმოშობდა, შევძლებთ შევაფასოთ, თუ რა მასშტაბებს აღწევდა სოფლის მეურნეობაში დამსაქმებლების განკარგულებაში მყოფი მორჩილ მშრომელთა არმია.

ანაზღაურების პრობლემის გარდა, მწვავედ იდგა საკმარისი სამუშაო რეზერვის შენარჩუნების საკითხიც. ამ ორი პრობლემის შედარებითი მნიშვნელოვნება სხვადასხვა პერიოდებში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. იმ დროს, როდესაც სპინჰემლენდის აღმოცენება მჭიდროდ უკავშირდებოდა ფერმერების შიშს ანაზღაურების გაზრდის თაობაზე, ხოლო აგრიკულტურული დეპრესიის(1815) გვიან

პერიოდში შემწეობის სისტემის სწრაფი განვრცობა შესაძლოა იგივე მიზეზით იყო განპირობებული, 1830 იანი წლების დასაწყისში ფერმერული საზოგადოება თითქმის ერთხმად უჭერდა მხარს შემწეობის სისტემის შენარჩუნებას არა ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებული შიშის, არამედ ქმედითი, საკმარისი რაოდენობის სამუშაო ძალის უზრუნველყოფის გამო. თუმცა, ვერ ვიტყვით, ამ უკანასკნელ მოსაზრებას საერთოდ ოდესმე თუ დაუტოვებია მათი გონება, განსაკუთრებით კი აყვავების ხანაში (1792-1813 წლებში), როდესაც საშუალო ფასი სიმინდზე სულ უფრო იზრდებოდა და გაცილებით აღემატებოდა ფასების ზრდას სამუშაო ძალაზე. სპინჰემლენდის მუდმივ პრობლემას არა ანაზღაურებები, არამედ სამუშაო ძალით უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

შესაძლოა ხელოვნურად მოგვეჩვენოს მოტივების ერთმანეთისგან განსხვავების მცდელობა იმ ფონზე, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, ანაზღაურებების ზრდა სამუშაო ძალის მოზიდვას განაპირობებდა. თუმცა, რიგ შემთხვევაში ვხვდებით ნათელ მტკიცებულებებს იმისა, თუ ამ ორი პრობლემიდან რომელი უფრო აწუხებდათ ფერმერებს.

პირველ რიგში, უხვად მოგვეპოვება იმის მტკიცებულება, რომ ფერმერები მტრულად იყვნენ განწყობილი საგარეო დასაქმების ნებისმიერი ფორმის მიმართ (იმიტომ რომ ეს მშრომელს ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიდა სეზონური სამეურნეო დასაქმებისთვის) იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ღატაკ მაცხოვრებელს ეხებოდა. 1834 წლის ანგარიშის ერთ-ერთმა მოწმემ ღარიბი მკვიდრი დაადანაშაულა : „ისინი სათევზაოდ მიდიან, სკუმბრიასა და ქაშაყს იჭერენ და კვირაში ერთ ფუნტს გამოიმუშავებენ, მაშინ, როდესაც მათი ოჯახი სოფლის ხელისუფალთა საზრუნავად არის გადაქცეული. დაბრუნებისას მათ ციხეებში უშვებენ, თუმცა არც ადარდებთ, ვინაიდან გარეთ კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ელით, სწორედ ამიტომ არის, რომ ფერმერები გაზაფხულისა და ოქტომბრის სამუშაოებისთვის საკმარის სამუშაო ძალას ვერ პოულობენ“ (Henry Stuart's Report, App. A, Pt. I, p. 334A).

მეორე, მწვავედ იდგა ნაქირავები მიწის საკითხიც, რომელიც მიწათმოქმედებისთვის იყო განკუთვნილი. ფერმერები ერთსულოვანნი იყვნენ იმ მოსაზრებაში რომ არაფერი არ ჩამოაცილებდა

ღარიბ ოჯახებს ანაზღაურებად შრომას ისე, (იგულისხმება ე.წ labour rate – რომელიც მე-19 საუკუნეში გაერთიანებულ სამეფო ღარიბთა შემწეობის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. მშრომელების ანაზღაურება წინასწარ დადგენილი ოდენობის იყო, ხოლო ნამატი სოფლის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაიცემოდა) , როგორც საკუთარი მიწის ნაკვეთის ქონა. და მაინც, ამ ანაზღაურების სიმცირეც კი არ აიძულებდა მათ დათანხმებულიყვნენ მიწის ქირავნობის რაიმე ფორმას, რომელიც მათ ნაკლებად დამოკიდებულს გახდიდა სეზონურ ფერმერულ სამუშაოზე.

ეს საკითხი ყურადღებას საჭიროებს. 1833 წლისთვის ფერმერთა საზოგადოება მტკიცედ ემხრობოდა სპინჰემლენდის სისტემის შენარჩუნებას. ღარიბთა კანონის კომისრის ანგარიშიდან მოხმობილი პასაჟიდან ირკვევა, რომ შემწეობის სისტემა ნიშნავდა „იაფ შრომასა და სწრაფ მოსავალს“ (Power) . შემწეობის სისტემის გარეშე ფერმერები ვერ შეძლებდნენ განგრძობითად ნიადაგების კულტივირებას“ (Cowell). “ფერმერებს მოსწონთ, რომ მათ სამსახურში მყოფი ადამიანების შრომა „ღარიბთა წიგნაკიდან“ ანაზღაურდება“ (J.Mann) (“poor-book” ე.წ ცნობარი იყო და იმ ადამიანების სიას შეიცავდა, რომლებიც ღარიბთა შემწეობას იღებდნენ სოფლის ხელისუფლებისგან). ადგილობრივი სოფლის ხელისუფლების წარმომადგენლები ზიზღით ეკიდებიან ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც მშრომელს მისი დახმარებისგან ოდნავ მაინც გაათავისუფლებ, ამიტომ თავის საპყრობილეში ამყოფებს მანამ, სანამ გადაუდებელი სამუშაოზე არ უბრძანებენ გამოცხადებას“. ისინი აცხადებენ, რომ „მაღალ ხელფასებსა და თავისუფალ მშრომელებს ვერ გაუმკლავდებიან“ (Pringe). მტკიცედ უპირისპირდებიან ღარიბებისთვის მიწის ქირავნობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ წინადადებას, რომელიც მათ მეტ დამოუკიდებლობას მოუტანს. მიწის ნაკვეთები, რომელიც მათ გაღატაკებისგან იხსნიდა და ღირსეულ პირობებს შეუქმნა დამოუკიდებლობასაც მოუპოვებდა და შესაბამისად, აგრიკულტურული ინდუსტრიის შრომითი რეზერვიდან გაათავისუფლებდა. მაჯენდაი, რომელიც მიწის ქირავნობის მხარდამჭერი იყო, მეოთხედი აკრი მიწის ნაკვეთების გაცემას მიიჩნევდა მიზანშეწონილად, ვინაიდან დამსაქმებლებს მშრომელთა დამოუკიდებლობის ეშინიათ“. მიწის ქირავნობის კიდევ ერთი მხარდამჭერი, ფაუერი ამას ადას-

ტურებდა. „ ფერმერები ზოგადად ემიჯნებიან მიწის ქირავნობის წინადადებას, საკუთარი მიწებიდან ნაკვეთების დაკავების ეშინიათ; ამასთან, სასუქისთვის უფრო შორს მოუწევთ სიარული; და ბოლოს, ისინი მშრომელთა მეტ დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებიან“. ოკედენი 1/16 აკრი მიწის ფართობის მიწის გაცემას ემხრობოდა,“ეს სწორედ იმდენივე თავისუფალ დროს დაიკავებდა, რასაც საკერავი მანქანის ბორბლის ტრიალი ან საქოვი ჩხირები იკავებდნენ ნებისმიერ სოფლის სახლში მაქსიმალური გამოყენების პირობებში“.

ფერმერული საზოგადოების პერსპექტივიდან ყოველივე ზემოთქმული ნაკლებ სივრცეს ტოვებს შემწეობის სისტემის ჭეშმარიტ ფუნქციაში დასაეჭვებლად, რომელსაც ღარიბი მაცხოვრებლებისგან შემდგეარი მუდმივი სამუშაო ძალის რეზერვი უნდა უზრუნველეყო. სხვათა შორის, ამ გზით სპინჰემლენდმა მოსახლეობის რურალური ნამატის ილუზია შექმნა, მაშინ როდესაც სინამდვილეში მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

4. შემწეობის სისტემა ინდუსტრიულ ქალაქებში.

სპინჰემლენდი თავდაპირველად სოფლად არსებული მძიმე ვითარების შესამსუბუქებლად შეიქმნა. ეს არ გულისხმობდა სოფლების შეზღუდვას, ვინაიდან საბაზრო ქალაქებიც ასევე მიეკუთვნებოდნენ სასოფლო დასახლებებს. 1830 იანი წლების დასაწყისში სპინჰემლენდის არეალში თითქმის ყველა ქალაქმა დანერგა შემწეობის სისტემა. მაგალითად,ჰერფორდის საგრაფომ, მოსახლეობის ნამატის პოზიტიურად შეფასების კუთხით,აჩვენა, რომ 6 -დან 6 ქალაქში სპინჰემლენდის მეთოდებს ეყრდნობოდნენ (ოთხს „დანამდვილებით“ დანარჩენ ოთხს კი „შესაძლოა“, მაშინ, როდესაც „ცუდად“ შეფასებულმა სასექსმა აჩვენა, რომ 12 ქალაქიდან 3 არ იყენებდა სპინჰემლენდის სისტემის მეთოდებს, ამ სიტყვების მკაცრი გაგებით.

ჩრდილოეთსა და ჩრდილოდასავლეთში ინდუსტრიული ქალაქების მდგომარეობა, რა თქმა უნდა, განსხვავებული იყო. 1834 წლამდე დემოკიდებული ღატაკთა რიცხვი ინდუსტრიულ ქალაქებში ბევრად მცირე იყო, ვიდრე სოფლად, სადაც ჯერ კიდევ 1795 წლამდე მანუფაქტურის გამოჩენამ სიღარიბის მაჩვენებლის ზრდას მნიშვნლო-

ვნად შეუწყო ხელი. 1789 წელს რევ.ჯონ ჰოულეთი დამაჯერებლად უწევდა წინააღმდეგობას იმ „საზოგადო შეცდომას, რომ ღარიბთა წილი დიდი ქალაქებისა და მჭიდროდ დასახლებული სამრეწველო ქალაქების მოსახლეობაში უფრო მაღალია ვიდრე სოფლებსა და მცირე ქალაქებში, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება“ (Annals of Agriculture, v, XI, p. 6, 1789).

სამწუხაროდ, ზუსტად არ იყო ცნობილი, თუ როგორი იყო სამრეწველო ქალაქების მდგომარეობა. ღარიბთა კანონის კომისრები წუხდნენ სპინჰემლენდის მეთოდების გარდაუვალი გავრცელების გამო სამრეწველო ქალაქებში. საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ „ჩრდილოეთის საგრაფოები ნაკლებად ინფიცირებულნი იყვნენ ამით“, და მაინც, ამტკიცებდნენ, რომ სპინჰემლენდის მეთოდები ქალაქებშიც კი ფართოდ გამოიყენებოდა“. ფაქტებიან მოსაზრებას ნაკლებად ადასტურებენ. მართალია, რომ მანჩესტერსა და ოლდჰემში შემწეობა პერიოდულად ურიგდებოდა ჯანმრთელ და დასაქმებულ ადამიანებს. როგორც ჰენდერსონმა დაწერა, პრესტონში ანაზღაურების გადამხდელთა შეხვედრაზე ღატაკმა უკმაყოფილება გამოთქვა სოფლის ხელისუფლების მისამართით, რადგანაც მისი ყოველკვირეული ანაზღაურება 1 ფუნტიდან 18 შილინგამდე შემცირდა. სალფორდიდ მხარეში პადიჰამი და ალვერსტონი ქალაქების იმ კატეგორიაში შედიოდნენ, რომლებიც „რეგულარულად“ დანამატიანი (იგულისხმება შემწეობის ნამატი ანაზღაურებაზე) ანაზღაურების გაცემის მეთოდს მისდევდნენ; უიგანში, სალფორდის მსგავსად, მეთოდები ფეიქრებსა და ძაფის მრთველებს შეეხო. ნოტინგჰემში წინდები თვითღირებულებით ფასში იყიდებოდა, ხოლო მოგება მწარმოებელს, როგორც ჩანს, სუბსიდირებული ანაზღაურებებიდან რჩებოდა. პრესტონზე ანგარიშის მომზადებისას, ჰენდერსონი საკუთარი თვალით ხედავდა, თუ როგორ „იჭრებოდა ეს მავნებლური სისტემა კერძო ინტერესებში და მათ საკუთარ სასიკეთოდ მომართავდა“. ღარიბთა კანონის კომისრების ანგარიშების თანახმად სისტემას ქალაქებში ნაკლებად ჰქონდა ფეხი მოკიდებული, მხოლოდ იმიტომ, რომ „ მწარმოებელ კაპიტალისტები ანაზღაურების გადამხდელთა მცირე ნაწილს შეადგენდნენ და შესაბამისად,ნაკლები ზეგავლენა ჰქონდათ ადგილობრივ ხელისუფლებაზე სოფლად ფერმერებთან შედარებით“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში განიხილებოდა, საბოლოო ჯამში, შესაძლოა შემწეობის სისტემის საყოველთაო მიღებას მრეწველი დამსაქმებლებიც მხრიდან რამდენიმე გარემოება უშლიდა ხელს.

პირველი გარემოება ღარიბი ფენის შრომის არაეფექტურობა იყო. ბამბის მრეწველობაში დასაქმებული მშრომელები ერთეულოვანი სისტემით იღებდნენ გასამრჯელოს (piece work შრომის ანაზღაურების ისეთი ფორმა იყო, რომელშიც ანაზღაურება დამოკიდებული იყო წარმოებული ერთეულების რაოდენობაზე) (Select Committee on Labourers' Wages, H. of C. 4, VI, 1824, p. 4). ამიტომ, სოფლის მეურნეობაშიც კი, ადგილობრივი მთავრობების უკიდურესად შემცირებული პენსიები იმდენად ცუდად მოქმედებდნენ, რომ „4-5 მათგანი ერთეულოვანი სისტემის 1 ანაზღაურებას უდრიდა". შედეგად კი, სოფლის მეურნეობაშ დასაქმებული მშრომელის დაბალი ანაზღაურება სრულიადაც არ ნიშნავდა იაფ შრომას, ვინაიდან სამუშაო ძალის არაეფექტურობა დამსაქმებლისთვის მის იაფ შრომას გადაწონიდა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც მეწარმე სპინჰემლენდის სისტემის მოწინააღმდეგედ აქცია იმ კონკურენტებისგან მომავალი საფრთხე იყო, რომლებსაც წარმოება ბევრად დაბალი ანაზღაურების პირობებში შეეძლოთ სახელფასო დანამატების წყალობით (იგულისხმება შემწეობის ნამატი გასამრჯელოზე). ეს საფრთხე სრულიადაც არ აშინებდა ფერმერს, რომელსაც შეუზღუდავ ბაზარზე ჰქონდა წვდომა, თუმცა აფრთხობდა ქალაქის ქარხნების მფლობელებს. ღარიბთა კანონის კომისრების ანგარიშის თანახმად „ღარიბთა კანონის არასათანადო მართვის წყალობით მაკლსფილდელი მწარმოებელი ესექსში შესაძლოა გაკოტრებულიყო კიდეც". უილიამ ქანინგჰემმა 1834 წლის აქტის მნიშვნელობა მეტწილად ღარიბთა კანონის მართვის „გაეროვნულების" ნაწილში განჭვრიტა, რითაც ფაქტობრივად გამორიცხა არსებითი დაბრკოლება ეროვნული ბაზრის განვითარების გზიდან .

სპინჰემლენდის წინაშე არსებული კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელიც განსაკუთრებით წონადი იყო კაპიტალისტურ წრეებში იყო მისი მიდრეკილება შეეკავებინა „ჭარბი და ინერტული სამუშაო ძალა" (რედფორდი) ურბანული შრომითი ბაზრიდან. 1820-იანი

წლების მიწურულს ქალაქებში მეწარმეთა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მაღალი იყო; დოერთის პროფკავშირებმა ფართომასშტაბიან მღელვარებებს მისცა ბიძგი; ეს ოუენიზმის მოძრაობის დასაწყისში ხდებოდა, რამაც ინგლისი ისტორიაში ყველაზე დიდ გაფიცვებამდე და ბლოკადებამდე მიიყვანა.

დამსაქმებლები სამი ძლიერი არგუმენტით ეწინააღმდეგებოდნენ სპინჰემლენდს: მისი მავნე ზეგავლენა შრომის პროდუქტიულობაზე; მისი მიდრეკილება შექმნას ფასებს შორის განსხვავებები ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში; ის ახალისებს სამუშაო ძალის უმოქმედო რეზერვებს (Webb) სოფლად და ამგვარად, ხელს უწყობს შრომაზე ქალაქელი მუშების მონოპოლიას. ამ მდგომარეობათაგან არცერთი არ იყო საკმარისად წონადი ინდივიდუალური დამსაქმებლებისთვის, ან თუნდაც დამსაქმებელთა ადგილობრივი ჯგუფისთვის. მათზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა იაფი სამუშაო ძალის უპირატესობები, რომლებიც მათ ფინანსურ მოგებასა და სხვა ქალაქების მწარმოებლებთან მათ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფდა. მეწარმეთა კლასი სხვა შეხედულებას მიემხრო მას შემდეგ, რაც დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ ის, რასაც ცალკეული დამსაქმებლისთვის თუ დამსაქმებელთა ჯგუფისთვის სარგებელი მოჰქონდა, მათთვის საფრთხეს წარმოქმნიდა. სინამდვილეში, ეს 30-იან წლებში შემწეობის სისტემის განვრცობას უკავშირდებოდა ჩრდილოეთ სამრეწველო ქალაქებში. მიუხედავად იმისა, სისტემა იქ შედარებით მსუბუქ ფორმებში ვრცელდებოდა, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას სპინჰემლენდის წინააღმდეგ და ეროვნულ დონეზე რეფორმის გატარებასაც.

ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ურბანული პოლიტიკა მეტნაკლებად ცნობიერად, პირდაპირ იყო მიმართული ქალაქებში ინდუსტრიული სამუშაო ძალის რეზერვების ჩამოყალიბებაზე, მეტწილად ეკონომიკურ საქმიანობაში ძლიერ რყევებთან გასამკლავებლად. ამ მხრივ არსებითი სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის არ იყო. სოფლის ხელისუფლებაც ამჯობინებდა მაღალ გასამრჯელოებს (შრომით ანაზღაურებას გაწეული სამუშაოს მიხედვით) მაღალ ანაზღაურებებს (შრომით ანაზღაურებებს ფიქსირებულად) , ხოლო ქალაქის ხელისუფლებას სოფლის მსგავსად სურდა არამკვიდრი ღარიბების მოცილება დასახლების ადგილებიდან. ეს

ერთგვარი შეჯიბრი იყო რურალურ და ურბანულ დამსაქმებლებს შორის სამუშაო ძალის არმიაში წილების გაყოფისთვის. ერთეულოვანი ანაზღაურებით სამუშაო ძალის რეზერვის მხარდაჭერა მხოლოდ 1840-იანი წლების მძიმე და ხანგრძლივი დეპრესიის დროს გახდა შესაძლებელი. იმ დროისთვისაც კი, რურალური და ურბანული დამსაქმებლები იმავენაირად იქცეოდნენ: ღარიბი ფენა სამრეწველო ქალაქებში საცხოვრებლად არ დაიშვებოდა, ხოლო რურალურ სივრცეებში პარალელურად მიმდინარეობდა ე.წ „სოფლის წმენდის“ პროცესი მიწათმფლობელთა მხრიდან. ორივე შემთხვევაში, მიზანს ღარიბ მაცხოვრებელთა რაოდენობის შემცირება წარმოადგენდა.

5. ქალაქისა და სოფლის პაექრობა

ჩვენი ვარაუდის თანახმად, სპინჰემლენდი რურალური საზოგადოების მხრიდან თავდაცვით ნაბიჯი იყო იმ საფრთხის პირისპირ, რომელსაც ქალაქებში ანაზღაურებების ზრდა წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი მოიცავდა პირველობისთვის ბრძოლას ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ბრუნვის ნაწილში. სულ მცირე ერთი, 1873-45 წლების დეპრესიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ საქმე სწორედ მსგავს პაექრობას ეხებოდა. 1847 წელს ჩატარებული საფუძვლიანი კვლევის მიგნებებით აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური დეპრესია სამრეწველო ქალაქებიდან ჩრდილოდასავლეთიდან დაიწყო და შემდგომში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიმდევარ ოლქებში გავრცელდა, სადაც აღდგენის პროცესი სამრეწველო ქალაქებთან შედარებით გვიან დაიწყო. მიგნებებმა გვიჩვენა „რომ თავდაპირველად სამრეწველო რაიონებზე მიმართული ზეწოლებს სულ ბოლოს თავი სასოფლო-სამეურნეო რაიონებმა დააღწიეს“, სამრეწველო რაიონები ამ კვლევაში ლანკაშირისა და იორკშირის ვესთ რაიდინგით იყო წარმოდგენილი, მოსახლეობით 201 000 (ღარიბთა კანონით მოცული 584 კავშირი), მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო რაიონები ძირითადად ნორზთამბერლენდით, ნორფოლკით, სუფოლკით, კემბრიჯშირით, ბაქსით, ბერქსით, უილთსითა და დევონით იყო წარმოდგენილი, მოსახლეობით 208 000 ადამიანი (ანალოგიურად 584 კავშირით). სამრეწველო უბნებში ვითარების გაუმჯობესება 1842 წელს დაიწყო სიღატაკის მაჩვენებლის შემცირებით 29.37%-დან

16.72%-მდე, რასაც პოზიტიური კლება მოყვა 1843 წელს 29.80%-ით, 15.26%-ით 1844 წელს კიდევ 12.24%-ით. ამ მონაცემების სრულად საპირისპირო მაჩვენებლები გვხვდება სასოფლო-სამეურნეო უბნებში, სადაც გაუმჯობესება 1845 წელს დაიწყო 9.08%-იანი პოზიტიური კლებით. თითოეულ შემთხვევაში ღარიბთა კანონის დანახარჯები მოსახლეობასთან მიმართებით დაანგარიშდება, ეს უკანასკნელი კი თითოეულ ოლქში ცალკეული წლის მიხედვით დაანგარიშდებოდა (J. T. Danson, "Condition of the People of the U.K., 1839–1847," Journ. of Stat. Soc., Vol. XI, p. 101, 1848).

6. ჭარბმოსახლეობა და დეპოპულაცია სოფლად.

ინგლისი ევროპაში ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც შრომის ადმინისტრირების ერთგვაროვანი სისტემა გააჩნდა ქალაქსა და სოფელში. 1563 და 1662 წლის სტატუტების თანაბარ აღსრულებას რურალურ და ურბანულ ადგილობრივ მთავრობებში მშვიდობის მოსამართლე უზრუნველყოფდა (Justice of Peace – გასულ საუკუნეებში გაერთიანებულ სამეფოში ტერმინი მშვიდობის კომისარი ან მშვიდობის მოსამართლე იყო სპეციალური კომისიის მიერ არჩეული სამართლებრივი ოფიცერი, რომელიც ადგილობრივ დონეზე კანონების მშვიდობიან აღსრულებას უზრუნველყოფდა). ეს სოფლის ინდუსტრიალიზაციითა და ურბანული მხარეების შემდგომი ინდუსტრიალიზაციით იყო გამოწვეული. შესაბამისად, ქალაქსა და სოფელს შორის შრომის ორგანიზაციის მხრივ რაიმე ადმინისტრაციული ჩავარდნა არ არსებობდა (როგორც ეს ევროპის კონტინენტურ ნაწილში ხდებოდა). ეს უკანასკნელი თითქოს ხსნის იმ სიმარტივეს, რომლითაც სამუშაო ძალა სოფლიდან ქალაქში გამოედინებოდა (და პირიქით) .შესაბამისად, კონტინენტური დემოკრატიის ორი ყველაზე მავნე თვისება – სოფლად მოსახლეობის უეცარი კლება სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გამო და ამ მიგრაციის პროცესის შეუქცევადობა, რომელიც ასევე მოიცავდა იმ ადამიანების განდევნას, ვინც ქალაქში იპოვა სამსახური, თავიდან იქნა აცილებული. ტერმინი Landflucht (გერმ. მიემართება გლეხების მასობრივ მიგრაციის პროცესს ქალაქებში, რომელიც გერმანიაში მე-19 საუკუნის მიწურულში დაიწყო) სოფლის ინტენსიური გაღა-

რიბების პროცესს აღნიშნავდა, რაც თავზარდამცემი იყო სოფლის მეურნეობაში ჩართული საზოგადოებისთვის ცენტრალურ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ინგლისში განსხვავებულ პროცესებს ვაწყდებით – მოსახლეობის რაოდენობის მერყეობას სოფლად და ქალაქში დასაქმების კუთხით. თითქოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი „ჰაერში იყო გამოკიდებული“ და ეს გარემოება ამ შიდა მიგრაციას განსაკუთრებით ართულებდა, თუ საერთოდ შეუძლებელს არ ხდიდა მის მიმდინარეობას. გარდა ამისა, გავიხსენოთ ასევე ქვეყნის კონფიგურაციაც, მთელი თავისი პორტებით, რომლებმაც დიდ დისტანციებზე მიგრაცია სრულიად უსარგებლო გახადა და ღარიბთა კანონის მართვის მარტივი ადაპტაცია შრომის ორგანიზების ეროვნულ მოთხოვნებთან მაშინვე გასაგები გახდება. რურალური ადგილობრივი მთავრობები ხშირად „საგარეო“ შემწეობას უხდიდნენ არამკვიდრ ღატაკებს, რომლებიც არც თუ მოშორებით იყვნენ დასაქმებული და შემწეობის სახით თანხას პირდაპირ საცხოვრებელ ადგილას აგზავნიდნენ; მეორე მხრივ,სამრეწველო ქალაქები, ხშირად უხდიდნენ შემწეობის ფულს მკვიდრ ღარიბ მოსახლეობას, რომელიც სულაც არ იყო ქალაქში დასახლებული. იშვიათ შემთხვევებში ქალაქის მთავრობები 1841-43 წლებში მასობრივ განდევნებს მიმართავდნენ. რედფორდის თანახმად, ჩრდილოეთის ცხრამეტი სამრეწველო ქალაქიდან განდევნილი 12 62 ადამიანიდან მხოლოდ 1%ს გააჩნდა საკუთარი დასახლება ცხრა აგრიკულტურულ რაიონში. (თუ რედფორდის ოლქები დანსონის მიერ 1848 წელს შერჩეული ცხრა „ტიპური აგრიკულტურული რაიონით“ ჩანაცვლდებოდა შედეგი ოდნავ შეიცვლებოდა, 1%ის ნაცვლად 1.3%იანი მაჩვენებელი გვექნებოდა). დიდ დისტანციებზე მიგრაციის წილი მცირე იყო, ვინაიდან, როგორც რეფორდმა გვიჩვენა, სამუშაო ძალის რეზერვის დიდი ნაწილი დამსაქმებლის განკარგულებაში რჩებოდა სოფლად და სამრეწველო ქალაქებში შემწეობის ლიბერალური მეთოდების გამოყენებით. ამის გათვალისწინებით, უცნაური არ გვეჩვენება, რომ ქალაქსა და სოფელში დეპოპულაციისა და მოსახლეობის ჭარბი მატების თანადროული პროცესები მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც მაღალი მოთხოვნის პერიოდში ლანკაშირელი მწარმოებლები იძულებული იყვნენ მრავალრიცხოვანი ირლანდიელი მუშები მიეღოთ, ხოლო ფერმერები ამტკიცებდნენ, რომ მოსავლის

აღებას ვერ შეძლებდნენ, თუ სოფლის ღატაკებს მიგრაციის სტიმული გაუჩნდებოდათ.

10. სპინჰემლენდი და ვენა

ავტორის ყურადღება პირველად სპინჰემლენდის კვლევებმა და მისმა გავლენებმა მიიზიდა კლასიკურ ეკონომისტებზე. ეს ინტერესი მეტწილად პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ავსტრიაში განვითარებული უკიდურესად მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით იყო გამოწვეული.

ამ წმინდად კაპიტალისტურ გარემოში, სოციალისტურმა მუნიციპალიტეტებმა ისეთი რეჟიმი ჩამოაყალიბეს,რომელიც ეკონომიკური ლიბერალების მხრიდან სასტიკი თავდასხმის საგანი გახდა. უდავოა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ზოგიერთი ინტერვენციული პოლიტიკა შეუსაბამო იყო საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებთან. თუმცა, წმინდად ეკონომიკურმა არგუმენტებმა მაინც არ ამოწურეს ის საკითხები, რომლებიც არსებითად სოციალური და არა ეკონომიკური შინაარსის იყო.

ვენის შესახებ მთავარი ფაქტები შემდეგნაირად ჟღერს. თითქმის 15 წლის განმავლობაში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, 1914-1918 წლებში უმუშევრობის დაზღვევა ავსტრიაში დიდწილად საჯარო ფონდების მიერ იყო სუბსიდირებული, რაც უსასრულოდ აფართოებდა საგარეო შემოწირულებებს; ქირის გადასახადი ძველი ფასის მცირედი ნაწილის დონეზე იყო დაფიქსირებული, ვენის მუნიციპალიტეტმა არაკომერციულ საფუძველზე მრავალბინიანი სახლები გააშენა და აუცილებელი კაპიტალი გადასახადების დაკისრების გზით გაზარდა. იმ დროს, როდესაც ანაზღაურებებზე დახმარების სახით ნამატის გაცემა არ მოქმედებდა, სოციალური მომსახურების ყოველმხრივმა უზრუნველყოფამ, როგორი მოკრძალებულიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, შესაძლოა ნამდვილად იქონიეს ზეგავლენა ანაზღაურებების კრიტიკულ შემცირებაზე, თუმცა, განვითარებულმა პროფკავშირულმა მოძრაობებმა ძლიერი მხარდაჭერა მოიპოვეს უმუშევრობის გაზრდილი შემწეობების ნაწილში. ეკონომიკური თვალსაზრისით, მსგავსი სისტემა ცალსახად

ანომალიური იყო. უკიდურესად არამომგებიან დონემდე შემცირებული ქირა სრულიად შეუსაბამო იყო კერძო მეწარმეობის არსებულ სისტემასთან, განსაკუთრებით კი მშენებლობასთან დაკავშირებულ ხელობებთან. ადრეულ წლებში, გაღარიბებულ სოფელში სოციალური დაცვა ზიანს აყენებდა ვალუტის სტაბილურობას – ინფლაციური და ინტერვენციონისტული პოლიტიკები ხელი პოლიტიკები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

საბოლოოდ, ვენა სპინჰემლენდის მსგავსად, წმინდად ეკონომიკური არგუმენტებით მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალების თავდასხმებს დანებდა. ავსტრიის 1832 წლისადა 1934 წლის ამბოხებები შრომის ბაზრის გათავისუფლებას ემსახურებოდა პროტექციონისტური ჩარევისგან. ვენის მიწათმფლობელი არისტოკრატია(Squire ინგ. ტერმინი, რომელიც მოგვიანებით მიწათმფლობელი არისტოკრატიის მისამართით გამოიყენებოდა, იგივე “landed gentry” , რომელიც შემოსავალს ქირიდან იღებდა ან სულ მცირე, მამულებს მაინც ფლობდა) თავი და ვერც მუშათა კლასი ამ გარემოდან საკუთარ იზოლირებას ვერ შეძლებდა.

და მაინც, ამ ორ ინტერვენციონისტურ პერიოდს შორის დიდი განსხვავება იყო. 1795 წელს საჭირო გახდა ინგლისური სოფლის დაცვა ეკონომიკური პროგრესით, ქალაქელი მრეწველების მიერ გამოწვეული უწესრიგობისგან; 1918 წელს ვენის მშრომელი ინდუსტრიული კლასი მშრომელი კლასი კი დაცვას ეკონომიკური რეგრესისგან საჭიროებდა, რომელიც ომით, მარცხით და ინდუსტრიული ქაოსით იყო გამოწვეული. საბოლოო ჯამში, სპინჰემლენდმა შრომის ორგანიზაციის კრიზისი გამოიწვია, რამაც გზა გაუხსნა აყვავების ახალ ხანას მაშინ, როდესაც ჰეიმვერის გამარჯვებამ ავსტრიაში ეროვნული და სოციალისტური სისტემის ტოტალურ კატასტროფაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

აქ სწორედ ინტერვენციის ორი ტიპის კულტურულ და მორალურ გავლენებს შორის არსებული განსხვავებების ხაზგასმა გვსურს: სპინჰემლენდის მცდელობა შეეჩერებინა საბაზრო ეკონომიკის შემოსვლა და ვენის ექსპერიმენტი ერთობლივად ცდილობდნენ გასცდენოდნენ ამ ეკონომიკას. მაშინ, როდესაც სპინჰემლენდმა ადამიანს ჭეშმარიტი ზიანი მიაყენა, ვენამ დასავლეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ კულტურულ ტრიუმფს მიაღწია.

1795წელმა მშრომელი კლასი უპრეცედენტო გაუფასურებამდე მიიყვანა, რომლებსაც არ მიეცათ ახალი ინდუსტრიული მუშების სტატუსის მიღების შესაძლებლობა;

1918 წელმა ვენის სისტემით დაცული ინდუსტრიული მუშათა კლასის უპრეცედენტო მორალურ და ინტელექტუალურ აღმავლობას დაუდო დასაბამი, რომელმაც ძლიერი ეკონომიკური რყევებით გამოწვეულ მავნე შედეგებსაც გაუძლო და იმ დონესაც მიაღწია, რომლისთვისაც აქამდე არცერთ მასას არ მიუღწევია ინდუსტრიულ საზოგადოებაში.

ცხადია, რომ ეს საკითხის სოციალური, ეკონომიკური გარემოებებისგან გამიჯნული მიზეზებით გამოწვეული. თუმცა, საინტერესოა საკმარისად კარგად თუ ესმოდათ ორთოდოქს ეკონომისტებს ინტერვენციონიზმის ეკონომიკა. სინამდვილეში, ლიბერალი ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ ვენის რეჟიმი „ღარიბთა კანონის“ ნაკლოვანი მმართველობის კიდევ ერთი გამოვლინება, მორიგი „შემწეობის სისტემა“, რომელიც „კლასიკური ეკონომისტების „ცოცხს“ საჭიროებდა.თუმცა, განა თავად კლასიკოსები არ იყვნენ შეცდომაში შეყვანილი სპინჰემლენდის მიერ შექმნილი შედარებით განგრძობადი შედეგებით? ისინი ხშირ შემთხვევაში არ ცდებოდნენ იმ მომავლის შესახებ, რომელსაც მათივე შორსმჭვრეტელობით სახავდნენ, თუმცა სრულებით ცდებოდნენ საკუთარ აწმყოსთან მიმართებით. თანამედროვე კვლევებმა დაადასტურა, რომ მათი მსჯელობის პრაქტიკულად შერაცხვა დაუმსახურებელი იყო. მალთუსმა საერთოდ ვერ განჭვრიტა სწორად თავისი დროის საჭიროებები; ტ.ჰ მარშალი ამბობს, რომ მალთუსის მიკერძოებული გაფრთხილებები ჭარბმოსახლეობის შესახებ ეფექტური რომც ყოფილიყო იმ პატარძლების მისამართით, ვისაც მიემართებოდა კიდეც ეს გაფრთხილება, მათ შეეძლო „საბოლოოდ მოეღო ბოლო ეკონომიკური პროგრესისთვის“. რიკარდომ დაამახინჯა სავალუტო დავასთან და ინგლისის ბანკის როლთან დაკავშირებული ფაქტები და ამასთან, ვერ შეძლო ვალუტის გაუფასურების ჭეშმარიტი მიზეზების შეცნობაც, რომლებიც, როგორც ახლაა ჩვენთვის ცნობილი, დიდწილად პოლიტიკურ გადახდებსა და თანხების გადაგზავნის სირთულეებს უკავშირდებოდა. Bullion Report-ში გამოქვეყნებული მისი რჩევისთვის რომ დაეჯერე-

ბინათ, დიდი ბრიტანეთი ნაპოლეონის ომებს წააგებდა და „იმპერია დღეისთვის აღარ იარსებებდა“.

ამგვარად, ვენის გამოცდილება და მისი მსგავსებები სპინ-ჰემლენდთან ზოგიერთს უკან, კლასიკურ ეკონომისტებთან აბრუნებს, სხვებს კი მათთან დაკავშირებულ ეჭვებით ავსებს.

მეორე თავისთვის

11. რატომ არა უითბრედის კანონს?

როგორც ჩანს, სპინჰემლენდის პოლიტიკის ერთადერთ ალტერნატივად უითბრედის კანონი მიაჩნდათ, რომელიც 1795 წლის ზამთარში მიიღეს. კანონი 1563 წლის ხელოსანთა შესახებ სტატუტის გაფართოებას მოითხოვდა, რათა მას წლიური შეფასების საფუძველზე დადგენილი სახელფასო მინიმუმიც მოეცვა.როგორც ავტორი ამტკიცებს, მსგავსი ღონისძიება ანაზღაურების შეფასების ელიზაბეთისეულ კანონს შეინარჩუნებდა, მაქსიმალური დადგენილი ზღვრიდან ანაზღაურების მინიმალურ ზღვრამდე განავრცობდა და ამ გზით სოფლად შიმშილობას აღკვეთდა. უდავოა, რომ მსგავსი ღონისძიება საგანგებო ვითარების საჭიროებებს უპასუხებდა. აღსანიშნავია, რომ სუფოლკის წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ უითბრედის კანონის მიღებას მაშინ, როდესაც მათმა მმართველებმა სპინჰემლენდის პრინციპების მიღებასაც დაუჭირეს მხარი შეხვედრაზე, რომელსაც არტურ იანგი თავადაც ესწრებოდა. საკითხის არამცოდნეთათვის განსხვავება ამ ორ ღონისძიებას შორის დიდად თვალშისაცემი არ იქნებოდა და ეს გასაკვირიც არაა. 130 წლის შემდეგ, როდესაც მონდის გეგმით (1926) უმუშევართა ფონდის გამოყენების იდეა წამოაყენეს მრეწველობაში დასაქმებულთათვის სახელფასო დანამატების შესავსებად, საზოგადოებამ მაინც ვერ მოახერხა უმუშევართა დახმარებასა და დასაქმებულის ანაზღაურების დანამატს შორის არსებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური განსხვავების გაგება.

თუმცა, 1795 წელს არჩევანი მინიმალურ ხელფასსა და სახელფასო დანამატს შორის იდგა (ანუ შემწეობის სახით გაცემულ დანა-

მატზე) განსხვავება ამ ორ პოლიტიკას შორის ყველაზე თვალსაჩინო მაშინ გახდება,თუ მათ განსახლების 1662 წლის აქტის თანადროულ გაუქმებას დავუკავშირებთ. მოცემული აქტის გაუქმებამ შრომით ბაზარს ახალი შესაძლებლობა გაუხსნა, რომლის მთავარ მიზანსაც „ანაზღაურებების დონის ჩარევის გარეშე დადგენა“ წარმოადგენდა“. უითბრედის მინიმალური ანაზღაურების შესახებ კანონის ტენდენცია განსახლების აქტის გაუქმების საპირისპიროიყო, მაშინ, როდესაც სპინჰემლენდის კანონი ამ მისწრაფებას არ იზიარებდა. ხელოსანთა შესახებ სტატუტის გაფართოების ნაცვლად (რა წინადადებაც უითბრედმა წამოაყენა), 1601 წლის ღარიბთა კანონის მოქმედების არეალის გაფართოებამ, მიწათმფლობელი არისტოკრატია პატერნალიზმისკენ მიაბრუნა, დიდწილად მხოლოდ სოფელთან მიმართებით. ფორმები, რომლითაც ეს ქმედება განხორციელდა, საბაზრო თამაშში მინიმალურ ჩარევას გულისხმობდა, რითაც მათ ფაქტობრივად მწყობრიდან გამოიყვანეს ანაზღაურების მდგენელი მექანიზმი. ის ფაქტი, რომ სინამდვილეში, ღარიბთა კანონის ამ ფორმით ამოქმედებამ იძულებითი შრომის ელიზაბეტისეული პრინციპების საბოლოო მოშლა განაპირობა, ღიად არასდროს უღიარებიათ.

სპინჰემლენდის კანონის მხარდამჭერებისთვის პრაგმატული გარემოებები უზენაესი მნიშვნელობის იყო. ედვარდ უილსონი, უინძორის კანონიკოსი და ბერკშირის მშვიდობის მოსამართლე, რომელიც შესაძლოა მისი მხარდამჭერიც კი ყოფილიყო, თავისი ხედვები პამფლეტში ჩამოაყალიბა, სადაც მკაფიოდ laissez-faire – ს მიემხრო. „შრომა, ისევე, როგორც ყველაფერი, რაც ბაზარზე შეიძლება მოხვდეს, ყველა დროში პოულობდა საკუთარ ნიშნულს, კანონის ჩარევის გარეშე“, თქვა მან. ინგლისელი მაგისტრატისთვის, ალბათ, უფრო შესაფერისი იქნებოდა იმის თქმა, რომ ზემოთქმულის საპირისპიროდ, შრომას აქამდე არასდროს უპოვია თავისი ნიშნული კანონის ჩარევის გარეშე. თუმცა, შემდგომში გამოვლინდა, რომ ანაზღაურებები ისევე სწრაფად არ იზრდებოდა, როგორც სიმინდის ფასი, რის საფუძველზეც კანონიკოსმა უილსონმა გადაწყვიტა თავმდაბლად მიეღო სასამართლოს მოსაზრებები. „ღარიბთათვის შემწეობის კონკრეტული ოდენობა უნდა დაწესდეს“. შემწეობა კვირაში ხუთ შილინგს აღწევდა ოჯახისთვის, რომელიც ქალისგან, მამაკაცისგან და ერთი ბავშვისგან შედგებოდა. განცხადება, რომელიც

ამ ბუკლეტს თან ერთოდა იუწყებოდა, რომ „წინამდებარე ტრაქტატის არსზე ნიუბერის საგრაფოს შეხვედრაზე შეჯერდნენ, გასული მაისის 6 რიცხვისთვის“. სასამართლო, როგორც ვიცით,კანონიკოსზე შორს წავიდა: მან ერთხმად დაუჭირა მხარი 6 შილინგის ოდენობის შემწეობის დაწესებას(თუ პირველი შვილიც ჩაითვლებოდა).

მეცამეტე თავისთვის

12. დიზრაელის „ორი ნაცია“ და ფერადი რასების პრობლემა.

რამდენიმე ავტორი ამტკიცებდა, რომ გარკვეული მსგავსება არსებობდა კოლონიურსა და ადრეული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ პრობლემებს შორის. თუმცა, ეს ავტორები ანალოგიური მსჯელობის ხაზს ვერ მიყვნენ სხვა მიმართულებითაც, რომელიც ნათელს მოჰფენდა ინგლისის ღარიბი კლასების მდგომარეობას ერთი საუკუნის წინ იმის ასახვის გზით, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდნენ – თავიანთი დროის ჩამოქვეითებულ აბორიგენებს.

ამ აშკარა მსგავსების გამოტოვების მთავარი მიზეზი ლიბერალურ წინასწარ განწყობებსა და აზრებში ჩვენს რწმენას უკავშირდება. ეს რწმენა კი მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ პროცესების ეკონომიკურ გარემოებებს, რომლებიც არსებითად არაეკონომიკური ხასიათის იყვნენ. ვინაიდან საუკუნის წინ, კოლონიურ სივრცეებში არც რასობრივი ნიშნით ჩამოქვეითება და არც მშრომელი ხალხის დეჰუმანიზაცია ყოფილა წმინდად ეკონომიკური არსის მატარებელი.

(a) შეხება დესტრუქციულ კულტურასთან არ წარმოადგენს არსებითად ეკონომიკურ ფენომენს.

„მკვიდრი საზოგადოებების უდიდესი ნაწილი იძულებითი გარდაქმნების სწრაფ პროცესს გადიოდა, რის შედარებასაც მხოლოდ რევოლუციის ძალადობრივ ცვლილებებთან თუ შევძლებთ“, ამბობს ლუსი მაირი. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელთა მოტივები წმინდად ეკონომიკურია და პრიმიტიული საზოგადოების კოლაფსი ხშირად მისი ეკონომიკური ინსტიტუციების ჩამოშლითაა განპირობებული, ცალსახაა, რომ ახალმა ეკონომიურმა ინსტიტუტებმა ვერ

შეძლეს მკვიდრ კულტურასთან ასიმილირება, რამაც თავის მხრივ სისტემის დანაწევრება გამოიწვია მისი რაიმე სხვა თანმიმდევრული ღირებულებების სისტემით ჩანაცვლების გარეშე. დასავლური ინსტიტუტებისთვის ჩვეული დესტრუქციული ტენდენციების ლოზუნგად „მშვიდობა გაშლილ სივრცეზე“ გვევლინება, რაც ანადგურებს „გვაროვნულ ცხოვრებას, პატრიარქალურ ძალაუფლებასა და ახალგაზრდების სამხედრო წვრთნას; ის ასევე თითქმის კრძალავს გვარებსა და ტომებს შორის მიგრაციას“ (Thurnwald, Black and White in East Africa; The Fabric of a New Civilization, 1935, p. 394). „ომმა, როგორც ჩანს, ერთგვარი ჟინით გამსჭვალა ადგილობრივთა ცხოვრება, რაც სამწუხაროდ ესოდენ გვაკლია მშვიდობიანობის ჟამს...“. ბრძოლების აღკვეთა ამცირებს მოსახლეობას, ვინაიდან ომები მცირედი დანაკარგით სრულდება, მაშინ, როდესაც ომის არარსებობა მაცოცხლებელი ჩვეულებების თუ ცერემონიების გაქრობას ნიშნავს, რასაც შედეგად სოფლის ცხოვრების არაჯანსაღი დუმილი და აპათია მოჰყვება(F. E. Williams, Depopulation of the Suan District, 1933, “Anthropology” Report, No. 13, p. 43). შეადარეთ ეს უკანასკნელ ტრადიციულ კულტურულ გარემოში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის, მგზნებარე მღელვარე და მკვირცხლ არსებობას“ (Goldenweiser, Loose Ends, p. 99).გოლდენვაიზერის სიტყვებით, ჭეშმარიტი საფრთხე „კულტურათაშორის ინტერვალში“ მდგომარეობს (Goldenweiser, Anthropology, 1937, p. 429) ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნებაც არსებობს. „ძველი ბარიერები სუსტდება, ახალი მიმართულების მომცემი ხაზები კი არსად ჩანს“(Thurnwald, Black and White, p. 111) „იმ საზოგადოების შენარჩუნება, რომელშიც სიკეთეების აკუმულირებას ანტისოციალურად შერაცხავენ და ამას თანამედროვე თეთრ კულტურასთან აერთიანებენ ორი შეუთავსებადი ინსტიტუციური სისტემის ჰარმონიზების მცდელობას ნიშნავს“ (Wissel in Introduction to M. Mead, The Changing Culture of an Indian Tribe, 1932). „იმიგრანტი კულტურის მატარებლებმა შესაძლოა მოსპონ აბორიგენული კულტურა, თუმცა ვერ მოახერხებენ კულტურის მატარებლებისა განადგურებასა და ასიმილირებას“ (Pitt-Rivers, “The Effecton Native Races of Contact with European Civilization,” in Man, Vol. XXVII, 1927). ლესერის ნაკლებად მახვილი ფრაზა ინდუსტრიალიზაციის კიდევ ერთი მსხვერპლის შესახებ შემდეგნაირად ჟღერს: „ისეთი კულტურულად მომწიფებული

საზოგადოებიდან, როგორიც პაუნის ტომი იყო კულტურულ ჩვილობას მიუბრუნდნენ თეთრი რასის მსგავსად“ ” (The Pawnee Ghost Dance Hand Game, p.44).მისი მდგომარეობა, რომელიც მოსიარულე სიკვდილს წააგავს, როგორც მიჩნეულია, ეკონომიკური ექსპლუატაციით კი არ არის გამოწვეული(სადაც ექსპლუატაცია ერთ-ერთი პარტნიორის უპირატესობას ნიშნავს მეორეზე დომინირების ფასად).მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე მჭიდროდ მიმართებაშია მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მდგომარეობების ცვლილებებს ,ომს, ქორწინებასა და ა.შ, თითოეული მათგანი ყველა სახის სოციალური ჩვევებზე, ჩვეულებებზე და ტრადიციებზე ახდენს გავლენას. როდესაც ფულზე დამყარებულმა ეკონომიკამ იძულების გზით შეაღწია მეჩხრად დასახლებულ დასავლეთ აფრიკაში, „მოსახლეობა ვერ ყიდულობდა საკვებს, რომელიც ჯერაც არ გაზრდილ საკვებს ჩაანაცვლებდა არა იმიტომ, რომ მწვავედ იდგა ანაზღაურების სიმცირის პრობლემა, არამედ იმიტომ, საკვების ისეთი ნამატი, რომლის გაყიდვასაც ვინმე შეძლებდა, არც არსებობდა“ (Mair, An African People in theTwentieth Century, 1934, p. 5). მათი ინსტიტუტები განსხვავებულ ღირებულებით სკალას ეყრდნობოდნენ; ორივე მათგანი მომჭირნეა და ამავე დროს, არცერთი არაა ბაზარზე ორიენტირებული. „ბაზარზე საქონლის მოზღვავებისა და მწვავე დეფიციტის დროს ერთი და იგივე ფასს მოითხოვენ და მაინც, დიდ მანძილს გაივლიან დიდი დროისა და ენერგიის ფასად მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთ შენაძენზე მცირე თანხა დახარჯონ“(Mary H. Kingsley, West African Studies, p. 339). ანაზღაურებების ზრდას ირად აბსენტიზმამდე მივყავართ. ამბობდნენ, რომ ზაპოტეკელი ინდიელები ტეხუანტეპეკში დღეში 50 ცენტად ისევეკარგად არ მუშაობდნენ, როგორც 25 ცენტად. ეს პარადოქსი ინგლისის ინდუსტრიული რევოლუციის ადრეულ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული.

მოსახლეობის ეკონომიკური ინდექსი ხელფასზე უკეთეს სურათს არ გვაძლევს. გოლდენვაიზერი რივერსის მიერ მალანეზიაში გაკეთებულ ცნობილ დაკვირვებას ადასტურებს ,რომლის თანახმადაც კულტურულად ღარიბი მკვიდრი მოსახლეები შესაძლოა „მოწყენილობისგან კვდებიან“. ფ.ი უილიამსი, რომელიც თავად მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა ამ რეგიონში, წერს, რომ „ფსიქოლოგიური

ფაქტორის ზეგავლენა სიკვდილის მაჩვენებელზე მარტივად გასაგებია. მრავალ დამკვირვებელს მიუქცევია ყურადღება იმ საოცარი სიმარტივისთვისა და მზადყოფნისთვის, რომლითაც ისინი მიეცემიან სიკვდილს". „წარსული ინტერესებისა და აქტივობების შეზღუდვა საბედისწერო იყო მათი სულებისთვის. შედეგად კი ის იყო, რომ ადგილობრივთა წინააღმდეგობის ძალა სუსტდება და ის ნებისმიერი სახის დაავადებას მარტივად ნებდება"" (op. cit., p. 43). ამას არაფერი აქვს საერთო ეკონომიკურ წადილთან. „ამგვარად, ბუნებრივი მატების უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი ან კულტურული სიცოცხლისუნარიანობის ან მისი დეგრადაციის სიმპტომია"(Frank Lorimer, Observations on the Trend of Indian Population in the United States, p. 11). კულტურული დეგრადაცია შესაძლოა მხოლოდ ცხოვრების ეკონომიკურ სტარტებთან უთანაზომო სოციალურმა ღონისძიებებმა შეაჩეროს, ისეთებმა, როგორიცაა ტომობრივი მიწათმფლობელობის აღდგენა და საზოგადოების იზოლაცია კაპიტალისტური საბაზრო მეთოდების გავლენებისგან. „ინდიელების გამოყოფა მათი მიწებისგან ერთი დიდი სასიკვდილო დარტყმა იყო", წერს ჯონ კოლიერი 1942 წელს. 1887 წლის გენერალური განაწილების აქტმა (General Allotment Act) ინდიელების მიწის „ინდივიდუალიზება" მოახდინა; მათი კულტურის დანაწევრებამ ინდიელებს შედეგად 90 მილიონი აკრი მიწის დანაკარგი მოუტანა. 1934 წლის ინდიელების რეორგანიზაციის აქტმა ტომობრივი მფლობელობები გააერთიანა და ინდიელების თემი გადაარჩინა მათი კულტურის რევიტალიზაციის გზით.

იგივე მოხდა აფრიკაშიც. მიწათმფლობელობის ფორმები ინტერესის ცენტრშია მოქცეული იმ მიზეზით, რომ სწორედ მათზეა პირდაპირ დამოკიდებული სოციალური ორგანიზაციას. ის, რაც ეკონომიკურ კონფლიქტებად შეიძლება მივიჩნიოთ – მაღალი გადასახადები, ქირა თუ დაბალი ანაზღაურებები – სინამდვილეში ზეწოლის ფარულ ფორმებს წარმოადგენენ,რომლებიც ცდილობენ მკვიდრი მოსახლეობას საკუთარი ტრადიციული კულტურის მიტოვებისგან უბიძგონ და ამ გზით საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს მოარგონ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანაზღაურებისთვის იმუშაონ და საქონელი ბაზარში შეიძინონ. სწორედ ამ პროცესში დაკარგეს თავიანთი წინაპრების ჩვეულებები,ინერტულ ბრბოდ და ნახევრად მოშინაურებულ ცხოველებად, მეძავებად, მაწანწალებად

და ქურდებად გადაიქცნენ კაფირის ტომი და სხვა ადგილობრივი ტომებიც, რომლებიც ქალაქებში ემიგრირდნენ. სწორედ იმად გადაიქცნენ, რაც მათთვის აქამდე უცნობი იყო და 1795-1834 წლების ინგლისის გაღატაკებული მოსახლეობის მასას დაემსგავსნენ.

(b) მშრომელთა კლასის ადამიანური დეგრადაცია ადრეული კაპიტალიზმის პირობებში განუზომადი სოციალური კატასტროფა იყო, რომელიც ეკონომიკური ტერმინებით ვერ გამოიხატება.

1816 წელს რობერტ ოუენმა თავის მუშებზე დაკვირვების შედეგად თქვა, რომ „რა ანაზღაურებაც არ უნდა მიიღონ, მათი უმრავლესობა მაინც ღატაკად უნდა დარჩეს...“ (To the British Master Manufacturers, p. 146). გავიხსენოთ, რომ როგორც ადამ სმითი მოელოდა, „მიწას გაშორებული მშრომელი ყოველგვარ ინტელექტუალურ ინტერესს დაკარგავს“. ფარლეინი კი ამბობდა, რომ „ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის წერა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნა იშვიათი უნარ-ჩვევა გახდება“ (Enquiries Concerning the Poor, 1782, pp. 249–50). ერთი თაობის შემდგომ, ოუენმა მშრომელთა დეგრადაცია „ბავშვობაში უგულებელყოფამდე“ და „გადატვირთვამდე“ დაყავს, ამგვარად ეს მათ უმეცრებისგან უუნაროს ხდის გამოიყენონ მაღალი ანაზღაურება სასიკეთოდ, მაშინ როდესაც შეუძლიათ“. თავად ოუენი მშრომელებს დაბალ ანაზღაურებას უხდიდა და მათ სტატუსს მათთვისვე სრულიად ახალი, ხელოვნური კულტურული გარემოს შექმნის გზით ამაღლებდა. მასების მიერ შეძენილი ნაკლოვანებები დიდწილად იმ ფერადი რასების დეგრადაციის მაგვარი იყო, რომლებმაც ვარდნა დასანაწევრებელი ეფექტის მქონე კულტურული კონტაქტის შედეგად განიცადეს: პროსტიტუცია, ქურდობა, ყაირათიანობისა და წინდახედულობის ნაკლებობა, შრომის დაბალი პროდუქტიულობა, თვით-პატივისცემისა და ამტანობის სიმცირე, დაუდევრობა და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის გავრცელება ანადგურებდა რურალური საზოგადოების ტრადიციულ ქსოვილს, სოფლის საზოგადოებას, ოჯახს, მიწათმფლობელობის ძველ ფორმას, იმ ჩვეულებებსა და სტანდარტებს, რომელიც უზრუნველყოფდა ცხოვრებას კულტურული ჩარჩოების პირობებში. სპინჰემლენდის მიერ შემოთავაზებულმა დაცვამ ვითარება უფრო გაართულა. 1830 იანი წლებისთვის ჩვეულებრივი ხალხის სოციალური კატასტრო-

ფა ისეთივე სრული იყო, როგორიც კაფირის კატასტროფაა დღეს. გამოჩენილმა ნეგრო სოციოლოგმა ჩარლზ ჯონსონმა შემოაბრუნა ანალოგია რასობრივ ჩამოქვეითებასა და კლასობრივ დეგრადაციას შორის და ამ შემთხვევაში ის შემდეგნაირად გამოიყენა: „ინგლისში, სადაც სხვათაშორის, ინდუსტრიული რევოლუცია უფრო დაწინაურებული იყო, ვიდრე ევროპის სხვა ნაწილებში, სოციალურმა ქაოსმა, რომელიც თან მოჰყვა რადიკალური ეკონომიკური რეორგანიზაციას ღატაკი ბავშვები იმ „ნაწილებად“ გადააქცია, რომლებიც მოგვიანებით აფრიკელ მონებად გადაიქცნენ... ბავშვთა მსახურების სისტემის გამო მოხდილი ბოდიშები თითქმის ანალოგიური იყო მონობით ვაჭრობის გამო ბოდიშებისა“ (“Race Relations and Social Change, in E. Thompson, Race Relations and the Race Problem, 1939, p. 274).

9 789947 836848

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი
© Friedrich-Ebert-Stiftung